114/1960 /2
114/2
ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

/3

7
ივლისი

1960

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
დასაზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 37-ე № 7 ივლისი, 1960 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


8036

## შინაარსი


გვ.

კოლაუ ნადირაძე — ბევრი არ მითქვამს, მამულო, შენთვის. ლექსი . . . 3
რევაზ ჯაფარიძე — ჯარისკაცის ქვრივი. რომანი, წიგნი მეორე, გაგრძელება . . . 4
ბონდო კეშელავა — უსათაურო ლექსი . . . 16
მარიამ გარიყული — გარღვეული მიჯნა. რომანი, დასასრული . . . 17
ლიდია მეგრელიძე — უსათაურო ლექსი . . . 49
ოთარ მამფორია — ღამე სამადლოში. ლექსი . . . 50
ნინო აბაშიძე — ზაფხულის ცხელი დღეები, მოთხრობა . . . 51
გურამ კლდიაშვილი — არავინ მიცნობს გამოსარჩლებით. ლექსი . . . 56
აკაკი გელოვანი — ლექსები . . . 57
სეზმან ერთაწმინდელი — ხმალმა იელვა საჩეხად, ლექსი . . . 58
ანზორ აბულაშვილი — უსათაურო ლექსი . . . 59
ნინო ნაკაშიძე — მოგონებები . . . 60
გრიგოლ ჩიქოვანი — მრუდე კიბე, მოთხრობა . . . 72


### კრიტიკა და პუბლიცისტიკა


გურამ კანკავა — სამი პოეტი . . . 105
გურამ ასათიანი — მეგობრობის მატიანედან . . . 113
ზურაბ ჭარხალაშვილი — შენიშვნები რეალიზმის თეორიის ზოგიერთ საკითხზე, დასასრული 122
ვ. შადური — დავიწყებული პოეტი — რევოლუციონერი ღილა მოხევე . . . 129
მ. კვესელავა — ფაუსტური იდეები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, დასასრული . . . 134
პ. რატიანი — ქართველი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან, გაგრძელება . . . 145


იხ. მეორე გვერდზე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

გვ.
ნოე ბაიძაძე — შრომითი და შემოქმედებითი ინიციატივა . . . . . . . . . 152
ი. მელქაძე — გლეხთა რევოლუციური კომიტეტების და სახალხო სასამართლოების ისტორიისათვის . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 156

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელოვნების საკითხები

ვახტანგ ბერიძე — კახეთის ხუროთმოძღვრება . . . . . . . . . . 163
ელეონორა ექსანიშვილი — მ. ა. ბალაკირევის შემოქმედებითი სახე . . . . . . . 169

## ლიტერატურული მემკვიდრეობა

ალ. ბარამიძე — ქილილა და დამანას ახალი გამოცემის გამო . . . . . . . . 177

## ჩვენი მეცნიერები

გ. ნათიძე — შალვა ამირანაშვილი . . . . . . . . . . . . . . 179

## წიგნების მიმოხილვა

თ. ბერიაშვილი, გ. მარგიანი, გ. ჯამბურია — გამოკვლევა საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო წყობილების შესახებ . . . . . . . . . . . . . 182
გიორგი გაჩეჩილაძე — ამბავი ნამდვილი ადამიანისა . . . . . . . . . 187
გიორგი ცინცაძე — ლადო სულაბერიძის ლექსების ახალი კრებული . . . . . . 189
ალ. კოკაია — მირზა გელოვანის ლექსები . . . . . . . . . . . 191

ახალი წიგნები . . . . . . . . . . . . . . . გარეკანის მესამე გვ.

---

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42; 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VIII-60 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა 7¼×12½. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 03735. ტირაჟი 6500. შეკვეთა № 1557.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლაუ ნადირაძე

★

# ბევრი არ მითქვამს, მამულო, შენთვის

ბევრი არ მითქვამს, მამულო, შენთვის
სიტყვა კაზმული და საალერსო,
მაგრამ გულს შენი ტრფიალი ერთვის,
უზენაესო!

ვაებ ეს იყო ჩემი სიურჩე:
დუმილი ძუნწად დამირღვევია,
მხოლოდ რაც სულში მქონდა საუნჯე
შენს წინ ცრემლებად დამიფრქვევია.

ცოტა რამ მითქვამს. ვაგლახ, წამისად,
სიზმრად ქცეული, სიცოცხლე ქრება.
დავკარგე ზღვარი დღის და ღამისა,
ტრფობა კი შენი არ მეკარგება.

მე ეგ დუმილი მიღირდა ძვირად...
ან ახლა სიტყვას როგორღა ვბედავ?!
ნეტავ სიყვარულს ვინ უხსნის ხშირად
საკუთარ დედას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

★

# ჭარისკაცის ქვრივი *

რომანი

## წიგნი მეორე

ადრიანი დილა იყო. დაბლობში უსწორმასწოროდ გაშლილი სოფელი ჯერ კიდევ დილის გამჭვირვალე ნისლში ცურავდა.

„ლამაზი კია ეს დალოცვილი,— გაიფიქრა ელეფთერმა, — სად უნდა წახვიდე, რომ არ მოგაგონდეს!“

ელენემ კარი გამოიხურა და ჭურჭლის ნარეცხი წყალი სოხანეს მოასხურა, რათა დახვეტისას მტვერი არ დამდგარიყო.

— ძაღლს აჭამე რამე? — უსიამოვნო ფიქრების გასაფანტავად ცოლს შეეხმიანა ელეფთერი და მოლზე გადავიდა.

— ძაღლს კი არა, ჩვენც არ გვიჭამია ჯერ!

ელეფთერმა განგებ ჩაახველა, კოტიტა ხელები უკან შემოიწყო და ნელი ნაბიჯით ბეღლისაკენ გაემართა.

— ჯალხანა! — დაიძახა, თან მიიხედმოიხედა, რა ხანია გათენდა, ძაღლს აქამდე ბუნაგში რა დააყენებდაო. გარდა ელენეს ცოცხის ფხაკა-ფხუკისა ეზოში ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— მწ, მწ, ჯალხანა! — ახლა უფრო წაუწვრილა ხმას ელეფთერმა და ცოლს მოუბრუნდა, — ქატო არა გაქვს ზეზე?

— არის, — თავაუღებლივ მიუგო ქალმა.

— ცოტა წყალი დაასხი ზედ და გამოუდგი. ჯალხანა! ბიჭოს, სად ეშმაკში დაიკარგა ეგ სამგლე!

— უძახე ახლა! — გაწყრა დერეფანში ელენე, — მოშივდება და მოვა, ვეხვეწოთ?

— ეზოს გარეთ გადასვლას არ იყო დაჩვეული და, — ელეფთერს ართობდა სადღაც დაკარგული ძაღლის ძებნა, — ჯალხანა, მწ, მწ...

— ელეფთერ!

— ჰო.

— ამოდი, წყალი მომიტანე.

— ახლავე, ა, — ელეფთერი გაჭირვებით ჩაცუცქდა, მარჯვენა ხელი გრილ მიწას დააბჯინა და ბეღლის ქვეშ შეიხედა, სადაც საგანგებოდ დაყრილ თივასა და ძონძებზე ჯალხანა წვებოდა ხოლმე.

— არ არის?

— დასწყევლა ჩემმა გამჩენმა, — ელეფთერი ბორძიკით წამოდგა და ბალახით გამწვანებული ხელისგული მეორე ხელით მოისრისა, — თავის დღეში ეზოდან არ გადასულა.

— აჰა, — ელენემ ჩაფი გაუწოდა, — რომ იცოდე, ძაღლი რანაირად მეჯავრება.

— შენ ყველაფერი გეჯავრება, რაც მე მიყვარს.

— აბა ერთი, თუ ღმერთი გწამს, მუნიანი ქოფაკი რა საყვარელია.

— იჰ, — ელეფთერმა უკმაყოფილოდ შეჰხედა ცოლს და ოდნავ შესამჩნევი კოჭლობით წყაროსაკენ წავიდა. მუცელგამობერილი ჩაფი მუხლზე გვერდიდან სცემდა.

თიხის მილებით ვინ იცის საიდან გამოყვანილი წყარო იქვე, ეზოს ყურეში იყო და სანამ ელეფთერი იქამდე მივიდოდა, ცოლისაგან მალულად ათვალიერებდა ეზოს, იქნებ სადმე ჯალხანას მოვკრა თვალიო.

---

გაგრძელება, იხ. „მნათობი“ № 1, 2, 3, 4, 5, 6.

— ელიკო! — წამოსცდა უეცრად და ჩაფი სასწრაფოდ დადგა. ეზო ამ ადგილას დაქანებული იყო. ჩაფი დადგმისთანავე გადაგორდა. „ფუი!“ — წამოიძახა ელეფთერმა და დაგორებულ ჩაფს გამოუდგა. ამასობაში ჩაფი პაწია კორდზე შეხტა, აქედან სულიერივით გადაფრინდა, ყრუ ჭახანი მოიღო და თვალის დახამხამებაში ვევბა ხაპებად იქცა. სახელურშერჩენილი ყელი ორიოდეჯერ კიდევ გადაყირავდა და შეჩერდა.

— მიძახდი, ელეფთერ? — დერეფნიდან ელენემ გამოჰყო თავი, ჩაფის ნამტვრევები დაინახა და რატომღაც თვალები გაუბრწყინდა: — გაგიტყდა?

გაგულისებული ელეფთერი აღმართს ასდგომოდა.

ქვის აუზთან, სწორედ იმ ადგილას, სადაც ნაჭარბი წყალი გადმოდიოდა და მიწაზე ილვრებოდა, ბომბორა შავი ნაგაზი იწვა. იფიქრებდი, მსხვერპლს ჩასაფრებიაო. ნოტიო მიწაზე განრთხმულს წინა ფეხები აუზის სველ კედლისაკენ გაეწვდინა, ცხვირი გადარეცხილ ხვინჭკებში წაერგო და მთელი ტანით დაძაბულიყო. ელეფთერმა სასწრაფოდ აათავა აღმართი. ელენე ქვემოდან ადევნებდა თვალს ამ უცნაურ სანახაობას. როდესაც ელეფთერი დაიხარა და ძაღლს ხელი დაადო თავზე, ქალმა ვეღარ მოითმინა და დაუძახა:

— ელეფთერ, არ მიეკარო!

— რა გინდა? — ბრაზიანად მოიხედა ელეფთერმა.

— ხელი უშვი, ამ წუთში მოსცილდი!

ძაღლი მკვდარს არ ჰგავდა. ბანჯგვლიანი კუდი, რომელიც აქამდე ბალახებზე ეგდო, პატრონის ხელის შეხებისთანავე უღონოდ გააქიცინა. ელეფთერმა თავი აუწია ძაღლს, პირი გააღებინა.

— დაყრუვდი? — ელდა ეცა ამ უგუნურობის დანახვაზე ელენეს, — მოეშვი, მე შენ გეუბნები!

კაცს, ალბათ, არ გაუგონია ცოლის წყრომა. ძაღლს ორივე ხელი ამოსდო, პალღივით აიტაცა და რათა სველ მიწაზე ფეხი არ ასხლტომოდა, ფრთხილად შემობრუნდა.

— სად მოგყავს, ელეფთერ! დაკეცე მანდ ეგ ოხერი, დააგდე და წამოდი. ელეფთერ! ვაიმე, შენ კი გადაჰყევი მაგას! — ამ სიტყვებით ელენე გატრიალდა და დერეფნის კედელს მიეფარა.

ჯალხანა ხროტინებდა. ჩაწითლებულ, წირპლიან თვალებს ძლივსძლივობით ახელდა და ისევ ხუჭავდა. დროდადრო შიგნით რაღაც გაჰკრავდა ელვასავით. სუსტად გაიბრძოლებდა, გაქცევას ლამობდა, მაგრამ ძალა უკვე აღარ ჰყოფნიდა. აბურძგნილი ბალანი წყალს გაექლინთა.. ძაღლი თავიდან ფეხებამდე სველი იყო. ელეფთერიც დასველდა. ცივი წყლის წვეთები წურწურით ჩამოსდიოდა. ჯალხანა სახლამდე მაინც ჩაიყვანა და იქ კაკლის ქვეშ მოლზე დააწვინა. ძაღლს მუცელზე წოლა აღარ შეეძლო. როგორც კი პატრონმა მოლზე დაუშვა და ხელები მოაცილა, გვერდზე გადაექანა და თავი წინ გაიწვდინა. ყელზე ბალანი შემოსცვეთოდა. ფერდზე და თეძოზე შიშველი ხორცი უჩანდა.

„რა ეშველება ახლა ამას!“ — გაიფიქრა ელეფთერმა, თუმცა კარგად იცოდა, სიბერით ღონეწართმეულ ჯალხანას საამქვეყნიო პირი აღარ ჰქონდა. ელენემ რამდენჯერ უთხრა, ნუღარ ვაწვალებთ, ხომ ხედავ, ჭამაც კი აღარ შეუძლია, დაუძახე ვისმე, მოაკვლევინეო, მაგრამ ვერ გაიმეტა. იქნებ მართლა მადლი იყო ჯალხანას მოკვდინება. სოფელში ხომ ყოველთვის ასე იქცევიან. ელეფთერი ვერასგზით ვერ შეეგუა ამ აზრს და სანამ შეეძლო, ჯალხანაც ფეხებმომტვრეულივით დატუსტუსებდა ეზოში.

ელეფთერს ძაღლები არ უყვარდა. არამცთუ ძაღლები, არცერთი ცხოველი არ უყვარდა; არ უყვარდა კი არა, ვერ ამჩნევდა: მისთვის სულ ერთი იყო. მუნჯიასთან ერთად ეს ბებერი ქოფაკი აქაურობის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა, ნაწილად, რომელიც მთელს არაფერს ჰმატებს, მაგრამ ურომლისოდაც მთელი მთელი არ იქნება. ამიტომ ვერ

იმეტებდა ბებერ ნაგაზს, მუნჯიაც ამის გამო არ ეთმობოდა და გულში ათასნაირ საბუთს უძებნიდა საქციელის გასამართლებლად. სწყინდა, როდესაც ელენე უკადრისად ეკიდებოდა ჯალხანას და მუნჯიას. სხვაგან და სხვა ვითარებაში ელეფთერს იქნებ ყურადღებაც არ მიექცია ამ უმნიშვნელო წვრილმანისათვის, მაგრამ აქ თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა და ცოლის ბუზღუნს გესლიანი დუმილით უმაგრდებოდა. ცოდვა გატეხილი სჯობს: ელენე არც იყო დამნაშავე. უცნაურია სწორედ — ქალს ძაღლის დატუქსვა დაუშალო! ძაღლია ბოლოსდაბოლოს, მეტი ხომ არაფერი! განა შეეძლო ელეფთერს გულისხმა გაემხილა? სასაცილო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი: მიწაზე განრთხმულ ნაგაზს, როგორც უკანასკნელ ნათესავს, თავზე დასდგომოდა და სწუხდა, რომ შველა არ ძალუძდა. უცებ მამისეული წიგნები გაახსენდა. ძველი წიგნებით ავსებული სკივრი ქვეშაგებლისა და თეთრეულის შესანახ პატარა ოთახში იდგა მეორე სართულზე. ელეფთერს ერთხელაც არ აღძვრია სურვილი სკივრში ჩამწყვდეული ბიბლიოთეკა გაეჩხრიკა და გაეგო, რით საზრდოობდა მამა ზამთრის გრძელ ღამეებში, როცა გარეთ თოვლი დევს და შრომით გულგაჯერებული გლეხკაცი ორიოდე კვირის მოცალეობას პოულობს.

დაიმედებულმა ელეფთერმა — სკივრში რომელიმე ვეტერინარულ წიგნს წავაწყდები და სახელდახელოდ გადავათვალიერებ, იქნებ ჯალხანას გადასარჩენად რაიმეს მივაგნოო, მაშინვე კიბეს მიაშურა და მალე აივანზე გაჩნდა. გაბუტული ელენეც ზემოთ ამოსულიყო, ლოგინებს ამზეურებდა.

— რას გავხარ, ელეფთერ, არა გრცხვენია? — წამოიძახა ქალმა შეშფოთებული ქმრის დანახვისას. — დაიხედე ტანსაცმელზე!

ელეფთერმა ტანსაცმელზე კი დაიხედა, მაგრამ ცოლს პასუხი არ გასცა და პატარა ოთახში შევიდა, სადაც მამისეული წიგნებით სავსე სკივრი ეგულებოდა. სკივრი ძველებური მრგვალი ბოქლომით იყო დაკეტილი. ჟანგმოკიდებული გასაღები კედელზე ეკიდა. ელეფთერი ჩქარობდა. ბოქლომი ძლივს გააღო და სკივრს თავი აჰხადა.

— ელეფთერ! — მოესმა ამ დროს ელენეს ხმა, — გამოდი, დაინახე, რას შვრება!

ელეფთერმა თავი მიანება სკივრს და გარეთ გავიდა. ელენე ზიზღით დაღრეჯილიყო.

— შეხედე, ადგომა უნდა.

მართლაც: ჯალხანა მთელი ძალღონის დაძაბვით ლამობდა წამოდგომას. ყოველი გაბრძოლება მტანჯველი მარცხით მთავრდებოდა. აქედან ძაღლი დამპალი ჩვრებისაგან შეკოწიწებულს ჰგავდა.

— გაცოფებულია! — წამოიძახა ელენემ, — ელეფთერ, მიშველე, დავუძახოთ ვისმე!

— ნუ გეშინია, ცოფი არ უნდა იყოს, — ცოლის დაშოშმინება სცადა ელეფთერმა.

— შეხედე, დუჟი ჩამოსდის!

— ეგ დუჟი არ არის, წყალია.

— თეთრი წყალი? ვერ ხედავ?

— ვხედავ, წყალია, — თითქოსდა წინასწარ მოფიქრებულად ჯიუტობდა ელეფთერი.

— დავუძახოთ ვისმე, წაბილწა მთელი ეზო.

— ვის დავუძახო!

— მე დავუძახებ. კანტორის დარაჯს ამოვიყვან. შენ ამ წუთში ტანზე გაიძრე და ხელები არყით დაიზილე.

— მოიცა, მე ჩავალ, — ელეფთერი კიბისაკენ გაბრუნდა.

— ტანზე არ გამოიცვლი? — დაადევნა შეშინებულმა ცოლმა.

სულთმობრძავი ჯალხანა უმწეოდ იკლაკნებოდა მოლზე.

— არ მიეკარო, გიკბენს! — დაიძახა ზემოთ ელენემ, როდესაც ელეფთერი ეზოში ჩავიდა, — დაყრუვდი? ვაიმე, წერამ აიტანა დღეს ეს კაცი!

ელეფთერი ძაღლს თავზე წაადგა და ყურადღებით დაათვალიერა. არა, ცო-

ფის ნიშნები არ ემჩნეოდა ჯალხანას. ელეფთერს ცოფიანი ძაღლი უნახავს. წელკავი? წელკავი შეიძლება გაუჩნდეს ძაღლს? არა, წელკავი მგონი ცხენის ავადმყოფობაა. როგორ კრუნჩხავს, თან ახველებს...

— აჰა, გამომართვი! — ცოლის ხმამ ელეფთერი უკან მიახედა. ელენეს ქვემოთ ჩამოსვლა გაებედა და მარყუჟად ჩასკვნილი თოკი მოეტანა — წამოაცვი თავზე და გამოაბი რამეს. მოიცა, რომ სადმე გაგვექცეს, ხომ დავიღუპეთ!

— ასე გაიქცა შენი მტერი! — ელეფთერმა მარყუჟი გააფართოვა და ფრთხილად წამოაცვა ძაღლს თავზე, — სადღა მიდიხარ?! — მიუბრუნდა შემდეგ ცოლს.

— დარაჯს ამოვიყვან.

— ხომ გითხარი, მე წავალ-მეთქი.

— ვაიმე, მეშინია!

— რის გეშინია, მკვდარი ძაღლის?

— მკვდარი არ არის ეგ.

— ეჰ, — ელეფთერმა თოკის ბოლო ბეღლის ბოძზე დაამაგრა, შარვალი უსიტყვოდ ჩაიფერთხა და ვენახის ალაგეზე გადავიდა. ჯალხანას უმწეო კვნესა და ჩივილი კარგა ხანს ესმოდა ვენახში თავდაღმა მიმავალს.

## თავი ორმოცდამეთერთმეტე

ელეფთერის წასვლის შემდეგ ნახევარ საათსაც არ გაუვლია, რომ ჭიშკარს კბილებამდე შეიარაღებული პეტრე მიროტაძე მოადგა.

— სად არის, სად?! — ჭიშკრიდანვე დასჭყივლა პეტრემ იმ თავზე ხელაღებული კაცის ხმით, რომელსაც საკუთარი სიცოცხლის ხიფათში ჩაგდების ფასად ადამიანთა მოდგმის ხსნა განუზრახავს.

პეტრეს ძახილს არავინ გამოხმაურებია. ამან ცოტა არ იყოს შეაფერხა თოფმომარჯვებული ვაჟკაცი. ეზო დაზვერა და როცა ბეღლის წინ დაბმული სულთმობრძავი ნაგაზი დაინახა, ჭიშკარი თოფის ლულით შეაღო და აქანდა:

— რომელი ხარ მანდ, ბეღლის უკან ხომ არავინ არის?!

აივნის მოაჯირს დამფრთხალი ელენე გადმოეყუდა, მაგრამ ძაღლზე მიმიზნებული თოფის დანახვისთანავე ყურებში თითები დაიცო და მაშინვე თვალს მიეფარა.

თოფის გავარდნაც იყო და ძაღლი გასაოცარი ძალით შეხტა ჰაერში, შეხტა, გადატრიალდა და უსულოდ დაენარცხა მიწას. ცალ მუხლზე ჩაჩოქილმა პეტრემ თოფი დაუშვა. ვაზნაში ჩანატენი გაზეთის ნაფლეთები ფრიალ-ფრიალით ეფინებოდნენ მწვანე მოლს. ეჭვი არ იყო: ოდესღაც ავმა და გაუტანელმა ჯალხანამ სული თავის ღმერთს ჩააბარა. პეტრე მაინც დაეჭვდა: ვინ უწყის, ფათერაკი წუთის საქმეა! ძაღლის უსულო გვამს სამიოდე ნაბიჯით მიუახლოვდა და თუმცა ჯალხანა აწი ვეღარსად გაიქცეოდა, ერთი ტყვია კიდევ დაახალა.

— რა ქენი, პეტრე, მოკალი? — მოაჯირს კვლავ გადმოეყუდა ფერწასული ელენე.

— ესე შენი მტერი გვენახოს, ნათლია! — გამამხნევებლად მიუგო პეტრემ და თოფი გადახსნა, — ჩამოდი, ჩამოდი, ახლა ნუღარაფრის გეშინია.

— ვინ გადააგდებს ახლა მაგას! — საზრუნავი ისევ გაუჩნდა ელენეს.

— აგერ არა ვარ, შექალო, მე? ქეც გადავაგდებ და ქეც... ამბერკიჩი არ ამობრძანებულა?

— შენ ვინ დაგიძახა?

— ამბერკიჩმა დამიძახა, მარა... — პეტრემ სული ჩაჰბერა ლულებში, მყრალი ბოლი გამოახრჩოლა და მიიხედ-მოიხედა, — რავარი აზიზი კაცია. განგეფ დაგვემალა ახლა ის, ნათლია!

— ახლავე, ახლავე, პეტრე, მოხმარება ხომ არ გინდა? — ელენე კიბეზე ჩამოდიოდა.

— ე ბაწარი ჩავატანო?

— ჩაატანე, რაღა ოხრად გვინდა მაგის კისერზე ნაბამი.

— ბარს ვერ მომიძებნი?

— ბეღლის კედელზეა მოყუდებული იქითა მხრიდან.

— საით გადავათრიოთ? ნაკვალევს ნაცრის მოყრა უნდა მერე, ხომ იცი?

— მაგას ახლავე!

— აბა ეს თოფი შემინახე შენ.

— ხომ ცარიელია? — ელენემ გაუბედავად წაატანა ხელი თბილ ლულას.

— კი, კი, გამოვცალე. მოდი აქ, ჯალხანა! უ, შე ყურუმსაღო, შენ, რავა გეგონა აბა!..

— ვის ელაპარაკები, პეტრე? — ელენემ თოფი პალატაში შეინახა და ისევ გამოვიდა.

— არავის, ამას. რანაირად ჩასკვანჯა მაინც ამბერკიჩმა, რომ ვეღარ გავხსენი.

— უი, რას შვრები, კაცო, კბილებით ეჭიდები?

— ესეც ასე! — პეტრემ თოკის ჩასკვნილი ბოლო ყუნწში გამოაძვრინა, — აბა, ჯალხანა, ახლა წაგიყვან მე შენ კაი ადგილზე.

— ცოტა ავეწია, პეტრე, მთლად ნუ წააჩოჩიალებ.

— ა, ბატონო. უჰ, მძიმე ყოფილა! რას ჭამდი ამდენს, შე სულწაწყმედილო! მოდი, მოდი, ჰო! — თითქოს სალ-სალამათი ყოფილიყოს, ისე უწყრებოდა ძაღლს პეტრე და ზემოთ, წყაროს მხარეს მიათრევდა.

ელენე გამოუდგა, სახლის ყურეში გაჩერდა და გულხელდაკრეფილი ადევნებდა თვალს, აბა სად წაიღებსო.

პეტრე ეზოს თავში ავიდა, ძეძვის ღობეზე ჯერ ბარი გადააგდო, მერე თავად გადახტა და თოკი მოქაჩა.

— ვინ ხარ მანდ! — მოისმა ამ დროს ბერიკაცის რიხიანი ძახილი.

პეტრემ მძორი დაითრია, ბარი მხარზე გაიდო და ქაცვიანი ეკლების მწკრივს მიეფარა.

ლაშხების ეზოს მოსაზღვრე ვენახში თეთრი ცხვირსახოცით თავწაკრული კალისტრატე მასწავლებელი გამოჩნდა.

— რას აკეთებ მანდ?!

— არ გესმის შენ? — ბერიკაცმა ვენახიდან დაინახა ეკლიანს უკან ფეხაკრეფით მიმავალი პეტრე და თვალი მოიჩრდილა.

— მე ვარ, — უპასუხა მიროტაძემ.

— რას აკეთებ მანდ?!

— ძაღლს მივათრევ.

— ძაღლს მიათრევ? — კალისტრატემ ეკლიანი ტოტები გადასწ-გადმოსწია.

— ამბერკიჩს ძაღლი გაუცოფდა და...

— შენ ისროლე?

— ჰო, მე ვიყავი.

— ხომ არავინ დაუკბენია?

— რა ვიცი, შეიძლება ქე დაკბინა.

— ჰმ, დამიცადე, დამიცადე, ერთი! — კალისტრატე უკან გამობრუნდა და ეკლნარში გასაძრომად უფრო მეჩხერი ადგილი მოძებნა.

„ვაიმე! — დასცეცხლა ელენეს, რომელიც ეზოდან უგდებდა ყურს კაცების ცალყბა ლაპარაკს, — ეს გვინდა ახლა ჩვენ?"

ელეფთერი თითქოს განზრახ იგვიანებდა. ამან მთლად დააფრთხო ქალი, რადგან ახლაღა გაახსენდა, ქმარი რომ მოსული არ იყო. ალაგესთან მიირბინა. ელეფთერი არ ჩანდა. „ნახე თუ ხიფათს არაფერს გადამკიდოს!" — გაიფიქრა ელენემ და რათა დრო უქმად არ დაეკარგა, პეტრეს დარიგებისამებრ, მაშინვე პალატს მიაშურა ნაცრის გამოსატანად. ჯალხანას ნაწოლ ადგილებზე ნაცრის მოყრა დამთავრებულიც არ ჰქონდა, როცა ძეძვის ღობეს პეტრე ხელახლა მოადგა, ბარი გადმოაგდო და ეზოში გადმოხტა.

— რა ქენი, ჩაფალი? — მიაგება ელენემ.

— ეგეც მაგას! — პეტრემ ბარის პირი გამჭვირვალე წყლით სავსე აუზში წარგო, წყალშივე გადააბრუნ-გადმოაბრუნა, — ხომ ვუთხარი ამბერკიჩს, ეგ მგლის არჩევი კაცს არაფერს შეგვყრისმეთქი.

— დაგიჯერებს რასმე?

— ხომ გამართლდა ჩემი სიტყვა, ახლა?

— კალისტრატე რას გეუბნებოდა?

— იჰ, მაგან ბევრი იცის! ცოფი არ არისო. ეგ მასწავლის მე? სროლა ძლივს მოვასწარი, კინაღამ ზედ შემომახტა.

— მოგეტანა თუ? — ელენემ ლოყაზე იტაცა ხელი.

— მომეტანა? არ დაგინახავს?

— მე იქით ვიყავი...

— მომეტანა კი არა, ასე წამოვიდა, ა!

— ხომ არ გიკბინა!

— აპა!

— გიკბინა?

— რო ეკბინა, ასე ვიქნებოდი?

— უჰ, შეკაცო, მე ჩემი დამემართა!

— პეტუშაა...

— ჩუ, ვინ იძახის?! — თავისთავი გააჩუმა ელენემ და უკან მიიხედა.

— პეტუშაა...

— ი! — დაიღრიჯა პეტრე.

— პეტუშაა... — ახლა უფრო დაჟინებით მოისმა შორეული ხმა.

— რა გინდა, ქალო! — ზეზე აუდგომლად დაიღრიალა პეტრემ.

დაფეთებული ედუკი ვენახ-ვენახ მორბოდა აღმართში, მარტო თვითონ იძახდა და პასუხს ყურს არ უგდებდა.

— არ უნდა გააბრტყელო ახლა ეგ? — წამოიჭრა პეტრე, — რა ჯანდაბა მოგივიდა, რა ჭირი გაყვირებს!

— ვაი, ღმერთო... ცოცხალი ხარ, შე ჩემი ცოდვით სავსე? — ოფლად გაღვრილ ედუკის სადღაც მოთხრილი ჰიგო დაებიჯგებინა და ქაქანით უახლოვდებოდა ალაგეს, — ვაი, არ აგიდგა გვერდები, ვაი გადაშენდი შვილიან-ძირიანა, მე თქვენ ჩამიდგით მუცელში, მე თქვენ გამაძაღლეთ, მე თქვენ გამხადეთ ქვეყნის სამასხარავოდ! ხმას ვერ ამოიღებ, შე მოსასპობო, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი? ენა არა გაქვს პირში, მიწა კი დაგაყარე მაგ ენაზე?! შენ გადაბრუნდი, შენ მოისპე, შე შენი თავის უბედურო!..

— ედუკი, ედუკი... — ელენეს ვერაფერი გაეგო, აღარ იცოდა, პეტრე გაეკავებინა თუ გადარეული ქალისათვის მიეხედა.

— გამიშვი, გამიშვი, ბატონო... — სულს ძლივს იბრუნებდა ედუკი, რომელმაც ის იყო ამოაღწია ალაგემდე და ახლა ქმრისაკენ მიიწევდა, — გამიშვი... ჩემი ხელით გავუჩეჩქვავ თავს, მოვრჩები და მოვისვენებ!

— ვის გაუჩეჩქვავ შენ თავს?! — დაიღრიჯა პეტრე.

— ედუკი, ედუკი... დაწყნარდი, ედუკი, თუ გიყვარდე. ვაი, სად არის ელეფთერი ამდენ ხანს!

— ბავშვებმა მითხრეს, ცოფიან ძაღლს გამოეკიდაო, თოფითაო... მე ვთქვი, ვაითუ ვერ მოარტყა, ვაითუ დაკბინა, რა არ ვიფიქრე...

— ვერ მოვარტყი, ვერა! — უადგილო ადგილას გაიღრიჭა ცოლის უსაქციელობით ბოლმაზე მოსული პეტრე და ბარს დასწვდა, — შენ გიყურებდი სწორედ!

— შენ გიყურა ჭირმა, შენ გიყურა გადაშენებამ, პეტუშა, მე შენ მომკალი, მე შენ ჩამიდგი მუცელში, შე ულმერთო, შენ! ვისი იყო მაინც, ვინ ოხრის იყო ი ძაღლი?

ელენე შეიშმუშნა, მოუსვენრად გაჰხედა ჭიშკარს, ელეფთერი ხომ არ მოდისო.

— ვისი იყო, ვისი, სად არის?! — ედუკი თანდათან მშვიდდებოდა და ისედაც მშრალ თვალებს მალიმალ იმშრალებდა კისერზე ჩამოვარდნილი თავსაფრის ყურით, — ხმა ჩაგიწყდა, კაცო?

— სად არის და აგერ მყავს გულის ჯიბეში!

— წალმა ნუ გარონიოს ღმერთმა შენ!

— წადი, წადი, ნუ იწყევლები, ბავშვს მიხედე!

— მართლა მოკლა? — ახლა გაოგნებულ ელენეს მიუბრუნდა „ჩინჩალაძოური."

ელენემ საჩქაროდ დაუქნია თავი.

— ხომ არ უკბენია თუ იცი?

— წადი, ქალო, არ გესმის შენ? — აყვირდა პეტრე.

— წამო, გამიძეხი წინ!

— არსადაც არ მოვდივარ, უფროსები მაკლია კიდევ მე!

— კაი, ბატონო, იყავი. კაცებმა ორი სვრელი ამოიტანეს შენი წამოსვლის მერე, შენ წამოწექი ჩეროში. თოხი რა ადგილას დატოვე, ის მაინც მითხარი, წაიღებს ვიღაცა.

— მომცილდი ახლა, ედუკი, თუარა, დედის სული ნუ წამიწყდება, არ ვიცი, რას ვიზამ!!

— ვაი, ვის ხელში ჩამაგდე, შე უწყალო ღმერთო! — ედუკიმ ცას აჰხედა, დონჯი შემოიყარა და ბოხრიკ-ბოხრიკით გადავიდა ალაგეზე.

— რას შვრება ამდენ ხანს ამბერკიჩი, — თითქოსდა აქ არაფერი მომხდარაო, ოჯახის უფროსი მოისაკლისა პეტრემ, — ნათლია!

ელენეს გულ-ხელი დაეჭდო, ალაგესთან იდგა და კრიჭაშეკრული თავდაღმა მიმავალ ედუკის გაჰყურებდა.

— ერთი რამე მართალი თქვა მაგ ბებერმა, — განაგრძო პეტრემ, — ნათლია!

ელენემ მოიხედა.

— ვინა?

— ვიღაცა არის, — პეტრემ ხმელი ნიკაპი ეკლნარისაკენ გაიქნია, — თავი მოჭერით და წიფლისწყაროში გადაიტანეო.

— ვის მოჭერი თავიო?

— ე ძაღლზე თქვა.

— უჰ, — ელენემ ამოიკვნესა, — ხომ ჩაფალი, მეტი რაღა გინდა!

— ეგ როდი კმარაო. იქ თავს გასინჯავენ და გამოარკვევენო...

— არაფერი არ ვიცი, ელეფთერი მოვა და იმას ჰკითხე.

— რავა, გეწყინა რამე თუ? ედუკის უყურებ?

— პეტრე... ნუ ამომაძვრე სული!

— ნათლია, ნურავის ნუ უყურებ შენ, შენ მე მიყურე.

ელენემ თვალი შეავლო პეტრეს, ენაზე მწარე სიტყვაც მოადგა, მაგრამ არ თქვა და დილის აურზაურით დაღლილდაქანცული დერეფნისაკენ წავიდა თოფის გამოსატანად.

პეტრემ უხალისოდ ჩამოართვა ქალს თოფი. მხარიღლივ გადაიკიდა. სახეზე გამოუცნობი, ალმაცერი ღიმილი დასთამაშებდა. ერთხანს კიდევ იყურყუტა დერეფანში, წასვლა უმძიმდა, მაგრამ როცა შეატყო, დიასახლისს კიდეც დაავიწყდა ჩემი აქ ყოფნაო, ყველაფერი ედუკის ენას დააბრალა და თავჩაღუნულმა სტვენა-სტვენით გაიხურა ეზოს ჭიშკარი.

## თავი ორმოცდამეთორმეტე

ხელჯოხიანი ბერიკაცი, რომელსაც სიცხის მიუხედავად ბეწვიანი შავი პალტო ეცვა და დაბალი ბუხრისქუდი ეხურა, სამჭედლოსთან შეჩერდა და აქეთიქით დაიწყო ცქერა. ყორეზე გადმომდგარმა პეტრემ მგზავრი დაინახა და შორიდანვე ცნობისმოყვარეობით დააკვირდა. მოხუცი აქაური არ უნდა ყოფილიყო. ეს გაუბედავ მიმოხვრაზეც კი ემჩნეოდა: სხვა სოფლისანი მუდამ უცხოდ გრძნობენ თავს სხვათა სოფელში. მგზავრმაც დაინახა ყორეზე გადმომდგარი თოფიანი კაცი და გულდაგულ აქეთ წამოვიდა. გზადაგზა მსხვილ ყავარჯენს მოაჩხაკუნებდა და კარგა გვარიანად კოჭლობდა. პეტრემ ზურგი უჩვენა მგზავრს, ყორიის დამკილულ სარებს მოეჭიდა და ძაბლა ჩახტა.

— გამარჯობა, ბიძია! — ტკბილად მოესალმა ბერიკაცი.

— გაგიმარჯოს! — გაკვირვების გამო თითქმის დაიყივლა პეტრემ.

— აქანა წინათ ჭიშკარი იყო, — მგზავრი ორივე ხელით დაეყრდნო ყავარჯენს, თან თავაზიანობის გამოხატვის ნიშნად უხერხულად გაიღიმა, — მამაშვილობს, მიმასწავლე, მინდელისას რომელი გზა ჩამიყვანს.

— მინდელისას? — კიდევ უფრო გაიკვირვა პეტრემ, რომელსაც ვერა და ვერ მოეგონებინა სადღაც ნანახი ბერიკაცის სახე. — შალიკო მინდელისას?

— სწორედ შალიკო მინდელისას, — გამოცოცხლდა მგზავრი, — აქანა იყო ჭიშკარი. ახლა გადოუღობიათ...

— გზა ისევ აგრე არი, მარა... მე ვერ მიცანი? — მეხსიერების დაძაბვით პეტრემ მაინც მიაგნო იმას, რასაც ეძებდა.

მგზავრს უხერხული ღიმილი არ შორ-

დებოდა სახეზე.

— მე მიროტაძე ვარ, ბიკენტიჩი, — მიეხმარა პეტრე, — შენ სპირიდონ ყანჩაველი არ ბრძანდები?

მგზავრმა დაბუქებული ჭორფლიანი ხელი მოიჩრდილა და ისე წამოიძახა „უპო,“ თითქოს დიდი ხნის უნახაობის შემდეგ ცხრა მთას იქით გადაკარგულ ძმისწულს შეხვდა და სიხარულთან ერთად წუხილიც შემოაწვა, ჩემი სისხლი და ხორცი პირველ შეხედვისთანავე რატომ ვერ ვიცანიო.

— გამარჯობა შენი! — პეტრე განმეტრებით მიესალმა, — ეს არი მოდიხარ?

— ეს არი, — ხმას წაუწვრილა ბერიკაცმა, წათამამდა და ახლა უფრო შინაურულად გაიღიმა, — რავა ხართ აქეთ, ხომ მშვიდობაა?

— რავარც გვიყურებ. ვცოცხლობთ. დიდი ხნით?

— ვნახოთ, შეიძლება მართლა ქე დავრჩე ერთხანს.

— ეკა ხომ კარგად ბრძანდება?

— მადლობ, შენი ჭირიმე. ჩვენ რაღა საკითხავი ვართ, ფეხი სამარეში გვიდგია. აწი თქვენ იყავით კარგად, ახალგაზრდები.

— ხათუნა ამბობდა, მძიმე ავადმყოფობა გადაიტანაო. დაგტყობია.

— ეჰ, რა ვუყო, ჩემო ბიძია, ასე ყოფილა ცხოვრება. შვილი რამდენი გყავს პეტრე, ბატონო?

— ორი.

— დიდებია?

— ერთი დიდია, ერთი პატარა. აქეთ, აქეთ!

— რავა, ქე მომყვები თუ?

— მობრძანდი! — პეტრე ალაგეზე გადახტა და მხარზე ჩამოცურებული თოფის თასმა შეისწორა.

— სამჭედლოო აგიშენებიათ, — თქვა სპირიდონმა.

— გადმოვიტანეთ. ქვევით იდგა, ლაბაძეებში.

— სიმინდები კაია.

— თუ ამინდმა არ გვიღალატა! იქით რავა არის საქმე?

— პატარა გვალვებია.

— გვალვამ არ გაგვასავათა ჩვენც?

— აქოურობას რო წყალი უდგებოდეს, ადგილი ვერ აჯობებდა.

— კი, ადგილი კაია.

— ერთი ეს მითხარი, პეტრე, ბატონო, საწყალ მამაშენს რანაირად შეემთხვა ი მარცხი?

— ემ კაკალს ხედავ? — პეტრემ გრძელი ხელი ტაფობისაკენ გაიშვირა.

— რომელს?

— აგერ, ე, სახატოში. მაგ კაკლიდან ჩამოვარდა.

— რას მეუბნები! — სპირიდონმა მაინც გაიკვირვა, თუმცა ეს ამბავი დაწვრილებით იცოდა.

— აპა!

— არც იმდენი ხნის იყო საწყალი.

— სამოცდამეექვსეში გადადგა.

— რა არი სამოცდაექვსი წელიწადი, არაფერი!

— შენ რამდენის ხარ, ბიძია?

— მე... — სპირიდონმა ყრუდ ჩაიხითხითა, სახე კი რატომღაც დაღვრემილი ჰქონდა, — მეც ქე მივაწიე მაგ ხნობას.

— ნუ გეშინია, ერთ მაგდენს კიდევ გაძლებ!

— ეჰ, ჩემო ბიძია, ღმერთმა დიდი დღე მოგცეს. ეს წყარო ისევე არის?

— გწყურია თუ? — პეტრემ თოფი მოიხსნა, ოლეზე მიაყუდა და ხელის დასაბანად მაჯები გადაიწია.

— მომწონს აქაური წყალი, — ფიქრიანად თქვა სპირიდონმა, თან თვალი ვერ მოეშორებინა დაცვარულ ღარიდან გადმომჩქეფარე ნაკადისათვის, რომელიც იქვე ეშვებოდა კამკამა გუბეში და ნაშინშხვლებს ისროდა.

პეტრემ ხელ-პირი დაიბანა, მერე ჭუჭყიანი ცხვირსახოცი ამოიღო და მშრალებას მოჰყვა.

— ცივია, არა? — ნატვრის კილოზე ჰკითხა სპირიდონმა.

— როგორც ყინვა! წყაროები თქვენშიაც კაი იცის.

— კი ბატონო, ჩვენშიაც კაია წყაროები.

— არ დალევ?

— არა, არა, ცოტა გაოფლილი ვარ და. ე გორაზე რა აგიშენებიათ?

— ფერმა.

— საქონელი გყავთ რამე?

— არის, კი, ცოტა.

— კაი დაგემართოს. აწი ქე მივაგნებდი მე, მარა... — სპირიდონმა კვლავ უხერხულად გაიღიმა, რავა დაგითხოვო.

— შეკაცო, იქამდე ჩაყოლას დაგამადლი? — პეტრემ სველი ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიკუჭა და თოფი გადაიკიდა.

— მცირე აღმართი ხმაამოუღებლივ აიარეს. წინ სპირიდონი მიდიოდა კოჭლობით, უკან — პეტრე. ფერმის ჭიშკართან სპირიდონი შეჩერდა და ქვემოთ გადაიხედა. სახატეში მიწას ძლივს აჩნდა ნაგვიანევი სიმინდი. ახლომახლო ვენახები და ბაღ-ბოსტნები მწვანედ ხასხასებდნენ.

— გაზაფხულს არაფერი ჯობია, — შენიშნა პეტრემ და თავადაც ქვემოთ გადაიხედა.

— სახატეში სულ თხმელნარი იყო. სალარტყედ ვხერხავდით, — სპირიდონის ხმას ნაღველი გაერია, — ამდენი მიწა ერთ კაცს ეკავა; სხვაგან კიდევ რამდენი ჰქონდა. ეე, დროებავ!

— ლაშხზე ამბობ? — ჩაეძია პეტრე.

— რად უნდოდა თუ ღმერთი გწამს, ამდენი! — სპირიდონი კვლავ ხმამაღლა ფიქრობდა, — მიტომაც არ შეარჩინეს.

— შენ რო გქონოდა, დაიწუნებდი?

— მე? — ბერიკაცმა ბისტგადაკრული თვალები ასწია და პეტრეს მიაპყრო. ალბათ, არ მოელოდა ამგვარ შეკითხვას. — დაწუნებით ვინ დაიწუნებდა, მარა...

— დრო იყო იმისთანა, — შეეშველა პეტრე.

— დროც იყო, ჩემო ბიძია, და, კაცის გული საერთოდ გაუმაძღარია. თუ გულს აყევი, ერთხელ არ გეტყვის, მეყოფაო. ქონდა იმ კაცს შნო და შეიძინა.

— შნოზე თუ წავა, მე და შენ იმაზე ნაკლები ვართ?

— ახლა სხვა დროა, პეტრე, ბატონო, მაშინ სხვა დრო იყო.

— საწყალი ბაბუაჩემი კუდის რიკამდე გაფხიკა მაგან! — ღვარძლიანად წაიჩურჩულა პეტრემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინა?

— ამბერკიმ!

— შენ გახსოვს?

— მახსოვს, რატომ არ მახსოვს!

— ხო, ხო, — სპირიდონმა თავი ჩაიქნია, — მერე ეგ და მამაშენი იყვნენ დანა-მოსისხლედ გადაკიდებული.

— იყვნენ და ქეც მოუგრიხა კისერი მამაჩემმა!

— ახლა ყავს ვინმე ამბერკის?

— შვილი დარჩა.

— ისე, რანაირი ხასიათის კაცია, თავი ნუ მოგიკვდება?

— ელეფთერი? ნუ მეტყვი! — პეტრემ უეცრად ვერ მოისაზრა, რისთვის სჭირდებოდა ტყუილის თქმა, — ამბერკი ცხვარი იყო მაგასთან!

— რას მეუბნები!

— აპა!

— სხვა, ჩემი დროის ხალხი ვინ არის კიდევ ცოცხალი?

— ვინ, იორამია ერთი.

— ლაბაძე?

— ხო. აგერ იყო ფერმაში. გადავძახებ თუ გინდა.

— არა, არა, მერე ვნახავ, — ცივად იუარა სპირიდონმა და ნაბიჯი გადასდგა, რათა ფეხმარდ პეტრეს აქვე არ ჩამორჩენოდა, — სხვა? ალმასხანი?

პეტრემ მოიხედა:

— რომელი, ზაქარა მჭედლის მამა?

— ხო, ხო.

— ალმასხანი რახანია მოკვდა, შეკაცო.

— ზაქარა კარგად იქნება.

— რა უჭირს, ქალიშვილი გაათხოვა.

— აქამდე არ გაუთხოვებია?

— ოცის არის თუ ოცდაერთის და...

— კაი დაგემართოს.

— ასე, — მოჭრა პეტრემ და განზე გაიხედა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გამოჩერჩეტებულმა ბერიკაცმა თავი შეაწყინა შეკითხვებით.

— ჰო, კალისტრატე? — გაახსენდა სპირიდონს.

— ცოცხალია. ჭინკას რა მოკლავს!

— ახლა ძალიან დაბერებული იქნება.

— მაგას არც დაბერება შეელია და არც...

— კაი დაგემართოს. აქეთაც გვარიანი სიმინდია.

— კი, — უმალვე დაეთანხმა პეტრე და გაჩერდა, — სპირიდონ!

— ბრძანე!

— რა გითხრა, იცი? მე წინ წავალ, შენ ნება-ნება გამომყევი.

— ერთად გვევლო, შეკაცო, — სპირიდონს, ცხადია, არ შეეძლო პეტრეს გუმანის მიხვედრა.

— ხათუნას გავაგებინებ, — თითქმის მუდარით თქვა პეტრემ.

— კი, ბატონო, რავარც გენებოს, — სპირიდონმა გულღიად გაიღიმა.

პეტრემ თოფი ზურგზე მოიგდო, შლიგინ-შლიგინით განაგრძო გზა და მაშინვე მიიმალა სიმინდებში.

## თავი ორმოცდამეცამეტე

წერილის დაწვის შემდეგ ზურია და ხათუნა თვალს ვერ უსწორებდნენ ერთმანეთს. ხათუნას საკუთარი თავშეუკავებლობა სტანჯავდა, ზურიას კი ის, რომ დედას რაღაც დიდი საიდუმლო ჰქონდა და შვილს არ უმხელდა. ორივე ერთად და თვითეული ცალკ-ცალკე სავსე ჭურჭელივით იყო. წონასწორობის დასარღვევად ორიოდე წვეთის მიმატება კმაროდა...

ხათუნა გაურბოდა უფროს შვილთან საუბარს, შვილთან მარტო დარჩენასაც კი. ზურიაც მოკრძალებული იყო. ცალკერძ დედა ეცოდებოდა, ცალკერძ აღარ იცოდა, შეგინებული გულის რისხვა ვისთვის დაეტეხა, ვის სძგერებოდა სამკვდრო-სასიცოცხლოდ.

უმცროსი ძმები ვერ ამჩნევდნენ დედა-შვილის იდუმალ ჭიდილს, თუმცა აუხსნელი უგუნებობა ამათაც გადასდებოდა. იმ დღეების განმავლობაში უცნაურ შფოთს მოეცვა მინდელების მთელი ოჯახი.

ხათუნას გასაჭირს ერთი დიდი ჯავრიც ემატებოდა: ვაითუ პორფილეს წერილი თვით პორფილეს ჩამოსვლის მომასწავებელი იყო? იქნებ წერილის წინასწარ გამოგზავნის და პასუხის მიუღებლობის საბაბით პორფილეს სულ გაუფრთხილებლად ჩამოეკითხა? ხათუნას ძრწოლვა იპყრობდა ამის წარმოდგენისას და ისე აწრიალდებოდა, ხოლმე, თითქოს სახლს ცეცხლი წაჰკიდებია და აზრს ვეღარ იკრებს, წვრილშვილის თავშესაფარი რითღა გადაარჩინოსო.

ხათუნა გულში სწყევლიდა ჩადენილ წინდაუხედავობას: წერილის მიღებამ და მერე ისე გიჟურად დაწვამ ზურიას ეჭვი გაუღვიძა. ხათუნას არ ჰქონდა მოფიქრების საშუალება. მოუფიქრებლობამ ყოვლად უსუსური ნაბიჯი გადაადგმევინა.

მცირე დრომ, რომელმაც საყოლიდან დაბრუნების შემდეგ გაიარა, ქალს თითქმის გაუქრო სასურველ მამაკაცთან ახლო ყოფნის ცოცხალი შთაბეჭდილება. ახლა მოგონება ძალზე შორეული იყო და თუ ხანდახან თავს მაინც იჩენდა, გარდახდილის ყოველი წვრილმანი ხათუნას შემაზრზენად ეხატებოდა. რამდენჯერ სცადა, მაგრამ ვერასოდეს ვერ შესძლო პორფილესა და ბავშვების ერთად წარმოდგენა. პორფილეს აღგზნებული სახე მთელ ქვეყანას ჰფარავდა და წამით ხათუნა ბედნიერი იყო. მერე უცებ გაიღვიძებდა გონების ხმა. ქალის ოცნებაში პორფილეს ბიჭები სცვლიდნენ და ახლა ისინი ჰფარავდნენ ყველას და ყველაფერს...

„დავიღუპები თუ ჩემი დუმილის მიზეზს ვერ მიხვდა და მართლა მომაკითხა!“ — მალიმალ ფიქრობდა ქალი. მაგრამ რა ეღონა? წერილი მიეწერა, არ დამღუპოო? წერილს როგორ შეეძლო იმის თქმა, რაც გულში ჰქონდა, წერილი როგორ გასწევდა ცოცხალი სიტყვის მაგივრობას!

ხათუნამ ერთჯერ და ორჯერ როდი ჩააჩუმა პორფილეს ნახვის იდუმალი სურვილი. ფიქრობდა, დავიბარებ ან მე ჩავალ და გულახდილად გამოვუტყდები, რათა აქით შვილების თავზე ჩამოწოლილ საშიშროებას ბოლო მოეღოსო. მაგრამ იოტისოდენა განსჯის უნარი

კმაროდა შემოჩენილი სურვილის უარსაყოფად.

„არა, არა, ვინ იცის, რა მოხდება! — შფოთავდა ქალი, — ვერ ვენდობი!“

ვის ვერ ენდობოდა, პორფილეს? არა, ვიღაც სხვას ვერ ენდობოდა, ის ვიღაც სხვა კი სულ ახლოს იყო, სულ ახლოს...

„მაგრამ რომ ჩამოვიდეს?“

დილ-დილობით შიშნეულად გამოდიოდა გარეთ. კარგა ხანს გაჰყურებდა სიმინდებში დაკარგულ ბილიკს, ხომ არავინ მოდისო და როცა დარწმუნდებოდა, არავინო, გულნატკენი თავს ირწმუნებდა: ხვალ დილამდე დამშვიდებული ვიქნები, რადგან თუ მოსასვლელია, დილის მატარებელს უნდა მოჰყოლოდაო.

წინა დღეს ზურიამ კასრი ჩამოიტანა გვიდილაურის მარნიდან და ვენახის ბოლოზე, კუთხეში დადგა. ხათუნას არ უკითხავს, ვისი იყო ეს შაბიამნის ხსნარით და კირით გალურჯებული კასრი ან ზურია წელს რისთვის იწყვეტდა, განა ურმით კი არ შეიძლებოდა ჩამოტანა? კასრი მთელ ღამეს იქ იდგა. დილით ბიჭი ადრიანად ჩავიდა ვენახში და გუბურიდან წყლის ზიდვას შეუდგა. გუბურა მალე აიმღვრა, რადგან შლამიან ფსკერზე ბევრი სილა იყო დალექილი. ზურიამ ძმებს ამოსძახა ბარი და თოხი ჩამომიტანეთო. პავლემ და შალიკომ იმწამსვე ჩაურბენინეს ბარი და

— შენ უნდა შეწამლო? — ეკითხებოდა ზურიას უმცროსი ძმა.

— აბა შენ? — წყრებოდა აშმორებულ შლამში მუხლამდე ჩამდგარი ზურია, — გაიწი იქით!

გუბურა მალე ამოასუფთავეს და იქვე ჩამოსხდნენ, სანამ წყალი ხელახლა დაიწმენდდა. ხათუნამ შინაური საქმე მოათავა და ბექს გადაადგა ამბის გასაგებად, რას შვრებიანო. სწორედ ამ დროს კეპიჩას მყივანა ძახილი მოისმა ჭიშკართან.

ხათუნას არც კი გაჰხსენებია, მიროტაძესთან რომ უმძრახად იყო, მაგრამ ვენახის თავიდან ეზოში ამოსვლამდე ყველაფერი მოაგონდა და გაიფიქრა, ან ეგ არის ნაკლე ან მე ვგონივარ, თუარა ერთხელ ხომ დავითხოვე, რაღა პირით მოდის ჩემს კარზე და რაღა პირით იძახისო. დაბრუნდა უკან, ისე კი, რომ პეტრეს არ დაენახა და ვენახში ჩავიდა. გუბურასთან მოკალათებულმა ბავშვებმა თვალი დალანდეს დედას.

— ამოდი აქ! — პავლეს დაუქნია ხელი ხათუნამ.

— მე? — ბიჭი წამოხტა.

— ამოდი!

— მარტო მე?

— ჰო, ამოდი, სტუმარია.

— პალიკო, დამიცადე! — შალვა უკან გამოედევნა შუათანა ძმას.

— ვინ სტუმარია, დედა? — ქოშინით იკითხა გაოფლილმა პავლემ, როცა ტრიფოლიატის ღობეში თავი შემოჰყო.

— ადი და ნახავ, — ხათუნამ პაწია ყლორტი შეატეხა ვაზს.

— შენ ვერ გახედე?

— არა მაქვს ახლა მაგის ლაყლაყის თავი!

— ვინ არის?

— პეტრეა, მიროტაძე. თუ მე მიკითხოს, გორიჯვარზეათქვა, ასე უთხარი. ზური! — წამოიძახა უცებ ხათუნამ, — ამას რომ გასვლია, ბიჭო?

ზურია გუბურასთან იჯდა, ფეხები შლამში ჩაეყარა და ქვემოთ იყურებოდა.

— ზური, დედა, — გაუმეორა ხათუნამ, — ამას სულ გასვლია, ვერ დაალბე?

კასრს მართლაც გასვლოდა. წყალს ქვედა მხარეს ედინა, კვალი გაეტანა, ღობის ქვეშ გამძვრალიყო და გახურებული მიწა აეფუებინა.

— მოდი, მოდი, ნახე, ნახევარი აღარ არის შიგ!

სანამ ზურია ვენახში გადმოხტებოდა, ხათუნამ გულდასმით გასინჯა კასრი, იქნებ გატეხილია სადმეო.

— აბა? — ზურია ღობის ხვრელში გამოძვრა.

— ყველაფერს რომ მარტო შენი ჭკუით აკეთებ, იმის ბრალია ეს, — საყვედურობდა დედა, — ხომ ტყუილად ჩაგიარა ახლა ამდენმა შრომამ!

— გატეხილია? — დარცხვენილმა ზურიამ გარშემო შემოუარა კასრს, რომლის ქვედა ნახევარი ნოტიო იყო, რადგან შიგ წყალი იდგა, ზევითა კი ისე გამომშრალი, თითქოს წყალი თავის დღეში არ მიჰკარებიაო.

ხათუნამ ორივე ხელი მოავლო კასრის სალტეს.

— რაღას უყურებ, წამაქცევინე, — მიმართა შემდეგ შვილს.

— დავაქციოთ?

— აბა ხელახლა აავსებ? ისევ გამოვა. ვინ გამოგატანა?

— ბარუსი ბიძიამ.

— გარეთ იდგა?

— რავა? — ზურია რატომღაც გაწითლდა.

— არ ეტყობა? მზეზე გამხმარა. ვერ ხედავ, რანაირად დაუღია პირი?

— დავგლისოთ.

— მიწას არ დაიკავებს, შვილო. ჯერ კარგად უნდა გაიჟღინთოს წყლით. თუ პირი მაინც არ შეიკრა, მერე ბამბით გამოიბიდნება. ამდენს ვერ ხვდები? მოდი, წამაქცევინე.

კასრი ფრთხილად გადააფერდეს. წყალი თქრიალით დაეშვა მიწაზე, ქაფი მოიკიდა და ღობეში შერგო თავი.

— გუბურასთან ჩავიტანოთ, — თქვა ხათუნამ, — ამ ამბავს წუხელ ვიზამდი და დღეს აღარ მოვცდებოდი. საქმეს აზრი უნდა ატანო, შვილო. რაც არ იცი. უხვას შეეკითხე, სირცხვილი კი არ არის.

თავისმავე ნათქვამმა ხათუნას მხნეობა დაუბრუნა. გოროზი ზურია სირცხვილით იწურებოდა და მზად იყო დედის ყოველი დარიგება უყოყმანოდ შეესრულებინა.

კასრი წამოაყენეს.

— ახლა ამის გადასატანად ღობეს გამოარღვევ? — იკითხა დედამ.

— ზევიდან მოვივლი, ოღონდ ამაწიე, — ზურია დაიღუნა და ზურგით მიეყრდნო კასრის გამობერილ მუცელს.

— გინდა ნალველა ჩაიქციო?

— მე არ ჩამოვიტანე? — ზურიას თავი მოსწონდა, რომ ამოდენა ტვირთს მოერია.

— ახლა დამძიმებულია, ბიჭო. მოკიდე ხელი, ორივემ წავიღოთ.

— ზურია! — დაიყვირა ვენახის თავში იმ წამს მორბენილმა პავლემ, — დედა სად არის?

— ვერ ხედავ? — ზურია უხალისოდ გაიმართა.

— რა გინდა, ბიჭო? — შეეხმიანა შვილს ხათუნა.

— პეტრე ბიძიამ თქვა ახლავე აქ ამოვიდესო, საჩქარო საქმე მაქვსო, თავრობამ გამომაგზავნაო.

— არიქა, განათლებიდან იქნება ვინმე! — გამოცოცხლდა ხათუნა, — ზური, მოეშვი, დედა, მერე ვიზამთ ამას! პალიკო, მარტოა?

— ხო, ხო, გიცდის.

— ახლავე-თქო ახლავე-თქო.

ხათუნამ თვალის დახამხამებაში აირბინა ვენახი და ეზოში გადავიდა.

პეტრე ჭიშკართან იჯდა, ყორეზე, თოფი მუხლებზე დაედო და ნამდვილი იარაღის დანახვით გახარებულ შალიკოს სასხლეტის გამოშლას ასწავლიდა.

— კაცს მოკლავს? — ჩურჩულებდა პატარა ბიჭი.

— აპა!

— სულ, სულ მოკლავს?

— სულ მოკლავს, აპა ნახევარს?

— მათხოვე...—ეღრიჯებოდა შალვა

— ეე, ეგ კი ვეღარ მოგივიდა ახლა შენ, — პეტრემ შორს დაიჭირა, ყორიდან ჩამოხტა და ხათუნას მოლოდინში თოფი ყავარჯენივით დაიბიჯგა, — ეგერ დედაშენი მოდის და კითხე იმას. თუ მეტყვის...

— რა ამბავი, პეტრე! — ამასობაში ხათუნამაც მოატანა.

— აღარ მემდური? — სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა — პეტრემ წაწვეტებული კბილები გამოაჩინა, — წადი, შალო, მე დედაშენთან საქმე მაქვს.

ბავშვს თვალი დარჩა სანატრელ თოფსა და სავაზნეზე. რომელიც პეტრეს ქამრის მაგივრად შემოერტყა. ფეხი აითრია, მაგრამ დედის შეკრული კოპები დაინახა და უკან-უკან ცქერით ქოხისაკენ წავიდა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ბონდო კეშელავა

★

* *
*

რასაც შენ ეტრფი, რაც შენ მოგწონს შენი თუ სხვისი,
თუ შორს არა ხარ მისგან, კაცი ბედნიერია.
მე კი საოცრად მახარებდა ღამით თუ მზისით,
ყრმას ნაადრევი თეთრი თმა, რომ გამომერია.

და პირველ სატრფოს დავაფიცე ჩემი ჭაღარა,
მას მღელვარებით ვთავაზობდი ყრმობის სიმღერებს.
მე მოწიფული დავრჩი გულით ბავშვი პატარა,
ვითვლიდი მასთან, მის სარკის წინ თეთრი თმის ღერებს.

დრო მიდიოდა ხშირდებოდა იგი დღითი-დღე,
არად ვაგდებდი მის სიუხვეს და როს დამფარა.
შემრცხვა, თამამად ლექსში იგი ველარ გავრითმე
და სანანებლად გარდამექცა ჩემი ჭაღარა.

რა გავაკეთე, რა შევქმენი მე ამის ფასი,
ო, ეს ფიქრები წამდაუწუმ აღარ მშორდება.
მაგრამ ნუგეშად ძველთა-ძველი, დღესაც ლამაზი,
სულში ჩამწვდომი ჩონგურის ხმა მომაგონდება:

— შემომეჩვია
მწარე ფიქრები,
და სიჭაბუკემ
თავი დახარა,
აწ თუ გამიწევ
შენ მეგობრობას,
აბა შენ იცი,
ჩემო ჭაღარავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ გარიყული

★

# გარღვეული მიჯნა*

## ეჭვი

8036

გვიანმა შემოდგომამ ადამიანები მეტწილად სახლებში ყოფნად განაწყო. იმ დღეს იოხანან კრიხელის ოჯახში ყველასათვის რაღაც გაურკვეველი ამბავი მოხდა.

სიმას ოთახში გარედან შემოსული ბინდი ჩამოწოლილიყო. ფანჯრებთან ამართულ ხეებს უიმედოდ დაექინდრათ თავები. ხეებზე აქა-იქ შემორჩენილ ქერქის უბეებში ერთმანეთზე დაცემული წვიმის წვეთების ხმა ყრუდ გაისმოდა. ბუხარი წითლად ღვიოდა, ცისფერი ენები დანაკვერცხლებულ მუგუზლებს ელამუნებოდნენ და ოთახს ნახევრად აშუქებდნენ.

ბუხართან შორი-ახლოს მიდგმულ სავარძელში სიმა იჯდა, კალთაში გადაკეცილი წიგნი ედო და ხმადაბლა კითხულობდა. იქვე მის წინ, დაბალ სამფეხა სკამზე, ნაავადმყოფარი რაფაელი ჩამომჯდარიყო. იგი ნიდაყვით დედინაცვლის მუხლს დაბჯენოდა, მარცხენა ხელი კი ნიკაპქვეშ ჰქონდა ამოდებული და ფიქრებში წასული ცეცხლს ჩასჩერებოდა. ავადმყოფობის დროს მეტად შეეჩვია სიმას რაფაელი. ეხლა სიმა ფურცლიდან ფურცელზე გადადიოდა და რაფაელს რაღაც ზეციურ ძახილად ჩაესმოდა ყურში სიმას ხმა.

ცეცხლის ალმა სიმას ბუხრის პირზე ჩამოდებული ფეხი გაუხურა, ნელა დაიხია უკან და უნებურად მუხლის თავით ოდნავ შეეხო რაფაელს. რაფაელს გააჟრჟოლა, შეირხა და ანაზდად ქალს წვივზე წაეტანა, შემდეგ მთლიანად მოეხვია წელზე.

— რაფაელ, რას ჩადი?! — დატუქსა ქალმა აღტყინებული ვაჟი.

რაფაელი ცალი მუხლით სკამს დაეყრდნო, მთელი ძალით მიიზიდა სიმა და გაოგნებული დაეწაფა მის მკერდს.

— რას ჩადი?! — ეხლა ყრუდ შესძახა სიმამ თავდავიწყებამდე მისულ რაფაელს, წიგნი ძირს დააგდო და გაიბრძოლა, მაგრამ თავი მაინც ვერ გაინთავისუფლა. შემდეგ თითქოს წუთიერად ჩაცხრა რაფაელი, ამღვრეული თვალებით დაუწყო სიმას ყურება და მის კალთასთან ორივე მუხლებზე ჩაიჩოქა.

სიმა წამოდგა, რაფაელს დასწვდა და დააპირა მისი წამოყენება.

— რა ამბავია? — იკითხა მკაცრი ხმით ოთახში მოულოდნელად შემოსულმა იოხანანმა.

რაფაელი შეაკრთო ამ ხმამ. მოსხლტა ქალის სხეულს და იატაკზე დაემხო. იოხანანი ცოლს მიაშტერდა.

სიმას მახვილი გონება მიხვდა როგორი ეჭვით სავსე თვალებით უყურებდა მათ იოხანანი. ქალური ალღოთი სწრაფად მოისაზრა რა მოემოქმედა და დინჯად მიმართა ქმარს:

— ბატონო! ეს ბავშვი მთხოვს მოციქულად დავუდგე... სასწავლებელში დაბრუნება სურს! აუცილებლად წაიყვანეთ, თორემ დარდი გადაიტანს...

რაფაელმა გარკვევით გაიგონა სიმას სიტყვები და მიხვდა, რომ იგი უკვე გადარჩა მამის რისხვას. ყმაწვილმა შვებით ამოისუნთქა, წამოიმართა და ახლა იოხანანისაკენ გაიშვირა ხელები.

იოხანანს თანდათან დაუცხრა აჩქარებული სულის თქმა, გამომცდელი თვალებით დააცქერდა ცოლს, მერე

---

* გაგრძელება. იხ. მნათობი № 6.

შვილზე გადაიტანა მზერა: ძნელად თუ რამე გამოეპარებოდა მას და ახლა, როცა წამიერად თავისი ახალგაზრდობა გაიხსენა, უეცარმა ფიქრმა გაუელვა გონებაში: „იქნებ სიმასაც ცოდვილი აზრი დაებადოო". შემდეგ თვითონ შეუშინდა ამ აზრს და თავის თავს უთხრა: „ოოო, ეს საშინელება იქნება, ამას ვერ აიტანს იოხანანი!"

რაფაელს მამისკენ გაწვდილი ხელები ჰაერშივე შერჩა, იოხანანი ნელი ნაბიჯით ოთახიდან გაემართა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— ჩაილაგე შენი ბარგი და ხვალვე წახვალ აქედან!

სეიდიხას ისედაც დაჭმუჭნული ყვითელი ლოყები უარესად დაეღარა. ორ დღეში უფრო მეტად გატყდა. სიბერით დაკორძებულ ხელებს კანკალით აფათურებდა და რაღაც პარკს პარს უკრავდა. ხედავდა რომ რაფაელი მამას სადღაც მიჰყავდა, შორს გზას უმზადებდა. გრძნობდა რომ რაფაელი სეიდიხას მეტს ვეღარ ნახავდა ცოცხალს, მოხუცი ჩქარა მისცემდა სულს ყოვლად მოწყალე ადონაის. ვერ ხვდებოდა კი სეიდიხა რად გადაწყვიტა იოხანანმა უსუსური ბავშვის სახლიდან მოწყვეტა.

სამგზავროდ გამზადებული იოხანანი განკარგულებებს აძლევდა უფროს ვაჟს არონს; არიგებდა რა უნდა გაეკეთებინა მის დაბრუნებამდე.

— მომიგვიანდება შვილო, ჯერ ოდესაში მივალ, იქ დავაბინავებ ბიჭს და შემდეგ...

— რად ინებე მამა ასე შორს გადაკარგვა? ბაღანაა, ცოდვაა, დედა არ ჰყავს, ობოლია, — შეაპარა სიტყვა არონმა და რაფაელის სიობლეს ხაზი გაუსვა. არონი ფიქრობდა რომ იოხანანის გადაწყვეტილებაში დედინაცვლის ხელი ერია. ყველაფერი ეს ვერ უთხრა არონმა მამას და ამიტომ შორიდან დაიწყო.

— ასე სჯობია. სახლიდან მოშორებული, კაცი გამოვა და ისეთ სისულელეებს აღარ ჩაიდენს, ხალხს რომ სუქა დაახვრია თავზე.

— კი, მაგრამ... — შეეცადა რაღაცის თქმას არონი.

— ეს ჩემი საქმეა, — მკაცრად მოუჭრა იოხანანმა და არონიც ჩაჩუმდა.

— ჰო, იმას გეუბნებოდი, — განაგრძო იოხანანმა, — მერე პირდაპირ ვარშავაში წავალ, ბევრი რამ მაქვს გასასწორებელი. რამდენი ხანია საქონელი მოდის და ერთხელ ანგარიში არ ჩაგვიგდია. ყველაფერი გაწმენდილი სჯობია ჰქონდეს კაცს!

— თქვენ იცით მამა, — დაეთანხმა არონი.

შვილს უკვე ჰაღარა ჰქონდა შეპარული, მაგრამ მამას თვალს მაინც ვერ უსწორებდა.

— ჰო, კიდევ რა დაგიბაროთ: საქმე არ წააქციოთ, ნოქრებმა არ მოგატყუოთ, ხომ იცი ოხრები არიან, ხუთ არშინს რომ პატრონისათვის გაჰყიდიან, ერთ არშინს თავიანთვის გადააგდებენ, ოჯახზე მარჯვედ გეჭიროს თვალი, ჩემი მაგიერი შენა ხარ და ერთი სიტყვით ჭკვიანად გაუძღვე ბიჭებს. მიხაკა და იოსება კარგი მოსაქმენი არიან. სოლომონიც ყოჩაღია, ბებიაშენს მიხედე, ორი დღე აღარ უძევს წინ. ამას გარდა... — შეჩერდა, მარჯვენა ხელის ცერით წვერს შეეხო და ნიკაპი მოიქექა, რაღაც უნდა სთქვას და უძნელდება.

— კიდევ, სიმას მიხედე... ნურავინ ნუ აწყენინებს მას, თორემ... იცოდეთ, ამით მე მაწყენინებთ!

არონი თავდახრილი უსმენდა მამას. უკანასკნელმა სიტყვებმა აანთეს, მაგრამ გულს მოერია და თავი შეიკავა.

არ უყვარს არონს ეს ქალი იმიტომ კი არა რომ დედინაცვალია. მას სულ სხვა რამ აწუხებს: ეშინია შვილი არ გაუჩნდეს იოხანანს, თორემ თუ ასე მოხდა, შეიძლება მოხუცმა ყველაფერი ცოლს გადასცეს და დანარჩენი შვილები შარა-გზაზე დატოვოს.

— კარგი მამა, მესმის, ოღონდ შენ სახლში მშვიდობით დაბრუნდი და

ყველაფერი რიგზე დაგხვდება, — დაიმედა არონმა იოხანანი.

ჭიშკართან ეტლი ელოდა მგზავრებს. მეზობელ ყმაწვილებს ქუჩის პირზე რაფაელთან დასამშვიდობებლად თავი მოეყარათ. მოშე შორი-ახლო იდგა და ისიც ელოდა როდის გამოვიდოდა სახლიდან რაფაელი. გული სწყდებოდა მოშეს კარავობის დღეს რომ ისეთი უსიამოვნება მოხდა მათ შორის.

ქალები აივანზე დაემშვიდობენ რაფაელს. სეიდიხამ წალმა დაატრიალა შვილიშვილი, რახილმა გადაჰკოცნა მაზლი, სიმა კი მხოლოდ შუბლზე ეამბორა გერს და ცივად შებრუნდა ოთახში. ძმები სადგურზე გაჰყვნენ რაფაელს.

რაფაელმა ეტლში ჩაჯდომისას თვალი მიმოავლო იქაურობას, წამოიწია და ხმამაღლა შეეხმაურა დაუპატიჟებლად მისულ გამცილებლებს. როდესაც მეეტლემ ცხენებს შეუტია და ეტლი ადგილიდან დაიძრა, ბავშვებმა ყიჟინი ატეხეს და უკან გამოუდგნენ. რაფაელმა მოშეს ძახილი გაიგონა და გახარებულმა ხელი დაუქნია.

გარედან შემოტანილ ხმაურზე სიმამ ფანჯრიდან ფარდა გადასწია და გული შეუცნობელი ნაღველით აევსო. სრული სიმარტოვე იგრძნო ქალმა. წელან იოხანანმა ბრილიანტის თვლიანი ბეჭედი ჩამოაცვა თითზე და უხთრა: „ჩემო ძვირფასო, რომ დავბრუნდები უკეთეს საჩუქარს მოგიტანო“.

ეხლა ყველაფერი სძაგდა მას, ეს ბეჭედიც შეეზიზღა, იგი ისე ცივი იყო, როგორც მისი გული იოხანანისადმი. არც უფიქრია სიმას, ისე თავისდაუნებურად წაიძრო ხელიდან ბეჭედი და ბუხარში მოგიზგიზე მუგუზლებს შორის შეისროლა.

* *
*

იოხანანს დიდხანს არ დააყოვნდა ფოთის ნავსადგურში. დღის თორმეტ საათზე უკანასკნელმა მგზავრებმაც დასტოვეს ხმელეთი, საყვირის ხმა გაისმა, ღუზა მოიხსნა და გემი ნელა მოშორდა ნაპირს.

რაფაელი გემბანზე იდგა და უყურებდა თანდათან როგორ ეფარებოდა თვალს შორს დარჩენილი ქალაქი.

— რაფაელ, მოდი შვილო! — დაუძახა დაყვავებით იოხანანმა. რაფაელი კაიუტაში შევიდა. ბარგი მიალაგ-მოალაგეს და მოეწყვნენ. შემდეგ ისევ გამოვიდა რაფაელი ბაქანზე. ეხლა იგი მხოლოდ ზევით ცას და ქვევით წყალს ხედავდა. იდგა ერთხანს ასე, იდგა და ბოლოს მძიმედ ამოიხვნეშა. რა აწუხებდა? სიმასთან დაშორება... თუ ცხოვრების ახალი გზა? რაფაელი ალბად დიდხანს იდგებოდა ასე, რომ იოხანანს ფიქრებიდან არ გამოერკვია. იოხანანი თავზე დაადგა რაფაელს.

— ბიჭო რაფკა, რამ ჩაგაფიქრა ეგრე, ხომ არ გეშინია? — ჰკითხა იმედიანი კილოთი იოხანანმა და თვალი თვალში გაუყარა.

იოხანანი პირქუში კაცი იყო, სწავლა არ ჰქონდა, მაგრამ სამოცდაშვიდი წელი ზურგზე ეკიდა და ცხოვრების ავანჩავანჩში მეტად კარგად იყო გარკვეული. მას არასოდეს არ დავიწყებია რა გზით მოიპოვა ქონება და არც ის, თუ რამდენი დამცირება გადაუტანია მას ამ გზაზე. ეხლა მას, მოხუცებულობაში იმედად შეძენილი შვილი შორს მიჰყავდა და ამჟამად უკვე საჭიროდ სთვლიდა ზოგი რამ ისეთი ეთქვა, რაც მისი აზრით ადრე გაუგებარი იქნებოდა რაფაელისათვის.

მამა-შვილს შორის მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა. რაფაელმა ვერ გაიაზრა რა ეპასუხნა იოხანანისათვის და დაელოდა კიდევ შეეკითხებოდა თუ არა მამა რამეს.

— მაშ არ გეშინია არა?! — კმაყოფილებით გაუმეორა იოხანანმა რაფაელს, როცა მის სახეში თავისი დაკვირვებული თვალით შვილის პასუხი ამოიკითხა და იქვე კაიუტის გასწვრივ განლაგებულ დაწნულ სავარძლებზე ჩამოსხდნენ.

— ასეა ბაბა, შენ ჩემი შვილი ხარ

და მე შენი იმედი მაქვს. ეხლა შენ ბევრი ახალი ამბავი მოგელის და ამიტომ შენთვის ცხოვრებაში გამოსადეგი ცოტა რამ უნდა გითხრა, — მიმართა იოხანანმა გაკვირვებული სახით შემყურე რაფაელს. იოხანანი ადგილზე შეირხა უფრო ღრმად მოთავსდა სავარძელში. გემი მძიმედ მიიწევდა წინ და უკან აქაფებულ ნაკვალევს სტოვებდა. რაფაელისათვის მოულოდნელი იყო ეს, რადგან ვერ წარმოედგინა, რომ მისი მამა, მუდამ შუბლშეკრული იოხანანი, მასთან, როგორც ტოლთან ისე საუბრებდა.

ერთხანს იოხანანი აზრს ალაგებდა როგორ დაეწყო ან როგორ ეთქვა ის, რასაც იგი რაფაელისათვის ასე აუცილებელ სათქმელად თვლიდა.

— „ჩემი ცხოვრება სულ ასეთი არ ყოფილა შვილო, — დაიწყო იოხანანმა და მამის ამ სიტყვებზე რაფაელმა ნახევრად მიიღო სახე იოხანანისკენ.

— შენ იცი როგორ ცხოვრობს ბევრი ჩვენი კუთხის მეზობელი? მე ჩვენი სჯულის კაცზე გეუბნები. ცუდათ, ძალიან ცუდათ! ჰოდა, შვილო, შენი ბაბუაც და მეც ისევე ვცხოვრობდით, როგორც ეხლა ისინი ცხოვრობენ. არ გეგონოს ღმერთმა მომცა მე ეს ქონება. არა რაფკა, ყველაფერი რაც ეხლა გამაჩნია წვალებითა და დაგვით მაქვს ნაშოვნი. მამაშენის დარი თუ არა, "ერთი ორი კარგად შეძლებული კაცი ჩემს ახალგაზრდობაშიც იყო ჩვენს არემარეში და მათ მოჯამაგირეობაში მეც ორი გროშისათვის ჯანნოსავით, იმ შენ ტოლ მოშესავით სოფელ-სოფელ დავათრევდი ღილსა და ქინძისთავებს. ცოტაჯერ კი არ დამიწყევლია ღარიბი კაცის ბედი, მაგრამ იმასაც ვხედავდი, რომ ამით ჩემს გაჭირვებას არაფერი ეშველებოდა. ბევრჯერ შევკითხივარ თავს და სხვას, რად იყო ზოგი მდიდარი, ზოგი კი ულუკმაპურო? მერე ცხოვრებამ მიმახვედრა, რომ ჩემი და ჩემისთანების ზურგზე ამძვრალი ტყავის ფასად იყო, რომ მათ კარგი სახლკარი და საჭმელ-სასმელი ჰქონდათ, მე კი ფეხშიშველი და მშიერი კუჭით დავწანწალებდი. ჰოდა, მეც აღარ ავერიდე ამ გზას. ვისწავლე ის რასაც ჩემი პატრონები აკეთებდნენ. გამიმართლა ამ გზაზე, ბევრი გადართმევის და წაგლეჯის ფასად!“

რაფაელი თავდახრილი უსმენდა და როცა ბოლო სიტყვები გაიგონა კანკალმა აიტანა, ოდნავ წამოიწია ადგილიდან და დაჭიმული სახით შეხედა მამას. ეხლა ადრინდელ იოხანანს კი არ ხედავდა, არამედ სულ სხვა კაცს, რომელსაც ეს-ესაა გაეცნო. იოხანანი თავიდანვე მოელოდა, რომ მისი ასეთი საუბარი გაოცებას გამოიწვევდა შვილში, ამიტომ არ დააცალა რაფაელს რაიმე ეთქვა და განაგრძო:

— შენ გაგაკვირვა ამ ამბავმა? მე მახარებს, ნამდვილად მახარებს ეს!

რაფაელი ახლაც მხოლოდ სახის გამომეტყველებით შეეკითხა იოხანანს რა ახარებდა მას ამჟამად.

— ჩემო ბაბა, შენ შეგძლებია კაცის ნათქვამი გაიგო. მე მივხვდი, არ მოგეწონა, რომ შენს მამას, ოდესღაც სიღარიბისაგან წელგატეხილს, ასე შეუძენია ქონება.

რაფაელმა თავისი თხელი ტუჩები ოდნავ შეარხია, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ იოხანანმა კვლავ ჩამოართვა სიტყვა:

იოხანანი შეჩერდა; წარბებს ერთნაოჭად მოუყარა თავი, ქუთუთოები შეათამაშა და წამით ზღვას გახედა. მხოლოდ ეხლა შეამჩნია, რომ გვიანი შემოდგომის ჩამავალი მზის სხივები უფერულად ლაპლაპებდნენ ცის დასავალთან.

— დამაცა რაფკა, მე ჯერ ყველაფერი არ მითქვამს, — ისევ გაიღო ხმა იოხანანმა; მარჯვენა მუხლზე გადადებული დაბუჟებული მარჯვენა ფეხი ჩამოიღო და გემბანის დაღარულ იატაკზე ნელა გაჭიმა.

— „რაფკა, მე არ მინდა ამით მამაშენის რიდი დაჰკარგო. იმისათვის ჩამოგიგდე, შვილო, ლაპარაკი ამაზე რომ

მინდა კარგად დაიხსომო: სწავლის ფასი არაფერია ამ ქვეყანად. ადამიანს როცა სწავლა აქვს, მაშინ მას არ სჭირდება იმის გაკეთება რაც გითხარი. ვაჭარი კაცის ცხოვრება დღეს არის და ხვალ არა. სხვა უფრო მოხერხებული, ფეხს გამოგდებს და მიწასთან გაგასწორებს. შენი ძმა და თვისაც რომ იყოს თავბედს გაწყევლინებს! ისიც გახსოვდეს, რომ ჩვენ კაცს ადამიანად არ სთვლიან, უფლებიანი ცხოვრებისათვის რჯული ხელს არ გვიწყობს და დჩვნილნი ვართ. თუ ჩვენ სადმე მივესვლება, მარტო ფულის წყალობით და ესაა. ვისაც გროში არ აბადია, მის გაჭირვებას ებრაელობაც ემატება და მისთვის კარები ყველგან გამოკეტილია. მე კი მინდა ამ მუხთალ დუნიაზე ჩემ შვილებს ადგილი ჰქონდეთ! არონი და ისაკი ნადრევად შეძენილი ბიჭებია და მათაც ბევრი გაშოცადეს, შენ კი რაფკა, უფრო იღბლიანი ყოფილხარ, სიბერეში გაჩენილი და ეხლა შენზე მაქვს იმედი. გაისად გიმნაზიას დაამთავრებ და მერე ხაექიმოზე გაგიშვებ. კარგი ხელობაა, ავადმყოფს ამ ქვეყანაზე რა მოლევს და კეთილ საქმესთან ერთად ფულიც გექნება. თუ ექიმობას არ ინდომებ, ადვოკატობასაც არა უშავს, ხლაფორთი და კინკლაობა მუდამ ყოფილა და იქნება, შენც ადექი და ივექილე, ამ ხელობამაც უდავიდარაბო ფული იცის“.

იოხანანმა მოათავა თავისი სათქმელი, შემკლავული ხელები გაშალა, თითები შეისრისა, პალტოს შიგნით, სერთუკის ზედა ჯიბიდან შავი ფერის, ოქროს ძეწკვზე დაკიდული ტყავის პატარა ქისა ამოიღო, მარჯვენა ხელის ცერით ღილაკს შეეხო და ქისის თავი გადახსნა, საიდანაც ასევე ოქროს საფარიანი საათი გამოჩნდა. შემდეგ იმავე ცერით საათის მოსამართს ფრთხილად დააწვა და როცა საფარი ტკაცანით აიხადა იოხანანმა ნახა, რომ ისარი ციფრ ხუთთან იყო მიბჯენილი.

— კარგა დრო გასულა ბიჭო, ლაპარაკში გავერთეთ და ვეღარ მივხვდით ჩვენს მეტი რომ არავინაა აქ დარჩენილი. ადე, ადე, კარგადაც აცივდა უკვე, — თქვა იოხანანმა, რამოდენიმეჯერ წამოახველა, ადგა და კაიუტისაკენ გაემართა. რაფაელმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი სივრცეს და უხმოდ გაჰყვა მამას.

ფიქრებმა მოიცვეს რაფაელი.

მშვიდი ღამე ყმაწვილმა მამის ნალაპარაკების გააზრებაში გაატარა და ბევრი ახალი კითხვა დაებადა გონებაში.

— მამა, გძინავს?! — ფრთხილად შეეხმაურა იოხანანს რაფაელი და როცა ნახევრად მძინარე იოხანანმა პასუხი გასცა, რაფაელმა საწოლზე გვერდი შეინაცვლა და უთხრა: — მამა, რაღაც მინდა გკითხო!

— მითხარი, გისმენ!

— მამა, ღმერთი არის ამ ქვეყანაზე? — შიშნარევი და მოკრძალებული ხმით ჰკითხა რაფაელმა იოხანანს.

— რად მეკითხები ბიჭო ამას?

— იმად მამა, რომ შენ თქვი: „ქონება ჩემთვის ღმერთს არ მოუციაო“. ბებია სეიდიხა კი ყველაფერს ღმერთს უმადლის, „ღმერთია ჩვენი დამსახლებელი ,შემწე და გამგეო“, — ყოველთვის ამას ამბობს. დედაც ამას ამბობდა, შენც ღმერთს თხოვდი შველას, ავად რომ ვიყავი.

— ამაზე მე რა უნდა გითხრა ბიჭო, დრო მოვა და შენ თითონ მიხვდები ყველაფერს.

— არა, მამა, შენ, შენ მითხარი ნამდვილად, — დაჟინებით მიმართა იოხანანს რაფაელმა და როდესაც ამ სიტყვებთან ერთად ნახევრად წამოჯდა საწოლზე, კაიუტის ოვალურ ფანჯარაში გარედან შემოპარულ მთვარის შუქზე მისი სილუეტის ანარეკლმა იოხანანის ყურადღება მიიქცია და ისიც შეირხა ლოგინში.

იოხანანი მიხვდა, რომ რაფაელს უპასუხოდ ვერ დატოვებდა და ეხლა წამით გაიაზრა რა ეთქვა.

— ღმერთი არის შვილო, როგორ არ

არის, მაგრამ ყველა კაცის ღმერთი თავის თავია. თუ ადამიანი თვითონ არ უშველის თავს, ღმერთი ვერაფერს წაადგება. აბა, ღმერთის იმედზე რომ დავმდგარიყავი და ღონე არ მეხმარა შენ რამე გადაგარჩენდა? ღმერთი რომ იყოს რატომ უნდა დაღუპულიყო ჯანო? რას ერჩოდა მის წვრილ ცოლშვილს? ამიტომ შვილო, ღმერთი მასთან არის, ვისაც რამე აბადია, ვისაც ფული აქვს!

— შენ რომ ასე ამბობ მამა, მაშ რატომ არ უწილადებთ მდიდრები ღარიბებს ქონებას, მაშინ ხომ ყველას წყალობის თვალით შეხედავდა ღმერთი? ისიც ხომ ჩვენისთანები არიან, ასე არ სთქვი?

— ჯერ შენ კიდევ ბრიყვი ხარ ბიჭო, არ გესმის! მდიდრები ცოტანი არიან, ღარიბები კი ბლომად. ასე რომ გავაკეთოთ, ჩვენი ქონება ერთ ლუკმად არ ეყოფათ მათ, მერე აღარც აქეთ იქნება და აღარც იქით. ასეა ეს ქვეყანა მოწყობილი, ერთმა სხვის ხარჯზე უნდა იცხოვროს. აკი გითხარი? განა მე ვინმემ რამე შემაწია?

— მაშ ყველაფერი ტყუილი ყოფილა, თუ მარტო ფულია ამ ქვეყნის გამგებელი, — შეეპასუხა იმედგაცრუებული რაფაელი იოხანანს.

— ასეა რაფკა მაშ, ასეა და შენც კარგად გახსოვდეს ეს!

— რჯული რაღაა მამა, რჯული?!

— რჯული?

— ჰო, რჯული!

— ღმერთმანი რაფკა ისეთ რამეს მეკითხები, რომ...

— ებრაელიც და ქრისტიანიც ხომ ორივე ადამიანია, მაშ რატომ გვიძახიან ურჯულოებს, უშავებთ ვისმეს რამეს?

— ორივე ადამიანია შვილო, მაგრამ ჩვენ საკუთარი მიწა-წყალი არ გაგვაჩნია და სხვის მიწას ვართ შეხიზნული. ამიტომ ყველა ზედმეტ ბარგად გვთვლის და თავში გვიჩაკუნებს, თორემ აბა, ქრისტიანი რომ თავის თავს უკეთესად თვლის, თვითონ ქრისტე ებრაელი არ იყო?...

— მამა!..

— კარგი, მომეშვი, მე ჩემ დღეში წიგნი ხელში არ მჭერია და მეტი რა უნდა გითხრა... — სიტყვა ჩამოართვა რაფაელს იოხანანმა, ღრმად დაამთქნარა, წვერი ნიკაპქვეშიდან შეიფხანა და კაიუტის კედლისაკენ დასაძინებლად გვერდი შეიცვალა.

* *
*

რაფაელი აღარ შეეპასუხა მამას, სიბნელეში ერთი წერტილი გაარჩია და თვალები მიაპყრო. ფიქრებით მოსილ რაფაელს თავბრუ დაეხვა. ეს ღამე მისთვის ცხოვრების პირველი გაკვეთილი და პირველი ზიარება იყო.

გემი აკვანივით ირწეოდა და რაფაელი უცხო მხარეში მიჰყავდა...

* *
*

მეხუთე დღეს, რიჟრაჟზე, ნოემბრის ბურუსში გახვეული, ზღვის პირთან რკალად შემოვლებული ქალაქის კონტურები გამოჩნდა. ნავსადგურში ჯერ კიდევ მკრთალად ციმციმებდნენ ნათურები. ნესტის სუნი იდგა ირგვლივ და გემბანზე გამოსული მგზავრები დილის სიცივეს აეტანა. ნახევარი კილომეტრი-ღა იყო დარჩენილი ნავსადგურამდე, რომ გემმა სამჯერ გამოსცა საყვირი და შენელებული სვლით გემმისადგომისკენ გაემართა. უკვე სავსებით გათენებული იყო. იოხანანმა პალტოს ღილები ბოლომდე შეიკრა და ბეწვის ქუდი ყურებამდის ჩამოიწია. მამა-შვილი ერთად გამოვიდნენ კაიუტიდან. თითქმის უკვე ყველა მგზავრი მოაჯირზე იყო მიმდგარი. ღუზა მიბმული ჯაჭვი რახრახით ჩაქანდა ზღვის ფსკერზე, კიბე ნაპირზე დაუშვეს და გემზე მებარგულები ამოვიდნენ. იოხანანმაც დაიქირავა მებარგულე, რაფაელი წინ გაუშვა, თითონ ერთი ხელით ჯოხს დაეყრდნო, მეორეთი კი კიბის მოაჯირს შეეხო და ნელ-ნელა ჩაჰყვა მოქანავე საფეხურებს. სადგურში მცირე ხნით შეჩერებულ მგზავრებს ოდე-

სის ქალაქის სასტუმროების აგენტებმა მომსახურეობა შესთავაზეს. იოხანანი რაფაელის მეშვეობით ორი სიტყვით გამოელაპარაკა ერთ-ერთ აგენტს. აგენტმა აუწყა, რომ სასტუმრო „ლონდონი“ საუკეთესო სასტუმრო იყო, სანაპიროზე გადამდგარი, ცენტრში და კეთილმოწყობილი. როდესაც აგენტმა იოხანანის თანხმობა მიიღო, იქვე ჰკითხა რაფაელს ეტლით ისურვებდნენ თუ არა სასტუმროში წასვლას, რადგან სასტუმრო ახლო იყო და კიბეებზე ავლითაც შეიძლებოდა იქ მისვლა. იოხანანმა თვითონვე უპასუხა ორი სიტყვით სასტუმროს მოსამსახურეს: „მხოლოდ ეტლით!“

აგენტმა მოკრძალებით დაუკრა თავი და ეტლების გაჩერებასთან წაიყვანა მამა-შვილი. გზაში აგენტმა რაფაელისაგან გაიგო, რომ ისინი პირველად იყვნენ ოდესაში. გასამრჯელოს მიღების იმედით მან ორიოდე სიტყვით უთხრა მათ ზოგიერთი რამ ქალაქის შესახებ.

— აი, ჩვენ ეხლა საბანეევის ხიდზე ვართ, მარცხნივ გავუხვევთ და ეკატერინეს მოედანზე გავალთ. ეს სახლი გრაფ ტოლსტოის ოსობნიაკია, — მიუთითა აგენტმა ხიდის მარცხნივ მდგომ ორსართულიან წითელ შენობაზე.

იოხანანს დაახლოებით ესმოდა რასაც მათი გამცილებელი ელეპარაკებოდა. იგი გააოცა ქალაქის სიდიადემ, მაგრამ ეს სრულებით არ შეუმჩნევია.

რაფაელს წიგნებით და სურათებით დიდ ქალაქებზე გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა, მაგრამ ეხლა როდესაც თავისი თვალით ნახა ასეთი ქალაქი, მოლოდინმა ყველაფერს გადააჭარბა. მასში და იოხანანისაგან განსხვავებით პირველი შთაბეჭდილებით აივსო. ჯერ მას საერთოდ ძეგლი არ ენახა, ეხლა კი მის წინ დიდ კვარცხლბეკზე შემდგარი ეკატერინე დედოფლის ფიგურა წამოდგა, რომელიც ეკლის გვირგვინით თავშემკობილი და სკიპტრა გაწვდილი ზღვისპირეთისაკენ იხედებოდა. კვარცხლბეკის ირგვლივ ეკატერინეს ფაორიტები ისე იყვნენ განლაგებულნი, თითქოს მეფის ტახტს საყრდენებად შედგომოდნენ. რაფაელს ეკატერინეს ძეგლი რუსეთის ისტორიის წიგნში ჰქონდა ნახული. როდესაც ეტლმა ძეგლს გარშემო შემოუარა და ეკატერინეს ქუჩით ზღვისპირეთის ბულვარისაკენ წავიდა, რაფაელი ადგილიდან წამოიწია და ცოტა დააკლდა ეტლიდან არ გადმოვარდა. გამცილებელმა ხელი სტაცა, მაგრამ რაფაელს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ისევ ადგილზე ჩაიკეცა და უმალ დაიძახა: „მამა, მამა! იცი ეს ვინაა? დედოფალი ეკატერინეა, ეკატერინე!“

იოხანანისთვის ახალი არ იყო ძეგლის ნახვა. მას არა ერთხელ შეუხედავს თბილისში ვორონცოვის ძეგლისთვის, მაგრამ ახლა რომ რაფაელმა ხმამაღლა შესძახა: „ეს დედოფალი ეკატერინეაო“, — მან შიშმოსილად, დაბეჯითებით მიიბრუნა სახე ძეგლისკენ და თავისი ბეწვიანი ქუდი ოდნავ აასწია კეფას.

მალე ეტლი ზღვისპირეთის ბულვარზე გავიდა. ახლა იოხანანმა და რაფაელმა კიდევ სხვა ძეგლი შეამჩნიეს, რომელიც დიდ სიღრმეზე ჩამავალ განიერ კიბეების დასაწყისთან იყო ამართული. გამცილებელმა არ დააყოვნა და ცნობისმოყვარეობით შეპყრობილ რაფაელს უთხრა: „ეს ძეგლი, ოდესის ქალაქის პირველი უფროსის ჰერცოგ რიშელიესია. აი ის კოლონებიანი დიდი შენობა ნოვოროსისკის მთავარმართებლის, გრაფ ვორონცოვის სასახლეა, ოცდაათ წელზე მეტს მართავდა ვორონცოვი ნოვოროსიისკის მხარეს. შემდეგ კავკასიაში მეფის ნაცვლად იყო. თქვენ იქიდან ხართ თუ არ ვცდები, არა?“

— დიახ, იქიდან, — უპასუხა სხარტად რაფაელმა თავაზიანად მოსაუბრე სასტუმროს მსახურს და მხოლოდ თვალის ერთი შევლებით მოასწრო ვორონცოვის ყვითელი ფერის სასახლისთვის შეეხედა.

ეტლი ნაცრისფერ ოთხსართულიან შენობის წინ შეჩერდა და გამცილებელ-

მაც ჩიჩერონობა დაამთავრა. იოხანანი მიხვდა,რომ რაფაელი კმაყოფილი დარჩა და ამიტომ ხუთი მანეთი მიაწოდა ნაამაგარ კაცს, როდესაც მამა-შვილი სასტუმროში, მეორე სართულზე, ორ ოთახიან ანტიკვარული მებელით მორთულ ნომერში დაბინავდნენ.

იოახანანმა იმთავითვე გაიაზრა მდიდარი კაცის სახელით ჩასულიყო ოდესაში. იცოდა, რომ ეხლა უდროო დრო იყო რაფაელის სასწავლებელში მოწყობა და ამიტომ გადაწყვეტილი ქონდა ხარჯს არ დარიდებოდა. „შეძლების პატრონს უარს ვერ მეტყვიანო“ — ფიქრობდა იოხანანი.

* *
*

ათი დღე დაჰყო იოხანანმა ოდესაში. ზოგიერთების დახმარებით საჭირო ხალხი მოინახულა და რაფაელის გიმნაზიაში მიღებაც უხლაფორთოდ გააწყო. ორიოდე გავლენიან პირთან შეხვედრის შემდეგ, მხოლოდ ერთხელ დასჭირდა იოხანანს სასწავლო ოლქის მზრუნველის ნახვა. მზრუნველმა თვალი გადაავლო რაფაელის საბუთებს, სწავლაში დაშვებული შუალედის მიზეზი იკითხა, თვითონ რაფაელს გაესაუბრა და მეორე გიმნაზიის დირექტორის სახელზე პატარა მიმართვა დასწერა თხოვნით: „გამონაკლისის სახით გთხოვთ ჩარიცხოთ გამოსაცდელი ვადით“. მზრუნველმა ამასთან არც ის დაივიწყა ეთქვა რაფაელისათვის, რომ ოდესას თავის საკუთარი ებრაელობა საკმარისად ჰყოფნიდა, მაგრამ მის შესახებ მეტად პატივსადებმა პირებმა სთხოვეს და პირველ რიგში ეს მიიღო მხედველობაში.

რაფაელს გველნაკბენივით მოხვდა გულში მზრუნველის სიტყვები და ყმაწვილმა მთელი სიმწვავით იგრძნო ეროვნული უთანასწორობა და იმ სიმდიდრის არარაობაც რაც მის მამას გააჩნდა. ზვიადი ხასიათის მქონე რაფაელმა ვერ მოითმინა დამცირება დიდი მოხელისგან, მთხოვნელის გამომეტყველება სახიდან ჩამოშორდა და ალმურმოდებულმა მტკიცე ხმით მიმართა მზრუნველს: „მოწყალეო ხელმწიფევ, ჩემი ებრაელობა ვის რას უშავებს?!“

იოხანანმა რაფაელის სახეზე უმალ ამოიკითხა, რომ რაღაც მოხდა და შვილი ერთი სიტყვით დატუქსა: „იყუჩე!“, შემდეგ მზრუნველს სახეში შესცინა და ანიშნა, რომ მის უდიდებულესობას არ მმართებდა ბრიყვთან თავის გაცვლა.

მზრუნველი თითქოს წამით შეკრთა კიდეც, ადგილზე შეირხა, სკამის ზურგს მიეყრდნო და დაბეჯითებით დააკვირდა რაფაელს.

რაფაელი ანთებული თვალებით უყურებდა მზრუნველს, რომელიც გადასაცემ კონვერტს ნეკით მრავალმნიშვნელოვნად ეხებოდა. მზრუნველმა არჩია ბოლომდის გაეწია ანგარიში გავლენიან პირებისათვის. თავად მიხვდა, რომ წინდაუხედაობა მოუვიდა და არ ღირდა ამის ამბად გახმაურება. შემდეგ კონვერტი მიმადლებულად გაუწოდა იოხანანს. იოხანანმა ბარათი მკერდთან მიიტანა და მადლობის ნიშნად მდაბლად დაუკრა თავი. რაფაელის სახე კი ამ წუთში მხოლოდ ზიზღს გამოხატავდა მზრუნველისადმი. როცა რაფაელი კაბინეტიდან გამოსასვლელად რამდენიმე ნაბიჯით ზურგშემობრუნებულად დაიხია, მზრუნველმა უკმაყოფილო კილოთი გააფრთხილა რაფაელი: — „უფროსის წინაშე ქედმაღლობა არ შეიძლება და გიმნაზიელს ასეთი საქციელი არ შეშვენისო“.

იოხანანმა კვლავ თანხმობის ნიშნად დაუკრა თავი მზრუნველს და დაუდასტურა, რომ ის მართალი იყო.

როცა იოხანანი და რაფაელი ტალანში გავიდნენ, იოხანანმა დაამშვიდა ვაჟი: „რას ვიზამთ შვილო, აკი გეუბნებოდი ასეთია ჩვენი ბედითქო“. თან იქვე დაარიგა, რომ მას საერთოდ ყველაფერში თავის შეკავება მართებდა და შემდეგში აღარ გაებედნა მსგავსი რამ.

— არა მამა, მართალი არ ბრძანდებით! მე რა თქმა უნდა, მეტს აღარაფერს გავიმეორებ, ან რა შემიძლია,

მაგრამ ადამიანს რჯულის მიხედვით არ უნდა სთვლიდნენ ადამიანად და ამას ბოლო უნდა მოეღოს, — მიუგო რაფაელმა.

— ეგ შენი საქმე არ არის, ამაზე სხვამ იზრუნოს, შენ შენ საქმეს მიხედე და მამაშვილობას გზას ეწიე თორემ, მე არც ისე დიდი ხნის სიცოცხლე მიწერია! — უკვე თხოვნით მიმართა იოხანანმა რაფაელს და კამერდინერისგან გამოწვდილ პალტოში ხელები გაუყარა.

* *
*

იოხანანმა კნიაჟევსკის ქუჩაზე, გიმნაზიასთან ახლოს, ერთმორწმუნე მინკოვსკის ოჯახში ცალკე ოთახი დაუქირავა რაფაელს. დიასახლისს ხარჯის შესახებ გაურიგდა და თანაც სთხოვა, რომ სუსტი ჯანმრთელობისა იყო მისი შვილი და განსაკუთრებული ყურადღება მიექცია მისთვის. ფართე მკერდიანმა ფრიდამ ღიმილით დაამედა იოხანანი, რომ არაფერს დააკლებდა და როგორც შვილს ისე მოუვლიდა.

იოხანანი ანგარიშის კაცი იყო და თვისებად ქონდა არავის ვალი არ შეერჩინა. იგი თავისი საქმიანობის წარმატების ერთ-ერთ საწინდარს ამაში ხედავდა. იოხანანმა რაფაელის ადვილად დაბინავებას მიაღწია და ამის აღსანიშნავად საგანგებოდ გამართულ ვახშამზე, ორჯერ მიიწვია რესტორანში, ისინი ვინც შუამავლობა გაუწია გავლენიან პირებთან და თან მათთვის საბოძებელი ზოგიერთი რამ გადასცა, რის შესახებ მხოლოდ მან და შუამავლებმა იცოდნენ.

იოხანანმა შეძლებისდაგვარად შემოიარა ოდესის ცენტრალური კუთხეები, განსაკუთრებით სავაჭროები დაათვალიერა და როდესაც დერიბასის ქუჩაზე ორსართულიანი პასაჟი ნახა, როგორც თავისი თავი, ასევე მისი დარაბებიანი ორი სავაჭრო უმწეოდ ეჩვენა. ეხლა აქ, იოხანანის თვალში ყველაფერი განსხვავებულად და დიდად ჩანდა. ერთი სახლი მეორე სახლს იყო გატოლებული. თეატრში არ შესულა, მაგრამ როდესაც გაიგო რომ, ქალაქის შუაგულში მშვენიერი ყვავილივით ამოსული შენობა თეატრი იყო, ისიც შეადარა ქუთაისის თეატრს, იოხანანი არც ქუთაისის თეატრში ყოფილა არასოდეს, მაგრამ მან მაინც უპირისუფლოდ წარმოიდგინა ქუთაისის ბულვარის ბოლოში მდგარი უფერული სახლი, რომლის წინ უსაქმო ჩოხიანი ახალგაზრდობა თამბაქოს ეწეოდა და ლაზღანდარობაში ჰკლავდა დროს. ხანდაზმულმა ებრაელმა სინაგოგაც არ დატოვა უნახავად. თუმცა ცხოვრებაში ჩაკვირვებულ იოხანანს ახალგაზრდობიდანვე არაფრად წამდა არც სინაგოგა და არც იქ მოსმენილი ქადაგება, მაგრამ მას ეს არასოდეს არ გამოუმჟღავნებია და ეხლა მოხუცმა მხოლოდ ცნობისმოყვარეობისათვის შეიხედა შიგ და წესიც შეასრულა. სხვა რამ საქმე აღარ ჰქონდა იოხანანს ოდესაში და გამგზავრების დროც მოვიდა. ვიდრე იოხანანი ოდესაში იყო რაფაელი გვერდიდან არ მოუცილებია. ეხლა სასტუმროდან ეტლით მიიყვანა ბინაზე. ისე გაიარეს მათ მანძილი, რომ თითქმის არც კი შეუხედია იოხანანს რაფაელისათვის. არ უნდოდა შვილისთვის ეგრძნობინებია როგორ უმძიმდა მასთან გამოთხოვება. ამ წუთებში მეტად განიცდიდა საყვარელ ვაჟთან დაშორებას და გულის სიღრმეში კიდეც დატუქსა თავისი თავი იმ ეჭვისათვის, რამაც ასე შორს და გადაუთქმელად წამოაყვანინა სიბერეში იმედად შეძენილი ბიჭი. იოხანანმა ცალი ფეხი ჩამოდგა ეტლის კიბეზე, ნახევარი ტანით გადაიხარა ეტლის თვალთან ახლო მდგარ რაფაელისაკენ და გრძნეულად ჩაეხვია. რაფაელი მარჯვენა მკერდთან მიეკრა იოხანანს, ფეხის თითებზე აიწია და წვერებქვეშ ერთხელ აკოცა მამას თბილ ყელში. იოხანანმა თავისი ხშირი და ფართე წვერი თავზე გადააფინა გარინდულ ბიჭს და მთრთოლვარედ დაუსვა ბეჭებზე ხელი. ორიოდე წამს გასტანა ამ ყოფამ. შემდეგ იოხანანმა უსიტყვოდ დაჰკრა რაფაელს მხარზე ხელი და ამით უკანასკნელად დაარიგა

შვილი. რაფაელის მხარზე იოხანანის ხელის შეთამაშება, თითქოს ნიშნად გადაეცა ცხენებს და ეტლიც უნებურად დაიძრა ადგილიდან.

ეტლმა ერთი კვარტალის კუთხეში მიუხვია. რაფაელმა ღრმად ამოისუნთქა და ერთხელ კიდევ გახედა ქუჩის იმ კუთხეს სადაც თვალთაგან მიეფარა მას იოხანანი. იდგა ერთხანს ასე რაფაელი, შემდეგ ფრთხილად შეაღო სახლის შესასვლელი, ნელი ნაბიჯით აიარა კიბეები და მეორე სართულზე მორიდებულად ჩამოჰკრა ზარს.

იოხანანმა ჩვეულებისამებრ ერთმანეთზე გადაჯვარედინებულ ფეხებს შუა ჩაიდგა ჯოხი და მის მსხვილ ბოლოს ისე ჩამოაყრდნო ნიკაპი, რომ წვერი ორფად დაეკეცა.

კუბური ქვაფენილით მოგებული პუშკინის გრძელი და ლარივით გაჭიმული ქუჩა, ეტლმა სწრაფად გაიარა და და ქუჩის ბოლოს ხალხით სავსე რკინიგზის სადგურის წინა მოედანი გამოჩნდა. მხოლოდ ახლა შეამჩნია იოხანანმა, რომ ცრემლები მოსდგომოდა თვალებზე. დაბერილ ქუთუთოებთან ცხვირსახოცი მიიტანა, მაგრამ ორმა ცრემლმა მაინც მოასწრო დაღარულ ლოყაზე ჩამოგორება და იქვე, წვერებს გადაჭდობილ ულვაშებში გაიბნა. ეს იყო და ეს. იოხანანის გონება ისევ საქმიანმა ფიქრებმა მოიცვეს. ხელბარგი მებარგულეს მიაწოდა და დამტვრეული ენით ამცნო რომელი მატარებლით და ვაგონით მიდიოდა. მაღალთაღებიანი მოსაცდელი დარბაზის კარები მოკრძალებით გააღო კარისკაცმა და იოხანანმაც ვერცხლის ათმაურიანი ჩაუდო ხელში. ამაზე კარისკაცმა კვლავ შესცინა სახეში და ბაქანზე გავლით საერთაშორისო ვაგონამდის მიაცილა. ვიდრე მატარებელი არ დაიძრა იოხანანი ადგილიდან არ ამდგარა.

**ხიზნები**

თოვლი დასდო. გადათეთრდნენ პატარა ოდები, ეზოები, ღობე--მესერები.

ჯანის დაღუპვის შემდეგ აბრაამი ძველ ხელობას დაუბრუნდა: მიგდებული ჩაქუჩი, ჟანგმოდებული წვრილი ლურსმები, სოფელ-სოფელ მოგროვილი დაღრეკილი თუნუქის ნაჭრები გამოძებნა და გატეხილი გობების, ხის ჯამების და ვარცლების შეკეთებას შეუდგა.

ქხლა ნამგალივით მოხრილი აბრაამი კიბე ჩამორღვეულ სახლის აივნის კუთხეში იჯდა, ბოლოწაყვითლებული გრძელი წვერი აკანკალებულ თითებში ეხლართებოდა, თავისივე ნასუნთქი ცალშუშიან სათვალეს ორთქლად ედებოდა და შემდეგ ჟონადქცეული ნაორთქლარი ცხვირის წვერზე წვეთებად ჩამოსდიოდა. სახლში ბნელოდა, მინების ნაცვლად ფიცრები ქონდა აჭედილი ფანჯრებს, ცეცხლი მაინც არ ენთო და აბრაამისათვის სულ ერთი იყო საცა უნდა მჯდარიყო.

მოშე საპარასკეო ბაზრობაზე იყო წასული და რებეკა გულგადალეული ელოდა: „შიშველი მყავს, შიშველი! გამიცივდება და რაღა ვქნაო“ — უჩიოდა თავს.

დაღამდა. აბრაამმა აჰყარა თავისი სახელოსნო და ხელსაწყოები სახლში შეახრიგინა. რებეკამ მოშეს მოსვლისთვის ბუხარში ცეცხლი დაანთო. აივნიდან ფეხის ხმა მოისმა, რებეკა კარებში შეეგება შვილს, ხელი მოხვია და გათოშილი მოშე ოდნავად გამთბარ ოთახში შეიყვანა. გაყვითლებულ სახეზე ლურჯად აჩნდა ყმაწვილს ძარღვები.

მოშემ დაიჩივლა: „ლუკმის ჩადება არ შემიძლია, ძლივს ვახელ თვალებს და დამაწვინეო“.

— ვაი შენ დედას, შვილო! არ შეგიძლია? აბა რა ვქნათ? დიდი თოვლი ადევს სახლს და... ვერავინ ვიშოვე... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა რებეკამ.

* * *

შუაღამე გადავიდა. ბუხარში სველი შეშის ორი ნაჭერი შიშინებდა. შიგა და შიგ გამოიღებდა ალს. ყველას ეძინა

რებეკას გარდა. ცეცხლთან იყო რებეკა მიმჯდარი და მბჟუტავ შუქზე წინდებს ქსოვდა. თითებგაწაფულს მომავალ საპარასკევოდ ხუთი წყვილის მოქსოვა უნდა მოესწრო. ოჯახის დედა გუნებაში ანგარიშობდა რაში მოიხმარდა ნაშოვნ ფულს: ერთ ფუთ ფქვილს იყიდდა და ერთხანს გაიტანდა ჯალაბს.

უეცრად დასავლეთის ქარმა ამოიქროლა და სოფელს თავზე გადაუზუზუნა.

— დავიღუპები ნამდვილად! ვერ იქნა და ვერ გავამაგრე ბოძები, — ჩაიბუტბუტა რებეკამ და ჭერს თვალი შეავლო.

ქარი გამძაფრდა, შეჭრაჭუნდნენ სახლის პირდაღებული კედლები.

— ბატონო, ბატონო! — დაადგა თავზე მამამთილს რებეკა. გამოიღვიძე ადამიანო! ცუდი საქმე მოგვივა, გამჩენის მადლმა!

სახლმა ქანაობა დაიწყო.

— მოშე, შვილო!.. ბაღნებო! ადექით ზევით! — დაიძახა დამფრთხალი ხმით ქალმა,

ოთახში თავზარდამცემი ჯახანი გაისმა და ამ ხმაურმა ყველა ფეხზე წამოყარა. გამოფიტულმა ძელებმა ვეღარ შეიმაგრეს სახურავი და სახლის ერთი კუნჭული ჩავარდნილი ცომივით ჩაიზნიქა.

კვლავ განმეორდა მსხვრევის ხმა. სახლის სარტყელი გატყდა, ნახევარი კედელი ქვეშ დაიტანა და ყავარ-აგლეჯილი თავანი ზვავივით ჩაშვავდა.

ძლივს გამოასწრეს გარეთ.

შემდეგ ქარიშხალი მინელდა, იაცხრა, თითქოს მარტო რებეკას მოევლინა ცის წყრომა. რებეკამ თვალი მოავლო დანგრეულ ქოხს, ამოიკვნესა და თავში შემოიკრა ხელი.

მეზობლები შეგროვდნენ.

ყველაზე ადრე სიმა გამოჩნდა, ამ უბედურების პირველი მოწმე გახდა და ამ წუთებში მოაგონდა კეთილმა ქალმა რომ შეივრდომა და დარბევას გადაარჩინა მამის ოჯახი. „ეხლა დიდი საქმეა, სიმამ შეიფაროს გაუბედურებული ხალხი?“ — გაიფიქრა მან და სხვების დაუკითხავად [illegible] შერეკა თავის ოთახში უსახლკაროდ დარჩენილები .

მეორე დღეს მოშე და რებეკა ნანგრევებში მოყოლილ საოჯახო ნივთებს ეძებდნენ და აგროვებდნენ.

იოხანანისას უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ სიმაზე და ცალ-ცალკე თავისთვის ბუზღუნებდნენ. ამაზე არონმა სიტყვა მოუჭრა ყველას და თანაც გააფრთხილა ჩაჩუმებულიყვნენ: — „მისი ნებაა, რაც უნდა ის ქნას — მამამ ასე დაიბარა, არ აწყენინოთო... ჰოდა, დაახვედროს ახლა მზითევი!..“

მხოლოდ სეიდიხას ეკავა სიმას მხარე, რაფაელის ავადმყოფობის დროს მოენადირა მოხუცის გული.

* *
*

კრიხელის ეზოში კიდევ იდგა იოხანანის მამისეული ერთთვალიანი ისლით დახურული სახლი. სიმამ ეხლა ამ სახლში დააბინავა ხიზნები.

ოთახის კუთხესთან მიდგმულ ტახტზე, რებეკა დაკონკილ ლოგინს შლიდა ბავშვებისათვის, ჭრაქის სინათლეზე გამხდარი ტანის სილუეტი გამჭვარტლულ კედელზე ლანდად ირხეოდა და ამ შუქზე რებეკა მოჩვენებას უფრო ჰგავდა ვიდრე ხორცშესხმულ ადამიანს.

რებეკა მორჩა ლოგინის გაშლას და ბებია ხანას კალთაში ჩაძინებული პატარა დებორა ლოგინში ჩასაწვენად ხელში აიყვანა. შემდეგ კერასთან ჩამოჯდა, მოშესთვის რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ნაკვერჩხლებს ჩააშტერდა, თითქოს იქ ეძებდა პასუხს საიდან დაეწყო სიტყვა. მერე ერთბაშად ასწია თავი და მოშეს მიმართა:

— მოშე, შვილო! ხომ ხედავ არაფერი გამოდის ამ წოწიალით, რამდენი დუგმა, ლილა ან ნემსი უნდა გაჰყიდო, რომ პატრონსაც მოგება მიუტანო და შენც სარგებელი ნახო? ჩამოხმი შვილო, კისერი დაგიგრძელდა, სანამდე უნდა იარო ასე?

მოშემ ფართოდ გაალო თვალები და გაკვირვებით შეხედა დედას, რებეკას ჯერ ასეთი რამ არასოდეს არ უთქვამს მისთვის.

— რა ვქნა დედა, რა გავაკეთო? — ნაღვლიანად უპასუხა მოშემ.

— რა შვილო და ყოვლად მოწყალე გამჩენმა თავისი მადლი გამოგზავნა ჩვენზე, ღვთის ადამიანი გვაფარებს თავის კალთას. ვერ ხედავ როგორ გვპატრონობს? სიმა ხშირად დაბრძანდება აქ, ვეცოდებით, შვილო, თავათაც ღარიბი ოჯახის შვილი ყოფილა, გულს არ უხარებს კრიხელების სიმდიდრე, მარა რა ქნას, ბედს ასეთი ბერიკაცი ურგუნებია და ისიც ითმენს. ხომ იცი, იმ უბედურ დღეს მან შეგვაფარა ამ ჰერქვეშ! ეს კი არა ევაც აიყოლია, შენ რომ საქმეზე მიდიხარ, სანახევროდ ჩემთანაა და ხან რას მეტყვის და ხან რას.

— ვიცი დედა, როგორ არ ვიცი, — სთქვა მოშემ და საბანს გარეთ გამოყოფილი ფეხი ცეცხლს მიუშვირა.

— ჰო და, შვილო, ახლა სიმამ არონს სთხოვა და დუქანში აგიყვანეს. ერთხანს ხელზე ემსახურები, მერე „პრიკაზჩიკად" გადაგიყვანო, უთქვამს არონს.

მოშე ჭრაქს სწვდა, პატრუქი ამოსწია და დინჯად დაილაპარაკა:

— დედა, არ მიხარია ეს ამბავი, ასე მირჩევნია.

— რატომ შვილო, რატომ ამბობს მაგას?

— იმიტომ რომ მერე სულ ყურმოჭრილ მონად გამიხდიან.

— შვილო, შენც მამაშენის ხასიათი გაქვს, ისიც ასე იყო და გაჭირვებაში ამოხდა სული. ხომ ხედავ მეც აღარ შემიძლია, შეხედე შვილო, შეხედე?— და რებეკამ მოშეს დაკორძებული ხელები გადაუშალა თვალწინ.—ცოდვა არა ვარ? მეც მეჭირვება თუ არა მომხმარე?... გასმევენ, გაჭმევენ, ჩაგაცმევენ და თვეში ხუთ მანეთს ჯამაგირს მოგცემენ. ეხუმრები შენ ამას? თუ არა და მოვკვდები და მერე სულაც რა ეშველება ბაღანებს?

— კარგი ჩემო დედა, წავალ, როგორც შენ მეტყვი ყველაფერს ისე გავაკეთებ.

რებეკამ შვილს ხელი მოხვია, აკოცა, ლოყა-ლოყაზე მიადო და გაირინდა.

### მეორე ზიარება

ფრიდას მეუღლე რავინ მინკოვსკი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. გენის ქარხანაში მსახურობდა რავინი, უკანასკნელ წლებში ას მანეთამდე ჰქონდა ხელფასი. ბეჯით ამსრულებლად სთვლიდნენ. ადრე დაცოლშვილებულ რავინს თითქმის ძმასავით მოსწრო ერთადერთი ვაჟი ილია, რომ მუცლის ტიფი შეხვდა და მოკვდა. ბევრი არაფერი დაუტოვებია რავინს ოჯახისათვის. ქმრის უეცარმა სიკვდილმა ფრიდა მხნე და მარჯვე გახადა, რავინის უკანასკნელი სათხოვარი აღასრულა; გიმნაზიის დამთავრებისთანავე ილია უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე შეიყვანა.

ეხლა, როცა რაფაელი მდგმურად მივიდა მათთან, ილია მეორე კურსის სტუდენტი იყო. რაფაელის მობინადრეთ აყვანამ, ილია ერთგვარად შეავიწროვა კიდეც, მაგრამ სხვა საშუალება არ იყო. ფრიდას არავინ ჰყავდა შემწე, ოჯახს კი არსებობა ესაჭიროებოდა.

პირველ შეხვედრისას ილიამ ცოტა რამ გამოჰკითხა რაფაელს: საიდან იყო, ვინ იყვნენ მისი მშობლები და რატომ ჩავიდა ოდესაში, როცა მხოლოდ უკანასკნელი წელიღა ჰქონდა დარჩენილი გიმნაზიის დამთავრებამდე. სულ სამიოდე წლით იყო რაფაელზე უფროსი, მაგრამ ილიამ თანატოლივით მიიღო სტუმარი.

რაფაელმა ორიოდე სიტყვით უთხრა საიდან ჩამოვიდა და ვინ იყო მისი მამა. მხოლოდ ოდესაში ჩასვლის მიხეზად მამის უბრალო სურვილი დაასახელა, უმძიმდა მას ყველაფრის გახსენება და ეხლა რაც არ უნდა სანდომიან კაცად ჩვენებოდა ილია, ჯერჯერობით ყველაფერს მაინც არ ეტყოდა.

ილიამაც ასევე მოკლედ უთხრა რა-

ფაელს ზოგიერთი რამ თავის შესახებ და ბოლოს მომღიმარი სახით მიმართა: — „მაშ ასე, დღეიდან მეზობლები ვართ და ვიმეზობლოთ!“

ილიას და რაფაელს შორის მეგობრობა სწორედ იქიდან გაიბა, როცა მათ პირველად ქალაქში გაისეირნეს.

დეკემბრის ნისლი მძიმედ იწვა სანაპიროზე და ზღვისპირეთის ბულვარში მოსიარულეთა ფეხქვეშ ყვითლად ნაცვენი ფოთლების ტკაცა-ტკუცი ისმოდა. ზღვისპირეთის ბულვარის ერთ თავში ამპირის სტილზე აგებული ვორონცოვის სასახლე და ბულვარის მეორე ბოლოში მდგარი ქალაქის საკრებულო თავისი კლასიკური კოლონადით ამაყად გადაჰყურებდნენ ქალაქში რკალად შეჭრილ ნავსადგურს.

— „ოდესა რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი და ახალი ქალაქია, ოთხასი ათასამდე მაცხოვრებლით. აქაურობის გული აი ეს ადგილი, ნავსადგურია. ახლა გახედე იმ ანძებს, ისინი სულ სავაჭრო გემებია. ყოველწლიურად ორას მილიონამდე ფუთი ხორბალი გადის აქედან უცხოეთში. აი, ამ კიბეს ჩვენ რომ ეხლა ავდივართ, ეკატერინეს კიბეს ეძახდნენ, ახლა მას პოტიომკინის კიბე ქვია. რვა წლის წინათ აქ, ამ კიბეების საპირდაპიროდ სამხედრო გემი „თავადი პოტიომკინ-ტავრიჩელი“ მოადგა ნაპირს აჯანყებულ მუშათა დასახმარებლად. ოდესის მუშები სიხარულით და იმედით შეხვდნენ გემს და აქეთკენ მოაშურეს. ამ დროს პოლიციამ და ჯარმა ტყვიები დაუშინა მათ და კიბეებიც ადამიანთა სისხლით შეიღება...“

რაფაელი დაძაბული უსმენდა ილიას და დრო და დრო გაოცებული შესცქეროდა სახეში — უკვირდა საიდან იცოდა ილიამ ამდენი. რაფაელი მიხვდა, რომ ილიამ ყველაფერი არ უთხრა და ამიტომ მთელი ცნობისმოყვარეობით ჩაეძია პოტიომკინის ამბავს. ზედი-ზედ ჰკითხა რატომ აჯანყდნენ ოდესაში მუშები, რა უნდოდათ მუშებს, პოტიომკინის გემმა რა გააკეთა და რით დამთავრდა ყველაფერი ეს.

ილია შედგა, ორჭოფულად შეხედა რაფაელს, თითქოს გადაწყვიტა კიდეც მოკლედ ეთქვა რაც იცოდა ამის შესახებ, მაგრამ აზრი შეიცვალა და ამჯობინა სხვა დროს, უფრო სრულად და აზრჩადებით აეხსნა რასაც რაფაელი ეკითხებოდა. ილიამ რაღაც გაიმიზნა კიდეც თავისთვის ამ წუთებში!

— რაფაელ, მოდი ეხლა ქალაქში გავიაროთ, ჰოდა პოტიომკინის შესახებ შემდეგ გეტყვი, — უთხრა ილიამ რაფაელს მზრუნველი კილოთი, მკლავში ხელი გამოსდო, ნელი ნაბიჯით კიბეები აათავეს და რიშელეის ძეგლთან შეჩერდნენ. ახლა რაფაელმა მთლიანად დაინახა რიშელიეს ფიგურა. პირველად, კი ეტლით რომ გამოიარა ბულვარზე მხოლოდ ზურგით მდგომარს მოჰკრა თვალი ის-ის იყო ილიამ დააპირა ეთქვა ვისი ძეგლიც იყო, რომ რაფაელმა თვითონ დაასწრო ილიას და უთხრა: „ვიცი, რიშელიეს ძეგლია“. „აქ რომ ჩამოვედით პირველად ამ ქუჩაზე გამოვიარეთ და სასტუმროს აგენტმა მაჩვენა“.

როცა ეკატერინეს ქუჩით ოპერის თეატრს შორი-ახლოს გაუარეს და დერიბასის ქუჩაზე გავიდნენ რაფაელს ენიშნა ილიას სიტყვები: „ოდესა ღამით უფრო ლამაზი და თვალმომჭრელიაო“.

რაფაელი ხმაამოუღებლივ მიჰყვებოდა ილიას და ინტერესით ათვალიერებდა იდეალურად დაგეგმილ კვარტალებს შორის ბოფოს, ფელნერის, ბერნარდაცის და სხვა განთქმულ ხუროთმოძღვართა ქმნილებებს, რომელთა მაღალმთიან ფანჯრებიდან ელექტრონის ჩირაღდნები კამკამით ფენდნენ სინათლეს ლარივით სწორ ქუჩებს.

ილია გზადაგზა უხსნიდა რაფაელს: „აი ეს, ასე რომ ბრწყინავს ბირჟაა, ეს სასტუმროა, ეს კი ფანკონისა და რობინის კომფორტაბელური რესტორნებია. აქ, ოდესის მილიონერები: ბარაზლები, ანატრები, რალლები და აშკენაზები ბროლის ჭიქებს აწკარუნებენ და შამპანიურებში ილრჩობიანო“.

იოხანანმა ქუთაისის სავაჭროები ოდესის სავაჭროებს შეადარა და ქუთაისის მეტად პატარად, უბადრუკადაც კი ეჩვენა.

ახლა რაფაელიც ადარებდა თავის ქუთაისს ოდესას. თუმც ის პირველი გაოცება, რომელიც მას ოდესაში ჩასვლისას სახეზე გამოეხატა ეხლაც შერჩენილი ქონდა, მაგრამ ქუთაისი მაინც მისი ქუთაისი იყო და ამიტომ სასწორზე არ დაუდევს მას რომელიმე მათგანის უმჯობესობა.

— მოგწონს რაფაელ?ასეთია ქუთაისი?

— მომწონს, ძალიან მომწონს, დიდია, ლამაზიც, — უპასუხა რაფაელმა და განაგრძო: შენ მკითხე „ასეთია ქუთაისიო?“, გეტყვი. ქუთაისიც ლამაზია. ვაკეზე გაშლილი და გორაკებზე შეფენილი ქალაქია. ოდესას ზღვა აკრავს; ქუთაისს კი ყვითელფერა ჩქარი მდინარე ჩამოუდის შხუილით. მთვარიან ღამეში, სადმე ქალაქის განაპირა ადგილზე ყური რომ დაუგდო მის აქაფებულ ტალღების ტლაშუნს, იცი რამდენ რამეს გაიგონებ? ქალაქის შუაგულში მთის კორტოხია წამომდგარი და იქიდან ძველისძველი ტაძრის ნანგრევები იხედება, ბაგრატის ტაძარი ჰქვია. ეხლა მხოლოდ თაღი და წელში გადამტვრეული სვეტებიღაა შერჩენილი, — თავისი დიდი, სართულებიანი, დანგრეული გალავნით ნამდვილად ათენის აკროპოლსა ჰგავს, სურათებში რომ მინახავს. ხომ ჩამოხვალთ ოდესმე, თქვენ თვითონ იხილავთ, ქალაქის ჩრდილო აღმოსავლეთით — 3 — 4 კილომეტრში მთის ფერდობზე მეთორმეტე საუკუნის ტაძარი დგას, გელათის მონასტერს უწოდებენ. მრავალჟამს გადარჩენილი დღემდის ხელუხლებლადაა მოღწეული. მყუდრო სავანეში იგრძნობს ადამიანი თავს, როცა ტაძრის გალავნიან ეზოში შევა. იდუმალ სიჩუმეში მხოლოდ შორიდან მოტანილი ხმაური თუ ჩაწვდება კაცის სმენას. აი, აქ უნივერსიტეტია. იმ ტაძარში კი, მეთორმეტე საუკუნეში აკადემია იყო.

— აკადემია?“ — იკითხა გაკვირვებით ილიამ.

— ჰო, აკადემია, „ახლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმი და სხვად ათინა“ არისო გელათი, უთქვამს ჩვენთვის ქართული ენის მასწავლებელს.

ილია ინტერესით უსმენდა რაფაელს. მან ამის შესახებ დაახლოებით იცოდა მასთან ერთად იურიდიულ ფაკულტეტზე მოსწავლე ქართველ სტუდენტებისაგან, ხოლო ეხლა მისი ნაამბობით ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ მართლაც მშვენიერი ქვეყანა უნდა იყოს ეს საქართველო თავისი ხალხითაო. თან დაუმატა: „უკვე ორი წელია ერთად ვართ ფაკულტეტზე გიგა ხელიძე, მიშა მარშანია, გრიშა თოფურიძე, მიტია იაშვილი, სევა ჯაფარიძე და უნდა გითხრა ნამდვილად კარგი ბიჭები არიანო“.

ილიამ რაფაელს მკლავში გამოსდო ხელი. რაღაც ნათესაური სითბო იგრძნო რაფაელმა და ეხლა მას სავსებით გაეფანტა ის გამოუცნობი და სახელდაურქმეველი შიში, მისდაუნებურად რომ დაეუფლა ოდესაში წამოსვლისას.

— რესტორანში ხომ არ შევიდეთ ილია? — შესთავაზა რაფაელმა.

— ეხლა გვიანაა და მეორეც რესტორანში ჩვენი ადგილი არაა, — უპასუხა ილიამ რაფაელს და შეუჩერებლივ სახლში გაეშურნენ.

— ჰო, იმას გეუბნებოდი, ქუთაისი თავისებურად ლამაზია, მაგრამ აი ეხლა, როცა მის უსწორ-მასწორო ქუჩებს, დაფეხვილ სახლებს და უსუფთაო უბნებს ვიხსენებ, ვერ გამიგია, როგორაა რომ ზოგან ადამიანები ასეთ სიკეთეებს ქმნიან, ზოგან კი სიბნელიდან თავს ვერ აღწევენ, — სთქვა რაფაელმა და ისე შეხედა ილიას, რომ ილიამაც პასუხი არ დაუგვიანა.

სახლში მისვლამდის ილიამ მოასწრო ეთქვა, ყველაფერი ეს სხვადასხვა გარემოებით აიხსნებაო. „ოდესა ისეთ დროს და ადგილზე დაარსდა, რომ ყველა პირობები ქონდა მას ასე სწრაფად განვითარებულიყო. მთავარი ის იყო,

რომ სამხედრო მნიშვნელობასთან ერთად, ოდესას იმ თავითვე უდიდესი სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა[1]. ოდესაში რამდენიმე ათასი სავაჭროა, ფაბრიკა-ქარხნების დიდი რაოდენობაა, ყველაფერი ეს და კიდევ ბევრი სხვა რამ, რა თქმა უნდა ქალაქის დროულ კეთილმოწყობასაც უწყობდა ხელს. მაგრამ თავიდგანვე ასე როდი ყოფილა, აი თუნდაც პუშკინის ერთ ტაეპს გეტყვი და გაიგებ როგორიც იყო ოდესა:

А где бишь, мой рассказ несвязный?
В Одессе пыльной, я сказал.
Я б мог сказать: в Одессе грязной —
И тут бы право, не солгал.
В году недель пять-шесть Одесса,
По воле бурного Зевеса,
Потоплена, запружена,
В густой грязи погружена». —

ხომ არ გგონია რაფაელ, აქ მართლაც ყველაფერი ასე ბრწყინავს როგორც ეს ქუჩები? არა, ეს მხოლოდ ცენტრშია ასე, იმიტომ რომ მილიონერები, შეძლებული მოსახლეობა და მოხელეები ცხოვრობენ, თორემ აბა გაიარე პერესიპის, მოლდავანკის და სლაბოდკის უბნებში, მათ მრუდე და დაჩიჩქნილ ქუჩებზე? გულშემზარავ სურათს წააწყდები — მყრალი დატბორილი გუბეებით ჰაერია მოწამლული და ულიმლამო, ისლით დაფარულ, დამპალ ქოხმახებში, ხალხს შიმშილსა, ავადმყოფობასა და სიღატაკეში სული ამოსდით. ილია წამით შეჩერდა და თავისთვის გაიფიქრა, ეთქვა თუ არა კიდევ რაიმე ამის მსგავსი რაფაელისათვის. მან ფილაქნებზე ჩარიგებულ ლამპიონების შუქზე ინტერესით აღვსილი რაფაელის სახე დაინახა და მისმა სანდომიანმა გამომეტყველებამ ერთხელ კიდევ დაარწმუნა ილია, რომ არა მარტო რაიმეს, არამედ ბევრი რამის თქმაც შეიძლებოდა. მან საბოლოოდ გაბედინა ილიას ეთქვა: „მაგრამ ალბათ დრო დადგება და ეს ხალხი თავს დაიხსნის, წელს წამოიღებს, სისხლს დაღვრის და თავის ნაშრომ-ნაოფლარს თვითონვე დაეპატრონება!“

რაფაელს ილიას სიტყვები: „ხალხი წელს წამოიღებს, სისხლს დაღვრის და თავის ნაშრომს დაეპატრონებაო“, მეხივით ჩაესმა ყურში და გაბრუებულმა აღარაფერი უპასუხა. სახლში მისვლამდე კი თავისთავს რამდენჯერმე ჰკითხა — რას ნიშნავდა „წელის წამოღება“.

* *
*

დეიდა ფრიდამ აღარ დაუცადა ილიას და რაფელს, იფიქრა „სასეირნოდ არიან წასული და ალბათ დააგვიანდებათო“. ვახშამი გაწყობილი დასტოვა და მოსასვენებლად სასადილო კარადის უკან თავისთვის გამართულ საწოლისაკენ ბაჯბაჯით გაემართა.

— მოხვედით? ვახშამი მაგიდაზეა, უჭმელი არ დაწვეთ! — გამოსძახა ბიჭებს ფრიდამ, როცა ოთახში შემოსულთა ფეხის ხმა შეესმა. სთქვა თუ არა ეს მშვიდად დაამთქნარა, გვერდი შეინაცვლა და ძილს მისცა თავი.

თითქოს არცერთს არ უნდოდა ვახშამი, მაგრამ მაგიდასთან მაინც დასხდნენ და თოჯინა ჩამოცმულ ჩაიდნიდან თითო ფინჯანი ჩაი დაისხეს.

რაფაელი, ფართე, ირიბად გაჭრილი თაფლისფერი თვალებით დრო გამოშვებით დაჰყურებდა ჩამუქებულ ჩაის და შეუვსებელი კოვზი ტუჩის კუთხესთან მიჰქონდა.

ილია თვალს ადევნებდა რაფაელის ჩაფიქრებულ სახეს და ისიც ნება-ნება სვამდა ჩაის. ორივე სდუმდნენ. ეხლა რომ ვინმეს გარედან შეეხედნა მათთვის და დაკვირვებოდა იფიქრებდა: „ორი სხვადასხვა წყობის ადამიანი რაღაც აუცილებლობის გამო სხედან ერთად, თორემ ერთმანეთთან არაფერი აქვთ საერთოო“. მაგრამ პირიქით, რაფაელსა და ილიას შორის უკვე სიახლოვის ისეთი ძაფები იყო გაბმული, რომ ძნე-

1 XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში ოდესის პორტიდან ყოველწლიურად 90 მილიონი ფუთი პურის ექსპორტირება ხდებოდა. 1905 — 1914 წლებში პურის ექსპორტი 20 მილიონით შემცირდა, რადგან ოდესას კონკურენციას უწევდნენ ნიკოლაევის, ხერსონის, ნოვოროსიისკის და როსტოვის პორტები. 1913 წელს ოდესაში გაცემული იყო 23 ათასი მოწმობა ვაჭრობის უფლებაზე.

ლად თუ წარმოიდგენდა ვინმე.

„პოტიომკინი, მუშები, პოლიცია, ადამიანთა სისხლი, ხალხი თავს დაიხსნის" — სიტყვა-სიტყვით იმეორებდა რაფაელი თავისთვის და კვლავ ჩაის ფინჯანს დასცქეროდა. რაფაელმა კოვზი ლამბაქზე მთელი სიგრძით დასდო და ილიას თვალით ანიშნა მეორე ოთახში გაჰყოლოდა.

— ილია, გვიან კი არის, მაგრამ ნამდვილად ვერ მოვისვენებ თუ აი ეხლა, ამაღამ, მოკლედ მაინც არ მეტყვი პოტიომკინის ამბავს, — უთხრა თხოვნით და დაჟინებით რაფაელმა ილიას და თან ისეთი მუდარით შეხედა თითქოს შემდეგში ვეღარ შეხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს.

ილია შეყოყმანდა, გადასული დრო მოიმიზეზა, მაგრამ რაფაელმა რომ კვლავ ისეთივე თვალებით შეხედა, სავარძლიდან წამოდგა და რაფაელის საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, საწოლის თავს მარჯვენა ხელით მიეყრდნო, ახლად მოკიდებული პაპიროსის კვამლი ზედიზედ შეისუნთქა და დაბალი ხმით დაიწყო: „მე კარგად მახსოვს ეს ამბავი, ეხლაც თვალწინ მიდგას რაც მაშინ მოხდა, თუმცა როგორც ყველა ჩემ ტოლს მაშინ მეც არაფერი გამეგებოდა რად მოხდა ეს. რაფაელ, მამაჩემი ერთი აქაური დიდი ქარხნის მოხელე იყო და ჩვენმა ოჯახმა გაჭირვება არ იცოდა. შენ ვაჭრის შვილი ხარ და არც შენ იცი რაა გაჭირვება. მაგრამ, გახსოვს გეუბნებოდი, ქალაქის გარეუბნებში ხალხი ჯურღმულებში ცხოვრობს და შიმშილისაგან სულს ძლივს ღაფავსთქო? ჰოდა, იცი რატომაა ასე? იმიტომ რომ მუშას ქარხნის მეპატრონე წელში გაუმართავად დღე და ღამ ამუშავებს და საარსებოდ კი რაღაც კაპიკებს აძლევს. პურის ფულადაც არ ყოფნის ეს მის ოჯახს. მეპატრონეები კი მუშების ასეთი გაღლეტით დღითიდღე მდიდრდებიან. ჰოდა, ეს ამბავი მუშას აფიქრებინებს თავი დააღწიოს სიღატაკეს, თავისუფლად ამოისუნთქოს და ადამიანურად იცხოვროს. შენ ჯერ ყმაწვილი ხარ რაფაელ და ბევრი რამ არ იცი, მაგრამ უნდა გაიგო? მუშა თავისუფლებას მხოლოდ მაშინ მიაღწევს, თუ იარაღს აიღებს ხელში და ერთიანად ამოჟლიტავს ყველას, ვინც სხვისი შრომის ხარჯზე ცხოვრობს! აი, მე ვხედავ, შეგეშინდა კიდეც. შეგეშინდა იმიტომ, რომ შენი მამაც სხვის ხარჯზე ცხოვრობს, სხვისი გაყვლეფით აქვს შეძენილი ყველაფერი და გეშინია, მასაც ასეთი ბედი არ ერგოს. მე მესმის შენი, მაგრამ აბა სხვა გზა რომ არ არის? მდიდრები რომ ყოველმხრივ ჩაგრავენ მუშებს? ტყვიით რომ უმასპინძლდებიან, როცა ისინი თავიანთ ადამიანურ ცხოვრებაზე ხმას იმაღლებენ? მაშ რა ქნას დაცხრილულმა მუშამ თუ ტყვიას ტყვიით არ უპასუხა?"

— ეგ ხომ იგივე იქნება, ილია? გამოდის ადამიანმა ადამიანი განუწყვეტლივ უნდა ჰკლას. მე კი არ მინდა ჩემი მამა ვინმემ მოკლას! — შეეპასუხა რაფაელი ილიას და კამათში უკანდახეულ კაცის გამომეტყველებით შეხედა.

— აქ შენს მამაში არ არის საქმე, რაფაელ! არც ისე გამოდის შენ რომ გგონია, თითქოს განუწყვეტლივ უნდა ჰკლას კაცმა კაცი, — უპასუხა ილიამ და წამით გაიაზრა განეგრძო თუ არა საუბარი, მაგრამ „მაშ რაშია" კვლავ რომ ჰკითხა რაფაელმა, ილია საწოლზე შეირხა და განაგრძო:

— მასში რომ როცა მშრომელი კაცი თვითონვე გახდება თავისი თავის პატრონი, მაშინ მას ვერც ვერავინ დაჩაგრავს და საერთო თანასწორობა დამყარდება. მამაშენისთანები ამ ბრძოლაში დანებდებიან, არ დანებდებიან და მაშინ არც მათ დაინდობენ, იმიტომ რომ მუშა არასოდეს არავის დაუნდვია და არც ეხლა ინდობს.

— დანებდებიან? — გააგრძელა კითხვა რაფაელმა.

— ჰო, ზოგი დანებდება, ზოგი არა,— უპასუხა ილიამ და გამომცდელი თვალებით შეხედა რაფაელს, რომელსაც გაოცება კი აჩნდა სახეზე, მაგრამ დაღლილობის ან საუბრისადმი ინტერესის

მოკლების ნატამალი კი არა.

— თანასწორობა როგორღა უნდა დამყარდეს, მდიდრების ქონება რომ ყველამ გაინაწილოს, განა ამით თანასწორობა დამყარდება? — გაახსენდა რაფაელს იოხანანის სიტყვები გემზე რომ უთხრა მას — „ბრიყვო, მე რომ ჩემი ქონება ღარიბებს დავურიგო, მათ ორი დღის საგზლად არ ეყოფათ, მე კი უარაფროდ დავრჩებიო“.

— არა, ქონების განაწილება კი არ უნდა მოხდეს, ქარხანა და მიწა საერთო უნდა გახდეს, „ჩემი და შენი“ უნდა მოისპოს, საერთო შრომა დამყარდეს და მაშინ კაცისაგან კაცის გაყვლეფაც მოისპობა. გაიგე?

— საერთო უნდა გახდეს?

— ჰო, საერთო!

— საერთო... მერე ამისთვის აჯანყდნენ პოტიომკინზე?

— ჰოო... პოტიომკინი სულ დაგვავიწყდა. მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. შენ სწორად შემეკითხე და სწორადაც გაგიგია. ამიტომ, სწორედ ამიტომ მოხდა პოტიომკინზე აჯანყება!

— მერე?

— მერე და იმ წელიწადს, ეს შენც იცი ალბათ, მეფემ პეტერბურგში მუშებს ტყვია დაუშინა, როცა ისინი თავიანთი ოჯახებით სასახლესთან მივიდნენ თხოვნით — სამუშაო დრო შეემცირებია და თავისუფლება მიეცა მათთვის. ასეთმა გამასპინძლებამ საბოლოოდ დაუკარგა ხალხს რწმენა „მამა მეფეში“ და იქ დაღვრილი სისხლი ისეთ ტალღად აზვირთდა, რომ ყველა ქალაქები მოიარა და ერთხმად გაისმოდა: „ძირს მკვლელები, ძირს ყაჩაღების ბრბო მეფის მეთაურობით, გაუმარჯოს თავისუფლებას!“ ამ ძახილს ოდესის მუშებიც გაეხმაურენ და გაფიცვები გაფიცვებზე წამოვიდა. გაფიცვები ხომ იცი რაც არის? ჰო, ივნისის თვე იყო, ქალაქს მწვავედ აცხუნებდა მზე და ბუღი იდგა. ზღვაც მოთენთილად გაწოლილიყო და აქა-იქ თითოოროლა თევზი თუ ამოჰყოფდა თავს ზედაპირზე. ჰოდა, სულის მოთქმა ჭირდა, თითქოს ჯიბრში ჩადგომოდა ბუნება ადამიანს. ხომ ასე შეხუთული იყო ცა? მიწაზე კი ოდესის მუშები გულში დაგროვილ ბოღმის გადმოსანთხევად ემზადებოდნენ. გენის ქარხანასთან მიტინგი მოეწყო და ხალხმა მრავლად მოიყარა თავი. პოლიციამ იარაღი იხმარა, რამდენიმე კაცი მოჰკლეს და ბევრიც დასჭრეს. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს და მუშებმა ქუჩებში ბარიკადები გამართეს. თორმეტ ივნისს, გითხარი კიდეც მგონი, პერესიპის უბანია აქ და ამ უბნის მუშები კვლავ შეჯგუფდნენ გენის ქარხანასთან. პოლიციამ მოინდომა მიტინგის დაშლა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ქალაქში ბარიკადების მთები დადგა და შეიარაღებული ბრძოლა გაჩაღდა. სხვათა შორის, ერთი ქართველი სტუდენტიც დაიღუპა მაშინ. იმას გეუბნებოდი, ღამით, თხუთმეტი რიცხვი რომ უნდა გათენებულიყო, ნავსადგურს აჯანყებულთა დასახმარებლად სამხედრო გემი „პოტიომკინი“ მიადგა. თვით მეზღვაურებიც აჯანყებულიყვნენ, ოფიცრები დაეპატიმრებინათ და აჯანყების სახელმძღვანელოდ კომისია აერჩიათ. ხალხი გამალებით გაეშურა ნავსადგურში, ნავებით მიქონდათ სანოვაგე მეზღვაურებისთვის. ქალაქის ხელისუფლება შიშმა მოიცვა, ვერ გაბედა აშკარად გაემართა ბრძოლა აჯანყებულთა წინააღმდეგ და ხრიკებს მიმართა — საღამოს პოლიციამ ნავსადგურში ხანძარი გააჩინა, ცის თაღამდე ავარდა ცეცხლის ალი. ვითომდა ხანძრის ჩასაქრობად ჯარმა და პოლიციამ ნავსადგური დაიკავეს. რაკი ნავსადგურს ალყა შემოარტყეს და შიგ გამაგრდნენ, უკვე ნაცადი ხერხი იხმარეს: ნავსადგურში მყოფ ხალხს განურჩევლად დაუშინეს ტყვია. ბათქი ბათქზე ისმოდა და ათობით და ასობით ადამიანი უსულოდ ეცემოდა და ცეცხლის ალში იწვოდა... ერთი სიტყვით ჯოჯოხეთი დატრიალდა“ — ილიამ ლაპარაკი შეწყვიტა და გარინდულ რაფაელს წამით თვალი დაადგა.

რაფაელი ერთხელაც არ შერხეულა, მუხლებზე ნიდაყვები ჩამოეყრდნო და თავი ხელებს შორის მოექცია . ეხლა როცა ილიამ ლაპარაკი შეწყვიტა, რაფაელმა გვერდიდან გახედა მას, ნახევრად რომ იყო მიყრდნობილი საწოლის თავს  და სახეც კი არ მიიბრუნა მისკენ ისე სთქვა ერთი სიტყვა: „მერე?

— მერე და პოტიომკინელთა  ერთი ნაწილი მტკიცე არ აღმოჩნდა, შედრკა, არც სხვა გემები მივიდნენ მათ დასახმარებლად  და  ხმელეთზე  აჯანყება ცეცხლითა და მახვილით ჩაახშეს. „პოტიომკინი“ ნავსადგურიდან მოიხსნა და ზღვაში გავიდა. როცა საწვავი და პროდუქტები შემოაკლდა კოსტანცაში რუმინეთის მთარობას ჩაბარდა. მთავრობა კი, რაღა რუმინეთის, და რაღა აქაური. აიღეს და ყველა აჯანყებული უკლებლივ გადმოსცეს რუსეთს. აქ კი თაოსნები დახვრიტეს, დანარჩენები კი გაასამართლეს და გადაასახლეს. ამბიცია ცოტას ეხდა? ბირეს. აი, ასე იყო რაფაელ! გაიგე ეხლა რად მოხდა ყველაფერი ეს? — დაამთავრა ილიამ, შემდეგ წამოდგა, წელში გაიმართა, ოდნავ გააზმორა კიდეც და ისევ პაპიროსს მოუკიდა.

— მაშ დამარცხდა აჯანყება არა? — ჰკითხა რაფაელმა და ისიც წამოდგა. სავარძლის მხარეს გადავიდა  და ოთახის კარებს ზურგით მიეყრდნო.

— მაშინ დამარცხდა! მაგრამ დროებით, იმიტომ რომ თავისუფლებისათვის ბრძოლას ხალხი არ მიატოვებს და მიაღწევს კიდეც მას! — უპასუხა ილიამ და ოთახში თავიდან ბოლომდე გაიარა, ფანჯარას ფარდა გადასწია და ქუჩას გადახედა. თამბქოს კვმლით იყო გაჟღენთილი იქაურობა. ილიამ ოდნავ გამოაღო ფანჯარა და ოთახში ღამის სუფთა ჰაერი შემოიჭრა.

— მაშ თქვენი სიტყვით ეხლაც ხდება ილია ასეთი ამბები, არა?

— როგორ გითხრა, ისეთი არა როგორც მაშინ, მაგრამ... დაახლოებით კი. რაც მთავარია იმისი დრო ჯერ არ დამდგარა!

— დადგება?

— აუცილებლად!

მეორე ოთახში საათმა სამჯერ დარეკა და აქეთ ოთახშიც გამოსცა ხმა, კედლებს გაეკრა და ჰერში მიიკარგა. რაფაელმა  თავი გააქნია, თითქოს ძალად გამოარკვიესო ისეთი გამომეტყველებით შეხედა ილიას და გულუბრყვილოდ ჰკითხა: „საიდან იცით  ამდენი? ამის შესახებ ხომ არსად არ სწერია და არც არსად ასწავლიან?“

— არა ბიჭო რაფაელ, ჯერ მე სად ვიცი ბევრი რამ. რაც მე გელაპარაკე ეს განა ცოდნაა? ყოველ მუშას რომ კითხო ისიც გეტყვის ამას და მეტსაც. მერე და როგორ არ სწერია,  სწერია და ასე?

— წამაკითხებ?

— ცოტა მოიცა და წაგაკითხებ.

რაფაელს მოუთმენლობა  აღებეჭდა სახეზე, თითქოს სთხოვდა იმ წუთშივე მიეცა მისთვის რაიმე წასაკითხად.

ილია მიუხვდა რაფაელს და უთხრა, რომ ასეთი წიგნები მას სახლში  არ ჰქონდა, „სახიფათოა მათი შენახვა და ამიტომ სხვაგან უნდა ვიშოვნოო“.

ის ის იყო კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა ილია, რომ მეორე  ოთახიდან ფრიდამ დაიძახა: „ღმერთო ჩემო, კიდევ არ გძინავთ? რაღა დროს საუბარია გეთაყვა, სადაცაა გათენდება!“

— ეხლავე დედა, ეხლავე, — შეეპასუხა ილია ფრიდას, „ღამე ნებისაო“ უთხრა ილიამ რაფაელს და ნაბიჯი გადადგა. კარებთან შეჩერდა, მერე რაფაელთან ახლო მივიდა  და ჩურჩულით უთხრა: „რაც ამაღამ ვილაპარაკეთ ჩვენს შორის უნდა დარჩეს, თორემ იცი რა იქნება?.. ორივეს...“—აღარ დაამთავრა სიტყვა ილიამ, ხელი ყელში წაივლო და ნიკაპი ზევით აიქაჩა. ამით ანიშნა რაფაელს რაც მოელოდათ, თუ კი სადმე ან ვინმესთან ამგვარ რამეს აზრად გამოსთქვამდა.

რაფაელი სახტად დარჩა და თვალები გაეყინა.

— ჰო, ჰო, არსად არაფერი ამის შესახებ! დრო მოვა და შენ თითონ გეცოდინება როდის და ვისთან რა თქვა! — ტუჩზე თითის მიდებით გააფ-

რთხილა ილიამ რაფაელი და ფეხის წვერებზე შემართული გავიდა ოთახიდან.

რაფაელი ერთ ხანს ადგილიდან არ დაძრულა, შემდეგ ფანჯარასთან მივიდა, გარე რაფაზე ფანტელებად დაგროვილ თოვლს გუნდად თავი მოუყარა და ერთი ბიძგით ქუჩაში გადაისროლა. გარედ განუწყვეტლივ ბარდნიდა თოვლი, თითქოს საფქვავის ქვა ყოფილიყოს ცის თაღზე დადგმული.

დიდხანს, დიდხანს არ მოსდებია რაფაელს რული თვალებზე. ოთახი საკმაოდ გაგრილებულიყო. კედლის საათის ზამბარას ჩამიჩუმით სრიალის ხმა ისმოდა და ახლა ამ ხმაზე რაფაელის გონება ელექტრომრიცხველის სისწრაფით ერთი აზრიდან მეორეზე გადარბოდა. „ხმა არსად დაგცდესო, ამის დროც მოვაო, ნეტა რას ნიშნავს ეს?“ — ფიქრობდა რაფაელი და ამ ფიქრში ზოგი რამ გაახსენდა იოხანანის ნათქვამიდან. ეხლა, ილიასთან საუბრის დროს რომ ენიშნა „სხვისი შრომის გადართმევის ფასად მაქვს შეძენილი ეს ქონებაო“.

რაფაელმა წუთით წარმოიდგინა როგორ დაეცემოდნენ თავს მის მამას ძონძებში გახვეული მოშე, ისხაკა, დანიელი და ბევრი, ბევრი სხვა; როგორ ამოჟლეტდნენ იოხანანის ოჯახში ყველას: არონსაც, იოსებსაც, ბებია სეიდიხანაც და ალბათ... სიმასაც, სიმასაც არ დაინდობდნენ, იმიტომ რომ იოხანანის ცოლი იყო. რაფაელს გააჟრჟოლა და ეხლაც ისეთნაირად გადაუტრიალდა ტვინი, როგორც მაშინ, გზაში რომ იოხანანის აღსარება მოისმინა. საბანი თავზე გადაიხურა და იყუჩა. თითქოს საკუთარი გულის ცემაც აღარ ესმოდა მას. სული კინაღამ დაეგუბა, საბანი სწრაფად გადიგდო თავიდან და ისე მძიმედ ამოიხვნეშა, რომ გული თან ამოატანა. მხოლოდ მაშინ ჩაუცხრა ხშირი სუნთქვა, როცა ილიას ნუგეშის მომცემი სიტყვები გაიხსენა: „არა, ყველას დაღუპვა კი არაა საჭირო, ზოგი თავად დანებდება ამ ბრძოლაშიო“. „ჰოდა, მამა ხომ ჭკვიანი კაცია, ისიც დანებდებაო“ — გაიფიქრა რაფაელმა და მხოლოდ მაშინ ჩაეძინა, როცა საათმა ორივე ოთახში ზედიზედ მოჰფინა ხმა. ნაუ, ნაუ, ნაუ, — ჩასწვდა რაფაელის სმენას. თითქოს ეკლესიის ზარის ცემა ისმოდა და ნაზიარები რაფაელი ზეცას სწვდებოდა. მართლაც მეორე ზიარება იყო ის ღამე რაფაელისათვის, თუმცა თვითონაც ვერ გარკვეულიყო რას ეზიარა იგი იმჯერად.

## წერილი და პასუხი

ფრიდა თავის დანაპირევს იოხანანთან — „ჩემს ილიაში არ გამოვარჩევ და არაფერს მოვაკლებო“ პირნათლად ასრულებდა. რაფაელიც გრძნობდა ამას და უკვე სავსებით გაშინაურებული იყო მასთან. მოწაფეებმა გიმნაზიაში ჩვეულებრივ მიიღეს, გამოკითხეს საიდან ჩავიდა, რად ჩავიდა და სად ცხოვრობდა. მოწაფეების ნაწილმა გაიკვირვა რად აირჩია კრიხელმა საცხოვრებლად მინკოვსკის ბინა. „რა საერთო გაქვს კრიხელს ებრაელებთანო“ — ჰკითხეს რაფაელს.

„ასე გამოვიდაო“ — უპასუხა მათ მოკლედ რაფაელმა და ამ საკითხზე შემდეგში არავისთან არ ჰქონია ლაპარაკი. რაფაელისათვის გასაგები შეიქმნა, რომ სასწავლო ოლქის მზრუნველის ნათქვამი „აქ ადგილობრივებიც საკმარისად არიანო“ მარტო მზრუნველის აზრი არ იყო და ის რაზედაც დღემდე ყურადღება არ მიუქცევია, ეხლა მუდმივ საფიქრებლად გადაექცა. რაფაელმა დაბეჯითებით გადაწყვიტა გარკვეულიყო ამის ნამდვილ მიზეზში. იოხანანის ორიოდე სიტყვა—„ჩვენ საკუთარი მიწა არ გაგვაჩნია და ამიტომ ვართ დევნილიო“ — კარგად ახსოვდა, მაგრამ ასეთი განმარტება საკმარისი აღარ იყო მისთვის. რაფაელმა სხთოვა ილიას „მითხარი რა წავიკითხო ან რით ვისწავლო ებრაელთა ნამდვილი ისტორიაო“. ილია გააკვირვა რაფაელის ასეთმა თხოვნამ და ჰკითხა: „ეს რისთვის გინდაო“, თან დაუმატა: „ეხლა მაგის დროს გაქვსო“. ეს იმიტომ რომ რაფაელს გიმნა-

ზიაში მართლწერაში სისუსტე შენიშნეს და ეხლა ილია მთელის მონდომებით ეხმარებოდა მას, რომ როგორმე ჩამორჩენა გამოესწორებია. რაფაელმა მხოლოდ ერთი სიტყვით უპასუხა ილიას შეკითხვაზე — „მესაჭიროებაო“, ილიაც აღარ ჩაეძია მიზეზს და აღუთქვა რომ უშოვიდა ასეთ წიგნს.

— „აი ესეც, მოგიტანე რასაც მთხოვდი, მაგრამ შენ არ მითხარი რად ინტერესდები ასე თავგამოდებით ებრაელთა ისტორიით“ — უთხრა ერთ საღამოს რაფაელს ილიამ და წიგნი მიაწოდა.

რაფაელმა არც ეხლა გასცა ილიას პასუხი და მსწრაფლად დაეტანა გაწვდილ წიგნს. „ველგაუზენი... ისრაელთა ისტორიის შესავალი“. — ჩაიკითხა ხმამაღლა რაფაელმა, შემდეგ იქვე ჩაიკეცა სავარძელში და ისე მარდად გადაფურცლა წიგნის სხვადასხვა ადგილები, რომ რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთხელაც არ აუხედავს ზევით. ილია ადგილიდან არ დაძრულა და ოდნავ ღიმილმოდებული სახით დაჰყურებდა რაფაელს, ასე ხარბად რომ ფურცლავდა სქელტანიან წიგნს.

— ესეც ასე! — წამოიძახა მრავალმნიშვნელოვნად რაფაელმა და შუაზე გაშლილი წიგნი ისეთი ხმაურით დახურა, რომ მხოლოდ ახლა გამოერკვა და შენიშნა ილია რომ უსიტყვოდ ადგა თავზე. რაფაელმა შესცინა ილიას, მკვირცხლად წამოხტა ზეზე და ბოდიში მოუხადა: „მაპატიე, ცნობისმოყვარეობამ დამძლიაო“.

— „ილია, დასამალი არაფერი მაქვს შენთან და გულხადილად უნდა გითხრა. არ ვიცი შენ როგორ ფიქრობ, მაგრამ მე კი უკვე მეტად ახლობლად გთვლი. მე ძმებიც მყავს, დაც, მამაც ხომ მყავს და მამას კიდევ ცოლი ჰყავს, მაგრამ ჩვენ ყველა სულ სხვადასხვანი ვართ ჩვენი ბედით, მდგომარეობით და სწავლით. ეხლა ამის დროს არ არის, ალბათ ოდესმე ცალკე გეტყვი. ჰოდა მე ერთი ვარ ასე თუ ისე ბედნიერი ჩემს ნათესავთა შორის, ნებიერად გაზრდილი შვილი. იქამდის ნებიერად, რომ „არა, არ შეიძლება“ ჩემთვის არასოდეს არ ყოფილა. ოჯახში ყველა მე მითმობდა, მათამამებდა, ამას კი იქამდის მიუყვანივარ, რომ უსაქციელობაც კი ჩამიდენია, ღარიბ მეზობლის სახლის კარიც შემიურაცყვია. მაგრამ არა, სიბოროტით კი არა, მხოლოდ ყოყოჩობით და მერე კი მინანია. ახლა ამას იმიტომ გეუბნები, რომ მინდა იცოდე — შენ ხარ პირველი ვისთანაც რაღაც გამოუთქმელ სიახლოვეს ვგრძნობ და ეს იმიტომ, რომ თვითონ შენ ხარ თბილი, ძმური და ჭკვიანი. ჩემთვის არასოდეს არავის უთქვამს „ეს ესაა და ეს ესაო“. იმასაც გეტყვი, ალბათ ცხოვრებაში მუდამ უვიცად დავრჩებოდი, ბედს რომ შენთან არ მოვეყვანე. ნამდვილად ბედს, თორემ აბა სხვა რა უნდა დავარქვა ამას? სკოლა იწილ-ბიწილობა ყოფილა და სხვა არაფერი. სკოლა შენა ხარ, შენი ამხანაგებით, შენ რომ საქმეს აკეთებ და მე რომ ნამდვილად ცოტათი ვხვდები რას. აი, ესაა სკოლა! შენ მეკითხები რად გაინტერესებს ებრაელთა ისტორიის შესწავლაო. გეტყვი: მისთვის რომ ჯერ მე თვითონ ებრაელი ვარ, თუმცა არ ვიცი რით განვსხვავდები იმ ქრისტიან ქართველებისაგან ვის გვერდითაც მე ვიზრდებოდი. ჩემი მშობლიური ენა ქართულია და მეც ისევე ქართულად ვთქვი პირველად „დედა“, როგორც ყველა ქართველმა, მეც ისე მიყვარს საქართველო როგორც მათ და ვეჭვობ კიდეც, რომ ვინმე მჯობდეს მის სიყვარულში. ჰოდა, ეს ხომ ასეა, მაგრამ შენც ხომ კარგად იცი, სადაც არ უნდა მიდგეს ებრაელი ყველგან დამცირებულია და დევნილი ებრაელობისთვის. მე ამას ვგრძნობ და გულს მიკლავს ეს! აქ რომ ჩამოვედი და გიმნაზიაში ჩასარიცხად მე და მამაჩემი მზრუნველთან მივედით, იცი რა მითხრა მზრუნველმა როცა ჩემი საბუთები ნახა? „აქ, ჩვენი საკუთარი ებრაელობაც გვეყოფაო„! მერე და ეს სამართლიანია? სწორია? თუ სწორია, მაშინ მე მინდა გავიგო და დავრწმუნდე მართლა დაიმსახურა თუ

არა ეს ებრაელობამ თავისი წარსულით?!“

ილია სმენად იყო ქცეული და სულ მეტი და მეტი ყურადღებით უსმენდა გულშეჯერებით მოლაპარაკე რაფაელს. ამ წუთში თითქოს ყოველი ზღვარი წაიშალა მათ შორის. ეხლა ილიას თვალში რაფაელი ისე გულუბრიყვო და უსასო ბიჭად კი არ გამოიყურებოდა, როგორც პირველ დღეებში, არამედ ცხოველი აზროვნების და შემართების მქონე ახალგაზრდად, რომელსაც თუ კარგად გაუგებდნენ და სწორ გზაზე დააყენებდნენ, თავის ზურგით მომავალში ბევრ დიდ საქმეს ასწევდა.

— არც სულ ასეა, შენ რომ ამბობ რაფაელ, „ებრაელი — ყველასგან დევნილი და დამცირებულიაო!“ მაგრამ კარგი, რახან ასე გაწუხებს ეს ამბავი, წაიკითხე და რასაც მეტს გაიგებ უკეთესი რა იქნება? ერთი კია, რაფაელ, რომ ყველა ერს ესა თუ ის თვისება იმ პირობების მიხედვით აქვს შექმნილი, რომელშიც ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობდა. ამიტომ სწორი ხარ შენ, რომ ერის თვისებათა წარმოშობის მიზეზს მის წარსულში ეძებ. მაგ წიგნში კი ნაწილობრივ ნახავ ამის პასუხს.

— რატომ ნაწილობრივ?

— მისთვის რომ, ამასთან ერთად ძირითადში უნდა გაერკვე და მხოლოდ მაშინ იპოვი იმის პასუხს რაც შენ გაინტერესებს!

ღრიჭოდ დატოვებულ კარებში მეორე ოთახიდან ახლად დამზადებული სადილის სუნი შემოიჭრა და მოსაუბრეებს მადა აღუძრა. ფრიდას მაგიდა დაეხურა და პურის თხელ ნაჭრებს სინზე ალაგებდა, როცა ოთახში ბიჭები შევიდნენ და გაწყობილ სუფრას სიამოვნებით გადახედეს ქვაბიდან ახლად ამოლაგებულ მრგვალად მოხარშულ ცხელ-ცხელ კართოფილებს კანი დაზეთქოდათ. ფაიფურის მოგრძო ლანგარზე ქონჩამომდინარე პოლარული ქაშაყის ნაჭრები ზედიზედ იყო მიწყობილი და ზემოდან ლაზათიანად დაჭრილი, გარჩეული ხახვის ფურცლები ელაგა. იქვე მათლაფაზე ცივად ამოლებული ღორის ხორცი იდო და კიდეებზე შეყინული ქონი თეთრად გამოიყურებოდა. ფრიდა შეთანხმებული იყო ბიჭებთან, რომ წესი არ დაერღვიათ და სადილობის დროს ზუსტად ყოფილიყვნენ სახლში. სამაგიეროდ ფრიდა მზად იყო ორნაირი კერძი მაინც დაეხვედრებინა მათთვის.

შემოუსხდნენ თუ არა ჩვეულებრივ მაგიდას, ძმარმოვლებული ქაშაყის თითო ნაჭერი გადაილეს ყმაწვილებმა და მადიანად გაძიძგნეს. როცა ფრიდამ მომცრო ფრიალო საინები აალაგა და ღრმა თეფშებზე საოცრად გამაღიზიანებელი მოტკბო-მომჟავო სურნელების გამომღები ბორშჩი ჩამოარიგა, ილიამ გაღიმებულ სახით შეხედა რაფაელს, რომელიც რგვალ ხვიფიდან სმეტანას იღებდა და ირონიით იკითხა: „მაშ რაო მზრუნველმა? აქ, ჩვენიც გვეყოფაო?“

— ჰო ასე სთქვა, — უპასუხა რაფაელმა და კოვზი ტუჩთან მიაბჯინა.

— მერე და ვერ უთხარი, არაფერი ღირსებაა შენთვის რუსობათქო? მაგ მურდალს არც ებრაელი მიაჩნია რამედ და არც რუსი, მან მხოლოდ ერთი იცის — როგორ ემსახუროს მათრახით ხელში ჩვეულებრივი ადამიანების ჩაგვრის საქმეს, თორემ როგორაა რომ მილიონერი ებრაელების წინაშე მიწამდეა გართხმული და მზადაა შეასრულოს მათთვის ყველაფერი? მაშ რატომ ისინი არ არიან მისთვის სულერთნი?

ილიას ლაპარაკზე რაფაელს კვლავ იოხანანის ნათქვამი გაახსენდა: „ჩვენ თუ კი სადმე გვღებულობენ ფულის წყალობითო, ამიტომ უნდა გახსოვდეს ფულია ამ ქვეყანაზე ყველაფერი და მხოლოდ მისი მოპოვებისთვის უნდა იზრუნოს კაცმაო“.

ნასადილევს, რაფაელი მოკლედ მოუყვა ილიას იოხანანის ნალაპარაკევი და ჰკითხა, მართალია თუ არა ჩემი მამაო.

„ჰო, რა გითხრა, — უპასუხა ილიამ, — ის რაც შენ პატივცემულ მამას

უთქვამს, მხოლოდ მდიდარი კაცის ნაფიქრია. მას არც შეუძლია სხვაგვარი აზრი ქონდეს. ზოგი რამ სწორედ უთქვამს. აი, ის რომ „ქონება სხვისი შრომის ყვლეფით მაქვს შეძენილიო“. მაგრამ ის რომ „ამ ქვეყანაზე ფულია ყველაფერიო“ არ დაიჯერო, რაფაელ. ადამიანის მიზანი ფულის შოვნა არაა, მისი ცხოვრების შინაარსი და სილამაზე შრომაა. ამიტომ ადამიანმა თავი უნდა გაინთავისუფლოს მისი შრომის ნაყოფის მიმთვისებლებისაგან და ამისათვის ყველაფერი უნდა გააკეთოს, იმ გზით როგორც მაშინ გითხარი“.

ფრიდა აქამდე მხოლოდ თვალებით ანიშნებდა ილიას შეეწყვიტა ასეთი ლაპარაკი. ეხლა კი ბოლო სიტყვები რომ თქვა ილიამ, ფრიდამ უკმაყოფილო სახით შეხედა შვილს და უთხრა: „თუ ღმერთი გწამს, ასეთ ამბებს მოეშვი, წერას ნუ აუტანიხარ. ამ ბავშვს ჭკუას ნუ უბნევ და გზას არ ააცდინო. დალოცვილო შენ ვინ გკითხავს ქვეყნის საქმეს, ის უშენოდაც მოგვარდება.“

ილიამ და რაფაელმა ერთდროულად შეხედეს ფრიდას და უსიტყვოდ დამორჩილდნენ მის სურვილს. რაფაელი თავისთან გავიდა, ილია კი რბილ ტახტზე მიწვა და გაზეთების მთელი დასტა ახლოს მიილაგა.

რაფაელს ერთხელ კიდევ გაახსენდა მზრუნველის კაბინეტიდან რომ გამოვიდნენ მამა-შვილი და იოხანანმა გადაჭრით რომ უთხრა „ეგ შენი საქმე არაა, მაგაზე სხვებმა იზრუნონო“.

— „უჰ, როგორ ჰგვანან ერთმანეთს ეს მშობლებიო“ — გაიფიქრა რაფაელმა და გულდასმით შეუდგა ველგაუზენის კითხვას.

* *
*

რაფაელმა სთხოვა ილიას მასთან გადასულიყო ოთახში საცხოვრებლად. „არ შეაწუხოო“ — უთხრა ფრიდამ ილიას, მაგრამ რაფაელმა დაიჟინა და ილიაც დასთანხმდა. იმ საღამოს ოცდათერთმეტი დეკემბერი იყო. ილია და რაფაელი საახალწლო შეხვედრაზე წასასვლელად ემზადებოდნენ. რაფაელს ცალკე სახარჯო ფულიც დაუტოვა იოჰანანმა და ილიას რჩევით, ერთი კვირით ადრე შავი ფერის კოსტუმი დაკვეთით შეაკერინა, ეს პირველი კოსტუმი იყო რაფაელისთვის. ახლა ფრიდას ოთახში ტანისამოსის დიდი კარადის სარკის წინ თეთრ პერანგჩაცმული იდგა რაფაელი და ილია გახამებულ საყელოზე შავ ჰალსტუკს უფსკვნიდა.

— ვინ იქნება იქ, ილია?

— აკი გითხარი ჩემი ამხანაგები მეთქი, სტუდენტები, ქართველებიც იქნებიან. ხომ შეგპირდი გაგაცნობთქო. შენ შესახებ მათ უკვე იციან და გელიან, — უპასუხა ილიამ კითხვაზე და ეხლა თვითონ გამოისკვნა ჰალსტუკი.

ათ საათზე წინასწარ მიულოცეს ბიჭებმა ფრიდას ახალი წლის დადგომა. ფრიდამაც მიულოცა მათ სანაცვლოდ და კარებში გამავალ ყმაწვილებს დედაშვილურად სთხოვა სასმელს არ დაძალებოდნენ. გარეთ თოვლი ბარდნიდა და თითო ოროლა ფანტელი ქუჩაში გამოსვლის უმალვე დააჯდა წამწამზე რაფაელს. ეტლმა გაიარა. რაფაელმა ხმამაღლა შესძახა მეეტლეს გაჩერებულიყო.

— შორს არ არის, ფეხითაც მივალთ, — თქვა ილიამ.

რაფაელმა ყური არ ათხოვა და ეტლის საფეხურზე სწრაფად შეხტა.

პრეობრაჟენსკის ქუჩაზე, სამსართულიანი სახლის სადარბაზო კარებთან ილიამ მცირე ხნით შეაჩერებია ეტლი და გადავიდა. შესასვლელი კარები მძიმედ შეაღო და მსწრაფლად აირბინა კიბის საფეხურები.

რაფაელმა მზერა ღრიჭოდ დატოვებულ კარებისკენ მიაპყრო, საიდანაც მკრთალი სინათლე გამოდიოდა. ათ წუთსაც არ გაუვლია, რომ შესასვლელი კარები ფართედ შეიღო და ილია მუფთაში ხელებშერგულ ცხრამეტ-ოცი წლის ქალს გვერდით-გვერდ გამოჰყვა. ბეწვით გაწყობილი შვინდისფერი ხავერდის ქუდი ეხურა ქალს. თმები ისე შერეოდა შუბლზე ხვეულად ჩამოშლილ

მოოქროსფერო თხუნელას მოყავისფერო ბეწვში, რომ შორიდან ვინმეს თავშიშველი ეგონებოდა. როცა ეტლს მიუახლოვდნენ რაფაელმა ლამპიონის შუქზე სწორნაკვთებიანი და მაღალშუბლიანი გოგონა გაარჩია, რომელსაც შავი ფერის კასტორის ნაჭრისაგან შეკერილი პალტო მჭიდროდ ქონდა შემოვლებული მოხდენილ ტანზე.

რაფაელი დაუყონებლივ ჩამოვიდა ეტლიდან.

რამდენიმე წამით უხერხულად და ხმაამოუღებლივ იდგა ილია.

— ჩემი მეგობარია რაფაელ, — ოდნავ დაბნეულად მიმართა ილიამ,—ლარისა, გაიცანით!

— რაფაელ კრიხელი, — სწრაფად და ცოტა ხმამაღლა წარმოსთქვა რაფაელმა და ლარისას გამოწვდილ ხელს თავისი შეაგება.

ლარისას ისეთი თბილი და ფაფუკი ხელი ქონდა, რომ რაფაელმა უნებურად სიმას ხელის სითბო შეიგრძნო და ჟრუანტელმა დაუარა ტანში. გაახსენდა სიმა რომ წამით სახეზე შეეხო ხელით და ჩურჩულით რომ დატუქსა — ფეხზე წამომდგარიყო და ამ დროს, იოხანანიც რომ დაადგათ თავზე.

ვიდრე ერთმანეთს გაეცნობოდნენ, ამასობაში მეეტლე მუმიასავით იჯდა კოფოზე, სადავეები ისე ქონდა მოზიდული, რომ ტანზე ორთქლადენილ ცხენებს კისრები რკლად მოეხარათ და გადაპენტილ თოვლიდან თავამოწვდილ ქვებს წინა ტორებით ფრთხილად ეხებოდნენ.

• •
•

„პროფესორი ა. მ. ლუბიმოვი“, წაიკითხა კარებზე გაკრული წარწერა რაფაელმა, როცა ილიამ ელექტროზარის ღილაკს თითი დააკარა. ვიდრე კარები გაიღებოდა რაფაელი წამით უხერხულობამ შეიპყრო. ფიქრადაც კი არ გაუვლია მას, რომ ოდესმე რომელიმე პროფესორის ოჯახში სტუმრად მივიდოდა. ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, მაგრამ ეს არც ილიას და არც ლარისას არ შეუმჩნევიათ.

სპილოს ძვლისფრად შეღებილი მაღალი კარები მძიმედ გაიღო. თეთრი ბეწვით გაწყობილ შავ და გრძელ კაბაში ჩაცმული პროფესორის უფროსი ქალიშვილი ნონა შეეგება მათ.

შუადგაყოფილი მუქი წაბლისფერი თმები მოხდენილად ჰქონდა ნონას გარდი-გარდმო გადაწყობილი მოკრიალებულ მაღალ შუბლზე. ნონა ქალთა სამედიცინო უმაღლეს კურსებზე სწავლობდა. ახლა, ერთი წრის ამხანაგებს გადაეწყვიტათ მასთან მოეწყოთ საახალწლო შეხვედრა.

სასტუმრო ოთახის ფართედ გაღებული კარები განზე გადაწეულ პორტიერებში იყო ჩამალული.

ოთახის სიღრმეში გრძელ როიალთან მჯდარი, ნაწნავებიანი, შვინდისფერ ხავერდის კაბაში ჩაცმული 15 წლის გოგონა ჩანდა. კედლების გასწვრივ განლაგებულ, მოვარაყებულ სავარძლებში მსხდომი სტუმრები სულმოუთქმელად უსმენდნენ შოპენის ეტიუდს.

ნონამ ლარისას ნაზად მოხვია წელზე მკლავი და ყველანი სასტუმროსკენ მიიწვია. უცბად ლარისამ ტუჩებთან თითი მიიტანა და ნონას ანიშნა, რომ ეხლა შესვლა უხერხული იყო. ოთხივე ერთად დაელოდნენ ვიდრე ნონას უმცროსი და ნატაშა დაკვრას დაამთავრებდა. ილია პორტიერს ნახევრად ამოეფარა და ღია კარის პირს მსუბუქად მიეყრდნო მხრით. ლარისა და ნონა შუა ტალანში ჭერის სიმაღლემდე ატანილ სარკესთან შეჩერდნენ და დროდადრო შიგნით იხედებოდნენ. რაფიელი ისევ პალტოების ჩამოსაკიდებელთან იდგა და ჯერ კიდევ ვერ გამოსულიყო პროფესორის ოჯახში მისვლით გამოწვეულ უხერხულობიდან. ნატაშამ კლავიშებს თავისი თეთრი ხელები ნაზად შეუშვა, შემდეგ როიალთან ზურგით დადგა და კაბის კალთაზე ფრთხილად შეათამაშა თითები, თითქოს კვლავ კლავიშებს ეხებოდა.

სტუმრები ტაშის ცემით ერთდროულად წამოიშალნენ და თითქმის ყველა მათგანი მიეალერსა სახეაწითლებულ

გოგონას. ნატაშამ ბეჭებზე დაფენილი თეთრი ბანტით ბოლოებწაკრული სქელი ნაწნავები თავაუღებლივ შეარხია და სასტუმროდან სრიალით გავიდა.

რაფაელს არც-ერთი შეძლებულის ოჯახში არ უნახავს ასეთი მორთული ბინა, ამდენი ძვირფასი და მოოქვრილი ნივთით — არც კაკიტელაშვილთან და არც ლორიასთან, პირველ მდიდრებად რომ ითვლებოდნენ ქუთაისში. ქურდულად შეათვალიერა ყვითლად მოვარაყებულ, მძიმე ჩარჩოებში ჩასმული სურათები, რომელთაგან ორს თითქმის ცისფერად შეღებილი ოთახის მთელი ერთი კედელი ეკავა. რაფაელთანაც ქონდათ სახლში რბილი სავარძლები, მაგრამ აქ სულ სხვა იყო — ჩუქურთმიანი სახელურებით და ტალღისებური საზურგეებით მიმქრალი ვარდისფერი ფარჩით გადაკრული, უნებურად რომ იზიდავდა კაცის თვალს და თითქოს ცოდვაც რომ იყო დასაჯდომად მათი გამეტება. იატაკამდე დაშვებული ნაოჭებად ასხმული გობელენის პორტიერები, კიდევ უფრო მეტად ამაღლებდნენ ისედაც მაღალ ოვალურ ფანჯრებს.

სასტუმროს ერთ კუთხეში, ორ სავარძელს შუა ირიბად მდგარ ამპირის სტილის დაბალ კარადაზე, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული მეფისტოფელის სტატუია ისეთი გაყინული სახით იდგა, რომ შორიდანვე მასზე თვალის ერთი შევლებაც კი წელში გასცრიდა ადამიანს. მოპირდაპირე კუთხეში, მარმარილოთ მოპირკეთებულ ბუხრის რაფაზე, თავჩაქინდრული, უბელო ცხენს ბეჭით მიყრდნობილი, მაზარა გახსნილი და ნაღვლიანი სახით სივრცეს გამყურე ნაპოლეონის მცირე ზომის სტატუია იდგა. ფანჯრებს შუა, ჭერამდე აღმართულ სარკის სადგამზე, შუშის ოვალურ ხვიფში, ურჩხულთან შერკინებული წმინდა გიორგის ფიგურა და რომაული ციფრებიანი საათი იყო მოთავსებული.

რაფაელი მორიდებით იდგა კარებთან და კვლავ უხერხულად გრძნობდა თავს. ილიას თითქოს დაავიწყდა კიდეც, რომ საღამოზე მან მოიყვანა სტუმრად, მაგრამ ეს უყურადღებობით კი არ მოუვიდა, არამედ ისე, უბრალოდ. თითქმის არც კი დასჭირდა ილიას რაფაელის ოფიციალურად წარდგენა. ჩვეულებრივ მიესალმენ მას. პირველი, ვინც რაფაელს გამოელაპარაკა გიგა ხელაძე იყო — მაღალი, მხარბეჭიანი, შავგვრემანი, დიდ თვალება და ენერგიული შესახედაობის ახალგაზრდა. მან ხელი ჩამოართვა რაფაელს, მკლავი მკლავში გაუყარა და სასტუმროს ერთ კუთხესთან მიიყვანა. აქ რამოდენიმე ქალ-ვაჟი სავარძლებში მოთავსებულიყვნენ. ისინი ერთმანეთს ჩურჩულით გადასცემდნენ სიტყვებს და როცა უკანასკნელი რაღაც გაურკვეველს იტყოდა, მთელი ძალით იცინოდნენ. რაფაელს და გიგას არც კი დასცალდათ მათთან შეერთება. იქვე, გვერდით ოთახიდან გაღიმებული სახეებით და ნელი ნაბიჯით შემოვიდნენ პროფესორი ანდრეი სტანისლავის-ძე და მისი მეუღლე ეკატერინე ნიკოლოზის ასული. პროფესორს შავი დიაგონალის მატერიისაგან შეკერილი გრძელი სერთუკი ეცვა და მრგვალცხვირიან შევროს შიბლეტებზე, უაშლაგო ვიწრო შარვალი ნაკეცებად ქონდა დაშვებული. გახამებული, ქათქათა საყელოს ოდნავ შეგრეხილი ბოლოები, შეუმჩნევლად ეხებოდა პროფესორის ჭაღარაშერეულ მოკლე ბულანჟეს. შავ ჰალსტუკზე დრო გამოშვებით ბზინავდა ოქროს ინგლისური ქინძისთავი. მარცხენა ხელის ნეკზე ანდრეი სტანისლავის-ძეს ოქროს მრგვალი ბეჭედი ეკეთა.

ეკატერინე ნიკოლოზის-ასული ქმართან შედარებით ახალგაზრდა ჩანდა, მაგრამ მაღალ ყელზე რამდენიმე წყებად შემოვლებული ქარვის მძივი, ღარად გავლებულ ორ ნაოჭს მაინც ვერ უფარავდა. ეკატერინე ნიკოლოზის ასულის ისედაც მიმზიდველ შესახედაობას, სართულებად დახვეული სქელი თმა, კიდევ უფრო მეტ მომხიბვლელობას და დიდებულობას მატებდა. მარჯვენა ხელის შუათანა თითზე საქორწინო და კიდევ,

მეორე, ძვირფას თვლებში ჩამჯდარი ბეჭედი ეკეთა. მარჯვენა ხელში მას დაკეცილი შავი მარაო ეჭირა და მით დროდადრო სანახევროდ გაშლილ მარჯვენა ხელისგულს ფრთხილად ეხებოდა. საოცარი მსგავსება დაინახა რაფაელმა ანდრეი სტანისლავის-ძეს და უფრს ქალიშვილ ნონას შორის. კიდევ უფრო მეტად კი ეკატერინე ნიკოლოზის ასული და ახლადაჩიტებული ნატაშა ჰგავდნენ ერთმანეთს. თითქოს საგანგებოდ განაწილებულიყო დედ-მამასა და შვილებს შორის ასეთი მსგავსება.

ანდრეი სტანისლავის-ძეს და მისი მეუღლის შემოსვლისთანავე, უმალ წამოიშალნენ ახალგაზრდები და მოკრძალებით მიესალმენ მათ. პროფესორმა მომღიმარი თვალებით შეათვალიერა სტუმრები და მათი ყურადღება მსწრაფლად მიიპყრო, როდესაც ხავერდოვანი ხმით მიმართა: „მაშ ასე მეგობრებო, ეს წელიც მიიწურა არა? „თითქოს ყველამ საჭიროდ ჩასთვალა ერთხმად ეპასუხნად — „დიახ, ანდრეი სტანისლავის-ძევ, ეს წელიც მიიწურა და ახალიც დგება". ანდრეი სტანისლავის-ძემ ერთ ჯგუფად თავმოყრილთ ჰკითხა რომელ ფაკულტეტზე სწავლობდნენ. როცა შეიტყო რომ იურიდიულზე, მოუწონა. გაიხსენა როგორი ინტერესით ისმენდა ის სტუდენტობისას ლექციებს სამართლის ფილოსოფიაში, როცა პეტერბურგის უნივერსიტეტში ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე სწავლობდა. ბოლოს წარმატება უსურვა მათ და სხვა ჯგუფთან გადაინაცვლა.

საათის დიდი ისარი სადაც იყო პატარა ისარს ციფრი თორმეტთან უნდა წამოწეოდა. თითქოს ყველას უცბად გაახსენდა, რომ წლის უკანასკნელი წუთები მიიწურა და ერთად ახმაურდნენ. — ჩქარა, ჩქარა, მაგიდასთან — დაიძახეს და მიუპატიჟებლად სასადილო ოთახს მიაშურეს. სასტუმრო ოთახსა და სასადილოში ერთდროულად შეეხმაურენ საათები და მათ ხმას ბროლის სასმისების წკარუნიც შეემატა. ფეხზე მდგომნი, მოციმციმე თვლებით შესცქეროდნენ ერთმანეთს და თითქმის უსიტყვოდ ულოცავდნენ ახალი წლის დადგომას. წამით სიჩუმე ჩამოვარდა და ყველამ ეკატერინე ნიკოლოზის-ასულს და ანდრეი სტანისლავის-ძე მიაპყრო მზერა. ისინი, ის წამი იყო სუფრის თავს მიუახლოვდნენ. ანდრეი სტანისლავის-ძემ სკამი ოდნავ შეასწორა ადგილზე და მოწიწებით სთხოვა მეუღლეს დამჯდარიყო. შემდეგ სასმისი ხელში აიღო და განათებული სახით მიმართა მეახალწლეებს: — „მაშ, რა გისურვოთ ახალგაზრდებო? — წარმოსთქვა ნელა და დაბეჯითებით სტანისლავის-ძემ. ის, რაც უპირველესია ყველასათვის — ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე. მაგრამ როგორი? მხოლოდ ნათელი და გამართლებული! ამის გარეშე ცხოვრებას შინაარსი არა აქვს, შინაარსი კი იცით რაშია? მთელი თქვენი უნარით, საქმიანობით, უანგაროდ ემსახურებოდეთ საზოგადოების იდიალებს. გწამდეთ, რომ ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისკენ უნდა იყოს მიმართული. ამით კი ხელს შეუწყობთ მისი სწრაფვის ამაღლებას. მე მინდა გისურვოთ, იყოთ თქვენს მოღვაწეობაში გულწრფელნი, სიმართლისათვის უშიშარი ბრძოლა იყოს თქვენი მრწამსი და თავს სდებდეთ მისთვის. აი, ვგონებ ეხლა აქ იურისტების უმრავლესობა ხართ! და იცით მერე რას გაკისრებთ ეს პროფესია თქვენ? უპირველესად, სწორედ სამართლიანობისათვის თავგანწირვას, მოვალეობას — იხედებოდეთ სინამდვილის წიაღში, ცხადლივ ხედავდეთ ავსა და კარგს და ხმას იმაღლებდეთ ყოველგვარი ძალმომრეობის, ჩაგვრისა და მანკიერების წინააღმდეგ, რაც ასე ხშირია ჩვენს უკუღმართ დროში. ვერ გეტყვით რაა ამისათვის საჭირო, ამას მომავალი გიჩვენებთ. მე მხოლოდ გისურვებთ ჩემო კეთილო მეგობრებო, ადამიანთა სულიერი და ფიზიკური თავისუფლების მოპოებისთვის შეუდრეკელი ყოფილიყოთ. მოგილოცავთ ყმაწვილებო ახალ წელს! — " სტანისლავის-ძის ბოლო სი-

ტყვები ერთად შეძახილმა დაფარა: „ვაშა, ანდრეი სტანისლავის-ძეს, ვაშა!“

დიდხანს აღარ დარჩენილან მაგიდასთან სტანისლავის-ძე და ეკატერინე ნიკოლოზის ასული. მათ კიდევ ერთხელ უსურვეს ახალგაზრდებს დროს კარგად გატარება და სტუმრები თავის ანაბარად დატოვეს. თითქოს დაეტყო კიდეც იქაურობას ცოლ-ქმარის წასვლა, უმეთაურობა შეემჩნა წუთით სუფრას. მაგრამ ეს იყო მხოლოდ რამდენიმე წამით.. გიგა ხელიძემ თავისთავად აიღო ხელში სუფრის ხელმძღვანელობა და თამადობა გასწია. ეხლა აქ, ზოგიერთები ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც გიგა, ილია და მათი დანარჩენი უნივერსიტეტელი ამხანაგები პირველად ხედავდნენ. ამიტომ გიგამ ყველაფერი გაითვალისწინა და თამადობის მაღალი ხელოვნება გამოამჟღავნა. მარშანია, თოფურიძე, იაშვილი და ჯაფარიძე ისეთ ამფსონობას უწევდნენ ტოლუმბაშს, გარედან რომ მათთვის ვინმეს, საქართველოდან ჩამოსულს შეეხედნა, სადმე, ქუთაისის რომელიმე კუთხეში ეგონებოდა თავი. გიგა სადღეგრძელოებს აწყკილებდა, განყენებულ სადღეგრძელოებსაც თავაზობდა თანამესუფრეებს. არც ეროვნული თვითშეგრძნების და ხალხთა მეგობრობის აუცილებლობის შესახებ გამორჩა და ხაზგასმით სთქვა: — „ეს, ეხლა, თანამედროვე ეპოქის ნიშანდობლობად უნდა იქცეს, დღევანდელი ცივილიზაცია არ შეიძლება მარტო ეროვნული თვითმყოფადობით იფარგლებოდეს და იგი, საერთო საკაცობრიო მიღწევად უნდა წარმოდგეს!“ გიგას სიტყვები ყველამ საგულისხმო სადღეგრძელოდ მიიჩნია და ერთხმად აღიარეს, რომ მან ჭეშმარიტება სთქვა.

უკვე თითქმის ღამის სამ საათს იყო მიტანებული. თითქოს ბუნებრივად გამოვიდა, მთელი ქეიფი ქართულ ყაიდაზე წარიმართა და ყველა კმაყოფილი იყო. ილიას აღფრთოვანება ქონდა სახეზე გამოხატული და აქა-იქ დაჭერილი ქართული სიტყვებით, რუსულ აქცენტზე, ბიჭებთან ერთად, შეწყობილად მღეროდა.

რაფაელი მდუმარედ იჯდა. მას რაღაც თვალშეუდგამად მოეჩვენა ყველაფერი ეს და სიამაყის გრძნობამ მოიცვა, როცა წარმოიდგინა რას ნიშნავდა მისთვის ასეთ წრეში მოხვედრა. რაფაელი უკვე მოწიფულ კაცად თვლიდა თავს, მაგრამ ამ საღამოს, საკუთარ წარმოდგენაში უფრო ზეავიდა. გაახსენდა ილიას რომ უთხრა: „ბედს რომ შენთან არ დავეკავშირებინე, ალბათ უვიცი დავრჩებოდიო. ნამდვილი სკოლა შენა ხარ, შენი ამხანაგებითო“, „არ შევმცდარვაროო“—გაიფიქრა და ხმა დაბლა ჰკითხა გიგას — რისი პროფესორი იყო ანდრეი სტანისლავის-ძე და როგორ მოხვდნენ ყველანი მასთან ოჯახში.

ღვინისაგან სახეალაჟღაჟებულმა გიგამ გაუღიმა რაფაელს და ხალისიანად უთხრა: „რა, მოგეწონა მასპინძელი? ანდრეი სტანისლავის-ძე გამოჩენილი მეცნიერია, ფსიქოლოგია. პირველად მან შექმნა რუსეთში ექსპერიმენტალური ფსიქოლოგიის ლაბორატორია. ეს კიდევ არაფერი. ანდრეი სტანისლავის-ძე პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებაა, ყოველგვარი ძალმომრეობის მოძულე, ცხრაას ხუთში მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ოდესაში მომხდარ ამბებში. ამისათვის კარგახანს დათხოვილიც იყო უნივერსტეტიდან. ათში კი, ცხარე მოთხოვნით გამოვიდა უნივერსიტეტის საბჭოზე შავრაზმელების წინააღმდეგ, რომლებმაც 8 დეკემბერს უიარაღო სტუდენტებს ტყვიები დაუშინეს და ერთი მოკლეს კიდეც. კარგად შეგინიშნავს, მართლაც შესანიშნავი კაცია! მერე და ხანში შესულია, მაგრამ ხომ ნახე როგორი სულისკვეთებითაა სავსე? როგორ მოხვდით აქო, ვგონებ მკითხე არა? ჩვეულებრივად, ქართველები ხომ სულ ერთადა ვართ, სტუდენტების გარკვეული ნაწილი კი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ილია ჩვენი მეგობარია, შენ მან მოგიყვანა. საერთოდ, ჩვენი ამალამ

აქ ყოფნა კი იმითაა გამოწვეული, რომ .. აი, ხომ ხედავ ერთად რომ სხედან, ჩვენი ახალგაზრდა დიასახლისი ნონა და გრიშა თოფურიძე, ვგონებ მეგობრები უნდა იყვნენ და შეიძლება...—აღარ დაამთავრა სიტყვა გიგამ. მხოლოდ ორი თითი რამდენჯერმე მიიტანა ერთმანეთთან და ამით მიახვედრა რაფაელი, რომ ნონასა და გრიშას შორის რაღაც ურთიერთობა იყო.

რაფაელმა გულისყურით მოისმინა გიგას ნათქვამი და ეხლა მეტის მონდომებით დააკვირდა ნონას, ვიდრე გიგა ნონას და გრიშას დამოკიდებულების შესახებ ეტყოდა, რაფაელს განსაკუთრებული არაფერი შეუმჩნევია მასპინძლის გარეგნობაში. ეხლა, თითქოს მოეწონა კიდეც და ლამაზიც ეჩვენა. შემდეგ გრიშას დაუკვირდა და გულში გაიფიქრა — „შესაფერისები არიანო“. მერმედ საგანგებოდ შეათვალიერა ყველანი ვინც კი წყვილ-წყვილად ისხდნენ მაგიდასთან. ილიაც და ლარისაც ერთმანეთის შესაფერისად ჩათვალა რაეფალმა. მხოლოდ, პატარა ნატაშას ტოლი ვერ მოუნახა. ნატაშას სახე ბინდად ჩამოაწვა მის გონებას და უნებურად ზედიზედ რამოდენიმეჯერ გადაჰკრა სასმისი. რაფაელის მოქმედება შეუმჩნეველი არ დარჩა გიგას და შეუძახა კიდეც: — „ეე ბიჭო, შენ რა აქაური ყაიდაზე სვამ?“ რაფაელი უცბად გამოერკვა და თავი უხერხულად იგრძნო. გიგამ ეს შენიშნა და დაყვავებით მიმართა: — „თუ ძმა ხარ არ გეწყინოს, გეხუმრეო“.

კიდევ რამოდენიმე სიმღერა ითქვა. ბოლოს სტუდენტების საყვარელი სიმღერა „ვეჩერნი ზვონი“ იმღერეს და წამოიშალნენ. ნახევარ საათამდე დასჭირდათ სტუმრებს ვიდრე გარედ გამოაღწევდნენ. ქუჩებში მრავლად მიმოდიოდა საახალწლო შეხვედრებიდან დაბრუნებული ხალხი. ეტლები-ეტლებს კვალდაკვალ მისდევდნენ და ქალაქი ნაადრევად იღვიძებდა.

რაფაელი ქუჩაში გამოსვლისთანავე ჩამოშორდა ილიას. ეხლა მისთვის ცხადი იყო, რომ ილიას ლარისა უნდა გაეცილებინა და ზედმეტად ჩასთვალა მათთან ერთად ყოფნა, თუმცა ილიამ კი უთხრა ერთად მივაცილოთო.

რაფაელი სწრაფად გაეშურა სახლში. შემდეგ ნაბიჯს უკლო და გონებით ისევ ლუბიმოვის ოჯახს დაუბრუნდა, ისევ მიათვალ-მოათვალიერა იქაურობა და ფიქრით ვიღაცას დაუწყო ძებნა. მერე შეკრთა კიდეც — მოულოდნელად მის თვალწინ პატარა ნატაშა დადგა. რაფაელი შეეცადა აეხსნა, რად შეკრთა ასე მოულოდნელად, მაგრამ მიზეზი ვერ მოძებნა. თითქოს ყველაფერი ერთმანეთში აერია—ლარისასთან შეხვედრაც გაახსენდა, ხელი რომ ჩამოართვა მას და სიმას ხელის სითბო რომ იგრძნო, გაახსენდა ისიც, ყველას რომ სათითაოდ დააკვირდა მაგიდასთან და ნატაშას ტოლი ვერავინ მოუძებნა. ამ გახსენებაზე რაფაელი, სადღაც, გულის სიღრმეში, გრძნობის ოდნავ გაორებას წააწყდა. შემდეგ გამოერკვა და ამის გამო, ვიდრე სახლში მივიდოდა, თავისთავს რამოდენიმეჯერ უსაყვედურა.

* *
*

სახლში დაბრუნებულმა რაფაელმა გადაწყვიტა წერილი დაეწერა სიმასთან და არა მარტო უბრალოდ დაეწერა. მას უნდოდა ყველაფრის შესახებ მიეწერა... და თან, საბოლოოდ გამოერკვია რას ფიქრობდა სიმა მათი დამოკიდებულების შესახებ. აპირებდა თუ არა რაიმე ნაბიჯის გადადგმას იმ ეჭვის გასამართლებლად, რის გამოც ასე შორს გადახიზნა იოხანანმა რაფაელი სახლიდან. რაფაელი იმასაც აპირებდა, რომ ორი სიტყვით, გადაკრულად მაინც ეხსენებინა ნატაშას სახელი წერილში. მაგრამ რაფაელმა ვერაფერი დაწერა. ვერც მეორე დღეს დაწერა, ვერც მესამე დღეს და შემდეგ კი აღარ დაწერა. თუმცა ორი სამი თვის მანძილზე არა ერთხელ შეეცადა, მაგრამ არ ეამოუვიდა. დაიწყებდა, თითქმის რაც უნდოდა, რაც აწუხებდა, დაწერდა კიდეც, მაგრამ წაიკითხავდა თუ არა, აწონ-დაწონიდა, გადაშლიდ-

გადმოშლიდა და თავის თავთან ნაბრძოლები, რომელიდაც შინაგანი ხმის კარნახით ნაადრეობის შესახებ, ყველაფრის უარყოფამდის მიდიოდა და ბოლოს ნაკუწ-ნაკუწად აქცევდა.

ივნისის პირველ რიცხვებში ზღვისპირეთისათვის დამახასიათებელი სიცხეები ჩამოწვა ოდესაში.

რაფაელმა ბევრი სხვა მოწაფის თანაბრად დაამთავრა გიმნაზია. რამოდენიმე საგანში საშუალო მოსწრება აღინიშნა მის ატესტატში, მაგრამ ამ ამბავს სრულებით არ შეუწუხებია ის. მითუმეტეს ილიამ იმ თავითვე გააფრთხილა, რომ მისთვის ეხლა სასწავლებლის დროულად დასრულება იყო მთავარი და არა წარმატების ნიშნები. ასეც მოხდა. ილია ენერგიულად წაეხმარა და ასე იყო თუ ისე, 1914 წლის ივნისის ერთ დღეს გიმნაზიის შენობასთან გაღიმებული სახით მომლოდინე მეგობარს რაფაელმა სიმწიფის ატესტატი გაუწოდა.

დეიდა ფრიდამ ამ დღესთან დაკავშირებით საგანგებოდ გაამზადა სადილი. ეხლა მათ სახლში წინასწარ მოწვეული სტუმრები ელოდნენ. თითქმის ყველა ის ვინც კი საახალწლო შეხვედრაზე იყვნენ ნონა ლუბიმოვასთან, შეკრებილნი დაუხვდნენ მასპინძლებს. რაფაელს არც ნატაშას დაპატიჟება გამორჩენია. ცოტა გაკვირვებაც კი გამოიწვია სტუმრებში, როცა გიგა ხელაძემ, ილიას დავალებით ორივე და მოიყვანა წვეულებაზე. ზოგმა ჩვეულებრივად ჩათვალა ეს, ზოგი კი რაღაცას მიხვდა, როცა სახეაფაკლული რაფაელი ოთახიდან ოთახში რამდენიმეჯერ გავიდ-გამოვიდა, მაგრამ არცერთ მათგანს ყურადღება არ დაუთმია დიდხანს ამ ამბისთვის. ერთი სიტყვით, რაფაელს მიულოცეს გიმნაზიის დამთავრება. იმ საღამოს ისიც გამოირკვა, რომ რაფაელს იურიდიულ ფაკულტეტზე ქონდა გადაწყვეტილი შესვლა. შიგადაშიგ ერთმანეთში ქართულადაც გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს ბიჭები და ამიტომ სტუმრებისგან მოკრძალებულ საყვედურს ხვდებოდნენ: — „ჩვენ თქვენი არ გვესმის და იქნებ სწორედ ჩვენზე ლაპარაკობთო“. დროსტარება არ გავდა ჩვეულებრივ დროსტარებას. ნაკლებად მხიარულად, აკადემიურად, თითქმის უმეტესად სჯა-ბაასში ჩაიარა გიგა ხელაძემ საღამო. სასმელს არავინ მიძალებია, სიმღერაც მხოლოდ რამდენიმეჯერ ითქვა. რაფაელი ეხლა როგორც თანატოლი ისე მონაწილეობდა საუბარში. ერთად-ერთი ნატაშასთვის იყო მოსაწყენი და ამ ჯერად გრიშა თოფურიძემ გააცილა ნონა და ნატაშა.

დაიშალნენ.

ესეც ასე! ჰა, თითქოს გუშინ იყო შენ რომ ჩამოხვედი არა? ისე კი რამდენმა დრომ გაირა უკვე, ნახევარ წელზე მეტმა, წარმოგიდგენია? ეხლა უკვე შენი ცხოვრების ერთი ნაწილი უკანაა დარჩენილი! — გაელაპარაკა ილია რაფაელს, როცა ოთახში მარტო დარჩნენ და ღია ფანჯარაში, ალიონის პირზე უხვად შემოსული გრილი ჰაერი ხარბად შეისუნთქა.

— ჰო, მეც ასე მგონია, თითქოს დამავიწყდა კიდევ როდიდან მახსოვს ჩემი თავი, — უპასუხა რაფაელმა და მაგიდაზე ნახევრად შერგვალებულ ატესტატს ირიბად გადახედა, მერე მკერდში შეგუბებული ჰაერი რაღაც ბგერებისმაგვარად ნაწილ-ნაწილად ამოუშვა.

— დიახ, სწორს ამბობ, ჩემი ცხოვრების ერთი პატარა და დიდი გზაც დამთავრდა, — წარმოთქვა კვლავ რაფაელმა და ზეწრის ამარა მიწოლილ ილიას გადახედა, რომელსაც ამასობაში, ლოყა ხელისგულზე მიედო და ძილისათვის მიეცა თავი.

როცა ილიამ გაიღვიძა, პირველად მაგიდასთან მჯდარი რაფაელი დაინახა. ქაღალდის რამოდენიმე ფურცელი უწესრიგოდ იყო ერთი-ერთმანეთზე მიყრილი. რაფაელი ტუჩებაყოლებით კითხულობდა უკანასკნელ ფურცელს, ილია ოდნავადაც არ შერხეულა, ვიდრე რაფაელმა ერთხელ კიდევ არ გადაავლო თვალი ვრცელ წერილს, არ დაკეცა, კონვერტში არ მოათავსა და წიგნებს ქვემოდან არ ამოდო.

* *
*

— რას იწერება დალოცვილო არ იტყვი?

— რა ჩვენი უბედურებაა, საკუთარი მამა დაავიწყდა და შენ გწერს წერილს? — მიაძახეს აქეთ-იქიდან ქალებმა, როცა მეზობლის ბიჭმა ხმაურით აირბინა კიბეებზე და ყველას გასაგონად მიმართა სიმას — „რაფაელის წერილიაო“.

— არა, ბატონებო, ვიდრე იოხანანი არ მობრძანდება, მანამ წერილი არ გაიხსნება. — მოთმინებით უპასუხა სიმამ უკმაყოფილო ქმრისიანებს და თავის ოთახში გავიდა.

— როგორ, რუსულად იწერება? — იკითხა იოხანანმა, როცა სიმამ საკმაოდ სქელი კონვერტი გახსნა და პირველი ორი სიტყვა ამოიკითხა.

იოხანანმა არაფერი თქვა იმაზე, რომ წერილი სიმას სახელზე იყო, მაგრამ ამდენი ხნის გავლის შემდეგ, კიდევ გაჰკრა გულში იმ უსიამო გრძნობამ პირველად რომ დაეუფლა მას, როცა რაფაელის ავადმყოფობის მერე მოულოდნელად შევიდა სიმას ოთახში და ბუხრის პირას თავისი ახალგაზრდა ცოლის ფეხებთან ჩამხობილი რაფაელი დაინახა.

„სიმას, რუსულად“ — გაიაზრა იოხანანმა წამით ყოველივე და სადღაც, გულის კუნჭულში მიყუჩებულმა ეჭვმა კვლავ წამოჰყო თავი, მაგრამ მოხუცმა არ გამოამჟღავნა ეს და ოთახში მყოფთ თვალით ანიშნა, გასულიყვნენ, მარტო დაეტოვებინათ ცოლ-ქმარი.

სიმამ თავიდან ბოლომდე ჩაუკითხა იოხანანს წერილი. ისიც ყურადღებით ისმენდა, თუმცა უჭირდა გაგება.

წერილი ასე მთავრდებოდა:

„და აი, როგორც ზევით გწერდი, მას შემდეგ როცა სასწავლო ოლქის მზრუნველისაგან დავბრუნდით მე და მამაჩემი, ჩემს გონებას ჩამოუცილებლად აეკვიატა ერთი საკითხი: რით არის გამოწვეული ჩვენი ერისადმი უარყოფით დამოკიდებულება, რა არის ამის მიზეზი და რა გზა არსებობს მის დასაძლევად. ეს ხომ საერთოდ ყველა ჩვენთაგანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია? ჰოდა აი, ამ ხნის განმავლობაში თუ კი რამ გავიგე და რამეში გავერკვიე, სწორედ ამ საკითხის ძიების წყალობით. რასაც მივწვდი და ხელში ჩამივარდა ყველაფერი წავიკითხე. მერე უბრალოდ კი არა, მთელი გულს ყურით. ძიების ამ გზაზე ბევრ სიძნელეს წავაწყდი. ზოგი რამ ჩემით გავიგე, ზოგი სხვისი დახმარებით. ეხლა ერთია ჩემთვის ცხადი: ამის მიზეზი, თვით თანამედროვე ცხოვრების შინაარსშია ჩამარხული. ისე როგორც ადრე, დღევანდელ ცხოვრებას საკუთრების ფლობის ინსტიქტი წარმართავს. დღეს ეს ინსტიქტი გასაოცრად დიდია და სწორედ აქედან იწყება ყოველგვარი ბოროტება და საშინელება. ადამიანების ბედს, ყველგან, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, განაგებენ თითო ოროლა ისეთებისა, რომელთა ხელშია კაცობრიობის შრომის ნაყოფი. ამიტომ, საზოგადოების ეს მცირე ნაწილი ყოველნაირად ცდილობს შეინარჩუნოს თავისი მდგომარეობა. ამ ჯგუფში თავმოყრილია როგორც სხვა ეროვნების ადამიანები, ისე ებრაელებიც. მათ შორის ბრძოლაა გამართული. მაგრამ თავიანთი ინტერესები და ის საერთო, რაც მათ შორისაა, კარგად ესმით. ესაა ერთ ჯგუფად გაერთიანება და ყველა პირობის შექმნა მოპოვებულის უზრუნველსაყოფად. ამ საქმეში, ებრაელს ხელს არ უშლის ებრაელობა, გვერდში ედგეს იმავე მდგომარეობაში მყოფ რუს ქართველს, გერმანელს, რა თქმა უნდა დღევანდელი ებრაელის ხასიათი და განწყობილება გუშინ არ შექმნილა. ფულისადმი მისწრაფება, ქონების შეძენის რაღაც განუზომელი სურვილი დიდიხნიდანაა გამოკვეთილი ებრაელის ხასიათში, მაგრამ ამასაც თავისი ახსნა აქვს. ეს ებრაელთა ისტორიული ბედით არის გამოწვეული. დარბეული, საკუთარ მიწა-წყალ დაკარგული ებრაელობა მსოფლიოში გაიფანტა. სადაც კი თავი შეაფარა ყველგან ერთი და იგივე

ნახა. ყველგან ერთი და იგივე — და აი, თავის გადარჩენის ინსტიქტმა ცხოვრების შესაძლებლობებში ჩაახედა. სხვა ერს შეხიზნული ებრაელი მიხვდა, რომ ქონება იყო ერთად-ერთი, რითაც შეეძლო არსებობა შეენარჩუნებია. ამიტომ, ებრაელების ხატად ქონება, ფული გადაიქცა. ქონებას მოპოვება უნდოდა, მაგრამ რა გზით? ისეთივე გზით როგორც ყველა მქონებელი არა ებრაელი ახერხებდა ამას. შენ მკითხავ, განა ყველა ებრაელი მქონებელიაო: რა თქმა უნდა არა.

როგორც გწერდი, წუხელ ჩემთან იყვნენ სტუმრები. სწორედ ამაზეც ვმსჯელობდით და ითქვა, რომ ებრაელი ისევე როგორც ყველა ადამიანი ამ ქვეყნად, უნდა განთავისუფლდეს იმ მარწუხებისაგან რომელშიც იგი იმყოფება. ეს მარწუხები ჩვენი დროის საერთო სენია. ამიტომ საჭიროა ადამიანთა შორის უთანასწორობის მოსპობა და მაშინ ებრაელიც თავისი შინაარსით იგივე იქნება, როგორც სხვა. თავი შეგაწყინე არა? შეიძლება ასე გამოვიდა, მაგრამ მე ვიცი, სადღაც შენც გაინტერესებს ეს. ასე რომ არ იყოს განა შეიძლებოდა ისეთი გულისტკივილით გეამბნა ჩემთვის იაკობ ლერმანის ტრაგიკულ ბედზე, რომელიც შენი ბავშვობის მეხსიერებაში ასე ძლიერად აღიბეჭდა? და რა იყო ამ ტრაგედიის მიზეზი, თუ არა ყველაფერი ეს? რობერტ ლერმანის გზაც აქეთკენ მიდიოდა და ამ გზაზე გადაწყდა მისი ბედიც. არა, ისე არ გამიგო თითქოს მისი მრწამსის გამოსავალს მხოლოდ ამაში ვხედავდე, მაგრამ. მე მჯერა, მან ყველაფერი ეს შესანიშნავად იცოდა.

ერთი სიტყვით, სხვა კიდევ რა მოგწერო გარდა ერთისა!.. სიმა, გახსოვს ის საღამო? გახსოვს რაფაელი? სწორედ ის რაფაელი? დავიფიცებ რომ მხოლოდ შენ იყავი პირველი და ასე დარჩი ჩემთვის ერთად-ერთი! აი, რამდენმა დრომ გაიარა და მე ჩემი ფიქრებით, ისევ შენი ოთახის ღუმელთან ვზივარ, იმავე გრძნობით, სიმა, გესმის, იმავე გრძნობით! ასე მგონია, აქ, ყოველი ქუჩა შენით სუნთქავს. და მეც მარტოდ-მარტო, ჩემს ფიქრებთან დარჩენილი, დავდივარ და თითქოს შენთან ერთად ვიხსენებ შენს ბავშვობას, თითქოს ყოველთვის ერთად ვყოფილიყოთ. მე ისევ ის რაფაელი ვარ, სიმა და კიდევ ვფიცავ არავითარ რისხვას არ მოვერიდები! მხოლოდ ეს მითხარი, გახსოვს შენ რაფაელი? მე ხომ ყველაფერი მესმის შენი, ხომ ვიცი რა ძნელია შენთვის მაგ გარემოში ყოფნა? მამასთან ბოდიში მომხადე. ის ამ წერილის შესახებ უსათუოდ შეიტყობს... მაგრამ უთხარი, — „გახსოვს ჩვენი გზა და საუბარი თქო...? — „ჰოდა, ყველაფერს გაიგებს, ნამდვილად გაიგებს — „აკი გამომიწვიე კიდეც მაშინ საუბარში, როგორც კაცმა კაცითქო, — „უთხარი... ისიც უთხარი, რომ — „ძალიან მიყვარს და თუ ნებას მომცემს მასაც აუცილებლად მოვწერ." ბებია სეიდახს აკოცე... — უთხარი „მალე სტუდენტი შვილიშვილი გეყოლებათქო". სხვები? სხვებიც, მომიკითხე.

რ ა ფ ა ე ლ ი

ნატაშაზე არაფერი იყო ნათქვამი. უკლებლივ, სიტყვა-სიტყვით გაიცნო სიმამ იოხანანს წერილის შინაარსი, არაფერი არ დაუმალავს. იოხანანმა ღრმად შეისუნთქა და თავჩაღუნული, მცირე ხნით ფიქრებს მიეცა. გულწრფელობაში ჩაუთვალა სიმას იოხანანმა ყველაფერი. მერე თვალი თვალში გაუყარა მეუღლეს და როგორც მუდამ სჩვეოდა, უფლებამოსილი ტონით უთხრა: „ჰო, სიმა, მე ყველაფერი მესმის! მისწერ რამეს?"

სიმას პასუხი არ გაუცია. ეხლა ის გარინდული იჯდა და სულაფორიაქებული მხოლოდ რაფაელის წერილზე ფიქრობდა. რა თქმა უნდა მიწერ! — ჰოდა მიწერე, რომ როგორც უნდოდეს ისე მოიქცეს. მე ერთხელ გავაფრთხილე და ეხლა მისი საქმეა. მხოლოდ თუ რამ ფათერაკს გადაეყრება, მე მისი მშველელი ვერ ვიქნები".

— ბატონო იოხანან, პასუხი მინდა წაგიკითხოთ, — მიმართა სიმამ მეორე დილით კარებთან მისულ ქმარს. იოხანანი წამით შედგა და ვერ გადაწყვიტა როგორ მოქცეულიყო. თავმოყვარეობამ ნება არ მისცა სიტყვიერდ დათანხმებოდა. ადგილიდან არ განძრეულა, არც მობრუნებულა სიმასკენ. სიმა მიხვდა, რომ იოხანანი მოუსმენდა.

ქართულად წერდა სიმა: „შენი არჩევანი ბატონ იოხანანს მოსწონს. იწერები უნივერსიტეტში შესასვლელად მომზადებაა საჭიროო. მეც ასე ვფიქრობ. ამიტომ, ,საზაფხულოდ აქ ჩამოსვლა ხელს შეგიშლის. მამა ფულს გიგზავნის. მანდ ბევრი კარგი სააგარაკო ადგილებია, დაისვენე და ჯანგანახლებულმა განაგრძე სწავლა. შენ მარტო შენს ოჯახს არ ეკუთვნი. მომავალი წინ გაქვს და აქეთ კი შენთვის სახარბიელო არაფერია.

ბატონ იოხანანმა შენი წერილი სრულად წაიკითხა და გითვლის რომ მასაც ძლიერ უყვარხარ! მხოლოდ თავს გაუფრთხილდიო. სიმა“.

ახლა იოხანანმა კმაყოფილების გამომხატველი სახით შეხედა სიმას და ოთახიდან გაიდა.

### ერთ მთვარიან ღამეს

მეწვრილმანეობისას ოდნავ მაინც ჰქონდა დრო მოშეს ტოლ-ამხანაგებში გარეულიყო და გართობილიყო. ეხლა რაც კრიხელების მუდმივი მოჯამაგირე გახდა, ხაამისოდ აღარც ეს დრო რჩებოდა. — „მოშე ეს, მოშე ის“ — ყველა მას ავალებდა და მოშეც აქეთ-იქით იყო გაბმული. წარბს არავინ უხსნიდა. არონი შუბლქვემოდან გამოხედავდა ხოლმე „ეზოს მონაწილეც გამიხდა, დუქანშიც შემოძვრა და ბოლოს სერმიასაც მომთხოვსო“ — ბუზღუნებდა თავისთვის. ხანდახან მიხაკა თავშიც წაუთაქებდა. ერთ დღეს, როცა იოსებმაც ხელი წაუწია, მოშე განზე გახტა და შეუბღვირა კიდეც.

— იმიტომ არ მოვსულვარ თქვენთან, მონათ გაგიხდეთ! — შეუტია უკმაყოფილო ხმით ხელქვეითმა მეპატრონეს.

ძმებმა მამასთან დაიჩივლეს მოშეს ურჩობაზე. იოხანანმა პასუხად მაგიდაზე თითები კაკუნით შეათამაშა და შვილებს მდუმარედ შეხედა. ამ შეხედვით ბევრი რამ სთქვა სოვდაგარმა. მერე სიტყვით განაგრძო:

— თვალები გაახილეთ, დრო გამოიცვალა! არ გესმით უგუნურებო რა ამბები ხდება? სანამ ჩვენამდე რამე მოატანდეს, მათ უკვე ყველაფერი იციან. გუშინ დუქანში ლაპარაკობდნენ — „ერთობის საქმე ისევ დაუწყიათ, საჭილაოში პროპაგანდისტი დაუჭერიათ, მაგრამ გაქცევიათო. სუჯუნაში ბოქაული მოუკლავთო. ხომ გაიგეთ ამ დღეებში ფოთში და თბილისში რა ამბები დატრიალდა? — ჰოდა ამის შემდეგ თქვენ ის გიკვირთ მოჯამაგირემ თუ თავი არ გაგალახვინათ?

ძმებმა გაკვირვებულად შეხედეს მამას. აქამდე არასოდეს არ უნახიათ მათ დამთმობი კილოთი მოლაპარაკე იოხანანი.

ჰო, რა გაიკვირვეთ, არ გჯერათ?

რავა არ გვჯერა შენი მამა, მარა რა გამოსაველია თუ იცი? — შეეკითხა უფროსი ვაჟი იოხანანს.

რა გამოსავალია და, თუ დროზე არ ალაგმეს, კიდევ ის ამბები გამეორდება რაც ხუთში იყო. არ გახსოვს?

ვინაა მერე მათი ამლაგმელი? — იკითხა მიხაკამ სასოწარკვეთილად.

— მაგათ კი მოუვლიან, უფრო დიდი ამბავი რომ არ იყოს წინ...—წარმოსთქვა მძიმედ და მრავალმნიშვნელოვნად იოხანანმა. თან სკამს ისე მიეყრდნო ზურგით, რომ სკამი უკანა ორ ფეხზე შედგა.

— რა ამბავი უნდა იყოს ასეთი? რა და... — შეჩერდა მცირე ხნით იოხანანი. — რა და, გონია ომი იყოს!

— ომი?! — წამოიძახეს ერთხმად არონმა, მიხაკამ და იოსებამ.

— ჰო, ომი! ასე ამბობს ყველა ქუთაისში. ვარშავაშიც გავიგონე, — დაბე-

ჯიუთებით წარმოსთქვა იოხანანმა და ახლა სკამი ისევ წინა ორ ფეხზე დაუშვა.

— ვისთან?

— ნემეცთან!

— არაა მგონია აგი კაი ამბავი. რა იქნება მერე თუ იცი? — იკითხა ისევ არონმა. მიხაკა და იოსება უფროსი ძმის და მამის ლაპარაკს ყურს უგდებდნენ და სმენად იყვნენ გადაქცეული.

— არც კაია და არც ცუდი. ფული ასეთ დროს კეთდება. მარა რა გინდა, ხალხი ბევრი ჩაწვება. მერეა და ხელმწიფეს იმედიც დიდად ნუ ექნება ვინმეს. ნამეტანი არეული აქვს ყველაფერი... ომს თავი უნდა! არ გახსოვს რა მოუვიდა იაპონიასთან?.. ახლა აქეთ? წამოყოფენ თავს ეს სოციალისტები და მთლად ასვრიან ქვეყანას. ჰოდა, არ გინდა რამეს გახდე თუ გარეთ და თუ შიგნით?.. სხვისი რა გამიკვირდეს როცა საკუთარი შვილი გამომეზარდა ჩემი ოჯახის დამაქცევლად.

— ვიზე ამბობ მამა ამას?

— ვიზე და რაფკა ვაჟბატონზე!

— რავა მამა, რა ქნა ამისთანა, ბიჭს სწავლა მიეცი და სამაგიეროდ დაქცევას გვიპირებს?

— ეგაა საქმე, სწავლა რომ მიეცი სწორედ იმის ამბავია იგი.

— მერე და ის ასწავლეს საკუთარი მამის ოჯახი დაქციეო?

— ჰო, ეს ასწავლეს, ეს! აბა, სოციალისტობა სხვა კი არაფერია.

— სოციალისტობა?

— ჰო, რა გიკვირს თქვე საწყლებო. სოციალისტი გამოვიდოდა ამდენი განათლებით, აბა თქვენ ხომ არ დაგემზსგავსებოდათ, ორი სიტყვა რომ არ გაგეგებათ ამ ქვეყანაზე? ვაი ჩემო დღეო! ერთ დღესაც რომ ვერ გაძლებთ უჩემოთ!

ასეთი საუბარი იყო მამასა და შვილებს შორის იოხანან კრიხელის ოჯახში 1914 წლის ივლისის ერთ მთვარიან ღამეს.

(პირველი ნაწილის დასასრული)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლიდია მეგრელიძე

★

რათ აირჩიე
მუდმივ ბინად
ძველი საყდარი,
ამ ყვავილებში
რომ დაგეგო
მყუდრო კარავი?
რა ჩურჩულია
შენს გარშემო
ბაგე დამტკბარი,
მეგობარია,
ნიავქარი,
თუ სულ არავინ...

—

სიყვარული ქმნის
ამგვარ ლანდებს
და გული თბილი;
მთვარე ფოთლებში
ამოძერწავს
ოქროს ფიალებს...
ფიქრით მოსილი
მთაწმინდიდან
დასცქერი თბილისს
და იქ, სადღაც შორს
მეტეხს იქით
მტკვარი შრიალებს.
იმ შარიშურში
გაიქროლებს
ლურჯა ცხენები,
ატმის ყვავილი
და სანთლებში
მერის ხელები;
შენი წუხილი,
წამწამებზე
ნამი ცრემლების,
შენი თმებიდან
ჩამოღვრილი
წვიმის წვეთები.

—

რა ჩურჩულია
შენს გარშემო
ბაგე დამტკბარი,
მეგობარია,
ნიავქარი,
თუ სულ არავინ...

—

ტალღა-ტალღაზე
ეხეთქება,
ქანაობს გემი,
გემბანზე დგება
მგზავრი ქალი
გაწეწილ თმებით...
ზღვა კვლავ გრიალებს...
და...
დალუპვას
გადარჩა გემი.
შენ მოგვიტანე
სიხარული
მერცხლების ფრთებით.

—

უახლოვდები
ხალხის ზღვაურს,
ხალხმა რომ გიხმო,
ფრთხილად ადიხარ
ტრიბუნაზე
სიტყვის უფალი,
პოეტის სიტყვას,
მართალ სიტყვას
რომ დაეუფლოს
მოგჩერებია
ათასობით
მსმენელთა თვალი.

—

სიყვარული ქმნის
ამგვარ ლანდებს
და გული თბილი
შენ ისევ ზიხარ
შენს კარავთან
დასცქერი თბილისს...

—

რა ჩურჩულია
შენს გარშემო,
ბაგე დამტკბარი,
მეგობარია,
ნიავქარი,
თუ სულ არავინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოთარ მამფორია

★

# ღამე სამადლოში

*გ. შავგულიძის ხსოვნას*

ბეთანიას გაქცევია სამადლო,
დაშვებულა
          წყნეთის
                    თავდაღმართში.
მაღლა მთვარემ
ვარსკვლავები აანთო,
სწორედ ისე, როგორც ენთო მაშინ...
მაშინ, როცა მთები ჩრდილებს
                              აფენდნენ,
მოლში გვქონდა სუფრა —
ლხინით დამტკბარი.
და უეცრად დავინახეთ აქედან,
როგორ მოწყდა
               ციდან
                    ერთი
                         ვარსკვლავი...
ის ვარსკვლავი
შენი ბედის ყოფილა,
იმ ღამით, რომ გააყოლე თვალები .
რა ვიცოდით...
მას სიმღერა მოვფინეთ,
მერე შევსვით ღვინო ქართულ ჯამებით.
ის ამაღამ არ ჩანს.
აღარ ნავარდობს.
დამწვარა და ჩაფერფლილა მტკვარში.
ბეთანიას გაჰქცევია სამადლოც,
დაშვებულა
          წყნეთის
                    თავდაღმართში...
ფარდის შრიალს
გაჰყვა ტკბილი წამები
და სცენაზე როცა არ ხარ, ვიცი მე.
ცისკარივით მშვენიერი ქალები
ბნელ დარბაზში გრძნობენ
ცრემლს და სიცივეს...
ფეხადგმულო,
                    დარხეულო ალვისხევ!
ტოტებივით აღარ გაშლი მკლავებსა.
ძველებურად მეგობრების ძახილზე
არ მოდიხარ,
არ იღვრები ალერსად...
სამადლოში სუფრა ისევ გაშლილა,
და ეს მწარე გახსენება გულს დაღავს.
მწვანე მოლში
გდია ჯამი დაცლილი,
ყურში წივის შენი სიტყვა:
                              თუ ძმა ხარ!..
მაღლა მთვარემ
ვარსკვლავები ჩააქრო.
სწორედ ისე, როგორც ჩაქრა მაშინ.
ბეთანიას გაჰქცევია სამადლო,
დაშვებულა
          წყნეთის
                    თავდაღმართში...

———

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო აბაშიძე

★

# ზაფხულის ცხელი დღეები

ნიკო გომარელის ჩაბნელებულ სარკმელში შუქი გამოჩნდა. ერთი საათის წინ დაბრუნდა აგარაკიდან. მიტოვებულ ბინაში ყველაფერი ისე დახვდა, როგორც დატოვა. ღამეც კი, ცხელი და სულშემხუთავი, სწორედ ისეთი იყო, როგორც წასვლის წინ, მაგრამ სიცხეს და სიცივეს გომარელი მდგომარეობიდან არასოდეს არ გამოჰყავდა. ის საწერ მაგიდას დინჯად, აუჩქარებლად მიუახლოვდა და მთელი თვის დაგროვილ ფოსტას გადარჩევა დაუწყო. ჟურნალებს, უმნიშვნელო ბარათებს, გაზეთებსაც კი დიდი მონდომებით და წესრიგით ალაგებდა.

— აქაც გამოგზავნეს? ხომ იცოდნენ წასული ვიყავი—ჩაილაპარაკა და მოზრდილ კონვერტს დააცქერდა. ღია ფერის თვალებში სითბომ და სიამოვნებამ გადაურბინა. თუმც ასეთი ბარათი აგარაკზედაც მიიღო. მაინც ხმამაღლა გადაიკითხა — ინსტიტუტის დირექცია სთხოვდა რომ მისი დასწრება უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე აუცილებელი იყო. გომარელმა წერილი სამკუთხედად გადაკეცა და ფეხზე წამოდგა. ზურგზე ხელებშემოწყობილი იდგა. აივნის კარებიდან ელნათურებით მოჭედილი ქალაქი ჩანდა. თბილისს თითქოს სიცხისაგან ძილი დაჰკარგვოდა, ვერ ისვენებდა. ხალხი გასაგრილებლად ადგილს ეძებდა. ქუჩაში მოძრაობის და ლაპარაკის ხმა არ წყდებოდა. გომარელიც აივანზე გავიდა. მოაჯირზე დაყრდნობილმა ფიქრს მისცა თავი. მაგრამ ფიქრებშიც არის განსხვავება, ხან მოგონებები და ჩადენილი შეცდომები შეგაწუხებენ, ხან კი, გონება რაღაც სასიამოვნოს ჩაეჭიდება. ფიქრს შეუძლია, უბრალო ამბავიც კი, გააზვიადოს. ერთი ორად გადააქციოს. გომარელს გაზვიადება არ უყვარდა. მისი ფიქრები ამ წერილმა გამოიწვია, ორი ბარათის ერთად გამოგზავნა — იმას ნიშნავს, რომ აფასებენ, პატივსა სცემენ, მოსწონთ მისი პატიოსნება, ამიტომ ასისტენტები გამოცდების დროს თვალებში შეჰყურებენ. დირექტორმა რამდენიმე სადავო საკითხი ისე გადასჭრა, როგორც გომარელმა ურჩია. ამის გახსენებაზე განათებულ თბილისს ბავშვური ლმობიერებით მიაჩერდა. ერთხანს იყო გარინდებული — მაგრამ ეს სახელი, ავტორიტეტი, ქარის შემოტანილი როდი არის? განვლილი დღეები გაახსენდა გომარელს და წარბი შეიკრა. სტუდენტობის დროს გაჭირვება, მერე ოცდაათწლიანი შრომა, იქ უსიამოვნობაც ბევრი იყო, მაგრამ დღეს მათი მოგონება არა ღირდა. აშლილი უსიამოვნო მოგონებები რომ თავიდან მოეცილებინა ფეხზე წამოდგა. თავის ბინას თვალი მიავლო. საწერ მაგიდისაკენ გაიხედა. მწვანე ყდიანი წიგნი იქ ყოველთვის გარკვევით ჩანდა. წლობით იჯდა თავდაღუნული რომ ეს— ელემენტარულ მათემატიკის ამოცანათა კრებული შეედგინა, როცა მარტო იყო, უყვარდა ამ წიგნის ფურცვლა, ზედ დაწერილი გვარი და სახელი, ამ გულჩათხრობილ, ცივი კაცის გულს ამოძრავებდა, ახარებდა. ასე დაუგროვდა სახელი: დღეებით, თვეობით, წლობით. შრომით მოპოვებულ გავლენას ამიტომ უფრთხილდებოდა. მაგრამ ეს გამოცდები უჭირვებდა საქმეს, ნაცნობები დახმარებას სთხოვდნენ. გომარელი იმალებოდა, სახლში გვიან ბრუნდებოდა, ქალები მაინც არ ეშვებოდნენ, გზაზე ხვდებოდნენ. ემუდარებოდნენ — წერის დროს მათ

შვილებს ცოტათი მაინც დახმარებოდა.

— იცით, თუ ახალგაზრდას ცოდნა არა აქვს, მე ვერაფერს მოვუხერხებ—ეუბნებოდა გომარელი. ზრდილობიანად უხდიდა ქუდს და სწრაფად გარბოდა. ეს იყო მიზეზი რომ ახლაც, ნახევრად ჩაბნელებულ ბინაში მარტო იყო. წინასწარ ჯავრობდა — რომელ დახმარებაზე შეიძლება ლაპარაკი მე ვინ მეხმარებოდა როცა ვსწავლობდი. ამბობდა გომარელი და სიცხისაგან შეწუხებულ თბილისთან ერთად ღამეს ძილღვიძილში ატარებდა:

დილით ინსტიტუტში დანიშნულ დროზე ადრე წავიდა. ახალგაზრდობა გამოცდის ჩასაბარებლად თითქმის უკლებლივ მოსულიყო. თეთრად შეღებილ შენობას შემოხვეოდნენ. ასობით ქალვაჟი ერთად იდგა და მათი ჩვეულებრივი ჟრიამული და სიცილ-კისკისი არ ისმოდა. გაჩუმებულიყვნენ, პირი მოეკუმათ. მღელვარე მოუსვენარი თვალებით მისჩერებოდნენ ინსტიტუტის მიხურულ კარებს, მაღალ კედლებს, გამოაცხადეს რომ გამოცდები ორი საათის შემდეგ დაიწყებოდა. ოდნავ წამოწვიმა, მაგრამ წვიმა ისე ხანმოკლე იყო, გახურებულ მიწაზე დაცემული ყველა წვეთი დაითვლებოდა. ახალგაზრდების ყურადღება გომარელმა მიიქცია. ის ინსტიტუტის შენობიდან გამოვიდა. ეტყობოდა ბაღში შესვლა გადაეწყვიტა. ნელი ნაბიჯით მიდიოდა, ქუთუთოები დახრილი ჰქონდა. ახალგაზრდები განზე იწევდნენ. გზას უთმობდნენ.

— უჰ, ეს წელსაც იბარებს?! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ და გაჩუმდა.

— ვინ, ვინ არის ეგ?— დაიჩურჩულეს აქეთ-იქიდან.

— მათემატიკის გამომცდელია, უბედურად ჭრის, ისე გამოგისტუმრებს გამოცდიდან, წარბს არ შეარხევს. — უპასუხა ისევ იმ ხმამ.

გომარელს ესმოდა ეს ჩურჩული, მაგრამ არად აგდებდა. მის ღია ფერის თვალებში ოდნავ დამცინავი შუქი მოჩანდა. ბაღში განმარტოებული ადგილი აირჩია. ბუჩქებში მიმალულ სკამზე ჩამოჯდა. გომარელის გულმა ბევრი რამ დაივიწყა. მაგრამ წვიმისაგან დანამულ მწვანე ფოთლების სიყვარული კიდევ შემორჩა. აქ ყველა ხე ნაცნობი იყო. როგორი სისწრაფით იზრდებიან,—ფიქრობდა ის და ტოტზე მწკრივად დაკიდებულ წვიმის წვეთებს მისჩერებოდა. მის ზურგს უკან კი, მოლოდინი და მღელვარება ჩუმ ჟრიამულივით მოისმოდა, გომარელს დასვენებას თითქოს უშლიდა.

— რეზო! რეზო! — დაიძახა ვიღაცამ იქვე მახლობლად, ხმა მოხუცისა იყო, გაბზარული და ოდნავ მთრთოლვარე. გომარელმა კისერი უკმაყოფილოდ შემოაბრუნა. იასამნის ბუჩქებთან შავებში ჩაცმული მოხუცი ქალი იდგა, ნაცრისფერ სახეზე თითქოს სიკვდილის ნიღაბი ჩამოჰფარებოდა. ქალური მარტო ღიმილიღა შემორჩენოდა.

— რეზო, გაიმეორა კიდევ მოხუცმა.

ცოტახნის შემდეგ სიმწიფეში შესულმა ახალგაზრდამ მოირბინა. მოხუცს ჩამქრალი სახე გამოუცოცხლდა. ბიჭს კი სიფიცხისაგან ლოყები წითლად შეეღება.

— შენ აქ მოხვედი? რად აკეთებ ამას, ვერ გამიგია? — შეუტია მოურიდებლად.

— პატარა საუზმე მოგიტანე, დილას მშიერი გამოიქეცი, — უთხრა მოხუცმა და რაღაც პატარა, ქაღალდში შეხვეული გაუწოდა, მაგრამ რეზომ შორს დაიჭირა.

— აბა, რას ამბობ, მე ახლა ჭამის თავი მაქვს. ამისთვის ლოგინიდან როგორ ადექი და წამოხვედი. ეუბნებოდა საყვედურით.

— რა ვქნა შვილო, გულმა არ დამაყენა, ხომ ხედავ ყველას მახლობლები გამოჰყოლიან.

— ეგენი სხვები არიან, შენ ფეხზე ძლივს დგახარ. ხმას დაუწია რეზომ. ეტყობოდა გული აუჩუყდა. გომარელს ისე მოეჩვენა, შემდეგი სიტყვების თქმა ცრემლმა დაუშალა. გომარელმა ხის ტოტი ფრთხილად გადასწია, რომ უკეთ შეეხედა მოხუცისათვის. მოხუცს კისე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ოდნავ უკან გადაეწია და, როგორც კი შეიძლება ადამიანის სახემ სევდა გამოხატოს, ისეთი სახით მისჩერებოდა ეზოში შეგროვილ ახალგაზრდა ქალვაჟთ, რომელთაც გვერდით ახალგაზრდა დედ-მამა ამოსდგომოდნენ.

— მერე რა ვუყოთ, რომ დავბერდი და შეუძლოდა ვარ, მეც გული მაგითებურად მერჩის. — დაიწყო მოხუცმა ლაპარაკი...

— არა, — შეაწყვეტინა რეზომ.— ნუ დაიწყებ ახსნა-განმარტებას. შენი აქ ყოფნა მე არაფერს არ გამიკეთებს, ძალიან გთხოვ, წადი.

— ოღონდ ნუ იღელვებ და წავალ, შვილო, — უპასუხა მოხუცმა და ამოიოხრა.

რეზო გაიქცა. მოხუცი დარჩა, ეტყობოდა ცდილობდა მხნედ ყოფილიყო. და სასიამოვნო იერი ჰქონოდა, თავაწეული იდგა, მაგრამ მისი მაღალი ტანი, ჰაერის წინააღმდეგობასაც კი ვერ უძლებდა. ბარბაცებდა. გომარელის გულმა თითქოს შებრალება რა იყო, არ იცოდა. მაგრამ ახლა ახალგაზრდა ვაჟკაცი მეტად სასტიკად მოეჩვენა, მოხუცი კი შესაბრალისად, და მის ღია ფერის თვალებში ფიქრი გაცურდა. თვითონაც დედის მიმართ უკმეხი იყო. ვინ იცის, ისიც საუზმით ასე ელოდებოდა გამოცდის შემდეგ დაბრუნებულ შვილს. ამაზე არასოდეს არ უფიქრია, მაგრამ ის კი აწუხებდა რომ ავადმყოფი დედა სოფელში, ვერც ერთხელ ვერ ინახულა, სწორედ იმ დროს შრომას სწერდა. ცოცხალს ველარ მიუსწრო და ისე მოეჩვენა თითქოს დედის მოკუმულ ტუჩებს, შვილისადმი სიყვარული და საყვედური შემორჩენოდა. ცდილობდა ეს არასოდეს არ გაეხსენებინა. გომარელმა საათს დახედა, გადაწყვიტა წასულიყო, ამ უსიამოვნო ადგილს გასცლოდა, მაგრამ იმ დროს, პირდაპირ გაჩერებულმა, ჩასუქებულმა ქალმა ქოლგას შეფარებული ქალიშვილი მიატოვა და მოხუცს ცნობისმოყვარე სახით მიუახლოვდა.

— ვინ არის თქვენი ეგ ახალგაზრდა, შვილიშვილია?

— დიახ, უპასუხა მოხუცმა თავაზიანად.

— თქვენ გაზარდეთ?

— მე ვზრდიდი, როცა ძალიან გამიჭირდებოდა, მაშინ სკოლა მეხმარებოდა. ეს მეორე წელია მუშაობს საღამოობით.

— რა გინდა, გაგიზრდიათ, გზაზე დაგიყენებიათ.

— არა, — გაიღიმა მოხუცმა. — გზაზე დასაყენებლად დღეს მოვედით ორივენი. ამ შენობაშია ყველაფერი, რაც ახალგაზრდა კაცსა სჭირდება რომ გზაზე დადგეს, დღისით იმუშავებს, საღამოს აქ გამოიქცევა, უმაღლეს სკოლაში. ახალგაზრდებმა კიდევ არ იციან, ბავშვები არიან, როგორ სასიკეთოთ არის მოწყობილი ამათი მომავალი — ლაპარაკობდა მოხუცი და ეზოში გაფანტულ ახალგაზრდებს ალერსიანი თვალებით მისჩერებოდა.

— ნუ სწუხართ. ჯერ ბავშვია! წელს თუ არა, მერმის მაინც მოხვდება, აი ჩემი გოგონა... მეორედ მოდის გამოცდაზე, ისე გაირბინა წელიწადმა ვერც კი გავიგე.

— წელიწადი თქვენთვის გაირბენს სწრაფად, ახალგაზრდა და ჯანმრთელი ხართ, მე დღეები დათვლილი მაქვს. საათების იმედიღა შემომრჩენია.—ეუბნებოდა მოხუცი ღიმილით და სახე სევდით ევსებოდა.

— ეს კარგია, იმედი გაქვთ რომ თქვენი შვილიშვილი გამარჯვებული გამოვა გამოცდიდან. ამოცანების გადაწყვეტა აღელვებული ბავშვისათვის არც ისე ადვილი საქმეა.

— მე იმედის მეტი სხვა ქონება არაფერი გამაჩნდა. გაჭირვების და უბედურების დროსაც ამით ვიცხოვრე. შრომითა და იმედით გავზარდე ბავშვი, დღესაც მგონია, არ შეიძლება ცხოვრებამ ამ ქვეყნიდან ისე გამიშვას, კარგი არაფერი გამოიმეტოს. ამიტომ მინდა ჩემ კუთვნილ სიამოვნებას არ დავუცადო. — ლაპარაკობდა მოხუცი თავისებური ღიმილით. მაგრამ სევდა და შიში თვალებს თანდათან ემატებოდა.

უცნობ ქალს ეტყობოდა საკითხავი აღარაფერი დარჩენოდა. მიტოვებულ ქალიშვილს მიუბრუნდა. გომარელმა საათს დახედა. გამოცდის დროც მოახლოვებულიყო. ფეხზე წამოდგა. მისი იქ ყოფნა მოხუცმა ახლა შენიშნა. თითქოს შეეშინდა, მაგრამ გომარელს არ შეუხედავს. მიდიოდა ნელი ნაბიჯით და მის დახრილ ქუთუთოებში მიმალული ფიქრი მოჩანდა. აუდიტორიები ახალგაზრდებს დაეჭირათ. უსიამოვნო სიჩუმე და მღელვარება იდგა ოთახში. ხანშიშესული პედაგოგები ცდილობდნენ გამოცდების დროს რაც შეიძლება ცივი, მიუკარებელი იერი შეენარჩუნებინათ, ნელა მოძრაობდნენ და მშრალი სახით იყურებოდნენ. გომარელი კოლეგებს მიესალმა. გაუღიმა, მათ ცარცი შესთავაზეს. გომარელმა შერჩეულ ამოცანას და მაგალითებს გადახედა, მის თვალებს მიუკარებელი იერი გადაეკრა. ნელა, დაკვირვებით წერდა დაფაზე. მისი გული ამ ციფრების ტყვე გამხდარიყო. წერას მორჩა. მოიხედა. ამ დიდ ოთახში ვაჟკაცებისა და გოგონების გულის ხმას გაიგებდა, მაგრამ გომარელი გამოცდის დროს მღელვარებას, დაბნევას, უცოდინარობის მიზეზად თვლიდა, სასტიკად, განუკითხავად მოითხოვდა ცოდნას, ამ ფორმულებს არასოდეს არ ღალატობდა. აუდიტორია ახალგაზრდა ასისტენტებს ჩააბარა, გააფრთხილა: — დიდი წესრიგით ედევნებინათ თვალყური, არავის არაფერი გადაეწერა. თვითონ სხვა აუდიტორიას მიაშურა. ქაღალდის ფურცლებზე დახრილიყვნენ. გომარელმა თავისებური დინჯი ნაბიჯით ჩაიარა და თან შიში ჩაატარა. უკანასკნელ მერხთან გაჩერდა. რაღაც ნაცნობი სახე მოხვდა თვალში. დააცქერდა, მოხუცის შვილიშვილი იყო. ოდნავ ხვეული ქოჩორი ოფლისაგან შესველებოდა. ხან თავდახრილი წერდა, გაღომებული ებრძოდა ქაღალდს. ხან კი გაჩერდებოდა, ბიჭის თვალები სადღაც გარბოდნენ, სარკმლის იქით იცქირებოდნენ. გომარელმაც გაიხედა. მოხუცის შავი ლანდი ოდნავ მოჩანდა. ჯიუტად იდგა და თითქოს ცხოვრებისაგან უკანასკნელ სიამოვნებას მოითხოვდა. გომარელს გულში რაღაც სითბომ დაუარა. თვალები შეუთბო. ისე როგორც ერთი ჭიქა ღვინის დალევის დროს ემართება კაცს. რეზოს ნაწერთან დაიხარა.

— მაგალითი შეცდომით მიგყავს. — ხმამაღლა ჩაილაპარაკა და პირი მოკუმა. კიდევ არაფერი წამოსცდენოდა.

რეზომ აიხედა. ერთხანს დააცქერდა გამომცდელს, და მის მუქ ლამაზ თვალებში ცრემლი გაცურდა. რისი არის ეს ცრემლი, განვლილ ბავშვობისა, თუ შიშია მომავლისა? — გაიფიქრა გომარელმა და პირველად იყო რომ ამ ცრემლთან შედარებით დაფაზე ჩამოწერილი მშრალი ციფრები ცივად და უსულოდ მოეჩვენა. კიდევ მეორედ დაიხარა და მაგალითის მსვლელობა, რეზოს ხმამაღლა, მოურიდებლად უკარნახა.

— რას ჩადით? აუდიტორიის ყურადღება თქვენსკენ არის მომართული — ჩაულაპარაკა ქალის ხმამ გომარელს. აიხედა: მათემატიკის დოქტორი იდგა. გომარელი ამ ქალს ყოველთვის პატივსა სცემდა. მოსწონდა მისი მიუდგომლობა და სისასტიკე. ახლა კი ისე გაავებული ულამაზოდ მოეჩვენა.

— ვეღარ მიცვნიხართ! — უთხრა ქალმა.

— თქვენც მიეხმარეთ დანარჩენებს. ტრიგონომეტრიული მაგალითი ერთობ ძნელია. გამოცდის პირველი დღე მათემატიკაში წერით არ უნდა იწყებოდეს, აღელვებული გული გონებას უშლის მუშაობას. — უთხრა გომარელმა.

ქალს, ეტყობოდა, გაუკვირდა გომარელის სიტყვები, ორაზროვნად გაიღიმა და განზე წავიდა.

— დაინახე, როგორ ეხმარებოდა, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ მერხზე. ბოხი მაღალი ხმით.

გომარელი შეკრთა. თითქოს ახლა გამოერკვა და მოლაპარაკე ახალგაზრდას მიაჩერდა.

— თქვენ ბევრს ნუ ლაპარაკობთ! — შეუტია, მაგრამ ისე მოეჩვენა, თით-

ქოს მის ხმას ძალა და გამბედაობა დაჰკარგვოდა.

— ნუ გაგვიხდით სალაპარაკოს და არ ვიტყვით არაფერს. როგორ არა ვთქვათ, როცა ასეთი მიკერძოებით უდგებით ახალგაზრდობას. ცხადლივ, მოურიდებლად მფარველობთ ერთს და მეორისკენ არ იყურებით. — შეუტია ერთმა იმათგანმა და კალამი დაღო. ოთახიდან გამოვიდა. მეორეც უკან გამოჰყვა.

— რა დამემართა? — შეეკითხა საკუთარ თავს და ოფლიან შუბლზე ცხვირსახოცი გადაისვა. პროფესორი ქალი ფანჯარასთან დინჯად იდგა, გომარელს ისე მოეჩვენა თითქოს ნიშნის მოგებით მისჩერებოდა. კარი გაალო. აუდიტორიიდან გამოვიდა. საკვირველია, შემთხვევამ შეიძლება დანაშაულიც ჩაგადენინოს და სულელური სიკეთეც გაგაწევინოს. გომარელი ცარიელ ოთახში ბოლთასა სცემდა. კარგახნის შემდეგ კარი გაიღო, ოთახში დირექტორი შემოვიდა თან კომისიის წევრები მოჰყვებოდნენ.

— მე თქვენ გეძებთ, რა მოხდა მეხუთე აუდიტორიაში? ახალგაზრდები აღელვებულები მოვიდნენ ჩემთან. თქვენ გამოიწვიეთ ეს აურზაური?

ვომარელი დამნაშავე მოწაფის სახით იცქირებოდა.

— ვინ არის ის ყმაწვილი თქვენი?

— არავინ. დღეს პირველად ვნახე.

გომარელის თვალები შეკრთნენ და დირექტორს მიაჩერდნენ.

— პატივცემული ნიკო აქამდე ისე კეთილსინდისიერად ასრულებდა მასწავლებლის მოვალეობას, რომ მე მგონია, სასჯელზე ლაპარაკი უხერხულია. თქვენ ღელავთ და იმიტომ იჩენთ სისასტიკეს, — ჩაერია ლაპარაკში დოცენტი ქალი, მერე დაფიქრდა და ხმამაღლა გამოაცხადა:

— ჩემის აზრით გავაუქმოთ მისი ნამუშევარი და ყველაფერი რიგზე იქნება.

— არა, მაგის ნებას კი აღარ მოგცემთ. — გაისმა გომარელის ხმა და უფერული სახე წამოუწითლდა. — ბავშვის ნამუშევარში მე ჩავერიე და ყოველგვარ დანაშაულს მე ვიღებ ჩემ თავზე. ამ სიტყვებით შეტრიალდა. თავის საზაფხულო ქუდს ხელი დაავლო და აუდიტორიიდან გამოვიდა.

გამოცდები დამთავრებულიყო. ახალგაზრდები სახლებში ბრუნდებოდნენ. გომარელი ჩამოდიოდა მაღალი კიბის საფეხურებზე და ისეთი გრძნობა ჰქონდა თითქოს ყოველ ნაბიჯზე უკან სტოვებდა სახელს, გავლენას, პატივისცემას, რომელთაც ოცდაათი წელი ისეთი სიფრთხილით აგროვებდა. გარეთ გამოსულს ცხარე მზე დახვდა. თითქოს არსად არაფერი არ შეცვლილიყო. რათა, რისთვის შემოვიხვიე თავზე ეს უსიამოვნება, რა წერამ ამიტანა? ეკითხებოდა საკუთარ თავს და ცხელ ასფალტზე ნელი ნაბიჯით მიდიოდა. ტროლეიბუსის გაჩერებასთან მხარბეჭიან ვაჟკაცს შეასწრო თვალი. შავებში ჩაცმულ მოხუც ქალისთვის მხარზე ხელი შემოეჭდო. მანქანაში ასასვლელად მიჰყავდა. გომარელი დააკვირდა: ბებია და შვილიშვილი იცნო. მოხუცის სახისთვის თითქოს სიკვდილის ნიღაბი ვიღაცას ხელით ჩამოეგლიჯა. თვალები ახალგაზრდულად უბრწყინავდა, მუხლებს ეტყობოდა ძალას ატანდა, რომ უფრო სწრაფად გადაედგა ნაბიჯები.

რეზოს ლამაზ სახეზე მზე და ღიმილი, როგორც ბედნიერება გადაშლილიყო. გომარელი კიდევ გულდასმით დააცქერდა, მიხვდა. ცხოვრებას ერთისთვის პირველი სიხარული ეჩუქებინა, მეორესთვის კი — უკანასკნელი.

დანაშაული ჩავიდინე? — შეეკითხა გომარელი თავისთავს და პასუხისთვის მიიხედ-მოიხედა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ კლდიაშვილი

★

## არავინ მიცნობს გამოსარჩლებით

მე თავის ქება არ დამცდენია,
არავინ მიცნობს გამოსარჩლებით,
ლექსის იმდენი ვაჟკაცებია,
არცა მაქვს თავი გამოსაჩენი.

მაგრამ ყველგან რომ სიმღერას ვისმენ,
მე როგორ შევხვდე მუნჯად ნაცნობებს,
სირცხვილი არის ამ ლამაზ ცის ქვეშ,
ვიყო კაცი და აღარ ვკაცობდე.

ფხიანი სიტყვა მახარებს ისე,
ვით მონადირეს ნანადირევი;
და თუ შევხვდები გოგონას მზისებრ —
ლექსების წერით გადავირევი...

ესეც არ იყოს, დავწერ მართვებზე
და ვამკობ ჩემი ვაზის ძირებსაც,
ლექსებზე ისე გადავათენებ —
მეყოფა წუთის გამოძინებაც.

დავდგები ჩემი მამულის კართან,
როგორც ვიცით და როგორც ვიცოდით.
ყველა მოკეთეს და ყველა გამტანს
შემოვევლები ლექსის სიცოცხლით.

ნახეთ ათასი უძილო ღამე
თუ ულექსობით გამიტეხია
და თუ ვერ ვამბობ საკვირველ რამეს —
არც არასოდეს დამიკვეხნია.

ვიცი სიცოცხლეს არ დამამადლებთ,
ამქვეყნად კიდევ დიდხანს დავიცდი,
აწი თქვენ იცით, თქვენ დამიმატეთ,
მე ჩემს შესახებ მეტი არ ვიცი...

ვთქვი...
თავის ქება არ დამცდენია,
არავინ მიცნობს გამოსარჩლებით,
ლექსის იმდენი ვაჟკაცებია,
არცა მაქვს თავი გამოსაჩენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აკაკი გელოვანი

★

### ღრუბლები

მიწის სულივით ჩუმად შობილნი
მთების გულიდან აზვირთდებიან,
უჩინარივით უჩინარები —
ლაჟვარდ სივრცეში აფრინდებიან;
ცაში ჭალარა ბერიკაცივით
სამყაროს ბედზე ჩაფიქრდებიან;
გზას აუქცევენ ხრიოკ უდაბნოს,
მღვრიე ვულკანებს ალისფრთებიანს,
ჰექა-ქუხილით შესძრავენ სივრცეს,
განრისხდებიან, დამშვიდდებიან;
გადაუვლიან ზღვებს და მდინარეს —
თეთრზვირთებიანს, შავზვირთებიანს,
ველარ ზიდავენ სამყაროს ტკივილს,
და ცხრა მთას იქით ატირდებიან.

### თეთნულდის თავზე

მთას დასრულება უნდოდა —
თეთრი თეთნულდის მთას.
და მეჩვენება: მთის თავზე
გიეს კარავი დგას,
მაგრამ მე გიეს ნაკვალევს
საით შევაწვდენ თვალს!
არწივო მაღლა მფრინავო,
რას დამტრიალებ თავს?
თუ იქ აფრენა მოგიხდეს,
თვალი შეავლე მთას;
თუ ნახო, მართლა კარავი,
ფრთა შემოჰკარი ფრთას!

### უფლისციხელი განძის მაძიებელი

დაჰკრა წერაქვი საკუთარ ბედზე —
წერაქვს ამოჰყვა ღორღი და ხრეში;
დაჰკრა წერაქვი ცოლ-შვილის ბედზე —
კაჟი და კენჭი შემორჩა ხელში.

დაჰკრა წერაქვი მტარვალთა ბედზე —
რკინას ამოჰყვა ძვალი კრიალა;
დაჰკრა, დაბოლოს, მამულის ბედზე —
და მარგალიტმა გაიწკრიალა!

———

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეზმან ერთაწმინდელი

★

## ხმალმა იელვა საჩეხად

სტალინგრადს ალი ავარდა, ხმალმა იელვა საჩეხად,
ჩვენი ჯარები დაიძრნენ მტრის თავზე რისხვის სატეხად.

ვოლგის ციხე დგას ურყევად, მკვლელები ზედ თავს ახლიან
და ჩვენი გმირი ვაჟკაცნი ბრძოლაში მათ ქანცს აცლიან.

ალვირს მიუშვეს მხედრებმა, სწრაფად რომ შესხდნენ ცხენებზე
და გრიგალივით მიჰქრიან ცად აწვდილ ალის ენებზე.

და ძმადნაფიცნი სპობენ მათ, ვინც თავს დაგვეცა ნადირად.
ალი იშლება, ვით დროშა ,მქუხარე თერგის ნაპირად

ღონმა რომ ხმალი იშიშვლა, კავკასის მთებზე ელავდა
ხალხი ზვავებად დაეშვა, მოსეულ მტრებსა ჰქელავდა.

ქარები ზათქით ქშუიან სისხლით დაპობილ ხრამებზე
და მგლები ველად ყმუიან საზარ მტარვალთა გვამებზე.

ცას ლეგა ფარდა ეხევა, ველებს რომ აწვა ტყვიებად
და ხალხი მტრის ზურგს ესევა, ცეცხლს აფრქვევს შურისძიებად.

ტყვედ აღარ არის ხარკოვი, ხალხს მზე უელავს ტუჩებზე
და სისხლისფერი დროშები ღელავენ ლამაზ ქუჩებზე.

სტალინგრადს ალი ავარდა, დარტყმა აქედან იწყება
და მის დამცველთა სახელი არადროს დაგვავიწყდება.

---

ეხლახან შესრულდა სამოცდაათი წელი სეზმან ერთაწმინდელის დაბადებიდან. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ნაწარმოები: ლექსები, პოემები, პიესები და სხვა რითაც მწერალმა მკითხველი საზოგადოების სამართლიანი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანზორ აბულაშვილი

★

* *
*

შორით ძირს წვება ცა უსასრულო,
შორით ცას თეთრი მთები მოებნენ...
თოვლია ჩემი სულის სურვილი
და თოვლის სუნი მოაქვს ნოემბერს...
დამავიწყდება მიწის სიმწვანე
და ცა მეყრება თოვლით ახალით.
ყველა სურვილი რჩება მიწაზე
და მიწა არის ცაზე მაღალი.
თეთრი მინდორი თოვლში ვრცელია,
უფრო ჩუმია თოვლში დუმილი.
გასავლელი გზა მაინც ძნელია
და მზისფერია ყველა სურვილი.
მე ეს გაქცევა თოვლში მომინდა,
სულის გათბობა თოვლის სიცივით.
თოვლში სიცილი უფრო შორს მიდის.
უფრო ლაღია თოვლში სიცილი...
და, ამ ერთ ფერით ვივსები ახლა,
და, არის ჩემთა თვალთა სასმელი...
თოვლში შენც უფრო ლამაზი ჩანხარ
და აღარ არის გზა წასასვლელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ნაკაშიძე

★

# მოგონებები

გურიის შესახებ წერას რომ შევუდექი, ვფიქრობდი დამეწერა მოგონება 1905—1906 წლებზე, როდესაც გურიაში ვცხოვრობდი და ხალხმა რევოლუციისა და რეაქციის დიდი ქარტეხილები გადაიტანა.

მე ვიყავი მოწმე რევოლუციის შემდეგ წლებში გურიაში მომხდარი დიდი მოვლენებისა. ვიყავი მოწმე, თუ როგორ გამოიცვალა ძველმა გურიამ სახე, თუ როგორი იყო იგი ამ ოთხმოცი წლის წინათ და როგორია ახლა. თუ როგორ იბრძოდა ჩაგრული ხალხი უკეთესი ცხოვრების მოსაწყობად, როგორი მსხვერპლი გაიღო მან, როგორ მიაღწია დღევანდელობას?!

ერთი ინგლისელი ისტორიკოსი ამბობს: „ისტორია იგივე პოეზიაა, მხოლოდ უნდა იცოდე, როგორ უნდა უამბო იგი ხალხსო“.

მე, რასაკვირველია, იმის პრეტენზია არ მაქვს, რომ ჩემი მოგონება პოეზია იქნება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვბედავ ვაუწყო ხალხს ჩემი ღარიბი სიტყვებით და კალმის წვერით ის, რაც განვიცადე მრავალი წლის მანძილზე, რასაც დავესწარი, რის მონაწილეც ვიყავი ნაწილობრივ. რამდენად შევძლებ ამას, განსაზღვროს იმან, ვინც წაიკითხავს. და, თუ ჩვენ შვილებს და შვილიშვილებს ცოტა რამ საგულისხმიერო ეტყვის ეს მოგონება, მე ამითაც კმაყოფილი ვიქნები.

## I

1952 წელს გავემგზავრე გურიაში. მახარაძის მოსწავლე პიონერებს უნდა შევხვედროდი, როგორც საბავშვო მწერალი.

— სამტრედია, სამტრედია... მატარებელი დგას... — მომესმა ხმა დილით. მე მაშინვე წამოვდექი და მივედი ფანჯარასთან, მაგრამ მატარებელი უკვე დაიძრა და გაშორდა სადგურის გრძელ, დაბალ შენობას. ეტყობოდა, წვიმამ ეს-ეს არის გადაიღო, ხეებიდან წვეთავდა დიდრონი კრიალა წვეთები, ნისლი აკრეფილი იყო დედამიწიდან და სქელი მოლურჯო კვამლივით ნელა მიცურავდა მაღლა ცისაკენ, თითქოს უნდოდა გასცილებოდა მწვანე გაფოთლილ, აყვავებულ ატმისა და ტყემლის ხეებს. გაეთავისუფლებინა ამწვანებული მინდორი, რათა გზა მიეცა ახლად ამოსული მზის სხივებისათვის, გაეშუქებინა, გაეხარებინა ირგვლივ მიდამო.

რკინიგზის ლიანდაგის ორივე მხარეს ამწვანებულ ფართო ეზოებში ჩამწკრივებულიყო აივნიანი ლამაზი ოდები, ხალხი იღვიძებდა და ცნობისმოყვარეობით იცქირებოდა მატარებლისაკენ.

ორღობიდან გამოიჩინა წითელმა ხბომ. ხბოს მოსდევდა ქალი. მე გამაკვირვა ქალის ქალაქურად ჩაცმულობამ: მოკლე, ვიწრო კაბა და ლურჯი ჯემპრი ეცვა. მაღალყელიანი ბოტებით მოაბიჯებდა ატალახებულ შუკაში.

მე მივემგზავრებოდი იქ, სადაც 1924 წლიდან არ ვყოფილვარ. ამ გზაზე, ასე ჩაცმული, თავშიშველი, შეკრეჭილთმიანი სოფლელი ქალები მაშინ არ დადიოდნენ.

სადგური საჯავახო: მატარებელი ორ წუთს დგას. მომაგონდა, რომ სწორედ ამ სადგურზე ჩამოვხტი 1918 წელს

და, ერთ მეგობართან ერთად, გავემართეთ ფეხით სოფელ ხიდისთავში. ხიდისთავი დიდი, ლამაზი სოფელია. ჩვენ მივდიოდით მხიარულად. იმისდა მიუხედავად, რომ გურიაში იმ დროს ომი იყო (საქართველოს ებრძოდა თურქეთი), და მე ვაპირებდი ფრონტის ნახვას, დათვალიერებას. ვიცოდი, რომ ფრონტი ნაგომარზე იყო. ჩვენი მატარებელი მოდიოდა თბილისიდან, ჯარისკაცებისათვის საჩუქრები და ნაწილობრივ ტანისამოსიც მოჰქონდა.

ჩემი მეგობარი და მე ხიდისთავში ვესტუმრეთ ნაცნობ ოჯახს, რომელიც დიდი სიყვარულით და ხალისით შეგვხვდა და გაგვიმასპინძლდა. მამაკაცები ომშიაო, — გვეუბნებოდნენ ქალები, მაგრამ ყველა დარწმუნებული იყო, რომ ჩვენი ჯარი უთუოდ გაიმარჯვებდა, რადგან ჯარს ხელმძღვანელობდა ისეთი გამოცდილი, ცნობილი გენერალი, როგორიც ვასილ გაბაშვილი იყო...

— ძალიან დაფიქრებული კი იყურებით ამ ფანჯარაში; რამდენი ხანია გელაპარაკებით და არ გესმით, — მომწვია მკლავზე ვიღაცამ. მოვიხედე, ჩემი კარგი ნაცნობი გამოდგა.

— მე ახლა ფიქრით ხიდისთავში ვარ, — ვუთხარი მე. — 1918 წელია. ომია... ხვალ ფრონტზე მივდივარ და, რადგანაც მას აქეთ ასეთი შორი და დიდი მანძილი გავიდა დროთა მსვლელობაში, ვერ გავიგონე... არ გეწყინოს... გამარჯობა!..

— გაგიმარჯოს! არა, არ მეწყინა, მხოლოდ მიამბე რა ამბავია ხიდისთავში და როგორ მოიარე ფრონტი?

—ხიდისთავი? ფრონტი? აჰ, ხიდისთავი, ცუდად. ჩასვლის მეორე დღესვე, დილით, გავემგზავრეთ ფრონტის სანახავად ნაგომარზე. გამოვედით თუ არა სახლიდან, დავინახე — ადგილობრივი სატუსაღოდან რამდენიმე ტუსაღი გამოიყვანეს.

— ესენი ქუთაისის სატუსაღოში მიჰყავთ, — გვითხრა ერთმა იქაურმა მცხოვრებმა, რომელიც შემოგვიერთდა მგზავრობაში. ტუსაღებს მიჰყვებოდნენ ცხენოსანი და ქვეითი მცველებიც. — აი, ეს ერთი, — განაგრძო თანამგზავრმა, — მაღალი, ბრგე, ლამაზიც არის ის ოჯახქორი — ყაჩაღი დათუნაიშვილია. ძალიან ყოჩაღი კია. მოტყუებით ჩაიგდეს ხელში, თვარა ვინ დაიჭირავდა მას... სხვები კი ისე უბრალო აურზაურისათვის არიან დატუსაღებული, ქუთაისში გაუშვებენ.

არ გაგვივლია ერთი კილომეტრიც კი, რომ თოფის ხმა გავიგონეთ. თანამგზავრი ერთ წუთს შეჩერდა და თავი გააქნია. ლაპარაკით შევედით ტყეში.

— აი ტყეს რომ გავსცილდებით, ბახვში შევალთ. აი სოფელი, მარცხნივ ასკანაა.

თვალწარმტაცი სოფელი, ასკანა მაღლობიდან გადმოგვცქეროდა. ჰომეროსის უკვდავ „ილიადაში“ მქონდა წაკითხული, რომ მშვენიერი ელენეს ძმები ასკანიდან ჩამოვიდნენ ტროაში ბერძნების ომში მონაწილეობის მისაღებად. ვუყურებდი აყვავებულ ასკანას და ვფიქრობდი რომ ასეთ მშვენიერ სოფელში შეიძლებოდა მხოლოდ ისეთი მშვენიერი ქალი გაჩენილიყო, რომ მის სილამაზეს ყველა მოეხიბლა და ომებიც ამტყდარიყო იმისი გულისათვის...

— დიდი ფანტაზიით ყოფილხარ შეპყრობილი, — მითხრა ჩემმა ნაცნობმა, — მაგრამ მე მინდა ნაგომრის ფრონტის ამბავი გავიგო.

...ამასობაში კარგა დიდი მანძილი გავიარეთ, ტყეში, შქერისა და აყვავებული იელის ფონზე გამოჩნდა რუსული ლეგენდარული სამი „ბოგატირივით“ სამი ცხენოსანი: ერთი უფრო ბრგე და სრული აგებულებისა და ორიც, ცოტათი უფრო მორჩილი. თავზე ბოხოხები ეხურათ, საუცხოო წითელ ცხენებზე ისხდნენ და კარგად ჩაცმულები იყვნენ. უცებ ჩვენი თანამგზავრი მოსწყდა ადგილს და იმათკენ გაიქცა.

— დაგეწევით, — მოგვაძახა მან.

ჩვენ განვაგრძეთ ჩვენი გზა.

თანამგზავრი დაგვეწია.

— იცით, ესენი ვინ არიან? — გვითხრა მან, — ტერორისტები, ტუსაღებს

მიჰყვებოდნენ მცველებად... თოფის ხმა რომ გავიგონეთ, დათუნაიშვილი მოუკლავთ, გაქცევა მოინდომა თურმე და ესროლეს. ის, შუაზე რომ მოდიოდა, მათითაიშვილია. მაგას ბევრი კაცი ჰყავს მოკლული, მაგან მოკლა...

— სადგური ნიგოითი, ნიგოითი, — გაისმა ვაგონის გამყოლის ხმა,

მე მიყვარს სოფელი ნიგოითი. ნიგოითის ქედი და მის კალთებზე შეყუჟული მაღალ „ბოკონებზე“ წამოსკუპებული, ლამაზი ოდები. ლიანდაგის მეორე მხარეს გადაჭიმული სიმინდის ყანები, რომ აშრიალებდნენ გრძელ, მწვანე ლამაზ ფოთლებს, მაგრამ ახლა ვუცქერი და თვალებს არ ვუჯერებ: უზარმაზარ მინდორზე გაფენილა, სიმინდის ყანის მაგიერ ხავერდის მწვანე, უზარმაზარი ხალიჩა, თითქოს საგანგებოდ ამოქარგული ამობურთული სახეებით.

მთელ მინდორს მზეზე კიაფი გააქვს.

— ეს ჩაია, — მითხრა მეგობარმა,— ამ მინდორს ბევრი უბედურება ახსოვს წარსულში, ბევრი სისხლი და ოფლი ჩაღვრილა აქ. მაგრამ ახლა ცხოვრებამ და ბუნებამ დაგვაჯილდოვა, მარტო ჩაით კი არა, ყველაფრით.

— რა ლამაზია! — წამოვიძახე აღტაცებით.

— დიახ, უწინ ჩვენი ქვეყანა სიმინდის ქვეყანა იყო, ახლა კი ვამბობთ — ჩაის ქვეყანაო. ჩვენ ვამაყობთ ჩაის კულტურით... ჩვენი მატარებელი ხმაურით მიგრიალებდა. ლიანდაგის გასწვრივ პატარა გოგონებმა თეთრი ბატების ჯოგი გამორეკეს ეზოდან. ბავშვებს ჭრელ-ჭრელი ჩითის კაბები ეცვათ, არც ერთი ფეხშიშველი არ ყოფილა.

გზაზე სიმღერით მოდიოდა რამდენიმე კაცი.

— ეს კოლმეურნეების. ბრიგადაა, — მითხრა ჩემმა მეგობარმა, — მე ახლა უნდა მიგატოვოთ, ლანჩხუთში უნდა ჩამოვხტე. სუფსაში გაიხედეთ. აი, ჩაისა და ციტრუსების ქვეყანა იქ არის... მთელი სოფელი, მდინარე სუფსისპირა მიდამოები, მერია, სადაც თვალი მისწვდება, ჩაით არის გაშენებული... ახლა ჩქარა ჩაის კრეფის სეზონი იწყება და ემზადებიან კიდევაც ჩვენი ქალები... აი, აქ-იქ-კრეფენ კიდევაც.

მართლაც აქა-იქ ჩანდნენ თეთრი, ფართოქუდიანი ქალები ჩაის ბუჩქებში.

— გურიელები აღარ გამოდიან სადგურზე? უწინ ყოველთვის მოდიოდნენ? — ვკითხე მე.

სადღა არიან გურიელები. ყველანი დაიხოცნენ... გახსოვს ვარდენ გურიელი, ერთხელ პეტრე სურგულაძეს რომ ელაპარაკებოდა ბათომში, მიშა ნაკაშიძისას, ნარდის თამაშის დროს?

— აღარ მახსოვს, — ვუთხარი მე.

— პეტრე სურგულაძემ რომ მოუგო ნარდი და გაიცინა... ვარდენ გურიელმა რომ უთხრა: „რას იცინი ბიჭო, სამართლით შენ უნდა წაგეგო ეს ნარდი. აბა, ერთი მითხარი, ყაძახს როდის ეთამაშებოდა თავადიშვილი... და მერე კიდევ თავის ნაკაცარს?.. მამაშენი როსტომაი ჩემთან რომ მოვიდოდა რამის სათხოვრად, აივანზე ამოსვლასაც ვერ ბედავდა და შენ ნარდს მეთამაშები, მიგებ და იცინი კიდევაც... ეეხ“, — გაიცინა ვარდენმა.

— სადგური ნატანები!

ჩვენი ვაგონის მგზავრები არ დაძრულან. ყველანი დამშვიდებული ისხდნენ.

— მახარაძეში ორი საათის შემდეგ წავალთ, — გვითხრა ვაგონის გამყოლმა. — ბათუმის მატარებელს უნდა დავუცადოთ, ორი საათის შემდეგ მოვა, იმას უნდა მიაბან ჩვენი ვაგონი, მანამდეს აქ ვიქნებით გაჩერებული, შეგიძლიათ ისაუზმოთ სადგურში, ხაჭაპურებიც აქვთ, ჩაიც, ღვინოც, რასაკვირველია.

მაგრამ, სწორედ ამ დროს შემოვიდა ვაგონში ჩემი ახალგაზრდა მეგობარი, პიონერთა სახლის ხელმძღვანელი მიხეილ გოლიაძე და მითხრა: თქვენთვის მანქანა მოვიყვანე, მანქანით წავიდეთო.

გამოვედით ვაგონიდან, „პობედაში“ ჩავჯექით და გავსწიეთ ქალაქ მახარაძისაკენ.

გაკვირვებული ვიყავი ნატანების სადგურზე მანქანების სიმრავლით. 1924 წელს ჯერ რკინისგზა არ იყო გაყვანილი და ოზურგეთში, (მაშინ ასე ეძახდნენ ქალაქ მახარაძეს), კერძო კომპანიის ომნიბუსები და ეტლები დადიოდნენ. ეტლი ოზურგეთამდე 18 ვერსის გავლას ორ საათს უნდებოდა.

— ახლა, — მითხრა ახალგაზრდა გოლიაძემ, — „პობედა“ ნახევარ საათში ჩაგვიყვანს მახარაძეში და, მართლაც, ჩვენი მანქანა კი არ მიდიოდა, მიჰქროდა ასფალტირებულ გზაზე. მანქანა მიჰყავდა ახალგაზრდა სტუდენტს შეწირულს. გზის იქით-აქეთ, ახალი სახლების ეზოებს ფორთოხალი, მანდარინის და იაპონური ხურმის ბაღები ამშვენებდა.

უწინ ეტლები ყოველთვის ვაზნარში ისვენებდნენ, სადაც პატარა დუქანი — ფარდული იდგა. მეორე მხარეს კი, მდინარე გუბაზეულზე ტიფო ნაკაშიძის დიდი წისქვილი გრიალებდა. ახლა ისე ჩავუარეთ ამ ადგილებს, რომ არც კი შემიმჩნევია.

— „აი, ესეც ზვანი!“ — თქვა ჩვენმა ხალისიანმა შოფერმა.

ზვანი? რაც მახსოვდა, უწინაც და 1924 წელშიაც, მთელი ზვანის დიდი მინდორი გაუვალი, კაცზე მაღალი გვიმრით იყო დაფარული. 1904—1905 წლებში მხოლოდ მინდვრის ბოლოში, თუ დაინახავდით ჩაის პატარა პლანტაციას, რომლის გამგე ერმილე ნაკაშიძე აწარმოებდა ჩაის მოვლა-მოშენებას. რასაკვირველია, კუსტარული წესით. ახლა კი 1952 წელს, იმ ადგილას ვნახე დიდი თეატრი, ორსართულიანი ჩაის ფაბრიკის შენობა, სადაც მთელი ახლომახლო სოფლების ჩაის ნედლი ფოთოლი მოდის და მუშავდება. არც ერთი ძირი გვიმრის სახსენებელი აღარ ჩანდა ირგვლივ, არსად. ყაზარმების უკან, სადაც 1906 წელს, მინდორში დაბანაკებულმა დამსჯელმა რაზმმა ექადიის მთის ზემოთ ამოსული მოციმციმე ცთომილი ასპიროზი (ვენერა) რევოლუციონერების სიგნალად მიიღო და სამასი თოფის ბათქი მისცა მის მოსასპობად, ახლა იმ ადგილას ქართველი არქეოლოგები გათხრებს აწარმოებდნენ წინაისტორიული ხანის იარაღების საპოვნელად ქ. მახარაძის მუზეუმისათვის და კიდევაც იპოვნეს...

ჩვენ შევედით მახარაძეში. შევუდექით პატარა აღმართს.

აი, მარჯვნივ ის სახლი, რომლის აივნიდანაც 1906 წელს დამსჯელი რაზმის გენერალმა ალიხანოვ-ავარსკიმ შეკრიბა გურული, დარბეული ხალხი უბრძანა დაეჩოქათ და მოესმინათ მისი ბრძანება. თებერვალი იყო, წვიმდა, ეზოში ტალახი იდგა. რადგანაც ხალხი გახიზნული იყო ტყეებსა და მთებში, ქალაქში დარჩენილმა 70—80 წლის მხოლოდ 22 კაცმა და ქალმა დაიჩოქა ტალახში. ალიხანოვმა სასტიკად მოსთხოვა დაჩოქილ მოხუცებს დაუყოვნებლივ მოეყვანათ რევოლუციონერი, ახალგაზრდა „ყაჩაღები“ და ჩაებარებინათ მთავრობისათვის. მან საშინელი სიტყვებით მიმართა მათ:

— თქვენ გაგიგონიათ უთუოდ, რომ ძველად ამბობდნენ: „სჯობია ათი დამნაშავე გავანთავისუფლოთ, ვიდრე ერთი უდანაშაულო კაცი დავსაჯოთ“. ახლა კი ჩვენ ვამბობთ: „სჯობია ათი უდანაშაულო კაცი დავსაჯოთ, ვიდრე, ერთი დამნაშავე გავანთავისუფლოთ“.

მე ღობესთან დამალული ვიდექი და ყურს ვუგდებდი, გაზეთის „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი ვიყავი, ახლა კი მინდა აგიწეროთ, როგორი ვნახე ქალაქი მახარაძე 1952 წელს, მაისში.

იმ სახლს, რომლის აივნიდანაც გენერალი ალიხანოვი ლაპარაკობდა და რომელშიაც უწინ მალაქია გურიელი ცხოვრობდა, შეუნახავს თავისი სახე, მაგრამ მარცხნით კი, მის პირდაპირ, აღარ არის ლევან გურიელის ორსართულიანი, ძველი „ქვისპალატიანი“ ოდა და ასკოკიანი ჭური (ქვევრი), რომელიც, სახლის გვერდით, ფარდულში იყო აღმართული და გვამცნობდა თუ

რამდენ ღვინოს სვამდნენ სასახლეებში: არც იასე გურიელის ორი სახლი იყო, სადაც, რაც მე მახსოვს, იასე გურიელის სიკვდილის შემდეგ, პოლიციის დაწესებულებები იყო გამართული. ახლა ამ ადგილას კინოს მშვენიერი და ქალაქის ორსართულიანი დიდი შენობები იდგა. კიდევ იქით თაყაიშვილების სახლების ადგილას ფოსტის ორსართულიანი, ლამაზი, ნათელფანჯრებიანი სახლი იყურებოდა.

ჩემ წინ სადაც უწინ ცარიელი მოედანი იყო და, სადაც 1905 წელს, ოდესაში მოკლული რევოლუციონერი საბა კლდიაშვილი ჩამოასვენეს და დაასვენეს, და მთელი გურიის დიდი სამგლოვიარო მიტინგი გაიმართა მაშინ, ახლა მშვენიერი, სუბტროპიკული მცენარეების ბაღი ყვაოდა.

II

გავიზარდე ქალაქ ოზურგეთში, ჩემი ბავშვობა და სკოლის წლები იქ გავატარე და ვფიქრობდი, რომ ოზურგეთზე უკეთესი და ულამაზესი ქალაქი ქვეყნიერებაზე არ არის-მეთქი. ქვეყნიერება ჩემთვის გაურკვეველი რაღაც ზღაპარი იყო... როდესაც სამსართულიან, სუროთი შეფოთლილი, ძველი ციხის გვერდით, ქალაქის თავში, პატარა დაღმართთზე ჩავირბენდი... ამ ციხეში, ჩემ მახსოვრობაში, ყოველთვის ორი ასეული რუსი სალდათი ბინადრობდა თავისი ოფიცრებით. ხალხს ეშინოდა მათი. ჩვენ, ბავშვებიც არ ვიცქირებოდით ციხისაკენ, მხოლოდ ვიცოდით, რომ ეს ციხე ძველად, ოდესღაც გურიის მთავრის, გურიელის სასახლე იყო და გურიელი ამ ციხიდან გადასცქეროდა „თავის“ ქალაქს, ოზურგეთს. როდესაც ჩავირბენდი ამ ციხის გვერდით, მარჯვნივ იდგა ქველია მენაბდის კარგა მოზრდილი, ლამაზი ოდა. ოდის წინ მშვენიერი, კოინდრით ამწვანებული ეზო შვენოდა. ყოველთვის მიყვარდა იმ მხარეს გახედვა: აყვავებული ატმის, ბროწეულისა და ქლიავის ყვავილების ყურება. მაგრამ ჩემ ყურადღებას უფრო, მეორე მხარეს, დიდი ჭა იპყრობდა, რომელიც ჩოხატაურიდან მომავალი მოკენჭილი გზის ბოლოს, ქალაქის თავში იყო და მაღალი ოწინარი ჰქონდა. ოწინარზე მაგარ რკინის ჯაჭვზე გამობმული დიდი კასრი ეკიდა. ჭის უკან ჩამწკრივებული იყო ექვსი სამჭედლო დუქანი. დუქნების წინ ყოველთვის ეწყო ახალგამოჭედილი ლამაზი, წითელი პრიალა სპილენძის ტაშტები, ქვაბები, თუნგები და სხვ. ჩავირბენდი თუ არა დაღმართზე, ამ სამჭედლოების გამაყრუებელი ტაკატუკი სასიამოვნო მუსიკასავით ატკბობდა ჩემ სმენას. წითელი სპილენძის ჭურჭლის პრიალი ახალისებდა ჩემ თვალს. ყოველთვის კარგახანს ვიდექი ამ სამჭედლოების წინ. მხოლოდ კარგა დიდი ხნის შემდეგ ვიგრძენი, რომ ეს ტაკიტუკი, არც თუ ისე სასიამოვნო იყო სმენისათვის. სამჭედლოებს მოსდევდა „საპარასკეო“, კარგა მოზრდილი ადგილი. რატომ ეძახდნენ „საპარასკეოს“, არ ვიცოდი და მიკვირდა, რადგან, „საპარასკეოზე“ ვაჭრობა იყო როგორც პარასკეობით, ისე კვირაობითაც. და რა არ იყო პარასკეობით და კვირაობით იქ გასაყიდი!

ყველაზე მეტი იყო ხის ჭურჭლეულობა: თაბახები, გობები, ჯამები, ციცხვები და სხვ.. არანაკლები იყო თიხის ჭურჭლეულობაც, სოფელ აკეთიდან შემოტანილი, იქაური სოფლების ნახელავი, ყველა ზომის ჭურები (ქვევრები), კოკები, დოქები, ქოთნები, ხელადები და, ასე გასინჯეთ, სტვირებიც კი. სხვადასხვა სოფლებიდან შემოჰქონდათ აგრეთვე ხილეულობა, სანოვაგე, ფქვილი, ყველი — ხელეური და სულგუნები, ხის კასრებით მწვანილი და სხვ. საპარასკეოზე იდგა გაუწყნარებელი გუგუნი, სიცილი, კამათი მყიდველ გამყიდველთა შორის. საპარასკეოს განაპირას, უფრო კვირაობით, იჯდა ვინმე მოხუცი მესტვირე, ან ბრმა მელექსე ისინი ლექსად ან ამბავად მოუთხრობდნენ ხალხს, გაბმული სიმღერის ხმით, სხვადასხვა გასართობ ამბებს და ამით ფულს შოულობდნენ. ხალხი, ყოველთვის, თავის სავაჭ-

როს გასაღების შემდეგ, სიამოვნებით უსმენდა მათ და არ იშურებდა გაენაწილებინა მათთვის მოსაგებიდან ცოტაოდენი პროცენტი.

აქ მომყავს ნიმუშად ორი ამგვარი ნაამბობი:

ჯერ მოვიგონოთ როგორ შეირთო ცოლი ფირალმა კოსტაია დავილაძემ და როგორ დარჩა პირში ჩალგამოვლებული ფოსტის ძველი მოხელე ტერენტი ცინცილაძე.

საპარასკეოს განაპირას, სამჭედლოებიდან დაშორებით, იჯდა მოხუცი, ხელში სტვირი ეჭირა, იღლიის ქვეშ ამოდებულ სტვირის გუდას მოუჭერდა მკლავს, ამღერებდა სტვირს და დაიწყებდა თვითონაც სიმღერით:

„საზანდარო და ქებაო...
თავი ნუ მოგიკვდებაო,
ერთი აბაზი მაჩუქე,
შენ აფერს დაგაკლდებაო“.

ყველა, ვინც ემზადებოდა მოსასმენად ჩაუგდებდა სტვირში ფულს; რამდენიც ემეტებოდა და მოხუცი დაიწყებდა ამბავს ლექსად. მესტვირეს ხალხი ბლომად ეხვეოდა ირგვლივ. ჩვენ, ბავშვები რას დავაკლდებოდით და, თუმცა აბაზი არ გვქონდა, ყოველთვის „კონდრაბანდათ“ ვისმენდით.

საპარასკეოზე კი ხშირად დავდიოდით, დავყვებოდით უფროსებს, რომელებიც დადიოდნენ სავაჭროდ, სანამ ისინი ყიდულობდნენ საჭირო სანოვაგეს, ჩვენ თავისუფლად დავრბოდით ხალხში.

„მე თქვენ გიამბობთ, — მღეროდა მესტვირე, — რაფერ შეირთო ფირალმა კოსტია დავლაძემ ცოლი და რაფერ დარჩა პირში ჩალაგამოვლებული ფოსტის ძველი „ჩინოვნიკი“ ტერენტიე ცინცილაძე.

„ჰე, ჰე, ჰე, — იცინოდა ხალხი,— ტერენტია ცინცილაძე კი აჯობებდა კოსტაია ფირალს. რასაკვირველია, ამას რაღა თქმა უნდა“...

„ტერენტია ცინცილაძეს, ძველ ფოსტის ჩინოვნიკს, — განაგრძობდა მესტვირე, — გაეგონა, რომ ბახვა ბახვაიას დუაბზუში ჰყავს იმისთანა ქალიშვილი, ციცინო, რომ კაცის თვალი იმის უკეთესს ვერ ნახავსო. ერთ ქალად მისი თმაი ღირს, ერთ ქალად — ჩეგურის დაკვრა, ერთ ქალად — ძილისპირის სიმღერაო, ერთ ქალად მისი თვალწარბი...

ცინცილაძემ ბახვა ბახვაიას შუამავლად გაუგზავნა დედაბერი სანუზე...

ბახვა ბახვაიას გაეხარდა ცინცილაძის დასიძება.—ცინცილაძე ფოსტის ჩინოვნიკია. თვეში 25 მანეთი ჯამაგირი აქვს. ოცდახუთი წელიწადია მსახურობს, ჩქარა პენსიაც ექნება. ოზურგეთში საკუთარი სამთვალიანი ოდა აქვს... ერთი სიტყვით, შეძლებული კაცია... რა უჭირს რომ ორმოცდათხუთმეტი წლის არის... ერთ ქალს კიდევ დააბერებს... რა უჭირს რომ ჩვენი ციცინო თხუთმეტი წლის არის... მზითევსაც არ თხოულობს თურმე, — ეუბნებოდა ცოლს ბახვა ბახვაია...

— ჰე, კაცო, — უთხრა ცოლმა, — ბედი კარზე მოგვდგომია და აგია, რაღას აგვიანებ?!

— არა, ქალი უნდა ვნახოვო, — ამბობს თურმე ცინცილაძე.

— მოვიდეს ბატონო... გიორგობაა აგერ ჩქარა, გვესტუმროს და ნახოს. ჩვენ დასამალავი ქალი არ გვყავს...

— მარა თქვენ წარმოიდგინეთ, — მღეროდა მესტვირე სტვირის უსიამოვნო ჟრიალა აკომპანიმენტზე, — ფირალ კოსტაია დავლაძესაც უამბეს თურმე ციცინოს ამბავი. გოგოა ვერცხლის წყალივით ცქრიალა, თეთრ-ყირმიზი, შავთვალა, მოსიმღერე, მხიარული, ჯეირანივით ყელმოღერებული... მის ნახვას და კოცნას არაფერი ჯობიაო...

კოსტაიამ იფიქრა, თუ მართლა ამისთანა გოგო, უნდა მოვიტაცო და ცოლად წამოვიყვანოო, გადაწყვიტა წასულიყო დუაბზუს გიორგობა დღეს. შეჯდა თავის ბედაურ ოქროსფერ რაშზე და გასწია. მიუახლოვდა თუ არა საღამო ხანს დუაბზუს, ხედავს რომ დუაბზუს დიდ მინდორზე ბურთაობაა გაჩაღებული — სოფლების —.დუაბზუსა და უჩხობის ვაჟკაცები ერთმანეთს ეჯიბრებიან ლე-

ლოს გატანაში.

თუ ვაჟკაცი ბურთის თამაშს დაინახავს, გული როგორ მოუთმენს, რაც საქმე უნდა ჰქონდეს, არ ჩაერიოს თვითონაც. კოსტაიაც გადმოხტა ცხენიდან, ცხენი ხეზე მიაბა და ხედავს, უჩხობლებმა ჩაიგდეს ბურთი ხელში და გააქვთ ლელო. უჩხობი სჯობნის დუაბზუს. ითაკილეს დუაბზუს ქალებმა, მოთამაშეების ცოლებმა, სწრაფად დაიკაპიწეს კაბები და მიეშველნენ ქმრებს, ეცენ უჩხობლებს, მარა არც უჩხობელი ქალები ჩამორჩნენ დუაბზუელ ქალებს, იმათაც ყიჟინა დასცეს და ეძგერნენ მოპირდაპირეებს, შეაჩერეს ისიც და ბურთი ისევ გაფრინდა უჩხობისაკენ. ახლა ეს ვეღარ მოითმინა დუაბზუელ მოთამაშე ვაჟკაცების დებმაც და ისინიც გადმოხტნენ მისაშველებლად. გადმოხტნენ უჩხობლების დებიც და შეიქნა ბრძოლა სასტიკი... აბა, ვინ ვის! მარა ბურთი მაინც მხიარულად მიფრინავდა მოთამაშეების თავზე, ჰაერში, უჩხობისაკენ.

— ოჰ, იფიქრა კოსტაიამ — ციცინო ხომ დუაბზუელია, იქნება ისიც ახლა აქ თამაშობს და განა არ დავანახო, თუ რა ბიჭი ვარ?!

შეხტა მაღლა, დაიჭირა ბურთი, წაართვა უჩხობლებს, მოახტა თავის რაშს და გაქანდა დუაბზუელი მოთამაშეების მხარეს.

— ოჰ, რა ბიჭია?! ვინ არიო?.. გაიტანა,გაიტანა ლელო!... გამარჯვება ჩვენია, ჩვენი... დუაბზუ უძლეველია!..

გამარჯვების ყიჟინამ და სიცილმა მოიცვა დუაბზუელების მხარე.

ყურებჩამოყრილი უჩხობლები კი ბრაზდებოდნენ, მაგრამ არ ცხრებოდნენ:

— თუ ბიჭები ხართ, ჯირითში გამოდით... ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს...

— აბა, ჯირითი, ჯირითი! ვნახოთ, ვნახოთ!..

გამოვიდნენ მოჯირითე ცხენოსნები ორივე მხრიდან. მთელი ხალხი სიცილით, ხმაურით და ჟრიამულით გაიქცა იქეთკენ. მხოლოდ ბახვა ბახვაიას სახლიდან ისმოდა მთვრალი ცინცილაძის ჩახლეწილი ხმით სიმღერა.

კოსტაიამ მიაგელვა ცხენი ბახვას სახლის პარმაღთან და ყური მიუგდო.

— ციცინო, გენაცვალოს ტერენტი ცინცილაძე, ფოშტის ჩინოვნიკი, აბა, კიდევ ჩვეური, კიდევ ერთი ძილისპირი... კიდევ ერთი უნდა გაკოცო... — გაისმა სტუმრების სიცილ-ხარხარი.

— კი ბატონო, ახლავე, — მოისმა კოსტაიას ციცინოს ატირებული ხმა და პარმაღზე გამოვარდა ჯეირანივით ცქვიტი, თეთრყირმიზი, შავთვალა ქალიშვილი.

— ციცინო შენ ხარ, — შესძახა კოსტაიამ?

— მე ვარ, მე, ციცინო, შენ ვინ ხარ კოხტა ბიჭო?!

— მე კოსტაია ვარ...

— წამიყვანე კოსტაია, გადამარჩინე ცინცილაძეს, ჩემო კოხტა ბიჭო...

— გადმოხტი მოაჯირზე, შემომიჯექი ცხენზე. კოსტაიამ გადმოაფარა გვერდზე მიგდებული ნაბადი.

— ერთ ქალად მისი თმა ღირს, — გაისმა ისევ ცინცილაძის სიმღერა.

— ოჰ, სად არის ახლა ერთი მაკრატელი, მოვიჭრიდი ამ თმას, ისე მძულს ახლა, იმიტომ რომ მას უყვარს.

— აჰა, სამართებელი, — ამოიღო სწრაფად ჯიბიდან სამართებელი კოსტაიამ და უცებ გადაჭრა ორივე ნაწნავი და გადაჰკიდა მოაჯირზე.

გაჭენდა ცხენი, შეერია ხალხს და თვალს მიეფარა.

მთვრალი ცინცილაძე ბანცალით გამოვიდა პარმაღზე.

— ციცინო, ციცინო, სად ხარ? მოდი, მოდი.. მომწყინდა უშენოდ.

— ახლავე დავუძახებ, სიძე ბატონო, დაფაცურდა ბახვა ბახვაია.

— აჰა, ეგი რაა? — აიღო ცინცილაძემ მოაჯირზე გადაკიდებული ნაწნავები, — ეს ჩემი ციცინოს ნაწნავებს ჰგავს...

— ჰგავს და სწორედ იმისია, შენთვის დაუტოვებია, ფოშტის ჩინოვნიკო ცინცილაძევ, — გადმოსძახა ციცინოს ძმამ და გაიქცა.

მახსოვს მეორე ლეგენდაც: როგორ

ჩაიქცა უფსკრულში ხარბი ივაკია ხუცესის სახლკარი. საპარასკეოს მეორე მხარეს იჯდა მოხუცი, ბრმა ქალი. ხელში ჩონგური ეჭირა და ნელა, მღეროდა.

„აბა, შემო ჩეგურო, დაჰკარ ჩაარაკრაკე,
ივაკია ხუცესის, იმ სულელის ამბავი.
მართალი ნათქვამია არ გეგონოთ იგავი!“

მისი ლექსიც ლექსად აღარ მახსოვს. შინაარსი კი გვამცნობდა თუ როგორ გაჩნდა პატარა ტბა გურიაში, სოფ. საჯავახოს ახლოს.

„ივაკია ხუცესი მდიდარი ყოფილა. ცხოვრობდა კარგ ოდაში. ოდასთან ჰქონდა სამზარეულო ფაცხანალიე (სასიმინდე), ქალტა საქონლისათვის, ბაღი და ბოსტანი, ივაკია ძალიან მხიარული ხუცესი იყო, მაგრამ სულელი და ხარბი. ყველაფერი თავისთვის უნდოდა და არაფერი სხვისთვის არ ემეტებოდა.

დილით ადგებოდა თუ არა, ცეკვათამაშით დაუვლიდა ცოლშვილთან ერთად, თავის ოდის დიდ დარბაზს და შემდეგ შეუდგებოდა საქმიანობას. ერთ ხარებობა დღეს, ადგა დილით ივაკია ხუცესი, მოჰკიდა ხელი ცოლშვილს და დაუარა ცეკვითა და სიმღერით: „ხარება და ხარხარება, ჩემი ცოლშვილის გახარება“!.. ცოლშვილი, რასაკვირველია ბანს აძლევდა და ყველა ერთხმად ხარხარებდა... მარა ღმერთს კი არ უყვარს, რომ კაცი მარტო თავის თავზე ზრუნავდეს, და უცებ, მათი ხარხარისა და ცეკვის დროს, დაიგრიალა მეხმა. შეიძრა, ოდა, იხუვლა შავმა წყალმა და სახლიც, ეზოც, ქალტაც და ყველაფერი, ძროხიან, ქათმიანა ჩანთქა უფსკრულში და გაჩნდა პატარა ზღვა, თუ ვინმეს ეჭვი აქვს და არ სჯერა ჩემი ნათქვამი, წავიდეს და ნახოს ეს პატარა ზღვა საჯავახოს ახლოს. ყოველ ხარებობა დღეს ისმის მისი ფსკერიდან ივაკია ხუცესის და მისი ცოლშვილის ჯერ ხარხარი და მერე კვნესა — ტირილიო![1]

მაგრამ დავუბრუნდეთ ოზურგეთს. სამჭედლოების ქვემოთ, გზის მეორე მხარეს, საპარასკეოს გასწვრივ იყო სხვადასხვა საქონლით მოვაჭრე დუქნები. რასაკვირველია, იყო ფართლეულის დუქნებიც და მე, ყოველთვის, როდესაც ბაზარში ჩავდიოდი, შევიხედავდი ერთ მაღაზიაში, სადაც შავჩოხა-ახალოხში გამოწყობილი, წელზე ხანჯალშემორტყმული, ბიბლიური შესახედაობის, მაღალი, სერიოზული კაცი იჯდა დუქნის კარებთან ან გარეთ, როგორც ამბობდნენ სოლომონ ბრძენივით დაფიქრებული — ექვთიმე დონაძე. მე ვფიქრობდი, რომ სოლომონ ბრძენივით ჭკვიანი კაცი იყო და უთუოდ სოლომონ ბრძენი უნახავს და ეცოდინება, როგორ გაუნაწილა ორ დედას ერთი ბავშვი-მეთქი და მოწიწებით შევცქეროდი მუდამ, კითხვას კი ვერ ვუბედავდი; ის კი ყოველთვის მკითხავდა:

— რას მიყურებ, ბიძი, გინდა რამე?

— ამას უნდა სოლომონ ბრძენის ამბავი შეიტყოს, — უთხრა მას ერთხელ ჩემმა პატარა ძმამ, დათიკომ.

ექვთიმემ გადაიხარხარა. ჩვენ კი გავიქეცით და აღარც შევჩერებულვართ შემდეგში დონაძის დუქანთან.

სადაც საპარასკეო თავდებოდა, იწყებოდა ფართლეულის და სხვადასხვაგვარი სავაჭროს მაღაზიები. პირველი პატარა დუქანი ეკუთვნოდა მამაჩემის კარგ მეგობარ ვაჭარს. ახლა ეს დუქანი გადაკეთებულია დიდი წიგნის მაღაზიად და მაღლა სართულში, რომელიც მაშინ სრულიადაც არ არსებობდა, გამართულია ქ. მახარაძის სამხარეო მუზეუმი.

ამ პატარა მაღაზიაზე მინდა შევჩერდე, რადგანაც იქ ვნახე, პირველად და უკანასკნელად, ჩვენი ძვირფასი, დიდი მწერალი ეგნატე ნინოშვილი — ინგოროყვა. ეს დუქანი, მიუხედავად სიპატარავისა, ნამდვილი უნივერმაღი იყო.

---

1 ტბა საჯავახოს ახლოს მართლა არსებობს, მაგრამ, როგორც ოლღა გიორგაძემ მიამბო, ივაკია ხუცესი კი არა, მისი ცოლი მღეროდა, ჩემი ქმარშვილის გახარებაო და იმიტომ ჩაიქცაო.

ყველაფერი იყო შიგ გასაყიდი, რაც ხელმოკლე ხალხისათვის საჭირო და ხელმისაწვდომი არის: ფართლეული, ფეხსაცმელები, ქალისა და კაცის ქუდები. ასე გასინჯეთ, ტარანიც, ჩიბუხიც, შიბაქებიც. მამაჩემი ამბობდა, ჩემი მეგობარი ვაჭარი პატიოსანი კაცია და ყოველთვის მასთან უნდა იყიდოს კაცმა ყველაფერიო, და ერთხელ სწორედ იქ წამიყვანა. ვაჭარი დიდი ხალისით შეგვხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ვიღაც კაცს ელაპარაკებოდა, მაშინვე მხიარულად შემოსძახა მამაჩემს:

— ოჰ, იოსებ, რა კაი დროს მოხვედი, მშვენიერი „პოლსაპოჩკები" მომივიდა და შენი ნინუცისათვის შეგინახე.

მაშინვე გამოიღო „მშვენიერი პოლსაპოჩკები", რომლის დანახვამაც შემაშფოთა და ტირილი დავიწყე, „პოლსაპოჩკები", მართალია, ღილებით შესაკრავი იყო, როგორც მე მენატრებოდა, მაგრამ მაშინ ვიწროცხვირიან ფეხსაცმელებს ატარებდნენ და ამას კი ფართოზე უფართოესი ცხვირი ჰქონდა. უშნოდ გაბრტყელებული, მამაჩემს ძალიან მოეწონა, ფეხის თითები თავისუფლად იმოძრავებსო. სანამ მამაჩემი ფეხსაცმელს ათვალიერებდა, ვაჭარი ისევ იმ კაცს მიუბრუნდა. კაცი, როგორც მახსოვს, უფრო ქერა იყო, თხელი, გაბურძგვნილი, მოკლე წვერი ჰქონდა. ხელში ჭრელი ყელსახვევი ეჭირა.

— ძალიან კარგია, მაგრამ ძვირია, — უთხრა მან ვაჭარს.

— არა, ძვირი არ არის, ეგნატე, მანეთნახევარი. ხომ ხედავ წმინდა შალის არის, რბილი, ნამდვილი თივთიკი... მარა შენ რა გაწუხებს, ძვირია თუ იაფი? წაიღე, მაგ ყელსახვევში ფულს არ გახდევინებ.

— აჰ, აბა, როგორ შეიძლება, ხომ არ უნდა გაზარალო.

— თუ მოგწონს, წაიღე, ძალიან მაწყენინებ შენმა მზემ, რომ არ წაიღო. მამაჩემიც მივიდა მათთან, ხელი ჩამოართვა იმ კაცს და ჰკითხა:

— როგორ ხარ და რასა იქ, ეგნატე, წერ რამეს?

— ვჩხრიკნი რაღაცას, იოსებ.

— ახლა საზღვარგარეთ აპირებს წასვლას, — თქვა ვაჭარმა.

— აჰ, მართლა, ეგნატე? აბა, მაშინ დაწერ, რასაც დაწერ. აი...

— ახლა ჩვენ ამბებს წერს, მაშვინ...

— ჰო, მაშვინ პარიჟის და პირამიდების ამბებს დაწერს, — თქვა მამაჩემმა.

ეგნატემ რაღაც სასიამოვნოდ გაიცინა, თვალებში შუქი ჩაუდგა და სახე დაუმშვენდა.

— შენ მგონია, იოსებ, გრიგოლ გურიელის ექსპედიციაში იყავი და ეგვიპტეში პირამიდები გინახავს, — მიმართა მან მამაჩემს.

მაგრამ მე აღარ ვუსმენდი მათ. ჩემ უშნო ფეხსაცმელს ვუყურებდი და ვტიროდი.

დავინახე, როგორ შეუხვია ქაღალდში ვაჭარმა ეგნატეს ჭადრაკულა, ფერადი ყელსახვევი და პიჯაკის ჯიბეში ჩაუდო.

— კაი, კაი, — ეუბნებოდა მას ვაჭარი, — თუ ხათრი გაქვს, ნურაფერს იტყვი.

მყიდველები შემოდიოდნენ ელოდნენ, სანამ ჩვენ გამოგვისტუმრებდა. ჩვენც გამოვემშვიდობეთ და, მეორე მხარეს, ერდიბხან ქარცივაძის სამიკიტნოსაკენ გავწიეთ.

ერდიბხან ქარცივაძეს და მამაჩემს სიმინდის ყანა ჰქონდათ ზიარად და ხშირად თათბირობდნენ.

ქარცივაძეს გაეხარდა ეგნატეს დანახვა. გამოუწია ტაბურეტი დაზგასთან და დასვა. მაშინვე გამოუტანა მსუქანი ხორცის ხარშო, ღომი, სულგუნი, მწვანილი და დაუდგა წინ.

— უჰ, რა ამბავია ეს კაცო, ერდიბხან, გავმდიდრდი გგონია თუ?

— არა უშავს, ეგნატე, საზღვარგარეთ წასვლის წინ, სადილად, რომ დაგპატიჟო, დიდი ცოდვა არ იქნება.

ეგნატე დაჯდა. სამიკიტნოში ბევრი ხალხი იყო. ყველა დიდი სიამოვნებით

შესცქეროდა ეგნატეს და ათასნაირ კითხვებს აძლევდა. ეგნატეც ყურადღებით ისმენდა და ყველას პასუხს აძლევდა.

მამაჩემი მოელაპარაკა ქარცივაძეს, გამოემშვიდობა და გავწიეთ შინისაკენ.

ქალაქის ამ მეორე მხარეს, სამიკიტნოები და უფრო სანოვაგის სავაჭროები იყო, თუმც, შიგა და შიგ, ფართლეულის მაღაზიები და სახარაზოებიც ერია. მაღაზიების წინ, ქალაქის ორივე მხარე მუდამ სავსე იყო ხალხით. მიიმართებოდა მოკენჭილი სუფთა ქუჩა. იქეთ-აქეთ, ქუჩის პირას, მორაკრაკებდა არხებში გაყვანილი „ბაზრის წყალი". და აცლიდა ქალაქს ნაგავს, ჭუჭყს. ქუჩა მუდამ სუფთად გამოიყურებოდა.

დუქნების ბოლოს, გამართული იყო ეტლებისა და დილიჟანსების დასაქირავებელი კანტორა, რომელიც დაარსებული იყო ამხანაგობის მიერ — რაჟდენ წუწუნავას ხელმძღვანელობით. კანტორის გამგე იყო თვითონ რაჟდენი, ჩვენი სახელოვანი რეჟისორის — ალექსანდრე წუწუნავას და სახელოვანი მსახიობის ცეცილია წუწუნავას მამა. ყველა ამბობდა, რომ რაჟდენი სერიოზული, საქმიანი და პატიოსანი კაციაო. ამხანაგობას ჰყავდა ეტლები და დილიჟანსები სადგურ ნატანებში მიმავალი მგზავრებისათვის. ერთი ადგილი ეტლშიც და დილიჟანსშიც ათი შაური ღირდა. ეს დიდი შეღავათი იყო, რადგანაც მატარებელი ნატანებიდან მაშინ არ დადიოდა და თვრამეტი ვერსის გავლა ფეხით უხდებოდა ადამიანს. კერძო ეტლი კი ძალიან ძვირი ჯდებოდა. ამიტომ ხალხი დიდი მადლობელი იყო რაჟდენის, რომელსაც ყოველთვის წესრიგი ჰქონდა თავის კანტორაში.

ამხანაგობის კანტორის შემდეგ მოთავსებული იყო სხვადასხვა საწყობები. ქალაქის ბოლოს კი, საქალაქო ექვსკლასიანი ვაჟთა სასწავლებლის შენობები.

ოზურგეთს გადმოყურებდა მარცხნიდან ექადიისა და ანასეულის მწვანე ქედი, მარჯვნიდან კი — ასკილის ყვავილებით დატვირთული მოდინახესა და მელექედურის მაღლობები. ჩრდილოეთიდან, თითქოს სიცილით, მხიარულად დასცქეროდა მას, მუდამ თოვლით დაფარული, მზით გასხივოსნებული აჭარაგურიის მთაგრეხილი. ნათლად წარმომიდგებოდა თვალწინ, ოზურგეთის მაღალი ციხის ჩარდახიდან, როგორი სიამოვნებით გადმოჰყურებდა გურიის დიდი მთავარი გურიელი ინდოეთიდან. ხვარაზმიდან თუ ჩინეთიდან მოსული ვაჭრების ქარავნებს. ამ ქვეყნების სახელები ვიცოდით ვეფხისტყაოსნიდან, რომელსაც დედაჩემი გვიკითხავდა ხოლმე, ბავშვებს, სიმღერასავით გაბმული ხმით. ქარავნებს მოჰქონდათ საქონელი, აქლემებით, ჯორებით, სახედრებით და ურმებით. ფართლეული, ძვირფასი სამკაულები, იარაღი, პურისფქვილი, მიხაკდარიჩინი და სხვადასხვა.

ქარავნები თავს იყრიდნენ ქალაქის თავში კართან. დაღლილები სვამდნენ ჭის ცივ წყალს, ასმევდნენ საქონელსაც. და ბინავდებოდნენ ახლომახლო, იმათთვის საგანგებოდ გამართულ ქარვასლებში, ფანჩატურებსა და კარვებში. შემდეგ მოჰყავდათ ცხენები, აქლემები, ჯორები და სახედრები სამჭედლოებში, დარყეულის ნაცვლად ახალი ნალების დასაჭედად.

ასე მეგონა, მთავრის გული ხარობდა ამ დროს, რომ ამდენი საუცხოო საქონელი ჩამოუტანეს ოზურგეთს. მაგრამ ჰქონდა თუ არა მას რაიმე შემოსავალი, ან აგზავნიდა თუ არა რაიმეს სადმე თვითონ, მე არ ვიცოდი, მე მხოლოდ ვფიქრობდი, რომ ყველაფერი უნდა მოეტანათ ოზურგეთისათვის, რომელიც უყვარდა მთავარს და ყველაფერი უნდა ეყიდა ხალხს, რომელსაც იგივე მთავარი აძლევდა ფულს.

აჰ, რა კეთილი კაცი იყო მთავარი ჩემ ფიქრში!

### III

ახლა, 1952 წ. როდესაც ოზურგეთში ჩავედი, მოთმინება არ მყოფნიდა, მენახა ჩემი ოზურგეთი, ჩემი სოფელი, ჩემი მეზობლები.

პირველად გავემართე ქალაქის ბაღის სანახავად. მთელი ჩემი ბავშვობა ამ ბაღთან იყო დაკავშირებული. მიყვარდა ლამაზი, ფართოფოთლებიანი, დიდრონი ჭადრები, მაღალი წიფლები, ასკილის ბუჩქები, თუთის ხეები და რცხილები. აქვე იყო „როტონდა“ სადაც ადგილობრივი სცენისმოყვარეები წარმოდგენებს მართავდნენ. აქ იყო ფარდული, რომელშიც ერთ დროს, აბრეშუმის ჭიაც ჰყავდათ დასმული. ვის ჰყავდა არ ვიცი, მაგრამ მიხაკი ახალაძე უვლიდა და ჩვენ, სკოლის ბავშვები ვეხმარებოდით. თუთის ფოთლის დაჭრაში და „ყაჭის“, როგორც ჩვენ ვეძახით აბრეშუმის დაპურებაში. ამ ბაღში იყო ჩვენი სკოლის გზა და შემოდგომაზე და ზამთრობით (ჩვენი ოჯახი ერთი ვერსით დაშორებული იყო ქალაქიდან, ვცხოვრობდით სოფ. ღანუელში), მამაჩემი შეგვსვამდა ჩვენ წითელ, ბებერ ცხენზე სკოლაში მოსიარულე სამივე ბავშვს — მე, ჩემს უმცროს ძმას დათიკოს და, კიდევ უფრო პატარა — სამსონს. ვისხედით ერთმანეთზე ხელიხელჩაკიდებულნი. ლაგამი ჩვენ მოჯამაგირე ყარამანს ეჭირა ხელში და მიგვიძღოდა წინ. ამაყად და თავმომწონედ მივემგზავრებოდით, რადგანაც, ვინც შეგვხვდებოდა გზაზე, ყველანი იცინოდნენ და დარწმუნებული ვიყავით, რომ იმათაც მოსწონდათ და გვიხაროდა.

მახსოვს ერთხელ მოჯამაგირეს ხელიდან ლაგამი გაუვარდა და ცხენი გაძუნძულდა. ოჰ, როგორ შეგვეშინდა!... დიდხანს ვლაპარაკობდით აღელვებულები, რომ ყოჩაღად ვისხედით გაჭენებულ ცხენზე და ცხენმა ვერ გადმოგვაგდო.

კვირაობით, სკოლის ბავშვები ვიკრიბებოდით ბაღში და ვთამაშობდით. შემდეგში ამ ბაღში ბევრი, სხვადასხვა შინაარსისა და ხასიათის, კრება ჩატარებულა. სხვათაშორის, აქ გაიმართა რომანოვების მეფობის სამასი წლის შესრულების დღესასწაული, ღარიბი ხალხისათვის საჩუქრად ფაიანსის ფინჯანს არიგებდნენ. მაგრამ ეს იყო 1905 წლის შემდეგ და, ამბობდნენ, ორი მათხოვრისა და სულით ავადმყოფ ნინოიას გარდა არავინ დასწრებიაო. ნინოიამაც ფინჯანი არ წაიღოო, — „შინ უკეთესი მაქვს, ეს ძალიან უბრალოაო. საწყალი ხელმწიფე ჩემზე უფრო ღარიბი ყოფილაო“.

ახლა ბაღში პატარა „როტონდის“ მაგიერ ნამდვილი თეატრის შენობა აღმართულიყო, მახლობლად შენდებოდა კიდევ უფრო დიდი, ახალი თეატრი, ჩემი აზრით, თბილისის ოპერის თეატრებზე უფრო დიდი და უთუოდ ლამაზიც. ციხე ისევ ისე იდგა თავის ადგილას და გადაჰყურებდა ქალაქს მხოლოდ ახლა ნაცრისფერი კი აღარ იყო, და გვერდიც აღარ ჰქონდა სუროთი შეფენილი. ციხეში ცხოვრობდნენ წითელარმიელები და მათი სიმღერა ისმოდა. ბაღის ქვემოთ, აღარ იდგა ექიმ არსენ ვადაჭკორიას სახლი, არც ის ორი ეკლესია — ქართული და რუსული... ამათ ადგილას ხარობდა ციტრუსოვანი ლამაზი ბაღი, გუნდის ხეებითა და მაგნოლიებით დამშვენებული. ბაღში შიგადაშიგ ჩადგმული იყო ხისზურგიანი სკამლოგინები მშრომელთა დასასვენებლად.

ჩავედი ციხესთან. ჭა აღარ იყო ძველ ადგილას, ქალაქის თავში, სამჭედლოების ადგილასაც საუცხოოდ გაშენებულ ბაღში ეგნატე ინგოროყვას ძეგლი დაედგათ. იმ ეგნატესი, რომელიც სწორედ ამ ადგილის მახლობლად ვნახე ცოცხალი, ორმოცდაათი წლის წინათ. აღარ იყო აქ არც საპარასკეო. საპარასკეო და სამჭედლოებიც ქალაქის ბოლოს გადაეტანათ. საპარასკეოს მოედანზე მანქანების გასაჩერებელი ბირჟა იყო გამართული, „პობედის“ და „მოსკვიჩებს“ გარდა, „ტაქსებიც“ იდგა. და დავინახე როგორი დიდი ღირსებით ისხდნენ შიგ შოფრები. ზოგიერთი ჩემი ნაცნობების და მეგობრების შვილები. ვიცანი ოზურგეთის დიდვაჭრის, გიორგი ფირცხალაიშვილის შვილიშვილი, ზრდილობიანი მხიარული,

თანამედროვე სკოლაში სწავლამიღებული, განათლებული ახალგაზრდა.

მე ველარ მოვითმინე არ მენახა ის ადგილი, სადაც ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ — ჩემი სოფელი ლანჩუთი. წინათ, ლანჩუთისაკენ მიმავალი ქუჩა, ზამთრობით ყოველთვის საშინლად ატალახებული იყო, ზაფხულობით კი ურმის და ეტლების ბორბლებისაგან ღრმად დაღარული და ოღროჩოღროდ დასერილი, ახლა კი ასფალტირებულ ქუჩაზე მისრიალებდა ჩვენი „ტაქსი". ამ გზის მარცხენა მხარეს, მთელ მიდამოში ერთადერთი, თაყა სალუქვაძის ორსართულიანი, საუკეთესო ოდის იქით, დიდ მინდორში გავედით, მაგრამ ამ მინდორში ახლა თაყას სახლი შეუმჩნეველი რჩებოდა. აბრეშუმის ფაბრიკის საბავშვო ბაღი სოფელ ქვიშხეთში ისვენებდა, მწერლების შემოქმედებითი სახლის მეზობლად, მწერალ სვიმონ ყიფიანისეულ სახლში. თითქმის ყოველდღე დავდიოდი მათთან, ვუყურებდი როგორ თამაშობდნენ, იმათ ლაპარაკს რომ ვისმენდი, ჩემი ბავშვობა მაგონდებოდა, ჩემი ლაპარაკის კილო მაგონდებოდა და ვფიქრობდი, გურიაში რომ წავალ, ვინახულებ იმ ფაბრიკას, სადაც ამ ბავშვების დედები მუშაობენ-მეთქი.. ფაბრიკის ზემოთ დავინახე ის აბანო, ე. ი. პატარა, მლაშე, ცივი ტბა, რომელიც ყოველთვის ღია, თავახდილი იყო. ციებით შეპყრობილი ავადმყოფები ბანაობდნენ შიგ. ამბობდნენ, ციებას არჩენსო. არ ვიცი, მართლა არჩენდა თუ არა, მაგრამ ყოველთვის უამრავი ხლხი მოდიოდა გურიის შორეული და ახლობელი ყველა კუთხიდან სამკურნალოდ. ახლა ამ ტბასთან სახლი აუგიათ, მახლობლად ფარდულებიც კი აუშენებიათ, სამკურნალოდ მოსულთა დასასვენებლად.

აღარ შევჩერდი, მეჩქარებოდა იმ ადგილის ნახვა, სადაც ამ სამოცდაჩვიდმეტი წლის წინათ, ერთ დილას მამაჩემმა, სოფელ ბახვიდან, გადმოიტანა თავისი „წაბლის" ოთხთვალიანი ოდის ფიცრები ურმებით და ლანჩუთის ყვავილებითა და ფრთაფართატა პეპლებით მორთულ ტრიალ მინდორზე მწყობრად დაალაგებინა მეურმეებს.

იმავე დღეს ხუროებმა ამოიყვანეს სახლის „პერანგი" — კედლები და ლარტყებიც დააკრეს სახურავისათვის. მე უწინაც მინახავს, როგორ აშენებდნენ გურიაში ფიცრის სახლს ულურსმნოდ. ფიცრებს ერთმანეთს აშენებენ ზევიდან ულურსმნოდ „კოტების" საშუალებით, ე. ი. ქვედა ფიცარს შუა ადგილას ნასვრეტი აქვს ფიცრის სისქეში და ამ ნასვრეტში, ზედა ფიცარზე მაგრად შერჭობილ კოტას (ხისაგან გაკეთებულ სოლს) სვამენ ქვედა ფიცრის ნახვრეტში. ფიცარი გლუვად მოდის და ჭუჭრუტანა არ რჩება ფიცრებს შუა.

მამაჩემს ძალიან უყვარდა თავის სახლი და არ ზოგავდა ძალღონეს დაემშვენებია სახლიცა და ეზოც. ეზო სამი-ხუთი ქცევა იყო. შელობა შქერის წნელით, ღობის გაყოლებით დარგო ალვის ხეები, რომლებიც ძალიან მაღლები გაიზარდნენ, გამუდმებით შრიალებდნენ მზეზე. გააშენა საუცხოო ციტრუსოვანი ბაღი. ეზოს ბოლოში მოჩუხჩუხებდა წყარო. წყაროს ირგვლივ მიუშვა ახალგაზრდა ტყე, რომელსაც ჩვენ „რაყას" ვეძახით. დადგა დიდი სამზარეულო სახლი, ნალიები (სასიმინდეები) და სხვა საჭირო შენობები; შემოღობა „ქალტა", ბოსტანი, მარანი... და ახლა, 1952 წ., როდესაც იმ ადგილას მივედი, სადაც იმდენი ტკბილი გრძნობა, სითბო და სიყვარული განვიცადე... ახლაც, ისევ ისეთი ტრიალი მინდორი დამხვდა, როგორც ჩამოსვლის პირველ დღეს — სამოცდაჩვიდმეტი წლის წინათ და მე ვერც კი გამოვიცანი, სად იდგა მამაჩემის „წაბლის" ოთხთვალა ოდა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიქოვანი

★

# მრუდე კიბე

ცხენისწყლის ნაპირებზე შეფენილია სოფლები — ალმართულა და დაღმართულა. ორივე სოფელი მთის კალთაზეა გაკრული, ორივე კალთა ერთნაირად ფრიალოა და კაციშვილმა არ იცის, რატომ ჰქვია ერთს ალმართულა და მეორეს დაღმართულა. სიდიდით ორივე ტოლია, გარეგნულად, ერთი შეხედვით, გაჭრილ ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ ხალხით ისე განირჩევიან, როგორც ცა და მიწა.

ალმართულელი კაცები ფიცხნი, შეუპოვარნი არიან, დაღმართულელნი — დინჯნი და მკაცრნი. ალმართულელი ქალების სილამაზეს ენა ვერ აღწერს, დაღმართულელი კაცების უკეთესს თვალი ვერ ნახავს. თქვენ იტყვით, ასე საგანგებოდ რამ დაანაწილა იქ ლამაზი ქალები და აქ კაცებიო. მაგრამ ამაში ჩვენს წარმოდგენას წილი არ უდევს, ასე უქნია ღმერთს.

ალმართულაში პირტახიები ცხოვრობდნენ, დაღმართულაში — კორძახიები. ამბობენ, ოდესღაც ორივე გვარი ერთ სოფელში სახლობდაო. რაღაც ვერ გაუყვიათ, რაღაცაში ვერ მორიგებულან, ხან მიწაზე ჰქონიათ დავა, ხან ტყეზე, წისქვილზე, გზებზე. ერთ მშვენიერ დღეს დედაბუდიანად დარევიან ერთმანეთს მუშტითა და კეტით, მერე სატევრითა და სასროლით, და პირტახიებს სიფიცხით, კორძახიებს კი სიმკაცრით ისე ძალუმად გამოუღიათ ხელი, რომ ამბის მთხრობელიც არ დარჩებოდა სოფელში, მეზობელ თემის კაცებს რომ არ გაეშველებინათ.

ამ ამბის შემდეგ ორ გვარს ერთ სოფელში აღარ ედგომებოდა, აყრილან და მდინარე ცხენისწყლით გათიშულან. ისეთ ადგილზე დასახლებულან, ნახევარი დღის სავალზე ფონი არ ჰქონია მდინარეს. ასეთი ადგილი იმიტომ შეურჩევიათ, რომ ერთმანეთთან მიმოსვლა არ ჰქონოდათ. წყალი ღრმა იყო და ისეთი ყაფარი და მაღალი ნაპირები ჰქონდა, კაცი კი არა, ხვლიკი ვერ მოიკიდებდა ფეხს. კიდევ კარგი, რომ მდინარის კალაპოტი სულ რაღაც ოციოდე საჟენი სიგანისა იყო და წყალგაღმელი ქალები და გამოღმელი ვაჟები, ერთმანეთთან მისასვლელი ხიდი რომ არ ჰქონდათ, ახლა ხეს, კლდეს ან ლაფაროს მოფარებულები, შორიდან ეტრფოდნენ ერთმანეთს. ჩვენში ხომ, რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია და ალმართულასა და დაღმართულას შორისაც სწორედ სიყვარულს გაუდვია ხიდი. მართალია, ეს სიყვარული ხელს არ უშლიდათ, რომ ყოველი ახალი შეხლა-შემოხლის შემდეგ მოქიშპეებს წარბშეუხრელად ჩაეჭრათ ხიდი და ორ სოფელს შორის დიდი ხნით შეწყვეტილიყო მიმოსვლა, მაგრამ ბოლოს მაინც ხიდი კვლავ იდებოდა და მეზობლობა კვლავ ახლდებოდა, რადგან სიყვარული ყოველთვის იმარჯვებდა მტრობაზე.

თუ წინათ შუღლისა და ქიშპობის საგანი მიწა, ტყე, გზა თუ წისქვილი იყო, ჟამთა მსვლელობაში, ეს მიზეზები გამქრალა, მტრობაც და შუღლიც თან გაყოლია და პირტახიები და კორძახიები სხვა საბაბით დაპირდაპირებიან ერთმანეთს.

კარგი ჩაცმა-დახურვა, კარგი ცხენუნაგირი, ქორწილი და ტირილი, შეძლება და გარჯა. აი, რა გახდა ახლა ამ ორი გვარის მოცილეობის საგანი. ბონდი რკინის ხიდით შეცვალეს, საურმე გზა — გზატკეცილით, აღარ ახსოვდათ

კეტი და სატევარი. მაგრამ ერთს რომ მეორესთვის ეჯობნა საქმეში და ხელში, ამისთვის არც ახლა ზოგავდნენ არაფერს: არც შრომას, არც დროს, არც ხარჯს, არც თავს. ქიშპობის სხვა ჟინი ღვიოდა ორ სოფელს, ორ გვარს შორის.

ორივე სოფლის კოლმეურნეობების შემოსავალს ჩაის ფოთოლი და ვაზი შეადგენდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ გაზეთში აღმართულელ პირტახიას მეჩაიე ქალის სურათი დაებეჭდათ, და იმავე გაზეთის იმავე გვერდზე დაღმართულელ კორძახიას ქალის სურათი და ჩაის ფოთლის მოკრეფის სარეკორდო ცნობა არ ყოფილიყო მოთავსებული. და ყოველთვის, თითქოს განგებო, ხან ერთი ჯობნიდა საქმეში, ხან მეორე.

ეს ორი სოფელი ერთმანეთს შეასკდება ჯიბრითო, ამბობდნენ რაიონში და თავისდა შეუმჩნევლად სხვა სოფლებიც მათ ბაძავდნენ, წელებზე ფეხს იდგამდნენ, რომ არ ჩამორჩენოდნენ პირტახიებს და კორძახიებს.

ორი სოფლის შეჯიბრებამ და გვაროვნულმა ქიშპობამ თანდათან უფრო შეიცვალა სახე. გარდამავალი წითელი დროშა ყოველ წელიწადს გადადიოდ-გადმოდიოდა პირტახიებისა და კორძახიების რკინის ხიდზე. და უსათუოდ დამარცხებული კოლმეურნეობის თავმჯდომარეს,. მის ბრიგადირებსა და მერგოლეურებს უნდა მიეტანათ დროშა გამარჯვებულთათვის. ასეთ დროს ვერც პირტახია და ვერც კორძახია ვერ იჩენდა იმდენ სუგრძელობას, რომ ათეულ წლობით დაგუბებული ჯიბრისათვის გამოსავალი არ მიეცა და დამარცხებულისათვის ნიშნი არ მიეგო,

მაგრამ ქვეყნად ყველაფერი იცვლება. ეს კარგად იცოდნენ პირტახიებმა და კორძახიებმა. მიუხედავად ამისა, მათ გულისტკივილს მაინც საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთ მშვენიერ დღეს ეს ორი კოლმეურნეობა გაერთიანდა. რითღა შეჯიბრებოდნენ ამის შემდეგ ერთმანეთს? რით მოეწონებიათ თავი, რით მიეგოთ ნიშნი? გაერთიანდნენ ისინი, ვინც ერთ დროს ღვარძლითა და შურით გაეთიშა ერთმანეთს. ორ გვარს, უწინ ერთიმეორის წახდენის ცდაში რომ იყო, ახლა ერთი საერთო საქმე უნდა ეკეთებია. მაგრამ ადრე თუ გვიან ყოველ სატკივარს თავის წამალი მოენახება, მართალია, კოლმეურნეობები გაერთიანდნენ, მაგრამ პირტახიებს და კორძახიებს თავ-თავიანთი ბრიგადები და რგოლები დარჩათ და ახლა მათ შორის გაჩაღდა შეჯიბრი. დღენიადაგ იმას ცდილობდნენ, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ თავისი გვარის კაცი აერჩიათ, გამგეობაში და სარევიზიო კომისიაშიც თავისი მოგვარენი ჰყოლოდათ მეტი.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, ნესტორ კორძახია უძღოდა ორი სოფლის გამსხვილებულ კოლმეურნეობას და ისე კარგად მიჰყავდა საქმე, ერთ ნაწილს პირტახიებისას თითქოს დაავიწყდათ კიდეც, ნესტორი რომ კორძახია იყო და თავიც კი მოსწონდათ მისი თავმჯდომარეობით. სხვები, რომელთა გულში ქიშპობის გრძნობას უფრო ღრმად გაედგა ფესვი, ნესტორ კორძახიას წარმატებას იმას მიაწერდნენ, რომ „მის საქმეს კარგი ქარი უბერავდა“, თორემ აბა, კორძახიას ვინ მისცა იმდენი ჭკუა და გონებაო!

მალე პირტახიების ამ ნაწილის გულისტკივილს მოულოდნელად მოეღო ბოლო. ნესტორ კორძახია რაიაღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს და მისი ადგილი აღმართულელმა კონდრატე პირტახიამ დაიკავა.

კონდრატე ბედნიერ ვარსკლავზე იყო დაბადებული. დედისერთას ფეხის ადგმის დღიდან ისე ანებივრებდნენ, ჩიტის რძეს არ აკლებდნენ, ფიჩხს არ გაატეხინებდნენ, ჭიდან წყალს არ მოატანინებდნენ.

სოფელში ყველა გაკვირვებული იყო კონდრატეს მამის — ფილიპეს ქცევით. ფილიპეს შრომით გაუმაძღარ კაცს ეძახდნენ და ვერ მიმხვდარიყვნენ, რატომ ზრდიდა შვილს ასეთ შუშუბრიქას! ამის მიზეზი კი ის იყო, რომ კონ-

დრატეს ყველა სახადმა აკვნიდანვე დარია ხელი. სანამ ერთ სნებას მოიხდიდა და მომაგრდებოდა, მეორე ესტუმრებოდა და აბა, როგორ დაესაქმებიათ ბავშვი! მაგრამ მშობლები შრომას არც მას შემდეგ ახსენებდნენ, კონდრატემ ყველა ჭირი რომ მოიხადა. ეს ათასჯერ ნასნეულები ბავშვი კი დღითი დღე ისე სწრაფად იკრებდა ჯანსა და ღონეს, რომ მალე მის კბილა ბიჭებს შორს გაუსწრო. უქნარობამ გააზულუქა და გააყოყლოჩინა, არ იცოდა სად წაეღო, რაში მოეხმარა ჯანი და ღონე. შრომას შეუჩვეველს, საქმისკენ გული არ მიუწევდა და არც არავინ ავალებდა.

ფილიპესი და მისი ცოლის დესპინეს ნაჯაფარი ერთ ოჯახს კი არა, ორს ეყოფოდა და ამიტომ იყო, რომ აზრადაც არ მოსდიოდათ საოჯახო საქმეში მაინც გაებათ შვილი. მართალია, კონდრატე არ მუშაობდა, მაგრამ ბუნებით დაკვირვებული, ნიჭიერი და ცნობისმოყვარე ბავშვი იყო და რაშიც არ უნდა დაგესაქმებიათ: ვენახის გასხვლა, შეწამვლა, გადაბარვა, თუ ღვინის დაყენება, დახვნა, დათესვა, ძროხის მოწველა, თუ ღორის დაკვლა და სხვა ათასი რამ, რაც გლეხკაცს მოეთხოვება, ისე გაწალდულად გააკეთებდა, გეგონებოდათ, ამ ბიჭს მისი დღე და სიცოცხლე მეტი არაფერი უკეთებიაო. იცოდა ეს ფილიპემ და გული საგულეში ჰქონდა. შრომაში ჩემს ბიჭს ხელი არ მოეცარებაო.

კონდრატემ სკოლა რომ დაამთავრა, ორი წელიწადი უსაქმოდ იარა. ინსტიტუტში შესასვლელად ვემზადებიო, ატყუებდა თავსაც და სხვასაც. დღე ეძინა, ღამე ან ქალალდს თამაშობდა, ან ქალებს დასდევდა. ვერ იგრძნო, როგორ თავდავიწყებამდე გაიტაცა ამ ორმა საქმემ და შორს შეტოპა. კორძახიას გაწბილებულმა გოგოს დედამ, ერთხელ ტახი უწოდა და ეს მეტსახელი სამუდამოდ დაემკვიდრა.

კონდრატე მართლა მოგაგონებდათ ტახს: ოდნავ წინ წამოგდებული ქვედა ყბა, გრძელი, ხორციანი ცხვირი, წვრილი ჭროლა თვალები, დაბალი შუბლი და მაღალი ქეჩო. არა, კეფა კი არა, ქეჩო. მსხვილ, მოკლე ფეხებს ტახივით მაგრა ადგამდა. თავი ზეაწეული ეჭირა და თვალები დამფრთხალი ტახივით ყოველთვის დაცეცებული ჰქონდა. ეს იმიტომ დასჩემდა, რომ ხშირად იმის შიშში იყო, ქალთან არ წაესწროთ. დაბალი არ იყო, მაგრამ ჩექმების ქუსლებში მუყაოს სქელ ნაჭრებს იდებდა, რომ უფრო მაღალი გამოჩენილიყო.

წარმატებით თავბრუდახვეული ტახი ისე მიეძალა სამიჯნურო საქმეს, რომ საფანტი მალე გამოელია და ახალგაზდა კაცი დაკოდილ ტახს დაემსგავსა. ამას ზედ მამის მოულოდნელი სიკვდილი დაერთო და კონდრატე ერთბაშად მოეგო გონს. იგრძნო, ასე ცხოვრება აღარ შეიძლებოდა. ნათქვამია, კვიცი გვარზე ხტისო. კონდრატეს ერთი რამ მაინც კარგი დაჰყვა მამისგან. საქმის ცოდნასთან ერთად, შრომის ფხაც აღმოაჩნდა. ამას ისიც ერთვოდა, რომ იცოდა, უშრომლად პურს ვერ გატეხდა. ამიტომ არავის გაკვირვებია, ეს ლოხი, გაზულუქებული ყმაწვილი, მამის სიკვდილის ორი კვირის შემდეგ კოლმეურნეობაში რომ მივიდა და ბრიგადაში მამის ადგილი დაიკავა. ისეთი მონდომებით დაიწყო მუშაობა, ისე მიეძალა, იფიქრებდი, იმის ამოგება უნდა, რაც წლების მანძილზე წაუგიაო. დღისით ვენახში ტრიალებდა, ღამით აგროტექნიკოსთა კურსებზე სწავლობდა. იმ წელიწადს ყურძნის ისეთი მოსავალი მოიწია, რომ კორძახიებიც კი მოიყვანა ალტაცებაში. ადგნენ და ბრიგადირად დანიშნეს. მალე კურსებიც დაამთავრა და აგროტექნიკოსად გადაიყვანეს.

კონდრატესთანა სასურველი სასიძო მეორე არ იყო გაღმა-გამოღმა სოფელში, სავსე სახლ-კარი, ხვთისნიერი სადედამთილო, თვითონ კონდრატე! ვერ გეტყვით რა მოსწონდათ მისი ქალებს. სილამაზეს ვერ დაიტრაბახებდა, მაგრამ რაღაც ისეთი ჰქონდა, რომელიც მხო-

ლოდ ქალმა შეიძლება დაინახოს მამაკაცში და ამიტომაა, რომ იტყვიან ხოლმე: რა ნახა ნეტა ამ ქალმა ამ კაცში ისეთი, ვის გაჰყვა, რამ დააბრმავაო. აი, ეს დამაბრმავებელი ჰქონდა უთუოდ კონდრატეს და როგორც პირტახიების, ისე კორძახიას ქალებში ბევრი აცეცებდა მისკენ თვალს, მაგრამ ტახს ქალებზე ერთხელ აცურებული გული ვერაფრით ვერ მოებრუნებია და ქალებს თავს არიდებდა, შუამავალს ათასი მიზეზით და მორიადებით უკან ისტუმრებდა.

ახლა კონდრატე მხოლოდ საქმით იყო გატაცებული. სხვა არაფერზე ფიქრობდა. ამან თავისი შედეგი გამოიღო. სულ ორი წელიწადი იმუშავა აგრო-ტექნიკოსად და უცებ აგრონომად დააწინაურეს. საამისო განათლება არ ჰქონდა, მაგრამ პრაქტიკული ცოდნით, გამოცდილებით ინსტიტუტ დამთავრებულ ბევრ აგრონომს სჯობდა.

სწრაფმა წარმატებამ, ქებამ, ჯილდოებმა და ყურადღებამ ყოყლოჩინობის მიძინებული ჭია კვლავ გაუღვიძა. სმა დაიწყო, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ ღვინო უყვარდა, არა, უნდოდა პურ-მარილში საჭირო მეგობრები გაეჩინა, მხარჯველი კაცის სახელი გავარდნოდა. მაგრამ ყველასთან როდი ხარჯავდა, ისეთებთან სვამდა, ვინც საქმეში გამოადგებოდა. ერთი კბილი არ აკლდა, მაგრამ ყველა კბილზე ოქრო გადააკვრევინა, მდიდრულ შეხედულებას მომცემსო. გამხდარი არ იყო და გასუქებაზე ოცნებობდა. მსუქანი, ღიპიანი კაცი მიაჩნდა კაცად. ასეთზე იტყვიან, ლუკმა საძებნელი არა აქვსო.

კოლმეურნეობის თავჯდომარე ნესტორ კორძახია რაიაღმასკომის თავმჯდომარედ რომ გადაიყვანეს, კონდრატემ ყურები ცქვიტა, დაცეცებული თვალები კიდევ უფრო დააცეცა, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ასარჩევი მასზე უკეთესი ვერავინ ნახა გაღმაგამოღმა სოფელში და რომც ენახა, უბრძოლველად ამ ადგილს არავის დაუთმობდა. ან რატომ უნდა დაეთმო სხვისთვის? რა არ უწყობდა ხელს კონდრატეს? ცოდნა; გამოცდილება, ჭკუა, სიბეჯითე, სითამამე თუ მდგომარეობა? მეგობრები და ამხანაგები არ ჰყავდა ისეთი, რომ ასეთ დროს მხარში ამოუდგებოდნენ, თუ რაიონის ხელმძღვანელობა არ უმადლოდა? ვითომ რა ჰქონდა კონდრატეს დასაძრახი ერთი კილის მეტი და ის ერთი კილი ქვეყანაზე მის მეტმა ძე-ხორციელმა არ იცოდა და ვერც გაიგებდა.

„მერედა, რა კილი მაქვს ისეთი, კიბე მიყვარს... ჰო; კიბე!.. საფეხურები! მაღლა რომ ადის .იქ, ზევით უფრო ლაღად გრძნობ თავს, უფრო დიდი ასპარეზი იშლება. მაგრამ ეს კიბე არც ისეთი იოლი ასასვლელია, არც ისე განიერია, ამიტომ, თუ ვინმე გვერდით მიგყვება, მხარი უნდა გაჰკრა, ხელი უნდა შეუშალო, უნდა ჩამომიტოვო. ეს ისე, თითქოს უნებლიეთ მოგივიდა, სივიწროვის გამო... — თავს იმართლებდა თავისი სინდისის წინაშე კონდრატე, — ერთხელ შევდგი შეხი ამ კიბეზე, მერე გამიჭირდა ცთუნების დაძლევა, სულ ზევით-ზევით მიგიწევს გული. ზოგს ჰგონია, წელებზე ფეხს იმიტომ იდგამ, შუბლზე ხვითქი იმიტომ გადაგდის, რომ ხალხის საქმეზე ხარ გადაგებული; ამიტომ არ გძინავს, ამიტომ არ ისვენებ, თავიდათავი საზრუნავი ეს არის და არა პირადი ცხოვრება. ნეტა რა შავდება იმით, რომ ზოგი მთლად ასე არ ფიქრობს და იქცევა! ასე ხომ საზოგადო საქმეც კეთდება და შენიც. საფეხურებზე ადიხარ, შენც კმაყოფილი ხარ და სხვაც მადლიერი გყავს. მაგრამ ყველას როდი აქვს ჭკუა ასე მოწყობილი, როგორც

მე! ზოგს საზოგადო, საქვეყნო საქმის მეტი არაფერი ახსოვს, თავისი ცხოვრება არ აქვს, არც მტერს არგია, არც მოკეთეს. ერთი არშინი და ერთი სასწორი აქვს. ამ არშინით და ამ სასწორით ზომავს და წონის საზოგადო საქმეს.

ეს აზრი ერთი დღის, თვის ან წლის მანძილზე როდი დაუდგინდა კონდრატეს! ასე ცხოვრობდა, ასე ფიქრობდა და მუშაობდა მამის სიკვდილის დღიდან. თქვენ იტყვით, არც ასე დიდი ხანია, რაც მამა დამარხაო! რა ვუყოთ მერე! ზოგს დიდი დრო უნდა ამისთვის, ზოგს მცირე. ამ ჭკუით ცხოვრობდა კონდრატე აქამდე, ამ ჭკუით იცხოვრებს, სანამ გაუვა, ამ ჭკუით ივლის...

„ცხოვრება ბრძოლაა. ასეთ ცხოვრებას აქვს გემო და ეშხი. ჰოდა, თუ ბრძოლაა, ამ ბრძოლაში ყველამ ის ხერხი იხმაროს, რომელიც ემარჯვება“. ტახს ხომ ხერხი და ღონე არ აკლდა და იცოცხლეთ ის დატრიალდა. თუ ეს საქმე გაეჩარხე, ღმერთს ასჯერ თავს დავუკრავო, თქვადა ხომ მოგეხსენებათ, ზღვის ამბავი ყველაზე კარგად მეთევზემ იცის.

ადმართულელების ერთი ნაწილი ჩაის ფაბრიკის დირექტორს გერასიმე კორძახიას უპირებდა არჩევას, მეორე ნაწილს სოფლის საბჭოს თავმჯდომარე მარიამ კორძახია უნდოდა. ორივე კანდიდატი საკმაოდ ძლიერი მეტოქე იყო კონდრატესათვის. დაღმართულელების კანდიდატები კიდევ უფრო საშიშნი იყვნენ. ერთი — ტარიელ პირტახია გახლდათ, დემობილიზებული ოფიცერი, რამდენიმე ორდენის კავალერი და ორივე სოფელში ფრიად პატივცემული კაცი. მეორე — სარდიონ პირტახია, მარნის დირექტორი, განათლებით აგრონომი, კაცი, რომელზეც იტყვიან ხოლმე, თვალში რომ ჩაგივარდეს, თითს არ ამოისვამო.

ამ ოთხ კაცზე ბჭობდა ორი გვარი, წონიდა და ზომავდა. მეხუთე კანდიდატს ცოტა მომხრე ჰყავდა... კონდრატეზე თითქმის არ ლაპარაკობდნენ, არავინ იცავდა, არავინ დებდა თავს. არც ავს ამბობდნენ და არც კარგს. მაგრამ კონდრატემ ამით გული როდი გაიტეხა, უკან როდი დაიხია, ურვასა და ძვინვას როდი მიეცა. გადაწყვიტა, ნემსის ყუნწში გავძვრები და ჩემსას მაინც გავიტანო. უფრო გაამახვილა სიფხიზლე, აამუშავა ყველა ჩარა და ძალა. ამ თასმასავით მოქნილ კაცს. თვითონვე უკვირდა თავისი ნაფიქრი და ნააზრი, მაინც არ ეგონა, ამდენი ეშმაკობა თუ ჰქონდა. გარდა იმისა, რომ თავისი ახლო მეგობრები და ამხანაგები დაიბევა, ერთი ყველაზე საიმედო ფანდიც მოიშველია.

საქმე ის იყო, რომ გაღმა-გამოღმა სოფელში კოლმეურნეების უმრავლესობა ქალები გახლდათ, რადგან წინათ, გამსხვილების პირველ წლებში, კოლმეურნეობის საქმეს კარგი ამინდი არ ედგა და ამის გამო ბევრი ჭაბუკი ქალაქს წავიდა, ზოგი ინსტიტუტში, ზოგი ტექნიკუმში და ზოგიც ქარხანა-ფაბრიკაში. ამგვარად, როგორც იტყვიან, კოლმეურნეობის აქტივად ქალები იქცნენ. რაიონის არც ერთ კოლმეურნეობაში იმდენი გმირი მეჩაიე, მევენახე და მწველავი ქალი არ იყო, რამდენიც „ცისკარში“. ამ კოლმეურნეობას რაიონში „ცისკრით“ კი არ იხსენიებდნენ, გმირ ქალთა კოლმეურნეობას ეძახდნენ.

ამ ქალებზე იყო უმთავრესად დამოკიდებული, თუ ვის აირჩევდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ამ ქალებიდან არა ერთსა და ორს ეჭირა კონდრატეზე თვალი და მისი გულის მოსაგებად უსათუოდ დაუჭერდნენ მხარს.

ტახმა არ დააყოვნა, იმ ქალებს, რომელთა შემოხედვას ერთ დროს თავს არიდებდა, ახლა ისეთი მზერით შეხედავდა, თითქოს მზე და მთვარე მათთვის ამოდიოდა. შუამავლებთან შაქრად იქცა, ენა მოიქარგა, უარს არავისეუბნებოდა. ჩემს სულში მჯდარხარ, ერთი ხანია სწორედ მაგ ქალს შევციცინებო. ზოგს, ვინც მისკენ არ იხედებოდა, იქით დაუწყო თვალის პრაწვა. იცოდა, ეს ხერხი კარგი ბადე იყო გათხოვების ჟინით აღტკინებული ქალის დასაჭერად.

ამგვარად, ერთ კვირაში ბევრი ქალის გული ააძგერა, თვითონ კი დამშვიდდა, გული საგულეს დაიდო, ისინი კი მოლოდინის ეკლებზე დასვა. ახლა ბამბის ძაფზე აღარ ეკიდა მისი ბედი და კონდრატე გუნებაში წინასწარ ზეიმობდა გამარჯვებას. თუმცა იცოდა, რომ არც სხვა კანდიდატების მომხრეები იყვნენ გულხელდაკრეფით, ყველა წესიერად არ თამაშობდა. ერთნი იმიტომ ზრუნავდნენ თავისი კაცისათვის, რომ პირადად იყვნენ დაინტერესებულნი მისი არჩევით, მეორენი სხვისი ჯიბრით, ზოგსაც თავმჯდომარედ ისეთი კაცი უნდოდა, რომელიც ნაკლებად მომთხოვნი იქნებოდა, რათა ამით თავის საკარმიდამოზე მუშაობის მეტი საშუალება მისცემოდა.

უმრავლესობას კი ერთი აზრი ამოძრავებდა — ისეთი თავმჯდომარე ჰყოლოდათ, რომელიც საქმეს კიდევ უფრო წინ წასწევდა. ასეთ კაცად კონდრატე ბევრს არ მიაჩნდა, მაგრამ ტახი მაინც გულარხეინად იყო. ქალმა თუ გაიწიაო, ფიქრობდა და მართლაც გაიწიეს ქალებმა. რა არ იღონეს, როგორ არ ეცადნენ, ვის არ აწყენინეს, ვინ არ მოიმდურეს, არც რაიონის ხელმძღვანელებს დაერიდნენ, არც შინაურებს, ვინ არ აიყოლიეს და თავისი გაიტანეს. მცირე უმრავლესობით, მაგრამ მაინც კონდრატე აირჩიეს თავმჯდომარედ.

კორძახიები ტუჩებს უკვირდნენ სიმწრისაგან, როგორ მისცეს ხმა ჩვენმა ქალებმა პირტახიას და ისიც, კონდრატესო. ზოგი კორძახია ამ ამბავმა ისე გააბრაზა, რომ ქალი საზოგადო საქმეს სათოფეზე არ უნდა გააკაროო, — გაიძახოდა, — სადაც ქალის ჭკუა ჩაერევა, იქ საქმე უკუღმა დატრიალდებაო. ასე ილესავდნენ ენას კორძახიები. დალმართულაში კი, ნაწილი პირტახიებისა ნიშნს უგებდა კორძახიებს, თუმცა გულში არც მათ უხაროდათ კონდრატეს თავმჯდომარეობა, მაგრამ კორძახიების გასაგონად ტახს ხოტბასასხამდნენ, უქებდნენ ცოდნას, საქმეში ჩახედულობას, გარჯას, ხარივით მუშა კაციაო, ქვეყნისათვის თავდადებულიო. ყველაყველა, მაგრამ კორძახიებში უკეთესს ვის ავირჩევდითო! ბოღმა ახრჩობდათ კორძახიებს, დანა რომ დაგეკრათ, სისხლი არ გამოუვიდოდათ, მაგრამ რას იზამდნენ, პირტახიების აქავებულ ენას ბოქლომს ხომ ვერ დაადებდნენ, როცა თავისავე გვარის ქალებმა გამოჭრეს ყელი.

კონდრატეს არჩევით უკმაყოფილო კორძახიებს და პირტახიებს ერთი იმედი მაინც ჰქონდათ. ორივე გვარის ქალები და კაცები პირდაპირები და მოურიდებლები იყვნენ, სადაც საჭირო იყო, არც თავისიანს დაზოგავდნენ და არც სხვისიანს. ჰოდა, თუ კონდრატე მოლოდინს ვერ გაამართლებდა, წლის ბოლოს, საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გადაირჩევდნენ. მოერიდებოდნენ ვინმეს თუ? ორივე გვარი ცნობილი იყო სიმკაცრით. მომხდარა, მამას შვილისთვის ტყვია უსვრია, მაგრამ ამავე დროს მეგობრისათვის საკირეში გადავარდებოდნენ, პერანგს გაიხდიდნენ. მეზობელ სოფლებში პირდაპირობის მაგალითად პირტახიებისა და კორძახიების გვარს ასახელებდნენ.

ეს ამბავი კონდრატემაც იცოდა და დღე და ღამეს ასწორებდა, რომ მათი გული მოეგო. დიდი და პატარა კმაყოფილი იყო კონდრატეს ასეთი თავდადებით, ერთი წელი არ იყო გასული მისი არჩევის დღიდან და ხალხის სიყვარული მოიპოვა. კონდრატეს ამრჩევ იმედგაცრუებულ ქალებსაც კი მოულბათ გული თავმჯდომარეზე, მიუხედავად იმისა, რომ ტახი არჩევის დღიდან ზედაც არ უყურებდა მათ. ერთ დროს დაუცხრომელ მუსუსს არ ახსოვდა ქალი, ეს გრძნობა სრულიად ჩაუკვდა, უკვალოდ გაუქრა, არც ფიქრობდა ქალზე, არ ეცალა ამისთვის. დაკოდილი ტახი სხვა ცეცხლით იწვოდა და სხვა საფუარით ლაღობდა. დღითი დღე სახელთან და სახრავთან ერთად ხორცსაც იკრებდა, ღიპი წამოეზარდა, ქეჩოზე სამკეცი ქონი დაუგორდა.

ტყუილად როდი უთქვამთ, ადამიანი თავის ბედს თვითონ განაგებსო, ალაპარაკდნენ ისინიც, რომლებიც ერთ დროს კონდრატეს ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულად თვლიდნენ. ახლა არც ისინი ხუჭავდნენ თვალს კონდრატეს უნარიანობაზე. ვერც დახუჭავდნენ, რადგან მან სამი წლის მანძილზე იმდენი გააკეთა, იმდენი შესძინა კოლმეურნეობას, რაც წინათ ორ ამდენ დროში არც ერთი თავმჯდომარის ხელში არ გაკეთებულა.

კონდრატემ კიდევ ერთი საფეხურით აიწია კიბეზე, ჩექმაში კიდევ ერთი წყება მუყაო ჩაიწყო, ქამარი კიდევ ერთი გოჯით მოიფონა და ქეჩოზე კიდევ ერთი ნაკეცი აუგორდა. ჭამას უმატა, სმას და ხარჯვას უკლო. ახლა თავის გამოსაჩენი სხვა უფრო დიდი და სასახელო საქმე ჰქონდა. რაიონში ახალი თვალით შეხედეს, რაიონის გარეთ ალაპარაკდნენ. კონდრატეზე წერდნენ, კრებებზე ახსენებდნენ, პრეზიდიუმში ირჩევდნენ, აჯილდოებდნენ, აქებდნენ. ნათქვამია, ყველიერს დიდმარხვა მოსდევსო, კონდრატემ იცოდა ამ წარმატებას სხვა წარმატება მოჰყვებოდა, მაგრამ ერთი წვეთი შხამი მაინც უმღვრევდა სისხლს, კი არ წამლავდა, უმღვრევდა მხოლოდ და ეს ამღვრეული სისხლი არ ასვენებდა.

ამის მიზეზი რაიკომის პირველი მდივანი ვარდენ ჩაჩანიძე იყო. ვარდენს რაღაც არ მოსწონდა კონდრატესი. ის ახალი არჩეული იყო ამ რაიონში, კონდრატე გაცნობის პირველ დღიდანვე არ მოეწონა, მაგრამ დღემდე არ იცოდა, რას ხედავდა ამ კაცში საეჭვოს. რა არ იღონა კონდრატემ, როგორ არ ეცადა, მაგრამ ვერ იქნა, ვერ მობანა პირი. რა თვალით შეხედა იმ წყეულმა! რადაც არ უნდა დაჯდომოდა, როგორმე უნდა მოეგო მისი გული, თორემ კონდრატე ვერ მოისვენებდა.

ფრთხილად იქცეოდა ტახი. ახლა ის უფრო მელიას ჰგავდა, ეშმაკს, მოხერხებულს, ლაქუცას — ზომიერად ლაქუცას, თორემ ზედმეტი მოთნეობით კისერს მოიტეხდა. თუმცა კისერი ერთობ დაბალი და სქელი ჰქონდა, მაგრამ ყველა ჯურის კისერს მოენახება თავისი ფარდი ძალა. კონდრატე რაიკომის მდივნის კაბინეტში რომ შევიდოდა... ოო, მაშინ სულ არა ჰგავდა ტახს. თავს დახრიდა, ყბაც კი, ის წინ წამოწეული ქვედა ყბა, რომელიც ყველაზე მეტად ამსგავსებდა ტახს, უკან იწევდა, ღიპი სადღაც ქრებოდა, კისერი უგრძელდებოდა, ნაბიჯი უმსუბუქდებოდა და მხოლოდ თვალი რჩებოდა დაცეცებული.

კაცმა რომ თქვას, თვალდასაცეცებელი არა ჰქონდა რა. თავდადებით მუშაობდა, კოლმეურნეობა გეგმას გადაჭარბებით ასრულებდა, ხალხი მადლიერი და კმაყოფილი ჰყავდა, სხვისას არ ჭამდა და არ სვამდა, თავისას, სადაც საჭირო იყო, არ დაზოგავდა, კოლმეურნეობის ქონებას ფარვანასავით დასტრიალებდა, კაპიკს არ შეაჭმევდა სხვას,

მაგრამ მაინც მომდურავი და მოშურნე არ ელეოდა. ბევრჯერ დაასმინეს, გაზვიადებული მაჩვენებლები აქვსო, ამიტომ გვეჩვენება, რომ ასე აქვს გაწყობილი საქმეო. კონდრატე კი ყოველთვის პირმართალი გამოდგა და მტრებს თვალები დათხარა.

აბა, მაშ რა ჰქონდა თვალდასაცეცები? არაფერი ისეთი. სულ მცირე რამ, რომელსაც, კონდრატეს რწმენით, არავისთვის მოჰქონდა ზიანი. მაინც რა იყო ეს მცირე, უზიანო უვნებელი? ის, რაც ზევითა ვთქვით და ახლა მხოლოდ იმიტომ გავიხსენეთ, რომ კონდრატეს ყოველთვის ახსოვს და მოსვენებას არ აძლევს. ეს მცირე, უზიანო და უვნებელი ის გახლავთ, რომ ტახი ყველაფერს სახელისა და დიდებისათვის აკეთებს. მერე რა არის ამაში საძრახისი? ტყუილად უთქვამთ, სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსაო! მაგრამ არა, თავს ნუ იტყუებ, კონდრატე! ჩასძახოდა კონდრატეს ერთი ხმა. ეს იმაზეა ნათქვამი, ვინც სახელს ისე იხვეჭს, რომ არც ფიქრობს სახელის მოხვეჭაზე. სახელი და დიდება კარგი მიზნის მიღწევის შედეგია. შენც ხომ კარგი მიზნისთვის იღწვი! აქეზებდა ტახს მეორე ხმა, მაგრამ პირველი უმალ პირში ეცემოდა: არა, შენ სახელისთვის იღწვი, ამით ხარ დაბრმავებული.

კონდრატეს ერთი კარგი თვისება ჰქონდა: ჯიუტი არ იყო, სიმართლეს თვალში უყურებდა. იცოდა, რომ პატიოსანი კაცი სახელზე არ ფიქრობს, საქმე ამოძრავებს, მისთვის სდებს თავს... სცოდავს ტახი, რა ქნას, ეს ცოდვა გვარიდან მოჰყვება. პირტახიებიც სცოდავდნენ, კორძახიებიც. განა ეს ორი გვარი სახელისთვის არ იყვნენ დანასისხლად? ამას არ მოსდევდა სიავე და სიმწარე! ყველაფერი ეს გაქრა, წარსულს ჩაბარდა და ეს ორი გვარი კარგ, საზოგადო საქმეში ექიშპებიან ერთმანეთს, მაგრამ ვინა თქვა, ზოგი კონდრატესავით ამას სახელისათვის არ აკეთებს! არა, სახელისათვის არ აკეთებს. კონდრატე ასეთ ცილს ვერავის დასწამებს. ასეთ ცოდვას ვერ იდებს კისერზე. სახელისთვის რომ იღვწოდეს ანეტა პირტახია, ყაჩის გამოკვებვის თავის ხერხს სხვას არ გაუმხელდა. შარშან ანეტამ სამჯერ მეტი პარკი მოიწია, ვინემ მისმა მეზობელმა ქალებმა. ანეტამ არ დამალა, რანაირად მოიწია ამდენი პარკი, თვითონ უჩვენებდა და ასწავლიდა მეზობლებს და ამ ჩვენება-სწავლებაში კი თავისი ყაჩი მოუვლელი დარჩა და წაუხდა.

სახელისთვის გააკეთა ანეტამ ეს! არა, კონდრატეს შერცხვა, რა უკუღმა ვიფიქრე ანეტაზეო. ვერც სხვებს დასწამებს ასეთ ცოდვას. ღმერთმა დაიფაროს ცოდვებისაგან! ვინ მოთვლის რამდენი ჰყავს ანეტასთანები კოლმეურნეობაში.

მე ვარ მხოლოდ ასეთი, ამბობდა გულში, თავისი სინდისის წინაშე. თავის თავთან ერთობ გულახდილი იყო. მადროვეთ ცოტა, ბატონო, და მეც ანეტას ჭკუით ვივლი, მის გზას დავადგები. ოღონდ მაცალეთ... კიდევ ერთ საფეხურს ავინაცვლებ და მერე თქვენი მონა-მორჩილი, ჩემს ტყავში დავეტევი... კონდრატე გამომცდელი თვალით ჩაიხედავდა თავის სულში, იმდენი სინდის-ნამუსი ჰქონდა, რომ არ უჯერებდა თავის თავს... მერე? კიდევ არის საფეხურები.

ასეთ ფიქრისაგან კონდრატეს თვითონვე შეეზიზღებოდა ხოლმე თავი, ზურგს შეაქცევდა იმ მეორე კონდრატეს და ამაზე კიდევ რომ არ ეფიქრა, თუ შინ იყო, ღვინოს მიეძალებოდა, თუ კანტორაში — საქმეს. გაეცლებოდა, გაექცეოდა ამ კვიმატ ფიქრებს, მაგრამ ის აბეზარნი თან მისდევდნენ, ტვინს უხვრიტავდნენ, გულს უხარბებდნენ, ტყვე იყო მათი, მონა, სულხორცში ეჯდა და მათი ამოგდება არც ისე იოლი იყო. განა ასე ადვილად გასწორდება ძაღლის კუდი?

გადიოდა დრო. კონდრატე მტკიცედ იდგა თავის საფეხურზე. ზევით არ ადიოდა, მაგრამ არც მოცილე ჰყავდა. დამშვიდდა, თვალს აღარ აცეცებდა...

მაგრამ სანამდე იდგეს ამ საფეხურზე! კიბე რისი კიბეა, თუ არ ადიხარ, ზევით არ მიიწევ! ყველაფერს აკეთებს ამისთვის კონდრატე: ყოველწლიურად უფრო მეტ ყურძენსა და ჩაის ფოთოლს კრეფს, მეტ სიმინდსა და მუხუდოს იწევს, აშენებს ახალ პლანტაციას და ბაღს, გაჰყავს არხები, იძენს მანქანებს, აგებს... მერე რა მოხდა? ვის მოაწონებ დღეს ამით თავს? ამასვე აკეთებს ასობით კოლმეურნეობა, ამით ვის გააკვირვებ ახლანდელ დროში? ვერავის. ახსოვს კონდრატეს ჰექტარზე ხუთას კილოგრამ ჩაის ფოთოლს რომ კრეფდნენ წელიწადში. ახლა ათი ათას კილოგრამს არ ჯერდებიან. ისიც ახსოვს, კოლმეურნეობის შემოსავალი წლიურად სამას ათას მანეთს ძლივს აღწევდა, ახლა ოცდაორი მილიონი შემოსდის მის კოლმეურნეობას. წინათ ერთი ქალი ხუთ-ექვს ძროხას უვლიდა და წველავდა, ახლა ვიღაც ლიტველი ფელიცია ჩუპლინსკაია ას ორმოც ძროხას უვლის და პირობა დაუდვია, ხუთას ტონა რძეს მოვწველიო წელიწადში. ხუთასი ტონა რძე, ეს ხომ მდინარეა! არა, მოსავლის სიუხვით ჩვენს ადამიანს ვერ გააკვირვებ.

აბა, რა ქნას კონდრატემ, რით გამოიჩინოს თავი, როგორ აინაცვლოს საფეხური? ღრღნიდა და ქლიბავდა ეს ფიქრი ტახს და აი, ერთხელ დასავლეთ უკრაინიდან, სადაც ძროხების საყიდლად იყო წასული, გახარებული დაბრუნდა.

გახარებული იმით კი არ იყო, რომ კარგი ძროხები იყიდა. მისი სიხარულის მიზეზი სხვა გახლდათ. იქ ისეთი რამ გაიგო და ნახა, რაც სიზმარშიაც არ მოელანდებოდა. კონდრატე პირველი გააკეთებს ამას. საქართველოში მის კოლმეურნეობას ექნება პირველს, ყუმბარასავით გავარდება კიდით კიდემდე ეს ამბავი. ოჰ, რომ იცოდნენ, რა ხვითო უჭირავს ხელში. არც წონით იზომება და არც არშინით, არც გეგმაა, არც პროცენტი. ერთ დროს სხვებსაც ექნებათ, მაგრამ როდის? კონდრატე იქნება პირველი მოთავე, მისგან გადიღებენ, მას მიბაძავენ. მანამდე ძე-ხორციელმა არ უნდა გაიგოს, მაგრამ როგორ განახორციელოს ისე, რომ უჩუმარი და უჩინარი დარჩეს? დარჩება. კონდრატეს კოლმეურნეობაში ბევრი ჰყავს ისეთი კაცი, ვისაც ენდობა, საიდუმლოს შეუნახავს, პირში წყალს დაიგუბებს.

ასეთ კაცებში პირველი კოლმეურნეობის ბუღალტერი ანთიმოზ კორძახია ეგულება. ანთიმოზი კორძახიაა, მაგრამ კონდრატე მას ათ პირტახიაში არ გაცვლის და ტახმაც არ დააყოვნა, ჩამოსვლის დღესვე, გვიან ღამით, როცა კანტორაში კონდრატესა და ანთიმოზის მეტი კაციშვილი არ იყო, თავმჯდომარემ კაბინეტის კარი ჩაიკეტა, გაკვირვებული ბუღალტრის წინ დაჯდა, სახეში შეაჩერდა და მოულოდნელად ჰკითხა:

— ანთიმოზ, ერთი მითხარი, თუ გიყვარდე, რით შეიძლება ჩვენს დროში ქვეყანა გააკვირვო?

— რა დარგში და რა საქმეში, კონდრატე?

— ეგ სულ ერთია... — შეყოყმანდა კონდრატე, ისე ეშინოდა საიდუმლოების გამხელა, რომ იმასთანაც ვერ ბედავდა გამოტეხილად ლაპარაკს, ვისთვისაც რჩევა უნდა ეკითხა. ვინც გვერდში უნდა ამოდგომოდა.

შეატყო ეს ბუღალტერმა და კიდევ უფრო გაუკვირდა.

— ჩვენს დროშიც და ძველ დროშიც, ჩემო კონდრატე, ადამიანი ჭკუით აკვირვებდა ქვეყანას და ასე იქნება ყოველთვის.

— ეს მართალია, მაგრამ მე სხვას გეკითხები... აი, მე და შენ რა შეგვიძლია გავაკეთოთ ისეთი, რომ ავალაპარაკოთ რაიონი, მთელი საქართველო?

ბუღალტერი ერთ ხანს დაფიქრებული იჯდა, დუმდა.

— ვერა, ვერ გაპასუხებ, — უთხრა ბოლოს ანთიმოზმა, — ძნელი ამოცანა დამისვი. ამას დაფიქრება უნდა.

— მართალი ხარ, ანთიმოზ, — დაუდასტურა კონდრატემ, — დაფიქრება

უნდა, ორი წელიწადია ამაზე ვფიქრობ და იცი, ერთხელ რა გადავწყვიტე? ვერტმფრენს ვიყიდი-მეთქი.

— ვერტმფრენს?! — გაიღიმა ბუღალტერმა, — ამით გინდოდა ქვეყნის გაკვირვება?!

— ამ ჩვენს მთიან რაიონში დიდ სარგებლობას მოგვიტანდა, მაგრამ შენ მართალი ხარ, — ვერტმფრენით მაინცდამაინც ვერავის გავაკვირვებთ. აგერ, „განთიადს“ რაიონიდან ფოსტა თავისი თვითმფრინავით მოაქვს და არავის უკვირს, მაგრამ ის, რის გაკეთებას შენი მოწონებული, კონდრატე პირტახია აპირებს, კაცს კი არა, ეშმაკს გააკვირვებს.

— რა არის ასეთი, კონდრატე? — უცებ გამოფხიზლდა ბუღალტერი, სიცხისაგან გაბრუებულმა ყურები დაცქვიტა, — მითხარი, რას მაწვალებ!

კონდრატემ დოქიდან წყალი დაისხა, ყლუპა-ყლუპა დალია სვენებსვენებით, მერე ჭიქა ლამბაქზე დადგა, ოფლიან სახეზე ცვირსახოცი მოისვა და მიუხედავად იმისა, რომ ანთიმოზზე ნაკლებ მოთენთილი არ იყო, მაინც ზეიმურად დაიწყო:

— რამდენი ხანია, ანთიმოზ, მთავრობამ დაადგინა, კაცს სამოცი წელი რომ შეუსრულდება, პენსიაზე გადავიდესო.

— კარგა ხანია და ჩვენც გვყავს პენსიონერები.

— დიდი ამბავი! პენსიონერები სხვა კოლმეურნეობებსაც ჰყავთ, ეგ რა საკვეხნი საქმეა! ის კი, რასაც მე ვაპირებ, არც ერთ კოლმეურნეობაში არ არის.

— რას აპირებ ასეთს, შე კაცო! თქვი ბარემ! — მოთმინება არ ეყო ანთიმოზს.

— რასა და პენსიაზე მეტს, — ამაყად მიუგო ბუღალტრის ცნობისმოყვარეობით კმაყოფილმა და იმდენად გულაჩუყებულმა, რომ ანთიმოზს თავისი ცვირსახოცით მოწმინდა შუბლიდან თვალებში ჩაღვენთილი მსხვილი, წებოვანი ოფლი.

— არ მესმის, კონდრატე, რა ლექსია პენსიაზე მეტი.

— ახლავე გაიგებ რაცხა ლექსია. ოღონდ მოთმინება იქონიე, მაგრამ ერთი პირობით, — კონდრატემ აქეთიქით მიმოიხედა, თუმცა იცოდა ოთახში არავინ იყო და კარიც ჩაკეტილი ჰქონდა, — მე და შენს მეტმა ეს ამბავი ჯერჯერობით არავინ არ უნდა იცოდეს.

— სამარე ვიქნები, — ტუჩზე ხელი მიიდო ანთიმოზმა.

— უკრაინაში რომ ვიყავი, ანთიმოზ, — დაიწყო კიდევ უფრო ზეიმურად კონდრატემ, — ერთ კოლმეურნეობაში სტუმრად მიმიწვიეს, დიდად არაფრით გამოირჩეოდა იმ რაიონში ის კოლმეურნეობა, მაგრამ ერთი რამ ისეთი ჰქონდათ იქ, რომ ერთბაშად არ დავიჯერე. მე და თავმჯდომარე ფერმიდან ვბრუნდებოდით. გავიხედე შენ ხარ ჩემი ბატონი, და კარგა დიდ ბაღში ორსართულიანი კოხტა სახლი წამოსკუპულა. სახლი მარა, რა სახლი, ანთიმოზ! კალმით ნახატი. განიერი ფანჯრები, განიერი კარები, მარმარილოს კიბე, ბაღში — გრძელი მერხები და ჩრდილქვეშ — ჭილის სავარძლები. ეზოში სუფთად ჩაცმული ქალები და კაცები დასეირნობენ, ზოგი სავარძელში და მერხზე ზის მეფურად და დედოფლურად, წიგნს ან გაზეთს კითხულობს ფეხიფეხგადადებული. სიწყნარეს მხოლოდ ჩიტების ჭიკჭიკი და ტოტებში ფართხალი არღვევს. ვიფიქრე, სანატორიუმი ან დასასვენებელი სახლი თუა-მეთქი. მაგრამ კოლმეურნეობის მიწაზე რა უნდა დასასვენებელ სახლსა-თქო. თუმცა მაშინვე ისიც გამახსენდა, რომ ჩვენში ბევრია ისეთი კოლმეურნეობა, საკუთარი დასასვენებელი სახლი რომ აქვს. რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემო ანთიმოზ, არც დასასვენებელი სახლი გამოდგა ის შენობა და არც სანატორიუმი.

— საავადმყოფო იქნებოდა.

— არც საავადმყოფო, არც კლუბი, არც კულტურის სახლი.

— სკოლა — ინტერნატი?

— საქმე იმაშია, რომ არც ერთი ბავშვი არ ჭაჭანებდა იმ ბაღში, სულ მოხუცები იყვნენ, თითქოს საგანგებოდ დარჩეული...

— მოხუცები!

— ხვდები რამეს თუ? — ჰკითხა კონდრატემ.

— ვერაფერს.

— ვერც მიხვდები. შენ კი არა, მე ჩემი თვალით ვუყურებდი იმ ბაღს, იმ სახლს, იმ მოხუცებს და ვერაფერს მივხვდი.

— არ იკითხე?

— რავა არ ვიკითხე და იცი რა გამოდგა ის ედემის ბაღი!

— რა?

— მოხუცთა სახლი.

— ვისი სახლი?! ყურზე ხელი მიიფარა ანთიმოზმა.

კონდრატეს ღიმილით გაუნათდა სახე, თითქოს მძივებად დასხმული ოფლიც გაუბრწყინდა, რომ ანთიმოზზე ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ნათქვამმა. ჯერ სადა ხარო, გაიფიქრა და მიუგო:

— მოხუცთა სახლი... ანუ, უკაცრავად, უფრო ზუსტად — ღრმად მოხუცებულთა სახლი.

ბუღალტერი გაკვირვებული შეჰყურებდა თავმჯდომარეს.

— რას ჰქვია ღრმად მოხუცებულთა სახლი? რაღაცა გეშლება, კონდრატე!

— ისე შეეშალოს შენთვის კარგის მოსურნეს, რავარც მე ეგ მეშლება, — გაიღიმა თავმომწონედ ტახმა, — მეშლება კი არა, ხუთი თითივით შევისწავლე იმ სახლის და იმ ბაღის ყოველი კუნჭული. იქ, ჩემო ანთიმოზ, ის მოხუცი კოლმეურნეები ცხოვრობენ, რომლებმაც ქვეყნის წინაშე თავისი ვალი პირნათლად მოიხადეს და უფლება მოიპოვეს დარჩენილი წლები ფეხიფეხგადადებულებმა იცხოვრონ მშვიდად, თავის ნებაზე, თავის გემოზე, კარგი ჭამონ და კარგი სვან, ჩაიცვან და დაიხურონ. მოგწონს, ანთიმოზ?

— ვის არ მოეწონება, შე კაცო, კარგი ცხოვრება! რანაირად მოიფიქრეს ასეთი დიდებული საქმე!

— რანაირად და ჭკუით, გონებით. აკი თქვი წეღან, ჩვენს დროში და ძველ დროშიც ადამიანი ჭკუით აკვირვებდა ქვეყანასო. ბრძნული აზრია, ანთიმოზ. ამიტომ მიყვარხარ და გაფასებ, რომ აზრიანი კაცი ხარ, —კონდრატემ ისევ დაისხა დოქიდან წყალი, ისევ ყლუპყლუპად, სვენებ-სვენებით დალია, მერე ჭიქა ლამბაქზე დადგა, სახეზე ისევ მოისვა ცვირსახოცი და ახლა უფრო მეტი სიდინჯით და სიამაყით განაგრძო:

— გულმა არ მომითმინა, სულმა წამძლია, ავდექი და თავმჯდომარესთან ერთად შევედი იმ სახლში. დავათვალიერე ბაღი, საწოლი ოთახები, სამზარეულო, სასადილო, კლუბი, სამკითხველო. შევხედე მოხუცებს, ქალსა და კაცს: ფერ-ხორცით სავსენი, დასვენებულები, უდარდელნი. ჩემს თვალს არ დავუჯერე... იცი, ანთიმოზ, რა აზრი დამებადა, იმათ რომ ვუყურებდი! რატომ ჩვენ გერასიმე პირტახიასაც არ უნდა ჰქონდეს ასეთი დასვენებული და უზრუნველი ცხოვრება-მეთქი, ან ვალერიან კორძახიას, ნატალია პირტახიას, გიგოს, საჩინოს, ბეგლარს... რომელი ერთი ჩამოვთვალო. ცოტა გვყავს ჩვენ ისეთი მოხუცები, რომლებმაც ამდაგვარი ცხოვრება დაიმსახურეს? — ჰკითხა თავმჯდომარემ ბუღალტერს.

ანთიმოზი პასუხს აგვიანებდა, სახეზე ურწმუნო ღიმილაღხატული შეჰყურებდა კონდრატეს. ტახს ისე ეჩხვლიტა ეს გულზე, რომ მზად იყო სილა გაეწნა. ანთიმოზი კი იჯდა გაბუსუნებული, როგორღაც ცივი, თითქოს გამოთაყვანებული. სიცხის ბრალიაო, ალბათ, დაიმშვიდა გული კონდრატემ.

— ცხოვრებას ჩვენი მოხუცები არ უჩივიან, კონდრატე, — დაიწყო, ცივად, ცალყბად, ისეთი კაცის კილოთი, რომელიც გეუბნება, მე რაღაც საინტერესო ამბავს მოველოდი, სულ ეს იყო შენი ქართულიო, — არ შიათ და არ წყურიათ.

— ჰმ!.. თურმე არ შიათ და არ

წყურიათ! — იფეთქა კონდრატემ, — ზრასტი! — ამ რუსულ სიტყვას მაშინ წამოისროდა, გული რომ მოუვიდოდა, ან რაიმე გაეხარდებოდა, — არ შიათ და არ წყურიათ! ჰა! — გაიმეორა ისევ, — ძალიან დიდი შეღავათი არ ჰქონიათ! — წამოდგა, ბრაზისაგან სული ეგუბებოდა, ოთახში წინ და უკან სიარული დაიწყო, ამასაც მაშინ აკეთებდა, გულზე რომ შემოენთებოდა. აჭრაჭუნდა იატაკის ფიცრები მისი მძიმე ნაბიჯების ქვეშ, აზრიალდნენ ფანჯრის მინები, — ერთი ეს მიბრძანე, ჭკუის კოლოფო, — მოტრიალდა უცებ ტახი ანთიმოზისაკენ, — რატომ არ უნდა იცხოვრონ ჩვენმა მოხუცებმაც ისევე უდარდელად და უზრუნველად, ნაკლები ამაგი მიუძღვით ქვეყნის წინაშე, თუ რაშია საქმე? ნაკლები უჯაფიათ და უშრომიათ? რატომ არ უნდა ჭამდნენ და სვამდნენ თავის გემოზე და დროზე, რატომ არ უნდა წვებოდნენ და დგებოდნენ თავის ნებაზე? იქ თუ საათივით აქვთ ცხოვრება აწყობილი და რაც მთავარია, უფასოდ და უშრომლად ღებულობენ, რაც უნდათ...

— უფასო და უშრომელ ლუკმას, კონდრატე...

დაიწყო ანთიმოზმა, მაგრამ ტახმა არ აცალა. იცოდა, რასაც იტყოდა, პირში ეცა.

— ვერა გცნობ ამაღამ, ანთიმოზ! რას მიქვია უშრომელი ლუკმა! კაცმა სამოცდაათი წელი წელგაუმართავ შრომაში გაატარა, რაღაც ხუთი თუ ათი წელი დარჩენია ამ წუთისოფელში და არ გინდა მოასვენო, უშრომლად აჭამო ლუკმა! არ აქვს ამის უფლება?

— უფლება როგორ არ აქვს, — მშვიდად მიუგო ანთიმოზმა და ამ სიმშვიდემ მთლად შემოანთო ცეცხლი კონდრატეს, — აკი, სამოცი წლის შემდეგ პენსიას აძლევს სახელმწიფო ქალსა და კაცს... მე იმისი თქმა მინდოდა, უშრომელ ლუკმას ისეთი გემო არა აქვს მეთქი...

— რანაირი გემო? რას ჰქვია ისეთი გემო? რა იცი შენ, რა გემო აქვს უშრომელ ლუკმას! ჯაფით ტყლიპი გაგვარდნია ყაძახს, შენი დღე და მოსწრება მოსვენებული დღე არ გინახავს და ვინ გაჩვენა შენ უშრომელი ლუკმის გემო!.. მე მკითხე, რა გემო აქვს ასეთ ლუკმას. იმ მოხუცების სახეზე ვნახე. ხომ გითხარი, ხორცითა და ფერით სავსე იყვნენ-თქო. გაყინქლილებული, გაზულუქებული...

— იქნებოდნენ, — დაეთანხმა ბუღალტერი, — დასვენებული ცხოვრება ვის არ არგებს...

— ჰოდა, რატომ აწყენთ ასეთი ცხოვრება ჩვენს მოხუცებს?

— წყენით არ აწყენთ, მარა...

— რაა მარა?! ამოშაქრე! — ტახი ცდილობდა როგორმე თავი შეეკავებია, დაეფარა მღელვარება, მაგრამ ვერ ახერხებდა. ეგონა ანთიმოზს გაახარებდა და გააკვირვებდა, ის კი რაღაც მიკიბულ-მოკიბულს ამბობდა, — თქვი, რაა მარა!

— ისა, ჩემო კონდრატე, რომ მე არც პირტახიებში და არც კორძახიებში არ მეგულება ისეთი მოხუცი, რომ იმ შენს მოწონებულ სახლში იცხოვროს, თუნდაც ფეხიფეხგადადებულმა...

— რატომ? — აქ კი ვეღარ მოითმინა და იჭექა კონდრატემ.

— იმიტომ, რომ თავისი სახლი, თავისი კარი ურჩევნია.

— იმ მოხუცებს რავა, მოძულებული ჰქონდათ თავისი სახლ-კარი?

— რომელ მოხუცებს?

— რომლებიც იქ ღრმად მოხუცებულთა სახლში ცხოვრობენ. როგორა გგონია, ისინი ამოწყვეტილები არიან, თუ? იმათ არ ჰყავთ შვილები, შვილიშვილები?

— შეიძლება არა ჰყავთ, ომმა ბევრს ამოუწყვიტა ოჯახი...

— ჩვენთან ცოტანი არიან ისეთი ოჯახები, რომლებმაც ორი-სამი შვილი დაკარგეს და მარტონი დარჩნენ? — ნიშნის მოგებით მიახალა კონდრატემ.

— მარტონი კი დარჩნენ, — დაეთანხმა ანთიმოზი, — მაგრამ სახლ-კა-

რი შერჩათ, არ შიათ და არ წყურიათ...

— არ შიათ და არ წყურიათ, სანამ ხელის განძრევა შეუძლიათ, მერე? მერე ვინ აჭმევთ, ვინ დაბანთ, ვინ გაურეცხავთ?

— ნათესავები და მეზობლები...

— ანთიმოზ! — ისე დაიქუხა კონდრატემ, რომ მთელი ოთახი შეზანზარდა, — მარცხენა ფეხზე ადექი ამ დილით, თუ რაშია საქმე! რა ჭკუაზე ხარ, თუ იცი? რას ჰქვია ნათესავი და მეზობელი! როგორ, სხვის სამოწყალოდ უნდა გაატარონ თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები?!. ვთქვათ არ მიხედა ნათესავმა და მეზობელმა, არა ჰყავს, ბატონო, ასეთი გულშემატკივარი ახლობელი! მაშინ?

— მაშინ იცხოვრონ ისე, როგორც მათ მამა-პაპას უცხოვრია, — არ თმობდა თავისას ბუღალტერი.

— მათ მამა-პაპებს! ზრასტი! მის მამა-პაპას! ჰმ! მაგ ჭკუით, შენ იარე ანთიმოზ. მართლა აზრიანი კაცი მეგონე და რაფერ ვცდებოდი თურმე. ჩვენ კომუნიზმის კარიბჭეს მივადექით და შენ მამა-პაპურ ცხოვრებისაკენ გინდა მოგვაბრუნო. მადლობა მოგვიხსენებია: შენი მამა-პაპა, ბიძი, გაჭვარტლულ ფაცხაში ცხოვრობდა, ჭრაქი ენატრებოდა, ფიცარზე იწვა და სასთუმლად ძელი ედო, ტანზე არ ეცვა და ფეხზე, მჭადი ენატრებოდა შიმშილისაგან კუჭგამხმარს... რამდენი მილიონი აქვს ახლა შენსა და პირტახიას კოლმეურნეობას... ესე იგი ჩვენს გვარს?

— ოცდაორი მილიონი.

— ზრასტი! — თავი დაუკრა კონდრატემ, — ოცდაორი მილიონი, ბიძი, ზოგ სახელმწიფოს ბიუჯეტი არა აქვს და ახლა უნიფხვო ტაგუია კორძახიას შვილი... ესე იგი შენ, ოცდაორი მილიონის ხაზინადარი ხარ. დიდი ხანია გაძეხი, ყაძახო! თხასთან და ჭაკთან არ გძინავს, არ ჭამ და არ სვამ მათთან ერთად ერთ ფაცხაში?

— დიდი ხანია, კონდრატე, ორმოცი წელი ხდება, — მშვიდად მიუგო ანთიმოზმა.

— მერე! მამა-პაპის ხვედრი მოგენატრა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა...

— აბა, რაშია საქმე, სხვების აპეკუნად რომ დგები, იმათ მაგივრად რომ მაძლევ პასუხს! რომ ამბობ, არ იცხოვრებენ მოხუცები იმ სახლშიო, საიდან დაასკვენი, რა იცი, რომ არ იცხოვრებენ!

— თუ ჩემი არა გჯერა, ადექი და ჰკითხე, იცხოვრებენ თუ არა.

— არ იცი რომ ვკითხავ! — შეჰყვირა კონდრატემ, მაგრამ უმალ შეყოყმანდა, — ვკითხავ, აბა, რას ვიზამ... დაიცა, რომ ვკითხო, მაშინ ქვეყანას მოედება ეს ამბავი, სხვა კოლმეურნეობები დამასწრებენ...

— სანამდე გინდა საიდუმლოდ შეინახო?

— სანამ არ ავაშენებ სახლს და არ ჩავასახლებ მოხუცებს.

— არა, — თავი გაიქნია ანთიმოზმა, — მე ამ საქმეში ხელი დამიბანია... დამალულად, ჩუმად, ასეთი საქმის გაკეთება ვერაფერი მოსაწონია. გაალე, თუ ძმა ხარ, ფანჯარა, დავიხრჩვი კაცი, — უთხრა კონდრატეს, მაგრამ დაინახა, რომ ტახი ფანჯარას არ გაალებდა და რომ მალე მოეთავებია საუბარი, აჩქარებით განაგრძო: — უკაცრავად, მაგრამ ჩვენი ჯიბით ხომ არ ვაგებთ ამ სახლს, რომ ამდენი ფული ხალხის დაუკითხავად დავხარჯოთ. გარდა ამისა, ჩემო კონდრატე, სახლის აშენება კი არა, საღორის აგება არ დაიმალება სოფელში და რაფერ გინდა სახლიააშენო თავისი ბაღით, განიერი ფანჯრებით, განიერი კარებით, ხეივნებში გრძელი მერხებით და ჩრდილში ჭილის სავარძლებით!

კონდრატე ერთ ხანს გაოგნებული უსმენდა ბუღალტერს, მართლადა როგორ ააშენებს ამოდენა სახლს მალულად? მაგრამ კონდრატე რისი კონდრატეა, თუ ამ საქმეს თავს ვერ დაადგამს.

— ზრასტი, ანთიმოზ! — გაუღიმა უცებ ბუღალტერს და ოფლიან სახეზე მაგრა ჩამოისვა ცვირსახოცი, — ჭკუა ხარ, ცარიელი ჭკუა, ანთიმოზ. მართლა

ვერ ავაშენებთ მალულად სახლს, მაგრამ კიდევ ზრასტი, ბიძი, რის აგებას ვაპირებთ ჩვენ ამ ზაფხულს?

ანთიმოზი დაყურადდა, მიხვდა სად უმიზნებდა კონდრატე.

— საბავშვო ბაგის, — მიუგო დაგვიანებით.

— ხომ კი?

— ჰო.

— ჰოდა, გეგმაც გვაქვს ამ სახლის,

— მასალაც მოტანილი გვაქვს, ინჟინერს ველით და ჩამოვა თუ არა, მშენებლობას დავიწყებთ.

— ორჯერ ზრასტი, ანთიმოზ, თავი ქუდში გვქონია და ისაა. მშენებლობას დავიწყებთ, მაგრამ არა საბავშვო ბაგისას, ღრმად მოხუცებულთა სახლისას.

— როგორ?! — გაკვირვებისაგან სახე მოექცა ანთიმოზს.

— როგორ და შენი მოწონებული, —განაგრძო კონდრატემ, — იმ ინჟინერს იმ გეგმას ცოტას შევაცვლევინებთ ისე, რომ საბავშვო ბაგის სახლი ღრმად მოხუცთა სახლად გამოდგეს. სანამ არ ავაშენებთ, შენი, ჩემი და ინჟინრის გარდა ეს საიდუმლოება არავის ეცოდინება.

— კონდრატე, — გულშეწუხებულივით წამოიჭრა ბუღალტერი, ფანჯარას მივარდა და ფართოდ გააღო, აღელვებისაგან ჰაერი არ ჰყოფნიდა, სული ეხუთებოდა სიცხისაგან ისედაც გაოგნებულს, — თუ შენ ამას სერიოზულად ამბობ... — მობრუნდა თავმჯდომარისაკენ, მაშინ ჩვენ...

კონდრატემ სიტყვის დასრულება არ აცალა, მივიდა, მხრებზე თავისი მძიმე ხელები დაადო და ისევ დასვა, ფანჯარა მიხურა.

— რა იყო, ანთიმოზ? — ისე მშვიდად და დაყვავებით უთხრა, თითქოს ვერ მიხვდაო მისი აღელვების მიზეზს.

— კონდრატე, რამდენი ხანია უცდიან ქალები საბავშვო ბაგას?

— კიდევ მოუცდიან ცოტას.

— იმის გამო, რომ ძველი საბავშვო ბაგა ვერ იტევს ბავშვებს, ოცამდე ქალი არ გამოდის სამუშაოდ. მერე რანაირი ქალები, შვიდ-შვიდ ტონა ჩაის ფოთოლს რომ კრეფენ...

— რა გინდა ამით თქვა? — მუქარანარევი კილოთი ჰკითხა კონდრატემ, რადგან სუსტ ადგილს დაუმიზნა ანთიმოზმა. ბრაზისაგან კბილს კბილზე აჭერდა, ხელებს მუშტავდა და ქშინავდა.

— ის მინდა, — მიუგო თამამად ბუღალტერმა, — რომ, რასაც შენ აპირებ, დიდი დანაშაულია...

— მაშინებ, ყაძახო?!

— გაფრთხილებ, ყაძახო, — დაუბრუნა მუქარითვე ანთიმოზმა.

კონდრატე დაიბნა.

— ანთიმოზ, მე ვარ აქ თავმჯდომარე, თუ შენ?

— შენ ხარ თავმჯდომარე, მაგრამ...

— ჰოდა, მე ვაგებ პასუხს და არა შენ... გაფრთხილებისათვის დიდი მადლობა მომიხსენებია.

— დაფიქრდი, კონდრატე!

— დაუფიქრებლად მე ჯერ ერთი ნაბიჯი არ გადამიდგამს... ნუ გეშინია, შენ არაფერზე პასუხს არ აგებ. შენდება საბავშვო ბაგა, გათავდა და მორჩა, შენ სხვა არაფერი იცი. შეიძლება მეტი დაიხარჯოს. ამაზედაც მე ვარ პასუხისმგებელი. ჩემი ჯიბიდან რომ დამჭირდეს დამატება, მე გადავიხდი... მოდი, ამაზე შევწყვიტოთ ახლა საუბარი, — წამოდგა კონდრატე, — იცოდე, თუ ეს ამბავი გახმაურდა, ჩვენ ერთად ვერ ვიმუშავებთ.

— მაშინებ, კონდრატე? — იმავე კილოზე ჰკითხა ბუღალტერმა, როგორზედაც წელან კონდრატემ. შეურაცხყოფისაგან სისხლი მოაწვა სახეზე და კისერზე ძარღვები დაებერა.

— ღმერთმა დამიფაროს, — იუარა კონდრატემ, — ეს ულვაში შემირცხვეს, ანთიმოზ, — ულვაშზე გადაისვა ხელი, — თუ ამ საქმით ქვეყანა არ ავალაპარაკო: უყურეთ რა წინ წასულან, რა ცხოვრებისთვის მიუღწევიათო. უკრაინაში, რაც იმ სახლში სტუმრების ჩანაწერები ვნახე, ენა ვერ აღწერს.

ინდოელების გინდა, ინგლისელების, ჩინელების, ჩეხების, ფრანგების, ამერიკელების... აი, ასე საარაკო შეიქმნება ჩვენი კოლმეურნეობაც.

ანთიმოზი კვლავ ურწმუნოდ შეჰყურებდა თავმჯდომარეს. კონდრატე იმის შიშით, რომ რაიმე უკმეხი არ ეთქვა ამ ჯიუტი, გაუტეხავი კაცისათვის, კარს მივარდა, გასაღები გადაატრიალა, გააღო და ზღურბლიდან დაუძახა ბუღალტერს:

— ხვალ დეპეშა გაუგზავნე ინჟინერს, დაუყოვნებლივ ჩამოვიდეს, — უთხრა და კარი სწრაფად მოიხურა.

გაისმა დერეფანში მისი მძიმე ნაბიჯების ბრაგაბრუგი და იატაკის ჭრაჭუნი.

ანთიმოზი ერთ ხანს გაუნძრევლად იჯდა, მაგიდაზე თითებს ათამაშებდა, მერე წამოდგა, ქუდი დაიხურა, სიცხისა და ბრაზისაგან მოშლილი, ზანტად მივიდა კართან, ზღურბლიდან გადმოხედა თავმჯდომარის მაგიდასა და სავარძელს.

— ზრასტი! ბაბაჩია! — მიაძახა და დაუმატა: — ეს ულვაში შემირცხვეს, კონდრატე, თუ ჩემი სიტყვა არ აგიხდეს, ამ საქმეზე კისერი არ მოიტეხო, — თავი დაუკრა: — ორჯერ ზრასტი კონდრატე!

* *
*

ინჟინერი დროზე ჩამოვიდა. კონდრატეს გონებაში ზუსტად ჰქონდა აღბეჭდილი უკრაინაში ნანახი სახლი, ოთახების განლაგება, დერეფნები, სადარბაზო შესასვლელი, სასადილო, სამზარეულო, კლუბი, ბიბლიოთეკა და სხვა დამხმარე ნაწილები. ინჟინერს ისე ნათლად დაუხატა, ისე დაწვრილებით აუხსნა ყველაფერი, რომ დაუყოვნებლივ შეეძლო შედგომოდა გეგმის გადამუშავებას.

ეს საუბარიც ჩაკეტილ ოთახში ხდებოდა. ინჟინერი შეპირდა საიდუმლოს გარეთ არ გაიტანდა, ხოლო გეგმას სამ ოთხ დღეში დაამზადებდა. ოღონდ გააფრთხილა, ეს სახლი სამოცი ათასით მეტი დაჯდებაო. მაინცდამაინც აღტაცება არ გამოუთქვამს კონდრატეს განზრახვის გამო, აჩქარებულხარ, შენს კოლმეურნეობას ჯერ [illegible] სხვა უფრო საპირველრიგო საქმეები აქვსო, საერთოდ აზრი კარგიაო. კონდრატესათვის ესეც საკმარისი იყო. ფულიც გვაქვს. მასალაც, და დღესვე შეუდექი საქმესო, სთხოვა ინჟინერს.

მალე სახლის საძირკველის ამოთხრას შეუდგნენ. რა მოეჩვენა თავმჯდომარეს, ასე მოულოდნელად და ფიცხლად რომ დაიწყო საბავშვო ბაგია სახლის აგებაო! გაკვირვებას იყო ორივე სოფელი. ყველაფერს თავისი დრო აქვს, ეუბნებოდა კოლმეურნეებს კონდრატე. დადგა ამისი რიგი და ჯერი, და ახლა სულ რიხინრიხინით წავა მშენებლობაო. მაგრამ ქვეყანა ერთობ ვიწროა იმისათვის, რომ საიდუმლო დიდი ხნით დაიფაროს.

ყოველგვარ ჭორსა და საიდუმლოებას კოლმეურნეობაში პირველი კინტირია კორძახია მოჰკრავდა ყურს და ელვის სისწრაფით მოსდებდა აღმართულსა და დაღმართულს.

კინტირიას მარჯვენა ფეხი მოკლე ჰქონდა და სიარულის დროს ამ მხარეს ისე ჩაბუქნავდა, გეგონებოდათ, ვეღარ გაიმართებაო, მაგრამ თითქოს წყლიდან ამოყვინთაო, უმალ გასწორდებოდა. მოულოდნელად შეგეფეთებოდა იქ, სადაც არ ელოდი. ბავშვობაში კიტრის დაუძინებელი მტერი იყო. ერთხელ ბოსტნის პატრონმა, იგი საჩინო პირტახია გახლდათ, ქურდობაში მიუსწრო და ქვა ესროლა გაქცეულს, ფეხი მოტეხა. ამის შემდეგ ხალხმა კინტირია შეარქვა. კინტირია მეგრულად კიტრს ჰქვია და კინტირიაც ტანითა და პირისახით საოცრად მოგაგონებდათ კიტრს. გრძელი თავი, სახის დასწვრივ ჩამოყოლებული გრძელი ცხვირი, ვიწრო და ძირს დაწეული მხრები, ზედა ქუთუთოებიც იმდენად დაშვებული ჰქონდა, რომ თვალების ჭრილი ყულაბის ჭრილს მიუგავდა. სახელმა, ქცევამ და გარეგნობამ ისე დააბერა, რომ ქალის ღირსი არა და არ შეიქნა.

კინტირია მეფრინველეობის ფერმაში დარაჯად მუშაობდა. ერთ დღე-ღამეს რომ იმორიგებდა, მეორე დღეს თავისუფალი იყო და სად არ ნახავდით მაშინ, სად არ ამოჰყოფდა თავს! მაღაზიაში, ფოსტაში, წისქვილში, კოლმეურნეობის კანტორაში, თუ სასადილოში. ყველგან, სადაც სამი-ოთხი კაცი შეიყრებოდა, და სადაც არ მუშაობდნენ. მუშაობა სხვისი ეჯავრებოდა, თორემ თვითონ რისი მაქნისი იყო. მარტოხელი კაცი ვარ, ვისთვის გავისარჯო, ვისთვის ვიზრუნოო, ფიქრობდა და თავის გემოზე ატარებდა წუთისოფელს.

იმ დღეს ინჟინერმა გადამუშავებული გეგმა და ხარჯთაღრიცხვა რომ მოუტანა ანთიმოზს, კინტირია ბუღალტერიაში იყო, ფანჯარასთან იდგა, მოლარეს უცდიდა. ოთახში სხვა არავინ იყო და საუბარში გართულ ანთიმოზს და ინჟინერს არც კი შეუმჩნევიათ კინტირია. გაიგონა თუ არა მათი საუბარი კინტირიამ, განგებ ზურგი შეაქცია, ფანჯრისკენ შებრუნდა, სმენად გადაიქცა და სულ კაკალ-კაკალ გაიგონა, რაც ბუღალტერსა და ინჟინერს შორის ითქვა.

სიხარულისაგან კინაღამ სული შეუგუბდა, გულმა არ მოუსვენა, მოლარეს აღარ დაუცადა, ლანდივით გასხლტა ბუღალტერიიდან, კიბეზე დაეშვა და ეზოში გავიდა თუ არა, ჩრდილქვეშ შეყრილმა კოლმეურნეებმა მაშინვე შეატყვეს სიარულში, რაღაც ფარსაგი ამბავი აქვს გაგებულიო. დაძახებაც ვერ მოასწრეს, უკვე თემშარაზე გასული კინტირია ევკალიპტების ხეივანს მიეფარა.

— რა გაიგო ნეტა ისეთი იმ მენცარმა!

— ქარივით არ გაენთო!

— ეტყობა ვიღაცასთან სასიხარულო ამბავი არ მიაქვს.

მართლაც არ მიჰქონდა კარგი ამბავი, გული წინ უსწრებდა, სული ყელთან ჰქონდა მომდგარი, წინასწარ ზეიმობდა, ნიშნს უგებდა მტერს და მერე რა მტერს! მტერს, რომელსაც ძალაუნებურად პირში ეფერება, თეთრ კბილს უჩვენებს. იმ მტერს და კინტირიას ერთი ქალი უყვართ. მტერს ორმოც წელზე მეტია უყვარს, კინტირიას კი სამი. მაგრამ ეს სამი წელი კინტირიასათვის სამოც წელიწადს უდრის, წამებისა და ტანჯვის სამოც წელიწადს. ის მტერი ფერმის მეორე დარაჯი საჩინო პირტახია გახლავთ, სწორედ ის საჩინო, ბოსტანში ქვით რომ მოტეხა ფეხი.

ქალი კინტირიას არ თანაუგრძნობს და ამიტომ, წინათ თუ გულზე არ ეხატა საჩინო, ახლა თვალის დასანახავადაც არ უნდა, ჭირივით შეეზარა.

რა ადვილად ჩამოვიშორებ გზიდან იმ ბებერს! პირველი კაცი, რომელსაც იმ ღრმად მოხუცებულთა სახლში უკრავენ თავს, სწორედ საჩინო იქნება. საჩინომ სამოცდაათ წელს უკვე გადააბიჯა, ჭირისუფალი არავინ ჰყავს და რაც მთავარია, ყველაზე საპატიო კაცია მოხუცებს შორის. საჩინოსათვისაა ზედ გამოჭრილი ის დალოცვილი სახლი. ათი წელიწადია სასადილოში ჭამს და სვამს ის ქოფაკი. რა ვუყოთ მერე, სახლ-კარი რომ აქვს, ლუკმა-პურის შოვნა არ უჭირს! ნამდვილად საჩინოსთვისაა ის სახლი მოგონილი. აპრუწუწუმ ახლა შენს საქმეს, საჩინო ბატონო! გაგიფრინდა, ველარ ეღირსები აგრაფინას. რომ გაიგებს, იმ სახლში ამოგაყოფინეს თავი, აღარც მოიხედავს შენკენ. მშვიდობით, ორმოცი წლის სიყვარულო და ლოდინო!

— ხომ მივაღწიე ჩემსას! — კინაღამ წამოიყვირა და შეშინებულმა გზაზე მიმომსვლელთ გადაავლო თვალი, ხომ არავინ გაიგონაო. მაგრამ არავინ უყურებდა, ყველა თავის გზას ადგა.

რას არ აკეთებდა კინტორია, საჩინო, რომ შეეჯავრებია აგრაფინასათვის. კიტრის ქურდი, დედლებს იპარავდა ფერმიდან საჩინოს მორიგეობის დროს, იმ დედლებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე უნდა წაეყვანა აგრაფინას.

ჯავრისაგან ადგილს ვერ პოულობდა

აგრაფინა. მისი ფერმა რაიონში თითით საჩვენებელი იყო, დღეს-ხვალ გამოფენაზე უნდა წასულიყო და ყოველდღე საგამოფენო დედალს კარგავდა. ბევრი ითმინა აგრაფინამ, ბევრი იყოყმანა, ბოლოს ველარ აიტანა.

— ან შენ და ან მე ფერმაში! — გამოუცხადა ერთ დილით საჩინოს.

საჩინოს მიწის ფერი დაედო.

— რა ვქნა, აგრაფინა, ხომ იცი...

— მე ის ვიცი, რომ ყოველდღე თითო რჩეულ დედალს ვკარგავ, — მოუჭრა აგრაფინამ.

— იქნებ თვლაში გეშლება...

— მეშლება!.. — ბრაზისაგან ენა დაება აგრაფინას, — სამი დღე მომიცია, თუ კიდევ დაიკარგა დედალი, განცხადებას შევიტან თავმჯდომარესთან, გაგანთავისუფლონ. თვითონვე შეეშინდა თავისი ნათქვამის აგრაფინას. ეს რა ვუთხარი მე დასამიწებელმაო და გული რომ არ აჩუყებოდა, სწრაფად გაშორდა საჩინოს.

იმ დღიდან საჩინომ სმა დაიწყო. ამან მთლად წაუხდინა საქმე. ნასვამს ძილი წამოუვლიდა და სწორედ ამ დროს დაბარებულივით გამოჩნდებოდა ქორი და წიწილს მოსტაცებდა. ერთ უბედურებას მეორე დაემატა და აგრაფინას მოთმინების ფიალა აევსო. არ ახსოვდა, როგორ მივიდა თავმჯდომარესთან და საჩინოს განთავისუფლება მოითხოვა.

კონდრატემ არ დაიჯერა. გაიმეორე რა თქვიო, უთხრა აღელვებისაგან ფერწასულ ქალს. აგრაფინა გონს მოეგო, ცხელ გულზე ვთქვიო, იუარა. კონდრატემ დაამშვიდა: ათი დედალი კი არა, ცეცხლი რომ წაუკიდოს ფერმას, მაინც ვერ გავანთავისუფლებ საჩინოსო. უნდა მოვითმინოთ, მერე სხვა ადგილზე გადავიყვანოო. ეს სხვა ადგილი ღრმად მოხუცებულთა სახლი იყო, ამას გულისხმობდა ტახი.

საჩინო ორივე სოფელს უყვარდა, დიდ პატივს სცემდნენ როგორც, პირტახიები, ისე კორძახიებიც. აღმართულაში მან დაარსა პირველი კოლმეურნეობა. მეფრინველეობის ფერმაც მისი თაოსნობით ააშენეს, ფერმის გამგედ აგრაფინას დანიშვნის საკითხიც მან დააყენა. ასეთ კაცს ხელის ერთი დაკვრით ვერ გაანთავისუფლებდნენ.

კოლმეურნეობის კანტორიდან წამოსული კინტირია, თითქმის სირბილით მოიჭრა ფერმაში. „ახლა რაღას იზამ, საჩინო ბატონო!“, — სისინით გასცრა კბილებში ეზოში შესულმა, საჩინო კაკლის ჩრდილში მჯდარი რომ დაინახა. მოხუცს ფილთათოფი მუხლებში ჩაედგა, ნიკაპით მკერდს დაყრდნობილს ტკბილად ჩასძინებოდა. ხელს არ უშლიდა ქათმების კრიახი, მამლების ყივილი, წიწილების წია-წია, ფრთების ტკაპანი და ბათქუნი. კინტირია ძლივს მიიკვლევდა გზას აქშა, აქშას ძახილით და თან ორივე ხელს იქნევდა, რომ ქათმები და წიწილები ფეხებში არ გახლართოდა. მივიდა საჩინოსთან, გვერდით ამოუდგა, მხარზე შეეხო და შეანჯღრია.

— საჩინო!

საჩინომ იმწამსვე გაიღვიძა და დაფეთებულმა ახედა კინტირიას, აგრაფინა ეგონა. გაუკვირდა, კინტირია რომ დაინახა და შუბლი შეიკრა. რა დაემართა, ხვითქი რად გადადის თავ-პირზე, ან საბერველივით რად ქშინავსო, გაიფიქრა და წამოდგა.

— რა ამბავია, კინტირია?

შენს მტერს ასეთი ამბავიო, უნდა ეთქვა კინტირიას, მაგრამ ენას კბილი დააჭირა. იაზრა, ეს ამბავი რომ ვუთხრა, ქვეყანას მოსდებსო. მაგრამ შიში უმალ უკუაგდო. „არა, არ გაამხელს, რა სასახელო და სასიქადულო საქმეა მისთვის, რომ ქვეყანას მოსდოს, — დაიმშვიდა თავი კინტირიამ, — არც დაიჯერებს, იქნება ასე ეჭვში, ისედაც გამწარებულს, მთლად შეჭამს ჯავრი. სახლის აგებამდე დარდით და ბოღმით თუ გული არ გაუსკდა, დიდი ვაჟკაცობა იქნება“.

— რა ამბვია, საჩინო, და შენს მტერს ასეთი ამბავი, — უთხრა საჩინოს.

საჩინო უცებ გამოფხიზლდა, ეზოს თვალი გადაავლო.

— ნუ გეშინია, ქათმებს არა უჭირთ,

— ფარული ღვარძლით დაამშვიდა კინტირიამ.

— აბა, რა მოხდა? — ისე ჰკითხა, რომ არ შეუხედავს მისთვის, არ უყვარდა კინტირია.

— რა მოხდა და ხომ გაგიგონია, ნამეტანი ლოლიავი ადამიანს ყელში ამოუვაო!

— ვის ელოლიავები, კინტირია, ნამეტანს? — გაეღიმა საჩინოს.

— დაჯექი, — უთხრა საჩინოს, თვითონ ჩამოჯდა პირველი, ყალიონი ამოიღო და გაწყობას შეუდგა. დაჯდა საჩინოც, არც ახლა შეხედა კინტირიას, გრძნობდა, განგებ აჭიანურებდა სათქმელს, იმასაც მიხვდა, რომ კარგი ამბის მოსაყოლად არ იყო მოსული. — მე არავის, საჩინო, მაგრამ ეს დალოცვილი მთავრობა ნამეტანს ელოლიავება ხალხს, — დაიწყო, ყალიონის გატენვა რომ მოათავა კინტირიამ, — ჯერ იყო და, ვისაც სამოცი წელი შეუსრულდა, ჯანმრთელს და სნეულს, ყველას პენსიაზე გადასვლის კანონი დაუწერა.

— მერე რა არის ამაში ცუდი?! — ჰკითხა საჩინომ, ვისაც უნდა, გავა პენსიაზე, ვისაც არ უნდა, არ გავა.

კინტირიამ ყალიონს მოუკიდა, გააბოლა და გაიკრიჭა.

— ვერა, ვერ მოგართვეს მაგრე, ჩემო საჩინო. საქმე ის არის, რომ ახლა კიდევ ახალ კანონს ამზადებენ თურმე: გინდა თუ არ გინდა, სამოცი წელი რომ შეგისრულდება, უსათუოდ უნდა მიბრძანდე სამსახურიდან და პენსიაზე გადახვიდე. ალბათ, შენც მოკრავდი ამ ამბავს ყურს.

— კი მოვკარი, — უხალისოდ მიუგო საჩინომ, — მაგრამ ეს უთუოდ მუშა-მოსამსახურეებს ეხებათ.

— კი, მუშა-მოსამსახურეებს ეხებათ, — კვერი დაუკრა კინტირიამ დაუფარავი გესლით და გულში ჩაიცინა, შენ უარესი გეხება, შე უბედუროო, — შენ თუ არ გინდა სიბერის ჟამს თავს მოუაროო, მე ამას კანონად გიქცევ და მოდი და ნუ შეასრულებ, თუ კაი დედის შვილი ხარო, — ეუბნება მთავრობა ხალხს.

— ასე გამოდის, — გამოცვლილი ხმით უთხრა საჩინომ.

— მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ეს კანონი მუშა-მოსამსახურეებს ეხება. ახლა ჩვენსას არ იკითხავ! თურმე კოლმეურნეს, რომელსაც სამოცდაათი წელი შეუსრულდება, უნდა თუ არ უნდა, ღრმად მოხუცებულთა სახლში მიუჩენენ ბინას.

— რანაირ სახლში?! — მთლად წახდა საჩინო.

— ღრმად მოხუცებულთა სახლში, — გარკვევით, გაჭიანურებით და სახის ახლო მიტანით გაიმეორა კინტირიამ. აჰა, მოგხვდა გულზეო, გაიბადრა და მერე, რაც წელან ბუღალტერიაში გაიგონა, ასწილ გაზვიადებულად მოუყვა.

საჩინო ერთ ხანს გაოგნებული იჯდა, ეს ჟინქლილივით ბერიკაცი, მიწიდან ამოღებულს დაემგვანა. კინტირია ხედავდა ამას და მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. არ ეგონა, თუ ასე იმოქმედებდა საჩინოზე ეს ამბავი. იჯდა ბოროტი ღიმილით სახე გამრუდებული და ზეიმურად შეჰყურებდა საჩინოს.

— რაღაც უცნაურს ჩმახავ, კინტირია, — გული მოუვიდა უცებ საჩინოს, — მაგას სულელის მეტი არავინ დაიჯერებს.

— არც მე დავიჯერებდი, ჩემი თვალით რომ არ მენახა იმ სახლის გეგმა.

— რავა! გეგმაც აქვთ უკვე?! — უფრო შეცბუნდა საჩინო, მაგრამ იფიქრა, კინტირიას არ დავანახვებ შიშსო და უდარდელი კილოთი განაგრძო: — თუმცა რატომ არ შეიძლება ასეთი სახლი იყოს! შე კაცო, ამერიკაში თურმე მთვარეზე მიწის ნაკვეთებს ჰყიდიან და რა გასაკვირველია, ჩვენთან ღრმად მოხუცებულთა სახლი ააშენონ. რა არის ამაში ცუდი. ვისაც უნდა, სიამოვნებით იცხოვრებს

— ნდომაზე რომ იყოს, საჩინო, მაშინ ვინ მამაძაღლი, დაიწუნებდა.

— აბა, რავა იქნებაო?

— აქამდე, ჩემო საჩინო, პენსიაც ნდომაზე იყო, მაგრამ აკი ამბობენ, აწი იძულებით იქნებაო.

— რა ვუყოთ მერე, რომ ამბობენ! რასაც იტყვიან, ყველაფერი რომ მართლდებოდეს, ქვეყანა ასჯერ დაიქცეოდა.

— მე ისიც გამიგონია, საჩინო, კვამლი უცეცხლოდ არ გაჩნდებაო.

საჩინომ ახედა კინტირიას და დაინახა, რომ იგი ქუთუთოებაწეული მოსჩერებოდა. პირველად ნახა მისი მიბლენტილი, ცივი, თევზისფერი თვალები და არ მოეწონა, თითქოს შეშინდა კიდეც და მზერა მოარიდა. დაფიქრდა, წვერი მოიფხანა: „ფუი, ეშმაკს თვალი არ უხელია, მართლაც, რომ ასე მოხდეს!"

— ვისაც სამოცდაათი წელი შეუსრულდებაო? — ჩაეკითხა კინტირიას.

„აჰა, შეგიჯდა ეჭვის ჭია!"

სიხარულის ელდამ აიტანა კინტირია.

— ჰო, სამოცდაათი წლიო, — დაუმოწმა ისე, თითქოს დიდი სასიხარულო ამბავი უთხრაო და ქუთუთოები დაუშვა გამარჯვებული კაცის იერით.

— მერედა, რამდენს შეკრებენ სამოცდაათწლიანებს ისეთს, ვისაც ცოლი არა ჰყავს, შვილი არა ჰყავს, ჩემსავით გამოწყვეტილი რომაა?

— რამდენსაც შეკრებენ. რიცხვს მნიშვნელობა არ აქვსო, — მთლად მოუკლა გული კინტირიამ, — მაგრამ შენ რა გაწუხებს, საჩინო! მგონი ჯერ არ უნდა იყო სამოცდაათის!

— არა, სამოცდაათის არა ვარ, — უპასუხა საჩინომ და უხერხულად ჩაახველა.

— რაო?! — შიშისაგან დაიზაფრა კინტირია, იქნებ მართლა არ არის სამოცდაათისო, მაგრამ უმალვე დამშვიდდა, იცოდა, რომ საჩინო სამოცდაათს გადაცილებულიც იყო. გესლიანად გაუღიმა და მშვიდად დაუსართა: — ნამდვილად არ იქნები სამოცდაათის, საჩინო.

— საქმე ის კი არ არის, ვიქნები თუ არა სამოცდაათის, — სიტყვა შეუბრუნა საჩინომ, რადგან იგრძნო, რომ კინტირიამ მშვენივრად იცოდა მისი წლოვანება. — მე მაინც არა მჯერა მაგ ამბის.

— წეღან შენ თვითონ არა თქვი, რა არის ამაში გასაკვირველი, როცა მთვარეზე მიწის ნაკვეთებს ყიდიანო!

— კი ვთქვი, მაგრამ ეს სხვაა... იმ სახლში ცხოვრება იძულებით არ იქნება, მაგას ვერ დავიჯერებ. მე თუ მკითხავ, არც პენსიის ამბავი იქნება მთლად მასე. რავარც თევზი ვერ გასძლებს უწყლოდ, ისე ადამიანი მთლად უშრომლად ვერ მოისვენებს. ვინ ეტყვის კაცს ხელს ნუ გაანძრევ, ზეზეურად დალპი და ამძორდიო. როგორც წყალი ლპება უმოძრაოდ, ისეა ადამიანიც.

— მაინც რომელ წელში ხარ დაბადებული, თუ გახსოვს, საჩინო? — წასძლია სულმა და ვითომ სხვათა შორის ჰკითხა კინტირიამ. ახლა მას შეუჯდა ეჭვის ჭია, იქნებ საჩინო მართლა არ არის სამოცდაათისო.

საჩინო დაფიქრდა. თავის წლოვანებას ახლა კინტირიას კი არა, მამამისი რომ ამდგარიყო საფლავიდან, იმას არ გაუმხელდა.

— ათას რვაას ოთხმოცდათორმეტში ვარ დაბადებული, — მიუგო კინტირიას საჩინომ, — მე და ანდრია პირტახია ერთ დღესა ვართ დაბადებული.

ისემც შენ რა გითხრაო, გაეცინა გულში კინტირიას.

— შეიძლება სამოცდაათის არც იყოს კაცი, მაგრამ თუ გატეხილია, ჯანი არ მოსდევს, დროზე ადრე დაძაბუნებულია... შენ მგონი ჯანს არ უჩივი, საჩინო! რაც მახსოვხარ, თავი არ აგტკივებია.

— მართალი ხარ, კინტირია, — ეამა საჩინოს ქება, — ამ ხნის მოვიყარე და ავადმყოფობა რა არის, არ ვიცი. სიმწარე არ მახსოვს, დარდი არ გამკარებია და რა გამტეხდა! — ამას რომ ამბობდა, თვალი აარიდა კინტირიას. დარდი როგორ არ ჰქონდა, მისი დარდი ქვეყანამ იცოდა და კინტირიას ტყუილად უფიცავდა, მაგრამ რახან

დაიწყო, უკან აღარ დაიხია: — ის დედლები რომ არ მეკარგებოდეს, სადარდელი არაფერი მაქვს.

იმ დედლებით მოვუღებ ბოლოსო, ფიქრობდა აქამდე კინტირია, მაგრამ ახლა საჭირო აღარ იყო ეს, გადაწყვიტა მოპარული დედლები ისევ ჩუმად დაებრუნებია უკან. საჩინო თავისთავად ჩამოცილდებოდა გზიდან.

— მართლაც საკვირველია დედლების ამბავი! რაღა მაინცდამაინც შენი მორიგეობის დროს იკარგებიან ის სატურეები! — ამას რომ ამბობდა კინტირია, გულში ზეიმობდა, დედლების დაბრუნებით მთლად მოეჭრება თავი, ამ შხამს ახლა რომ ჩავუწვეთე, ესეც დაემატება და მოეწამლება სიცოცხლეო.

— კი არ იკარგებიან, კინტირია, დედლები, — ნაღვლიანად უთხრა საჩინომ, — ვიღაც მპარავს, ჩემი ცოდვით ამოსაგდები, მაგრამ საჩინო არ ვიყო, თუ ერთი ადგილი საფანტით არ ამოვუტენო.

კინტირიამ იცოდა, იმ ერთ ადგილში რას გულისხმობდა საჩინო. ბოსტანში ჩასაფრებულ საჩინოს ბევრჯერ უსვრია კიტრის საქურდავად მოსულ კინტირიასათვის მარილით გატენილი ფილთა თოფი, ფეხი რომ მოტეხა მას შემდეგაც. ამის გახსენებამ მეტი ღვარძლით აუვსო კინტირიას გული. სათქმელი მოთავებული ჰქონდა და აღარ დააყოვნა, შინ გასწია. იმ ღამესვე არყით აზელილი ცომი აჭამა მოპარულ დედლებს, რომლებიც ცხრაკლიტულში ჰყავდა დამალული, მერე მთვრალი ქათმები ბალიშის პირში ჩასვა, მათი კვერცხები უბეში ჩაილაგა და შუაღამისას, როცა ახალი დარდით მოწამლული საჩინო ფერმის ეზოს ერთ თავს უვლიდა, ეზოს მეორე თავში მესერი ამოაძრო, გაძვრა და მშვიდად და აუჩქარებლად დედლები იმავე გალიაში შესვა და კვერცხებიც იქ შეალაგა. მერე ისევე მშვიდად გაბრუნდა უკან, გაძვრა ღობეში და მესერი თავის ადგილზე ჩასვა.

მეორე დილით აგრაფინა სახტად დარჩა, დაკარგული დედლები თავის გალიაში რომ ნახა. თვალი ხომ არ მატყუებსო, საჩინოს დაუძახა. მოხუცს სიხარულისაგან სული შეუგუბდა.

— იქნებ თვლაში გეშლებოდა, აგრაფინა! — ძლივს ამოიღო ხმა, — უთუოდ ასეა, თორემ მოპარულს უკან ვინ დააბრუნებდა!

აგრაფინა დაეჭვდა, ალბათ, მეშლებოდაო. ბევრი ინანა, ბევრი იბოდიშა. ამ დროს ცვლაზე მოსული კინტირია შეესწროთ და ერთი სიკვდილი გაათავა, ასე შეხმატკბილებულად რომ ნახა ისინი, „რა უცებ შეტკბობიან ერთმანეთს!.. რამ გამაბრიყვა, რატომ დავაბრუნე, დედლები! მაგრამ არაფერია, მალე ამოაყოფინებენ იმ სახლში თავს მაგ ვაჟბატონს, თუ მანამდე არ მომჭამა ჭირი!“

„იმ სახლმა“ მოსვენება დაუკარგა. საჩინოს, ვერ იძინებდა, ვერ ჭამდა, ადგილს ვერ პოულობდა. ყველაზე მეტად ის კლავდა, რომ ვერავის უმხელდა თავის გასაჭირს, არავინ ჰყავდა, რომ განდობოდა, რჩევა ეკითხა, ნუგეში მიეღო. რამდენჯერმე გადაწყვიტა თავმჯდომარესთან მისულიყო, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უკუაგდო. ტახი სიმართლეს არ ეტყოდა, დაფარავდა, დაუფიცავდა. რაც დრო გადიოდა, საჩინო უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ კინტირიას ნათქვამი მართალი იყო. რა გზა ჰქონდა საჩინოს ღრმად მოხუცთა სახლისათვის თავის ასარიდებლად გარდა ერთისა. ეს ერთი გზა წლოვანების მოპარვა იყო. ამისათვის ჯანიც უწყობდა ხელს და შეხედულებაც. ტყვიასავით ჩასხმული, მხრებში გაშლილი. სახეზე ერთი ნაოჭი არ ჰქონდა, თვალებში ახალგაზრდული სხივი და ძალა ედგა. ღონე არ ერჩოდა თუ სიმკვირცხლე! მაგრამ ეს არ კმაროდა, საჭირო იყო წერილობითი საბუთი და აი, ერთხელ სასოფლო საბჭოს მდივნის ოთახის კარი შეაღო.

— მეტრიკა მინდა, ბიძი, — უთხრა მდივანს მისალმების შემდეგ.

— მეტრიკა?! — გაუკვირდა სიცხისაგან მილულულ მდივანს, უცებ გამოფხიზლდა და ფართოდ გახელილი თვალებით მიაჩერდა საჩინოს, — დაბრძანდი, საჩინო ბატონო! — მიუთითა სკამზე, — რაო, პენსიაში გასვლას აპირებ?

— არ არის დრო, თუ? — მიუგო საჩინომ და თავ-პირზე ცხვირსახოცი მოისვა, ოფლი მოიწმინდა.

— დრო და ხანი კი გიწყობს ხელს, მაგრამ...

— რაა მაგრამ? — დაყურადდა საჩინო, ამანაც ხომ არ იცისო ღრმად მოხუცებულთა სახლის ამბავი.

მდივანმა ღია კარიდან აივნისაკენ გაიხედა.

— საჩინო, ჩვენ მარტონი ვართ, არავინ არ გვისმენს, — უთხრა შეთქმულივით საჩინოს, — ამბობენ, ცოლის შერთვას აპირებო და ამ დროს პენსიაში გასვლა მთლად ლამაზი არ იქნება, მგონია.

— მართალია, არ იქნება ლამაზი პენსიაში გასვლა, — დასტური მისცა საჩინომ, — და არც მიფიქრია პენსიაზე გასვლა. რაც შეეხება ცოლის შერთვას, კი არ ვაპირებ, გადაწყვეტილი მაქვს.

— ქორწილს მეტრიკა არ უნდა.

— მეც ვიცი, რომ არ უნდა.

— აბა, რად გინდა?!

— რას ჩამაცივდი, ბიძი! — გაბრაზდა საჩინო, — მინდა, მორჩა და გათავდა.

— კი ბატონო, მოგართმევ. რა გაცხარებს? — შეხედა საჩინოს სახეში, არ მოეწონა მისი შეშფოთებული თვალები, „რაღაც კარგი ამბავი არ არის მის თავს“, — გაიფიქრა, მაგრამ არაფერი ჰკითხა, სათვალე გაიკეთა, წამოდგა და თაროებზე საქაღალდეების ძებნა დაიწყო.

საჩინო გალურსული იჯდა, თვალს არ აშორებდა მდივანს, არ ახსოვდა, რომელ წელს იყო დაბადებული და სული მისდიოდა გაგების მოლოდინში. მდივანი კი, თითქოს მის ჯიბრზე განგებ არ ჩქარობდა, სათითაოდ იღებდა საქაღალდეს, მკლავის გადასმით წმენდდა მტვერს და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდა, მერე ქვევითა თაროდან ზედა თაროზე აწყობდა. მოთმინებადაკარგულ საჩინოს ეჩვენებოდა, მის საბუთებს კი არ ეძებდა მდივანი, თაროებს ალაგებდა. ის იყო უნდა ეთქვა, რა შვები, დაგავიწყდი, თუ რაშია საქმეო, რომ მდივანმა როგორც იქნა, ერთი საქაღალდე გადმოიღო, მობრუნდა, დაჯდა, მაგიდაზე გადაშალა და ხელნაწერს ჩააცქერდა, სტრიქონებზე სალოკი თითის გაყოლებით კითხულობდა თავისთვის, წაიკითხა ერთხელ მეორეხელ.

— რა დაგემართა, აქვსენტი, ქართულს კითხულობ, თუ ჩინურს?! — მოთმინება აღარ ეყო საჩინოს.

აქვსენტიმ თავი ასწია, გაკვირვებული მიაჩერდა.

— რა იყო?.. ისე მიყურებ, თითქოს პირველად მხედავ! — წახდა საჩინო.

აქვსენტიმ სათვალე მოიხსნა და ახლა უსათვალოდ მიაჩერდა.

საჩინოს ფერი ეცვალა, პირი გაუშრა და ენა გაუქვავდა, დალაპარაკება უნდოდა და ვერ მოაბრუნა.

— არ მეგონა, საჩინო, თუ ამ ხნის იყავი, — უთხრა ბოლოს აქვსენტიმ და სათვალე ისევ გაიკეთა, — ყოჩაღ, რა კარგად შენახულხარ!

— რას ჰქვია „ამ ხნის“! — ძლივს მოაბრუნა ენა საჩინომ, — იმდენი ხნისა ვარ, რამდენისაც გახლავარ.

— მე მეგონა, დიდი დიდი, სამოცდახუთის იყავი.

— აბა, რამდენის გგონივარ?!

— კი არ მგონიხარ, საჩინო, კაი სამოცდახუთმეტისთვის მიგიდგამს ფეხი.

— რა თქვი?! — კინაღამ შეხტა სკამზე საჩინო.

აქვსენტიმ კვლავ მოიხსნა სათვალე და ისევ შეხედა საჩინოს: „არა, ნამდვილად რაღაც უბედურებაა ამ კაცის თავზე“.

— რად გაგიკვირდა, საჩინო?

— იმიტომ გამიკვირდა, ბიძი, რომ

სამოცდათხუთმეტ წელიწადს ჯერ შვიდი წელი მიკლია.

— მეც იმიტომ გითხარი, ასე მეგონა-მეთქი.

— გეგონა კი არა, ასე გახლავს სწორედ... დღევანდელ დღესავით მახსოვს ჩემი დაბადების დღე, 1892 წელი. მე და ანდრია პირტახია ერთ დღეს დავიბადეთ. იმ წელიწადს თურმე ისეთი გვალვა ყოფილა, კვერცხი იწვებოდა მზეზე.

— გვალვა არ ვიცი, რომელ წელიწადს იყო, არც ანდრია პირტახიას დაბადების დღე მახსოვს, მაგრამ შენ რომ 1887 წელსა ხარ დაბადებული, ეს აქ გარკვევით წერია, — უთხრა აქვსენტიმ და საქაღალდე წინ დაუდო, დაბადების წლის ციფრს თითი გაუსვა ქვევით, — 1887 წელი, — წაიკითხა დამარცვლით, — შენი თვალით ნახე, ბატონო!

— მანდ რომ არ ვნახო, მე უკეთ არ ვიცი, როდის დავიბადე! — თვალი მოარიდა საჩინომ ქაღალდს, — ჩემი დაბადების წელი მე უკეთ ვიცი, თუ მაგ ქაღალდმა!.. ის ცხონებული ლოთი იყო და შეშლია.

— ვინ იყო ლოთი, საჩინო?!

— ზოსიმე კორძახია, — მშვიდად, მაგრამ სინდისის ქენჯნით მიუგო საჩინომ, — ჩვენი მრევლის მღვდელი.

აქვსენტიმ ერთ ხანს გაოცებისაგან ხმა ვერ ამოიღო.

— საჩინო... ამდენი წელია მდივნად ვმუშაობ, ორასი მეტრიკა მაინც მექნება გაცემული და არავის უთქვამს, რომ ზოსიმე კორძახია ლოთი იყო. პირველად მესმის შენგან. ზოსიმეს გაკრეჭასაც მოვესწარი, თვითონ გაიკრიჭა ის ცხონებული.

— შენ რომ დაიბადე, ბიძი, მაშინ ზოსიმეს სმა მიტოვებული ჰქონდა.

— კარგი, ვთქვათ, შეცდა ზოსიმე, თუმცა ლოთი მაინც არ იყო, ამას ხატზე დავიფიცავ. დედაჩემი დღესაც მორწმუნეა, დიდ პატივს სცემდა თავის დროზე ზოსიმეს, ახლაც ხშირად გაიხსენებს, რა სათნო კაცი იყოო...

— სათნო და პატიოსანი კაცი რომ იყო, მაგას დაფიცვა არ უნდა. ამ მხრივ ჯვარი სწერია, მაგრამ სვამდა ჩუმად, ბატონო, და რა ვქნა!

— ვთქვათ, მთვრალი იყო ზოსიმე, შენ რომ მოგნათლა, მაშინ დიდი დიდი, ერთი ან ორი წლით შეეშლებოდა და არა ხუთით...

— რატომ, ბიძი! — გაეცინა საჩინოს, — მთვრალი კაცი რატომ ოცით არ შეცდება, ორმოცით? შეცდომას საზღვარი არ აქვს.

— ჰოდა, ამიტომ არ უნდა შეცდე კაცი! — ორაზროვნად უთხრა აქვსენტიმ და გამომცდელი თვალით შეხედა.

— მართალია, არ უნდა შეცდე, — უხერხულად ჩაილაპარაკა საჩინომ.

— საჩინო, მე ჯერ არაფერში შევმცდარვარ და არც შევცდები, ვერც სხვა შემაცდენს, შენ რომ იცოდე!

ეს უკვე ისეთ კილოზე უთხრა აქვსენტიმ, საჩინოს ასე ეგონა, სილა გააწნესო.

— ეს როგორ?!

— როგორ და იმფერ, ჩემო საჩინო, რომ ყალბ ცნობას შენ კი არა, ღმერთი რომ ჩამოვიდეს ციდან, არ მივცემ, — უთხრა მკაცრად, მაგრამ შეატყო ნამეტანი მოუვიდა და რბილად დაუმატა: — დარწმუნებული რომ ვიყო, წლებს იმიტომ იკლებ, რომ აგრაფინას...

— რას ჰქვია იკლებ!

— რომ აგრაფინასთან თავი დაიპატარავო, მაშინ არ დაგიჭერდი ასეთ ცნობას.

— ბოდიში მოიხადე, ბიძი, — შეურაცხყოფისაგან გამწვანდა საჩინო, სახეზე ოფლი დაასხა, — აგრაფინასთან თავის დაპატარავება ვითომ რატომ დამჭირდება!.. აგრაფინა კი არა, ორმოცი წლის ქალი მეძლევოდა შარშან და უარით გავისტუმრე შუამავალი.

— აბა, თუ მაგრე გაქვს საქმე, სხვა საბუთს შენ ჩემგან ვერ მიიღებ.

— მივიღებ! — უთხრა მუქარით საჩინომ.

— ვერა, ვერ მიიღებ.

— მივიღებ-მეთქი! — მაგიდაზე ხელი დაჰკრა საჩინომ.

— თუ არ მომეშვები, საჩინო, მთელ საკორძახიოს და საპირტახიოს მოვდებ, რომ რაღაც სამახინაციო საქმისათვის ყალბ ცნობას მთხოვ...

— სამახინაციო საქმისთვის?! — სიმწრისა და შეურაცხყოფისაგან კინაღამ შეჰყვირა საჩინომ.

— აბა, რისთვის იპატარავებ თავს?

— მე შენ კაცი მეგონე, ბიჭო! — ჩავარდნილი ხმით წაილუღლუღა საჩინომ.

— კარგ საქმეში კაცი ვარ, — ამაყად მიუგო აქვსენტიმ და წამოდგა, რომ ამით ენიშნებია, ჩვენ შორის საუბარი დამთავრებულიაო, — ავ საქმეში არავის ვარგივარ!

რა ეთქმოდა საჩინოს, მართალი იყო მდივანი, გულში უმადლოდა კიდეც, მეც ასე მოვიქცეოდი მის ადგილზე, რას ვერჩიო. წამოდგა, უსიტყვოდ შეტრიალდა და კარისკენ წავიდა.

აქვსენტის მოეჩვენა, ეს დევივით კაცი, მთელი მტკაველით დაპატარავდა, დაჩიავდა უცებო. არ იცოდა, რა ექნა, გაეჩერებინა, ეკითხა რა უჭირდა, რა აწუხებდა, ეკითხა რისთვის უნდოდა მეტრიკა. მე ხომ უარი ვუთხარი თხოვნაზე! სანამ ამ ფიქრში იყო, საჩინო უკვე გზაზე გავიდა. შორიდან როგორღაც საოცრად უმწეო, განწირული ჩანდა, აღარ იცოდა სად წასულიყო. უცებ მის თვალში აზრი დაეკარგა სიცოცხლეს. შედგა, ნაბიჯი დაუმძიმდა, სიარული ველარ შეძლო. „არა, შეუძლებელია! თუ არ მინდა, ძალად!.. არა, შეუძლებელია!“ მაგრამ ის წყეული ჭია ღრღნის, ფქვავს, როგორც ხეში ჩამჯდარი ჭია. უნდა გაექცეს, გაეცალოს. ძლივს აითრია ფეხი, გაჰყვა გზას. მიდის დაბორკილი ნაბიჯით და სადღაც ბურუსს მიღმა ბუნდოვნად დგება მისი ცხოვრების მძიმე დღეები...

ოცი წლის იყო, აგრაფინა კორძახია რომ შეუყვარდა, მაგრამ საჩინო პირტახია იყო და კორძახია პირტახიაზე არ გაათხოვებდა ქალს. იმჟამად პირტახიები და კორძახიები დანასისხლად იყვნენ, ცხენისწყალზე ხიდი ჩაჰრილი ჰქონდათ და შეყვარებულები მდინარის გაღმაგამოღმიდან შეტრფოდნენ ერთმანეთს და ამითაც ბედნიერები იყვნენ, მაგრამ ერთხელ აგრაფინამ ისეთი თავზარდამცემი ამბავი ამცნო, ამ მცირე ბედნიერებასაც მოეღო ბოლო. მიშველე, ვიღაც სამურზაყანელ კაცზე მათხოვებენო, ატყობინებდა აგრაფინა საჩინოს ელდა ეცა, გადაწყვიტა, იმ ღამესვე გაეტაცა აგრაფინა, მაგრამ სად წაეყვანა? არავინ ჰყავდა ისეთი, რომ დროებით შეხიზნოდა. ტყეში ვერ წაიყვანდა ქალს. ორი დღე ეძება თავშესაფარი და შეიგულა კიდეც, მაგრამ არც აგრაფინას მამას ეძინა: იცოდა, საჩინო გაიგებდა თუ არა მის გადაწყვეტილებას, უსათუოდ გაიტაცებდა აგრაფინას, ამიტომ სასიძოსთან კაცი აფრინა, ღამით, უხმაუროდ და უჩინრად წაიყვანე ქალიშვილიო, და მეორე ღამესვე გალალეს აგრაფინა.

საჩინომ ერთი სიკვდილი გაათავა. რას ვუყურებდი, რა უჭირდა დროებით ტყისთვის შეგვეფარებინა თავი! ტყეში კი არა, წყალში ჩადგება კაცი ცოტა ხანს! შევცდი, ახია, ჩემზეო. გადაწყვიტა, ისე ჩასულიყო საფლავში, სხვა ქალი არ შეერთო...

საჩინომ იცოდა, რომ აგრაფინა უბედური იყო. ქმარი ისეთი ძუნწი გამოადგა, ლოგინში გადაბრუნებას უშლიდა თურმე — თეთრეული ცვდებაო. ისეთი ეჭვიანი იყო, გარეთ არ ახედებდა. ისიც იცოდა საჩინომ, რომ აგრაფინას ქმარი ჭირივით ეზარებოდა და ყველაზე მეტად ეს უკლავდა გულს, ამიტომ ეცოდებოდა და ებრალებოდა ქალი. თითქმის ნახევარი საუკუნე ასეთ ტანჯვაში გაატარა საჩინომ და აი, შარშანწინ აგრაფინა მოულოდნელად ჩამოვიდა დაღმართულაში. ქმარი გარდაცვლოდა, შვილი არ ჰყავდა რას და ვის გაჩერებოდა სამურზაყანოში! საჩინო მეორედ დაიბადა, თავი სიზმარში ეგონა, არ სჯეროდა, რომ აქ, ცხენისწყლის გაღმა იყო ისევ აგრაფინა ხედავდა, ესმოდა მისი ხმა.

აგრაფინას სოფელში უფროსი ძმის მეტი არავინ დახვდა, მას შეეკედლა

დროებით, სანამ შავებს გაიხდიდა და საჩინოზე გათხოვდებოდა და აი, ახლა რა გამოუტყვრა საჩინოს! მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. დილით, ადგა თუ არა, დალაქთან წავიდა. ორმოცდაათი წლის გაუპარსავი წვერი ისე მოკლედ შეიკრიჭა, თვითონ ვერ იცნო თავი. თმაც შეამოკლებინა. „დამაცადონ, ტანსაცმელიც გამაახალგაზრდავებს ცოტას!“ იქვე გადაწყვიტა, ღია ფერის ხალათი ჩაეცვა, შარვალი დაევიწროებია, ქამარი მაგრა შემოეჭირა და ყაბალახის ნაცვლად ქუდი დაეხურა.

— რაშია საქმე, საჩინო, ასე მოკლედ რომ მაკრეჭინებ თმა-წვერს?

გამოარკვია ფიქრიდან დალაქის ხმამ და სახე გაუნათდა, ახალი აზრი დაებადა: „რატომ ვიცადოთ შემოდგომამდე? მივალ აგრაფინასთან და ვთხოვ, დღესვე გადმოვიდეს ჩემთან. აჩქარების მიზეზს არ ვეტყვი. ორმოცი წელი გიცადე და მეყოფა-მეთქი. შავები გახდილი არ აქვს, მაგრამ დროზე ადრე რომ გაიხადოს, ქვეყანა არ დაიქცევა ამით. კაცმა რომ თქვას, სირცხვილიცაა ჩვენს დროში შავებს იცვამდე!“

გადაწყვიტა ახლავე წასულიყო ფერმაში. ამ აზრით გახარებული ისე გავიდა სადალაქოდან, ფულის გადახდაც დაავიწყდა და შინლა გაახსენდა, ტანისამოსს რომ იცვლიდა. ქუდმა, შარვალხალთმა და შემოჭერილმა ქამარმა, მართლა გაახალგაზრდავა. მაშინვე გასწია ფერმაში. ისე მსუბუქად მიაბიჯებდა, წელი ისე გამართულად და თავი ისე მაღლა ეჭირა, რომ კინტირიამ ვერც იცნო, ჭიშკარი რომ შეაღო საჩინომ, თვალი მოიჩრდილა.

— საჩინო ხარ, კაცო?! — დაუძახა შორიდან, — რა ამბავია შენს თავს?!

— რავა, რა იყო? — ჰკითხა მშვიდად საჩინომ, ვითომ ვერ შენიშნა კინტირიას გაკვირვება. ხალათის კალთა გაისწორა, კიდევ უფრო შემოისხიპა ტანზე, — რამდენი ხანია არ ჩამიცვამს ეს ხალათი, ჩრჩილი შეჭამს-მეთქი, ვიფიქრე.

— წვერსაც ჩრჩილი შეგიჭამდა?! — ვერ დაფარა თავისი ღვარძლი კინტირიამ.

საჩინო ვერ მიხვდა რად ეცა გულზე კინტირიას მისი წვერის და თმის შეკრეჭა.

— დიდი ხანია გასაკრეჭი ვიყავი და გავიკრიჭე, — მიუგო გულუბრყვილოდ, — ცოტა ზომაზე მეტი მოუვიდა ხარიტონს, მაგრამ არაფერია, არ მშვენის თუ?

— დამშვენებით, შე კაცო, ამ ხნის კაცი თუ ოცი წლის ბიჭივით გამოიწკიპები... სიკოხტავე კაცს კი არა, სარს დამშვენდება, — ეუბნებოდა კინტირია და თვალს ვერ აშორებდა ტანზე კოხტად შემოსხეპილ ხალათს, ვიწრო შარვალს და კეფაზე ახალგაზრდულად მოგდებულ ქუდს.

— რა გაშტერებული მიყურებ, კინტირია! — ეამა საჩინოს კინტირიას ასეთი გაოცება, — მომეცი თოფი, — თვითონ ჩამოხსნა გაოგნებულ კინტირიას ფილთა და მხარზე გადაიკიდა.

— ჩემ შესაცვლელად მოხვედი?! — მთლად გაშტერდა კინტირია, — კაცმა რომ შემოგხედოს, ეგონება, ქალის გადასახედად მიდისო.

„მართლაც ქალთან მივდივარ, ჩემო კინტირია, მაგრამ გადასახედად კი არა, დღეს უნდა გადმოვიყვანო ჩემთან აგრაფინა,“ — მიუგო გულში საჩინომ და ფერმის შენობისაკენ გაემართა. აგრაფინა იქ ეგულებოდა.

კინტირიამ თვალი გააყოლა, დანა პირს არ უხსნიდა.

— უყურეთ ამ ქოფაკს, როგორ გაახალგაზრდავებულა. გიმტყუნა იმედმა, კინტირია! თქვა გაბზარული ხმით კინტირიამ და შებრუნდა, რომ არ ექქირა, რა ცქვიტად და მარჯვედ მიარხევდა მხრებს საჩინო.

საჩინომ რომ კინტირიას თოფი ჩამოხსნა, იმ დროს ღია სარკმელთან მდგარი აგრაფინა საბუდრებიდან კვერცხებს იღებდა და კალათაში ალაგებდა. საჩინო რომ დაინახა, ისე გაოცდა, კალათი კინალამ გაუვარდა, სახეზე მკლავი ჩამოისვა, სიზმარში ხომ არ ვარო. აი, სა-

ჩინო დერეფანში შემოვიდა, მაგრამ სიზმარი მაინც გრძელდებოდა, სანამ საჩინო არ მიესალმა და ხმა არ გაიგო მისი.

— დიდა, საჩინო ხარ?! — ძლივს ამოიღო ხმა.

— აბა, ვინ ვიქნები, აგრაფინა!.. ახლა ასეთი მოდაა‥ შეჩვენებულმა ხარიტონმა..., თქვა უხერხულად საჩინომ და წვერზე მოისვა ხელი — ტანისამოსიც მოდაზე ჩავიცვი... ნამეტანი სასაცილო ვარ?

— სასაცილო რატომ იქნები!.. მარა ასეთ ახალგაზრდა კაცს ჩემისთანა ბებრუხანა არ შეშვენის, — გაუღიმა აგრაფინამ.

— აგრაფინა... ამ ახალგაზრდა კაცს, ერთი სათხოვარი აქვს შენთან.

— რა უნდა იყოს ისეთი, რომ აგრაფინამ ამ კაცს უარი უთხრას!

— ნუ გადავდებთ შემოდგომამდე... მოდი, ბარემ გადმოდი ჩემთან.

აგრაფინა ასეთ თხოვნას არ ელოდა. ერთ ხანს ჩუმად იდგა, კვერცხებით სავსე კალათი ხელში ეჭირა და სახეზე წამოწითლებული, მღელვარებით შეჰყურებდა საჩინოს. სიწყნარეს ქათმების კრიახი და კაკანი არღვევდა.

— რანაირად, საჩინო?! — დაარღვია დუმილი აგრაფინამ და კალათი თაროზე შემოდო, — ჯერ შავები არ გამიხდია ქალს... ხალხი რას იტყვის!.. ცოტაც დავიცადოთ...

„ცოტაც დავიცადოთ! — მწარედ გაეცინა გულში საჩინოს, — ვინ გაცდის, თვარა კი, ვინ მამაძაღლი!.. რომ იცოდე, აგრაფინა, რას მიპირებენ, ერთ დღეს, ერთ საათს არ დამაცდევინებდი! ახლავე ვუთხრა აჩქარების მიზეზი!.. მაგრამ რანაირად? მერე რაფერ შევხედო თვალებში, ხომ მომეჭრა თავი!“

საჩინოს წინადადებით აღელვებულმა აგრაფინამ ცარიელ კალათს წამოავლო უცებ ხელი და კვერცხების ამოლაგება განაგრძო, რომ საჩინოსთვის თავი მოერიდებია, არ ეჩვენებია, რომ მას არა ნაკლებ ესწრაფებოდა საჩინოსთან გადასვლა, მაგრამ საჩინო ხედავდა მისმა წინადადებამ, რა სიმკვირცხლე და სიკოხტავე შემატა აგრაფინას, მისი გატიკული, ხორბლისფერი ტანი რა სინაზით და მოხდენილად მოიმართა, რა სიმორცხვე და სითბო ჩაუდგა თვალებში, რომლებსაც სიყვარულით აცეცებდა მისკენ ქურდულად. საჩინო ხედავდა, ეს შავები რომ არა, აგრაფინა ახლავე აქედანვე პირდაპირ წაჰყვებოდა შინ.

— არ გეწყინოს, საჩინო, — მობრუნდა აგრაფინა, — ღმერთი მოწმეა, მეც არ მინდა ამ საქმის გადადება.

— შენი ნებაა, — უთხრა ჯავრისაგან კრიჭაშეკრულმა საჩინომ.

— ვაითუ შემოდგომამდე ვინმე გოგომ წამართვა შენი თავი, — კეკლუცად გაიცინა აგრაფინამ და ისე გავიდა საწიწილეში, არ მოუხედავს.

* *
*

საჩინო ეზოში გავიდა. ფეხზე თუ იდგა და სუნთქავდა, მხოლოდ იმიტომ, რომ სადღაც სულის კუნჭულში, რაღაც იმედი ჰქონდა, რომ კინტირიას ნათქვამი ტყუილი იყო. ვის არ გამოუცდია, რა ძვირფასია ასეთ დროს პატარა იმედი, როგორ წაეპოტინები, ჩაეჭიდები, დაიჯერებ ერთი წამით მაინც და ინუგეშებ თავს, მაგრამ იგი ერთობ ხანმოკლეა, სწრაფად სცვლის მწარე სინამდვილე და საჩინომაც ვერ მოისვენა ასეთი იმედით. ადგა და თავის სიყრმის მეგობარ იპოლიტე პირტახიასთან გაეშურა. იპოლიტე საჩინოზე ერთი წლით უფროსი იყო, კოლმეურნეობაში მეორე წელი იყო აღარ მუშაობდა, შინ იჯდა, მაგრამ უსაქმოდ მაინც ვერ ისვენებდა. უსაქმო კაცს ჟანგი მოეკიდებაო, ამბობდა და ერთ წუთს გაჩერებულს ვერ ნახავდით. მისი ხნისა და ჯანის შესაფერ იოლ სამუშაოს დასტრიალებდა თავს. „იპოლიტესაც ჩემი ბედი ელის, იქნებ იმან იცის, რამე, არ დამიმალავს!“ — ფიქრობდა. გზაშიღა დაინახა, თოფი თან წამოეღო. „რამ შემაშინა აგრე, თითქოს ეს საქმე უკვე გადაწყვეტილი იყოს“, — შეუწყრა თავს საჩინო.

იპოლიტე ეზოში გამოეგება სტუმარს.

— რაშია, საჩინო, საქმე, ასე შეიარაღებული რომ მომადექი ამ შუადღეზე!— უთხრა ღიმილით, თოფი რომ დაუნახა. კაკლის ჩრდილში შეუძღვა, მაგრამ საჩინო იქ არ გაჩერდა. საიდუმლო საქმე მაქვს შენთანო, უთხრა და ოდაში ასვლა თხოვა, ოთახი ჩააკეტინა, აქ წვრილად მოუყვა კინტირიას ნათქვამი.

— რა არის ამაში ცუდი?! — შენზე ზრუნავენ, კარგი უნდათ, სიკეთეს გიკეთებენ...

— თუ არ მინდა, ბატონო, ასეთი სიკეთე?

— ძალას ვინ გატანს?! — გაუკვირდა იპოლიტეს.

— აბა, ნებაყოფილობით რომ იყოს, მაშინ ვისაც უნდა, ის იცხოვრებდა მხოლოდ...

— რავა, ნებაყოფლობით არ იქნება?! — ყურს არ დაუჯერა იპოლიტემ.

— ვისაც სამოცდაათი წელი შეუსრულდა, იმისათვის კანონი იქნება იქ ცხოვრებაო.

— იცი რა გამახსენდა, საჩინო! — გაეცინა იპოლიტეს, — გახსოვს, რა ჭორებს უყრიდნენ ბოლშევიკებს! ქალი და კაცი, ყველა ერთად იცხოვრებს ერთ სახლშიო, საერთო ლოგინზე დაწვებიან და შენი და ჩემი ცოლი აღარ იქნებაო.

— შენ მგონი მაშინ, იპოლიტე, პირველმა დაიჯერე ეს ამბავი, — გაახსენა საჩინომ იპოლიტეს, — მე კი, ახლო არ გავიკარე. რაში დაგჭირდა ამ ჭორის გახსენება?

— რაში და შიშს დიდი თვალები აქვს.

— არ გჯერა, რაც გითხარი?

— მაგას შე კაცო, ბავშვიც არ დაიჯერებს.

— სახლი კი შენდება და შენ მოდი და ნუ დაიჯერებ.

— შენდება, ალბათ, იმათთვის, ვისაც უნდა.

— მაგისთანა დიდი, დიდი, ხუთი კაცი თუ იქნება კოლმეურნეობაში. იცოდე, ხუთი კაცისათვის არ ააშენებენ იმხელა სახლს.

— უთუოდ მთელი რაიონისთვის აშენებენ, — ხავს მოებღაუჭა იპოლიტე, — რაიონში კი ბევრი იქნება იმ სახლში ცხოვრების მოსურნე.

— ტახი რაიონისათვის არ ააშენებს სახლს, სხვისთვის კაპიკს არ დახარჯავს, ან ვინ მისცემს ამის ნებას!

იპოლიტე ჩაფიქრდა, საფეთქელი მოისრისა. საჩინომ დაინახა, რომ მასაც შეუჯდა ეჭვის ჭია.

— მოგხვდა გულზე?

— ტახისაგან ყველაფერს უნდა ელოდე, — მოიღუშა იპოლიტე, — იცი რას გეტყვი, საჩინო!.. პირი უნდა შევკრათ.

— ვინ უნდა შეკრას პირი? — ვერ მიხვდა საჩინო, რას ამბობდა იპოლიტე.

— ყველამ, ვინც სამოცდაათისა ვართ. ძალა ერთობაშია. თავი რად გვინდა ცოცხალი, თუ კონდრატეს ალმა ხნული, დალმა არ დავფარცხეთ, ცხვირიდან ძმარი არ ვადენინეთ.

შეთქმულებს მეტი აღარ ულაპარაკნიათ, დაიშალნენ, რომ დაუყოვნებლივ ეცნობებინათ მოხუცებისათვის და ერთნაირად ემოქმედნათ. საჩინო პირდაპირ კოლმეურნეობის ბაღში წავიდა გიგო კორძახიასთან.

გიგო ბავშვობიდან მებაღედ მუშაობდა. პირველი ბაღი მან გააშენა კოლმეურნეობაში, მაგრამ ეს ბაღი ურწყავი იყო და იმდენს არაფერს იძლეოდა, რაც შრომა უნდოდა. ამიტომ გამგეობის გადაწყვეტილებით და საჩინოს დაჟინებით ძველი ბაღი მიატოვეს და ახალი გააშენეს ცხენისწყლის ნაპირზე. გიგომ თავი მოიკლა, რაიონში იჩივლა, ქვეყანა შეძრა, რას სჩადიხართ, გონს მოდით. ახალი ბაღი როდის მოგვცემს ნაყოფს. რამდენი შრომა და ფული უნდა ჩავყაროთ, რამდენი უნდა ვუცადოთო!

ანგარიშს არ უწევდა, რომ ახალი ბაღის მიწა ათჯერ მეტ ნაყოფს გამოიღებდა. იქვე იყო წყალი, გზა, ახალი მიწები ბაღის გასაფართოებლად. საჩინო და გიგო ამ ნიადაგზე სამი თვე არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, ძლივს შეარიგეს, მაგრამ საჩინომ დღემდე მაინც ვერ მოიგო გიგოს გული და სხვების უწინარეს, მასთან იმიტომ წავიდა, რომ ეამებია მისთვის, — აი, ხომ ხედავ, გასაჭირის ჟამს შენ მოგაშურეო. მაგრამ გიგო მუშაობის მაგივრად ფარდულქვეშ

მხართეძოზე წამოწოლილი რომ დაინახა, გაბრაზდა. „ვერ იქნა, ვერ მორჯულდა ეს კარგამოკეტილი!“

— ავად ხომ არ ხარ, გიგო? — ჰკითხა, რამდენადაც შეეძლო თავშეკავებით.

— რაა-ში შემატყვე აა-ვად ყოფნა, საჩინო? — ზანტად წამოჯდა გიგო. იგი ენას უკიდებდა და როცა რაიმე არ მოეწონებოდა, გაბრაზდებოდა, ან ეწყინებოდა, მთლად დაებმეოდა ენა.

— რაში და ამ გახურებულ მუშაობის დროს მკვდარიც კი გაანძრევს ხელს და შენ რამ ამოგიღო გული?

— რისთვის მო-ოო-ვიკლა თა-ვი! მე-ე მაინც არ მო-ოვესწრე-ეები ამ ბაღის ნა-ააყოფს, — უთხრა გიგომ და საჩინო რომ არ აფეთქებულიყო, სათუთუნე ქისა გაუწოდა.

— შენ ისევ ძველ ჰიანურზე მღერი?

— სხვა-აა სიმღერას მე-ე აწი ვერ ვი-ისწააა-ვლი, ჩემო საჩინონ. მე რა-აცმი-იიშენებია და მი-იირგვიია, მეყოფა.

— შენ გეყოფა...

— აბა, სხხ-ვაა დარდი მე აალარა მაქვს. რა-აალა გვინდა ჩვენ აწი, სა-აამი ღ-ღეერი ფიცრისა და სა-აამი არშინი მიწის მეტი!

— სამი ღერი ფიცარი და სამი არშინი მიწა, ეს ყველას ასე გვიწერია, მაგრამ მე ჯერ ამაზე არ ვფიქრობ...

— და-აადგება დრო და იფიქრებ.

— ეს დრო მე ჯერ არ დამიდგება, გიგო. დღეს მე სხვებთან ერთად ამ ბაღზე ვფიქრობ.

— შენ ფიქრობ, მე კი ვა-ააკეთებ, — შეაწყვეტინა გიგომ.

— არა, შენ არ აკეთებ. გაკეთებინებენ. გეგმა გაქვს და უნდა შეასრულო. რომ გითხრან გეგმა მოხსნილიაო, რას იზამდი?

— შინ წა-ა-ავიდოდი.

— აკი ვთქვი, გეგმა გაქვს და იმიტომ აკეთებ-მეთქი.

გიგოს გულზე მოხვდა.

— ეხ... შე-ეენისთანა აგიტატორს რა ვუ-უუთხრა!.. გაუნათლებელი კაცი ხარ, საჩინო! არ იცი, რომ ჩვენში უ-უუგეგმოდ არაფერი კეთდება. გე-ეეგმიანი სახელმწიფო გვაქვს, ამით განვსხვავდებით კა-ააპიტალისტურისაგან.

საჩინომ გაკვირვებით შეხედა:

— სად ისწავლე ეს, გიგო?!

— მე კი არ ვისწავლე, ჩ-ჩჩემი შვილიშვილები სწავლობენ.

— ისინი კი ისწავლიან, მაგრამ შენ ვერასოდეს ვერ ისწავლი რა არის გეგმა.

— სა-ააჩინო, უსწავლე-ეელობით ჯერ არ გამჭირვებია. ლუკმაპური სამყოფი მაქვს. შვილიშვილებსაც ეყოფათ. აი, შენ რისთვის ცდილობ ნე-ეტა! არც შვილი გყავს, არც შვილიშვილი. მარტოხელი კაცი ხარ, ვის ჰირდები, ვისთვის შრო-ოომობ?

— სხვებისთვის, — მშვიდად მიუგო საჩინომ, — შენ კი მარტო შენთვის ცხოვრობ, არც შვილებზე ფიქრობ, არც შვილიშვილებზე. თუ აჭმევ და ასმევ მათ, მხოლოდ იმიტომ, რომ სიბერეში მოგიარონ. მაგრამ რომ არ მოგხედონ?

— შე-ეეუძლებელია, — მთლად დაება ენა გიგოს.

— ნუ გეშინია, თუ არ მოგიარეს, არის სახლი, სადაც მიგხედავენ, — უთხრა საჩინომ და მოუყვა ის, რის სათქმელადაც მოვიდა.

გიგო კმაყოფილი უსმენდა.

— კი მაგრამ რას უწუნებთ ამ სახლს?! — გააწყვეტინა სიტყვა საჩინოს, — უ-უკეთეს ვერაფერს მო-ოიგონებს კაცი. ყოჩაღ, კონდრატე! გააკვირვებას ვარ, რაფერ გა-ამოერია პირტახიებში ასეთი თა-ავიანი კაცი!

— შენ რასაკვირველია, მოგეწონება ასეთი სახლი, — გაეცინა საჩინოს. — სწორედ შენისთანებისთვისაა მოგონილი.

— დაიცა, ბიჭო, მართლა იქნება ასეთი სახლი, თუ ხუმრობ? — სერიოზულად ჰკითხა გიგომ.

— მართლა იქნება, — წამოდგა საჩინო, — მაგრამ მე რომ მკითხონ, ისეთებს, რომლებიც მხოლოდ იმიტომ მუშაობენ, რომ გეგმა შეასრულონ, არ ვაცხოვრობდი იმ სახლში, — საჩინო შეტრიალდა, სწრაფად გავიდა ჭიშკარში, — ჯერჯერობით არსად წამოგცდეს,

რაც გითხარი! — დაუძახა ხაფი ხმით ჭიშკრის გადაღმიდან საჩინომ, — თორემ შეიძლება გადაიფიქროს, კონდრატემ და რა გეშველება!

ერთ კვირაში ორივე სოფელს მოსდეს ღრმად მოხუცებულთა სახლის ამბავი. მხოლოდ იმას ეუბნებოდნენ, ვინც სამოცდაათისა იყო ან მეტის. ასეთი ოცამდე ქალი და კაცი შეგროვდა, მაგრამ აქედან ხუთის მეტმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ერთსულოვნად შეკრეს პირი, რომ ერთად ემოქმედათ კონდრატეს წინააღმდეგ.

საოცარი იყო, ისე საიდუმლოდ ინახავდნენ ამ ამბავს, მოხუცების მეტმა არავინ იცოდა, ღვიძლ შვილსაც არ უმხელდნენ. ამიტომ მთელი კოლმეურნეობა გაოცებას იყო, რომ მოხუცები უცებ გაახალგაზრდავდნენ. ვინც წვერს ატარებდა, გაიპარსა, ქალმა და კაცმა ახალგაზრდულად ჩაიცვეს და დაიხურეს, ქალებმა თმა შეიღებეს, ფერ-უმარილი მოიშველიეს, ვინც კოლმეურნეობაში ავადმყოფობის ან უძლურობის გამო არ მუშაობდა და შინ იჯდა, სასწრაფოდ ბრუნდებოდა თავის ბრიგადაში და რგოლში.

ყველაზე მეტად გაოცებულები მაინც სასოფლო საბჭოს მდივანი აქვსენტი კორძახია და დალაქი ხარიტონ პირტახია იყო, ვერაფრით ვერ მიმხვდარიყვნენ, რამ გადარია მოხუცები, რად იკლებდნენ წლებს, რად იპატარავებდნენ თავს, რად იკრეჭდნენ თმას და ილებებოდნენ.

ტახი შიშმა აიტანა, ნუთუ ანთიმოზმა და ინჟინერმა გამცესო, მაგრამ მათ დაუფიცეს, კრინტი არავისთან დაგვიძრავსო და კონდრატემ დაიჯერა.

— რაღა დროს თქვენი მუშაობაა! — ეუბნებოდა იმ მოხუცებს, ვინც კოლმეურნეობაში სამუშაოდ ბრუნდებოდა,— რა გაგიჭირდათ ასეთი, საჭმელი გაკლიათ თუ სასმელი!.. მუშახელი რომ არ გვყოფნიდეს, კიდევ ჰო! რას იტყვიან სხვები, რამ დაგაგლახაკათ ისე, რომ ამ ხნის ხალხს ამუშავებთო...

— რა ხნის ხალხს? — გული მოსდიოდათ მოხუცებს, — რაში გვატყობ ასე დაჩაჩანაკებას, რომ ჩვენი შრომა გერცხვინება! ერთი კაცის საქმეს შუაზე გაჭრილი რომ ვიყოთ, მაინც გავაკეთებთ...

მართლაც აკეთებდნენ. მათი ყოველი თოხის მოქნევა დანასავით ესობოდა კონდრატეს გულზე, მათი შეწამლული ვენახით სიცოცხლე ეწამლებოდა. რაც დღე გადიოდა, მოხუცები მეტს მუშაობდნენ, უკეთ და უფრო მარჯვედ მუშაობდნენ, თან ფხიზლობდნენ: დღეში ერთხელ მაინც ჩაივლიდნენ სახლის მშენებლობის გვერდით, ვითომ საბავშვო ბაგით დიდად დაინტერესებულნი. შემდეგ კი ტახს საჩინო და იპოლიტე მიუგზავნეს. მათ შორიდან მოუარეს კონდრატეს, მოუწონეს, ასე ფიცხლად რომ აშენებდა საბავშვო ბაგას, დახმარება ხომ არ გინდაო, ჰკითხეს ბოლოს.

— თუ მაგ სიკეთეს იზამთ, დიდად გაგვიმართავთ ხელს, — გაეხარდა კონდრატეს, — ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, რამდენი ქალი არ გამოდის სამუშაოდ იმის გამო, რომ საბავშვო ბაგა არ გვყოფნის, — უტიფრად ტყუოდა კონდრატე.

კონდრატეს ოთახიდან გამოსული საჩინო და იპოლიტე სიმწრით ტუჩს იკვნეტდნენ.

— უყურე ამ ნამუსგარეცხილს, ჩვენი ხელით უნდა აგვაშენებინოს ის მონასტერი! — ცხარობდა, ცოფს ყრიდა საჩინო, — კაცი არ ვიყო თუ მაგიერი ტაბაკი წინ არ დაგიდგა.

— მოდი, საბჭოს თავმჯდომარესთან წავიდეთ, — შესთავაზა საჩინოს იპოლიტემ, — ბოლოს და ბოლოს, ისაა მთავრობა სოფელში.

— მაგისთანა მთავრობას რა ვუთხარი, — დაუწუნა აზრი საჩინომ, — ჩვენს საბჭოს თავმჯდომარეს თავისი აზრი და ჭკუა რომ არ აქვს! რასაც კონდრატე ჩასძახებს, ქვევრივით იმას ამოსძახებს. სჯობია, რაიკომის მდივანთან მივიდეთ.

— კარგი აზრია, — მოუწონა იპოლიტემ.

• •
•

კონდრატემ მოსვენება დაკარგა: „ნამდვილად რაღაცას მიხვდნენ, თორემ რატომ აკლავენ თავს თოხსა და ბარს, რატომ იდგამენ წელებზე ფეხს, რად იახალგაზრდავებენ თავს? არ უნდათ მოსვენებული ცხოვრება! ზოგმა ყაძახმა შრომაში უნდა დალიოს სული... კარგ ცხოვრებას ადვილად ვერ შეეთვისება. ჰოდა, უნდა მივაჩვიოთ. თუ ნებით არ შეეჩვევიან, ძალით. ცხონებულ ბაბუაჩემ სესირყვას, დიდხანს ვერ გახადეს თურმე ღორის ტყავის ქალამნები და წუღებს ვერ შეაჩვიეს, მაგრამ გემო რომ გაუგო, მერე ძილშიაც არ იხდიდა. ასეთია ადამიანი: შეუჩვეველს ძნელად შეეჩვევა, შეჩვეულს ადვილად ვერ გადაეჩვევა. დალოცვილმა ჩვენმა პარტიამ ბევრი უგვანო ჩვეულება დაავიწყა ხალხს“... ასეთ ფიქრში ჩაეძინა იმ ღამეს კონდრატეს. ძილში, როგორც ცხადში ისე ნახა ის, რაზედაც ოცნებობდა, რისთვისაც იღწვოდა, რაც მის ცხოვრების აზრს და მიზანს შეადგენდა. ერთით კი არა, რამდენიმე საფეხურით აიწია კიბეზე... ღრმად მოხუცებულთა სახლი აშენებული იყო, მადლობა ღმერთს, არ გამართლდა ანთიმოზის ეჭვი. აღმართულაში და დაღმათულაში ზარზეიმი უდგათ მოხუცებს, თავმჯდომარის კართან ქალის და კაცის გრძელი რიგი დგას, ერთმანეთს არ აცდიან კონდრატესთან ლაპარაკს, ყველას უნდა პირველი შევიდეს მოხუცთა სახლში და თავმჯდომარისაგან ნებართვა მიღებულნი თავქუდმოგლეჯით გარბიან წალკოტში მდგარ ორსართულიან შენობისაკენ. შენობა კი არა, სამოთხეა, სასახლეა, დოხორეა, ყველაფერი ასჯერ უკეთაა მოწყობილი, ვინმე იმ სახლში, რომელიც კონდრატემ უკრაინაში ნახა. ოთახები უკეთესი, ავეჯი უმჯობესი, ლოგინი ზღაპრული, დერეფნები დაფარდაგული და მოხატული, ფანჯრებზე ყვავილები, კედლებზე სურათები, სასდილო სადარბაზოზე უკეთესი, სამკითხველო — სასპორტო დარბაზზე, ბაღს ენა და პირი ვერ აღწერს...

ელვის სისწრაფით მოედო საქართველოს ყველა კუთხეს ღრმად მოხუცებულთა სახლის ამბავი. არ დარჩენილა არც ერთი გაზეთი, რომ წერილი არ დაებეჭდოს. დაწვრილებით იყო აღწერილი ყველაფერი, მაგრამ ყველაზე მეტს კონდრატეზე წერდნენ: „სახელგანთქმულმა თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გაგვაკვირვა!“, „კონდრატე პირტახიას შესანიშნავი თაოსნობა!“, „მოხუცები მადლობას უხდიან ღვაწლმოსილ თავმჯდომარეს!“

გაზეთების პირველი გვერდი კონდრატეს სურათებითაა აჭრელებული, კონდრატეს ცენტრალურ კომიტეტში იბარებენ, კორესპონდენტები და ფოტორეპერტიორები მოსვენებას არ აძლევენ, კონდრატე ხან ერთ ტრიბუნაზეა, ხან მეორეზე. რას არ ამბობენ კონდრატეზე: რაიონში გადაჰყავთ, კონდრატე უარზეა, თავს იფასებს, ვერ მიატოვებს კოლმეურნეობას, კიდევ ბევრი აქვს აქ გასაკეთებელი, აცალონ, ბატონო! ნუ ჩქარობენ!.. მაგრამ ეს რა ამბავია!.. სიზმარი იცვლება, კონდრატემ თვალზე ხელი მოისვა. არა, შეუძლებელია!.. ტყუილად როდი შიშობდა! კარგ საქმეს არ შეიძლება მოშურნე და მოწინააღმდეგე არ გაუჩნდეს... ღამეა სინათლე ჩამქრალია ღრმად მოხუცთა სახლში, მაგრამ მოხუცებს არ სძინავთ, რაღაც უჩვეულო ფაცაფუცია მთელს სახლში... აი, დერეფანში ფეხაკრეფით მოდის საჩინო, კარისკენ მიიპარება მხარზე ხურჯინგადაკიდებული... იპოლიტემ ფანჯრიდან თოკის კიბე ჩამოუშვა და ძირს ჩამოსვლა იწყო... ვიღაცამ აივნიდან ეზოში ისკუპა... ვიღაცა წყალსადენის მილს ჩამოჰყვა... ქალებს კაბები და თავსაფრები გადაუბამთ ერთმანეთისთვის და ბოღჩებს და ფუთებს უშვებენ ბაღში... გადიან ჭიშკრიდან, ხტებიან ღობეზე, ალაგეზე...

— საით! რამ გადაგრიათ! უკან! — მისდევს მათ კონდრატე, უძახის, ეხვეწება, ემუქრება და ამ ყვირილში და მუქარაში გაეღვიძა, შეშინებულმა მიმოიხედა. ოთახში განთიადი დგას. —

მადლობა უფალს, სიზმარი ყოფილა! — პირჯვარს იწერს ტახი, სულს ითქვამს, — სიზმარი!.. ჰო, სიზმარი, თავში ასეთი ტკბილი და ბოლოში ასეთი მწარე... რომელი აძიხდება? — არაფერი წამდა სიზმრის, მაგრამ ახლა შეშინებულს და შეშფოთებულს არ შეეძლო არ ერწმუნა, — რომელი ამიხდება? — წამოხტა, საცვლების ამარა გავარდა აივანზე, — რომელი ამიხდება? — მჭახედ გახმიანდა სიწყნარეში მღელვარებისაგან ჩახლეჩილი მისი ხმა.

სოფელს ეძინა, არსად ადამიანის ჭაჭანება არ იყო. არ ყიოდნენ მამლები, არ ჰყეფდნენ ძაღლები. განაბულმა, როგორღაც იდუმლად გალურსულმა გარინდმა, თითქოს კონდრატეს სულში ჩაიხედა, მის გულს მიუგდო ყური და ამიტომ დაყურადდა. ტანში გაბურძგლა ტახს, ოთახში შებრუნდა, ლოგინს მიაშურა, მაგრამ რა მოასვენებდა საწოლში!

უკანა ოთახში ტახტი აჭრიალდა. „დედამ გაიღვიძა!“. გადაწყვიტა დედისთვის ეამბნა სიზმარი, მაგრამ გადაიფიქრა. დედასაც არ უმხელდა სახლის ამბავს, ვერ მოისვენა ლოგინში, ცეცხლი შემოენთო და წვავდა. წამოდგა ისევ, ეზოში გავიდა, წელს ზევით გატიტვლდა და თავ-ტანი შეუშვირა პირსაბანს. ქშიტინებდა, ფრუტუნებდა, მკერდზე და მუცელზე ხელებს იტყაპუნებდა. დაგრილდა, დაწყნარდა, მიატოვა ქშიტინი და ფრუტუნი, შეუმშრალებლად გადაიცვა ხალათი, უქუდო, საყელოგადეღილი, აფორიაქებული გაიჭრა შუკაში. უნდა დააჩქაროს სახლის მშენებლობა, ვერ მოიცდის, არც დააცდიან, ათასი თვალი, ათასი ყური ჰყავს ჩასაფრებული. რაღაცის მაცნეა ეს სიზმარი! როგორ ამიხდება? კი არ მიდიოდა კონდრატე, ქარიშხალივით მიჰქროდა, ისევ ქშიტინება, ისევ ფრუტუნება და მკვდარ სიწყნარეში ისე ისმოდა ეს ხმები, თითქოს საბერველს ბერავდნენ.

გული მოუვიდა, მშენებლობაზე რომ არავინ დახვდა. დარაჯმა გაკვირვებით მხრები აიჩეჩა, ჯერ ჩიტი არ ამდგარა ტოტიდანო ,უთხრა კონდრატეს.

— ჩიტი, ჩიტი! — გამოაჯავრა დარაჯს,—ჩიტის ჰკუაზე შენ იარე, წიე!— იქ არ დაყოვნდა, ხელოსნებისაკენ გაეშურა, სათითაოდ ჩამოუარა სახლებში და ლოგინიდან წამოჰყარა. შინ აღარ დაბრუნდა, იქიდან კანტორაში წავიდა. გზაზე კინტირია შემოხვდა. „ფუი, ეშმაკს! ეს ვინ ამეფეთა! დამთარსა წყეულმა“, — შეიცხადა ტახმა. ცუდად ჰქონდა დაცდილი კინტირიასთან შეხვედრა, როგორც ტყვიას, ისე ერიდებოდა მას.

— ასეთი სახლი ჩვენს კოლმეურნეობაში ჯერ არ აშენებულა, კონდრატე, — შორიდანვე მოაძახა კინტირიამ თავმჯდომარეს, თან ისე გაუღიმა, თითქოს ამ საქმის მესაიდუმლე და თანამონაწილე იყო.

„რამე ხომ არ იცის ამ ღორის შვილმა! — შეშინდა კონდრატე, — ნეტა ამაზე ამიხდეს სიზმარი!“. ტახი რომ ამ ფიქრში იყო, კინტირიამ გვერდით ჩაუარა. ტახს უნდოდა დაეძახა, მოებრუნებია, რომ სიტყვა გამოეტყუა, მაგრამ კინტირია შორს წასულიყო.

კანტორაში არავინ დახვდა. ოთახის გასაღებს თვითონ ატარებდა ჯიბით. კარი გააღო, ოთახში ახალი საღებავის და ნესტის სუნი იდგა. ფანჯრები დააღო და ის იყო, მაგიდას მიუჯდა, რომ ტელეფონის ზარი ახრიალდა. „ვინ უნდა იყოს ასე უთენია!“ მილი აიღო.

— ვინა? ნათელა! რა იყო გოგო?

რაიკომიდან ურეკავდნენ, მდივანი იბარებდა სასწრაფოდ. გულმა ძგარაძგური დაუწყო. „აჰა, აი ჩემი სიზმარი!“. შენიშნული ჰქონდა, როცა მდივანი სხვას არეკინებდა და ასე იბარებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ რაღაცით უკმაყოფილო იყო.

— რა საქმეზე მიბარებს, თუ იცი, ნათელა? — სანამ პასუხს მიიღებდა, მილი დადო, მიხვდა სულელური კითხვა მისცა. „როდის იყო, ვარდენი თავის პირად მდივანს უთანხმებდა, რა საკითხზე იბარებდა თავმჯდომარეს“, —

მწარედ გაეცინა კონდრატეს.— ნუთუ ამაზე ამიხდება სიზმარი? დამთარსა ნამდვილად, იმ ჩემი ცოდვით ამოსაგდებმა! — შინ წავიდა ტანისამოსის გამოსაცვლელად, ცხრა საათზე მანქანაში ჩაჯდა და რაიკომში გასწია.

რაიკომის მდივნის მოსაცდელ ოთახში რამდენიმე ქალი და კაცი იჯდა და მიღებას ელოდა, მაგრამ კონდრატე შევიდა თუ არა, ნათელა წამოდგა, გასაღები აიღო და რაიკომის მდივნის კაბინეტის კარისაკენ წამოვიდა.

— მარტოა? — ჰკითხა კონდრატემ ნათელას და თან გაიფიქრა: „რაღაც უბედურებაა ჩემს თავს“.

ოთახში მსხდომნი ყველა მას უყურებდა.

„ნუთუ იციან რისთვის მიბარებს მდივანი?!. აბა, რას მომშტერებიან ასე თვალდაცეცებულნი!“ კაბინეტში რომ შევიდა, მდივანი რაღაცას წერდა, თავი ასწია, მაგრამ არ მიესალმა, არც დაჯდომა შესთავაზა, წერა განაგრძო. „ნამდვილად დამმარხა იმ წყეულმა კინტირიამ!.. მოდი და ნუ დაუჯერებ ამის შემდეგ სიზმარს!“ არ ყოფილა, მდივანი ფეხზე წამომდგარი არ მისალმებოდა, ახლა ზედაც არ შეხედა, წერას განაგრძობდა და სანამ მოათავებდა, ორჯერ დაურეკეს ტელეფონით, მთელი ათი წუთი ილაპარაკა და ამ ხნის განმავლობაში ერთხელ არ მოიხედა კონდრატესაკენ. ბოლოს წერა დაამთავრა, უჯრიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო, პაპიროს მოუკიდა, წამოდგა და მაგიდის წინ გაიარ-გამოიარა, რაღაცაზე ფიქრობდა, აღელვებული და წარბებშეკრული იყო, უცებ კონდრატეს წინ შედგა.

— დაჯექი, — უთხრა კონდრატეს და სავარძელზე მიუთითა, თვითონ მის პირდაპირ მეორე სავარძელში ჩაჯდა.

— რამდენი ქალი არ გამოდის ჩაის ფოთლის საკრეფათ? — ჰკითხა პირდაპირ მდივანმა.

— ოცი.

— მგონი უკვე შედგომიხარ, საბავშვო ბაგის შენებას!

„ამიხდა სიზმარი!“ — კინაღამ დაიყვირა ტახმა. არ იცოდა რა ექნა. ტყუილი ეთქვა, ამდენი გამბედაობა არ ჰქონდა, მართალი? არც ამის ზურგი მოსდევდა და კუთხეში მომწყვდეული ტახივით დააცეცა თვალი.

— დიახ, დავიწყე შენება... — წაილუღლუღა, რადგან პასუხის დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, მდივანი სახეში შესცქეროდა და პასუხს ელოდა.

— რამდენი ბავშვისთვის აგებ?

— ბავშვისთვის არა, ამხანაგო ვარდენ! — ოფლი მოიწმინდა კონდრატემ.

— აბა ვისთვის?

— ღრმად მოხუცებულთათვის... — ენა დაება, გაჩუმდა.

— ვისთვის?! — ვითომ ვერ გაიგო მდივანმა.

კონდრატე მიხვდა, რომ ვარდენმა ყველაფერი იცოდა და შერიგებულმა თავის ხვედრს, აღარ დაიხია.

— ღრმად მოხუცებულების სახლს, ვაშენებ ამხანაგო ვარდენ... ესე იგი, იმ მოხუცებისათვის, ვისაც სამოცდაათი წელი შეუსრულდათ და მუშაობა არ შეუძლიათ...

— გთხოვეს ასეთი სახლის აგება? — შეაწყვეტინა მდივანმა.

— არა, არ უთხოვიათ, ჩემი ინიციატივა გახლავთ, — კვლავ მოიწმინდა ოფლი ტახმა.

— დაიცა, კონდრატე, — წამოდგა ისევ მდივანი, ისევ გაიარ-გამოიარა, — ჩვენ რაღაც ვერ გაუგეთ ერთმანეთს... როგორც ვიცი, კოლმეურნეობას საბავშვო ბაგა არ ყოფნის...

— ასე გახლავთ, — ლოდის სიმძიმე გაუხდა ენა კონდრატეს, მაგრამ მაინც მობრუნდა.

— და შენ საბავშვო ბაგის ნაცვლად, შენი ინციატივით, ღრმად მოხუცებულთა სახლს აშენებ?!

— დიახ, ვისაც სახლი არ აქვს და კარი, — დაუქნია თავი კონდრატემ, აღარ იცოდა რას ამბობდა, რას პასუხობდა, თავგზა აერია და ანგარიშმიუცემლად ისროდა სიტყვებს.

— რამდენია ასეთი მოხუცი კოლმეურნეობაში?

— არ დამითვლია, ამხანაგო ვარდენ.

— ჰკითხე მოხუცებს, უნდათ თუ არა ასეთი სახლი?

— არ მიკითხავს... — გაუწყდა ხმა კონდრატეს, თითქოს ამოსტვინაო სული, ოფლში ცურავდა, სველ ცხვირსახოცს მუჭში ჰმუჭნიდა.

— გამგეობას თუ ჰკითხე?

ტახმა თავი გაიქნია.

— რატომ?

ტახი ვერც ენას აბრუნებდა და ვერც თავს.

— მე გეტყვი რატომ, — დაჯდა ისევ მდივანი.

კონდრატემ მხოლოდ წამწამები დააფახურა, ქუთუთოები ასწია და უმალ დაუშვა, თვალს ვერ უსწორებდა მდივანს.

— გინდოდა რაღაც ისეთი გაგეკეთებია, რაც სხვას არ აქვს. ეს სახლი ამისთვის მოიგონე და არა იმიტომ, რომ ღრმად მოხუცებზე ზრუნავდი, სახლის შენების ამბავს არ ამხელდი იმის შიშით, რომ სხვას არ დაესწრო. ხომ ასეა? — ჰკითხა პირდაპირ მდივანმა.

— დიახ, ასე გახლავთ, — მიუგო მორჩილად კონდრატემ.

— სახელისათვის იღვწოდი და ამით დაბრმავებულმა...

— გამოტეხილად გეტყვით, ამხანაგო ვარდენ, — შეაწყვეტინა კონდრატემ, — სახელისათვის ვიღვწოდი, მაგრამ სახელს ხომ საქმით იხვეჭს ადამიანი.

— საქმე საქმეს გააჩნია, — გაუსწორა მდივანმა, — ხდება ხოლმე, ყველაზე უბრალო საქმეც კი გმირობად, მამაცობად იქცევა, თუ ის ჭეშმარიტ ვნებათა ღელვით კეთდება.

ტახი ისე შორს იყო ასეთი აზრისაგან, რომ ვერ მიხვდა მდივნის ნათქვამის მნიშვნელობას.

— მეგონა ყველაფერს მივაღწიე, — კვლავ ანგარიშმიუცემლად ისროდა სიტყვებს ტახი, — მოსავალს წლიდან წლამდე ვზრდიდი, ვაშენებდი ახალ პლანტაციებს, ზვრებს, ხეხილს... მაგრამ ჩვენს დროში უხვი მოსავლის მოწევით თავს ვერ გამოიჩენ...

მდივანი ზიზღნარევი თანაგრძნობით შეჰყურებდა.

— გინდოდა რაღაც არ უნდა დაგჯდომოდა, გამოგეჩინა თავი!

— არ მეგონა, თუ ეს საძრახისი საქმე იყო.

მდივანი ხედავდა, რომ კონდრატეს თავში არაფერი შედიოდა.

— შენ ამბობ, რომ ჩვენს დროში უხვი მოსავლით თავს ვერ გამოიჩენ! იქნებ „რიაზანული სასწაული“ თავის გამოსაჩენი საქმე არ არის! ერთ წელიწადში რიაზანელმა კოლმეურნეებმა სამი წლის გეგმა შეასრულეს, მთელი ქვეყანა აალაპარაკეს და გააოცეს. მაგრამ რომ იმუშაო რიაზანულად, უნდა გიყვარდეს შენი საქმე და არა სახელი.

მდივანი დინჯად ლაპარაკობდა, მის კილოში არ იგრძნობოდა ის სიმკაცრე, რომელსაც კონდრატე ელოდა და ამით დამშვიდებულს, გული მოეცა, თუმცა ეს მშვიდად თქმული სიტყვები, უფრო მწარე იყო. ოფლს აღარ იწმენდდა, ეგონა ოფლში ცურავდა.

— ვინ იცოდა კოლმეურნეობაში, რომ საბავშვო ბაგის ნაცვლად, ღრმად მოხუცებულთა სახლს აგებდი?

— მთავარმა ბუღალტერმა და ინჟინერმა... მაგრამ მათ ბრალი არ მიუძღვით. მე ვაიძულე, არ გაემხილათ... პასუხს მე ვაგებ-მეთქი.

— ჰო, პასუხს შენ აგებ, — წამოდგა მდივანი და მაგიდას მიუჯდა, — და არა რაიკომთან, პასუხს აგებ საერთო კრების წინ. შენ, როგორც ჩანს, დაგავიწყდა, რომ კოლმეურნეობის საერთო კრება სასოფლო-სამეურნეო არტელის მმართველობის უმაღლესი ორგანოა. მოამზადე ცნობა, რამდენი ტონა ჩაის ფოთოლი დაიღუპა იმის გამო, რომ დროზე არ მოიკრიფა. რა თანხა დაიხარჯა საბავშვო ბაგის პროექტის გადაკეთებაში, რა დაჯდა ახალი პროექტით საძირკვლის ამოყვანა და ზეგისთვის მოიწვიე საერთო კრება. ვნახოთ, რას

იტყვიან. იქნებ მართლა საჭიროა ასეთი სახლი!

— არა, არ არის საჭირო, ამხანაგო ვარდენ.

— ამ ნახევარი საათის წინ შენ საჭიროდ თვლიდი.

— შეცდომებზე ესწავლობთ, ამხანაგო ვარდენ... — წამოიყრანტალა ტახმა.

მდივანს გაეღიმა.

— საქმე ისაა, კონდრატე, ეს შეცდომა კი არ არის შენი, მუშაობის სულია. იქნებ მე ვცდები, მოვუსმინოთ კრებას. ახლა კი თავისუფალი ხარ.

კონდრატე ძლივს წამოდგა, აღარ ჰგავდა ტახს, მაღლა აწეული თავით, წინ წამოშვერილი ქვედა ყბით და სავსე მუცლით, დაჩუტულ ტიკს დაემსგავსა. ისე გავიდა კაბინეტიდან, არ გამოთხოვებია მდივანს, ისე გაიარა მოსაცდელი ოთახი, არავისთვის არ შეუხედავს, კიბეზე რომ ეშვებოდა, მაშინ გამოერკვა და იგრძნო, რომ ძირს ჩადიოდა, ჩადიოდა საფეხურებს, რომლებზეც წლობის მანძილზე ადიოდა ბრძოლით, ჯაფით, სიმწრით, სიხარულით.

სოფელში რომ შევიდა, ისევ კინტირია შეეფეთა, სწრაფად შეაბრუნა მანქანა, მაგრამ ახლა უნებლიეთ ამ მხარეს გადაუჭრა გზა, მანქანა თითქმის ზედ შეაჯდა კინტირიას და იგი რაღაც განგებით გამოსხლტა ბორბლებიდან. მუხრუჭის გაბმულ ხრჭიალზე, დაფეთებული გამოცვივდა ხალხი გარეთ და გაკვირვებულნი უყურებდნენ გზის ნაპირზე გაჩერებულ მანქანას და საჭესთან მჯდარ გაქვავებულ თავმჯდომარეს. კინტირია არ დაუნძხიათ, მან შიშით, იმწამსვე ისკუპა გზიდან, ღობეს გადაევლო და პოპორაყრილ სიმინდებში გაიჭრა. ტახი ისე იყო ფიქრში წასული, რომ არ დაუნახავს სად გაქრა კინტირია, არც მისკენ მოჩერებულ ხალხს ხედავდა, იჯდა საჭესთან თავდახრილი და ყრუდ, ჯიუტად ესმოდა მდივნის ხმა:

„ეს შენი შეცდომა კი არ არის, შენი მუშაობის სულია.“ ტახი თითქოს კმაყოფილი იყო. „ეს ხომ მართლაც ასეა, გულში ხომ არ მეჯდა მდივანი! — ეუბნებოდა კონდრატე თავს, — ჰო, ეს შეცდომა არ იყო... ეს მართლაც ჩემი მუშაობის სული იყო...“

---

# კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ კანკავა

★

## სამი პოეტი

სამი პოეტის: ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის და ალექსანდრე საჯაიას ერთად ხსენება ჩვენს მწერლობაში თითქმის ტრადიციული გახდა და ისინი ძალაუნებურად ერთმანეთს დაუკავშირდნენ. ეს გარემოება, ალბათ, უფრო იმითაა გამოწვეული, რომ სამწერლო ასპარეზზე სამივე თითქმის ერთდროულად გამოვიდა. მათი პოეტური დამობილება კიდევ უფრო დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც ისინი, შეთანხმებულებივით, თითქმის ერთსა და იმავე წელიწადს განშორდნენ ცხოვრებას და მოსაგონარად თითო-თითო ლექსების წიგნი დაგვიტოვეს.

### I

ლადო ასათიანმა თავისი ყმაწვილკაცობა ქუთაისში გაატარა და ამ წლებმა წარუშლელად იმოქმედეს მის მსოფლშეგრძნებაზე, მის მგრძნობიარე პოეტურ ბუნებაზე. იმერეთის რბილმა და მსუბუქმა პოეტურმა ჰავამ, თავისებურად, სასიმღერო იერი შემატა ლადო ასათიანის პოეზიას. მელოდიებით მდიდარმა „სავარდო და სამაისო“ ქალაქმა ყელი სასიმღეროდ მოუღერა და ამრიგად გამოისტუმრა პოეტების დიდ სატახტოში — თბილისში. ლადო ასათიანს აქ ახალი, დიდი პოეტური ცხოვრება ელოდა.

თითქმის ავადმყოფურად ანთებული მზერით, რომელიც ასე კარგად გამოხატა თავის სურათში ლადო გუდიაშვილმა, ლადო ასათიანი მჭიდროდ ეხებოდა, უახლოვდებოდა თავის სამღერალ საგანს, რის გამოც ეს საგანი იძენდა ნათელ კონკრეტულობას, პოეტურ სიცოცხლეს, მაგრამ მოკლებული იყო განმაზოგადებელ ძალას. ეს მხარე მის შემოქმედებით ბუნებას წარმოადგენდა.

ამგვარი მხატვრული წესი მისი პოეზიის სტილურ მხარეს დიდად განსაზღვრავდა. ლადო ასათიანის მხატვრული წერის მანერას უღრესი უშუალობა, გამოთქმის ხაზგასმული სიცხადე, განცდის სისავსე და მკითხველთან ინტიმური მიმართება ახასიათებს.

ლადო ასათიანის ლექსებში თითქმის განდევნილია განზოგადება, განყენებული მხატვრული აზროვნების ცდებიც კი. ყოველივე კონკრეტიზებულია, ლოკალიზებული და ადგილის კოლორიტით გაპირობებული. ჩვენი ფიქრით, ლადო ასათიანი, პირველ რიგში, ჟანრული პოეტური სურათების ოსტატია, შემდეგ პორტრეტული ჩანახატების მოყვარული ხელოვანი, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, პატრიოტი პოეტი-მომღერალია და ეს გრძნობა მის პოეზიაში ძალზე ხელშესახებია. როგორც პირველი, ისე მეორე თვისება პოეტისა შეიცავს იმ დამახასიათებელ ნიშნებს, რომელთა შესახებ ახლა ვისაუბრეთ. ლ. ასათიანი პორტრეტების ხატვისას, (იქნება ეს ფიროსმანის, ივანე ჯავახიშვილის, მანანა ორბელიანის, თუ საკუთარი ავტოპორტრეტის ცალკეული დეტალები), შეგნებულად მიმართავს იმგვარ ხერხს, როდესაც პიროვნების პორტრეტული მსგავსების შესაქმნელად გამოყენებულია ძუნწი შტრიხები და ხშირად ზუსტი სიმბოლიკური შინაარსის მეტაფორები. იგი ცდილობს პორტრეტში გამოხატული პიროვნების სპეციფიკური ნიშნების გადმოცემას. ამ მხრივ ლადო ასათიანი შთაგონებული ოსტატია.

ფიროსმანიშვილი დღეს ჩვენს შეგნებაში თითქოს მითიურ სამყაროში სახლობს. მისი პიროვნება ჩვენ არა ნაკლებ გვაოცებს, ვიდრე მისი შემოქმედება. პირადად ჩვენთვის, როგორც რომანში, ისე ეკრანზე თუ სახვით ხელოვნებაში მიუღებელი იქნება იმგვარი სახე დიდებული მხატვრისა, რომელიც არ მოგვაგონებს ფიროსმანის იმგვარ, უდავოდ მეტყველ, მხატვრულად ცოცხალ კონტურებს, როგორიც ლადო ასათიანის ლექსში მჟღავნდება:

> ძილგატეხილი და არეული
> ჰიქა არაყით გაიხსნის მადას,
> მერე შეკრთება, ვით მთვარეული
> და ორთაჭალის ლამაზებს ხატავს...

ამ სტრიქონებში ფეთქავს ფიროსმანის სიცოცხლის ძარღვი, იგრძნობა გარეგნული იერი, შემკული დამახასიათებელი მოძრაობებით, მაგრამ უფრო მეტად მისი მძაფრი სულიერი მდგომარეობა. ლ. ასათიანი ზუსტად ემყარებოდა ფიროსმანზე არსებულ გადმოცემებით და მოგონებებით მოღწეულ ფაქტობრივ მასალას.

ფიროსმანზე შეთხზული ზემოთმოყვანილი სტრიქონები ბიოგრაფიული ღირებულებისაა. ლ. ასათიანის ამ ლექსებიდან ჩანს, თუ როგორი სიზუსტით, ჩაძიებით სწავლობდა იგი ფიროსმანის ცხოვრებას. სხვათა შორის, ამას უკეთ ის მიხვდება, ვისაც მსგავსი სამუშაო ჩაუტარებია. ყოველ შემთხვევაში, თბილისის კოლორიტს, მის ეროვნულ იერს და ფანტასტიკურობას ვერავინ ისე ვერ ამკობდა, როგორც ნიკო ფიროსმანიშვილი.

ლ. ასათიანი მთელი არსებით გრძნობდა და განიცდიდა ნიკო ფიროსმანიშვილის ეროვნულ ხასიათს და მის არაჩვეულებრივობას. იგი გაბედულად, მეტად მოხერხებულად და ზუსტად იყენებდა იმ ცნობებს, რომელნიც პოეტს გაუგონია ძველი თბილისის სხვადასხვა უბანში ამ შესანიშნავი მხატვრის შესახებ. დაკვირვებული თვალისთვის მუდამ გასაკვირველი და სასიამოვნო დარჩება ის ენერგიული აბრისები ან ძუნწი და მოკლე-მოკლე შტრიხები, რომლითაც პოეტმა ნიკო ფიროსმანის პორტრეტი ჩამოაყალიბა და სხვა ქართველ პოეტებთან ერთად პოეზიაში შემოიყვანა.

აქ, ამ ქუჩებში, დადიოდა, როგორც სიზმარი
(საქართველოს ცას აქ ეტრფოდა მისი
ოცნება),
ჩამოხეული, ტანმაღალი, მარად ხიზანი,
მარტოდენ გული და ბაჯაღლო პატიოსნება.

ან კიდევ უფრო უკეთესი დახასიათება მხატვრისა:

შემოვხედავდა დარცხვენილი, ვერ გაიგებდი,
რა ჰქვისა იყო, რა ჰაზრების და რა
გუნების,

უყვარდა მტკვარი, მტკვარზე ტივი, ტივზე
ტიკები...

ლ. ასათიანის ეს ორი ლექსი — „ფიროსმანის მეგობრებთან“ და „ფიროსმანის დუქანი“ თბილისელი მხატვრის თავისებური პოეტური ბიოგრაფიებია. ლადო ასათიანი აქ გამოჩნდა არა მარტო როგორც უებრო პორტრეტისტი, არამედ როგორც მხატვრის ბიოგრაფი და მისი შემოქმედებითი პიროვნების უჩვეულოდ აღმქმელი.

ლადო ასათიანი თავის შემოქმედებაში არსად ცალმხრივი და შეზღუდული არ იყო; იგი ისეთივე წარმატებით ხატავს ივანე ჯავახიშვილის პორტრეტს როგორც ადრე ჰქონდა შესრულებული მშვენიერი სახეები მანანა ორბელიანის, თუ საკუთარი პაპისა — მშობლიურ ლეჩხუმში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს პოეტური პორტრეტები ივანე ჯავახიშვილისა და ქამარხანჯალ-ყაწიმით დამშვენებული პაპისა, სავსებით სხვა და სხვა მანერით არიან შესრულებულნი. როდესაც პოეტი ხატავს ივანე ჯავახიშვილს, შინაგანი სულიერი სამყაროს გარდა იგი წმინდა გარეგნულადაც წარმოგვიდგენს იმგვარ ადამიანს, რომლის პიროვნება, მეხსიერება და დაკვირვებული მზერა იტევს მთელ საუკუნეთა ცოდნას. ჩვენ ვხედავთ წლებით შევერცხლილი ადამიანის სურათს, რომელიც ოდნავ გადახრილი, თუ შემობრუნებული პოზით იყურება მეტისმეტად ჰალარა წარსულში. მას ხელში ეტრატი უკავია, როგორც რაღაც ჯადოსნური ძაფი, რომელიც მხცოვანმა ისტორიკოსმა თითქოს ეს-ესაა ღრმა წარსულიდან ამოზიდა.

როცა წარსულის სიღრმისაკენ ეტრატით
ხელში
შებრუნდებოდი და შუქს ჰფენდი, როგორც
მთოვარე,
მაგონდებოდა მე მშვენება ვახტანგ მეექვსის.
სამეფო კვერთხით სამეუფო ტახტზე
მჯდომარე.

როგორც მლოცველი, მზედალეულ ლანდთა
მხილველი,
ძველს ქართულს სიტყვას მოუხმობდი,
აბატონებდი,
და ნათლდებოდნენ შენს თვალებში
გასაკვირველად
ქართლის ცხოვრების ფერწასული
კაბადონები...

თავის მხატვრულ პორტრეტებში ლ. ასათიანი, როგორც თქმული იყო, თითქმის ყოველთვის იძლევა პიროვნების საინტერესო დახასიათებასაც. მაინც ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში შეიმჩნევა, ერთგვარი სტილიზაციის ელემენტები. მაგრამ თუ ამ სურათის მიხედვით ვიმსჯელებთ, მივხვდებით, რომ სტილიზაცია არც ისე სალანძღავი სიტყვა ყოფილა. პოეტს შეუძლია ესა თუ ის მოვლენა ან საგანი მოათავსოს ამა თუ იმ, მისთვის შესაფერ მხატვრულ გარემოში, და თუ ეს მხატვრული გარემო ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს, ყველაფერი გამართლებულია; თუ ესა თუ ის სურათი აღბეჭდილია ავტორის მკვეთრი შემოქმედებითი ინდივიდუალობით, სტილიზირება, როგორც ხერხი არ დაიწუნება.

როგორც ჟანრისტი ლ. ასათიანი ამგვარადვე კონკრეტულია და ერთგული ლოკალური კოლორიტისა. აღწერს იგი ცაგერის ბაზრობას, ლეჩხუმური შემოდგომის სურათებს, ფიროსმანის დუქანს, საახალწლო სამზადისს სოფელში („ორი საახალწლო“) თუ სხვ., პოეტი ცდილობს არა მარტო ფერადოვანი, სისხლსავსე და ანთებული პწკარები შექმნას, არამედ მასთან ერთად იყოს სინამდვილის ზუსტი ამსახველი და ამ კუთხის ეთნოგრაფიული მასალის კარგი მცოდნეც. იგი პოეტური ოსტატობით გადმოგვცემს ჩვენი პატარა სამშობლოს სხვა-

და სხვა კუთხეთა მრავალფეროვნებას, ნაირსახეობას და ცხოვრების რიტმის ერთგვარ სხვაობას. ყოველივე ამაში იმდენი სიყვარულია, რაც კი დიდად შთაგონებული ადამიანის სიცოცხლეში შეიძლება ჩაეტიოს.

მე მიყვარს თქვენი ხის სასთუმალი,
თქვენი ბორბლების მძლავრი გრიალი,
თქვენი ქალების ხშირი სტუმარი
ლურჯა აფხაზურ უნაგრიანი;

თქვენი ქაჯები და ალქაჯები
ია-იების თვალთა ბრიალით,
მთვარიანში რომ დაალაჯებენ
ბროწეულისფერ თავსაფრიანნი;

თქვენი სიზმრები, თქვენი ზღაპრები,
ღარის წყალივით გადაგდებული,
და საკალმახე ფიჩვის ლამპრები,
სიყვარულივით განათებული!

თქვენ, წისქვილებო, უნეტარესი
შთაგონებების რომ ხართ სადგური,
თქვენ, გუმარეშის მწვანე ჭალებში
ოცნებებივით რომ ხართ ჩადგმული,

ვერ დამაოკებს დიდი მანძილი,
ლექსო, სადავე მომეც ქარების!
თქვენს გაურანდავ ტახტზე გაზრდილი,
თქვენს სანახავად მოვეჩქარები!

როდესაც ამ ლექსს („ნამკაშურის წისქვილები“) ვკითხულობ, ასე მგონია, უცხო მოგზაურობიდან დაბრუნდა პოეტური გრძნობებისა თუ სამშობლოს სიყვარულით გახურებული მგზავრი, რომელსაც სურს მშობლიურ წყალში გაგრილება, მასში ჩაწოლა და ყვინთვა. „თქვენ, გუმარეშის მწვანე ჭალებში ოცნებებივით რომ ხართ ჩადგმული“, მიმართავს პოეტი მშობელი სოფლის წისქვილებს და თითქოს სურს მათი სიგრილით, და სიმშვიდით მოასვენოს თუ დააცხროს თავისი მშფოთვარე შთაგონება.

ლეჩხუმური სოფლის სურათთა გადმოცემისას ლადო ასათიანი ცდილობს შექმნას პოეტური ილუზია, თითქოს ჩვენთვის ყოველივე ეს ნაცნობია და ჩვენ მათი მხოლოდ მოგონება, გახსენება გვჭირდება.

მისი მშვენიერი ლექსები „ლეჩხუმური შემოდგომის სურათები“, „ბარდნალა“, „ბაბუაჩემი“ და სხვა, განგვაცდევინებენ მისი ადრეული ბავშვობის ულამაზეს შთაბეჭდილებებს, გვაცხოვრებენ იმ ცხოვრებით, როგორიც პატარაობისას პოეტს ჰქონდა იმ ადგილებში და ჩვენს წარმოდგენასა და მეხსიერებაში ისეთნაირად რჩებიან, როგორც ეს სწორედ მას განუცდია.

ხოლო იმას, ვისაც სოფლად ნაკლებად უცხოვრია, პოეტის მიერ შექმნილი ლეჩხუმური სოფლის პეიზაჟი და გემოვნებით აღწერილი იქაური ყოფა ნანატრ ეგზოტიკად, ან თავის მისადრეკ უმშვენიერეს ადგილად წარმოუდგენია. როგორც ვთქვით, ამ ნახევრად პასტორალურ პოეზიაში არ არსებობს რაიმე პოეტური განზოგადების ცდაც. ნაწარმოების ყოველი პოეტური პასაჟი მკვეთრად ლოკალიზებულია, ყოველი შტრიხი ეროვნული თავისებურებით გაცოცხლებულია და გახალისებული. ხანდახან კი ლექსის ნამდვილი მგზნებარება მის „კუთხურ“ კოლორიტულობაშიც უნდა ვეძიოთ. საერთოდ, კუთხური თემებისადმი მიდრეკილებისა და გატაცებისაგან საკმაოდ დიდი მწერლებიც არ არიან დაზღვეულნი.

ლადო ასათიანი თავის ცნობილ ლექსში — „ბარდნალა“ თავისი სიყრმის წლებს იგონებს, როდესაც მას ჯერ კიდევ მაჭარი ათრობდა და აბრუებდა. ეტყობა, პოეტს საამურ ქრუანტელს ჰგვრიდა იმდროინდელი სიტკბოებით სავსე ცხოვრების კიდევ ერთხელ ცხოვლად წარმოდგენა. ამიტომ ურჩევნია ჩამოთვალოს, გაიხსენოს ის ადგილები, სადაც მას ბავშვობა დარჩენია, სადაც მისი სისხლი და ხორცი — მამა და დედა ეგულება.

ამ ლექსში ავტორი მისთვის ყველაზე ამაჩუყებელ ადგილებსა და ადამიანებს იგონებს. პოეტის მშობლიური სოფელი ბარდნალა და ბარდნალელების ბორანი, მათი სახლის წინ მდგარი ნავრიგალარი, გაფითრებული ჭადარი ოჯახისეული კავი და სახნისი, თონე და ბეღელი, შიგ კი „პაწია ქოთანი, დუღილით ნაქოთქოთარი“... ყველაფერი ეს ავტორის პოეტური სიმღერის საგანია და ყველაფერი ეს ჭეშმარიტ მხატვრულ ხარისხშია აყვანილი.

პოეტი, თითქოს, მკითხველს მიმართავს: „გახსოვს ცხენისწყლის ნაპირი — თევზაობა და აპრილი?“ — და მკითხველის ფანტაზია დატყვევებულია ამ სურათებით; „გახსოვს ტყეები? ირიბად ხაზად დაკრული თარჯები“... და ჩვენც თითქოს გვაგონდება ეს ტყეები, თუმცა შესაძლოა ამ ლექსის მკითხველებს სულ არ გვენახოს ხეზე დაკრული თარჯი, ეს ხომ ჩვენს სინამდვილეში დიდი ხანია რაც არ არსებობს; თარჯს დასავლეთ საქართველოს მკვიდრი ხეზე დაჩნეულ იმ ნიშანს უწოდებდა, რომლითაც მისი კუთვნილი ტყის საზღვრის აღნიშვნა სურდა. პოეტი სტრიქონებს ხშირად ამგვარად იწყებს: გახსოვს?...

გახსოვს, ლვინიან შემოდგომს
აივანზე რომ შემოვდექ?
გახსოვს, აფთარი ზამთარი,
ან გაზაფხული — პირიქით?..

და ავტორის ეს ლირიკული მომართვა, ჩვენ არ ვიცით ეკუთვნის ამ ამბავთა მომსწრეს თუ იგი მართლა მკითხველისთვისაა განკუთვნილი.

ოსტატურადაა შესრულებული ლექსი „ცაგერის ბაზრობა“. ცაგერის ბაზრობის ფერადოვანი სცენები პოეტური ჟანრული ფერწერისა-

თვის და ამ სურათში ჩართული ნატურმორტისთვის კარგი ნატურა აღმოჩნდა. ლ. ასათიანის ამ ნაწარმოებში თითქოს არაა დაცული „პერსპექტივა“ და ფერწერულად იგი ერთპლანოვანი ჩანს; ამიტომ კომპოზიციურად ის თითქოს ფიროსმანის ზოგიერთ ტილოსაც ენათესავება. ისევე როგორც ქართველი პრიმიტივისტის ბევრ ტილოზე, აქაც ერთდროულად გამოსახულია უშველებელი ტერიტორია, დიდი მოცულობის მონაკვეთი ცაგერის საბაზრო ადგილისა: „სახელგანთქმული“ მურის ხიდი, თვითონ ბაზრის მოედანი, სამჭედლო, სადაც ვილაცას ურმის ბორბალი შეაქვს შესაკეთებლად, ძველი ციხე და, ბოლოს, მდინარე ცხენისწყალი, რომელიც შეღამებისას „როგორც ფანდური ჩაიღიღინებს ამ ბაზრობის თავგადასავალს“... დახატული სურათის ეს მრავალნაირობა თითქოს ფიროსმანის საყვარელი კომპოზიციური ხერხია.

მაგრამ ეს შედარება პირობითია და არა ზუსტი. ლექსში „ცაგერის ბაზრობა“ ავტორმა ადამიანების ხასიათები ან გარეგნული პორტრეტები თითქმის არ გადმოგვცა, მან სცადა უფრო მეტად ის ხმაური, ბაზრის გნიასი და ფერადოვნება გადმოეცა, რაც დასავლეთ საქართველოს დიდ ბაზრობას არანაკლებ ახასიათებს, ვიდრე ლიხსაქეთურისას.

მაგრამ, უფრო არსებითი განსხვავება სულ სხვაა. ლადო ასათიანის „ცაგერის ბაზრობას“ არ გააჩნია ის მდიდრული ქვეტექსტი, განზოგადების სიღრმე და სტილის ის მთლიანობა, რაც ნიკო ფიროსმანის სურათებში ჩვენს ყურადღებას იპყრობს.

ასე ყაყანებს, ასე ბორგავს მთელი ბაზარი,
თითქოს სიძვირეს ემუქრება შფოთის აწევით,
და მურის ციხე გადმოსცქერის ვით
ზარბაზანი, —
როგორ დადიან მოედანზე ქონდრის კაცები...

ლადო ასათიანმა კარგად იცოდა, რომ ფართოდ გაჩაღებული სასურსათო ბაზრობა ერთგვარ კმაყოფილებას იწვევს, რომ ეს სურათი ხალისიანია, ადამიანურია, მაგრამ არაა მოკლებული ერთგვარ კომიკურობასაც.

მაინც ყველაზე დიდი სიყვარული, პოეტური ენერგია ლ. ასათიანმა უდავოდ თავისი მამულიშვილური გრძნობების გამოსახატავად გაიღო. თუკი, საერთოდ, ყველა დროის ქართველ პოეტს ამ კეთილშობილური გრძნობისათვის თავისი ხარკი მიუძღვნია და სავსე ხმით უმღერია, ლადო ასათიანმაც თავდავიწყებით, ზარითა და შემმართებლობით შესწირა საქართველოს თავისი პოეტური ხმა, თავდადების მძლავრი სურვილი და თავგანწირვის ეს აუხსნელი სიხარული:

ცხრა ლახვარი რომ დამარტყათ ცხრაჯერ
გულში,
მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ,
დავიღლები საქართველოს სიყვარულში,
სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ!

მეორე ლექსში, რომელსაც „საქართველო“ ეწოდება, იგი პატრიოტული სულისკვეთების პოეტურ განცდას გამოხატავს. ასე მძლავრი სუნთქვით, პოეტური გზნებით თუ აღტაცებულობით მხოლოდ ჭეშმარიტი პოეტები მღერიან. ახალგაზრდა ხელოვანი მართლაც დიდ ზნეობრივ სიმტკიცეს, ლაზათს უნდა გრძნობდეს რომ ასეთი გატაცებით და რწმენით აღბეჭდილი სიტყვები წარმოთქვას:

ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს,
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს!
ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს!

რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თავისი მამულიშვილური გრძნობების გახცხადებისას ლ. ასათიანი არსად არ ეწევა თემის რაიმე განზოგადების, უფრო გაღრმავების ცდას და მისი ეს საყვარელი, პოეტურად მრავალგზის გააზრებული თემა მუდამ მისთვის ჩვეულ პლანში აქვს დამუშავებული.

ისტორიულ თემებზე დაწერილ ლირიკულ ლექსებს საპატიო ადგილი უკავია პოეტის მემკვიდრეობაში. ლადო ასათიანს უყვარს ისტორია, განსაკუთრებით თავისი სამშობლოს წარსული, მაგრამ მარტო იმიტომ არა, რომ იგი ჩვენ დიდ მამაპაპათა ბრძოლების მატიანეა, არამედ იმ მოსაზრებითაც, რომ ეს მატიანე მეტად მღელვარეა, უსწორმასწორო, სისხლით მორწყული და, როგორც იტყვიან, დრამატულია. პოეტს ეს მხარე უფრო აღელვებს, ფანტაზიას უცხოველებს. ისტორიულ თემებზე დაწერილი მისი ლექსები ხანდახან სიუჟეტურია და ისტორიულ დოკუმენტებს ეყრდნობა, ხან ხალხური თქმულებებისა და გადმოცემების პოეტურ ალქმას წარმოადგენს, ზოგჯერ კი წმინდა შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია, ცხოველი შთაგონებითაა ნასაზრდოები და ძნელია თქმა, თუ რომელს უფრო მკვეთრი ისტორიული კოლორიტი, ეროვნული სული და ვაჟკაცური ქღერადობა გააჩნიათ.

თუ ლ. ასათიანის ლექსების თემატურ რკალებად დაყოფას მოვისურვებდით, მაშინ უნდა ცალკე გამოიყოს ის ნაწარმოებნი, რომელნიც ხალხური გადმოცემების პოეტიზირებას წარმოადგენენ. ასეთი ხასიათის ერთ ლექსში („ქართლის გზაზე“) პოეტი თავის თანამგზავრს უხსნის, რომ გზაში ყაყაჩოს შეხვედრა სიკეთედ დაებედებათ. ეს ორი მგზავრი ყაყაჩოებით მოფენილ მინდვრებს, გორაკებს, ფერ-

დობეზს სერავს და როცა უფლისციხეს გამოცდებიან ამჩნევენ, რომ ყაყაჩო უფრო და უფრო ხშირდება. „სულ ახალგაზრდა ვიქნებით, გული არ დაგვიბერდება“ — განუმარტავს პოეტი თავის ძმობილს ბუნების ამ მშვენიერ სურათზე არსებულ ხალხურ გადმოცემას.

ამ ხალხურ თქმულებას, უდავოდ რაღაც ძალზე საინტერესო ფესვები აქვს. იგი, ეტყობა, დაკავშირებულია იმ ხატოვან ზეპირსიტყვიერ თქმულებებთან თუ ლეგენდასთან, რომლის თანახმად სამშობლოს გმირთა მიერ დაღვრილი სისხლი კვლავ უბრუნდება სიცოცხლეს და იქცევა ადამიანის თვალის გამახარებელი ფერის წითელ ყაყაჩოდ.

მამულის მინდორ-ველები, სერები თუ ფერდობები, რომლებიც ახლა ყაყაჩოს დაუპყრია, უნდა ვივარაუდოთ, რომ თავის დროზე შემოსეულ გარეშე მტერთან ბრძოლის მეტად სასტიკი ასპარეზი ყოფილა. ამ ბრძოლებში ურიცხვი ქართველი გმირი დაღუპულა, მიწა მათი სისხლით — სიცოცხლის წვენით — მორწყულა და ახლა თითოეული ყაყაჩო თითქოს მათ ხსოვნას ინახავს. ჩვენს მინდვრებზე გაშლილ, აყვავილებულ თითოეულ ყაყაჩოში ქართველი კაცის ერთი წვეთი სისხლი ანთიაო, — გვეუბნება ავტორი. ეს მშვენიერი პოეტური ახსნა, ალბათ, ხალხურ გადმოცემას ეყრდნობა. აკი პოეტი ამბობს, ყაყაჩოს გზაში შეხვედრა სასიკეთოა და გული არ დაგვიბერდებაო.

თქმულების აზრი, უდავოდ ის უნდა იყოს, რომ თუკი ყაყაჩოები სამშობლოს თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის დაცემულ ქართველთა სისხლით არიან შეფერილნი, მათი სიხშირე ამ ერის მხოლოდ გულადობას და დიდ გმირობას მოწმობს. დიდძალი რიცხვი გაშლილ ყაყაჩოებისა ამ ერის მამაკაცების თავდადებაზე, უტეხ ნებაზე და ვაჟკაცობაზე მეტყველებენ.

ჰეი, ძმობილო, შეხედე, რამდენი ყაყაჩო
გაშლილა,
რაც უფლისციხეს გამოვცდით, უფრო და
უფრო გახშირდა;
მინდვრებს, გორაკებს, ფერდობებს ეფინება
და ედება:
გზაში ყაყაჩოს შეხვედრა სიკეთედ
დაგვებედება:
სულ ახალგაზრდა ვიქნებით, გული არ
დაგვიბერდება!

ჰეი, ძმობილო, შეხედე, რამდენი ყაყაჩო
გაშლილა,
რაც უფლისციხეს გამოვცდით, უფრო და
უფრო გახშირდა;
მოდი ჩვენ ესეც ვიკმაროთ და სხვა დიდება
ნუ გვინდა,
ყაყაჩომ თუ მოგვანათოს ლამაზი ქალის
შუქითა!

ამიტომ გასაკვირიც არ უნდა იყოს, რომ მათი საფლავებისა და გმირული ეპიზოდების გახსენება, რომელთა ნიშანი ამჟამად თითქოს ყაყაჩოს ფურცლებზეა შენახული, ადამიანს ახალგაზრდობასა და სიცოცხლის ძალას ჰმატებს.

ამავე ნაწარმოებში — „ქართლის გზაზე“ ეს ყაყაჩოები შედარებულნი არიან ლამაზ ქალთან, მის ეშხიან გამოხედვასთან, მაგრამ ეს თემა გაცილებით უფრო პოეტურად გადაჭრილია მის მეორე ლექსში — „ყაყაჩო“.

„ყაყაჩო“ ძალზე ემოციურ ნაწარმოებად ითვლება ლ. ასათიანის პოეტურ მემკვიდრეობაში. ამ ლექსში პოეტმა ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ იგი სატრფიალო ლირიკის კარგი ოსტატია და სიყვარულის შესაიდუმლეა. ამ ლექსში ფერები ხან ანთია, ხან ქრება, რომ კვლავ დიდი ძალით და შუქით იფეთქოს.

მაგრამ მთავარ მიზანს ამ ლექსში, უდავოდ, შეადგენს ზემოაღნიშნული — ყაყაჩოს პოეტური სიმბოლიკის დამუშავება. ლ. ასათიანი ამ ლექსში პირდაპირ გვეუბნება, რომ თუკი ძველ ნაომარ და ნაასპარეზევ ადგილს გაივლით, იგი ყაყაჩოებით დაფარულიაო, ხოლო იმას, რომ გმირთა ძვლები მშვიდად განისვენებენ საფლავებში და მათ სინდისის ქეჯნა არ აწუხებთ, ჩვენ კარგად ვგრძნობთ ამ ყაყაჩოების მხიარული და სიცოცხლით სავსე გამოხედვიდან.

ეს, ჩვენი ფიქრით, თავისებური პოეტური ხერხია, როდესაც სიკვდილის მოტივი ორგანულად დაკავშირებულია სიყვარულთან და ცხოვრების მშვენიერების გამომხატველ სახესთან. მართალია, ამ ორი დიდი ცნებისა და საკითხის ურთიერთდაკავშირება არ წარმოადგენს ახალ ნაბიჯს პოეტურ აზროვნებაში. ეს პრობლემა კარგა ხანია, რაც ძირეულად იქცა კერძოდ მხატვრულ ლიტერატურაში; მაგრამ, აქვე აღვნიშნავთ, რომ ლადო ასათიანმა ორიგინალური ხერხით შეძლო ამ თემის მეტად თავისებური ვარიაციის შექმნა.

ლ. ასათიანის ეს ყაყაჩო მეტად გრძნობისმიერია და უცნობ მამაკაცს თავის სიხარულს და ბედნიერების გრძნობებს ვერ უმალავს. წითელი ყაყაჩო, რომელიც ლექსში ლამაზი, პირმცინარი ქალის ჟღერადი მეტაფორაა, სავსეა გაზაფხულის სურვილებით:

შემომხვდა, შემომანათა,
ჩინჩხლები შემომაყარა,
ალუჩა—ტყემლის შემოსვლა
და გაზაფხული მახარა...

იგი საკმარისი პოეტური სინაზით აგვიწერს ამ ყაყაჩოსთან შეხვედრის სცენას:

უცხო კაცად რომ შემიცნო,
შერცხვა და თავი დახარა.

შერცხვა და თავი დახარა,
სიწითლემ გადაუარა,
ალბათ იმაზე დაფიქრდა,
მოვეწონეო თუ არა?!

ხმიერი პოეტური მეტყველებით, და მძლავრი მამაკაცური ვნებიანობით გამოირჩევა „კრწანისის ყაყაჩოები“. ეს ძალოვანი ემოციური ლექსი რაღაცნაირად ავსებულია ღონიერი და წონიანი სიტყვებით, დინჯი, მაგრამ გაბედული რაინდული მოძრაობებით და შინაგანი ექსპრესიით. მართალია, ნაწარმოების შინაგანი ტემბრი მეტად ოცნებიანი, შემტევია, მაინც დიდი სიდარბაისლე და ღირსების გრძნობა ჩანს ავტორის პოეტურ ჩანაფიქრში.

ეს ლექსი, რაც საერთოდ, დამახასიათებელია ლადო ასათიანის პოეზიისთვის, თითქოს არა მარტო გრძნობების აღმძვრელია, არამედ პოეტური მოწოდების შემცველიცაა. „კრწანისის ყაყაჩოები“ იმგვარ თვისებებს და ისეთი ზეგავლენის უნარს ამჟღავნებს, როგორიც, ომში მიმავალ ადამიანისთვის ლაშქრულ სიმღერას გააჩნია.

ლ. ასათიანის შემოქმედი სულისთვის ნიშანდობლივია მკვეთრად გამოხატული პათეტიკურობა, გრძნობის ერთგვარი თავაწყვეტილობა, ეგზალტურობა. მას ჰქონდა ის ბედნიერი ნიჭი, რომელიც შემოქმედს საშუალებას ახიჭებს სრულად გამოხატოს საკუთარი თავი, თავისი განცდები, ტკივილები თუ სასიხარულო ემოციები. „კრწანისის ყაყაჩოებში“ მას აღაგზნებდა ანგარიშმიუცემელი სიყვარული სამშობლოსადმი, მისი წარსულისა და აწმყოსადმი, მომავლისადმი, რათა ბოლომდე დაეცალა თავისი გრძნობა, ლექსში დაეწურა თავისი სულის სილამაზე და ზოზოქრობა. ამ ლექსში იგი აშკარად ამჟღავნებს თავის მეტაფორულ პოეტურ ბუნებას და ყაყაჩოს წითელ ფერს შავჩოხიანი ვაჟკაცის სისხლს უწოდებს. ამაზე უფრო საალერსო მეტაფორა, ეტყობა, ვერ მოიფიქრა პოეტმა და მართლაც, იგი ძნელად მოსაძებნია.

ლადო ასათიანის პოეზიას აშკარად გამოხატული გმირული იერი გადაჰკრავს. მეგობრისადმი მიძღვნილ ერთ ლექსში იგი ასე მიმართავს აღრესატს: „შენ ხმა დაჰკარგე წინაპრის, მამაცი მეციხოვნისა: მე გავაცოცხლე ხმა იგი“-ო. მართლაც, ლ. ასათიანის პოეტური შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია ხშირი ბატალური სცენების წარმოდგენა და ვაჟკაცური ასპარეზობის ნამდვილი კულტური შეგრძნება, ლექსში ქართველ გმირებთან ვაჟკაცურადვე შესიტყვება.

* *
*

ლ. ასათიანისათვის უცხო არ ყოფილა ნამდვილი მოქალაქეობრივი მოტივები. ერთ თავის ცნობილ ლექსში — „ვაჟა-ფშაველას ნაამბობი“ პოეტი ვაჟას გამოათქმევინებს მოსაზრებას, თითქოს იგი გულნაკლულია იმ გარემოებით, რომ ამ ქვეყნად მოსულა მხოლოდ და მხოლოდ ლექსების საწერად.

ლ. ასათიანი, უდავოდ, ეთანხმება ვაჟა-ფშაველას ამ მოსაზრებას, კიდევ უფრო მეტი, ეს მისი პირადი შეხედულებაც არის. რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ყოველივე ამის შემდეგ, თუ არა ის, რომ ლ. ასათიანი თითქო მორალურ კმაყოფილებას ვერ იღებდა იმ მოვლენიდან, რომ იგი სამშობლოს კეთილდღეობის მოსაპოვებლად გამართულ ბრძოლაში სხვაგვარად ვერ მონაწილეობდა. როგორც ჩანს, ზოგიერთი სხვა მწერლის მსგავსად, როდესაც ისინი ზნეობრივი რიგის შემოტევებს განიცდიდნენ და მწერლობას, სიმღერების აწყობას ოდნავ სათაკილო საქმიანობად თვლიდნენ, ლ. ასათიანიც ასეთსავე წუხილს გამოთქვამს:

ვინ დამიბედა გზები პოეტის,
ვინ გამამზადა საბედისწეროდ!
ნუთუ ამ ქვეყნად მისთვის მოვედი,
რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო?

ვაჟა-ფშაველას ამ ნამდვილი გულისტკივილით წარმოთქმულ სიტყვებში პოეტმა საკუთარი გულის ძახილიც ჩადო.

მეორე, არა ნაკლებ ცნობილ ლექსში — — „თქვენ გეუბნებით, ძმებო მგოსნებო“ ლ. ასათიანი იგივე თემას ამუშავებს, მხოლოდ თავისებური ვარიანტით. ამ ნაწარმოებში იგი უშუალოდ თავის კოლეგებს — საქართველოს პოეტებს მოუწოდებს მამულის კეთილდღეობისთვის თავდადებისკენ. „რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი, თუ მამულს თავი არ ანაცვალე“, ასე უბრალოდ, ძალდაუტანებლად, ყოველგვარი გარეგანი პათეტიკის გარეშე გამოსთქვამს პოეტი მისთვის ყველაზე მძლავრ და მაღლობელ გრძნობას.

ლადო ასათიანი გრძნობდა საკუთარი ლექსების ძალას, სწამდა მათი სასიკეთო და მართალი დანიშნულება, მაგრამ დაუკმაყოფილებლობის განცდა მაინც თავიდან ვერ მოეშორებინა. პოეტს აწვალებდა კიდევ უფრო მეტის გაკეთების სურვილი. ეს შინაგანი უკმაყოფილება მას უჩნდებოდა უნდა ვიფიქროთ, მოქალაქეობრივი შეგნების საფუძველზე:

რომ ვდგევარ ახლა თბილისის კართან,
შენ გეკითხები, ცაო ნათელო,
ამ უხეირო ლექსების გარდა
რას გაუკეთებ მე საქართველოს?
რომ ვდგევარ ახლა თბილისის კართან,
თქვენ გეუბნებით, ძმებო მგოსნებო,
ამ უხეირო ლექსების გარდა
დაგვრჩა საფიქრი და საოცნებო...

პოეტს პირველ რიგში, ცხადია, კარგი ლექსები მოეთხოვება და არც შეიძლება ამ

ლექსის შინაარსი პირდაპირ, ზედმიწევნით გავიგოთ, ისე, თითქოს პოეტის საქმიანობა არ იყოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე. ლ. ასათიანის ამ ნაწარმოებში გამოთქმული მოსაზრება უფრო ფიგურალურია და მის ღრმა მოქალაქეობრივ განწყობილებაზე მეტყველებს.

ეტყობა, ლადო ასათიანიც თავისებურად გაურბოდა მოცლილობის კვირაძალს. იგი, შესაძლებელია. წინასწარი განზრახვით არიდებდა თავს მის ჟრიამულსა და ხმაურს, შესაძლებელია ისიც, რომ მისი ლექსი „დასვენების დღე“ უბრალო შემთხვევითობას, პოეტურ სიტყვის თამაშს წარმოადგენდეს.

ყოველ შემთხვევაში, ეს დღე ლადო ასათიანისთვის, როგორც ჩანს, მუდამ ნაყოფიერი და შრომის ზეიმით ყოფილა აღნიშნული. დასვენების დღე მისთვის შემოქმედებითი დღეც ყოფილა. იგი სწორედ ამ დღეს ეწევა შთაგონებულ მუშაობას. სწორედ მაშინ, როდესაც სხვები ერთობიან ან თავდავიწყებას ეძლევიან, პოეტი თავს რგავს სამუშაოში, იგი შემოქმედებითი თავდავიწყებით ითვრება. შეიძლება ამგვარი დაპირისპირება არ იყოს შემთხვევითი, თუმცა კი თვით პოეტს არსად აქვს გამოთქმული გულისწყრომა ან აუგი ამ დღეზე:

ისვენებს ხალხი, პოეტი მარტო
ფიქრობს და იწვის ლექსის მშვენებით
და ვამბობ: ქვეყნად პოეტის გარდა
ყველას ჰქონია დღე დასვენების!
პოეტი ლექსის სტრიქონებს ებრძვის
უხილავს, ფარულს, ჯერ დაუსტამბავს,
მერე წავა და შრომადღეს ეტყვის
დასვენების და გართობის ამბავს.

ლადო ასათიანის აზრით, სულიერი მოღვაწეობა, შემოქმედებითი მუშაობა ადამიანს დროებით მაინც ანიჭებს მორალურ კმაყოფილებას. სწორედ ამ ზნეობრივი კმაყოფილებისკენ ისწრაფვის იგი მაშინაც, როდესაც თავაუღებლივ იღწვის, სხვები კი დროს დაუნანებლად ფლანგავენ.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლადო ასათიანის პოეზიაში მის ცნობილ ლექსს „სასაფლაოს“. ეს ნაწარმოები უცნაური ჩვენებებით, მეტად მძიმე გრძნობებით და სიკვდილის მკვეთრი სიმბოლიკით არის აღბეჭდილი. მკითხველს ეს დინჯი რიტმით მიმდინარე ჩამწვდომი ლექსი ხან „უფლის ხელით“ შესრულებული პარადიზის უცნაურ ნახატად მიაჩნია, ხან სიკვდილის შიშის პოეტურ პროექციად, ოდნავ შემაძრწუნებელ ზმანებად, მაგრამ უფრო დამაჯერებელი იქნება თუ ვიტყვით, რომ ლადო ასათიანის ეს ლექსი მწარე და გულის შემკუმშველი პოეტური რექვიემია, სამგლოვიარო, გამოსათხოვარი სიმღერა.

„გახსოვდეს სიკვდილი!“ — თურმე ასე ესალმებოდნენ უწინ ერთმანეთს კაპუცინის ორდენის წევრები. ლ. ასათიანის „სასაფლაოც“ თავისებური, პოეტური „მემენტო მორია“. პოეტის ეს ნაწარმოები სავსეა გამოუთქმელი, თავისებური პოეტური ხატებით, რომელნიც სიკვდილის მეტაფორულ გამოსახულებებად წარმოგვიდგებიან: „იესოს ლურჯი ტანი“, „შავი ჯვრების მაღლობიდან“ გაფრენილი პეპლები, მდუმარე ლოდების ხანგრძლივი ჰვრეტა და შავფრთიანი სიკვდილის ყელზე შემოხვევა ჩვენ, ძალაუნებურად, სიკვდილისა და მტვრად ქცევის ხატოვან წარმოდგენებს აღგვიძრავენ. და მით უფრო უსიამოვნოა ამ მკვდრულ ატმოსფეროსა და გარემოში მოჩუხჩუხე ნაკადულის — „სიცოცხლის ლურჯი თვალის“ ცქერა და მოსმენა, რომ იგი თითქოს სასაფლაოსთვის უხერხულ კონტრასტს ქმნის და, პოეტის სიტყვით, არის... „იესოს ტანჯულ მკერდზე გადმომსკდარი სისხლის ღვარი“.

ეს ნაწარმოები პოეტმა თავის ქალიშვილს, მანანას უძღვნა და ამით კიდევ უფრო მძლავრად გაუსვა ხაზი, თუ როგორ მწარეა სიცოცხლესთან, საკუთარ სისხლ-ხორცთან გამოთხოვება. ეს გამოთხოვება კი იმდენად მძიმე იყო, რომ პოეტმა სიკვდილის მწვავე განცდებსა და სახეებში საკუთარი ქალიშვილის სახეც გაურია, იგი მოუგონარი ვერ დატოვა.

...ეს მე ვმდგარვარ, შვილო ჩემო, ცივი ქვების პირდაპირა
და სიკვდილი შავფრთიანი ყელს მხვევია ბირდაბირად.
მე მიგრძვნია შავი შიში ამ მდუმარე ლოდებიდან:
მეც აქ უნდა დამეძინოს! მეც აქ უნდა მქონდეს ბინა!
იქნებ ეგ სულ მალე მოხდეს, იქნებ ღირს ვარ გასაწირად,
მაშინ ერთი დაიხსოვნე, ჩემო ქალო, პაწაწინავ:
მოცქრიალდი ჩემ საფლავთან, ვით სიცოცხლის ლურჯი თვალი,
ვით ეს შლეგი ნაკადული, ვით ყვავილთა ღედოფალი,
დაიხარე პიტალოზე ამაყი და დამამშვენი
და ყვავილთა ღედოფალო, მოიგონე მამაშენი,
მოიგონე მამაშენი, შუშა-ოქროდ გასაზრდელო,
სთქვი, რომ მოკვდა სიყვარულით — შეუყვარდა საქართველო.
სთქვი და ისე გაიცინე, მანანაო თვალხატულავ,
რომ მე გულზე გადმიქროლოს სიცოცხლედ და ნაკადულად!
ვის უნახავს სასაფლაო, უფლის ხელით დახატული,

ვის უნახავს, საფლავებში როგორ მოქრის
ნაკადული,
როგორ მოქრის, როგორ მოქუხს, ვით
სიცოცხლე უშიშარი,
და როგორ სდუმს სასაფლაო, ვით იესოს
ლურჯი ტანი?!

როგორც ჩანს, მუდამ ასეთი მძაფრია პოეტების გედის სიმღერა, როდესაც მათ ირგვლივ სიკვდილის ლანდები სულ უფრო და უფრო მკვეთრდებიან. ისინი სიცოცხლესთან ერთად ეთხოვებიან მათთვის უსაყვარლეს ადამიანებს, დედაბუნების სილამაზეს, მაგრამ არა ნაკლები ტკივილებით სტოვებენ ისინი შემოქმედებითა და წვით აღნიშნულ საკუთარ პოეტურ სულს, მდიდარ და ამოუწურავ შთაგონებას. განსაკუთრებით მწვავეა ეს მომენტი მაშინ, როდესაც ხელოვანი გრძნობს, რომ მისი სულიერი აყვავება და სრულყოფა ჯერ ისევ წინაა და იგი განუხორციელებელი, მოუმწიფებელი რჩება. სწორედ ასეთი იყო ლადო ასათიანი, ასე შუა გზაზე გაჩერდა მისი სიცოცხლე და პოეზია...

• •
•

ლადო ასათიანის სატრფიალო პოეზია საკმაოდ თავისებური, სპეციფიკურია. ეს სპეციფიკა მას, უდავოდ, ამ დარგის ავტობიოგრაფიულობიდან აქვს შეძენილი. ლ. ასათიანისთვის ბიოგრაფიული სიცხადე და სიმართლე პრინციპულ საკითხს წარმოადგენდა. ამიტომაც მისი ბევრი ლექსი, მათ შორის სასიყვარულო ლირიკის ნიმუშებიც, ნაკარნახევი და შეპირობებულია საკუთარი ცხოვრების გამოცდილებით და შინაარსით.

ავადმყოფ მგოსანს თავის სატრფიალო ნაწარმოებებში მუდამ შეჰქონდა სიყვარულის განწირულების გამოუთქმელი მწუხარება. ეს მომენტი მეტად ნიშნეული გახდა პოეტის სასიყვარულო თემატიკისთვის. მის ერთ ადრეულ, ძალზე ემოციურ ლექსში — „კაფე რიონის პირად“ ლაპარაკია სიყვარულზე, რომელიც ერთ დროს ძვირფასს ოცნებას უდრიდა, მაგრამ ამავე დროს, ავტორს არ შორდება რაღაც მღრღნელი სევდა: ყველაზე დიდი გატაცების წუთებშიც იგი ფიქრობს საკუთარ მომავალზე და ამჩნევს, რომ ის მხოლოდ მეოცნებე, შავებით მოსილი, მწუხარე სახის მგზავრია...

ლადო ასათიანი ნამდვილი პოეტური არტისტობით ამკობდა თავისი ლექსების სტრიქონებს, მაგრამ ამ არტისტიზმს კიდევ უფრო ამძაფრებდა ვაჟკაცურად ულმობელი დამოკიდებულება და მიმართვა საკუთარი ბედისა თუ მომავლისადმი. იგი უცნაური, ღრმა ტკივილითაღსავსე სიტყვებს იშველიებდა თავის სიყვარულთან, ოჯახთან თუ ქალიშვილთან გამოსათხოვრად დაწერილ ლექსებში, რითაც ბიოგრაფიული სიმწვავე შეჰქონდა პოეზიაში. ლექსში ამგვარი ტკივილის შეტახით სურდა საკუთარი ტკივილის დაცხრობა. როდესაც ჩვენ ვკითხულობთ მის ცნობილ ლექსს—„ამისი ქმარი სარდაფში მოკვდა“, ვხედავთ, რომ ეს ბოჰემური ადამიანის უცნაური პოზა კი არაა, არამედ განწირული ადამიანის მეტად მწარე საფიქრელი. ამ გარემოებამ მკვეთრი დაღი დაასვა ლადო ასათიანის სასიყვარულო პოეზიას. ეს მით უფრო დასანანია, რომ პოეტს სიყვარულის ძალა ხანძრად წარმოედგინა და სიცოცხლის ბოლომდე მისი ტყვეობის დამფასებელი და მონატრული იყო:

...პატარა სახლიდან შარაგზის პირამდე
უეცრად იფეთქებს ნაძვნარი:
ეს იგი გამოჩნდა და ბილიკს მინათებს
მისი ნაწნავების ხანძარი...

„რამდენიმე წლის წინათ მწერალთა წრეში გაიელვა ახალგაზრდა პოეტმა ლადო ასათიანმა — მეტად ჩამწვდომად წერდა პოეტი სიმონ ჩიქოვანი. — მან მოსვლისთანავე მიიპყრო ჩვენი ყურადღება და თავისი უტყუარი ნიჭიერება გამოამჟღავნა. შთაგონებით გაბრუებული და ყოველთვის პოეტური სიმღერისათვის განმზადილი მოგვევლინა იგი. მგალობელივით ყელამართული და ოდნავ მხრებში მოხრილი შემოდიოდა ხოლმე ახალგაზრდა პოეტი მწერალთა სასახლეში. ხელების მოწყვეტილ მოძრაობას აყოლებდა თავის გაბზარულ პოეტურ ხმას და პოეზიის შეუნელებელი ცეცხლით იწოდა. თითქოს ყოველთვის წუხდა, მუდამ ნერვიულობდა და განუწყვეტლივ მიჰქონდა იერიში უჩინარი მეტოქის წინააღმდეგ...

დაუძლურებული და ლოგინში მწოლიარე, მაისის სიცხიან დღეებში ცხრა ძმა ხერხეულიძის ვაჟკაცობაზე საგალობელს სთხზავდა და დასუსტებულ ხმას ლექსების კითხვაზე ხარჯავდა.

„გაფრინდება სიყმაწვილე შფოთიანი,
წრფელი გული, ცხელი გული გაცივდება“,—

იმეორებდა სიცხიანი და ლოგინში ლექსებით იბრუნებდა სულს. ამ სტრიქონებით იგი ცხოვრებას კი არ ეთხოვებოდა, არამედ ლექსების თქმით სიცოცხლის გახანგრძლივებას ცდილობდა და პოეზიაზე ბაასით სიკვდილის მოახლოვებას ივიწყებდა“.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ასათიანი

★

# მეგობრობის მატიანედან

> Грузино-русских строк отряды /
> В примерном встретились бою».
>
> Н. Тихонов.

## წერილი მეორე

მაიაკოვსკისა და ესენინის ურთიერთდამოკიდებულება ქართველ პოეტებთან მოძმე მწერლობის წარმომადგენელთა შინაგანი სიახლოვის პირველი კანონზომიერი გამოვლინება იყო.

მაგრამ დღეს, როდესაც რუსი და ქართველი პოეტების მეგობრობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ სულ უფრო ხშირად ახლებურად გვესმის ეს სიტყვები.

არსებობენ რუსი პოეტები, რომელთა სახელი ჩვენს დროში განუყრელად დაუკავშირდა ქართული პოეზიის ცოცხალ ისტორიას. ძნელი იქნებოდა, მაგალითად, წარმოგვედგინა საერთაშორისო რეზონანსი ჩვენი პოეზიისა, თუ არ გავითვალისწინებდით იმ დიდსა და კეთილშობილ ღვაწლს, რომელიც გასწიეს რუსული ლექსის ცნობილმა ოსტატებმა ნ. ტიხონოვმა, ბ. პასტერნაკმა, პ. ანტოკოლსკიმ, ნ. ზაბოლოცკიმ, ლ. მარტინოვმა, მ. ლოზინსკიმ ვ. დერჟავინმა და სხვებმა — პოეტების მთელმა პლეადამ, რომელთაც ქართული პოეზიის გამარჯვებები საბჭოეთის მრავალმილიონიან მკითხველამდე მიიტანეს. ამ შესანიშნავმა ტრადიციამ თავისი გაგრძელება პოვა რუსული პოეზიის უმცროსი თაობის წარმომადგენელთა შემოქმედებაშიც. ჩვენ მხედველობაში გვყავს ა. მეჟიროვი, მ. ლუკონინი, ნ. გრებნევი, ე. ევტუშენკო, ბ. ახმადულინა და სხვა ახალგაზრდა რუსი პოეტები.

1933 წელს მაქსიმ გორკის ინიციატივით საქართველოში ჩამოვიდა რუსი მწერლების სპეციალური ჯგუფი, რომელშიც სხვათაშორის შედიოდნენ ნ. ტიხონოვი, პ. პავლენკო, ბ. პასტერნაკი, ო. ფორში და ვ. გოლცევი. სწორედ ამ შემოქმედებითმა ჯგუფმა ჩაუყარა საფუძველი ქართულ საბჭოთა ლიტერატურის მონაპოვართა რუსულ ენაზე თარგმნისა და პოპულარიზაციის საქმეს.

რუსული მწერლობის გამოჩენილ წარმომადგენლებთან მეგობრობამ და თანამშრომლობამ დიდი სარგებლობა მოუტანა ბევრ ქართველ პოეტს, შესამჩნევად გააფართოვა მათი იდეური ჰორიზონტი და შემოქმედებით ინტერესთა რკალი. თავის მხრივ საქართველოსთან და ქართველ მწერლობასთან დაახლოვებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მთელი რიგი რუსი პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

ნ. ტიხონოვი ეკუთვნის იმ პოეტთა რიცხვს, რომელთაც ქართული სინამდვილის და ქართული პოეზიის ზეგავლენით შექმნეს მათი შემოქმედებისათვის საეტაპო მნიშვნელობის ნაწარმოებები.

შეიძლება ითქვას, რომ ნ. ტიხონოვმა რუსულ პოეზიაში გააკეთა ის, რაზედაც ოცნებობდნენ ესენინი და მაიაკოვსკი. გიორგი ლეონიძე ნ. ტიხონოვის ლექსების წიგნის წინასიტყვაობაში წერს: „ბევრი რუსი პოეტი ყოფილა საქართველოში. მაიაკოვსკიზე და ესენინზე საქართველომ მოახდინა ბევრად უფრო ძლიერი გავლენა, ვიდრე ეს უშუალოდ აისახა მათ შემოქმედებაში. მაგრამ პირველმა ვერ მოასწრო ემღერა საქართველოს ზეცისათვის, რის შესახებაც ასეთი სინანულით წერდა. ვერც მეორემ შესძლო „საქართველოს კაეოვანი გზების“ გავლა. მე კარგად მახსოვს ესენინი ტიციან ტაბიძის ბინაზე, როდესაც იგი ლაპარაკობდა როგორი ახალი ძალა, როგორი ახალი სულიერი მოძრაობა გამოიწვია მასში საქართველომ, რომ იგი შექმნის ლექსების ციკლს საქართველოს შესახებ. ეს იყო თბილისში ესენინის უკანასკნელი ჩამოსვლის დროს. ის, რისი გაკეთებაც ვერ მოასწრეს მაიაკოვსკიმ და ესენინმა, განახორციელა ნიკოლოზ ტიხონოვმა“.

ნიკოლოზ ტიხონოვი საქართველოს პირველად 1924 წელს ეწვია (მაიაკოვსკიმ, რომელიც თბილისში ამავე წლის აგვისტოში ჩამოვიდა, უკვე ველარ ჩამოუსწრო ტიხონოვს).

ეს იყო ახალგაზრდა საბჭოთა პოეზიის ჩამოყალიბების დრო. „გმირთა ძიების“, შემოქმედებითი „დუღილის“, გაბედული ექსპერიმენტების, ბრძოლის, დისკუსიების, შეცდომებისა და აღმოჩენების წლები.

ყოველივე ეს თავისებურად აისახა ტიხონოვის პოემაში „გზა“, რომელიც 1924 წლის სექტემბერ-ნოემბერში დაიწერა.

„გზა“ — თავისებური ლირიკული დღიურია, რომელშიც პოეტი გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებსა და ფიქრებს.

ეს პოემა ბევრად უფრო მკაფიოდ ასახავს იმ განწყობილებებსა და პოეტურ წარმოდგენებს, რომლებიც ტიხონოვს თან ჩამოჰყვნენ საქართველოში, ვიდრე იმას, რაც მან უშუალოდ დაინახა და განიცადა ამ ქვეყანაში.

პოემა „გზა“-ს არ ამოუწურავს მცირედიც კი იმისა, რაც რუსმა პოეტმა აღმოაჩინა და შეითვისა საქართველოში. შემდგომი წლების მანძილზე მის მიერ აქ მიღებული შთაბეჭდილებები თითქოს მწიფდებოდნენ და თანდათან დასრულებულ სახეს იღებდნენ პოეტის შეგნებაში.

1933 წელს ნიკოლოზ ტიხონოვი სხვა რუს მწერლებთან ერთად კვლავ ჩამოდის საქართველოში. ამ დროიდან იწყება მისი სისტემატური მუშაობა ქართული კლასიკური თუ საბჭოთა პოეტური მემკვიდრეობისა და განსაკუთრებით თანამედროვე საბჭოთა პოეზიის თარგმნის სფეროში.

იმ ათი წლის მანძილზე, რომლებიც ტიხონოვის „ლექსებს კახეთზე“ ხსენებული პოემისაგან აშორებს, რუსმა პოეტმა შემოქმედებითი განვითარების დიდი და რთული გზა განვლო.

ამ ხნის განმავლობაში შეიქმნა მისი ლექსების ციკლი „იურგა“, წიგნი „ომი“, ნარკვევებისა და მოთხრობების რამდენიმე კრებული.

ტიხონოვის ამდროინდელი შემოქმედება აღბეჭდილია კიდევ უფრო მძაფრი შინაგანი წინააღმდეგობებით და ძიებებით. „იურგის“ პოეტური ენა უკვე საგრძნობლად განსხვავდება ტიხონოვის ადრინდელ ნაწარმოებებისაგან, ბუნებრივი სისადავითა და სახეთა კონკრეტულობით. მაგრამ ახალი ფორმის ძიებას პოეტი ამ დროს ხშირად მიჰყავს ახალ წინააღმდეგობებთან და უკიდურესობებთანაც.

აქ საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს ერთი მომენტი, რომელსაც საზოგადოთ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ტიხონოვის ესთეტიურ შეხედულებათა ევოლუციაში. 20-იან წლების ზოგიერთ ლექსში, რომელთა პათოსი უმთავრესად ახალი ყაიდის „მეშჩანობის“ წინააღმდეგ იყო მიმართული ნ. ტიხონოვი ქმნის თავისებურ კონცეფციას: მისი წარმოდგენით, პოეტური ფანტაზიის ამაღლებულ სახეებსა და ჩვენებებს არაფერი საერთო არა აქვთ ყოველდღიურობის მდაბალ რეალობასთან. პოეზიისა და სინამდვილის ეს ურთიერთ შეუთავსებლობის იდეა მკაფიოდ არის გამოხატული კერძოდ მის ცნობილ ლექსში „უბრალოდ სახლი“.

მაგრამ, მეორეს მხრივ, ისეთ ლექსებში, როგორიცაა, მაგალითად, „რემონტი“ (1929 წ.) ტიხონოვი ცდილობს სამუდამოდ უარი სთქვას „ფანტაზიის სხივთა კონებზე“ და ლექსის ერთადერთ ღირსებად „სიზუსტესა და ვარგისიანობას“ აცხადებს.

თუ აქ გავიხსენებთ სამოქალაქო ომის ქარცეცხლში შექმნილ ტიხონოვის ცნობილ პოეტურ ციკლებს „ბრაგას“ და „ორდას“, ცხადი გახდება, რომ ამ ლექსების ავტორისათვის, მისი „დღესასწაულებრივი“, „მხიარული“ და „შმაგი“ პოეტური ბუნებისათვის ასეთი ხასიათის „სიფხიზლე“ თავისებური თვითუარყოფის ცდას წარმოადგენდა.

აქ ნიკოლოზ ტიხონოვი გარკვეული თვალსაზრისით უარს ამბობდა არა მხოლოდ თავის ადრინდელ შეხედულებებზე, იგი ღალატობდა საკუთარ პოეტურ სამყაროს, ღალატობდა იმ მჩქეფარე და მოუსვენარ ფანტაზიის ნიჭს, რომელიც შესაძლებელს ხდიდა ხსენებული ციკლების ავტორისათვის შეემჩნია, „ყოველი ადამიანის გამოხედვაში ვარსკვლავის ქაფი, და ყოველ ნაბიჯში ახალ სივრცეთა დაბადება“.

შეიძლება ითქვას, რომ ნიკოლოზ ტიხონოვმა 1935 წელს შექმნილ თავის ცნობილ ლექსებში კახეთზე („Стихи о Кахетии“) კვლავ აღმოაჩინა საკუთარი თავი და თავისი ჭეშმარიტი პოეტური ხმა. ამ ციკლში კვლავ, ძველი სიძლიერით აჟღერდა რუსი პოეტის ღრმად თავისებური ლაღი და მქუხარე ლექსი. მხოლოდ მისი ხმა თითქოს უფრო დაიხვეწა და ამავე დროს გამდიდრდა ახალი საღებავებით.

„გომბორის“, „მონადირისა“ და „ალავერდობის ღამის“ ავტორის მსოფლშეგრძნებას კვლავ დაუბრუნდა მისთვის ღრმად ორგანული „დღესასწაულებრივი“ სამყაროს დაუშრეტელი და კაშკაშა მრავალფეროვნების განცდა.

ამგვარი ცვლილება ნ. ტიხონოვის პოეტურ განწყობილებებში გაპირობებული იყო არა მხოლოდ იმით, რომ მის თვალწინ ბარატინსკის იმ სიტყვებით რომ ვთქვათ, რომლებიც პოეტმა „ორდის“ ეპიგრაფად აირჩია, კვლავ „წარმოსდგა აყვავებული სამყარო“ („возникнул мир цветущий“) მთელის თავისი უხვი მშვენებით. ამ შემოქმედებით გარდატეხაში არა ნაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ კეთილისმყოფელმა ზემოქმედებამაც, რომელიც ნ. ტიხონოვმა განიცადა ქართული პოეზიის საუკეთესო ქმნილებებთან გაცნობისას.

საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ტიხონოვი ამბობდა: „მე მხურვალედ გირჩევთ მოძმე რესპუბლიკათა პოეზიის გაცნობას. მე განვიცადე უდიდესი სიამოვნება, ქართველი პოეტების თარგმნისას“.

ჩვენი ფიქრით, ეს „სიამოვნება“ უწინარეს ყოვლისა გამოწვეული იყო იდეებისა და განწყობილებების იმ შესამჩნევი თანხმიერებით, რომელიც ტიხონოვმა აღმოაჩინა თავისი ქართველი მეგობრების შემოქმედებაში.

შემთხვევითი არ არის, რომ ერთერთ პირველ პოეტურ ნაწარმოებთაგანი, რომელიც ტიხონოვმა ქართულიდან თარგმნა, ეს იყო გიორგი ლეონიძის ცნობილი ლექსი „სიჭაბუკე და ლექსი ერთია“.

თავისი ესთეტიკური კონცეფციით ეს ნაწარმოები პირდაპირ ეხმაურებოდა რუსი პოეტის იმდროინდელ შემოქმედებით ძიებებს. უფრო მეტიც, ამ ლექსში თითქოს მოცემული იყო პირდაპირი და ნათელი პასუხი იმ წინააღმდეგობებით სავსე კითხვებზე, რომლებიც იმ დროს განსაკუთრებით აწუხებდნენ ნ. ტიხონოვს:

და რაც კი სუნთქავს დღეს ქვეყანაზე,
რაც სიცოცხლეთი არი ცხოველი:
მიწა, ფოთოლი, ღრუბლის ნაგლეჯი
შენი სიტყვების ღიმილს მოელის.

შენ გელოდება დასასტამბავად
ათი ათასი ჩანჩქრის ბლავილი;
სიჭაბუკე და ლექსი ერთია
ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი.

კახური ციკლის ლექსებში ნიკოლოზ ტიხონოვი სამუდამოდ სძლევს მისი ადრინდელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელ თავისებურ გაორების გრძნობას.

მშვენიერება მის თვალწინ წარმოსდგება თავისი ხელშესახები მიწიერი სახით და ის ამაღლებული, რომანტიკული სილამაზე, რომელიც ადრე პოეტის მიერ სინამდვილის უფერულ ყოველდღიურობას უპირისპირდებოდა, ახლა მის შეგნებაში რეალურად არსებული სამყაროს განუყოფელ თვისებად იქცევა.

საქართველოს ბუნებაში ნ. ტიხონოვი მისი პოეტური ოცნებისათვის ახლობელ და გასაგებ ფერებს აღმოაჩენს. მაგრამ ამავე დროს მის თვალწინ სრულიად ახალი პერსპექტივები და საოცრად ფართო ცისკიდური იშლება და პოეტს კვლავ უბრუნდება სამყაროს მოვლენათა შინაგანი მონუმენტალობის ის ამაღელვებელი განცდა, რომელიც „ორდისა“ და „ბრაგის“ საუკეთესო ლექსებისათვის იყო დამახასიათებელი:

...Но где найдется чувству мера,
Когда встает перед тобой,
Волной вселенского размера,
Лесов немеркнущий прибой!

„ლექსებში კახეთზე“ ჩვენ ვხვდებით მთელ რიგ პოეტურ სახეებსა და მოტივებს, რომელთა შექმნა შესაძლებელი იყო მხოლოდ ისეთი პოეტისათვის რომელიც ასე ორგანულად დაუკავშირდა ქართულ სინამდვილეს და რომლის პოეტური შთაგონება სამუდამოდ ეზიარა ქართული პოეზიის სულს.

აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა ესა თუ ის ცალკეული კოლორიტული შტრიხები, არამედ ის სპეციფიკური პოეტური ხედვა, რომელიც ხსენებული ლექსების ავტორს ახასიათებს.

აი, როგორ წარმოუდგება, მაგალითად, ნ. ტიხონოვს სექტემბრის „მთვრალი“ მზე:

Журчал в купели теплый сок янтарный,
И солнце, сжато облачной грядой,
Столы снегов залив лиловым жаром,
Расшаренным висело тамадой.

„ოსტატის საზრუნავს — სწერდა ნ. ტიხონოვი 1934 წელს — უნდა წარმოადგენდეს ლექსში ამაღლებული მსჯელობიდან პროზაულ სურათოვნებაზე გადასვლათა სიმრავლის ორგანიზების უნარი, მან უნდა შესძლოს გაალღვივოს თავის თავში ბევრ რამეზე ლაპარაკის ნიჭი, ლირიკული მრავალთემიანობის უნარი“.

ამ მისწრაფებამ, რომელიც თავისი არსებით ლირიკის ცხოვრებასთან დაახლოების, მისი ჩარჩოების გაფართოებისა და პოეტის სულიერ მოძრაობათა რკალის ახალი ცხოვრებისეული სალებავებით გამდიდრების ტენდენციას წარმოადგენდა (რაც სხვათაშორის თითქმის მთლიანად ემთხვეოდა ქართველი საბჭოთა პოეტების იმდროინდელ შემოქმედებით ძიებებს), თავისი მკაფიო გამოხატულება პოვა ნ. ტიხონოვის კახეთის ციკლის ლექსებში

„ალავერდობის ღამეში“ რუსმა პოეტმა სწორედ „პროზაული“ სურათოვნების“ ხერხებით შექმნა ბრწყინვალე, ეპიური ხასიათის სახეები, რომლებიც ორგანულად შევიდნენ მის ლირიკაში.

ამგვარ შემოქმედებით გამარჯვებათა რიგს განეკუთვნებიან, კერძოდ, ჭეშმარიტი პოეტური შთაგონებით გასხივოსნებული ბრმა მუსიკოსების სახეები, რომლებიც ბრეიგელის ცნობილი „ბრმების“ თავისებურ პოეტურ გამოძახილს წარმოადგენენ.

საზოგადოდ ეს ლექსი ღირსშესანიშნავია სწორედ იმ მხრივ, რომ მასში პოეტის სუბიექტური ლირიკული განცდები მოცემულია თავისებურ მთლიანობაში გარეშე სინამდვილის, კახეთის ბუნების, ალავერდის ტაძრის და მოზეიმე გლეხკაცობის უაღრესად მდიდარ და მრავალფეროვან „პროზაულ სურათებთან“.

კახური ციკლის ავტორი მშვენივრად ფლობს მხატვრის ფუნჯს. იგი აღტაცებული სიყვარულით ცდილობს თავის ლექსში რეალური სამყაროს უცნაური კონტურებისა და „შმაგი“ ფერების გადმოტანას. ამ მხრივ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ისეთი „წვრილმანებისადმი“, რომელთაც ადრე მისი ლექსის კარები თითქმის დახშული ჰქონდათ.

მაგრამ მიწის ბარაქიანი სალებავებით გატაცება ფრთებს არ უკეცავს და არ ამძიმებს ტიხონოვის ლექსს. პირიქით, ქართულ სინამდვილესთან და ქართულ პოეზიასთან დახლოვება თითქოს კიდევ უფრო აძლიერებს მის პოეზიაში რომანტიკული შემართებისა და ამაღლებული განწყობილების ელემენტებს. კახური ციკლის ავტორის მსოფლშეგრძნება და პოეტური გამოსახვის საშუალებანი ბევრად უფრო ნათელ და „გამჭვირვალე“ ხასიათს იძენენ მის ადრინდელ ლექსებთან შედარებით.

სხვათაშორის, როგორც ეს საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობაში უკვე აღინიშნა, ამ პოე-

ტურ ციკლში გაცილებით მეტი სიღრმითა და შინაგანი ორგანულობით გამომჟღავნდა ნ. ტიხონოვის კავშირი რუსული კლასიკური პოეზიის ტრადიციებთან, ვიდრე მაგალითად იგივე პოემა „გზაში" (რომელიც ერთგვარად გადატვირთულიც არის სწორედ კლასიკური ლიტერატურული ასოციაციებით).

პუშკინისა და ლერმონტოვის ტრადიციებთან დახლოვება ამ დროს თავის გამოვლინებას პოვებს პოეტური აზროვნების სიზუსტესა და პოეტური ენის სისადავეში, რაც ამ ციკლის საუკეთესო ლექსებისათვის დამახასიათებელია.

ნ. ტიხონოვის კავშირი კლასიკასთან არანაკლებ მკაფიოდ იგრძნობა მის უფრო გვიანდელ „ქართულ" ლექსებშიც. მაგრამ ამ შემთხვევაში მისი სიახლოვე კლასიკურ ტრადიციებთან არ შემოიფარგლება მარტო რუსული პოეზიის ჩარჩოებით. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისათვის ტიხონოვისთვის არანაკლებ ახლობელი ხდება ქართული კლასიკის ტრადიციები. აქ, რა თქმა უნდა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა პირდაპირი მიმბაძველობა ან გადამღერება ამა თუ იმ ლიტერატურული ნიმუშისა, არამედ მათთან თავისებური შემოქმედებითი გამოხმაურება.

მაგრამ როდესაც ნ. ტიხონოვის ქართულ პოეზიასთან სიახლოვეზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა მის თანამედროვეთა შემოქმედებას უნდა შევეხოთ.

დამახასიათებელია, რომ ნ. ტიხონოვმა, რომელსაც არაერთგზის უღიარებია თავისი თაყვანსიცემა რუსთაველის, ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით გენიისადმი, მაინც, როგორც მთარგმნელმა, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა არა კლასიკის, არამედ თანამედროვე ქართული პოეზიის მიმართ. მის კალამს ეკუთვნის თითქმის ყველა გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პოეტის ლექსთა თარგმანები.

ბუნებრივია, რომ თავისი თაობის პოეტთა შემოქმედებაში ნ. ტიხონოვმა აღმოაჩინა უფრო მეტი ნათესაური თვისებები, ფიქრებისა და განწყობილებების მეტი სიახლოვე და შემოქმედებითი მიზნების ერთიანობა.

კერძოდ, ნ. ტიხონოვის იმდროინდელი ლექსებისათვის დამახასიათებელი „პროზისა" და „ეპიკის" ელემენტთა ლირიკაში დამკვიდრების ცდები პირდაპირ ეხმაურებოდა იმ ძიებებს, რომელთაც ამავე დროს სხვადასხვა ასპექტში ადგილი ქონდათ სიმონ ჩიქოვანისა და ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში. მაგრამ საკვირველი არ არის რომ ტიხონოვისათვის კიდევ უფრო ახლობელი აღმოჩნდა ქართული ლექსის იმ ოსტატთა შემოქმედება, რომელნიც თავისი პოეზიით უშუალოდ დაკავშირებული იყვნენ რუსი პოეტისათვის განსაკუთრებით ძვირფას კახეთის მიწაწყალთან.

თავის ერთერთ პოეტურ ციკლში „საგურამოს ცისარტყელა" ნ. ტიხონოვს შეტანილი აქვს ლექსი, რომელიც ნათლად გვიდასტურებს, თუ როგორ მოეხმარა რუს პოეტს ქართული თანამედროვე პოეზია საქართველოს სინამდვილის — ქართული ბუნების, ქართველი ხალხის ნაციონალური ხასიათის, მისი ისტორიისა და თანამედროვე ყოფის გაგებაში:

**Представить не могу Кахетию**
**Я без стихов Шаншиашвили.**

სწერს ნიკოლოზ ტიხონოვი და მართლაც ქართული პოეზიის უფროსი თაობის ერთერთი შესანიშნავი წარმომადგენლის ს. შანშიაშვილის შემოქმედება განუყოფელია ყოველივე იმისგან, რამაც ააღელვა და აღიტაცა კახეთის პოეტური ციკლის ავტორი.

ს. შანშიაშვილის ცნობილმა პოეტურმა ქმნილებამ „კახეთმა", „კახეთის პატარძალმა", „მუხის დაცემამ ჭიაურის ტყეში" რუს პოეტს გაუადვილეს დაენახა ეს კუთხე მთელი მისი განუმეორებელი თავისებურებით, მისი „ჭეშმარიტად მშვენიერი", ადათჩვეულებებით, „სიდიადით აღსავსე" ლეგენდებითა და არანაკლებ დიდებული ცოცხალი სინამდვილით.

ს. შანშიაშვილის პოეზიის ჯანმრთელი სიცოცხლის სიყვარულით გამსჭვალული სახეები, მსგავსად იმ კახელი ჭარმაგი ღვინისმწურავებისა, რომელნიც ხალხს ასწავლიდნენ „როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა მხიარულად", სამუდამოდ დაუნათესავდნენ ტიხონოვის პოეზიას.

კიდევ უფრო მჭიდრო აღმოჩნდა ნ. ტიხონოვის სიახლოვე კახეთის მეორე შთაგონებულ მომღერალთან, გიორგი ლეონიძესთან, რომლის პოეზიასთანაც იგი განუყრელად დააკავშირა ათეული წლების ნაყოფიერმა შემოქმედებითმა თანამშრომლობამ. ნ. ტიხონოვისა და გ. ლეონიძის პოეტურ სიახლოვეში მთავარია არა ამა თუ იმ მხატვრული სახისა თუ მოტივის დამთხვევა. მართალია, მაგალითად რუსი პოეტის ლექსში „ზედაზნის მთაზე" „ჩაძინებული ყვავილის" სახე პირდაპირ რემინისცენციას წარმოადგენს გ. ლეონიძის ცნობილი ლექსიდან, მაგრამ აქ უფრო მნიშვნელოვანია არა ეს უბრალო დასესხება, არამედ ის საერთო გრძნობა ისტორიზმისა — წარსულის სახეთა გაცოცხლებისა და მათი თანამედროვე სინამდვილის განუყოფელ ნაწილად ხილვის უნარი, რომელიც ამ ორ პოეტს აახლოვებს.

რაც შეეხება ამ თავისებურ გრძნობას, ამ მხრივ ნიკოლოზ ტიხონოვი დიდად არის დავალებული სწორედ ქართველი პოეტებისგან და კერძოდ იგივე გიორგი ლეონიძისაგან, რომლის შემოქმედებაში ისტორიზმის განცდა განსაკუთრებული სიმძაფრით იგრძნობა.

ნ. ტიხონოვისა და გ. ლეონიძის შემოქმედებითი თანამშრომლობა და სიახლოვე, რომელიც განსაკუთრებით პოემა „ბავშვობისა და ყრმობის" თარგმნის პერიოდში განმტკიცდა, კეთილისმყოფელი აღმოჩნდა ორივე პოეტისათვის, მით უმეტეს, რომ ეს კავშირი დაფუძნებული

იყო შემოქმედებითი სიმპატიებისა და ესთეტიური მრწამსის გარკვეულ სიახლოვეზეც.

„მე მახსოვს — სწერდა ამასწინათ ნიკოლოზ ტიხონოვი — როგორ შევუდექი ლეონიძის ლექსების თარგმნას ოცდაათიანი წლების დასაწყისში. მე მაშინ ჯერ კიდევ ვერ წარმომედგინა, რომ მრავალი წლების მანძილზე დაკავშირებული ვიქნებოდი ამ შესანიშნავი პოეტის შემოქმედებასთან.

მე განცვიფრებაში მომიყვანა პირველივე სტრიქონების სიძლიერემ და ხატოვანებამ...

მე მინდოდა რომ არაფერი არ დაკარგულიყო ამ მდიდარი სიმღერიდან, რომ ლექსის წყობა და შინაარსი მისულიყო საბჭოთა რუს მკითხველამდე.

მშვენიერის, უმშვენიერესის ლეონიძისეული განსაზღვრება არაერთგზის მაგონდება შემთხვევისამებრ:

„ულამაზესი მხოლოდ ის არის,
ვინც ავსებულა თავის დროს ძალით —
„ტიდებული დამწიფებული,
ვაჟა, ვენახი, მდინარე, ქალი“.

ამგვარი წარმოდგენა მშვენიერების შესახებ უაღრესად ახლობელი და მისაღები იყო ნიკოლოზ ტიხონოვისთვის ასეთი შინაგანად „მომწიფებული“, სრულყოფილი სილამაზის იდეალისადმი ისწრაფოდა იგი მთელი თავისი რთული და წინააღმდეგობებით სავსე შემოქმედებითი ბიოგრაფიის მანძილზე.

მიუხედავად იმ ღრმა თვისობრივი სხვაობისა, რომელიც გ. ლეონიძისა და ნ. ტიხონოვის პოეტურ ინდივიდუალობათა შორის არსებობს, მათ შემოქმედებას ანათესავებს არა მხოლოდ ეს შინაგანი მიდრეკილება, არამედ ზოგიერთი „გარეგნული“ თვისებებიც. კერძოდ, ის თავისებური ამაღლებული, „დღესასწაულებრივი“ ინტონაცია და გამომსახველობით საშუალებათა ფერადოვნება, რაც ერთნაირად ახასიათებს ამ ორ პოეტს. აქ შეიძლება არაერთი მაგალითის მოტანა ტიხონოვის კაზური ციკლიდან და „ქართული გაზაფხულიდან“, რომლებიც პირდაპირ ეხმაურებიან გ. ლეონიძისათვის დამახასიათებელ პოეტურ სახეებს.

გავიხსენოთ თუნდაც რუსი პოეტის ცნობილი სტრიქონები

«А гром за Гори уходил,
Там небо лиловело,
Всей пестротой фазаньих крыл
Земли светилось тело...»

და გიორგი ლეონიძის „ქართლის ბაღის“ დასაწყისი

„ელავს ბაღი — ხოხბის ყელი —
შვიდ მაისის წვიმით მთვრალი
მთებს და ველებს დასთამაშებს
გაზაფხულის მწვანე თვალი“...

— რომელიც ბრწყინვალედ აქვს ნათარგმნი რუსულად იგივე ნიკოლოზ ტიხონოვს.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, მიწისეული ფერების სიყვარულს და „პროზაული სურათოვნებით“ გატაცებას, რაც განსაკუთრებით ტიხონოვის „ქართულ“ ციკლებში გამომჟღავნდა, სრულიად არ დაუმძიმებიათ მისი ლექსი.

ნიკოლოზ ტიხონოვის ამდროინდელი საუკეთესო პოეტური ქმნილებები შინაგანად ფრთაშესხმულნი არიან იმ „მხიარული“, დაუდგრომელი ტემპერამენტითა და გატაცებით, რომელიც მისი პოეზიის რომანტიკული შემართების ერთ-ერთ გამაპირობებელ თვისებას წარმოადგენს.

და ეს მჩქეფარე და „შმაგი“ ძალაც, თავისი უპირატესად მაჟორული ბუნებით ძალზე მოგვაგონებს იმას, რასაც თვით რუსი პოეტი წერს გიორგი ლეონიძის ლექსის შესახებ:

«Заря через сумрак рассветный
Как розовый кралась олень.
Являлся потом многоцветный,
Стихами пронизанный день.
И правды стиха не унизив,
Природа вставала над ней,
Над шквалами строф Леонидзе
Всей песенной силой своей».

პოეზიის ამ ქაფნარევი ტალღების სუნთქვა და მათი მქუხარე ექო ჩვენ ხშირად გვესმის ნ. ტიხონოვის „ქართულ“ ლექსებშიც.

აქ შეიძლებოდა მიგვეთითებინა ზოგიერთ სხვა თავისებურებაზეც, რომლებიც ნ. ტიხონოვისა და გ. ლეონიძის პოეზიას აახლოვებს და ერთგვარად გვიხსნის მათი მრავალწლოვანი თანამშრომლობის შინაგან „საიდუმლოს“. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთთქმული სრულიადაც არ ამცირებს იმ ღრმა სხვაობას რომელიც მათ უაღრესად ორიგინალურ და თვითმყოფად პოეტურ სამყაროთა შორის არსებობს. აქვე უნდა ითქვას რომ გ. ლეონიძე და ნ. ტიხონოვი ბევრ რამეში პირდაპირ საწინააღმდეგო ხასიათის პოეტები არიან, რაც გამოწვეულია თვითეული მათგანის ორიგინალური შემოქმედებითი ბიოგრაფიით და თუნდაც სრულიად განსხვავებული ლიტერატურული წარმოშობით“. ხოლო, რაც მთავარია, არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ორი ღრმად ეროვნული, საკუთარ ნაციონალურ ნიადაგთან განუყოფლად დაკავშირებული პოეტის შემოქმედებასთან.

რა თავდავიწყებითაც არ უნდა უმღერდეს ნ. ტიხონოვი კავკასიის ზვიად მწვერვალებს, რომლებიც მას ჰაერში გაყინულ პოემებად წარმოუდგებიან, რა ნაზი სიყვარულითაც არ უნდა იყოს გამსჭვალული მისი სიტყვები სიღნაღის კოშკებისა და საგურამოს ცისარტყელის მიმართ, იგი ყველგან, ყოველ თავის ლექსში, მაინც რუს პოეტად რჩება. და ამ უანგარო სიყვარულისა და ერთგულების სიწრფელე მით უფრო ძვირფასია ჩვენთვის, რომ ეს არის სიყვარული ადამიანის, რომელიც მოვიდა ჩვენთან თავისი წმინდა და ვაჟკაცური გულით, როგორც მოძმე და მეგობარი.

„ლექსები კახეთზე“ და „ქართული გაზაფხუ-

ლი“ განეკუთვნებიან საუკეთესოთა რიგს საბჭოთა პოეზიის იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის თემას მიეძღვნა.

ისინი წარმოადგენენ შესანიშნავ შემოქმედებით ნიმუშს იმისა, თუ როგორ უნდა მიუდგეს საბჭოთა პოეტი ამ თემას, რომ ეს უკანასკნელი იქცეს არა ზედაპირული, დეკლარატიული „გაშუქების“ საგნად, არამედ მისი შემოქმედებითი სამყაროსთვის განუყოფელ, პირად, „ცრემლებამდე ახლობელ“ თემად.

ამ მხრივ ნ. ტიხონოვის მაგალითს საკმაოდ მნიშვნელოვანი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა კერძოდ ქართველი პოეტებისათვის, რომელთა საუკეთესო ნაწილმა შემდეგში სწორედ ამგვარი ღრმა განცდით უმღერა თავის ლექსებში ხალხთა ძმობას.

ნ. ტიხონოვის შემოქმედებაში, რომელიც საბჭოთა რუსული პოეზიის ერთერთ პიონერად გვევლინება, ქართველ პოეტებს შეეძლოთ აღმოეჩინათ სხვა მათვის არა ნაკლებად საჭირო და ძვირფასი თვისებებიც. კერძოდ, რუსი პოეტის ლირიკისათვის დამახასიათებელი ინტიმური საწყისის ორგანული ერთიანობა სახალხო, რევოლუციური ჰეროიკის მოტივებთან, რაც თავის შესანიშნავ გამოხატულებას პოვებს კახური ციკლის პირველ ლექსშივე.

ტიხონოვის ლექსები საქართველოზე, რომელთაც შეითვისეს და ბრწყინვალე პოეტურ სახეებში აღბეჭდეს ქართული მიწის ამდენი „ჭეშმარიტად მშვენიერი“ სურათი, გარეშე სამყაროს დაუშრეტელ ფერთა სიუხვე და პოეტის ინტიმურ განცდათა არანაკლებ მდიდარი გამმა, წარმოადგენდნენ არა ჭვრეტითი, პეიზაჟური ლირიკის მაგალითს, არამედ ნამდვილად იდეური, ღრმად პოლიტიკური პოეზიის ნიმუშს, რომელიც ამავე დროს სრულიად მოკლებულია სქემატიზმსა და დეკლარატიულობას.

სწორედ ამ გზას გაჰყვა იმ დროს ქართული ლექსის ოსტატთა საუკეთესო ნაწილიც ახალი პოეტური სამყაროს აღმოჩენისა და დამკვიდრებისაკენ მიმართულ ძიებებში.

აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ თვით ნ. ტიხონოვის და მის თაობის სხვა პოეტების შემოქმედებითი დახლოვება ქართველ მწერლებთან თავისთავად მოასწავებდა იმ ახალ ურთიერთდამოკიდებულებას რომელიც შესაძლებელი აღმოჩნდა მხოლოდ ჩვენს ეპოქაში.

ნიკოლოზ ტიხონოვი, პაველ ანტოკოლსკი, ბორის პასტერნაკი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი და სხვანი საქართველოში მოვიდნენ არა „ორიენტალიზმისა და ეკზოტიკის საძიებლად“, არამედ იმისათვის, რათა საბჭოთა საქართველოს პოეტებთან ერთად „ეშენებინათ ახალი ცხოვრება და ახალი პოეზია“.

საქართველო მათ თვალწინ წარმოსდგა როგორც დიდი და სახელოვანი წარსულის მქონე, მაგრამ თითქოს თავიდან დაბადებული, განახლებული, თავისი გმირული მომავლის მშენებელი ქვეყანა.

ამან განსაზღვრა, კერძოდ, მთელი რიგი იმ საერთო თვისებებისა, რაც ხსენებულ პოეტთა „ქართული თემისადმი“ დამოკიდებულებაში შეიმჩნევა. მაგრამ ამავე დროს თვითეულმა მათგანმა საქართველოში და ქართულ პოეზიაში აღმოაჩინა პირადად მისთვის განსაკუთრებით ახლობელი, საკუთარი შემოქმედებითი იდეალებისა და მიდრეკილებათა შესატყვისი თვისებებიც.

ასე მაგალითად, ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ, რომელიც პირველად 1936 წლის ზაფხულს ჩამოვიდა თბილისში კონკრეტული შემოქმედებითი მიზნით (იგი მაშინ იწყებდა „ვეფხისტყაოსნის“ თავისუფალ თარგმანზე მუშაობას), სამუდამოდ დაუკავშირა თავისი შემოქმედება ქართული პოეზიის კლასიკურ მემკვიდრეობას.

დახლოებით ორი ათეული წლის განმავლობაში ნ. ზაბოლოცკიმ გასწია ჭეშმარიტად გრანდიოზული შრომა. როგორც ცნობილია, მან რუსულ ენაზე თარგმნა ქართული პოეზიის მთელი რიგი შესანიშნავი ძეგლები.

ახალგაზრდობისათვის შესრულებული რუსთაველის პოემის თავისუფალ ვარიანტს თან მოყვა დავით გურამიშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და ქართული ლექსის სხვა ოსტატთა თარგმანები. რუსი პოეტის კეთილშობილური ღვაწლი დაგვირგვინდა „ვეფხისტყაოსნის“ მეორე (ამჯერად ზუსტი) თარგმნით, რომელიც მან სიკვდილის წინ დაასრულა.

თავის წერილში „რუსთაველის სიბრძნე“, რომელიც მისი უკანასკნელი ლიტერატურული გამოსვლა აღმოჩნდა, ნ. ზაბოლოცკიმ თითქოს განაზოგადა მთელი თავისი მთარგმნელობითი მუშაობის გამოცდილება და საბჭოთა მკითხველებს კიდევ ერთხელ ამცნო თავისი თაყვანისცემა ქართველი ერის პოეტური გენიის მიმართ.

საკვირველი არ არის, რომ „ლოდეინიკოვისა“ და „მეტამორფოზების ავტორისათვის ქართული კლასიკური პოეზიის პერსონაჟთა შორის უსაყვარლეს გმირად იქცა ვაჟა-ფშაველას ბრძენი მინდია. ნ. ზაბოლოცკის მიერ სიცოცხლის უკანასკნელ ათეულ წლებში დაწერილი ლექსები „ღამე ფასანაურში“, „მე არ ვეძებ ბუნებაში ჰარმონიას“ და „ანდერძი“ პირდაპირ ეხმაურებიან ვაჟა-ფშაველასათვის დამახასაითებელ ბუნების გაგებას.

ნ. ზაბოლოცკის სიახლოვემ ქართულ კლასიკასთან, მისი შთაგონების ორგანულმა შერწყმამ მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის სახეებთან და პერსონაჟებთან თავისი გამოვლინება პოვა თვით საქართველოს სინამდვილის ღრმად თავისებურ აღქმაში.

ლექსში „საგურამო“ ნ. ზაბოლოცკის ქართული ბუნება წარმოუდგება, როგორც წარსულის პოეტური სულებით დასახლებული, მათი მარად

ცოცხალი გულის ძგერითა და უკვდავი სიმღერით აღერებული სამყარო.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ პოეტურ ჩვენებებს არ დაუჩრდილავთ ზაბოლოცკის თვალში თანამედროვე საქართველოს ცოცხალი სახე. თავის ცნობილ ლექსებში: „გორის სიმფონია“, „ხრამგესი“, „კოლმეურნეობა „შრომა“ და სხვ. რუსმა პოეტმა გულწრფელი შთაგონებით უმღერა ახალგაზრდა სოციალისტურ ქვეყანაში ახალი ცხოვრების შენებას.

ნ. ზაბოლოცკი, როგორც ჭეშმარიტი მეგობარი, სულით და გულით შეჰხაროდა ყოველ ახალ ელსადგურს ქართულ მდინარეებზე, ყოველ ახალ ქუჩას თბილისში და ქართველ პოეტებთან ერთად აღტაცებული სიტყვით ხვდებოდა მრავალტანჯულ ხალხის ცხოვრებაში მომხდარ დიად გარდატეხებს.

შემოქმედებითი მრწამსისა და მიზნების ერთიანობამ მჭიდროდ დააკავშირა ზაბოლოცკი საქართველოს გამოჩენილ პოეტებთან. ბუნებრივია, რომ მან თავისი სულიერი ნათესაობა დაადგინა არა მხოლოდ წარსულის ოსტატებთან, არამედ თავის თანატოლებთან, ქართული საბჭოთა პოეზის წარმომადგენლებთან.

ზაბოლოცკი ბევრ ქართველ მწერალს მეგობრობდა, მან სთარგმნა მთელი რიგი თანამედროვე ქართველი პოეტის — როგორც მხცოვანთა ისე ახალგაზრდების არა ერთი ლექსი. მაგრამ ქართულ საბჭოთა პოეზიაში, როგორც ნიკოლოზ ტიხონოვს, მასაც გააჩნდა თავისი განსაკუთრებული სიმპატიები.

შეიძლება ითქვას რომ, თუ კახური ციკლის ავტორმა თანამედროვე ქათული ლექსის ოსტატთა შორის ყველაზე ახლობლად გიორგი ლეონიძე მიიჩნია, ნ. ზაბოლოცკისთვის ასეთი შინაგანად ახლობელი პოეტი სიმონ ჩიქოვანი აღმოჩნდა.

«Поэт Симон Чиковани—წერდა ზაბოლოცკი, — еще в довоенное время познакомил меня с Грузией, ее историей и культурой и привлек мое внимание к ее литературе. Он редактировал мой перевод поэмы Руставели и в течении многих лет помогал мне своими советами и многочисленными указаниями»...

თითქმის მეოთხედი საუკუნის მჭიდრო მეგობრობამ, რომელიც ასე მდიდარი იყო შემოქმედებითი შეხვედრებით, საერთო ზრახვებითა და მისწრაფებებით, აზრთა გაცვლა-გამოცვლითა და თანამშრომლობით, მრავალმხრივ დააკავშირა ერთმანეთთან რუსი და ქართველი პოეტის შემოქმედება.

სიმონ ჩიქოვანისა და ნიკოლოზ ზაბოლოცკის პოეზიაში შეიძლება გამოვყოთ ცალკეული ლექსები, რომლებიც შეიქმნა ერთი და იგივე თემატიურ მასალაზე, ერთი და იმავე ხასიათის იდეური ამოცანის გადაწყვეტის მიზნით.

ასე მაგალითად ნ. ზაბოლოცკის „გორის სიმფონია“ და ს. ჩიქოვანის „გორი“ დაიწერა მათი თავისებური შემოქმედებითი ურთიერთშეთანხმებს შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1936 წლის ზაფხულს ცნობილ უკრაინელ პოეტთან მიკოლა ბაჟანთან ერთად გორში ყოფნის დროს (მ. ბაჟანმა მაშინ დაწერა „გორის ციხე“).

ასევე დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ნ. ზაბოლოცკისა და ს. ჩიქოვანის გაცილებით გვიანდელი ლექსები „გომბორის ტყე“ და „გომბორზე გადასვლა“, რომლებიც შთაგონებულნი იყვნენ 1957 წლის შემოდგომის განუმეორებელი სურათებით.

აქ თვით გარეგანი, ჭვრეტითი მასალა თითქოს თავისთავად მოითხოვდა ერთი და იგივე ხასიათის გამომსახველობით ფორმებს. მაგრამ მაინც ნიშანდობლივია, რომ ორივე ლექსის ავტორმა აირჩია პოეტური ამოცანის არსებითად ერთგვაროვანი ფერწერული გადაწყვეტა.

საზოგადოდ ს. ჩიქოვანისა და ნ. ზაბოლოცკის პოეზიაში ხშირია ასეთი ხასიათის შეხვედრები. ორი პოეტის მრავალწლოვანი შემოქმედებითი სიახლოვე გამოვლინდა ისეთ კონკრეტულ მხატვრულ თვისებებშიც კი, როგორიცაა მაგალითად, გარეშე სინამდვილის ამა თუ იმ მოვლენის პოეტური აღქმა. აქ შეიძლება მოტანილ იქნას ზოგიერთი სახე, რომელიც ყურადღებას იპყრობს საოცარი მსგავსებით ამ მხრივ.

ასე მაგალითად, ნ. ზაბოლოცკის ერთერთ უკანასკნელ ლექსში „წვიმა“, „ცასა და დედამიწის შორის ათას ძაფად გაბმული წვიმის“ პოეტური სახე, რომელიც „საკუთარ სიმებზე უკრავს და მღერის“, უნებლიედ მოგვაგონებს სიმონ ჩიქოვანის ადრინდელ ლექსს „წვიმაში“, სადაც „ქარშიხალი ავდრის სიმებს მოაშრიალებს, თითქო ჰანგია წვეთთა ხმებით შესრულებული“.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საჭიროა იმ გარემოების გათვალისწინება, რომ ნ. ზაბოლოცკიმ თავის დროზე თარგმნა ს. ჩიქოვანის ხსენებული ლექსი. მაგრამ ეს მაგალითი, ისევე როგორც სხვა ჩვენს მიერ ადრე მოტანილი პარალელები, მაინც მხოლოდ კერძო ხასიათის გარეგნულ დამთხვევად წარმოგვიდგებოდა, რომ არ არსებობდეს სხვა ბევრად უფრო არსებითი მნიშვნელობის სიახლოვე ზაბოლოცკისა და ჩიქოვანის პოეტურ სამყაროთა შორის. საქმე ის არის, რომ თვითეული ამ ორ პოეტთაგანი თავისი მშობლიური მწერლობის ისტორიაში ჩვენ გვევლინება იმგვარი ხასიათის პოეტურ ტრადიციათა გამგრძელებლად, რომლებიც შინაგანად ენათესავებიან ერთმანეთს.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს მათი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი გარკვეული „ინტელექტუალიზმი“ — შინაგანი რეფლექსიისკენ და გარე სინამდვილის ფილოსოფიური გააზრების-

კენ მიდრეკილება, საგანთა შინაგან ბუნებაში წვდომის თავისებური ნიჭი.

აქ საჭიროა ავღნიშნოთ კიდევ ერთი საყურადღებო თვისება, რომელიც ამ ორ პოეტს აახლოვებს — გარკვეული ნათესაობა თვით პოეტური გამოხატვის საშუალებათა სფეროში.

როგორც ნ. ზაბოლოცკისთვის ისე ს. ჩიქოვანისთვისაც პოეტური იდეის ხორცშესხმის რჩეულ ხერხს სახეების ფერწერული გააზრება წარმოადგენს და ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ზაბოლოცკის ცნობილი სტროფი:

«Любите живопись поэты,
Лишь ей единственной дано,
Души изменчивой приметы
Переносить на полотно».

უთუოდ ეხმაურება სიმონ ჩიქოვანის სიტყვებს:

„ხელთნაწერი ჰგავს ბაღნარს და ლადარს
ვგონებ, ფერია მშვენება ლექსის.

მაგრამ აუცილებელია აქვე ხაზგასმით შევნიშნოთ, რომ მთელი ამ შინაგანი სიახლოვის მიუხედავად ს. ჩიქოვანი და ნ. ზაბოლოცკი ღრმად განსხვავებული ტემპერამენტისა და შემოქმედებითი მანერის პოეტები არიან. მათი პოეტური ინდივიდუალობები მთელი რიგი თავისი თვისებებით არა მხოლოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათსაც ატარებენ.

თვით სიმონ ჩიქოვანი თავის წერილში ნიკოლოზ ზაბოლოცკის პოეზიის შესახებ სწერს: „იგი თავისი შინაგანი ბუნებით ნამდვილი რუსი ადამიანი იყო, თავისი სამშობლოს პატრიოტი და მოტრფიალე. ნ. ზაბოლცკის სიყრმიდანვე ხიბლავდა ჩრდილოეთის ბუნების სურათები, რუსეთის თვალუწვდენელი თოვლიანი ზამთარი და მკაფიოდ გამოკვეთილი ლალი გაზაფხულის დაბადება. ამ ჩრდილოეთის ბუნებაში აღმოცენდა მისი პოეტური ხილვები და მისი მზერა თვალუწვდენელ სივრცეებს შეეჩვია“.

მართლაც ზაბოლცკის მთელი პოეზია გაჟღენთილია ჩრდილოეთის უსაზღვრო სივრცეთა სუნთქვით. მშობლიური რელიეფი მის ლექსში შევიდა თავისი მკაცრი სიდიადითა და მშვიდი ხაზებით. და მისი სიმღერის წმინდა, ფოლადისებურმა ჟღერადობამ თითქოს ექოსავით აირეკლა ის თავისებური ხმები, რომლებიც რუსეთის დათოვლილი ტრამალების ალმასივით ბასრ და გამჭვირვალე ჰაერში იბადებიან.

ზაბოლცკი მთელი თავისი არსებით დაკავშირებული იყო თავის ქვეყანასთან, მის თვითმყოფად სულიერ კულტურასთან, რუსი ადამიანისთვის დამახასიათებელ თავისებურ მსოფლშეგრძნებასთან და პოეტურ წარმოდგენებთან.

მაგრამ ამავე დროს რუსი პოეტის შემოქმედება თავისუფალი აღმოჩნდა ყოველგვარი შეზღუდულობისაგან ამ მხრივ. პირიქით ზაბოლოცკიმ გამოიჩინა საოცარი გულისყური იმ ახალი ხმებისა და მელოდიების მიმართ, რომლებიც მას ქართული მდინარეების თავდაუწყებულ სიმღერაში მოესმა. მისი მზერაც სამუდამოდ დაატყვევეს იმ მკაფიო და თბილმა ფერებმა, რომელთა ალერსიანმა სუნთქვამ ასე სულის სიღრმემდე შესძრა „გომბორის ტყის“ ავტორი.

მართალია, ნ. ზაბოლცკის პოეტური დამოკიდებულება სამყაროსადმი, მისი ადამიანური ბუნება, ტემპერამენტი და გემოვნება ყოველთვის ავლენდნენ მის ჩრდილოურ წარმოშობას, მაგრამ იგივე ს. ჩიქოვანის სიტყვით: „ასეთი სულიერი წყობის მქონე პოეტმა თავისი ქართველი მეგობრების მეშვეობით ძალზე შეიყვარა ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულება, საქართველოს დიადი ბუნება და ქართული სტუმართმოყვარეობის თავისებური ხალხური კეთილშობილი არტისტული სული“.

ნიკოლოზ ზაბოლოცკი განსაკუთრებით დაუახლოვდა საქართველოს და ქართველ პოეტებს თავისი სიცოცხლის უკანასკნელი ათი წლის მანძილზე. ამ ხნის განმავლობაში იგი თითქმის ყოველ წელიწადს ჩამოდიოდა საქართველოში. თვეობით ცხოვრობდა თბილისში და საგურამოში, ხშირი სტუმარი იყო კახეთის, გორის და შავი ზღვის სანაპიროსი.

ამ წლებში ნ. ზაბოლოცკის პოეზიამ შესამჩნევი ევოლუცია განიცადა. ვლ. ორლოვი ზაბოლოცკის რჩეული ლექსების კრებულის წინასიტყვაობაში წერს: „ზაბოლოცკის შემოქმედებითი მუშაობის უკანასკნელი ათი წელი აღინიშნა ახალი ძიებებით. მნიშვნელოვანი აღმოჩენებითა და დიდი მიღწევებით. მან ძლიერ გააფართოვა თავისი შემოქმედებითი სამყარო, კიდევ უფრო დახვეწა თავისი ოსტატობა. ყურადღება ადამიანის „ცოცხალი სულისადმი“ უფრო ძალუმად დაეუფლა პოეტს. მძიმე და გმირული წლების გამოცდილებას უკვალოდ არ ჩაუვლია მისთვის...“

შეიძლება ითქვას, რომ ნ. ზაბოლოცკისათვის ფუჭად არ ჩაუვლია იმ მდიდარ ცხოვრებისეულ და შემოქმედებით გამოცდილებასაც, რომელიც მან საქართველოში მიიღო. ზაბოლოცკის იმდროინდელ „ქართულ“ ლექსებში სულ უფრო მკაფიოდ ჟღერს ახალი ინტონაციები და მოტივები, რომლებიც გარკვეული თვალსაზრისით ტონს აძლევენ მთელ მის შემოქმედებას. შემთხვევითი არ არის, რომ ერთ თავის ლექსში, რომელიც კავკასიის მწვერვალებისადმი არის მიძღვნილი პოეტი გვიზიარებს „არსებობის ბედნიერების“ („счастье бытия“) მღელვარე განცდას, რომელმაც მთელი მისი სხეული და შეგნება მოიცვა.

ამ ლექსის ავტორი, რომელიც ოდესღაც თავის ცნობილ პოეტურ ციკლში **„Столбцы“** არსებულ სინამდვილეს მახინჯი ფანტომების სამყოფლად წარმოგვისახავდა, ეხლა თავისი

ნათელი და ხალისიანი მსოფლშეგრძნებით გვხიბლავს.

უკვე 1936 წელს ზაბოლოცკიმ, რომელმაც მაშინ პირველად იხილა საქართველოს ზეცა და მთები, ალტაცებით უმღერა მათ სიცოცხლის დამამკვიდრებელ მშვენებას:

**Взойди на холм, прислушайся дыханию**  
**Камней и трав, и, сдерживая дрожь,**  
**Из сердца вырвавшийся гимн существованию,**  
**Счастливый, ты невольно запоешь.**

შემდეგში, განსაკუთრებით ომისშემდგომ წლებში ამ ოპტიმისტურ განწყობილებათა ნაკადი კიდევ უფრო ძლიერდება და დომინირებულ ადგილს იკავებს ზაბოლოცკის „ქართულ" ლექსებში. საქართველოს სინამდვილემ რუსი პოეტის შემოქმედებაში ბიძგი მისცა არა მხოლოდ ამ განწყობილებათა წარმოშობას, არამედ სპეციფიური პოეტური სახეების შექმნასაც. ზაბოლოცკის „ქართულ" ლექსებში თავის ბრწყინვალე განხორციელება პოვა, კერძოდ, მთელი მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელმა მისწრაფებამ ეპიური საწყისისაკენ. თავის ცნობილ ლექსებში „გორის სიმფონია", „გრემის კოშკი", „ხრამგესი", „ღამე ფასანაურში", და სხვ. რუსმა პოეტმა შექმნა მთელი რიგი რეალისტური სახეებისა, რომლებშიც საოცარი სიღრმითა და ორგანულობით აისახა ქართველი ხალხის ისტორიისა და აწყმოს თავისებური ეროვნული სული:

ეს თავის არსებით ღრმად ეპიური, შინაგანად მონუმენტური ხასიათის სახეები ამავე დროს უკვე სრულიად თავისუფალნი არიან ხელოვნური გიპერბოლიზების იმ თავისებური ელფერისაგან რომელიც ზაბოლოცკის ზოგიერთ ადრინდელ პოეტურ ნაწარმოებს დაჰკრავს. და აქ განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ის კეთილისმყოფელი ზემოქმედება, რომელიც რუს პოეტზე მოახდინა არა მხოლოდ საქართველოს სინამდვილემ, არამედ ქართული პოეზიის ცნობილმა ტრადიციებმაც. ადრე ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზაბოლოცკის სიახლოვე ვაჟაფშაველას შემოქმედებასთან. რუსი პოეტის უკანასკნელ ლექსებში ეს შინაგანი ნათესაობა კიდევ უფრო ღრმა ხასიათს იღებს და თავისებურად მჟღავნდება როგორც სინამდვილის მხატვრული წარმოსახვის, ისე პოეტური აზროვნების სფეროშიც. დასახელებულ ლექსებში ზაბოლოცკის მიერ შექმნილი არსებითად ეპიური ხასიათის სახეები ამავე დროს გამთბარი არიან ღრმა შინაგანი ლირიზმით, რაც განსაკუთრებით ახლობელ და გასაგებ თვისებებს სძენს მათ მკითხველის თვალში. რუსი პოეტის ენა აქ სრულიად თავისუფალია ყოველგვარი მწიგნობრულობისაგან და იგი ბუნებრივი სიწრფელითა და მომხიბლავი სისადავით ხასიათდება, რაც პირდაპირ მოწმობს ზაბოლოცკის პოეტური შთაგონების ხალხურ წყაროებთან მიახლოვებას.

სწორედ ქართულ ფოლკლორულ სტიქიასთან ზიარება, მისი ღრმად ჰუმანიური სულის შეთვისება წარმოადგენდა ერთ-ერთ იმ მიზეზთაგანს, რომლის შედეგად ზაბოლოცკის ლექსმა შეიძინა თავისებური სითბო და უშუალობა, რაც გარკვეული თვალსაზრისით ახალ თვისებას მოასწავებდა მის შემოქმედებაში. მართალია, ნიკოლოზ ზაბოლოცკის პოეტურ ხმას ბოლომდე შერჩა ვაჟკაცური თავშეკავების ინტონაცია, მაგრამ „ქართულ ლექსებში" იგი მეტი გულითადობითა და სიწრფელით გამოირჩევა.

თავის ყველაზე „ნატურფილოსოფიურ" ლექსებშიც კი ნ. ზაბოლოცკი ამ დროს შორს დგას ცივი გონებისმიერი ჭვრეტისაგან და ყოველივე არსებულისადმი თავისი დაუცხრომელი, ქმედითი გატაცებული სიყვარულით გვაღელვებს. ღვესასწაულებრივი მაღალფარდოვანება სულ უფრო ხშირად ადგილს უთმობს ალერსით გამთბარი გულის ცოცხალ თრთოლვას.

ასეთი უბრალო, სულის სიღრმიდან მომდინარე სიტყვებით წერს რუსი პოეტი, მაგალითად, საქართველოს მთებზე:

**С тех пор мне собратьями сделались горы,**  
**И нет мне покоя, когда на трубе**  
**Поют в сентябре золотые Гомборы,**  
**И гокят в просторы и манят к себе.**

ნიკოლოზ ზაბოლოცკის აქვს ერთი ლექსი, რომელშიც იგი გადმოგვცემს თავის ფიქრებსა და განცდებს კავკასიის ქედზე გადაფრენის დროს. ლექსი დაწერილია 1947 წელს. დიდი ხნის განშორების შემდეგ პოეტი კვლავ მიემგზავრება საქართველოსაკენ. მისი არსება შეპყრობილია მოლოდინისა და ალტაცების გრძნობით. (**„И вскрикнула душа, узнав тебя Кавказ!"**). მაგრამ ამ ლექსში გადმოცემულ განწყობილებებს არაფერი არა აქვთ საერთო იმასთან, რასაც უცხო ქვეყანაში მიმავალი ცნობისმოყვარე მოგზაური განიცდის. ისინი უფრო ჰგვანან იმ ტკივილივით მძაფრ გრძნობას, რომელიც სამშობლოში დაბრუნებულ ადამიანს მოიცავს.

და მართლაც საქართველო ზაბოლოცკისათვის იქცა მეორე სამშობლოდ, რომლის წიაღშიც მისი შთაგონების ახალმა სახეებმა და ჩვენებებმა შეისხეს ფრთები. მხოლოდ იმ პოეტს, რომელმაც მთელი სულით და გულით შეიყვარა ჩვენი ქვეყანა, მთელი თავისი არსებით შეეთვისა ქართველ ხალხს, მის წარსულსა და აწმყოს, მისი პოეზიის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებსა და ცოცხალ სუნთქვას — მხოლოდ ასეთ პოეტს შეეძლო ეთქვა ისე როგორც ამბობდა ნიკოლოზ ზაბოლოცკი:

**«Грузино-русских строк отряды**  
**В примерном встретились бою».**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ჭარხალაშვილი

★

# შენიშვნები რეალიზმის თეორიის ზოგიერთ საკითხზე*

ნეორეალიზმი, როგორც გარკვეული შემოქმედებითი მიმართულება, ფართო კულტურულ არენაზე მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდიდანაა ცნობილი. სახვით ხელოვნებაში, კერძოდ, ზოგიერთი კრიტიკოსი მისი მთელი სისრულით გამოჩენის დროდ 1944 წელს ასახელებს და მიუთითებს რენატო გუტუზოს ცნობილ სერიაზე — „ღმერთი ჩვენთანაა“. შეიძლება ნიმუშების დასახელება ამავე პერიოდის იტალიური კინოდან და ლიტერატურიდან, მაგრამ სინამდვილეში ნეორეალიზმის ისტორია უფრო ადრე იწყება, კერძოდ, ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან.

იტალიური ნეორეალიზმი იდეურ სათავეს 30-იანი წლების ანტიფაშისტურ-დემოკრატიულ მოძრაობაში იღებს. მისი თითქმის ყველა ცნობილი წარმომადგენელი უშუალოდაა დაკავშირებული წინააღმდეგობის ანტიფაშისტურ ფრონტთან. კრიტიკოს კარლო სალინარის სიტყვებით, „ეს რეალიზმი ანტიფაშიზმის მორალური ჰავის პირობებში ცოცხლობდა“. ამ „ჰავამ“ მოწინავე იტალიელ მწერალთა ნაწარმოებებში ცხოვრებისეული სიმართლე და საბრძოლო განწყობილება შეიტანა. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში (ე. ი. 30-იან წლებში) მათ უმთავრესად ქრონიკალურ-დოკუმენტური ხასიათის ლიტერატურა შექმნეს, რომელზეც აშკარად ჩანდა ჯოვანი ვერგასა და მისი ვერიზმის გავლენა. ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, ვერიზმის გავლენა ბოლო პერიოდის ნეორეალისტურ შემოქმედებაშიც ჩანს. ზოგჯერ ისინი ნეორეალიზმს ნეოვერიზმსაც კი უწოდებენ. ეს არ უნდა იყოს სწორი. ვერიზმის „სინამდვილე, რომელიც თვალში გეცემა“, ან კიდევ „შიშველი ფაქტები და საგნები“, არაა ის, რასაც ნეორეალიზმში შეიძლება სინამდვილისადმი „ზედმეტი“ ერთგულება ეწოდოს.

30-იანი წლების ნეორეალისტური ლიტერატურა უპირატესად კონკრეტული ფაქტების ლიტერატურაა. მისთვის უცხოა ფართო განზოგადოებები და ფართო პლანის ნაწარმოებები. სამაგიეროდ, ამ ლიტერატურის ნიმუშებში ძლიერია ლირიკული საწყისი, რაც ერთგვარად ანეიტრალებს ქრონიკალურ-დოკუმენტურ სიმშრალეს. ასეთია, მაგალითად, ელიო ვიტორინის „საუბრები სიცილიაზე“ (1940), რომელსაც ნეორეალისტური მხატვრული ლიტერატურის პირველ ტიპიურ ნიმუშად თვლიან. ძლიერი ლირიკული საწყისი და ერთგულება ფაქტებისადმი ტრადიციად მიიღო შემდგომი პერიოდის რეალისტურმა ლიტერატურამ. მეორე მსოფლიო ომის წლებში ეს ტრადიცია თავისებურად განვითარდა.

ახალი ეტაპი ნეორეალიზმის განვითარებაში იწყება იმ დროიდან, როცა იტალიაში ფაშიზმის ბატონობის შავბნელი ხანა დასრულდა. ახალი სოციალური ვითარება ახლებურ ასახვას მოითხოვდა. სწორედ ამ მომენტში გამოჩნდა ნეორეალისტების დემოკრატიული სულისკვეთება და რეალისტური ალღო; მოდერნისტულ მიმდინარეობათა შემოტევის პირობებში მათ განავითარეს შემოქმედებითი ხაზი, რომელიც ცხოვრებისეული სიმართლის მხატვრულ ჩვენებას მოითხოვს; მათ აღმოაჩინეს მთელი „სამყარო“, რომელიც დავიწყებული იყო ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და გაბატონებული წრეების მიერ. ეს იყო „სამყარო“ უბრალო ადამიანებისა, რომლებმაც ყველაზე მეტად განიცადეს ომის საშინელებანი. ეს ადამიანები და მათი ცხოვრება გახდა ნეორეალიზმის ასახვის ობიექტი, ასახვისა „უშუალოდ“, „ისე, როგორც არის“, ყოველგვარი შეფერადებისა და შელამაზების გარეშე. ნეორეალიზმის წამყვანი თემა ამიერიდან არის თემა წინააღმდეგობისა უბრალო ადამიანსა და გაბატონებულ წრეებს შორის. ეს თემა თავისთავად არაა ახალი, მაგრამ მისი გააზრება და მხატვრული გადაწყვეტა ნეორეალისტებმა ახლებურად შეძლეს.

ნეორეალიზმში უბრალო ადამიანი გამოჩნდა მთელი თავისი ცხოვრებითა და სულიერი განცდებით. მწერლის მახვილი თვალი თუ კინოაპარატის ობიექტივი მას გვიჩვენებს ყოველდღიურ საქმიანობასა და ოჯახურ გარემოში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობასა და გაბატონებულ სინამდვილისადმი დამოკიდებულებაში. ნეორეალისტური ნაწარმოების გმირი პატიოსანი მშრომელი ადამიანია. მიუხედავად მატერიალური ხელმოკლეობისა, იგი მაღალი მორალური თვისებების მქონეა, საკუთარი შრომით ცდილობს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ნეორალისტურ ხელოვნებაში ესთეტიკური და მორალური კატეგორიები მხატვრულ მთლიან-

* გაგრძელება. იხ. მნათობი № 6.

ბად არის ქცეული. ეს ნეორეალიზმის დიდი დამსახურებაა.

ნეორეალიზმში ერთობ ძლიერია აღწერილობითი მომენტი. ბევრი რამ მასში ზედმეტი და გაჭიანურებულიც ჩანს. მიუხედავად ამისა, ნეორეალიზმისათვის ძირითადი ტიპიურობის რეალისტური პრინციპია. მისი საუკეთესო ნიმუშებისათვის ნიშანდობლივია განზოგადოების დიდი ძალა, რაც მხოლოდ ტიპიზაციის რეალისტური მანერის საფუძველზეა შესაძლებელი. მაგრამ რეალისტური სცენები და პერსონაჟები უფრო „შეუფერადებელი“ სინამდვილის ჩვენებას ემსახურებიან, ვიდრე ამ სინამდვილის გარდაქმნის საქმეს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ნეორეალისტებს დღევანდელ ეტაპზე არც კი აინტერესებთ გაბატონებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები. მხოლოდ ხანდახან გაისმის პროტესტანტისა თუ მეამბოხეს ხმა, ისიც შინაურულ-ოჯახურ წრეში. ამ ხმას იშვიათად აიტაცებს ხოლმე ხალხი, ხალხი ამბოხებული, მაგრამ მხოლოდ სტიქიურად მებრძოლი („არ არის მშვიდობა ზეთისხილების ქვეშ“ და სხვ.).

ხალხის როლის მეცნიერულ გაგებამდე ნეორეალიზმის თეორეტიკოსები ვერ ამაღლდნენ. კიდევ უფრო სუსტია ხალხის საბრძოლო განწყობილების ჩვენება მხატვრულ ნაწარმოებებში. მიზეზი ამისა, ცხადია, ნეორეალისტების მსოფლმხედველობრივი შეზღუდულობაა. „ილ კონტემპორანეოს“ განცხადებაში, რომ — „ნეორეალიზმი მარქსიზმის თეორიულ ბაზაზე“ წარმოიშვა, სიმართლის მხოლოდ ის ელემენტია, რომ მოწინავე ნეორეალისტები მართლაც იცნობენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. მაგრამ აქედან ისინი ვერ აკეთებენ სათანადო დასკვნებს და, რაც მთავარია, ვერ იყენებენ მას შემოქმედებითი საკითხების გადაწყვეტისას. ამიტომაა, რომ ნეორეალისტური ხელოვნება მოკლებულია სინამდვილის ისტორიულ განვითარებაში ჩვენების უნარს. ეს კი ზღუდავს მის რეალიზმს, ამცირებს შემოქმედებითი ნიმუშების შემეცნებით ღირებულებასა და ზემოქმედების ძალას. ეს მომენტი კარგად აღნიშნა თვით დე სანტისმა, ნეორეალიზმის ერთერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა, საბჭოთა მწერლებთან საუბარში 1958 წლის 6 ოქტომბერს: „ჩვენი ფილმები არასრულად ასახავენ იტალიურ სინამდვილეს. ძალიან დიდი ყურადღება ექცევა კერძო შემთხვევებს. კინო-კადრის უკან რჩება მუშათა კლასის ბრძოლა, რომლის ჩვენების გარეშეც არ შეიძლება არსებობდეს ნამდვილი რეალიზმი. ჩვენი ნეორეალიზმი უფრო მეტად ნეორომანტიზმია“...

ბევრი საყურადღებო აზრი გამოთქვეს სხვა ნეორეალისტებმაც, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში, როცა ლაპარაკი ნეორეალიზმის კრიზისის შესახებ ჩვეულებრივი გახდა. აღსანიშნავია, კერძოდ, კარლო სალინარის გამოსვლა გრამშის სახელობის რომის ინსტიტუტში, სადაც მან თქვა: „... რეალურად პარტიულობის (ლაპარაკია ხელოვნების პარტიულობაზე — ზ. ჭ.) არც აღიარება შეიძლება და არც უარყოფა, რადგან იგი ობიექტურად ახასიათებს ხელოვნებას... თანამედროვე რეალისტურ მოძრაობაში ხელოვნების ეს საყოველთაო პარტიულობა იმ აზრით ვლინდება, რომ იგი საშუალებას გვაძლევს აღვნუსხოთ ჩვენს გარემემო არსებული სინამდვილის ახალი ელემენტები და, შესაბამისად, დავუკავშიროთ ხელოვნება იმ ტენდენციას, რომელსაც საზოგადოება სოციალიზმის გზით მიჰყავს“.

დე სანტისისა და სალინარის სიტყვები მოწმობენ, რომ ნეორეალისტები სინამდვილის მხატვრული ათვისების ახალ გზებს ეძებენ. ჯერჯერობით კი ფაქტია ნეორეალიზმი თავისი ძველი ხელოვნების თეორიითა და ცნობილი ტიპიური ნიმუშებით. ფაქტია აგრეთვე ის, რომ ნეორეალიზმი კრიზისს განიცდის. ეს კრიზისი შესაძლებელია კიდევ კარგა ხანს გაგრძელდეს, რადგან ძველი შემოქმედებითი პოზიციებიდან ახალზე გადასვლა, ახალი ვითარების ადეკვატური მხატვრული ფორმის მონახვა ერთობ ძნელი და ხანგრძლივი პროცესია. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ჯერ კიდევ ბევრი იცავს ნეორეალიზმის პრინციპებს, ცდილობს მის გამართლებას. ცნობილმა იტალიელმა პოეტმა და რომანისტმა პაზოლინიმ, მაგალითად, საბჭოთა მწერლებთან შემოქმედებითი დისკუსიის დროს რომში აღნიშნა, რომ ისეთი ოპტიმიზმი და პერსპექტიულობა, როგორიც საბჭოთა ლიტერატურას ახასიათებს, მიზანშეწონილი არ არის იტალიური ლიტერატურისათვისო. ის ამტკიცებდა, რომ ევროპული სინამდვილე არ იძლევა საამისო საფუძველს და ამართლებდა თვალსაზრისს — „ხსნა იმაშია, რომ ჯოჯოხეთში მცხოვრები ჯოჯოხეთის გაგებისაკენ ისწრაფვი“.

ნეორეალიზმის იდეური სისუსტე თავისებურად გამოიყენეს ბურჟუაზიული ხელოვნების მესვეურებმა. მათ შექმნეს ყალბი ნეორეალისტური ნაწარმოებები, რომლებშიც ესთეტიზირებულია სიღარიბე და უბედობა, დანაოჭებული სახეები და ძონძები. ამ ნაწარმოებების აზრი ისაა, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოცემულად, „განგებისაგან“ დაკანონებულად მიიჩნიონ ამგვარი ცხოვრება, ნუ შეეცდებიან მის შეცვლასა და სრულყოფას. კათოლიკურმა წრეებმა პრემიაც კი მიანიჭეს ფელინის კინოს „კაბირიას ღამეები“, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნეორეალისტურ ნაწარმოებში საკმაოდ ძლიერია ანტირელიგიური მოტივები. ყოველივე ამის გამო, საჭიროა გავარჩიოთ ნამდვილი ნეორეალიზმი და ბურჟუაზიული ფარსი ნეორეალიზმის საფარქვეშ.

ნეორეალიზმი თანამედროვე კრიტიკული რეა-

ლიზმის ერთერთი ძლიერი სახესხვაობაა. მის სწორ გაგებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს რეალიზმის თეორიის კარდინალური საკითხების გადაწყვეტისათვის. აქედან ჩვენ შევეხებით რეალიზმის მხატვრული მრავალფეროვნების საკითხს.

ახლა უკვე აღარავინ ამტკიცებს, რომ მხატვრული აზროვნების მთელი ისტორია რეალიზმისა და ანტირეალიზმის ბრძოლაა. ამ ყალბი თეორიის ყოფილი დამცველებიც კი აღიარებენ, რომ ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურებზე ე. წ. „არარეალისტურმა“ მიმდინარეობებმაც კი შეასრულეს გარკვეული როლი სამყაროს ესთეტიკური ათვისების საქმეში. სხვა მიმდინარეობებისათვის ისტორიულად კანონზომიერი „მოქალაქეობრივი“ უფლების აღიარება არ ნიშნავს რეალიზმის დაკნინებასა და შეზღუდვას. პირიქით, სწორედ მათთან ურთიერთობის ფონზე ჩანს უფრო ნათლად, რომ სინამდვილის მხატვრული აღქმის ის ხაზი, რომელიც შემოქმედების რეალისტური მეთოდით დასრულდა, იმთავითვე წამყვანი იყო მხატვრული აზროვნების ისტორიაში. განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე იცვლებოდა მიმართების ფორმები წამყვან რეალისტურ მიმართულებასა და სხვა შემოქმედებით პრინციპებს შორის. ასეა ახლაც, თანამედროვე რეალიზმი, როგორც კრიტიკული, ასევე სოციალისტური, თავისებურ, საკუთარ პრინციპებიდან გამომდინარე მოთხოვნებს უყენებენ როგორც ახალ ხელოვნებას, ასევე წარსულის მემკვიდრეობას. ჩვენი ეპოქის მწვავე კლასობრივ ვითარებაში რეალიზმი გადამწყვეტ ბრძოლას უცხადებს თანამედროვე მოდერნიზმის ყოველგვარ გამოვლენას, რადგან მათი მოჩვენებითი მხატვრულობის უკან ანტიჰუმანიზმი და ანტიდემოკრატიზმი იმალება. რამდენიც არ უნდა ამტკიცონ ბურჟუაზიული კრიტიკის წარმომადგენლებმა, რომ თანამედროვე ლიტერატურა მხოლოდ ჯოისისა და კაფკას ტრადიციებზე შეიძლება განვითარდეს, მაინც, ცხადია, რომ რეალიზმი კაპიტალისტურ ქვეყნებშიც რჩება წამყვან შემოქმედებით მიმართულებად. ამას კარგად ადასტურებს ძლიერი კრიტიკული რეალიზმი ამ ქვეყნებში (ფოლკნერი, ჰემინგუეი, სტეინბეკი, მორიაკი, ლეონჰარდ ფრანკი, რემარკი და სხვ.), რასაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს.

სოციალური ვითარების შესაბამისად შემოქმედებით მიმართულებებს შორის ურთიერთობა კარგად ჩანს იტალიური ნეორეალიზმის მაგალითზე (ალბერტო მორავია — „ჩოჩარა“, ვასკო პრატოლინი — „ამბავი ღარიბი შეყვარებულებისა“, კარლო ლევი — „ქრისტე შეჩერდა ებოლში“, დე სანტის, დე სიკას, ძავატინის, ლიძანის შემოქმედება და სხვ.). როგორც ვთქვით, ნეორეალიზმი თანამედროვე კრიტიკული რეალიზმის სახესხვაობაა, რომელშიც ორგანულადაა შესული ნატურალიზმის ელემენტები. როცა ნეორეალიზმის სისუსტეზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ, ნატურალიზმთან მის ნათესაობაზეც მიუთითებენ. ასე, მაგალითად, პროფ. ა. ივაშჩენკო წერს: „უხეში შეცდომა იქნება, თუ ვერ შევნიშნავთ თანამედროვე იტალიური რეალიზმის შინაგან წინააღმდეგობას. მეტად თუ ნაკლებად გამოკვეთილი ფორმით ნეორეალისტურ ნაწარმოებებში შენარჩუნებულია კავშირი ნატურალიზმის ესთეტიკასთან, უფრო ზუსტად — ხელოვნების სინამდვილესთან გაიგივების ნატურალისტურ პრინციპთან“. ამ კავშირს კრიტიკოსი ხედავს იმაში, რომ „მკაცრი რეალიზმი“ (ე. ი. ნეორეალიზმი) „არღვევს ესთეტიკურად მისაღებ საზღვრებს“, ხოლო ყოფითი დეტალები ჩრდილავს ნაწარმოების სოციალურ არსს[1]. ჩვენ არ დავიწყებთ ამ აზრის განხილვას. შესაძლებელია, ეს *ზოგჯერ* მართლაც ასეა, მაგრამ მთლიანად მისაღები არ გვეჩვენება ის თეზისი, რასაც კრიტიკოსი იცავს ნეორეალიზმისა და ნატურალიზმის ურთიერთობის საკითხში. ამ საკითხს, ჩვენი აზრით, სხვა ასპექტში უნდა განხილვა.

აქვს თუ არა რაიმე ობიექტური საფუძველი ნატურალიზმის ელემენტების აღრევას ნეორეალიზმში? შეიძლება აქ რაიმე შემოქმედებითი კანონზომიერების დადგენა? ჩვენ ამ კითხვებზე დადებითად ვპასუხობთ.

ნეორეალისტურ ნაწარმოებებში ნატურალიზმი იგრძნობა პიროვნული და ყოფითი მომენტების აღწერაში, მოქმედ პირთა ხასიათების დეტალიზაციაში. ეს გარემოება, ჩვენი აზრით, განსაზღვრა თვით მაშინდელმა იტალიურმა სინამდვილემ, რომლის მხატვრულ ასახვასაც ცდილობდნენ ხელოვნების მოწინავე მუშაკები. უბრალო ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების ჩვენება, დაკნინებული პიროვნული თვისებების განახლება, რაც განსაკუთრებით აქტუალური იყო იტალიელ ხელოვანთათვის ომისშემდგომ პერიოდში, ახალი მხატვრული ფორმების ძიებას მოითხოვდა. ეს ფორმები საბოლოოდ ნეორეალიზმის სახით ჩამოყალიბდა; მასში ორგანულად შევიდა ნატურალიზმის ელემენტებიც, რადგან ამგვარმა „სინთეზურმა“ მხატვრულმა ფორმამ ყველაზე კარგად გვიჩვენა ომგამოვლილ იტალიელთა ცხოვრება, სულიერი სამყარო. *მნიშვნელოვანი მომენტი ხალხის ფსიქიკურ წყობაში და ნეორეალიზმი „დაემთხვა“ ერთმანეთს.* ამიტომ გახდა ნეორეალიზმი ძლიერი შემოქმედებითი სკოლა. იგი ეროვნული (იტალიური) ხასიათის მოვლენაა,

---

[1] А. Иващенко, Социалистический реализм и современная зарубежная литература («Вопросы литературы», 1959, № 5, стр. 101).

მაგრამ მისი მნიშვნელობა გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს. ნეორეალიზმმა გარკვეული კვალი დატოვა მხატვრული აზროვნების ისტორიაში.

კრიზისი, რომელსაც ნეორეალიზმი განიცდის დღეს, კვლავ ობიექტური მიზეზებითაა პირობადებული. მეორე მსოფლიო ომის ბურუსი კარგა ხანია გადაიყარა. საზოგადოებრივი ცხოვრება, მასების სულიერი განწყობილება შეიცვალა. საჭიროა ახალი მხატვრული ფორმების ძიება. ნეორეალიზმი სწორედ ამგვარ ძიებაშია, მაგრამ ჯერჯერობით ვერ აღწევს სასურველ შედეგს. მისი მოწინავე წარმომადგენლები სულ უფრო მეტად რწმუნდებიან იმაში, რომ ახალი მხატვრული ფორმა ახალ შინაარსს შეიძლება მოჰყვეს. მათთვის, ცხადია, ძნელია ამგვარი შინაარსის მიგნება კაპიტალიზმის პირობებში, მაგრამ ცხადია ისიც, რომ შემოქმედებითი პრინციპების განახლების გარეშე შეუძლებელია ახალი წარმატებების მოპოვება. საფიქრებელია, რომ, ისე როგორც სინამდვილისადმი „ზედმეტი" ერთგულების მოთხოვნამ განსაზღვრა ნეორეალიზმის „სინთეტური" (ნატურალიზმის ელემენტებიანი) ფორმის არსებობა, ასევე — მოძველებული შემოქმედებითი პრინციპების გადაფასება ასახვის ახალ საშუალებათა შექმნას მოითხოვს. ამგვარი გადაფასება რთული პროცესია. ამიტომაა, რომ ჯერჯერობით ნეორეალიზმი, გარკვეული თვალსაზრისით, ერთფეროვნების ჩიხში მოექცა. სწორედ აქედან დაიწყო მისი საერთო კრიზისი.

გარკვეული საფუძველი აქვს თემის სიმბოლიურ-ალეგორიულ პლანში გაშლისა და გადაწყვეტის იმ მანერასაც, რაც ასე გავრცელდა თანამედროვე კრიტიკულ რეალიზმში. საერთოდ (ვერკორის „ადამიანები თუ ცხოველები", სტეინბეკის „დაბნეული ავტობუსი", ფოლკნერის „იგავი" და ა. შ.). ეს მანერა ნეორეალიზმშიც შეიმჩნევა („ქრისტე შეჩერდა ებოლიში" და სხვ.). ამ შემოქმედებითი მიმართულების წარმომადგენლები კონკრეტულად არ სვამენ რა სოციალური სისტემის ყოფნა-არ ყოფნის საკითხს, ხშირად ზოგადად, ერთობ განყენებულად მსჯელობენ ადამიანის ბედისა, პიროვნულ თვისებებისა და, საერთოდ, ცხოვრების არსის შესახებ. კონკრეტულ-ისტორიული გარემოსა და ყოველდღიური ცხოვრების გათვალისწინების გარეშე სინამდვილის ასახვა გზას უხსნის სიმბოლიზმსა და ალეგორიზმს, წმინდა თეორიულ განსჯასა და სუბიექტივისტურ აღსარებებს.

სწორედ ასეა ზემოთდასახელებულ ნაწარმოებებში, მაგრამ თუ მაინც მათ კრიტიკულ რეალიზმზე ვლაპარაკობთ, ეს იმიტომ, რომ ერთი შეხედვით ზედმეტი და „არაჯანსაღი" აქ ძირითადად ავტორისეულ სწორ კონცეფციას ექვემდებარება. საერთოდ, ე. წ. „არარეალისტური" სკოლების ისტორიაში ცნობილი მხატვრული აქსესუარების გამოყენება ოდნავადაც არ ამცირებს რეალისტურ ნაწარმოებებს, თუ ეს აქსესუარები ეხმარებიან ავტორს თემის რეალისტურ გაშლასა და გადაწყვეტაში. უფრო მეტიც. შეიძლება გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში ორი, ერთი შეხედვით ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმდინარეობის ურთიერთობისა თუ „შეთავსების" საკითხიც დადგეს. ასე, მაგალითად, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დღევანდელი ლიტერატურის ხასიათს სოციალისტური რეალიზმისა და სიმბოლიზმის ურთიერთმიმართება განსაზღვრავს. ახალ ლიტერატურას აქ არ შეეძლო განვითარებულიყო სიმბოლიზმის გარეშე, რაც ფრანგული ლიტერატურის გავლენით ღრმადაა ფესვგადგმული ამ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

ახლა, როცა დოგმატიზმი ლიტერატურათმცოდნეობაში ძირითადად დაძლეულია, ეს საკითხები აღარ უნდა იწვევდნენ დავას. ჩვენ აქ მაინც გავიმეორებთ ა. ა. ფადეევის აზრს, რომელიც გამოთქმულია მის ერთერთ უკანასკნელ შრომაში — „შენიშვნები ლიტერატურაზე". „ზოგიერთებს დღემდე მიაჩნიათ, რომ, მაგალითად, სოციალისტური რეალიზმი სრულიად უარყოფს სიმბოლიკას, პირობითობას, ზღაპრულობას... ჩვენი ცხოვრება და ხვალინდელი დღე შეიძლება აისახოს როგორც კლასიკური რეალისტური რომანების ფორმით — ე. ი. ყოფით საფუძველზე, ასევე „ფაუსტისა" და „დემონის" მსგავსი ფორმით — ე. ი. რომანტიკული და ზღაპრული, ანდა პირობითი ფორმით; შეიძლება აისახოს ყოველგვარი ფორმით, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ სიმართლე"[1].

თანამედროვე კრიტიკული რეალიზმი მე-19 საუკუნის რეალისტური ტრადიციების გაგრძელებაა, მაგრამ მაინც თავისებური მოვლენაა ლიტერატურის ისტორიაში. მას გარკვეული სპეციფიკური ნიშნები გააჩნია და მათი უგულვებელყოფა ან ძველ ნიშნებთან გაიგივება — ყოვლად დაუშვებელია. ჯერჯერობით ეს ნიშნები არაა გამოვლენილი და შესწავლილი. მითითებულია მხოლოდ ზოგიერთი მათგანი. პრინციპულად სწორი აზრია გამოთქმული ამ საკითხთან დაკავშირებით ვ. შჩერბინას წერილში „სოციალისტური რეალიზმის შესახებ": „სამყაროს უფრო სრული და ფართო ასახვისათვის თანამედროვე რეალიზმი ითვისებს გამოსახვის ზოგიერთ ახალ ელემენტს. თანამედროვე რეალიზმისათვის დამახასიათებელია ყოველგვარი პირობითი გროტესკული, ალეგორიული, ჰიპერბოლური სახეების, სიუჟეტებისა და მოტივების კუთრი წონის გადიდება. ორგანულად ერწყმის რა ცხოვრების ტრადიციულ რეალისტურ ასახვას, ეს პირობითობა ხელს უწყობს ისტორიუ-

---

[1] А. Фадеев, За тридцать лет, избр. ст., 1957, М., стр. 663.

ლი სინამდვილის პროცესებისა და ნამდვილი ნიშნების რელიეფურ მხატვრულ ასახვას“.[1]

რეალიზმის, როგორც შემოქმედებითი მეთოდის გამოყენება ერთობ რთული საქმეა და მწერლის მსოფლმხედველობრივი მომწიფების ხარისხზეა დამოკიდებული. ბევრი უცხოელი მწერალი თანამედროვე კლასობრივი ბრძოლის პირობებში ძნელად აღწევს (ან სულაც ვერ აღწევს) იდეური სრულყოფის ჭეშმარიტ მეცნიერულ დონემდე, ამიტომ მათ შემოქმედებაში ჩამოყალიბებული რეალისტური პრინციპების, მით უფრო რეალისტური მეთოდის არსებობაზე ლაპარაკი ხშირად საფუძველს მოკლებულია. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ მწერალთა მხატვრულ ნაწარმოებებში რეალიზმის არავითარი ნიშანწყალი არ შეინიშნება. პირიქით, თანამედროვე უცხოური ლიტერატურა გვარწმუნებს, რომ მასში რეალიზმი ზოგჯერ, ასე ვთქვათ, სტიქიურად იჩენს თავს; თანაც რეალიზმის სტიქიური გამოვლენის სფერო შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე ნაწარმოები. რეალიზმის ამგვარ გამოვლენას, ჩვეულებრივ, განსაზღვრავს კონკრეტული სინამდვილე, ცოცხალი ფაქტების ლოგიკა, მწერლის მხატვრული ალღო და ტალანტი. მხოლოდ ასე შეიძლება გავიგოთ თანამედროვე კრიტიკული რეალიზმის ბევრი ნიმუში, რომელთა ავტორებსაც აზრადაც არ მოსვლიათ რეალისტური მეთოდის შეგნებული თუ შეუგნებელი გამოყენება.

მოწინავე შემოქმედებითი პრინციპების შეგნებული მომარჯვება და მათი მხატვრული განხორციელება, ცხადია, ზრდის ნაწარმოების იდეურ-ესთეტიკურ ღირებულებას. მაგრამ დიდია იმ რომანებისა თუ მოთხრობების შემეცნებითი ღირებულებაც, რომლებშიც ცხოვრების სიმართლემ, რეალიზმმა „სტიქიურად“ იჩინა თავი (ა. მილერის „ხედი ხიდიდან“, ჟ. სორიას „უკანასკნელი შანსი“ და სხვ.). ამიტომ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის საპატიო ამოცანაა კონკრეტული ანალიზის საფუძველზე დაადგინოს ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული რაობა, მათი მიმართება სხვა შემოქმედებით ნიმუშებთან და მწერლის შემოქმედებითი ევოლუციის ძირითად ხაზთან; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემოქმედებითი პრინციპების მხატვრული განხორციელების „შეგნებულობასა“ თუ „სტიქიურობას“, იმის ჩვენებას, თუ რა თვალსაჩინო შედეგები შეიძლება მოჰყვეს ლიტერატურაში მოწინავე შემოქმედებითი პრინციპების დაცვასა და გატარებას.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ კრიტიკას თანამედროვე უცხოური ლიტერატურისათვის.

• •
•

სოციალისტური რეალიზმი ვითარდება სხვადასხვა ანტირეალისტურ, დეკადენტურ-მოდერნისტულ მიმდინარეობებთან ბრძოლაში. ამ მიმდინარეობათა ხასიათი იცვლება საერთაშორისო — პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, რადგან იმპერიალისტური ბურჟუაზია ამა თუ იმ პერიოდში იმ მიმდინარეობას აცოცხლებს, იმ მხატვრული სკოლისა თუ ჯგუფის გარშემო ტეხს აურზაურს, რომელიც მეტად ესაჭიროება რეაქციული იდეების პროპაგანდისათვის მოცემულ ეტაპზე.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით მოდაშია მოდერნიზმის თავისებური სახესხვაობა, რომელიც კაფკასა და ჯოისის ტრადიციებს უკავშირდება. მისი წარმომადგენლები ცდილობენ ხელოვნება ჩამოაშორონ თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს, მშრომელი მასებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს. ისინი მოითხოვენ „წმინდა ადამიანური“ ამბებით შემოზღუდვას, რაც, მათი გაგებით, სხვა რაფერია, თუ არა ჩვენი თანამედროვეობით „შეშინებული“, „დაკნინებული“ ინდივიდის „გაურკვეველი“ სულიერი სამყაროს ჩვენება. თანამედროვე მოდერნიზმის რომელი სახესხვაობაც არ უნდა ავიღოთ (აბსტრაქციონიზმი, ლეტრიზმი და სხვ.), მასში ვერ ვიპოვით ცხოვრებისეულ სიმართლეს, რეალურ ადამიანებს. ამგვარ ნაწარმოებებში მოქმედებენ შეზღუდული ფსიქიკის ინდივიდები, უკმაყოფილონი თავიანთი არსებობითა და სიცოცხლის სუნთქვით, ჩაკეტილნი ვიწრო პირადულ ნაჭუჭში, რომელშიც რეალური ამბები ვერც კი აღწევენ. თანამედროვე დეკადენტები ამგვარი ინდივიდების სუბიექტივისტური სამყაროს იქით არ იხედებიან, თითქოს და არც კი იციან რა ხდება ცხოვრებაში.

თანამედროვე მოდერნისტები არ ცნობენ ხელოვნებას, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმას, უარყოფენ ლოგიკურ-მხატვრული ცნებებითა და სახეებით აზროვნების შესაძლებლობას. ყოველგვარ თეორიას ხელოვნებაზე, როგორც მხატვრულ აზროვნებაზე, ისინი მოძველებულად აცხადებენ. ტიპიურია ამ მხრივ ამერიკელი პროფესორის ჰ. მიდის შრომა „ესთეტიკის შესავალი“ (ნიუ-იორკი, 1952) და ფრანგი კრიტიკოსის რენე უინგის წერილი „აქვს თუ არა აზრი ხელოვნებას“ (1956). დასახელებული ავტორები ამტკიცებენ, რომ მხატვრული სახე, რომელიც რეალური საგნისა თუ მოვლენის ჩვენს ცნობიერებაში ასახვის შედეგია, არ შეიძლება იყოს ხელოვნების საფუძველი, რადგან იგი (ე. ი. სახე) საგნისა თუ მოვლენის მხოლოდ „პირველ ანაბეჭდს“, სინამდვილის „ზერელე ცოდნას“ გვაძლევს. ასეთი „ცოდნა“, მათი აზრით, ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ადამიანს, რომელიც „რთული აბსტ-

[1] Проблемы реализма в мировой литературе, сб. ст., 1959. М., стр. 88.

რაქციების სფეროში“ ცხოვრობს. ცოცხალი ფაქტი, რეალური საგანი მისთვის მხოლოდ „საწყისი შთაბეჭდილებაა“, რომლის საფუძველზეც შემდეგ ასოციაციების რთული სისტემა წარმოიშობა. ეს „სისტემა“ თანდათან კარგავს კავშირს „საწყის შთაბეჭდილებებთან“ — ე. ი. ობიექტურ სინამდვილესთან. „ინტელექტუალური გაღრმავების“ ეს მომენტი, მოდერნიზმის თეორეტიკოსების მიხედვით, არ შეიძლება იყოს რეალიზმი, რადგან იგი „პირველი ანაბეჭდების“ ხელოვნებაა. შესაბამისად, რეალიზმი არ შეიძლება იყოს თანამედროვეობის ხელოვნება, არ შეიძლება, რადგან იგი თურმე ვერ დააკმაყოფილებს ჩვენი დროის ადამიანის „რთულ ინტელექტუალურ სამყაროს“. აი, სწორედ აქ არის აბსტრაქტული ხელოვნების ნაირსახეობათა სათავე. თანამედროვე მოდერნიზმის ესთეტიკური ქვაკუთხედი.

მოდერნიზმისა თუ აბსტრაქტული ხელოვნების ნაირსახეობათა შინაგანი სიცარიელე საფუძველია იმისა, რომ მხატვრული ფორმა ამგვარ ნაწარმოებებში მთლიანად დაშლილია. ამიტომაცაა, რომ დღეს კაპიტალისტურ ქვეყნებში „დახვეწილი გემოვნების“ მქონე ბევრ ესთეტსაც აღარ ესმის ამ მოდური მიმდინარეობების შემოქმედებითი „მიღწევები“. კრიტიკა მოდერნიზმისა თვით ბურჟუაზიულ წრეებშიც კი საკმაოდ ხშირად გაისმის. ასე, მაგალითად, იტალიელი მწერალი გვიდო პიოვენე, წერს: „ლიტერატურაში აბსტრაქციონიზმი შუა გზაზე შეჩერდა. როგორ შენიღბულადაც არ უნდა ჩანდეს, ფაქტია, რომ ლიტერატურული ნაწარმოები შინაარსზეა დამოკიდებული და მწერალიც იძულებულია გამოხატოს თავისთავისაგან რაღაც განსხვავებული. არ შეიძლება წერდე თემისა და სიუჟეტის გარეშე: თუ ნაწარმოებში არაა არც ერთი, არც მეორე, მაშინ იგი ხდება ცარიელი, უაზრო, უნაყოფო, ცივი. ისეთი ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნის ცდები, რომლებიც მთლიანად „თავისუფალნი“ უნდა ყოფილიყვნენ რაიმეს „ჩვენების“ მომენტისაგან, კრახით დამთავრდა. უკეთეს შემთხვევებშიაც კი ცალკეულ ხელოვანთა მხოლოდ შავი სამუშაოები მივიღეთ“.

მოდერნიზმი თავისი ნაირსახეობებით ბურჟუაზიული დეკადანსის გამოვლენაა ჩვენი დროის ხელოვნებაში. შენიღბული ფორმებითა და სახეშეცვლილი ვარიანტებით იგი თავისებურ გავლენას ახდენს შემოქმედთა და მკითხველთა გარკვეულ წრეებზე, აფერხებს მწერალთა ერთი ნაწილის მსოფლმხედველობრივ ევოლუციას, ასუსტებს მხატვრული შემოქმედების გავლენას ფართო მასებზე.

ასეთივე უარყოფითი შედეგები საზოგადოებრივი განვითარებისათვის მოაქვს რევიზიონიზმს ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომლის ძლიერი ტალღაც განსაკუთრებით იგრძნობოდა 50-იან წლებში. სხვადასხვა ჯურის „მემარჯვენე“ თეორიტიკოსები გააფთრებით დაესხნენ თავს საბჭოთა ლიტერატურას, მის შემოქმედებით მეთოდს, შეეცადნენ სახელი გაეტეხათ რეალისტური ხელოვნების მიღწევებისათვის. მათ დრომოჭმულად, მოძველებულად გამოაცხადეს პარტიულობის პრინციპი ლიტერატურასა და ხელოვნებაში, უარყვეს კლასიკური რეალისტური ტრადიციების არსებობა, ხოლო სოციალისტური რეალიზმი „გამოგონილ“, „თავსმოხვეულ“ „ნორმათა კოდექსად“ მონათლეს. რევიზიონისტულ გამოხდომებს ადგილი ჰქონდა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც (განსაკუთრებით პოლონეთში), სადაც ზოგიერთმა მწერალმა და მხატვარმა სწორად ვერ გაიგო ხელოვნების არსი და საზოგადოებრივი დანიშნულება თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში. თავი წამოჰყვეს მარეკ ხლასკოს ტიპის ლიტერატორებმა, რომლებმაც უარყვეს რეალისტური შემოქმედება და პირველი ნაბიჯის გადადგმა დააპირეს... „ღრუბლებში“ (მ. ხლასკოს მოთხრობათა კრებული „პირველი ნაბიჯი ღრუბლებში“).

რევიზიონიზმის იდეოლოგებს ლიტერატურასა და ხელოვნებაში არ სურთ გაიგონ ის ჭეშმარიტება, რომ თანამედროვე მსოფლიოს კულტურული განვითარების ძირითად ტენდენციას სოციალისტური რეალიზმი განსაზღვრავს, რომ მომავლის დიდი ხელოვნება მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის გზით შეიძლება შეიქმნას. ისინი არ ერიდებიან გორკის და მაიაკოვსკის შემოქმედებათა გაუხამსებას, ჯვარს უსვამენ საბჭოთა ლიტერატურას 30-იანი წლებიდან, ხოლო თეორიის სფეროში ყოველნაირად ცდილობენ სოციალისტური რეალიზმის ჩაქოლვას.

საბჭოთა მკითხველისათვის ცნობილმა ფრანგმა კრიტიკოსმა ანრი ლეფევრმა, ავტორმა წიგნისა „შესავალი ესთეტიკაში“, რეაქციული იდეოლოგიის გავლენით უარყო თავისი ადრეული „ზომიერი“ პოზიციები და ლიტერატურული რევიზიონიზმის ერთერთ თეორეტიკოსად მოგვევლინა. 1957 წელს მან გამოაქვეყნა წერილი „რევოლუციური რომანტიზმისაკენ“, რომლის ძირითადი დებულება ასეთია: სოციალისტურმა რეალიზმმა ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება, საჭიროა ახალი შემოქმედებითი მეთოდი — „რევოლუციური რომანტიზმი“. სოციალისტური რეალიზმი, ლეფევრის მიხედვით, კლასიციზმის ახლებური ფორმა, ნეოკლასიციზმია (!). ამას იგი ასაბუთებს იმით, რომ თითქოს სოციალისტურმა რეალიზმმა მიიღო „მზამზარეული ფორმები და ნაციონალური ტრადიციები“ კლასიციზმისა, როგორც ყველაფრისა და ყოველივეს საფუძველთა საფუძველი. ლეფევრს მხედველობაში აქვს მე-17 საუკუნის აბსოლუტისტური საკარო კლასიციზმი და მისი პოეტიკური ნორმები. „ზემოდან ნორმირების“

შედეგია, მისი აზრით, სოციალისტური რეალიზმიც. იგი წერს: სოციალისტური რეალიზმი „..მიიჩნიეს სპეციფიკურ ესთეტიკურ ცნებად, უფრო მეტიც — გარკვეულ თეორიად. აქედან შეეცადნენ გამოეყვანათ შემოქმედების განსაზღვრული მეთოდი და შეფასების კრიტერიუმი. სოფიზმის დახმარებით, ე. ი. სასაცილო ფორმალური, წმინდა ლოგიკური ოპერაციის შემწეობით, დაიწყეს ანგარიში კრიტერიუმებით, რომლებიც შეიძლება ცალკეული ნაწარმოებებისათვის ყოფილიყო ვარგისი... ესთეტიკური ცნება გამოხატავს მას, რაც უკვე არის მხატვრულ ნაწარმოებებში... ამ შემთხვევაში კი, პირიქით, ფორმალური ცნებიდან გამოიყვანეს არა მარტო შინაარსი, არამედ შინაარსის კრიტერიუმი. შედეგად მივიღეთ: თეორიული და პრაქტიკული სიცარიელე, ფორმა ცნებისა, რომელსაც არ გააჩნია შინაარსი და აქედან — გარედან შემოტანილი შინაარსი“...

ლეფევრის ამგვარი მსჯელობის შემდეგ არავითარ გაკვირვებას აღარ იწვევს ბურჟუაზიული კულტურის ისეთი ცნობილი მესიტყვეს გამოსვლა სოციალისტური რეალიზმის წინააღმდეგ, როგორიცაა ნობელის პრემიის ლაურეატი 1957 წელს, ფრანგი მწერალი ალბერ კამიუ. იგი წიგნში — „სიტყვები შვეციაში“ ამტკიცებს, რომ რეალისტური ხელოვნებით სამყაროს მხატვრული ათვისების მოთხოვნა — განუხორციელებელი იდეალია. „რეალისტი ხელოვანი შეიძლება იყოს მხოლოდ ღმერთი, თუკი ის არსებობს“. სოციალისტური რეალიზმის შესახებ, კერძოდ, იგი წერს: „სოციალისტური რეალიზმის ნამდვილი საგანია ის, რაც ჯერ კიდევ არ გამხდარა რეალური. ამ მიმართულების მწერლები ლიტერატურაში განადიდებენ მომავალ ბედნიერებას, რომლის შესახებაც არავინ არაფერი იცის...“

სოციალისტური რეალიზმის დასაცავად გამოდიან ყველა ქვეყნის მოწინავე შემოქმედებითი მუშაკები, რომლებისთვისაც ძვირფასია კაცობრიობის კულტურული მონაპოვარი. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ისეთი თეორიული შრომები, რომელთა მიზანიც სოციალისტური რეალიზმის დაცვა და დასაბუთებაა (არაგონის „რეალიზმი ფრანგული, რეალიზმი სოციალისტური“, ა. სტილის „წერილები რეალიზმზე“, ი. ბეხერის „პოეზიის დაცვა“, ე. აგოსტის „რეალიზმის დაცვა“, ჯ. ლინდსეის, ბ. ბრეჰტის, ჰ. ლაქსნესისა და სხვათა წერილები).

სოციალისტური რეალიზმის გავლენის სფერო თანდათან იზრდება. იგი მტკიცედ მკვიდრდება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ფესვებს იდგამს კაპიტალისტური სამყაროს მოწინავე მწერლობაში. ეს პროცესი არაა იოლი. მისი დამახასიათებელი ნიშანია სოციალისტური რეალიზმის აღმავალი განვითარება სხვა მიმართულებებთან ბრძოლისა და ურთიერთობის პირობებში. ეს ნიშანი კარგად გამოჩნდა იმ მრავალრიცხოვან ყრილობებსა და დისპუტებზე, რომლებიც თითქმის ყველა ქვეყანაში გაიმართა 50-იან წლებში.

სოციალისტური რეალიზმის ტრიუმფი კიდევ უფრო აშკარაა ახლა, როცა მხილებულია რევიზიონიზმის არსი, მოგერიებულია მისი ძლიერი შემოტევა. ამას ნათლად ადასტურებს პოლონეთში ახლახან (1959 წლის დეკემბერი) ჩატარებული მწერალთა მეათე ყრილობა, რომელმაც დაგმო უკანასკნელ წლებში მომძლავრებული ანტირეალიზმი და მისი რევიზიონისტი თუ მოესთეტო დამცველები. აღსანიშნავია ისიც, რომ ყრილობამ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ა. სლონიმსკი, სოციალისტური რეალიზმის აშკარა მოწინააღმდეგე, თავაშვებული სუბიექტივიზმის დამცველი მხატვრულ შემოქმედებაში (თავმჯდომარედ არჩეული იქნა იაროსლავ ივაშკევიჩი). ყრილობამ ჩაიარა სოციალისტური რეალიზმისათვის ბრძოლის ნიშნით. დელეგატთა დიდმა უმრავლესობამ მოიწონა ძირითადი დებულებანი ცნობილი კრიტიკოსის სტეფან ჟულკევსკის მოხსენებისა — „მწერალი და საზოგადოება“. ჟულევსკიმ სწორად აღნიშნა, რომ სოციალისტური რეალიზმი არ მოიცავს კულტურული განვითარების მთელ პროცესს დღევანდელ მსოფლიოში. ფაქტია, თქვა მან, რომ ყველგან დიდი პოპულარობით სარგებლობს ისეთი მწერლები, როგორიცაა ჰემინგუეი, მორავია, დიურენმატი... არავინ უარყოფს მათ შემოქმედებით მიღწევებს, მაგრამ არა ეს მწერლებია „გადამწყვეტი ძალა ჩვენი ეპოქის ხელოვნებაში პრინციპული მიმართულებისათვის, არამედ ეს ძალაა — სოციალისტური რეალიზმი“.

* * *

რეალიზმის, კერძოდ სოციალისტური რეალიზმის თეორიის საკითხების მეცნიერული დამუშავება საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის გადაუდებელი ამოცანაა. 1957-59 წლებში ჩატარებულმა საჯარო დისკუსიებმა ნათლად გვიჩვენეს, რომ ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. საჭიროა ბოლომდე დავძლიოთ დოგმატური კრიტიკის ნაშთები, ახლებურად, შემოქმედებითად მივუდგეთ თანამედროვე კულტურული ცხოვრების ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს, სწორი მეთოდოლოგიური მიდგომითა და ფაქტების კონკრეტული ანალიზით ცხადვყოთ თანამედროვე ლიტერატურული პროცესის კანონზომიერებანი. ამას ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენი ლიტერატურისათვის, ასევე მოწინავე მწერლობისათვის სახალხო დემოკრატიისა და კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. შალური

★

# დავიწყებული პოეტი-რევოლუციონერი ლილა მოხევე

ალექსანდრე ყაზბეგის თანასოფლელი ლილა მოხევე ჩვენი მკითხველისათვის ცნობილი არ არის, რადგანაც მისი ერთადერთი წიგნი „ამონაკვნესი“, რომელიც 1908 წელს გამოიცა, საქართველოს ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება, ხოლო პოეტის ცხოვრება-შემოქმედების შესახებ დღემდე არაფერი დაწერილა. სამწუხაროდ, დაკარგული აღმოჩნდა ლილას ლექსების კრებულიც, რომელიც პოეტის ძმებთან ინახებოდა. შემოგვრჩა მხოლოდ მისი პირი, ჩემს მიერ გადმოღებული 1927 წელს.

ლილა მოხევე ფსევდონიმია ნიკიფორე პავლეს ძე ლუდუშაურისა[1]. იგი დაიბადა 1882 წლის 3 მარტს სოფ. ყაზბეგში (სტეფანწმინდა), ღარიბი გლეხის ოჯახში. მისი დედა — მარიამ ნინიას ასული მირიანაშვილი — ყაზბეგელი გლეხის უსწავლელი ქალი იყო, მამა კი — პავლე გიორგის-ძე ლუდუშაური განათლებულ მოხევეთა მცირე რიცხვს ეკუთვნოდა. მას დამთავრებული ჰქონია თბილისის სახელოსნო სასწავლებელი, ერთხანს კავკავშიაც, (ეხლანდელი ორჯონიკიძე), უსწავლია. გიორგი გრიგოლის ძე ნათაძე, რომელიც 1894 — 1898 წლებში სოფ. ყაზბეგში მასწავლებლობდა, თავის მოგონებებში წერს:

„სწავლებისა და ხალხის საგანმანათლებლო საქმეში ხელს მიწყობდნენ და მეხმარებოდნენ: ...პავლე ლუდუშაური (ყაზიეთი). პავლე დიდი მეგობარი იყო პეტრე უმიკაშვილისა და ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდათ ერთმანეთში. დიდი ნათელი პიროვნება იყო, კარგად განვითარებული, ქართული და რუსული ლიტერატურის მცოდნე“[2].

ამ ცნობის სისწორეს ადასტურებს, სხვათა შორის, პეტრე უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერება“, რომელშიც მოთავსებულია პავლე ლუდუშაურის მიერ ჩაწერილი ძოხევური ლექსები და პ. უმიკაშვილთან მიმოწერის ნაწყვეტები.[3]

ლილა მოხევის მამა, უმიწაწყლო გლეხი, ბრიგადირად მუშაობდა საქართველოს სამხედრო გზაზე, ჩაბმული იყო საზოგადოებრივ საქმიანობაში, წერა-კითხვას ასწავლიდა შვილებსა და თანასოფლელებს. ის თურმე ლექსებსაც წერდა.

ლილა ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა იშვიათი ცნობისმოყვარეობით, სწავლის წყურვილითა და დაუდეგარი ბუნებით. ყაზბეგის ერთკლასიანი სკოლის დამთავრების შემდეგ მან თვითგანვითარების გზით განაგრძო ცოდნის გაფართოვება, შემდეგ პიატიგორსკში თავის ნათესავთან წავიდა, რუსული შეისწავლა, ლიტერატურას დაეწაფა და რევოლუციურ იდეებს ეზიარა.

სამწუხაროდ, ლილას რევოლუციური მოღვაწეობის ხასიათისა და ქრონოლოგიის ზუსტი დადგენა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ერთი რამ კი უდავოა: ლილა აქტიურად მონაწილეობდა 1905—1907 წ. წ. რევოლუციაში. რევოლუციის აღმავლობის პერიოდში იგი ჩრდილოეთ კავკასიიდან ბაქოსაკენ გაემგზავრა ფეხით; გზაში გაჭირვება და შიმშილი გადაიტანა; ბაქოდან მალე თბილისში ჩამოვიდა, აქ ერთ-ერთ სტამბაში ასოთამწყობად მოეწყო და კავშირი გააბა რევოლუციურ წრეებთან.

ლევან (ლელე) ივანეს ძე მარსაგიშვილი მოგვითხრობს:

— 1906—1907 წლებში მე და ჩემი ძმები,— გიორგი და ვლადიმერი, თბილისში ვცხოვრობდით. სამივენი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები ვიყავით, ხშირად ვხვდებოდით ზაქარია და მიხა ჩოდრიშვილებს, არაქელა ოქუაშვილს, გიორგი თელიასა და სხვა რევოლუციონერებს. ლილას მე ყაზბეგიდან ვიცნობდი, მაგრამ განსაკუთრებით დავმეგობრდით მას შემდეგ, რაც ის თბილისში ჩამოვიდა და სტამბის მუშად მოეწყო. ლილა ხშირად დადიოდა ჩვენთან. თუმცა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი არ ყოფილა, მაგრამ გატაცებული იყო რევოლუციური იდეებითა და ლექსებით.

ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოების ყოფილი მუშა-რევოლუციონერის ივანე გიორგის ძე ავსაჯანიშვილის სიტყვით, ლილა განსაკუთრებული ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა რევოლუციურად განწყობილ მოხევეებში. ყველა აღტაცებაში მოჰყავდა მის სულიერ სისპეტაკეს, რაინდულ ხასია-

---

[1] შინაურობაში მას ეძახდნენ ნიკალას.

[2] ეს საინტერესო მოგონებები ინახება დოც. ვ. გ. ნათაძესთან.

[3] იხ. პ. უმიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება, ნაწილი I. 1937 წ. გვ. XXVI—XXXVII, 562, 580; 588; 596 და სხვ.

თსა და გოლიათურ აგებულებას. ღილა საოცარი ძალღონის ვაჟკაცი იყო.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ პოლიციისაგან დევნილი ღილა ხევს დაუბრუნდა, დროგამოშვებით კი კავკავსა და პიატიგორსკში ჩადიოდა.

ლაზო პავლეს ძე ღუდუშაურის ცნობით, ღილამ თბილისიდან ყაზბეგში ყუთით გადაიტანა პატარა საბეჭდი მანქანა თუ სასტამბო შრიფტი. პოეტი ამ ყუთსა და ქაღალდებით სავსე „რაღაც სკივრს“ მალავდა თავის ნათესავ სტეფანე ღუდუშაურთან, ერთხანს კი — კავკავში მცხოვრებ ესტატე ღუდუშაურთან (დარო და ნატალია ესტატეს ასულ ღუდუშაურების ცნობა).

თანამედროვეთა მტკიცებით, ღილა 1905—1908 წ. წ. აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა ხევში, ჩრდილოეთ კავკასიასა და თბილისში; ბეჭდავდა პროკლამაციებს, აყალიბებდა არალეგალურ წრეებსა და სხვ. ღილას ვაჟკაცურ თავდადებაზე მშრომელთა ინტერესებისათვის მრავალი მოგონება არსებობს. ზოგი მათგანი მე მომისმენია და ჩამიწერია, ზოგიც ეთნოგრაფ ვალერიან ითონიშვილს[1].

სამწუხაროდ ღილას მოღვაწეობა მოულოდნელად შეწყდა.

...ეს მოხდა 1909 წლის პირველ იანვარს სოფელ ყაზბეგში. ღილამ თავის მეგობარსა და ძმადნაფიც ლადო მალანიას ახალი წელი მიულოცა. მეგობრები შექეიფიანდნენ და ქუჩაში ხელიხელგადახვეულებმა რევოლუციური სიმღერები შემოსძახეს. ღილამ ძველი წელი დამბაჩის სროლით „გაისტუმრა“. მას თითი ისევ სასხლეტზე ჰქონდა, რომ ლადო ხელში სწვდა „—მეც ვისვრიო“. ამასობაში სასხლეტი დაიძრა და უნებლიეთ ნასროლმა ტყვიამ ლადო განგმირა. ამ ამბით შეძრწუნებულმა ღილამ იმ წამსვე დამბაჩა ყელში მიიბჯინა და სიცოცხლე მოისპო.

ძმადნაფიცები ერთად მიაბარეს მშობლიური ყაზბეგის მიწას. დასაფლავებაზე მრავალი სიტყვა ითქვა და ბევრი ცრემლი დაიღვარა. ხოლო თადილეთ გუგუას ლექსი ორი მეგობრის ტრაგიკულ სიკვდილზე ხალხურ სიმღერად გადაიქცა და ახალთაობას გადაეცა. აი ამ ლექსის ერთ-ერთი ვარიანტი:

„პირველ ახალწელიწადსა ერთურთს შეხვდა
ორი ჯელი.
მიულოცეს ერთმანეთსა, ძმურად
ჩამოართვეს ხელი;
ნიკალამ უთხრა ლადოსა: დღეს ქეიფი იყოს
ჩვენი,
უნდა ქალაქში წავიდე — რედაქცია მაქვ
საწერი;
ვაჰ, თუ იქაც დამიჭირეს, დამიუქმეს კალმის
წვერი!
ვაჟკაცურად ლეურველსა სტაცა მარჯვენაი
ხელი,
შენ გწერია ფათერაკი, გაგიქრეს შენი
მჭედელი;
იმ დაწყეულმა საათმა არ დაზოგა ტყვია
ცხელი,
ლადო ჩქარ დაინარჩომა, არ ალირსა თოლზე
ცრემლი...
მაშინ წამათქო ნიკალამ: არც მე მინდა თავი
მთელი
შევეხოცნეთ ერთმანეთსა — არა ისრი,
როგორც მტერი...

• •
•

ღილა მოხევეს ლექსების წერა დაუწყია, როგორც გადმოგვცემენ, ბავშვობიდანვე, ბეჭდვა კი — მხოლოდ 1907 წლიდან. ამგვარად, იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა პირველი რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, იმ მძიმე პერიოდში, როცა საქართველოში, ისევე როგორც მთელ რუსეთში, რეაქცია გამარჯვებას ზეიმობდა და რევოლუციურ ძალებზე შურს იძიებდა, როცა „მათრახისა და სახრჩობელას მთავრობა“ სისხლიან რეპრესიებს მიმართავდა და თავისუფალ აზრს სასტიკად დევნიდა.

რეაქციის შემოტევას მხოლოდ ბოლშევიკურმა პარტიამ გაუძლო. ყველა წვრილბურჟუაზიულ პარტიასა და რევოლუციის თანამგზავრთა წრეში დაბნეულობა და რენეგატობა დაიწყო. ინტელიგენციაში დაცემულობისა და რღვევის პროცესი გაძლიერდა. მწერლობაში თავი იჩინა დეკადენტურმა მიმდინარეობებმა პესიმიზმის, მისტიციზმის, სქესობრივი ალვირახსნილობისა და ბოჰემის კულტით. სევდიანმა განწყობილებამ და მისტიკურმა მოტივებმა ფეხი მოიკიდა ირ. ევდოშვილის სკოლის რევოლუციურ მწერალთა შემოქმედებაშიაც კი, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მათ ამ განწყობილებას, დეკადენტებისაგან განსხვავებით, სულ სხვა საზოგადოებრივი მიზეზება ედო საფუძვლად: რევოლუციის დამარცხება და რეაქციის მძვინვარება.

ღილა მოხევის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შავბნელი რეაქციისა და სისხლიანი ტერორის პირობებშიც მტკიცედ შეინარჩუნა მებრძოლი სულისკვეთება და გამარჯვების ღრმა რწმენა. ღილა ეკუთვნის იმ მუშა პოეტთა რიცხვს, რომელთა შემოქმედების თემატიკა და პათოსი განაპირობა პირველი რევოლუციის ქარიშხალმა და რომელთაც ქედი ვერ მოახრევინა რეაქციის მხეცურმა შემოტევამ.

1907 — 1908 წ. წ. ღილა „მთიელისა“ და „ო. მოხევის“ ფსევდონიმით აქტიურად თანამშრომლობდა სატირულ ჟურნალ „ეშმაკის მათ-

[1] ვ. ითონიშვილის ჩანაწერები ინახება ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

რახში“. ყაზბეგიდან (სტეფანწმინდა), კავკავიდან და მლეთიდან გამოგზავნილ გალექსილ კორესპონდენციებსა და „სცენებში მოხევეთა ცხოვრებიდან“ ის დაუზოგავად ამხელდა რეაქციის ადგილობრივ მსახურთ—მეფის ჩინოვნიკებს, ჩარჩ-ვაჭრებსა და სამღვდელოებას. პოეტი მახვილი სატირით ებრძოდა ყველას, ვინც

„დავიწყებას მისცა უკვე
ათას ცხრაას ხუთი წელი,
რეაქციის დახმარებით
ურცხვად შეყო ყველგან ხელი“.

თავის გონებამახვილურ ლექსებში პოეტს სააშკარაოზე გამოჰქონდა ანტისაზოგადოებრივი ელემენტების შავბნელი საქმეები — „ურიადნიკების“, „სტარშინებისა“ და სხვა „ნამსახურთა“ თავალებული თარეში ხევში. იგი სასტიკად ამათრახებდა „სულიერი მამის“ თაღლითობასა და მამასახლისის სისაძაგლეს, რომელსაც.

„ორპირობით ვერვინა სჯობს,
ქრთამით გაუძღომელია,
მისი „დანოსების“ რიცხვი
თითქმის განუზომელია“.

1908 წელს თბილისში, „გუტენბერგის“ სტამბაში დაიბეჭდა პატარა წიგნაკი ემოციური სახელწოდებით — „ამონაკვნესი. ახალი ლექსები ღილა მოხევესი“,[1] ავტორს კრებულში, მართლაც, უმთავრესად რეაქციის ხანასთან დაკავშირებული ახალი ლექსები შეუტანია.

„ამონაკვნესი“ ლექსის მაღალი კულტურითა და ფორმის სიახლით არ გამოირჩევა, მაგრამ იგი შესანიშნავია იდეური შინაარსით, რევოლუციური პათოსით, ურყევი ოპტიმიზმით, პოეტური ნიჭითა და გულწრფელობით.

დამახასიათებელია თვით წიგნის სათაური. „ამონაკვნესი“ აქ ნახმარია არა როგორც სასოწარკვეთილებისა და უიმედობის გამომხატველი სიტყვა. მასში ღილა დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შინაარსს აქსოვს და მკითხველში გარკვეულ ემოციურ განწყობილებას ჰქმნის. აქ ძალაუნებურად გვახსენდება ნ. ნეკრასოვის სტრიქონები რუსი ხალხის კვნესის შესახებ („ფიქრები საპარადო შესავალთან“) და ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ გმირის არჩილის შენიშვნა ქართველ გლეხთა სიმღერაზე („ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან“). ცნობილია, რომ 1901 წელს ი. სტალინმა ნ. ნეკრასოვის სიტყვები მარჯვედ გამოიყენა არალეგალური გაზეთის „ბრძოლის“ ფურცლებზე დაბეჭდილ სტატიაში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“, რომლის მეორე თავი ასე იწყება:

„მარტო მუშათა კლასი არ კვნესის მეფის წყობილების უღელქვეშ. თვითმპყრობელობის მძიმე თათი ახრჩობს სხვა საზოგადოებრივ კლასებსაც. კვნესის მუდამ შიმშილით დასიებული რუსეთის გლეხობა...“[1].

კვნესა განსაკუთრებით დამახასიათებელი შეიქმნა რეაქციის პერიოდისათვის, მაგრამ, ვიმეორებ, ღილას გულის სიღრმიდან ამოხეთქილ კვნესას არაფერი აქვს საერთო უიმედობასა და წუწუნთან. პირიქით — იგი გამსჭვალულია სტოლიპინის სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის გმირული პათოსითა და შურისძიების უსაზღვრო წყურვილით.

ფრიად დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ჩვენს პოეტს თავისი ლექსებისათვის ეპიგრაფად წაუმძღვარებია „ინტერნაციონალის“ სიტყვები, თანაც იგი დემონსტრაციულად წიგნის გარეკანზე გადმოუტანია.

ჩვენ უნდა ვზიდოთ ჩვენი უღელი,
სხვა ჩვენ არავინ დაგვეხმარება;
კბილთა ღრჭენანი, მალვით კბენანი,
ირგვლივ წყვდიადი, ტანჯვა, ვაება.

„ჩვენ არვინ მოგვცემს თავისუფლებას,
არც მეფე, ღმერთი, არც ვინმე გმირი,
ჩვენ თვით გავჭედოთ თავისუფლება
და დავამყაროთ ძმური კავშირი“.

როგორც ვხედავთ, ღილას „ინტერნაციონალის“ ტექსტთან ორგანულად დაუკავშირებია ამავე პროლეტარული ჰიმნის ყაიდაზე დაწერილი საკუთარი სტრიქონები რეაქციის ეპოქაში გამეფებული რეჟიმის შესახებ.

ეს ეპიგრაფი, შეიძლება ითქვას, წიგნის ლეიტმოტივს წარმოადგენს.

თუ „ეშმაკის მათრახში“ ღილა ბეჭდავდა სატირულ-იუმორისტული ჟანრის ლექსებს, რომლებშიც მხილებულნი იყვნენ სოციალური ბოროტების ადგილობრივი კონკრეტული მატარებელნი, „ამონაკვნესში“ იგი გვევლინება უაღრესად სერიოზული, სამოქალაქო, რევოლუციური პოეზიის წარმომადგენლად. დამახასიათებელია, რომ წიგნში სრულებით ვერ ვხვდებით სატრფიალო და პეიზაჟურ ლირიკას. პოეტის ყურადღების ცენტრშია ეპოქის საჭირბოროტო სოციალურ-პოლიტიკური საკითხები. ზოგიერთი ლექსი მოგვაგონებს პოე-

---

[1] წიგნს გარეკანზე აწერია: „გამოცემა ლელესი“. ლელემ-ლევან მარსაგიშვილმა, — ღილას სიყრმის მეგობარმა, — გადმოგვცა: „ამ ლექსების გამოცემაში მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. ღილამ ეს წარწერა გააკეთა ჩვენი მეგობრობის უკვდავსაყოფად“.

[1] იხ. ლ. ასათიანის „სტალინი და ქართული ლიტერატურის საკითხები“, თბ. 1954— წ. გვ. 179—185.

ტური ენით დაწერილ პოლიტიკურ ლოზუნგს, მგზნებარე პროკლამაციას, რევოლუციურ მოწოდებას.

„ამონაკვნესი“ სწორად გვიხატავს პირველყოვლისა რეაქციული პერიოდის იმ სულისშემხუთველ ატმოსფეროს, რომელშიც ათასობით ადამიანი კვნესოდა და იღუპებოდა.

„მსხვერპლი მსხვერპლს მისდევს ურიცხვი,
სჩქეფს სისხლის ნაკადულია,
გამხლართულს ბოროტებასა
აღარ აქვს დასასრულია“
(„შურისძიება მარხულობს“).

რეაქციის საშინელ ხანას ღილა ხშირად ადარებს ბნელ ღამეს. შორეული წყვდიადიდან ჩვენ გვესმის პოეტის მწარე ჩივილი:

„კარგა ხანია დაფარა
ღრუბლებმა არე-მარეო,
ცამ შავი შალი დაიდვა,
აღარ ჩანს მზე და მთვარეო.

ვეღარა ვნახე გულ-გახსნით
ჩვენი ტანჯული მხარეო,
იმისი ცქერით ნაღველი
ჩუხჩუხით გადმოვღვარეო“.
(„ბნელი ღამე“)

„გაუმარჯვნია ბნელეთის ძალებს“, თავხედ ბატონს საწყალი გლეხისათვის რკინის უღელი დაუდგამს („ორი ქვა“), ფეხში ბორკილგაყრილი საუკეთესო მამულიშვილები საპყრობილეებში „გულქვა ჯალათის“ მათრახის ქვეშ გმინავენ და იტანჯებიან („მტარვალებს“), თავისუფალ აზრს რკინის არტახები ბოჭავენ.

„ბნელ ძალთა თესლი,
შხამი. და გესლი
გრძნობას გვიწამლავს...“

მაგრამ „ბნელეთის მოციქულთა“ ბატონობას პოეტი უიმედობასა და სასოწარკვეთილებამდე არ მიჰყავს, რადგანაც იცის, რომ დესპოტური რეჟიმი ხანგრძლივი და მყარი არაა, რომ „იმ სისხლით, ერთობით მტკიცით, თავისუფლება მოიპოვების“, რომ წვეთწვეთად დაღვრილი სისხლი სხეულს შეისხამს „და ძლიერებით, არ ცბიერებით დაამხობს წყეულს“ („გრძნობას გვიწამლავს“).

ღილას ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ღამის წყვდიადს „პირმცინარე მზე“ შეცვლის.

„ღამეა ბნელი და თან ქარი ჰქრის,
წყვდიადს მოუცავს მთლად არე-მარე,
მთელი სამყარო ნისლმა დაჰფარა,
აღარსადა ჩანს შუქმფენი მთვარე.

გაუმარჯვნია ბნელეთის ძალებს
ფიქრობენ ასე იქნება ხვალე
და ვერ ამჩნევენ მათი თვალები,
რომ ნისლს იქით ჩანს მზე პირმცინარე“.

ლ. მოხევის შემოქმედება გამსჭვალულია ჯანსაღი ოპტიმიზმით, რევოლუციურ ძალთა გამარჯვების ურყევი რწმენით. პოეტი ხედავს, რომ

ბიბლიოთეკა

„ფეხს იდგამს ნორჩი, ჭაბუკი,
ილვიძებს დღემდე მძინარე,
ერთიც და თან მიაწვება
ტალღად ქცეული მდინარე.

გაზაფხულდება, ფერს იცვლის,
იფურჩქვნის მთა და ველია,
ვერ უძლებს ტურფა მომავალს
ხავსად ქცეული ძველია.

კვლავ ილესება მახვილი
მტრის გულის გასაგმირადა,
და ვინც მტერს ბოლოს მოუღებს,
მას ჩავთვლით ჩვენ მხსნელ გმირადა,

რომ ნანგრევებზე აშენდეს
ახალი ტურფა ქვეყანა...“
(„ორი ძალა“).

ღილას კარგა ესმის, რომ გამარჯვება მისით არ მოვა, რომ მის მოსაპოვებლად საჭიროა თავდადებული ბრძოლა და მსხვერპლი. ამიტომ მისი ლირიკის მთავარი გმირია ხალხისათვის თავგანწირული მებრძოლი, ხოლო ძირითადი მოტივი—საბრძოლველად გაერთიანებისაკენ მგზნებარე მოწოდება. პოეტი უმღერის და ქება-დიდებას ასხამს მას.

„ვინც ხალხის საკეთილდღეოდ
არ ზოგავს თვის ძალ-ღონესა...
. . . . . . . : : . ;
სადიდებელიც ის არის,
ხალხიც მას შეიყვარებსა“.

ლექსში „მტარვალებს“ პოეტმა შექმნა შესანიშნავი სახე ქედმოუხრელი გმირისა, რომელმაც საშინელი რეპრესიების პირობებში, ჯალათების მარწუხების ქვეშ, საპყრობილის ჯურღმულში ბოლომდე შეინარჩუნა რევოლუციური სიმტკიცე და იმის ღრმა რწმენა რომ მხოლოდ თავდადებული ბრძოლის გზით შეიძლება ძველი წყობილების მოსპობა და მის ნანგრევებზე ახალის შექმნა.

„ხომ შემიყარეთ ფეხში ბორკილი
და დამამწყვდიეთ ოთხ კედელ შუა,
ხომ დამანატრეთ სუფთა ჰაერი,
ნაცვლად დამხვიეთ გარს ჭია-ღუა,

ხომ ვიტანჯები ძლიერის ტანჯვით,
გულ-ქვა ჯალათის მათრახის ქვეშა;
მთლად გამილურჯა მარწუხმა ხორცი
და გამიმაგრა ვითარცა შეშა.

მაგრამ არ ვდრკები, ბოროტებასა,
რაც შემეძლება მხნედ ვებრძოლები,
ქედს არ მოვუხრი უსამართლობას
თუმც ძალზე მტანჯვენ რკინის რგოლები-

ასე ვიბრძოლებ მარად და მარად,
ვიდრე ცოცხალ ვარ, მიდგია სული.
თქვენ სამუდამოდ ბოლოს მოგიღებთ
თავის განწირვა ჩემი გმირული".

მეორე ლექსში — აკროსტიქში („ვუძღვნი") პოეტი დიდების შარავანდედით მოსავს არსენა ჯორჯიაშვილის თავგანწირვას ხალხისათვის[1] და მოძმეთა სახელით ფიცსა სდებს შეასრულოს არსენას ნაანდერძევი. თუმცა ლილა მიესალმება ჯორჯიაშვილის გმირობას და მის სახელს უკვდავყოფას უწინასწარმეტყველებს („შენი სახელი მომავლისათვის მუდამ იქნება დაუვიწყარი"), მაგრამ პოეტმა ისიც კარგად იცის, რომ მტერზე გამარჯვების უზრუნველსაყოფად პირველ რიგში საჭიროა არა ინდივიდუალური გმირობა, არამედ მშრომელთა გაერთიანება და დარაზმვა რევოლუციის დროშის ქვეშ.

ეს იდეა განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა ლექსში „დავკვირვებივარ ცხოვრებას". რომელიც საერთოდ რევოლუციური ბრძოლის ერთგვარ პროგრამას წარმოადგენს.

„მაშ ერთობაა საჭირო,
რომ ვიყვეთ ისევ ძველები,
რომ გავასწოროთ ერთობით
ბეგ-ბუგი, მთა და ველები".

ლილას თავისი თავი წარმოუდგენია „მოძმეთა" დიდი კოლექტივის პატარა განუყოფელ ნაწილად და მისი აზრის გამომსახველად. მე მსურსო, აღიარებს პოეტი,

„რომ ჩემ მოძმებთან ვიტანჯო,
გავიზიარო ჭირი მე,
ტირილი მინდა — მრცხვენია,
ნაცვლად ხმამაღლა ვყვირი მე.

ვყვირი იმას, რაც დღემდე
ვერ გამოეთქვა ენასა
და ჩაემარხა გულში ღრმად
თითქმისა დღემდე ყველასა".

ლილას პოეზიაში ჩვენ ვხვდებით არა მარტო ამიერკავკასიის, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა გაერთიანებისა და სოლიდარობის იდეასაც (ლექსი „პირველი მაისი").

რევოლუციის წამყვან ძალად, როგორც ჩანს, ლილას მუშათა კლასი მიაჩნდა. პოეტი სიყვარულით ლაპარაკობს „ცრემლ და ოფლში მოხარშულ" და „კანონით" დაჩაგრულ მუშაზე და ნატრობს რაც შეიძლება მალე შეიგნოს ამ „მომავლის მებრძოლმა", „რომ ყველაზე ძლიერია" („მიყვარს მუშა"). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „ამონაკვნესი" იხსნება ლექსით „მუშას", რომელსაც ავტორი ასეთი მოწოდებით ამთავრებს:

დროა მოიხსნა უღელი,
მტერს დახვდე გულ და გულადა,
„ან გამარჯვება ილირსო,
ან მოჰკვდე ვაჟკაცურადა".

ცხოვრებაზე დაკვირვებამ და ისტორიულმა გამოცდილებამ ლილა მიიყვანა იმ სწორ დასკვნამდე, რომ სრულიად დაუშვებელია და დამღუპველი მტერთან რაიმე ლმობიერების გამოჩენა და კომპრომისზე წასვლა. აუცილებელია რევოლუციის ბოლომდე მიყვანა, დრომოჭმული სოციალურ-პოლიტიკური წყობილების ძირფესვიანად და ულმობლად აღმოფხვრა.

„ეკალს თუ მთლად ვერ ამოთხრი,
რომ ძირს არ დარჩის ფესვია.
ხვალ ისევ თავსა ამოჰყოფს
ძირს დარჩენილი თესლია"
(„დავკვირვებივარ ცხოვრებას").

ამგვარად, რეაქციის მძვინვარების ხანაში ლილა მოხევემ მტკიცედ შეინარჩუნა მებრძოლი სულისკვეთება და რევოლუციის გამარჯვების ურყევი რწმენა, პოეტმა მკაცრად ამხილა რეაქციის მსახურნი, თავდადებით გაილაშქრა დრომოჭმული სოციალურ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ და შთაგონებით უმღერა რევოლუციის იმ ბედნიერ გაზაფხულს, რომელიც მხოლოდ ოქტომბერმა მოიტანა და რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენი პოეტი ველარ მოესწრო.

---

[1] ამ ლექსის სტრიქონთა პირველი ასოები ზევიდან ქვევით რომ ჩავიკითხოთ, მივიღებთ: „არსენა ჯორჯიაშვილის ხსოვნას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. კვესელავა

★

# ფაუსტური იდეები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

**უსივრცო მხარე.** გოეთესა და ვაჟას ფაუსტური ძიების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია სად უნდა იყოს ჭეშმარიტების ონტოლოგიური ცენტრი. როცა გოეთეს ფაუსტი მეფისტოფელური ცდუნების გზას მიყვებოდა, ფიქრობდა, რომ მშვენიერ ელენეს სიმბოლურ სახეში გამოვლენილი იდეალი ჩვენი ცნობიერების მიღმა იმყოფება, ე. წ. *დედების უსივრცო მხარეში*.

გოეთეს „ფაუსტის" მიხედვით ეს „უსივრცო მხარე" ტრანსცედენტური სამყაროა ანუ ყოფიერების მთლიანობის ის ნაწილი, რომელიც ფრ. ენგელსის თქმით „ჩვენი თვალთახედვის მიღმა იმყოფება". რომანტიკულ ლიტერატურაში ეს სფერო მეტად ბუნდოვნადაა წარმოდგენილი. ფ. შილერი მას „არაფრის სამეფოს" (Das Reich des Nihts უწოდებს. ი. გოეთე „უსამყარო სივრცეს" ან „არყოფნის სფეროს", სადაც ადამიანს შეუძლია „დატკბეს იმით, რაც არ არის". ჯ. ბაირონისთვის ის „სივრცის უფსკრულია, „დაუსაბამო არსებათა სავანე", ნ. ბარათაშვილისათვის ცის ხატების იქით მდებარე სადგური, გ. ფლობერისათვის „უფორმო სამყარო", გ. ტაბიძისათვის „იდუმალთა მხარე", ხოლო პ. ვალერისათვის „მარტოობის სფერო" ან „ყოფნა იმის გარეშე რაც არსებობს". ფრ. გუნდოლფმა არაფრის ამ იდუმალ სფეროს „უსახო მიღმა (gestaltlose Jenseits) უწოდა).

გოეთეს ფაუსტი სადღაც იქ, იმ უსივრცო მხარეში ეძებს პირველსაწყისს (Urphänomen). მეფისტოფელი განუმარტავს მას, რომ დედები, როგორც ქალღმერთები, მუდამ განმარტოებით ცხოვრობენ, ისე რომ არც სივრცეს გრძნობენ და არც ამქვეყნიურ ჟამთვითარებას. ისინი უცნობნი არიან მოკვდავთათვის და მხოლოდ ფაუსტს უმხელენ თავიანთ არსებობის დიად საიდუმლოებას. ფაუსტმა თვითონ უნდა მიაღწიოს მათ სამყოფელს... რადგან დედების „უსივრცო მხარე" ან „უსამყარო სივრცე" მეფისტოფელისთვისაც მიუწვდომელია. მეფისტოფელი ვერ მიაღწევს აჩრდილების იმ სამეფომდე, ამისათვის უფრო ძლიერი წარმოსახვის ადამიანია საჭირო, ისეთი როგორიც ფაუსტია. მხოლოდ მას, როგორც მისანსა და ნათელმხილველს (Seher) შეუძლია წარმოსახვით გასცდეს რეალურ სინამდვილეს (Über das Sein hïnauszudenken) და მაგიურის გზით სწვდეს იდეალურის იმ შეუცნობ მხარეს, რომელიც სამყაროს მთლიანობის, დროისა და სივრცის მიღმა იმყოფება. ეს მხარე მიუღწეველია ჩვეულებრივი ადამიანური არსებობისათვის რადგან იგი არაფრის სიცარიელეა, აბსოლუტური მარტოობა და უსაზღვროება „მარად ცარიელი სიშორისა" (ewig leeres Ferne) და მისი საიდუმლოებების მეტაფიზიკური განჭვრეტა მხოლოდ ვიზიონერული ხილვის უნარით დაჯილდოებულ მისანს შეუძლია.

გოეთეს „ფაუსტში" დასმულია საკითხი თუ სად უნდა იყოს დედების ეს უცნაური მხარე: მაღლა თუ დაბლა, ზევით თუ ქვევით, თუ იქ, სადაც არც მაღლაა და არც დაბლა, არც ზევით და არც ქვევით, სადაც ერთნაირად შეიძლება ითქვას: „ჩაიძირე!" ან „აღსდექი!" ის ცარიელია და განუზომელი. ფაუსტი უნდა ჩამოსცილდეს რეალურ სამყაროს და წარსდგეს „აჩრდილების სამეფოში", სადაც შეეძლება დატკბეს „*იმით, რაც არ არის*", ან უკეთ, რაც გონებისა და გრძნობისათვის მიუწვდომელია: წმიდა ფორმით, პირველარსით ან საგნების საფუძვლით, რაც განთავისუფლებულია დროსა და სივრცის კანონებისგან, იმისგან. „რაც იყო, რაც არის ან რაც შეიძლება იყოს", მაგრამ რაც ჩვენი თვალთახედვის გარეშე დგას. „იქ იხილავ შორიდან დედებსო, — ეუბნება მას მეფისტოფელი, — ზოგი მათგანი ზის, ზოგი დგას, ხოლო ზოგი მოძრაობს კიდეც". ესაა მარადიული აზრის განუწყვეტელი ცვალებადობა, უკვდავი გონების გართობა და უწყვეტი ტრფობა; ისინი შემოგხედავენ, მაგრამ ვერ დაგინახავენ რადგან მხოლოდ *სქემებს* ხედავენო, განმარტავს ის, რაც იმას ნიშნავს, რომ დედები სიმბოლურად გამოხატავენ სამყაროს პირველ სახეობას, რასაც ჯ. მილტონი *პირველქაოსს* ან *ბუნების წინაპრებს* უწოდებდა და რაც ზოგად, ე. ი. უსახეო ფორმებს წარმოადგენენ ყოველივეს, რაც არსებულა და რაც იარსებებს, ან რაც დრო-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 5 და № 6.

სა და სივრცის გარეშე არსებობს, როგორც სუბსტანცია. ფაუსტის კითხვაზე, თუ რა გზა მიდის დედების ქვეყნისაკენ, მეფისტოფელი უპასუხებს: „არავითარიო“ და განმარტავს: „უნდა უდაბური, მიუვალი გზებით იარო და მიაღწიო მიუღწეველსო“.

ვაჟას პოეტური კოსმოგონიის ჰელიოცენტრულ სისტემაში ამ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. თუ გოეთეს ფაუსტი თავის Urphänomen-ს, როგორც მარადქალურს, დედების უსივრცო მხარეში ან კლასიკურ ვალპურგის ღამეში ეძებს, ვაჟას ბუნების მშვენიერების ქალური განსახიერება ამქვეყნადვე გამოეცხადება.

მოთხრობაში **„საახალწლო სიზმარი“** ვაჟასთან ულამაზესი ქალის სახით თვითონ „ტურფა ქვეყანა“ წარსდგება, სინამდვილე, რაც მას „ადრეც უნახავს“, ერთხელ კი არა, „ათასჯერ უსაუბრია კიდეც მასთან“, მაგრამ „ასე ცხოვლად“ არასოდეს წარმოედგინა. ახლა ეს ქალი, როგორც ბუნების გახსნილი მშვენიერება უხმოდ შემოდის მის „ძველს მამაპაპურ დარბაზში“ და „თითქოს თაფლი ილვრებაო“, ისე მსუბუქად ჯდება სამფეხზე ბუხრის პირას.

„ძველი კაბა ეცვა, — წერს ვაჟა, ფეხშიშველი, მაგრამ ლამაზი, სამოთხე გარდაქმნილიყო ქალად და მოვიდა ჩემთან. მკერდი ნახევრამდე გადაღეღილი ჰქონდა, ზედ ია და ვარდი ჰყვაოდა. იმის თვალებში ღმერთებს დაესადგურათ. დიდი ოკეანე იმის თმად გადაქცეულიყო, მთელი ჩვენი პლანეტი იმის სახედ“. ერთი სიტყვით, ბუნების მთელი სიკეთე და სილამაზე წარსდგა ვაჟას წინაშე ამ მშვენიერი ქალის სახით, ისევე, როგორც გოეთეს ფაუსტს გამოეცხადა ბუნების გახსნილი მშვენიერება — ელენე. მაგრამ თუ ელენე მარადქალურის ერთგვარ აბსტრაქტულ სახეს წარმოადგენდა, ვაჟა თითონ რეალურ სამყაროს წარმოიდგენს ამ ქალის იდეალურ სილამაზეში. გოეთეს მარადქალურის საკმაოდ ბუნდოვანი იდეა აქ სრულიად პლასტიკურ სახეს იღებს და რეალური სინამდვილის გამოხატულებად იქცევა. ჩვენ ვამბობთ „რეალური სინამდვილისო“, მაგრამ არა „ამჟამინდელის“ როგორც ის არის, არამედ როგორიც იქნება. როცა ბუნების ყველა საიდუმლოება გაიხსნება, ყოველი კუთხე არსებობისა განათდება და უმაღლესი მშვენიერების სახით გამოვლინდება, მაშინ ეს „მწირი და ვერანი“ ქვეყანაც სინათლის, სიკეთისა და სილამაზის განსახიერებად იქცევა.

ვაჟა ყოველივე ამას ალეგორიულად გამოხატავს. მის მიერ ამ მოთხრობაში აღწერილი **„მამაპაპური დარბაზი“ მთელი სამყაროა.** ვაჟა წერს: „მე კერაზე დიდი გაჩაღებული ცეცხლი მენთო ჩემს ძველს მამა-პაპურს დარბაზში. მისი დიდრონი, უზარმაზარი მუხის ბოძები, დიდი თავხე, დიდრონი შოლტები, მჭვარტლითა და ბოლისაგან შემურული ცეცხლის ალზე წითლად ღაჟღაჟებდა, მაგრამ [illegible] რი რჩებოდა გასანა[illegible] გილი. განა ცოტა ყურე-მარე აქვს ამ ჩემს მამაპაპურს დარბაზს? ყორედ ნაგებს, დიდრონს ლოდებს შუა ისეთი ცარიელი ალაგებია დარჩენილი, რომ შიგ კამბეჩიც დაეტევა, დაიმალება და იქნებ მთელი კვირა ეძებოთ და მაინც ვერ იპოვოთ“.

ეს ჰიპერბოლა თანდათან ფართოვდება და ბოლოს სამყაროს მთლიანობის ალეგორიას ქმნის. სამყაროც ასეთი დიდრონი ლოდებითაა ნაგები, მაგრამ მასში ბევრი ცარიელი და გაუნათებელი ადგილიცაა, ე. ი. ჯერაც ბევრია ადამიანისათვის შეუცნობი და გაუგებარი. „დარბაზის“ კედლებიც მჭვარტლითა და ბოლითაა შემურული. მაგრამ, როგორც კი „სამოთხისებური სიტურფე ქვეყნისა“ შემოვა იმ იდეალური ქალის სახით, ე. ი. ბუნების საიდუმლოება გაიხსნება მშვენიერებაში, დარბაზი მაშინვე განათდება და გალამაზდება. „როგორ დამშვენდა, როგორ ტურფა შეიქნა მაშინ ის ჩემი ჭვარტლიანი დარბაზი: იმაზე კარგს სად რასა ჰნახავდი, ცოდვილო ადამიანის შვილო!“-ო, წერს ვაჟა. ან თვითონ ვაჟას რა უნდა ენახა უკეთესი, როცა იმ ქალის სახით თვითონ სამოთხე განამდვილდა მისივე „სულის თვალთა წინაშე“ და ათქმევინა „ვნახე სამოთხე ამ ქვეყნადო“.

ვაჟას უყვარს ზოგადის გამოხატვა კონკრეტულში ან როგორც გოეთე ამბობდა „იდეის ხილულობა სახეში“. მას შეუძლია თამარ მეფის ელენესებურ მშვენიერ სახეში დედა სამშობლო წარმოიდგინოს და სთქვას:

დედაო საქართველოსი
თამარ მეფისა სახეო.

მაგრამ სამშობლოს დედა ანუ „ქვეყნის სიტურფის“ იდეალური სახე დედების უსივრცო მხარეში, ან ბინდით მოსილ ვალპურგის ღამეში კი არ არის, არამედ თვით ამქვეყნიურ ცხოვრებაში. როგორც აღვნიშნეთ ამ თვალსაზრისამდე გოეთეს ფაუსტი ხანგრძლივი ძიებისა და შეცდომების დაძლევის გზით მივიდა, ვაჟა კი უფრო პირდაპირ და გაბედულად. ერთიც და მეორეც ოცნებობდნენ იმ მშვენიერ თუ საამურ წამზე, როცა მათ შეეძლებოდათ ეთქვათ „შეჩერდი, წამო, შენ მშვენიერი ხარო“. ამ ფაუსტურ აზრს ვაჟა სრულიად გარკვევით გამოხატავს პატარა მოთხრობაში „მოჩვენება“, სადაც იგი ვითომ ისეთივე სივრცის უფსკრულში მოხვდება, როგორც ბაირონის კაინი ან ყველაფრის პირველ საფუძვლის მისტიკური მხარის მაძიებელი ფაუსტი, მაგრამ იქ არა დედების, არამედ ახოვანი და მედიდური მხედრების უცნაური

აჩრდილები მოძრაობენ, რომელთა მსგავსნი ახლა „აღარ სთელავენ დედამიწას“. ვაჟას სურს გაეხმაუროს მათ, მაგრამ ისინი ისევე არ უგდებენ ყურს როგორც „დიდი სალი კლდე ქარის გრიალს“ ან „ფრინველის ფრთის შეხებას“. არც ვაჟას შეუძლია მიაწვდინოს მათ თავისი „სუსტი ხმა“, რადგან აჩრდილების სამეფო „სივრცის უფსკრულია“ ან, ვაჟას თქმით, „ზღვის ძირი“ და „ზღვის ძირში განა კაცი ჩააწვდენს ხმას?“ — კითხულობს ვაჟა. ის არც ჩერდება მოჩვენებების მხარეში. ჩქარა ახოვანი მხედრების აჩრდილებიც ქრებიან, როგორც მშვენიერი ელენე გაქრა და ვაჟა მიხვდება, რომ ეს ცდუნება იყო, რომ მან გოეთეს ფაუსტივით აჩრდილების სამეფოში კი არ უნდა ეძებოს არსებობის უმაღლესი აზრი, არამედ ადამიანის ამქვეყნიურ *ღვაწლსა და მადლში*. იგი მაშინვე გაიგებს, რომ Urphänomen-ი აჩრდილების მხარეში კი არა, თვით სამყაროს ყოვლადობასა და ყოვლის შემოქმედ *მზეშია*, რომ ეს მზეა პირველსაწყისიცა და სრულყოფაც. „მე თვალი მივაბყარ დასავლეთს, — წერს ვაჟა, — და მკვდარი გავცოცხლდი. საუცხოო მნათობი ანათებდა, ერთს ადგილს გაჩერებული, მზე იყო, მაგრამ ის მზე არა დილით რომ ამოდის და მიეშურება სალამოთი გორას მიეფაროს; იმ მზეს არ ეჩქარებოდა, ჩანდა თვით იმას სწყუროდა ენათა ქვეყნისათვის, თვალდამშეული უცქეროდა ჩვენს მხარეს. მე, გიჟივით, შევხაროდი, შევტრფოდი მნათობს და მუხლს ვიყრიდი“. სწორედ ეს „*ერთ ადგილს გაჩერებული*“ მზეა *გოეთეს* ფაუსტის „დაყოვნებული წამი (...Augenblick). მართალია: *მზის გაჩერება* ისევე შეუძლებელია, როგორც *დროს დაყოვნება*. მაგრამ ეს გაბედული ალეგორია მაინც დიდი პოეტური ექსპრესიით გამოხატავს მარადიულობის სურვილს. თუ გოეთეს ფაუსტი იმ ბედნიერ დროზე ოცნებობდა, როცა მას შეეძლებოდა ეთქვა „შეჩერდი წამო შენ მშვენიერი ხარო“. ვაჟაც ისეთ *შეჩერებულ მზეს* ეტრფის, რომელიც განუწყვეტლივ ანათებს და უკუნეთ ღამედ არასდროს აქცევს „დღეს მოელვარეს მზიანსა“. ვაჟას მზე სინათლესთან ერთად სიკეთის წყაროც იქნება, იგი მოსპობს ღამეს, ბნელსა და ბოროტს. და თუ ეს ასე იქნა მაშინ ვაჟასაც შეეძლება გოეთესავით შესძახოს „შეჩერდი წამოო“ და თავისებურად სთქვას:

> რა საამური დრო არის
> რა საამური წამია!

ასე ხვდება ერთმანეთს გოეთეს „მშვენიერი“ და ვაჟას „საამური“ წამი, როგორც სრულყოფისა და გამარჯვების ნიშანი.

ამ თვალსაზრისით განიხილავენ ისინი ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული ერთიანობის საკითხს. მათ წინაშე გადაშლილია კოსმიური მთლიანობის გრანდიოზული სურათი [illegible] „ყოველ არსს—სულიერსა და [illegible]“ (ვაჟა) თავისი კუთვნილი ადგილი აქვს მიჩნეული: მწერებს, ყვავილებს, ცხოველებს, მცენარეებს, მთებსა და ველებს, ადამიანებსა და ყოველგვარ სულდგმულთ. ყველას და ყველაფერს აქვს უფლება ჰქონდეს ამქვეყნად თავისი მშვიდი და უცოდველი ადგილი. ვაჟა არ არჩევს ერთმანეთისაგან დიდსა და პატარას, სულიერსა და უსულოს, რადგან ყველაფერი „ცხოვრების გაგრძობის“ მაღალ იდეას ემსახურება. ვაჟასთვის სიცოცხლეა არსებობის უმაღლესი აზრი და ფორმა. ამიტომ ჟღერს ასე დიდებული ცხოველმყოფელობით მისი ყოფიერების მადიდებელი ჩანგი. იგი ბუნებისა და ადამიანების ან როგორც თითონ წერს „მთელი პლანეტის“ ვიტალურ სურათს ქმნის და მშვენიერი ქალის სახით წარმოიდგენს „ქვეყნის სიტურფეს“.

თუ ვაჟას შემოქმედების სწორი შესწავლა გვინდა, მხოლოდ ასეთი თვალსაზრისი აგვაცდენს ვიწრო, ეთნოგრაფიული მაშტაბების, ე. წ. „კარჩაკეტილობისა“ და „ჩამორჩენილობის“ ცდუნებას. მაშინ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება მართლაც მთელი სისრულით აღიმართება ჩვენს წინაშე, როგორც არა მარტო თავისი კუთხის ან ერის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ჭეშმარიტად „ხელთუქმნელი ძეგლი“. ეს საპატიო ამოცანა დგას ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე ვაჟას დაბადებიდან ასი წლისთავის მოახლოებულ ზეიმთან დაკავშირებით. ახლა, როდესაც მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები გამძაფრებით იბრძვიან ატომური ნგრევის, კაცთმოძულეობის, შუღლისა და ყოველგვარი ბოროტების მეფისტოფელური გამოვლენის წინააღმდეგ, ვაჟა-ფშაველას თავისუფლებისა და მშვიდობის მოყვარე ჰუმანური იდეები ახალი ძალით უნდა იქნეს აღორძინებული. ჩვენს მშფოთვარე ეპოქაში, როცა იმპერიალიზმი სულ უფრო და უფრო აშკარად აჩენს თავის დემონურ სახეს, ჩვენ უნდა ფარზე ავწიოთ ვაჟას მაღალჰუმანიური ფაუსტური იდეები, ბუნების საიდუმლოებათა შეცნობის, სიკეთის მიერ ბოროტების აუცილებელი დაძლევის, ჭეშმარიტების, სიმართლისა და თავისუფლების შესახებ, რაც ხალხთა მასების საბედნიეროდ და საკეთილდღეოდაა გამიზნული.

**ოიდიპოსის კომპლექსი**, ბოროტებისა და სიკეთის წინააღმდეგობის ასახვას უძღვნის ვაჟა თავის პოემას „ეთერიანი“, რომელიც კონსტრუქტიულად შემოდის ფაუსტურის კონტრაპუნქტულ პარადიგმებში. ვაჟას მთელი კოსმოსი კეთილისა და ბოროტის არენად აქვს წარმოდგენილი. მისი აზრით ბოროტება და სიკეთე

ყველგანაა, როგორც ბუნებაში ისე ადამიანში. მზე ზამთრობით სიკეთე იმარჯვებს და მზეს ათავისუფლებს. ღამე ბოროტების გამოვლენაა, დღე სიკეთისა. ერთი ბნელია, მეორე ნათელი. „თავხედი ღრუბლები“ მზის ნათელს ჰფარავენ. მთები ანკარა წყაროსაც უშვებენ ბარში; მაგრამ ზვავებითაც ანგრევენ ყველაფერს. ხევები ხან ჩაფიქრებულნი დგანან, ხან კი ჰლექიანებივით ახველდებიან. კლდეები თვალსა და გულს იტაცებენ თავიანთი სილამაზით, მაგრამ ზოგჯერ ისინი შუბლს შეიჭმუხნიან და განზე დგებიან. ცა ხან კრიალაა ლაჟვარდოვანი, ხან ძაძებში ჩაცმული და მგლოვიარე. ყვავ-ყორნებიც ბოროტ საწყისს წარმოადგენენ ისინი ებრძვიან დაჭრილ არწივს და სძიძგნიან დალუპულ გმირთა სხეულებს. ერთი სიტყვით, როგორც ვაჟა ამბობს, ბუნება კარგის მქნელიცაა და ავისაც. ასევეა ადამიანები. მათ შორის ზოგი ბოროტია. ზოგიც კეთილი. ბოროტებას მეტი მხატვრული სისრულით ვეზირი შერე გამოხატავს. ის დემონურის ისეთი ქართული სახეა, რომელიც ტრადიციის მიხედვით მხოლოდ უარყოფის სფეროში მოქმედებს და გრძნეულობასაც ამ მიზნით მიმართავს. შერე სულს ეშმაკს მიჰყიდის მაგრამ სრულიადაც არ აინტერესებს ცოდნა, ჭეშმარიტება. მას მხოლოდ ეთერის ხელში ჩაგდება უნდა, როგორც კიპრიანეს იუსტინასი. ვაჟა აქაც მიყვება ქართულ ტრადიციას. თუ საწყისი კეთილია, ის არ შეიძლება ბოროტი სულების საშუალებით აღწევდეს მიზანს და თუ ქაჯებთან შეიკრა კავშირი, მაშინ მხოლოდ ბოროტებასთან გვაქვს საქმე. ვაჟა მნიშვნელოვნად ცვლის ფაუსტური პარადიგმების კონსტრუქციას. ვეზირი შერე ბოროტებას განასახიერებს, მაგრამ მეფისტოფელი კი არ არის არამედ გაბოროტებული ფაუსტია და ისიც ცალმხრივი. შერეც ფაუსტივით მიმართავს მაგიას და ხელშეკრულებას სდებს ბოროტ სულებთან: ფაუსტი 24 წლით. შერე — ხუთით. როგორც კი ის დაინახავს „თვალთა მზე“ ეთერს, „სიყვარულის ელდა ეცემა, სული სასულეს ამოეჩრება“ და მაშინვე დაადგება ბოროტების გზას. ვაჟა წერს: „გულში ჩაუჯდა შერესა ეშმაკი ღალატიანი“-ო. მეფის გურგენის შეგონებით იგი მიდის ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით, რომ შეხვდეს მისანს. რაკი ფშავხევსურულ წარმოდგენაში ბოროტება უმთავრესად ქალის სახესთანაა დაკავშირებული, შერეც ქალ-მეფისტოფელს, „გველის შხამსა და ბოროტ დედაბერს“ ხვდება. ვაჟა მას ახასიათებს, როგორც „დიდის ჭკუა-გონების მქონეს“, მაგრამ სიკეთის საპირისპირო ძალას. შერეს გულის ნადები მან მაშინვე გაიგო. როცა ვეზირმა პირველად შეხედა ეთერს, ეს სწორედ ის „ღალატიანი ეშმაკია“, რომელიც ჩაუჯდა მას გულში ტყეში ნადირობისას. დედაბერი ეუბნება, რა წამს ეთერი ნახე, მე მაშინვე გავიგე, რომ მისი სახე თავზე მეხად დაგეცა და მაშინვე „დავკარ-დასავე ეშმაკი“. შერე მას სთავაზობს სულს („ჩემ სულს შენ მოგცემ...“) დედაბერი კი ჯადო-წამალს აძლევს, რითაც საშინელ სნეულებას შეყრიან ეთერს. ეს წამალი შემზადებულია კაცთა სისხლისაგან, „რომელსაც დევები წყალივით სვამენ“. მასში ურევია ქაჯთა რძე, ფერფლი იმ სულებისა, ვინც მათ „ხვდა წილად“, იუდას ცრემლი და ასაფხეკი ვერცხლისა, რომელიც მან მიიღო ქრისტეს გაცემისათვის.

შინ მიმავალი შერე ქაჯეთს გაივლის. დევები ეუბნებიან „მაინც ხომ სული ჩვენ მოგვეც, ხორცითაც ჩვენსკენ იარე“-ო, მაგრამ შერე შეუტევს: „სული გეყოფათ ავსულნო, ლეშს რაღას მოეტანებით“-ო. დევებიც იძულებულნი არიან დაეთანხმონ და ეუბნებიან:

„კარგია, მშვიდობით, წადი,
ხუთს წელს ილხინე გულითა“-ო

მაგრამ შერემ ხუთ წელს კი არა, ხუთ დღესაც ველარ ილხინა. მისი გონება აიმღვრა, „იმ გაყიდული სულისა“ გამო და ეთერის სიყვარულის ფიალაში ბალღამი ჩაურია. ვაჟა ეთერშიც ხედავს ცოდვას. იგი მარტო იმისთვის კი არ ისჯება, რომ მეფის ძის გოდერძის, „შესაცერი“ არ იყო, არამედ იმიტომ, რომ ფუფუნება არჩია „თავისი ჯანით“ ცხოვრებას. ვაჟამ გადააკეთა ხალხური თქმულება. შერემ (მურმანი) ველარ წაიყვანა ეთერი თავის „ბროლის კოშკში“. არც გოდერძის (აბესალომი) დაუძახნია, „ვის გინდათ ქალი ეთერიო“. მან „ქალი არავის დაუთმო“, ფარულად ეჯდა კოშკში და შვეულებიც ყავდა მიჩენილი. ჯავრით დასნეულებულმა გოდერძიმ, როცა „სული მოადგა ყელში“, მშობლებს შესთხოვა უკანასკნელად მაჩვენეთ ეთერ-ქალიო. შვილის უბედურებით შეძრწუნებული მეფე გურგენი იძულებულია შერეს სთხოვოს წამალი, რომელიც კვლავ განკურნავს ეთერს. შერეს მართლაც აქვს ამის საშუალება. იქნებ კიდეც გადაედგა ეს ნაბიჯი სიკეთისაკენ, მაგრამ ვაჟა არ აძლევს თხრობას ასეთ მიმართულებას. მასთან ბოროტი ყოველთვის ბოლომდე ბოროტი რჩება. შერემ ვერც მოასწრო პასუხი გაეცა გურგენ მეფისათვის, რომ ბოროტმა სულმა მეფისტოფელივით უჩურჩულა:

„გახსოვდეს, ნუ დაივიწყებ,
ფიცი რომ მომეც ღამით“-ო.

„სიცოცხლე გაარმებულ შერეს“ ჯერ გადაწყვეტილება არ ჰქონდა მიღებული, რომ ვაჟამ შესცვალა სიტუაცია. გაისმა გლოვის ზარი, ატყდა ხალხის ჩოჩქოლი. სახლთ —

უხუცესმა ამცნო მოხუცს გოდერძისა და ეთერის გარდაცვალების ამბავი. ირკვევა, რომ ეთერი მოგვარეს გოდერძის. მოკვდავმა ერთი შეხედა და სული დალია, ხოლო ეთერმა თავის სატრფოს „თავი დააკლა დანითა".

„ბეჩავი შერე" დარჩა „სიცოცხლე გაარმე-ბული". ის შეიშალა. ერთხანს ტყე-ღრეში იხეტიალა უაზროდ, შემდეგ კი უდაბნოში წავიდა, მონანიება სცადა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მან ოიდიპოსივით დაითხარა თვალები. რადგან „მოსძაგდა სინათლის სინჯვა და მარადიულ უკუნეთს შეუერთდა". გოეთესა და ვაჟას აზრით ასე სჯის ბუნება ყველას, ვინც სიცოცხლისა და სიყვარულის წინააღმდეგ აღ-მართავს ხელს.

ასეთივე იდეებითაა გამსჭვალული ამბავი ხოგაის მინდისა, რომელშიც მთელი სიძლიერით გამოიხატა ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული ურთიერთობის ამაღლებული მისწრაფება რაც შემდეგ ასე ბრწყინვალედ განავითარა ვაჟა-ფშაველამ თავის ფაუსტურ პარადიგმაში — „გველის მჭამელი".

**ხოგაის მინდი.** ადამიანისა და ბუნების ურთი-ერთობა ვაჟას შემოქმედების ფუნდამენ-ტური საკითხია. მისი აზრით ადრე თუ გვიან ადამიანი უნდა სწვდეს მთლიანობისა და მრავალსახეობის ბუნებას, ან როგორც გოეთე ამბობდა გაიგოს „როგორ მოძრაობს სუყველა მთელში და როგორ ცოცხლობენ ისინი ერთ-მანეთში". ვაჟა გოეთეს მსგავსად ეძებს ბუ-ნების სიადიადის განმსაზღვრელ ძალას. ამ ძიების ონტოლოგიური ცენტრი, მისი სიღრმე და სივრცე ბუნების, როგორც მთლიანობის ცნებაშია მოქცეული. ბუნებისა და ადამიანის გარეშე ვაჟასთვის არავითარი არსებობა არ იგულისხმება. მათი ჰარმონიული ერთიანობა ქმნის ამქვეყნიურ იდეალს. ვაჟას ფაუსტური ძიებაც აქეთკენაა მიმართული. მთელი მისი შემოქმედების დედა-აზრი ბუნებასთან ჰარმო-ნიული კავშირით მიღწეული ბედნიერებაა. არავინ ისე სრულყოფილად არ გამოხატავს ამ იდეას, როგორც გოეთე და ვაჟა. ფაუსტური პარადიგმების ავტორები ხალხური თქმულები-დან დღემდე ყოფიერების, როგორც მთლია-ნობისა და ფაუსტური ძიების ცალკეულ მხა-რეებს განიხილავდნენ, გამონაკლისს მხოლოდ გოეთე და ვაჟა შეადგენენ, მათი შემოქმე-დება, მე ხაზს ვუსვამ ამას, შემოქმედება და არა ცალკეული ნაწარმოებები. მთლიანად ამ სამყაროულ ერთიანობის ფაუსტურ შეც-ნობას წარმოადგენს. ამიტომ წერს ვაჟა, რომ დოქტორი ფაუსტის შესახებ არსებული გერ-მანული თქმულების „ნამდვილი ბატონ-პატრო-ნი" გოეთე შეიქმნა, რამდენადაც მან „შთაჰ-ბერა" ამ ლეგენდას „ცხოველი სული" და უკვდავეყო ის.

იგივე შეიძლება ითქვას „გველის მჭამელზე". თუ გოეთეს „ფაუსტს" თავისი ხალხის ფოლ-კლორში აქვს ფესვები გადგმული, ვაჟას ეს ფაუსტური პარადიგმაც ასევე ქართულ ქარ-თულ ხალხურ შემოქმედებას. თქმულებები დოქტორ ფაუსტსა და ხოგაის მინდის შესახებ წარმოადგენენ ამ პარადიგმების ფუძეს.

ფაუსტი და მინდია მკვეთრად განსხვავებულ-ხი, მაგრამ მაინც ერთი კატეგორიის მოვლე-ნებია. ჩვენ უკვე ვიცით, რომ გოეთეს და ვაჟას ბუნების უმაღლეს შედეგად ადამიანი მიაჩნიათ, ერთს მშვენიერი, ხოლო მეო-რეს — დიდებული. ორივე ქმნის ასეთი ადამიანის სახეს: გოეთე ფაუსტს, ხოლო ვაჟა — მინდიას. ერთიც და მეორეც ბუნებასთან და-მოკიდებულებაში ავლენს თავის დიდებულსა და მშვენიერ სახეს. ვაჟას გოეთესებური შე-ხედულებით დიდებული ადამიანი ბუნების მწვერვალია, მისი უმაღლესი შედეგი. სავა-ლალო მხოლოდ ისაა, რომ მინდიასებური ადამიანი მხოლოდ იდეალურია და არა რეა-ლური. იგი განსხვავებულია და, მაშასადამე, განდგომილიც. მას ყველაფერი ესმის, მისი კი არავის. იგი დაჯილდოვებულია „უკვდავი ამენითა და ხედვით". ამაშია მისი უპირატე-სობაც და ტრაგედიაც. ყოველი განსაკუთრე-ბული არღვევს ჰარმონიას და თავისი „უც-ხოობით" დისონანსი შეაქვს ჩვეულებრივში; შეიძლება სასიამოვნო, მშვენიერიც, მაგ-რამ მაინც დისონანსი. ასეთი ადამიანი არაჩვეულებრივია, განსაკუთრებული. ამიტო-მაც დაპირისპირებული და ბოლოს დამარცხე-ბულიც, როგორც დემონური ერთისა და მრავლის კონფლიქტის აუცილებელი შე-დეგი.

ეს მოტივი საერთოდ ცნობილია ფაუსტურ ლიტერატურაში. მისი საფუძველია ადამია-ნური არსებობის ნაკლის ტრაგიკული გან-ცდა. ფაუსტი უპირველეს ყოვლისა, ბუნების საიდუმლო ძალების შეცნობის, ცხოვრების აზრის გაგების, ჭეშმარიტებისა და სრულყო-ფის მაძიებელი ძლიერი პიროვნებაა. ძლიერი მაგრამ არა სრულყოფილი. იგი, და საერთოდ ყოველი ადამიანი ორ აუცილებელ ელემენ-ტისაგან შედგება: რაც არის და რაც შეიძლება იყოს. პირველი რაობაა მისი, მეორე შესაძ-ლებლობა. მათ შორის დაუსრულებელი კონფ-ლიქტია. ადამიანური რაობა — შეზღუდულო-ბაა, შესაძლებლობა, პერსპექტივა. არსებობას ყოველთვის აკლია ის, რაც შეიძლება იყოს და რაც ჯერაც შეუცნობის სფეროს მიეკუთვნება. ფრ. ენგელსი წერს ყოფიერება საერთოდ ღია საკითხია იმ საზღვ-რებიდან, სადაც ჩვენი თვალთახედვის წრე თავდებაო. ეს იციან ფაუსტურმა ტიპებმა. მაგრამ მათ „მოუთმენლობა" სჭირთ. ისინი ცდილობენ გაარღვიონ ეს „თვალთახედვის წრე", გადალახონ „ბედის სამძღვარი" და-

შეიჭრან ჯერაც შეუცნობისა და შეუძლებლის სფეროში. ამას კი ისინი მხოლოდ დემონურის გზით აღწევენ. ილია ჭავჭავაძეც წერს, რომ „ბაირონის კაინმა ამისათვის ლუციფერი აირჩინა, გეტეს ფაუსტმა — მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა — თავისი მერანი, ესე იგი თავისი სულის ქროლვა". როცა ილია ამ სტრიქონებს წერდა ვაჟას „გველის მჭამელი" ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული, თორემ ფაუსტური პარადიგმების ამ სიას ალბათ მინდიასაც მიუმატებდა, რადგან ისიც ფაუსტურის დემონურ ასპექტში ავლენს თავის ხასიათს. ორივეს, ან ერთის ამ იანუსებურ ორსახეობას ხალხურ შემოქმედებაში აქვს სათავე. პირველს—თქმულებაში *დოქტორ ფაუსტის*, შესახებ, ხოლო მეორეს *ხოგაის მინდისა*. ამ თქმულებების კონსტრუქციული ერთიანობა ლოგიკურად იწვევს მათი პარადიგმების მსგავსებას. ეს განაპირობებს ვაჟას „გველის მჭამელის" კონტრაპუნქტულ კავშირს ფაუსტურ ნაწარმოებებთან. *კავშირს* მაგრამ არა *იგივეობას*. როგორც ქვევით დავინახავთ, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა მარტო მსგავსება, არამედ განსხვავებაც.

ვაჟას მიხედვით, ბუნების საიდუმლოებათა ამოსაცნობად უწინარეს ყოვლისა *ხედვისა* და *სმენის* დემონური ძალაა საჭირო. ამიტომაა, რომ ფაუსტურის ვაჟასეული პარადიგმა, — მინდია, — ქაჯთაგან სწორედ *სმენისა* და *ხედვის* განსაკუთრებულ უნარს იღებს. ესაა მინდიასათვის ბუნების საიდუმლოების ფაუსტური წვდომის გზა. მას არ აინტერესებს, რა ხდება სამოთხეში ან ჯოჯოხეთში, ქვეყნის იმიერ მხარესა თუ არაფრის ტრანსცედენტურ სამყაროში. დეზინტეგრაციის პერიოდის ფაუსტებივით იგი არ ცდილობს გაიგოს რა იყო მანამ, სანამ რამე იქნებოდა, ან იმის შემდეგ რა იქნება როცა არაფერი არ იქნება. არსებობას თუ შეუძლია იმის გარეშე არსებობა რაც არსებობს. რას ნიშნავს დაუსაბამო არსება ან გაუჩენელი არსების არსებობა. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ უსივრცო მხარე, სადაც არც უფრო მაღლაა და არც უფრო დაბლა. რა სახისაა არსებობა არაფრის სამეფოში ან არყოფნის სფეროში. რას უნდა ნიშნავდეს არავინ და უფრო ცოტა ვიდრე არავინ და სხვა და სხვა. ყოველივე ეს ქარის ჩრდილის ძიებაა, შავით შავზე წერა ან „მოხაზული გამოუთქმელობის აბსოლუტური სიცარიელე".

მინდიას ასეთი „ცარიელი აბსტრაქციები" არ აინტერესებს. მისთვის ყოფიერება ამქვეყნიურ არსებობაშია განსახიერებული. საჭიროა მხოლოდ ბუნების მამაპაპური დარბაზის ყველა „უურემარეს" განათება და „კიდევ რაღაც"—დანახვა „უნახავისა" ან ბუნების იდუმალი ხმების მოსმენა, გაგონება იმ „ათასი ენისა, რომლითაც ის მეტყველებს" (გოეთე). ამ გზით უნდა მიაღწიოს მინდიამ სრულყოფილ ჰარმონიას ადამიანსა და ბუნებას შორის. ეს „ქაჯური, ზეჩვეულებრივ" ადამიანურ შესაძლებლობას აღემატება. ეს ვაჟამაც იცის და ამიტომაც შლის „გველის მჭამელის" თხრობას ფაუსტური დემონურობის სიბრტყეზე. მისმა მინდიამ, რომელიც 12 წლის განმავლობაში ქაჯების მიერ იყო დატყვევებული, თვითმკვლელობის მიზნით გველის ხორცი შეჭამა, რითაც „ახლად სული ჩაედგა" ან როგორც ფაუსტურ პარადიგმებშია ნათქვამი, მიიღო „ახალი არსებობა". იგი ფაუსტივით ეზიარა დემონურ ცოდნას, შეიცნო „ქაჯების სიბრძნე" და „გამეცნიერდა". რაც უმთავრესად სმენისა და ხედვის განსაკუთრებულ უნარში გამომჟღავნდა. აქამდე ის თითქმის ბრმა იყო და ყრუ. ახლა კი ესმის ყველაფერი — სულიერისა და უსულოს „ათასი ენა", ცხოველების და მცენარეების მეტყველება, ჩიტების ჭიკჭიკი, ბალახების ჩურჩული, ჩანჩქერების ხმაური, ე. ი. ყველაფერი, რითაც თვითონ ვაჟა მოიყვანა აღტაცებაში გოეთემ. ამის შემდეგ მინდია იქცა ისეთ ნათელმხილველ პიროვნებად, რომელსაც ბუნების საიდუმლოებათა ამოკითხვა შეუძლია, რაც *გოეთესა* და ვაჟას მშვენიერი ან დიდებული ადამიანის იდეალურ სახეს გამოხატავს.

ვაჟას ბუნების კოსმიური კონცეპცია მინდიაში განსახიერდა. იგი ფაუსტივით დემონურის გზით ამაღლდა ადამიანურ შესაძლებლობაზე და ბუნების იდუმალ მეტყველებას მიუგდო ყური. ამრიგად, ვაჟამ ჯერ ყოფიერების ყველა ელემენტი ბუნების ცნებაში მოათავსა, შემდეგ „დიდებული" (გოეთეს მიხედვით „მშვენიერი") ადამიანის სახე შექმნა, როგორც მისი მწვერვალი, და ამ გზით შეუდგა სამყაროს ფაუსტურ შეცნობას. მინდია ბუნებისა და მაშასადამე მთელი ყოფიერების სრულყოფაა, მისი „დიდებული სახე"; იგი სრულყოფილია, პლასტიკური ფორმა იდეალურისა, ადამიანისა და ბუნების ჰარმონიის უმაღლესი გამოსახულება. ფაუსტი მეფისტოფელის დახმარებით წვდება ბუნების საიდუმლოებას. მინდია, თვითონ ფლობს ამ *უნარს*. მას შეუძლია ებაასოს, ცას, დედამიწას, ტყეს, მთებს. ის ტყვიასავით მალია, გველივით გრძნეული, ყოველგვარი ქაჯური ხერხის მცოდნე, გულთამხილავი. ეს სიბრძნე მას ქაჯებმა შთააგონეს, გველის ჭამაც „ქაჯთაგან იყო ზმანება". მათ „სიბრძნე აჩვენეს გველად" და ცნობადის ხის ნაყოფი აგემებინეს. ეს ფუნქცია, ფაუსტურ პარადიგმებში მეფისტოფელს ჰქონდა დაკისრებული, აქ კი ის თვით მინდიაშია მოცემული. ფაუსტური ტიპები სრულყოფას ზებუნებრივ ძალებთან ერთიანობაში აღწევდნენ, მინდია კი თავის თავში. მეფისტოფელი ბოროტის სურვილის მიუხედავად სიკეთეს სჩადიოდა, ვაჟას და

საერთოდ ქართულ ხალხურ შემოქმედებასა და ლიტერატურაში ბოროტი სული არ წარმოადგენს ასეთ იანუსისებურ ორსახეობას. თუ გოეთეს ორივე პროტოგონისტი მართლაც ორსახოვანი იანუსებია — ფაუსტი: მიწიერი და ზეციერი, მეფისტოფელი: ბოროტი და კეთილი, ვაჟას მინდია ამ შინაგან ორსახეობას უარყოფს და მხოლოდ სიკეთის ტოტალურობაში ავლენს „დიდებული ადამიანის“ მონისტურ სახეს. ეს მინდიას, როგორც იდეალური მთლიანობის ფორმაში, საერთოდ კი ბუნება და ადამიანი წინააღმდეგობათა კომპლექსია. მათში კეთილიც არის და ბოროტიც, მაგრამ ბოროტი არასოდეს არ არის სიკეთის სათავე ან მისი მსახური. ამით ვაჟა უარყოფს ფაუსტურ პარადიგმებში განმტკიცებულ ტრადიციას. იგი ეყრდნობა კეთილისა და ბოროტის ისეთ გაგებას, როგორიც ქართულ მითოსშია მოცემული. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში უამრავი ლეგენდა შეიქმნა ბოროტი სულების, დევების, ქაჯების თუ ეშმაკების შესახებ ქართულ ფოლკლორსა და მხატვრულ ლიტერატურაში არ არსებობს მეფისტოფელური ო რ ს ა ხ ე ო ბ ა, როგორც ბოროტისა და კეთილის „ერთიანობა ერთში“, რამაც სრულიად თავისებური სახე მისცა ფაუსტურის ქართულ პარადიგმებს. აქ დევი ან ქაჯი მხოლოდ ბოროტებას განასახიერებს. მას უფრო ებრძვიან, ვიდრე იყენებენ. ამირანი ამარცხებს ბაყბაყ დევს და ამით აღწევს კეთილი საწყისის გამარჯვებას ბოროტზე. ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ათავისუფლებენ ნესტან დარეჯანს ქაჯეთის ციხიდან, რითაც ისევ კეთილი სძლევს ბოროტს. „სიცოცხლე გაარმებული“ ვეზირი შერე მარცხდება და ოიდიპოსივით ითხრის თვალებს. ქაჯები უძლურნი არიან გამეცნიერებული მინდიას წინაშე. ისიც აღსანიშნავია, რომ ქართულ მითებსა და ლეგენდებში ბოროტი სული არ არის Suebstantia incorpora, როგორც ეს ფაუსტურ პარადიგმებშია წარმოდგენილი. ფატმანი განუმარტავს კიდეც ავთანდილს ქაჯები ხორციელი არსებებიაო. მთავარი კი ის არის, რომ ქართული სინამდვილე არ უშვებს ბოროტის ღვაწლს სიკეთისათვის ბრძოლაში.

მეფისტოფელი, მსახური ფაუსტისა, ან ვაჟას ენით რომ ვთქვათ „მეკვლე“ 24 წლის განმავლობაში თან დაყვებოდა „თავის ბატონს“. ადრინდელ პარადიგმებში ფაუსტი მხოლოდ მეფისტოფელის საშუალებით შეიცნობდა სამყაროს. შემდეგ ბოროტი სულის გავლენა თანდათან მცირდება. უკვე გოეთეს „ფაუსტის“ მეორე ნაწილიდან კარგავს ის თავის ყოვლისშემძლეობას და აღარ თამაშობს გადამწყვეტ როლს ფაუსტის ცხოვრებაში. აქ თვითონ ფაუსტია იმდენად ძლიერი, რომ აღარ საჭიროებს წამდაუწუმ მეფისტოფელის დახმარებას. ბალზაკი მხოლოდ საკმაოდ ბუნდოვანი მინიშნებებით გვამცნობს მის როლს რაფაელ დე ვალენტენის ცხოვრებაში. ასევეა ფლობერთან შპილჰაგენთან, ხუან ვალერასთან და სხ. პოლ-ვალერიმ კი მეფისტოფელი „მოდიდან გამოსულად“ გამოაცხადა და ბოლოს მოიშორა კიდეც. ვაჟას საერთოდ არ მიაჩნია საჭიროდ სიკეთისთვის ბრძოლა ბოროტი სულების დახმარებით ხორციელდებოდეს.

„ღმერთო ნუ დამცემ იქამდე
ბოროტს შევეკრა ზავითა“-ო—წერს იგი.

ამრიგად ქართული ტრადიციის მიხედვით კეთილი საწყისი უარყოფს ქვესკნელის ძალების დახმარებას. ნ. ბარათაშვილი ეკითხება ბოროტ სულს „სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად“-ო და როცა დარწმუნდება მის ვერაგობასა და მაცდურობაში, შესძახებს „განვედ ჩემგან...“-ო. ასევეა ვაჟას მინდია, რომელმაც „გამეცნიერების“ შემდეგ „ქაჯებს უჭირა პანჩური“. ვაჟა ამავე აზრს გამოხატავს თავის მოთხრობაში „მოჩვენება“. როცა აჩრდილები წავლენ, ვაჟას უნდა, თან გაყვეს, წამოიწევა კიდეც, მაგრამ... მირაჟი ქრება და პოეტი ისევ დედამიწაზე ეშვება, ან, როგორც თვითონ ამბობს, სამოთხიდან ჯოჯოხეთში ბრუნდება აქ კი ის ფაუსტივით მეფისტოფელს ხვდება. ქაჯს, რომელიც შემზარავად დახითხითებს მის ოცნებებს, უნდა დაეპატრონოს მის სულს, მაგრამ ვაჟა შესძახებს: „გამშორდი, წადი! არ მინდა გხედავდე; ბოროტი სული ხარ, ქაჯი ხარ, ალი, სწამლავ ჩემს გულ-გონებას, მიშხამავ ტკბილს ოცნებას, შენ ჩემთან საქმე არ გაქვსო“ და სხ. მაგრამ ეშმაკი უძალიანდება და არწმუნებს, მე მოუდრეკელი ვარო, მუდამჟამს ერთი და იგივე, როგორც დავიბადე, ისეთივე ვრჩები ყოველწუთს, ყოველწამს, რადგან ჩემი ბ უ ნ ე ბ ა ს რ უ ლ ი ა, არც ი კ ლ ე ბ ს და არც ი მ ა ტ ე ბ ს ო, და თანაც ვაჟას მიუთითებს, შენი ოცნება და მისწრაფება, ყველა სურვილი ამაოა, რადგან „ყველაფერს დასასრული აქვსო“. ვაჟამაც იცის რომ ყველაფერს დასასრული აქვს, მაგრამ ის უარმყოფელი არ არის. „ეგ მეც ვიციო, ეუბნება იგი ეშმაკს. — მაგრამ მისწრაფება, ფიქრი, გრძნობა, სიყვარული, მტრობა და ყველა ის, რაც ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს შეადგენს, აძინებს მაგ ფიქრს, ა მ ა ო ე ბ ა ს ყველაფრის დასასრულისას, წყეულო! შენი ბუნება ამას ვერ გაიგებს, რადგან ის შხამი, საწამლავი არისო“.

ეშმაკი მაინც ცდილობს ცდუნებაში შეიყვანოს პოეტი, მაგრამ როცა რწმენის სიმბოლო მოხუცი შემოვა, აქამდე მედიდური ბოროტი სული „ტალახივით მიწას გაეკრობა“, მოიბუზება და ქრება.

ადამიანის მთავარი დანიშნულება ის არის, რომ უარჰყოს ბოროტება, დათრგუნოს მისი

ყოველგვარი გამოვლენა და ამრავლოს სიკეთე. ამას დიდი ნებისყოფა და ხედვის განსაკუთრებული უნარი უნდა. ვაჟა-ფშაველა და მინდია სწორედ ასეთი უნარით არიან დაჯილდოებულნი. ისინი ყველაფერს ხედავენ იქ, სადაც ჩვეულებრივი თვალი ვერაფერს ამჩნევს. მათი საქმიანობა მხოლოდ სიკეთისკენაა მიმართული.

**არსთა ხედვა.** თვითონ ვაჟას მრწამსი ღვაწლია, „კაცთსარგო საქმის" კეთება. „გამეცნიერებული მინდიაც ასეთ „კაცთ სარგო" საქმეებს აკეთებს. იგი ფაუსტივით ექიმობს. ბუნება თვითონ სთავაზობს მას, რაც ხალხისთვისაა საჭირო. მეტიც ბუნების ყოველი ნაწილი მზადაა ეწამლოს სნეულთ, გამოკვებოს ადამიანები. მაგრამ ვინაიდან ბუნება თითონაც სიცოცხლისაკენ ესწრაფვის ადამიანი არ უნდა იყოს ულმობელი და სასტიკი მის მიმართ. მინდიამ იცის ეს, ესმის ბუნების გულისნადები, მისი „უხმო მეტყველება". ის თხოვს მეზობლებს, ნუ ებყრობიან ბუნებას ბოროტად, ნუ მოსჭრიან ხეს, ნუ მოჰკლავენ ნადირს, ნუღარ დახოცენ ფრინველთ. მაგრამ ამის გაგება მარტო ბუნების ნათელმხილველ მინდიას შეუძლია, სხვას კი, „ბრმასა და ყრუვს", ამის შეგნება არა აქვს. ისინი ბრიყვნი არიან, უმეცარნი და ამიტომაც უკვირთ, ხეს და ქვას ენა თუ ჰქონდა, ჩვენ რატომ არ გაგვიგონია, განა „ჩვენც მისებრ კაცნი არა ვართო?!" ისინი შეუსაბამობას ხედავენ მინდიას ქცევაში. მას ებრალვის ხე, ბალახი, ცხოველი, თუმცაღა იმავე დროს მამაცი მებრძოლიცაა და ბრძოლაში მოკლულთა გორებს დგამს. მკითხველს მოვაგონებთ, რომ ფაუსტიც ხშირად იღებს მონაწილეობას ომებში, თვით გოეთესთანაც და ისიც მეორე ნაწილის ფინალში, როცა ის დამძიმებულია ცხოვრების სიბრძნითა და გამოცდილებით. მინდიაც ჩინებული მეომარია. ეს კი ცოდვად არ ითვლება. მაშ თუ კაცის კვლა ცოდვა არ არის, ნადირის მოკვლა რად უნდა იყოს ცოდვა?

„ის რად ვიცოდვოთ უფლისგან
რაიც არ გვეცოდვებისა?!... ამბობენ

თემის წევრები. მათ ვერ წარმოუდგენიათ, როგორ უნდა იცხოვრონ იმის გარეშე, რომ ნადირი მოჰკლან, ხე მოსჭრან. „ნუ მოჰკლავ, სისხლს ნუ დაღვრი, მაშ რა ვქნათ? ბალახი ვძოვოთო?" — უკვირთ მათ. აქ იბადება ტრაგიკული კონფლიქტი ადამიანსა და ბუნებას შორის. ირღვევა იდეალური ჰარმონია. ადამიანს არ ესმის ბუნების ჩივილი, ყურს არ უგდებს მის მუდარას, საცოდაობას სჩადის, შვლის ნუკრს დედას უკლავს, ხეს წალდს შემოჰკრავს და აატირებს. მართალია, „არსთა მხედი" მინდია გმობს ამას, მაგრამ თითონაც გაორებულია. მასში, როგორც გოეთეს ფაუსტში, ორი ძალა იბრძვის (Zwei Seele). ერთი იდეალურისაკენ მოუწოდებს, მეორე კი რეალურისკენ. მისი ადამიანური ბუნება ეწინააღმდეგება [illegible] სწრაფვას. გარემოც ჩვეულებრივისკენ უწევს. „ზეზერე მგრძნობარე" ცოლიც განუწყვეტელი ბუზღუნით აიძულებს უღალატოს თავის თავს, თავის რწმენას და გაჰყვეს ჩალხიას გზას, დაუბრუნდეს ერისკაცის ჩვეულებრივ ცხოვრებას. ბუნება მაშინვე შურს იძიებს იმაზე, ვინც „ამსხვრევს მის ოცნებას" (გოეთე). ბუნების მიერ დასჯილი მინდიაც კარგავს ცოდნას, უნარს, იგი განიძარცვება იდეალურისაგან და იქცევა ჩვეულებრივ ადამიანად. ახლა ის არც ქვეყანას არგია და არც თავის თავს, რადგან „დაცარიელებულია ცოდნისაგან". მას არც „წინანდელი ცნება" აქვს, არც მთლიანობის შეგრძნება. ამიერიდან მისი ხვედრი ისევ ნაწილია.

„ერთი რომ ვნახოთ სხვას ბევრსა
ვერ ჰხედვენ ჩვენი თვალებიო!"-ო, ამბობს ის.

გამეცნიერებული მინდია კი ფაუსტივით სულ მთლიანისაკენ ისწრაფვოდა. სამყარო მას ერთიანობის სხვადასხვაობად ან, როგორც გოეთე ამბობს, „ყოვლისერთობად" (Alleinheit) ჰქონდა წარმოდგენილი. იგი წვდებოდა კიდევაც ამ სხვადასხვაობის ერთიან აზრს და ამით ადამიანურ სრულყოფასაც აღწევდა. ახლა კი ეს „ყოვლისერთობა" ირღვევა, მშვენიერი ჰარმონიის იდეალი ქრება და მინდია კვლავ უბრუნდება ადამიანურ შეზღუდულობას, ისევე როგორც ფაუსტი უბრუნდებოდა ხოლმე თავის თავს ცდუნებათა ყოველი ახალი საფეხურის გავლის შემდეგ.

ამრიგად ვაჟა სცნობს, რომ „ცხოვრება თანახმად ბუნებისა" შეუძლებელია სინამდვილის რეალური ძალა იმარჯვებს იდეალურის აბსტრაქციაზე. მინდიას ეთიკური იდეალი უძლურია ცხოვრების სისასტიკესთან ბრძოლაში. ეს ტრადიციული ფაუსტური ტრაგედიაა. თუ ლესინგის, გოეთესა და ვალერის ფაუსტებმა თავი დააღწიეს ჯოჯოხეთს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათ გაიმარჯვეს. მართალია, ლესინგის მეფისტოფელს ბოლოს ფაუსტის ნაცვლად ფიტული შერჩა ხელთ, მაგრამ ამით თვითონ ფაუსტის დემონურ შესაძლებლობასად დაესვა წერტილი. გოეთეს ფაუსტი უტოპიების სფეროში დარჩა, ხოლო როცა ვალერის მეფისტოფელი ჩამოშორდა ფაუსტს, მან კიდეც განაცხადა, რომ „ამით ელება ბოლო ყოველივე იმას, რაც ფაუსტმა იცის".

ვაჟას ძლიერი რეალისტური თვალსაზრისი უფრო თანმიმდევრულად ამჟღავნებს მინდიას დამარცხების მიზეზებს. ის გვიჩვენებს, რომ მინდიას ეთიკური იდეალი აბსტრაქტულია, ცხოვრების სინამდვილეს მოწყვეტილი. თანამედროვენი გადმოგვცემენ, რომ ვაჟა ხშირად

თითონაც ისე მოიხიბლებოდა ხოლმე კლდეზე გადმომდგარი ჯიხვის სილამაზით, რომ შემართულ თოფს ძირს დაუშვებდა, მაგრამ ის მაინც ჩინებული მონადირე იყო. ეს არის ცხოვრების სინამდვილე და ვაჟა არასოდეს არ ღალატობს მას. ამასთანავე მინდიას ტრაგედიის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ის მარტოა თავისი მაღალი იდეებით. ვაჟას აზრით კი ყოველი მარტოკაცი „რაც არ უნდა დიდბუნოვანი იყოს ის" მაინც განწირულია. ვაჟა აქ თითქოს ისევ გოეთეს აზრებს ეხმაურება: „იზოლირებული ადამიანი ვერასოდეს ვერ მიაღწევს მიზანსო", — წერდა გოეთე. „ნამდვილი ადამიანის" ცნებაში ის მთელ კაცობრიობას გულისხმობდა და ამბობდა: „მხოლოდ მთელი კაცობრიობა ერთად აღებული წარმოადგენს ნამდვილ ადამიანს; ინდივიდს შეუძლია მხოლოდ მაშინ გაიხაროს და დატკბეს, თუ მას ყოფნის გამბედაობა თავი ამ მთელში იგრძნოს", ვაჟაც დაულალავად ქადაგებს ადამიანთა ერთიანობის იდეას. რამდენჯერ უთქვამს მას, ძალა ერთობაშიაო. ამ ერთობის გარეშე მას ვერც წარმოედგინა არსებობა. ადამიანთა ურთიერთობის კანონმდებლად ვაჟას საზოგადოება მიაჩნდა. „საზოგადოების გარეშე ვერავინ ვერაფერს მიაღწევსო", ამბობდა იგი და აკრიტიკებდა მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელთა გმირებს, რომელნიც საზოგადოების გარეშე ეძებდნენ იდეალურს. მინდიაზე იგივე ითქმის, რაც თითონ ვაჟამ სთქვა ბაირონულ გმირებზე. „ესაა დამოუკიდებელი პიროვნება, დროის და სივრცის გარეშე მყოფი, რომელიც თავის ხსნას საზოგადოების გარეშე ეძებს". ვაჟა თავის მინდიასაც უკიჟინებს. როცა წერს: „კერძო პიროვნება. რომელიც საზოგადოებას გაურბის, საბრალო არსებაა, თუნდაც რომ იყოს დიდი ბუნების პატრონი".

მინდიაც ასეთი დიდბუნოვანი ადამიანია მისი ეთიკური იდეალი თავისუფალი . ჰარმონიის მაღალ მიზანს გამოხატავს, მაგრამ ის გამოთიშულია სოფელს, თემს, საზოგადოებას და ამიტომაც „დიდი ბუნების" მიუხედავად მაინც საბრალო არსებაა. მართალია, ის შეერწყო ბუნებას, მაგრამ სამაგიეროდ განუდგა საზოგადოებას და ამიტომაც ვერ მიაღწია იდეალურ ჰარმონიას, მან დაიწყო „ცხოვრება თანახმად ბუნებისა", მაგრამ მოშორდა ადამიანურს, საზოგადოებრივს და, მაშასადამე ნამდვილად **იდეალურსაც**, როგორც ბუნებისა და საზოგადოების ჰარმონიულ ერთიანობას.

გოეთეს ფაუსტმა საბოლოო იდეალი თავისუფალი ადამიანის თავისუფალ შრომაში დაინახა, მაგრამ განა მინდიაზე ნაკლებ წინააღმდეგობას წააწყდა? დროის თვალსაზრისით ისიც დამარცხდა გარემოსთან ბრძოლაში. მისი უშუალო ხედვა ჩამოშორდა სინამდვილეს. ის დაბრმავდა. ასე მოუვიდა მინდიასაც. მანაც დაკარგა ვიზიონერული ხედვისა და სმენის ძალა, დაკარგა ცოდნა, უნარი. განსხვავება იმაშია, რომ ფაუსტმა ვერც შე[illegible] [illegible]მავება, რადგან მისი „შინაგანი [illegible] შემდეგ უფრო შორსმჭვრეტი გახდა. მან დასძლია **მარტოობა** და ახალი ცხოვრების შექმნისათვის ზრუნვით დაამტკიცა პირველობა „საქმისა". მინდიამ ეს ვერ მოახერხა. მან ბოლომდე გაიზიარა აბსტრაქტულ იდეალებს აყოლილი **მარტოკაცის ტრაგედია**. მასში ვერ განხორციელდა ვაჟას მიერვე აღიარებული გონივრული პრინციპი „საზოგადო მოღვაწეობისა", გონებას გული მოერია და მტერს შეაკლა თავი. თვითმკვლელობამდე მისული ფაუსტი იხსნა **აღდგომამ**, მანფრედი-მონადირემ, მინდია კი დაიღუპა, რადგან იმ დროს მისი გამარჯვება გაუმართლებელი უტოპია იქნებოდა. თუ ასი წლის ფაუსტმა მხედველობის დაკარგვის მიუხედავად საუკუნეთა მიღმა გაიხედა, ამით თვითონ გოეთემ განჭვრიტა მომავალი. ვაჟა არ გამოდის დროის ფარგლებიდან და მინდიაში **იდეალურის დამარცხებას უჩვენებს**, მაგრამ მთელი თავისი შემოქმედებით მაინც ნათელსა და ბედნიერ მომავალს შეტრფის. არის პიროსისებური გამარჯვება რაც დამარცხებას უდრის და არის მინდიასებური დამარცხება რაც გამარჯვებას ნიშნავს. **რომენ როლანი** ასეთი გამარჯვების გამოსახატავად ხმარობდა გამოთქმას: „დამარცხებით გამარჯვებულნი" დროსთან და გარემოსთან ბრძოლაში დამარცხებული მინდია გამარჯვებულია ეთიკურის სფეროში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გოეთეს ფაუსტი და ვაჟას მინდია პერსპექტიულობის თვალსაზრისით ერთნაირად რეალისტური სახეებია. ისინი ბუნების უმაღლესი შედევრის-მშვენიერი ადამიანის იდეალურ სახეებს ქმნიან და უჩვენებენ მათ ტრაგიკულ კონფლიქტს ცხოვრების სისასტიკესთან.

ვაჟა თავისი დროის იდეების ცენტრში დგას და მართალია, „საკუთარი ღერძის გარშემო ტრიალებს", მაგრამ მაინც არ გამოდის ეპოქის მოწინავე იდეების საერთო ორბიტიდან. რამდენი შესანიშნავი ნაწარმოები დაიწერა მაშინ მარტოობის მინდიასებურ ტრაგედიაზე, რამდენი ძლიერი ნებისა და პოეტური შთაგონების გმირი დამარცხდა გარემოსთან უსწორო ბრძოლაში. განა მინდიასებური გმირები არ არიან ჰ. იბსენის ბრანდი, გ. ჰაუპტმანის ოსტატი ჰაინრიხი და საერთოდ იმ დროის ფაუსტური ტიპები, რომელნიც მოიღალნენ „თავიანთი სიმაღლით" და დამარცხდნენ უსამართლო საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლაში. მინდიამაც მათი ბედი გაიზიარა. ის მარტო იყო, საზოგადოებიდან გამდგარი, იდეალური ჰარმონიის აბსტრაქტულ იდეებს აყოლილი და ამიტომაც თავისი „დიდი ბუნებისა" და თვით ავტორის

აშკარა სიმპატიის მიუხედავად, მაინც დამარცხდა. სწორედ ამაშია „გველის მჭამელის“ დიდი რეალისტური ძალა.

ბუნება დიდია, მაგრამ სასტიკი. ცხოვრების ულმობელი სისასტიკეც ბუნების კანონს ეთანხმება. ის მსხვერპლს მოითხოვს. ასეთ შეხედულებამდე მივიდა მინდიას ფაუსტური ძიება და ვაჟაც გულისტკივილით აღიარებს ამ ჭეშმარიტებას. მისი აზრით, მართალია; ადამიანი ბუნებას ერთვის, მასთან ერთად მაღლდება და კოსმიურ მთლიანობას ქმნის, მაგრამ ამ დიად პროცესს ბევრი წინააღმდეგობა ხვდება, სინათლეს ჩრდილიც სდევს თან, დარდისაგან მზეს ლაქები უჩნდება, მთვარეს ჭორფლი, დიდ სიხარულს დიდი მწუხარებაც ახლავს. ვაჟას ჩანგის ჟღერაში ორივე ხმა ისმის. მისი პოეზია ლაჭრილი ჯარისკაცის სიმღერას ჰგავს.

მემღერება და ვიმღერი

გულზე მჭირს სამი იარა“ო — ამბობს იგი.

ვაჟა კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანია. რომელსაც ცხოვრების უსამართლობის არწივი კორტნის. მართალია ის მღერის ძლიერ, ცხოვრების მადიდებელ სიმღერებს, შეჰხარის ცას, დედამიწას, ბუნებას, ადამიანებს, მაგრამ არც მათ სისასტიკეს ივიწყებს. ვაჟა ღრმად განიცდის ქვეყნის ტკივილებს. სამღურავს ზევრს ეუბნება საწუთროს, მის ლაღ სიმღერებსაც ხშირად სევდის ნოტებიც ერთვის. ხალხში მოხდენილად ნათქვამი:

„განა ლაღი ვარ რომ ვმღერი,

ვულისა დარდსა ვიქარვი“-ო, ვაჟას სიმღერების ხასიათსაც გამოხატავს. ეს სევდიანი ნოტები ისმის „გველის მჭამელშიც“. ვაჟა ღრმად განიცდის მინდიას ტრაგედიას და არა მარტო ვაჟა, მთელი ბუნება, რომლის გვირგვინსაც ეს „დიდებული ადამიანი“ წარმოადგენდა. მინდიას დამარცხებით ბუნებამაც მოიხადა თავიდან გვირგვინი. ეს თითქოს მთვარემაც იგრძნო და ამიტომაც დაალქერდა „მოზარე ქალის ფერით“ თავის მსხვერპლს.

ასე გამოიგლოვა ვაჟამ თავისი ოცნების იდეალი და კვლავ დაუბრუნდა ცხოვრების ულმობელ სისასტიკეს. ცხოვრება კი ვაჟას აზრით ბრძოლის არენაა და არა ოცნებათა სავანე. გოეთეს ფაუსტიც ასე მოუბრუნდა სინამდვილეს. მან ხან დედების უსივრცო მხარეში ეძება თავისი იდეალი, ხანაც კლასიკური ვალპურგის ღამეში, მაგრამ ბოლოს ამიერ ყოფას დაუბრუნდა და უმაღლესი ჭეშმარიტება ყოველდღიურ შრომასა და ზრუნვაში ნახა.

მინდიაც ასევე დაუბრუნდა რეალური ცხოვრების სფეროს. დროის თვალსაზრისით ერთიც დამარცხდა და მეორეც. მაგრამ თუ ფაუსტმა მიუხედავად ამისა საუკუნეთა მიღმა გაიხედა და ბედნიერი მომავლის ამეტყველება ირწმუნა, მინდიას ასეთი რწმენა არა აქვს. მას არც ყოველდღიურობის პოზიტური იდეალი გააჩნია. ამიტომ უარყოფს იგი თავის თავს და იღუპება კიდეც. მაგრამ ვაჟა ხომ მინდია არ არის. პირიქით, ის უფრო კრიტიკულად უყურებს თავის გმირს, ვიდრე გოეთე ფაუსტს. გოეთემ თავისი მინდია ბოლომდე დასტოვა მეტაფიზიკური იდეალების სფეროში. თვითონ კი მსგავსად გოეთესი ადამიანური არსებობის უმაღლეს პრინციპად ფაუსტური შრომა და საზოგადო მოღვაწეობა აღიარა. ამიტომაა, რომ ვაჟას პოეტური კოსმოგონიის ე. წ. ჰელიოცენტრული სისტემის უკანასკნელსა და უმაღლეს ეტაპს შრომა და მოღვაწეობა წარმოადგენს.

ლუხუმის განაფხული. ასე ასდენს ვაჟა ფაუსტური იდეების რეინტეგრაციას ორის საუკუნის მიჯნის, უაღრესად დეპრესიულ პერიოდში. იგი ადამიანებისადმი სიყვარულისა და სამართლიანობისკენ მოუწოდებს კაცობრიობას. ვაჟა უპირველეს ყოვლისა ადამიანებზე ზრუნავს, აღიდებს მის „ლამაზ არსს“, მაგრამ როგორც დიდი რეალისტი ანგარიშს უწევს ცხოვრების სინამდვილეს. სინამდვილეში კი მისი თანამედროვე ცხოვრება სასტიკია, უხდო და გაუტანელი. ვაჟას აზრით, ამის მიზეზი უფრო ადამიანია, ვიდრე ბუნება. ბუნება ყოველთვის მზადაა გული გაუხსნას იმას, ვინც სიკეთით და სიყვარულით მივა მასთან. მაგრამ ბუნების სიკეთისა და სილამაზის ფონზე უფრო მკვეთრად მოსჩანს ადამიანის ზედმეტი სისასტიკე, რასაც ის იჩენს არა მარტო ბუნების, არამედ თავის თანამოძმეთა მიმართაც. ამიტომაა, ქუჩი რომ გულდაწყვეტილი უყურებს მის თვალწინ გაჩაღებულ ბრძოლას და სისხლისღვრას, შველის ნუკრი ასეთ სამართლიან საყვედურს რომ ამბობს ადამიანის მიმართ და სხვ.

ვაჟას აზრით ეთიკური თვალსაზრისით ბუნება ადამიანზე მაღლა დგას. იგი პირდაპირ წერს „ბუნების გონიერი მოქმედება ადამიანის გონებას ბევრით აღემატებაო“. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვაჟას ადამიანი ბუნებაზე ნაკლებ უყვარს. იგი ხშირად ბუნებასაც სდებს ბრალს სისასტიკესა და „კაი ყმის მოკვლისთვის“.

„სიკვდილო კარგის მოკვლისთვის

აბა ვინ გეტყვის ქებასა“-ო. მაგრამ ბუნება, რა სასტიკიც არ უნდა იყოს, მაინც კეთილია და „სიტურფით ყვავის“. ვაჟას აზრით:

„რასაც კი აწყობს, ან ჰშლის ბუნება

ყველა კარგია, ყველა ტურფაა“.

მიუხედავად ნაკლოვანებებისა ადამიანიც კარგია. სიკვდილიც თავისებური გამოვლენაა სიკეთისა. იგი განახლებას უწყობს ხელს. ბუნებას სიკვდილით არაფერი არ აკლდება, რადგან ვაჟას აზრით „შევსება მოსდევს დანაკლისს“. ხოლო „გაჩენისა და სიკვდილის“ ზომა უცვლელი რჩება. „დრონი წავლენ და ჩვენც წავალთ“ — ამბობს ვაჟა, მაგრამ მან იცის, რომ სიკვდილს სიცოცხლე მოსდევს, წასვლას მოსვლა და წამოიძახებს:

„ღმერთმა გიშველოს სიკვდილო
სიცოცხლე შვენობს შენითაო“.

სიკვდილსა და სიცოცხლეს ბუნების მარადიულობა ასწორებს. სიკვდილში კაცი სიცოცხლეს პოულობსო — ამბობს ვაჟა. ბუნებაც ამას ალბათ იმიტომ ჩაადენინებს კაცს, რომ იმისთვის სიკვდილი, რაც კაცს უყვარს და ებრალება, იგივე სიცოცხლეა. „მაინც და მაინც ბუნებას ხომ სიკვდილ-სიცოცხლე ერთნაირად უყვარს და ორივე იმის ხელთ არის“. ეს აძლევს ადამიანურ ყოფას დიდ ოპტიმისტურ ძალას. ეს რომ არ იყოს მაშინ სთქვით რით დასრულებოდაო სიცოცხლის სიტურფე; მზის მაცოცხლებელი ძალა ან ადამიანის ყოფა. ვაჟა თავისი შემოქმედებითი ენერგიის უმთავრეს ნაწილს სწორედ ადამიანის ცხოვრებას მის გმირობას, მეგობრობასა და სიყვარულს ანდომებს. მას ხომ ასე ძლიერ უყვარს ბუნება, მაგრამ მთავარ საზრუნავად მაინც ადამიანი ჰყავს. კაი ყმა რომ მოკვდება „აფსუს! რა ჯონდა წაიქცაო“ ამოიკვნესებს ვაჟა. ის ბევრ უსამართლობას ხედავს ადამიანებში, — სოციალურ უთანასწორობას, ერთის მიერ მეორის ჩაგვრას, შურსა და გესლიანობას, — მაგრამ ამას იგი დასავლეთურ კაცთმოძულეობამდე კი არ მიჰყავს, პირიქით.

„მრწამს აზრი კაცთა სიცოცხლის“-ო, აცხადებს იგი.

თუ ის ასე ხშირად კიცხავს ადამიანის ნაკლს, მხოლოდ იმიტომ, რომ გამოასწოროს იგი და აიყვანოს ბუნების სიმაღლემდე, აქციოს მის მწვერვალად, იდეალურ ან დიდებულ ადამიანად. ვაჟა წერს, „მოძმეთ გონების სიდიდე მწადდა, მათი გრძნობებისა და ფიქრების დიდება“-ო.

ამ აზრს ემსახურება მთელი მისი შემოქმედება. ვაჟას პოეტური კოსმოგონია აერთიანებს ყველაფერს, რაც იდეალურის კომპლექსს ქმნის: მზეს, სითბოს, სიცოცხლეს, სილამაზეს, პოეზიას სიკეთეს, თავისუფლებას, ბედნიერებას, სიყვარულს, საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ბუნებისა და ერის მარადიულ გაზაფხულებას. ერთის მხრივ იგი უმღერის ამ ამაღლებულ იდეებს, ხოლო მეორეს მხრივ გმობს ბოროტებას, სისასტიკეს, სისხლის ღვრას, სოციალურ ჩაგვრას, შურსა და გაუტანლობას. მიუხედავად დიდი რომანტიკული გატაცებისა, ვაჟა მაინც მკაცრი რეალისტია. მისთვის უცხოა ცხოვრების სენტიმენტალური შელამაზება. გოეთეს მსგავსად მანაც კარგად იცის, რომ ქვეყანა კეთილი და ბოროტი ძალების ასპარეზია, მაგრამ უნდა დაიჯეროს, რომ სიკეთე და სიყვარული ყოველთვის გაიმარჯვებენ ბოროტებაზე. და ეს მიუხედავად იმისა რომ ვაჟას დროს ბოროტება ზეიმობდა სიკეთეზე: მინდია დამარცხდა, გოდერძი და ეთერი დაღუპნენ, ჯოყოლა განდევნეს, ზვიადაური „დახკლეს“, დაჭრილი არწივს ყვავ-ყორნები დაესივნენ. ვაჟა ისევე როგორც გოეთეს ფაუსტი თვითონ არ იყო მხილველი სიკეთისა და სიმართლის გამარჯვებისა.

„რასაცა ვეძებ იმისა,
არასდროსა ვარ მნახველი“-ო ამბობს იგი, მაგრამ წინაამდეგ მსოფლიო სევდისა და დეკადანსის მწერლობისა იგი მაინც იმედით შეჰყურებს მომავალს. ვაჟა ჰკიცხავს ყველას, ვისაც დაკარგული აქვს მომავლის ეს რწმენა: „რად გეჯავრებათ ჩვენი ერის განთიადიო“ მიმართავს ის იმათ, ვინც „მომავალს კაცობრიობას დღესვე სამარეს უთხრის“.

ვაჟას „გონება მიჰქრის ჟამთა სივრცეში“ და ბარათაშვილის მერანივით გზას უკაფავს ადამიანებს, შთააგონებს მათ მომავლის სიდიადეს და ამ აზრით გალაღებული შესძახებს:

„კიდევაც ვნახავ გაზაფხულს
ყელმოღერებულ იასაო“.

ვაჟამ ცხოვრების სასტიკ წინაამდეგობებთან ბრძოლაში გამოაწრთო თავისი პოეტური კოსმოგონიის ჰელიოცენტრიული სისტემა. მან ჯერ კოსმიური მთლიანობის ცენტრი მოძებნა-მზე, შემდეგ ამავე მთლიანობაში ნაგულისხმევი ორი კომპლექსი—ბუნება და ადამიანი—აჩვენა, გამოავლინა ორივეს ცხოველმყოფელური თვისებები, რითაც მათი ერთგვარობა დაადგინა. ვაჟამ ამით ბუნების ფარგლები ადამიანურის ცნებით გააფართოვა, ხოლო ადამიანს „ბუნების თვალით“ შეხედა და ყველაფერი ჰარმონიულ მთლიანობაში მოიყვანა.

ამით ვაჟამ თავისებურად გადაჭრა ფაუსტური პარადიგმების ერთერთი ძირითადი საკითხი ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობის შესახებ. მან თავისი ჰელიოცენტრული სისტემით ცხოვრების რეალური კანონები გამოხატა რითაც მარადიული განვითარებისა და პროგრესის ფაუსტური იდეები დაუპირისპირა დასავლეთის „დასასრულის“ დეკადენტურ ფილოსოფიას. ამიტომ ვამბობთ, რომ ფაუსტური იდეები გოეთეს შემდეგ სწორედ ვაჟა—ფშაველას მსოფლიო მნიშვნელობის შემოქმედებაში აღწევს ახალ საფეხურს და კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის საქმეს ემსახურება.

თუ გოეთე მთელი თავისი ფაუსტური ძიების საბოლოო აზრს გამოხატავდა რწმენაში, რომ დადგება დრო, როცა შეიძლება კაცობრიობამ სთქვას: „შეჩერდი წამო, შენ მშვენიერი ხარ!“, ვაჟაც ასეთივე იმედს გამოსთქვამს ფშაველურად მოქნეული ფრაზით:

„ელირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. რაჭიანი

★

# ქართველი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან*

ზემოთ ჩვენ მოვიხსენიეთ მკვლევარ შ. ლევინის აზრი იმის შესახებ, რომ იშუტინელები საგანგებოდ აწყობდნენ ბიბლიოთეკებს, რომლებსაც რევოლუციური პროპაგანდისა და ორგანიზაციის საყრდენი პუნქტების მნიშვნელობას ანიჭებდნენ. პეტერბურგში კი, როგორც ვიცით, იშუტინელების გზით მიდიოდნენ ხუდიაკოვის წრის წევრები. მაშასადამე, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჯერ ერთი, „კარაკოზოვის საქმის“ თანამონაწილე ხ. სავანელი სწორედ ხუდიაკოვის წრის წევრი იყო და ამ წრის დავალებით მიიღო მონაწილეობა საიდუმლო ბიბლიოთეკის შექმნაში, ხოლო მეორეც, — რაკი იგი ბიბლიოთეკის — რევოლუციური პროპაგანდისა და ორგანიზაციის ამ საყრდენი პუნქტის — შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა, ცხადია, თვით რევოლუციური პროპაგანდისა და ორგანიზაციის საქმეშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო.

ცნობილია, რომ ხარლამპი სავანელმა პეტერბურგის კონსერვატორია დაამთავრა 1865 წელს. მესამე განყოფილების ზემოთ მოყვანილი ცნობიდან კი ჩანს, რომ 1866 წლის 4 აპრილის შემდეგაც ის ჯერ ისევ პეტერბურგში ყოფილა. რატომ შეჩერდა პეტერბურგში და არ გამოეგზავრა სამშობლოში ხ. სავანელი მას შემდეგ, რაც მან კონსერვატორია დაამთავრა? ამ კითხვის პასუხი თავისთავად იგულისხმება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მრავალ სხვა ქართველ სტუდენტთან ერთად ისიც აქტიურად ყოფილა ჩაბმული რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხარლამპი სავანელი მჭიდროდ დაუკავშირდა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს — საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილ ბელადებს და მათი ხელმძღვანელობით თავდადებით იღვწოდა მოწინავე, დემოკრატიული ქართული კულტურის, კერძოდ კი მუსიკალური კულტურის აყვავებისათვის.

### 7. თეთრი ტერორის ეპოქა რუსეთში და ქართველი სტუდენტობა. სიმონ წერეთლის რევოლუციური მოღვაწეობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარაკოზოვის გასროლის შემდეგ რუსეთში დადგა სასტიკი რეაქციის პერიოდი, რომელიც ისტორიაში თეთრი ტერორის ეპოქის სახელწოდებით შევიდა. იმდროინდელი მოღვაწენი თავიანთ მოგონებებში ერთხმად ლაპარაკობენ იმ აუტანელ პირობებზე, რომელიც მეფეზე თავდასხმის შემდეგ რუსეთში შეიქმნა არა მარტო რევოლუციონერებისათვის, არამედ ყოველი ცოტად თუ ბევრად პროგრესულად მოაზროვნე ადამიანისათვისაც. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია ცნობილი რუსი რევოლუციონერების მიხეილ საჟინისა და პეტრე კროპოტკინის მოგონებები.

„1866—1869 წლებში, — ამბობს მ. საჟინი, — რუსეთი განიცდიდა საშინელ რეაქციას, რაც შედეგად მოჰყვა კარაკოზოვის თავდასხმას ალექსანდრე II. ყველგან წყვდიადი იყო გამეფებული, არსად არ ჩანდა რაიმე ნიშანწყალი არა თუ პოლიტიკური, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრებისაც კი. ყოველგვარი კულტურული წამოწყება აკრძალული იყო და სასტიკად იდევნებოდა პოლიციისაგან, რომელიც ყველგან გამეფებულიყო. სტუდენტობაში არ იყო არც ურთიერთდახმარების სალაროები, არც ბიბლიოთეკები, არც საერთო სასადილოები“[1].

სწორედ ასევე აფასებს თეთრი ტერორის ეპოქის ატმოსფეროს მეორე გამოჩენილი რევოლუციონერი და მეცნიერი პ. კროპოტკინი, რომელიც ხუთ წელიწადს ციმბირში ყოფნის შემდეგ 1867 წელს ჩავიდა პეტერბურგში. ის გაკვირვებული იყო იმ დიდი ცვლილებით, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში პეტერბურგის ცხოვრებაში მოხდა და მწუხარებით აღნიშნავდა: „კარაკოზოვის 1866 წლის 4 აპრილის გასროლის შემდეგ III განყოფილება ყოვლის შემძლე გახდა. ვისზედაც ეჭვი ჰქონდათ მიტანილი „რადიკალიზმში“, — სულ ერთია, გააკეთეს მათ რაიმე, თუ არა, — მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობდნენ“[2].

მიუხედავად ასეთი მძიმე პოლიტიკური ვითარებისა, რევოლუციური მუშაობა, — როგორც სამართლიანად აღნიშნავს მკვლევარი მ. კოზმინი, — იმ პერიოდში არ შეწყვეტილა.

---

* გაგრძელება. იხ. მნათობი. № 3, 4, 5, 6.

[1] М. П. Сажин, «Воспоминания», М., 1925 г., стр. 19.

[2] П. А. Кропоткин, «Записки революционера», М., 1924 г., стр. 189.

„ღრმა იატაკქვეშეთში განაგრძობდნენ ფუთფუთს და ახალი ბრძოლისათვის ძალებს იკრებდნენ ადამიანები, რომლებსაც ჰყოფნიდათ ძალ-ღონე, გამბედაობა და სინდისი არ შერიგებოდნენ რეაქციის ზეიმს და დარჩენილიყვნენ თავიანთი წინანდელი რწმენის ერთგულნი. ასეთი ადამიანების რიცხვი მცირე იყო“ [1].

პეტერბურგის იმ მცირეოდენ ადამიანთა შორის, რომლებიც არ შეუშინდნენ ცარიზმის საშინელ ტერორს, რეაქციის პირობებშიც დარჩნენ ერთგულნი რევოლუციური იდეების და 1866—1869 წლების ხანაშიც განაგრძობდნენ მეფის მთავრობის წინააღმდეგ მამაცურ ბრძოლას, იყვნენ ქართველი სტუდენტებიც. ისინი, ისევე როგორც წინა წლებში, ამ დროსაც საკმაოდ თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ, რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამ პერიოდის რევოლუციონერთაგან განსაკუთრებით ვრცელი მასალები ნიკოლოზ ყიფიანისა და ვარლამ ჩერქეზიშვილის რევოლუციურ მოღვაწეობაზე მოგვეპოვება რასაც მომდევნო თავებში დაწვრილებით გავაცნობთ მკითხველს, ამჟამად კი შევჩერდებით სიმონ წერეთლის მოღვაწეობაზე, რომელიც, დავით ღოღობერიძის მსგავსად, სტუდენტთა საიდუმლო ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელთაგანი ჩანს.

1866 წლის აპრილის ბოლოს თუ მაისის დასაწყისში მესამე განყოფილებაში შესულა შემდეგი შინაარსის უსახელო დასმენა:

„თქვენო აღმატებულებავ! სტუდენტ წერეთელს ბევრი რამ აქვს საეჭვო და მასთან წინად იკრიბებოდა ბევრი სხვადასხვა პირი, შესაძლოა დამნაშავენიც. ის ცხოვრობს მე-5 ხაზზე, შმიდტის სახლში“ [2].

დასმენას ადევს თვით ჟანდარმთა შეფის შემდეგი რეზოლუცია: „გაიგეთ წერეთლის ვინაობა, 2 მაისი“. ამ ბრძანების შესასრულებლად მაშინვე მიუღიათ ზომები და უკვე ექვს მაისს მესამე განყოფილებაში ასეთი დოკუმენტი (ცნობა) შეუდგენიათ:

„აქაური უნივერსიტეტის სტუდენტი წ ე რ ე თ ე ლ ი, რამდენადაც ჯერ-ჯერობით შესაძლებლობა გვქონდა გაგვეგო, ცხოვრობს ვასილიევის კუნძულის მე-5 ხაზზე, შმიდტის სახლში, ბინაში, სადაც მის გარდა კიდევ 25 სტუდენტი ცხოვრობს.

წარმოშობით ის კავკასიის მხრიდანაა და უნივერსიტეტში სარგებლობს კარგი სტუდენტის რეპუტაციით, ამხანაგებში კი —

[1] Б. П. Козьмин, «Революционное подполье в эпоху «Белого терора», М., 1929 г., стр. 162.

[2] ЦГИАМ, ф. 109, секр. архив, опись 1, Д. 1508, 1866 г., Л. 4.

კეთილი, მაგრამ ცოტა პოეტური კაცის სახელით [1].

მასთან მცხოვრები სტუდენტები ხშირად ქეიფობაში ატარებენ დროს, მაშინ, როცა წერეთელი მუდამ შინ იმყოფება და განსაკუთრებული სიყვარულით სწავლობს ისტორიას.

როგორც წერეთელზე, ისე ხსენებულ ბინაზე მეთვალყურეობა გრძელდება“ [2].

ასე მოექცა ცარიზმის პოლიტიკური პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ სტუდენტი სიმონ წერეთელი. არ გასულა დიდი დრო, რომ მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. 11 მაისს უმაღლესი საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარის, გრაფ მურავიოვის განკარგულებით, მოულოდნელად გაჩხრიკეს და დააპატიმრეს პეტერბურგის სტუდენტ-რევოლუციონერთა ერთი ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ივანე შაპეცკი, ალექსეი პრავოშინსკი, ლუჩინცევი და სხვები. დაპატიმრებულებს ჩამოართვეს მრავალი პირადი წერილი, რომლებშიც ნახსენები იყვნენ მათი თანამოაზრენი; ამას გარდა მკაცრი დაკითხვის დროს ზოგიერთი დაპატიმრებულთაგანი იძულებული გახდა დაესახელებია თავისი თანამებრძოლნი, რამაც მურავიოვის კომისიას საშუალება მისცა მიზანში ამოეღო მრავალი ახალი მსხვერპლი, რომელთა შორის აღმოჩნდა, უკვე აქამდეც პოლიციის მიერ ეჭვმიტანილი სიმ. წერეთელი.

12 მაისს ბრალდებულმა პრავოშინსკიმ აღიარა: „მე დეპუტატად ვიყავი 1865 წლის მაისსა და სექტემბერში... სხვა წრეებიდან დეპუტატები იყვნენ: პეტრუნკევიჩი, გალოპოლსკი, ჩაიკოვსკი, ანანოვი, წერეთელი, მესხი [3], ხოროროვიჩი... წრეები 12-დე იყო“ [4].

რამდენიმე დღის შემდეგ დაპატიმრებულმა სტუდენტებმა კვლავ დაასახელეს ს. წერეთელი, როგორც მათი ამხანაგი და თანამებრძოლი. სტუდენტმა ივანე ფოინიცკიმ 20 მაისს დაკითხვაზე აჩვენა: „მე უბედური დეპუტატად ვიყავი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი გამოუცდელობის გამო და კრებებზე ვესწრებოდი მარტიდან აპრილის შუამდე... ჩემ დროს კრებები იყო კუზნეცოვთან, წერეთელთან და ხამაშურიძესთან“ [5].

იმავე დღეს მეორე ბრალდებულმა, სტუდენტმა ა. ვაკულენკომ აჩვენა: „ბიბლიოთეკა ინახება შენატანებით თვითეულისაგან თვეში 10 (ათი) კაპ. ვერცხლით. ბიბლიოთეკარად

[1] საქმიდან ჩანს, რომ სიმ. წერეთელს ლექსები უწერია.

[2] ЦГИАМ, ф. 109, секр. архив, опись 1, Д. 1508, 1866 г.

[3] აქ როგორც ჩანს იგულისხმება სერგეი მესხი.

[4] ЦГИАМ, ф. 95, оп. Д. 300, 1866 г., Л. 9.

[5] იქვე, ფურც. 47.

წინად ანანოვი იყო, მისი სიკვდილის შემდეგ კი ბიბლიოთეკა გადავიდა წერეთლის[1] ხელში და ამჟამადაც მასთან იმყოფება“[2].

ამ ცნობების მიღების შემდეგ კომისიამ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ მიეტანა იერიში სიმ. წერეთელზე და იმავე დღეს პოლიცია თავს დაესხა მის ბინას. გაჩხრეკის აქტში, რომელიც საქმეში ინახება, ნათქვამია, რომ ს. წერეთლის ბინა და ნივთები გულმოდგინეთ (тщательно) იქნა დათვალიერებული, ხოლო წერილები და სხვადასხვა ქაღალდები ჩამოერთვა და დაილუქა უმაღლეს კომისიაში წარსადგენადო.

1866 წლის 21 მაისს მურავიოვის კომისიის წინაშე წარსდგა თვითონ ბრალდებული ს. წერეთელი, რომელსაც მაშინვე ჩამოართვეს ჩვენება. პირველი დაკითხვის დროს მას შემდეგი შვიდი კითხვა დაუსვეს: „აგვიხსენით: 1) წრეების შექმნის მიზანი; 2) რას ნიშნავს სიტყვა გაერთიანება, რომელიც ნახმარია სალაროს წესდებაში; 3) ვინ შეადგინა წესდება და ყველა წრისთვის ეს ერთი წესდება იყო, თუ არა; 4) გარეშე პირთაგან ვინ ესწრებოდა დეპუტატების კრებებს; 5) რა დამოკიდებულება გაქვთ ნიკოლსკისთან, ველიამოვიჩთან და ბელოპოლსკისთან, და რატომ იყვნენ ისინი თქვენს ბინაში მიმდინარე წლის მარტში დეპუტატთა კრების დროს, რაზე იყო ლაპარაკი ამ სხდომაზე და დასახელებულ პირებს გარდა კიდევ ვინ იყვნენ? 6) იცოდა, თუ არა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ან ხელისუფლების სხვა ორგანოებმა წრეების არსებობის შესახებ? 7) როგორ შეიქმნა ბიბლიოთეკა, რა სახსრები გქონდათ და წიგნები ვინ შემოგწირათ“[3].

სიმ. წერეთელმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ მისი ამხანაგები დაპატიმრებული არიან და, მაშასადამე, კომისიას შესაძლებელია უკვე ჰქონდა თვით მის შესახებაც გარკვეული ცნობები, ამიტომ თავიდანვე აღიარა ზოგიერთი ფაქტი, სახელდობრ, რომ მასთან ნამდვილად იკრიბებოდნენ სტუდენტები, რომ ანანოვის შემდეგ თვითონ განაგებდა სტუდენტთა ბიბლიოთეკას და სხვ., მაგრამ იქვე შეეცადა, ამ ფაქტებისთვის მიეცა „უწყინარი“ ხასიათი: კრებებზე მხოლოდ იმაზე გვქონდა საუბარი,

[1] საქმეში არის ცნობა იმის შესახებ, რომ „პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, თბილისის მოქალაქე იოსებ ივანეს ძე ა ნ ა ნ ო ვ ი გარდაიცვალა 1856 წლის 1 აპრილს (იქვე, ფ. 18). მაგრამ ირკვევა, რომ წერეთლის ხელში ბიბლიოთეკა გადასულა ჯერ კიდევ ანანოვის სიცოცხლეში, — ამ უკანასკნელის ავად გახდომის დროიდან.

[2] იქვე, ფურც. 36.

[3] იქვე, ფურც. 57.

თუ რა დახმარება აღმოუჩინოთ გაჭირვებულ სტუდენტებსო, ბიბლიოთეკაში სრულებით არ გვქონია აკრძალული წიგნებიო და ა. შ.

თავის პასუხებში ს. წერეთელმა კომისიას დაუმალა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები. ასე მაგალითად, მეხუთე კითხვაზე მან უპასუხა, რომ დასახელებული პირები მან მხოლოდ ერთხელ ნახა და ისიც არა საკუთარ ბინაში, არამედ სხვასთან (კორსაკოვთან).

მაგრამ, როგორც ჩანს, კომისიამ იმაზე მეტი იცოდა, ვიდრე ს. წერეთელი ვარაუდობდა. ამიტომ მისმა პასუხმა ვერ დააკმაყოფილა უმაღლესი კომისია და იგი ხელმეორედ გამოიძახეს დასაკითხავად“.

„11 მაისს თქვენ აჩვენეთ, — ეკითხებიან მას, — რომ ვილიამოვიჩი და ნიკოლსკი პირველად და უკანასკნელად ნახეთ კორსაკოვთან. კომისიისთვის სავსებით ცნობილია, რომ როგორც ისინი, ისე ბელოპოლსკიც ესწრებოდნენ დეპუტატთა კრებას, რომელიც თქვენს ბინაზე ჩატარდა; აგვიხსენით, რატომ დამალეთ თქვენ მათი თქვენთან ყოფნა და რა მიზნით მოვიდნენ ისინი დეპუტატთა კრებაზე“.[1]

ამ კითხვამ ს. წერეთელი ძნელ მდგომარეობაში ჩააყენა. ამჯერად იგი იძულებული გახდა ეღიარებინა ზემოთხსენებული პირების მის ბინაში ყოფნის ფაქტი, მაგრამ როგორ უნდა აეხსნა, რატომ დამალა ეს ფაქტი წინა დაკითხვის დროს? ამ მდგომარეობიდან მან დიდის გაჭირვებით დააღწია თავი მით, რომ გამოიგონა შემდეგი ძნელად დასაჯერებელი ვერსია:

„21 მაისს მე ვაჩვენე, რომ ველიამოვიჩი და ნიკოლსკი ჩემთან არ მინახავს მეთქი. მაგრამ როცა სახლში დავბრუნდი, ამხანაგებისაგან გავიგე, რომ ისინი ყოფილან, თუმცა მე მართლა არ დამინახავს იმიტომ, რომ... ყოველ წუთს გარეთ გამოვდიოდი, პაპიროსის წევისაგან ოთახში დამდგარ ცუდ, გაბოლილ ჰაერს ვერიდებოდი; თებერვლის ბოლოს მე ყელიდან სისხლი წამომივიდა, ექიმებმა გამომიცხადეს, გულმკერდი გაქვს დაავადებულიო, და მიბრძანეს, ხშირად ვყოფილიყავი სუფთა ჰაერზე. ამის გამო მე ვცდილობდი რაც შეიძლება ცოტა ხანს დავრჩენილიყავი კრებებზე, ერთი წუთით შევდიოდი და მაშინვე მეორე ოთახში მივრბოდი ამხანაგთან. იმ დროს მე ძალიან მაწუხებდა ავადმყოფობა, მეტის-მეტად დაბნეული და დანაღვლიანებული ვიყავი, რის გამო ისინი შესაძლოა ვერ შევამჩნიე“[2].

ასეთ საკმაოდ უცნაურ არგუმენტაციას ძნელად თუ დაიჯერებდნენ მეფის გაქნილი მოხელეები, მაგრამ საქმე ის იყო, რომ სიმ. წერეთელს ჩხრეკის დროს ვერ უპოვეს მისი

[1] იქვე, ფ. 60.

[2] იქვე.

„დანაშაულის“ რაიმე ოდნავ მაინც დამამტკიცებელი საბუთი,ურომლისოდაც შეუძლებელი იყო მისი დაპატიმრება და სამართალში მიცემა. როგორც ჩანს, სიმონი მოელოდა ჩხრეკას და მოასწრო „საეჭვო“ საბუთების დროზე მოსპობა.

საქმეში დაცულია აქტი, შედგენილი იმ კომისიისაგან, რომელსაც თვით მურავიოვის დავალებით შეუსწავლია სიმ. წერეთლისთვის ჩამორთმეული ქაღალდები. ამ ქაღალდებში კომისიას საეჭვოდ მოსჩვენებია ქართულ ენაზე დაწერილი წერილები[1], რომლებიც მაშინვე გადაუციათ სანდო პირისთვის რუსულად სათარგმნად[2]. თვით წერილები, სამწუხაროდ, არ შენახულა, მათი რუსულად თარგმნილი მოკლე შინაარსიდან კი ჩანს, რომ წერილების უმრავლესობა გაგზავნილი ყოფილა საჩხერიდან და ქუთაისიდან მშობლების მიერ, აგრეთვე ახლო ამხანაგებისაგან. ხსენებულ წერილებში მოიპოვება საინტერესო ცნობები, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ საქართველოს მაშინდელი ისტორიის შესასწავლად[3], მაგრამ თითქმის არც ერთ წერილში არ აღმოჩნდა ის, რასაც მეფის მოხელეები დაეძებდნენ: აშკარაა, რომ „საეჭვო“ წერილები სიმ. წერეთელს წინასწარ მოუსპია.

ამრიგად, თითქოს ს. წერეთლის საქმე კარგად მიდიოდა, მას პეტერბურგიდან გასვლის ნებაც კი დართეს. ზაფხულში იგი ქალაქგარეთ გაემგზავრა აგარაკზე, მაგრამ სულ მალე იძულებული გახდა უკანვე დაბრუნებულიყო და ხელახლა წამდგარიყო უმაღლესი კომისიის წინაშე.

აი ეს როგორ მოხდა.

1886 წლის აპრილის ბოლოს პეტერბურგის ერთ-ერთი სახლის (ვასილიევის კუნძულზე, ქუკოვის სახლის) დიასახლისმა შემთხვევით ბუხარში იპოვნა რვეული, რომელსაც გარედან ეწერა „შემოსავალ-გასავლის წიგნი“, შიგ კი აღმოჩნდა რილეევის ლექსი „ახალგაზრდა თაობას“ და ამონაწერები „კოლოკოლიდან“. დიასახლისმა ნაპოვნი რვეული პოლიციას გადასცა. მაშინვე გაჩხრიკეს და დააპატიმრეს იმ სახლის ბინადარი სამი სტუდენტი, რომელთაგან ორი აღმოჩნდა ძმები ანდრია და ალექსანდრე კუზმინები, თბილისის მკვიდრნი, რომელთაც თბილისის გიმნაზია ჰქონდათ დამთავრებული და რომლებიც უდივოდ დაახლოვებულნი იყვნენ პეტერბურგის ქართველ სტუდენტებთან; ხოლო მესამე იყო სტუდენტი პეტრე ქუკოვი. ძმებს კუზმინებს აღმოუჩინეს მრავალი მამხილებელი საბუთი, სახელდობრ: ხელნაწერი რვეული სათაურით **„Дело Н. Г. Чернышевского, официальный документ“**; დობროლიუბოვის, ბესტუჟევის და ოგარევის ლექსთა კრებული, ცხრა წერილი, რომლებშიც ლაპარაკი იყო სტუდენტთა წრეებზე, კრებებზე და სალაროებზე; გერცენის, ოგარევის, ჩერნიშევსკის, მიხაილოვის და სხვა გამოჩენილ რევოლუციონერთა სურათები, აგრეთვე მრავალი სხვა „საეჭვო“ მასალა.[1]

დაიწყო კუზმინებისა და ქუკოვის საქმის გამოძიება. მალე მურავიოვის კომისიამ დაადგინა, რომ ეს საქმე პირდაპირ კავშირში იყო წინათ დაპატიმრებულ სტუდენტ რევოლუციონერთა საქმესთან, კერძოდ ანანოვისა და წერეთლის არალეგალური ბიბლიოთეკის არსებობასთან (გამოირკვა, რომ ქუკოვის სახლში წინად ბიბლიოთეკარი ანანოვი ცხოვრობდა). ძმები კუზმინები დაკითხვებზე მტკიცედ იცავდნენ კონსპირაციის წესებს, კერძოდ ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ დაერწმუნებიათ უმაღლესი კომისია, რომ ხსენებულ ბიბლიოთეკაში არ ინახებოდა არალეგალური ლიტერატურა, მაგრამ ასეთივე სიმტკიცე ვერ გამოიჩინა პეტრე ქუკოვმა. ქვემოთ მოგვყავს ამონაწერი ქუკოვის დაკითხვის ოქმიდან, რის საფუძველზეც ს. წერეთელი კვლავ დაიბარეს კომისიაში სასწრაფო ახსნა-განმარტებისათვის და დაუყოვნებლივ გაჩხრიკეს აგრეთვე მეორე ქართველი სტუდენტი ივანე ანდრონიკაშვილი. ეს ამონაწერი ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივ, რომ სავსებით ადასტურებს სიმ. წერეთლისა და მისი გარდაცვლილი მეგობრის იოსებ ანანოვის აქტიურ არალეგალურ საქმიანობას, კერძოდ კი მათ მიერ სტუდენტთა შორის აკრძალული რევოლუციური ლიტერატურის სისტემატურად გავრცელების ფაქტს. დაკითხვის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს თვითონ პ. ქუკოვი, ნათქვამია:

„1866 წლის 14 ივნისს, ს. პეტერბურგში გრაფ. მ. ნ. მურავიოვის თავმჯდომარეობით უმაღლესად დამტკიცებულ საგამომძიებლო კომისიაზე, სტუდენტმა პეტრე ქუკოვმა მისთვის მიცემულ კითხვებზე აჩვენა...

სტუდენტთა ბიბლიოთეკაში ნამდვილად იყო საზღვარგარეთ გამოცემული წიგნები, რადგან იგი თვითონაც ღებულობდა ბიბლიოთეკიდან ასეთ წიგნებს, სახელდობრ მან მიიღო: „ხმა

---

[1] აქტში შეცდომით ეს წერილები მოხსენებულია სომხურად დაწერილად.

[2] წერილების მოკლე შინაარსი რუსულად უთარგმნია ვიღაც კოლეჟსკი სოვეტნიკ წერეთელს.

[3] მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ვინმე სიმონ მაჭუტაძის წერილი, რომელიც ფრიად საინტერესო ცნობებს შეიცავს მაშინდელი ქუთაისის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

---

[1] სხვათა შორის კუზმინების გაჩხრეკის აქტში ნათქვამია, რომ მათ აღმოაჩნდათ სამი წერილი ქართულ ენაზეო, მაგრამ თვითონ წერილები საქმეში არ ჩანს.

რუსეთიდან", „ნამყო და ფიქრები", „საპატიმრო და გადასახლება", „განხეთქილების შესახებ", კელესიევის თხზულება, „ეკატერინე II ჩანაწერები", „თავად დაშკოვის ჩანაწერები" და სხვები, რომელთა სათაური აღარ ახსოვს.

აკრძალული წიგნები ბიბლიოთეკაში ყოველი თხზულების თითო ეგზემპლიარი ინახებოდა. ბიბლიოთეკარი მას წასაკითხად ყოველ მსურველს აძლევდა, მაგრამ სახელდობრ ვის მისცა და როდის, არ ვიცი, ამჟამად ეს წიგნები, ჩემი ვარაუდით, თავად ანდრონიკოვთან ინახება. ჩემი ვარაუდი ემყარება შემდეგ გარემოებას: როცა მე მოვინდომე წერეთლისაგან მიმეღო კელესიევის თხზულება „განხეთქილების შესახებ", მას ეს წიგნი სახლში არ აღმოაჩნდა და მზარეული ქალი გაგზავნა წერილით ანდრონიკოვთან. მისი მისამართია: ვასილიევის კუნძული, მე-5 ხაზი, შმიდტის სახლი. ბინა № 13... ზემოთ მოხსენებულ წიგნებს მე ანანოვი მაძლევდა ხოლმე, გარდა კელესიევის წიგნისა „განხეთქილების შესახებ", რომელიც წერეთელმა მომცა. ამასთან ორივენი, ე. ი. ანანოვიც და წერეთელიც ამტკიცებდნენ, რომ ეს წიგნები ბიბლიოთეკას ეკუთვნისო".[1]

სტუდენტ ჟუკოვის ამ აღიარებამ გამოიწვია ფიცხელი განკარგულება სიმ. წერეთლის დაუყოვნებლივ კომისიაში გამოძახებისა და ანდრონიკაშვილის გაჩხრეკის შესახებ. კვლავ ამუშავდა პოლიციის მანქანა, დატრიალდნენ ჟანდარმები. ს. წერეთელი ამ დროს ცხოვრობდა პეტერბურგის გუბერნიის, გდოვსკის მაზრის სოფელ ლეონტიევში. მის წამოსაყვანად გდოვსკის სამაზრო პოლიციის სამმართველოს 22 ივნისს გაეგზავნა შემდეგი შინაარსის განკარგულება:

„სანქტ პეტერბურგში უმაღლესად დამტკიცებული საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარის, ინფანტერიის გენერალ გრაფ მურავიოვის ბრძანებით, მაქვს პატივი უმორჩილესად ვთხოვო პოლიციის სამმართველოს, ხელწერილით დაავალდებულოთ სოფელ ლეონტიევში, მომრიგებელ მოსამართლე ორლოვსკისთან მცხოვრები, ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი თავადი წერეთელი დაუყოვნებლივ გამოცხადდეს კომისიაში, მისი უდიდებულესობის საკუთარი კანცელარიის III განყოფილების შენობაში, და მასთან ერთად თვალყური ადევნოთ მის წამოსვლას პეტერბურგში"[2].

გდოვსკის სამაზრო პოლიციის სამმართველომ ეს განკარგულება მიიღო 28 ივნისს. იმავე დღეს სიმ. წერეთელს ჩამოართვეს ხელწერილი და აიძულეს დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო პეტერბურგს.

[1] ЦГИАМ. ф. 95. оп. 1, Д. 286. Л. 43:
[2] ЦГИАМ. ф. 95. оп. 1. Д. 300, Л. 134:

მის ჩამოსვლამდე კი გაჩხრიკეს და დააპატიმრეს სტუდენტი ივანე ანდრონიკაშვილი, რომლის ჩვენებამ კიდევ უფრო გაურთულა საქმე სიმ. წერეთელს.

ჩვეულებრივად სტუდენტ-რევოლუციონერთა დიდი ნაწილი დაკითხვის დროს ასეთ ტაქტიკას ადგა: აღიარებდა მხოლოდ იმას, რაც ისედაც უკვე ცნობილი იყო ხელისუფლების წარმომადგენელთათვის და რის დამალვასაც, მაშასადამე, აზრი აღარ ქონდა. მაგრამ ისინი ყოველთვის როდი ახერხებდნენ იმის გაგებას, თუ რა იყო ცნობილი პოლიციისათვის და რა— არა. ამიტომ არაიშვიათად, პოლიციის მოხელეები ახერხებდნენ მათ შეცდენას და წამოაცდენიებდნენ ხოლმე იმაზე მეტს, რაც სტუდენტს უნდოდა მათთვის გაემხილა. იყო, რა თქმა უნდა, სულმოკლეობისა და სიმხდალის მაგალითებიც, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში სტუდენტებს დაკითხვებზე თავი ღირსეულად ეჭირათ.

ივანე ანდრონიკაშვილს პოლიციამ გაჩხრეკის დროს „საეჭვო" ვერაფერი უპოვნა. დაკითხვაზე მან უარყო სტუდენტ პ. ჟუკოვის მიერ დასახელებული ფაქტი, თითქოს სიმ. წერეთელს მისთვის, (ანდრონიკაშვილისთვის), გაეგზავნოს მზარეული ქალი თხოვნით—კელესიევის აკრძალული წიგნი გამომიგზავნეო. მაგრამ სამაგიეროდ მან თავის პასუხში ახსენა ახალი ფაქტი, რომელმაც აშკარად გაურთულა მდგომარეობა სიმ. წერეთელს. აი მისი სიტყვები: „ჰქონდათ, თუ არა მათ აკრძალული წიგნები, მე არ ვიცი. მხოლოდ ერთხელ, მიმდინარე წლის მაისის დასაწყისში, წერეთელი შემოვიდა ჩემთან და მკითხა, სად შეიძლება დავმალოთ აკრძალული წიგნებიო, რაზედაც მე ვუპასუხე, რომ არც ერთი სულელი არ იკისრებს მათ შენახვას თქვა".[1]

სულმოკლეობა იყო ეს, თუ ანდრონიკაშვილს ეგონა, რომ ისედაც უკვე იციან ს. წერეთელს რომ ჰქონდა აკრძალული წიგნებიო,— ძნელი სათქმელია. ოღონდ მისმა ჩვენებამ, რომელმაც ფაქტიურად დაადასტურა (თუმცა არაპირდაპირ) პ. ჟუკოვის ჩვენება, უდავოდ გაურთულა საქმე ს. წერეთელს.

და როცა იგი კვლავ წარსდგა კომისიის წინაშე, ამჯერად იძულებული გახდა თვითონაც ეღიარებინა, რომ აკრძალული წიგნები ბიბლიოთეკაში ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მან იშვიათი მოსაზრებულობა გამოამჟღავნა და კვლავ მოახერხა თავიდან აეცდინა დიდი საფრთხე: აკრძალული წიგნების შენახვისთვის პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე მან დააკისრა თავის გარდაცვლილ მეგობარს ანანოვს, რომელსაც, ცხადია,

[1] ЦГИАМ. ф. 95, оп. 1, Д. 300, Л. 132: 1866 г:

ალარაფერი მოეკითხებოდა. ეტყობა სიმ. წერეთელი მოელოდა საქმის ამგვარ გართულებას და მზად იყო ამისათვის; ამჯერად მისი პასუხი წინასწარ კარგად მოფიქრებული ჩანს.[1] გავეცნოთ ზოგიერთ ამონაწერს მისი ჩვენებიდან.

„ანანოვმა ბიბლიოთეკა, როგორც უკვე ვთქვი ჩემს წინანდელ ჩვენებაში, მიიღო რომელიღაც სტუდენტისაგან და მაშინ, როგორც ის მეუბნებოდა, იქ არ ყოფილა აკრძალული წიგნები. მე მისგან ბიბლიოთეკა ჩავიბარე 1866 წლის 3 თებერვალს და ზემოთ ხსენებული წიგნები არც მაშინ ყოფილა, მაგრამ ცოტა ხნის გასვლის შემდეგ, ერთნახევარი თუ ორი კვირით ადრე ანანოვის გარდაცვალებამდე, მე პირველად მოვედი მის სანახავად და მაშინ მითხრა, რომ მას აქვს ათამდე აკრძალული საკუთარი წიგნი და სურს შესწიროს ისინი ბიბლიოთეკებს. პირველად მე არ მინდოდა გამომერთმია, მაგრამ მერე წამოვიღე, დაახლოებით 7 წიგნი იყო. ანანოვის გარდაცვალებიდან დაახლოებით ორი თუ სამი კვირის შემდეგ ჩემ ჭიშკართან შემხვდა რომელიღაც მისი ნაცნობი ქალი და გადმომცა კიდევ ორი წიგნი... წასაკითხავად მე აკრძალული წიგნები არავისთვის არ მიმიცია, გარდა კელსიევის ერთი წიგნისა, რომელიც ჟუკოვს მივეცი... კითხვაზე — მივედი თუ არა მე ანდრონიკოვთან რჩევის საკითხავად სად შევინახო აკრძალული წიგნებითქვა, მე განვმარტავ, რომ ანდრონიკოვთან არასოდეს არ მილაპარაკნია იმ აკრძალულ წიგნებზე, რომლებიც მე მქონდა და ამიტომ არ შემეძლო მისთვის მეკითხა, სად შევინახო ეს წიგნებითქვა, შესაძლოა მე მას ვუთხარი რაიმე აკრძალულ წიგნებზე, რადგან ხშირად დავდიოდი მასთან, მაგრამ რომ ეს წიგნები მე მქონდა, ეს არავინ, არ იცოდა გარდა ანანოვის ახლო ამხანაგებისა. მეც არავისთან მითქვამს. მე თავიდანვე მინდოდა მომესპო ეს წიგნები, მაგრამ ვერ ვბედავდი, რადგან ჩემი საკუთრება არ იყო და პასუხისმგებლობის მეშინოდა, მაგრამ აპრილში მე გადავწყვიტე მათი დაწვა, რადგან იმ დროს დაიწყეს ჩხრეკა... იმ ქალის გვარი, ე. ი. რომელმაც მე წიგნები გადმომცა, არ ვიცი... აკრძალული წიგნები მე დავწვი დაახლოებით აპრილის შუა რიცხვებში ჩემი სახლის ღუმელში“.[1]

როგორც დავინახეთ, სიმ. წერეთელი თავდაცვის გონიერ ტაქტიკას ადგა: ის მხოლოდ ისეთ ფაქტებს აღიარებდა (და ისიც შერბილებულად), რომლებიც ხელისუფლების ორგანოებისთვის სხვა წყაროებიდან უკვე ცნობილი იყო. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მან შესძლო ბევრი რამ სავსებით დაემალა და მიუწვდომელი გაეხადა საგამომძიებლო კომისიისათვის. მაგრამ ის ფაქტებიც კი, რაც მან თვითონვე აღიარა, თუ მათ კარგად დავაკვირდებით, საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ სიმ. წერეთელი აქტიურად ყოფილა ჩაბმული სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში. რა თქმა უნდა, ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ რევოლუციურ სტუდენტებს შეეძლოთ თავიანთი საიდუმლო ბიბლიოთეკა ჩაებარებიათ მხოლოდ ყველაზე საიმედო და გამოცდილი ამხანაგისათვის. არც ისაა ძნელი გასაგები, რომ სტუდენტები თავიანთ კონსპირატიულ კრებებს, რომლებზეც მთავრობის საწინააღმდეგო რევოლუციური პროპაგანდის გაშლის გეგმებს სახავდნენ, ჩვეულებრივ აწყობდნენ ისეთი სტუდენტების ბინებში, რომლებიც მათ წრეში უდავოდ ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ. ფრიად საინტერესოა სიმ. წერეთლის ის აღიარებაც, რომ აკრძალული ლიტერატურა მას მოუსპია (თუკი საერთოდ მოუსპია!) მხოლოდ აპრილის შუახანებში, რაც იმას ნიშნავს, რომ თვით მეფეზე თავდასხმის შემდეგაც კი, როცა მთელ პეტერბურგს მოედვა ჩხრეკისა და დაპატიმრების ტალღა, ის კიდევ დიდხანს ინახავდა აკრძალულ ლიტერატურას და მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა მისი მოსპობა (ან გადამალვა), რაც პოლიციამ პირადად მის შესახებ დაიწყო ცნობების შეგროვება.

სიმ. წერეთლისა და მისი ამხანაგების საქმის გამოძიების მასალებიდან, რომლებიც ჩვენ ხელთ გვქონდა, არ ჩანს, რით გათავდა მათი საქმე, — რა სასჯელი დაადვეს ს. წერეთელს ან მის ამ ამხანაგებს; მაგრამ თვით გამოძიების მიმართულება[2] ცხადჰყოფს, რომ იურიდიულად ძალიან ძნელი იყო სიმ. წერეთლის სამართალში მიცემა, რადგან ხელისუფლების ორგანოებს ხელთ არ ჰქონდათ არც ერთი

---

[1] შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ სიმ. წერეთელი, როგორც კი პოლიციამ მას პეტერბურგიდან გასვლის საშუალება მისცა, გაემგზავრა გდოვსკის მაზრაში და ცხოვრობდა მომრიგებელ მოსამართლე ორლოვსკისთან. როგორც ცნობილია, მეფის მთავრობა ძალიან ხშირად ამ თანამდებობაზე ნიშნავდა უნივერსიტეტიდან გამოსულ მოწინავე და განათებულ პირებს. ვის შეეძლო სიმ. წერეთლისთვის იმ კრიტიკულ მომენტში ძვირფასი დახმარება გაეწია რჩევა-დარიგებით, თუ არა კანონების მცოდნეს, მოსამართლეს, რომელიც, როგორც ჩანს, ამავე დროს მისი ახლო მეგობარი იყო?

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, Д. 300, л. 135.

[2] საქმეში არის დიდი მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ბრალდებულთა დაკითხვის შინაარსი და მოცემულია მისი ანალიზი.

მამხილებელი საბუთი, ხოლო ზოგიერთი ჩვენება, რომელიც მის წინააღმდეგ იყო მიმართული მან, როგორც დავინახეთ, შედარებით ადვილად გაბათილა.

გაცილებით უფრო რთულ ვითარებაში აღმოჩნდა მისი მეგობარი ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი, რომლის შესახებ ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი.

### 8. თეთრი ტერორის ეპოქა რუსეთში და ქართველი სტუდენტობა. ნიკოლოზ ყიფიანის რევოლუციური მოღვაწეობა.

1868 წლის ზაფხულში პეტერბურგის პოლიციამ დააპატიმრა ყაზანის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი ივანე პენკოვსკი, რომელიც ჯერ კიდევ 1865 წელს იყო დასჯილი რევოლუციური მოღვაწეობისათვის. ამ პენკოვსკის არ ჰქონდა პეტერბურგში ცხოვრების უფლება, არალეგალურად იყო ჩასული დედაქალაქში და სწორედ ეს იყო მიზეზი მისი დაპატიმრებისა. მაგრამ გაჩხრეკის დროს პენკოვსკის უპოვეს ცნობილი რევოლუციონერის მიხაილოვის სურათი და რამდენიმე საეჭვო წერილი, რომელთა ავტორი იყო არალეგალურ რევოლუციურ წრეებთან დაკავშირებული ქალიშვილი ეკატერინე, სოლოდოვნიკოვა. პოლიციამ დაუყოვნებლივ გაჩხრიკა ეს უკანასკნელიც და სწორედ მის ქაღალდებში წააწყდა პირველად ნიკ. ყიფიანის რევოლუციური მოღვაწეობის კვალს.

მესამე განყოფილების მიერ ამ საქმის გამო შედგენილ ვრცელ მოხსენებაში, რომელიც უმაღლეს საგამომძიებო კომისიას 1868 წლის 17 სექტემბერს წარედგინა, ნათქვამია: „ქალბატონი სოლოდოლნიკოვაც გავჩხრიკეთ და, სხვათა შორის, წამოვიღეთ... 5) ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტის, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის შვილის ნიკოლოზ ყიფიანის წერილი, ვიშნივოლოჩევსკში მცხოვრებ სტეფანე ალექსანდრეს ძე მერკუშევის სახელზე თხოვნით გადაეცა ბატონი ჩერქეზოვისათვის (ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის (?) ყოფილი სტუდენტი თავადი ჩერქეზოვი). ამ წერილში, სხვათა შორის, ლაპარაკია კავკასიელ სტუდენტთა შეკრებებზე, აქ კავკასიელ სტუდენტთა გაერთიანების მიზნით".[1]

როგორც კი პოლიციას ხელში ჩავარდნია

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, Д. 427, 1868 г., л. 3.

ნიკ. ყიფიანის წერილი ვ. ჩერქეზიშვილისადმი, მაშინვე დასხმია თავს მის ბინას და გაუჩხრეკია. როგორც ჩანს, ნ. ყიფიანისთვის ეს ჩხრეკა მოულოდნელი ყოფილა და მას ვერ მოუსწრია მამხილებელი საბუთების მოსპობა. ამით უნდა აიხსნას, რომ მესამე განყოფილებას ხელში ჩავარდნია საკმაოდ მდიდარი „ნადავლი". ამის შესახებ ზემოთ უკვე ხსენებულ მესამე განყოფილების მოხსენებაში ნათქვამია:

„ყიფიანს ჩხრეკის დროს უპოვეს: 1) სალაროს წესდება; 2) სია მოსწავლეთა ქართული სალაროს დამფუძნებელი წევრებისა და იმ წევრებისა, რომლებიც სალაროს დაარსების შემდეგ იყვნენ შეყვანილი; 3) სალაროს იმ წევრთა სია, რომლებიც ესწრებოდნენ მოლარისა და მისი მოადგილის არჩევის დროს; 4) წრეების დეპუტატთა ანგარიში სალაროს მდგომარეობის შესახებ; 5) ყიფიანის წერილი წრეების დეპუტატთა კრებისადმი იმ ბრალდების გამო, რომ მან დაარღვია მოლარის მოადგილის მოვალეობანი; 6) მოლარე ჯაფარიძის წინადადება სალაროს წევრებს და 7) ყიფიანის წერილი მამისადმი სალაროს მოწყობის ირგვლივ. გარდა ამისა ნაპოვნია: „კოლოკოლის" 1867 წლის № 233 და 234; ამონაწერები „პოლიარნაია ზვეზდადან"; სტატია „ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი" თარგმანი გერცენის ჟურნალიდან la Cloche; ხელნაწერი „ჩვენი ოჯახური საქმები", ა. სერნო-სოლოვიევიჩის პასუხი გერცენს; ბროშურა „Lettre a M. le President du soidisart Congres de la paix, par le prince Piere Dolgoroukov;"

დახეული კონვერტი, რომელზეც სხვა ვამოცანებთან ერთად არის შემდეგი: ვინ ახრჩობს ყოველთვის ადამიანებს — მეფე; ვინ დასცინის ყოველთვის ღარიბებს — ღმერთი; ვინ არიან ყოველთვის ჭკუიანი ადამიანები — ისინი, ვისაც ახრჩობენ და გადასახლებაში გზავნიან; სად იმყოფებიან ყოველთვის კარგი ადამიანები — ციმბირში; როდის იქნება უკეთესი ცხოვრება — როცა მეფეები აღარ იქნებიან; მარსელიოზის თარგმანი ქართულ ენაზე: პარიზის მუშებისადმი ს. სიმონის სიტყვის თარგმანი; მიხაილოვისა და პრუდონის პორტრეტები, ტუშით ნახატი; სხვადასხვა ქაღალდები ქართულ ენაზე; სხვადასხვა ფოტო სურათები, რომელთა შორის არის ჩერნიშევსკის, მიხაილოვისა და პისარევის სურათები"[1]

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, Д. 427, Л. 3—4.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოე პაიჭაძე

★

# შრომითი აქტივობა და შემოქმედებითი ინიციატივა

შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთ დაუშრეტელ წყაროდ ითვლება მშრომელი მასების შრომითი აქტივობა და შემოქმედებითი ინიციატივა. იმ ამოცანებს, რომლებიც დასმულია ჩვენი ქვეყნის წინაშე პარტიის მიერ წყვეტენ საბჭოთა ადამიანები, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, მათი თავდადებული, გმირული შრომა. მშრომელი ხალხი ისტორიის შემოქმედია. ამიტომ კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების წარმატებით გადაჭრა მოითხოვს მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის შემდგომ ამაღლებას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ამ უკანასკნელ წლებში გატარებულ ღონისძიებების, რესპუბლიკების, ოლქების, რაიონების უფლებათა გაფართოების, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციისა და სოფლად დაგეგმვის ახალი წესის შემოღების შედეგად ამჟამად ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყოველივე პირობები მშრომელთა მასების შრომითი აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის კიდევ უფრო მეტი აღმავლობის, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების მატერიალური და სულიერი ძალების შემდგომ აყვავებისათვის.

საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომის ძალამ განვლილი ხუთწლედების განმავლობაში ძირფესვიანად შესცვალა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული სახე, შექმნა რა ამასთან ერთად სათანადო წინამძღვრები სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლისათვის. სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში შექმნა სათანადო პირობები მშრომელთა მასების შრომითი აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის ყოველმხრივ გაშლის, ამ მასების საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო ფართოდ ჩაბმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის შემდგომი განმტკიცებისათვის.

მშრომელთა შრომითი აქტივობა და შემოქმედებითი ინიციატივა იყო და არის ჩვენს ქვეყანაში მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმის გატარების, სამეურნეო ანგარიშის თანმიმდევრულად დანერგვის, საწარმოთა რენტაბელობის უზრუნველყოფის და სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ყოველთვის აქცევდა და აქცევს მას განსაკუთრებულ ყურადღებას, როგორც სოციალისტურ მშენებლობის ერთ-ერთ უძლიერეს იარაღს.

წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობამ და მათზე სოციალისტური საკუთრების გამარჯვებამ ძირფესვიანად შესცვალა ჩვენს ქვეყანაში შრომის ხასიათი და შინაარსი. სხვისთვის იძულებითი მუშაობისაგან, მძიმე და სათაკილო ტვირთისაგან, როგორიც ის იყო წინათ, შრომა ჩვენს ქვეყანაში გადაიქცა ღირსების, დიდების, მამაცობისა და გმირობის საქმედ.

კეთილსინდისიერი და ნაყოფიერი შრომა საბჭოთა საზოგადოებისა და პიროვნების კეთილდღეობის საფუძველია. იმუშაო კეთილსინდისიერად და თავდადებულად საზოგადოებისათვის, ეს იმას ნიშნავს, რომ იმუშაო საკუთარი თავისათვის, შენი ოჯახისათვის, შენი სამშობლოსათვის. კომუნისტური პარტია საბჭოთა ადამიანებს ზრდის კომუნიზმის ყოვლისშძლე იდეების საფუძველზე, უვითარებს მათ ნიჭსა და შემოქმედებითს ინიციატივას, პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობას, ასწავლის მათ შრომისადმი და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას, აწარმოებს რა მასთან ერთად გადამწყვეტ ბრძოლას ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად.

სოციალისტური საზოგადოების წინაშე თავისი უმაღლესი ვალდებულების შეგნება, შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება — საბჭოთა ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია. კომუნისტური პარტია დაუღალავად იბრძვის მშრომელთა შემოქმედებითი ძალის, მისი შრომითი ენთუზიაზმისა და შრომითი ინიციატივის შემდგომი გაშლისათვის, რადგანაც ამის გარეშე შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლება და კომუნისტური საზოგადოების აშენება.

ჩვენს ქვეყანაში ადამიანთა შეგნებაში შრომისადმი ძირითადი მობრუნება მოხდა. შრომა საზოგადოების კეთილდღეობისათვის თანდათან იქცევა ჩვეულებად — „პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად". საბჭოთა ადამიანებს ვერ წარმოუდგენიათ თავიანთი არსებობა შრომის გარეშე. შრომა ჩვენში სიმდიდრის, ბედნიერი და საამური ცხოვრების წყაროა.

შრომა ამაღლებს საბჭოთა ადამიანს და აკეთილშობილებს მას. ზრუნავენ რა წარმოების ზრდაზე, საბჭოთა ადამიანები რწმუნდებიან თავიანთი კულტურულ-ტექნიკური ცოდნის ამაღლების აუცილებლობაში, იბრძვიან ძველი, უკვე დრომოჭმული შრომის მეთოდების წინაალმდეგ, ყოველგვარი ჩამორჩენილობისა და გაყინულობის წინაალმდეგ. შრომის პროცესში ისპობა ძველი, ინდივიდუალისტური ჩვევები, იჭედება ადამიანთა შორის ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, ამხანაგური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, მტკიცდება მათ შორის საბჭოთა პატრიოტიზმისა და საბჭოთა ნაციონალური სიამაყის გრძნობა, რაც კიდევ უფრო მაღლა სწევს მათ შრომის წარმატებებს.

შემოქმედებითი შრომით საბჭოთა ადამიანები ამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ეკონომიურ და პოლიტიკურ ძლიერებას. ამიტომ თანმიმდევრული და დაუღალავი ბრძოლა ყოველგვარი უყაირათობის წინაალმდეგ. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, შრომის ახალი, სოციალისტური დისციპლინის დანერგვისა და მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი ინიციატივის განუხრელი აღმავლობისათვის ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფესული და კომკავშირული ორგანიზაციების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს.

შრომის ახალი, სოციალისტური დისციპლინა დამყარებულია ექსპლოატაციისაგან თავისუფალ მუშაკთა ამხანაგურ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე, რომელიც გამსჭვალულია შეგნებული, აქტიური და შემოქმედებითი საქმიანობით. ჩვენს ქვეყანაში ცოტა როდია ისეთი მუშები და კოლმეურნეები, რომლებიც წარმოებაში ითვლებიან თავიანთ საქმის ნამდვილ ნოვატორებად და იძლევიან შემომქმედი და აღმაფრთოვანებელი შრომის ნამდვილ ნიმუშებს.

მაგალითად, ვინ არ იცნობს ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე მემაღაროელ შოთა კუბლაშვილს, რომელიც კომუნისტური შრომის ახალ და ახალ ნიმუშებს იძლევა და ჩვენს სამშობლოს ნორმის ზევით დიდი რაოდენობის ნახშირს აძლევს! ასევე ვინ არ იცნობს ელექტრომავალმშენებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის უფროსს გ. ჩადუნელს, რომელმაც თავისი შრომითი მამაცობით სახელი გაითქვა მთელს ჩვენს ქვეყანაში!

ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის კოლმეურნე მეჩაიე ქალმა ტატიანა ტყებუჩავამ გასულ წელს ჩაის პლანტაციის 0,7 ჰექტარზე 15.083 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი აილო და ამით მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ასევე მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის მერგოლეურმა მეჩაიე ტატიანა ჩხაიძემ გასულ წელს ჰექტარზე გადაყვანით 16.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, რითაც მან შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია. ჩვენ არ ვლაპარაკობთ აქ ჩვენი სასახელო მელითონეების, ჩარხმშენებლების, მეცხოველეების და სხვათა შესახებ, რომელთა შრომითი წარჩინებანი ცნობილია ყველასათვის.

ასეთი ადამიანები ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა როდია. ისინი არა ათეულებს და ასეულებს, არამედ ათასეულებს ითვლიან. საჭიროა მათი შრომითი წარჩინების ნათელი და დამაჯერებელი ჩვენებით წარმოების ყველა მუშაკების აღზრდა, ამ მუშაკებში პატრიოტული გრძნობების დანერგვა, რათა მიღწეულ იქნას წარმოებაში ახალი წარმატებები. ამიტომ წარმოების რაციონალიზატორთა, გამომგონებელთა და ნოვატორთა მოძრაობის შემდგომი გაშლა და მოწინავეთა გამოცდილების ფართე პროპაგანდა ერთ-ერთი გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

მასების შრომითი აქტივობა და შემოქმედებითი ინიციატივა თავის უმაღლეს გამოხატულებას სოციალისტურ შეჯიბრებაში პოულობს. სოციალისტური შეჯიბრება მასების საქმიანი რევოლუციური თვითკრიტიკის კონკრეტული გამოხატულებაა, რომელიც მილიონობით მშრომელთა შემოქმედებით ინიციატივას ეყრდნობა. ყველა, ვინც შეგნებულად თუ შეუგნებლად ზღუდავს მასების ამ თვითკრიტიკას და ამ შემოქმედებით ინიციატივას, გზიდან უნდა მოვიშოროთ, როგორც ჩვენი დიადი საქმის შემფერხებელი.

კრიტიკა და თვითკრიტიკა საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთი უძლიერესი მამოძრავებელი ძალაა. ის ხელს უწყობს მთელ ჩვენს მუშაობაში ნაკლოვანებათა გამოვლინებას და მის აღმოფხვრას. განსაკუთრებით დიდია ქვემოდან კრიტიკის მნიშვნელობა, რომელიც მშრომელთა მილიონიანი მასების შემოქმედებით ინიციატივას და თვითმოქმედებას ემყარება. რაც უფრო ფართოდ გაჩაღდება იგი, მით უფრო სრულად გამოვლინდება ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ძალები და ენერგია, მით უფრო განვითარდება და განმტკიცდება ჩვენი დიადი სამშობლოს პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერება.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური შეჯიბრება გადაიქცა საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად. ის ახდენს ძირფესვიან გადატრიალებას ადამიანთა შეგნებაში, ზრდის მათ სოციალისტური საკუთრებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ის ანადგურებს შრომის ყოველგვარ ძველ, დრომოჭმულ ფორმებს და ჰქმნის წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ახალ, უმაღლეს ფორმებს, მუშაობის უფრო ნაყოფიერ მეთოდებსა და ხერხებს, ამაღლებს მშრომელთა კულტურულ-ტექნიკურ დონეს და წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების განუხრელი აღმავლობის უძლიერეს საშუალებას.

დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად წყდება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის საკითხი, სოციალისტურ შეჯიბრებას და წარმოების ნოვატორობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. კომუნიზმში თანდათანობით გადასვლა მოითხოვს საწარმოო ძალების ყოველმხრივ განვითარებას, წარმოებაში თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ფართოდ დანერგვას, შრომის ნაყოფიერების იმ საფეხურის მიღწევას, რომლის დროსაც, როგორც ამას აღნიშნავს მარქსი, — „საზოგადოების სიმდიდრის ყველა წყაროები უხვად გადმოიღინდება.“.

სოციალისტური შეჯიბრება დღითი-დღე ძლიერდება და თანდათან უფრო მასიურ ხასიათს ღებულობს. ამ უკანასკნელ დროს მან თავისი გამოხატულება კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნაში ჰპოვა. კომუნისტური შრომის ბრიგადები ვალდებულებას ღებულობენ უზრუნველყონ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლება, უახლოესი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიის, ცოდნისა და პროფესიული ოსტატობის დაუფლება. მათი წევრები პირობას სდებენ, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მიიღონ სათანადო ცოდნა და ეს ცოდნა მოახმარონ უწინარეს ყოვლისა ამ წარმოებას, დახმარება გაუწიონ ერთმანეთს სწავლაში, კულტურის ყველა სიმდიდრის დაუფლებაში, გასწიონ მომჰირნეობა, უზრუნველყონ პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და მისი ხარისხის გაუმჯობესება. კომუნისტური შრომის ბრიგადების აღმოცენება მშრომელთა ფართო მასების შრომითი აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი გაშლისა და გაფართოების კონკრეტული გამოხატულებაა. ის თანამედროვეობის ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი მოვლენაა, რომელსაც მხარი უნდა დავუჭიროთ.

გარდა სოციალისტური შეჯიბრებისა, მასების შრომითი აქტიობის და შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლების მნიშვნელოვან საშუალებას საწარმოო თათბირები წარმოადგენს. საწარმოო თათბირები, როგორც მილიონიანი მშრომელი ადამიანების წარმოების მართვაში ჩაბმის საშუალება, სისტემატური ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ბრძოლის ნაცადი მეთოდი, დიდ დახმარებას უწევენ ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაობის გაუმჯობესებას. მუშების, კოლმეურნეების, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კრიტიკული შენიშვნები და საქმიანი წინადადებები ხელს უწყობენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოვლინებას და მათ ლიკვიდაციას, წარმოებაში არსებული რეზერვების სრულად გამოყენებას და საწარმოთა რენტაბელურად მუშაობის უზრუნველყოფას.

საწარმოო თათბირები უნდა ეწყობოდეს ორგანიზებულად და რეგულარულად. ამ თათბირების მუშაობაში მონაწილეობას უნდა ღებულობდენ არა მარტო წარმოების ნოვატორები და ხელმძღვანელი სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, არამედ აგრეთვე რიგითი მუშები. თათბირზე გაკეთებულ კრიტიკულ შენიშვნებს და შემოტანილ წინადადებებს სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს. საწარმოო თათბირის შეუფასებლობას შეუძლია დიდი ზიანი მოუტანოს საწარმოს მუშაობას და გეგმის შესრულებასთან ერთად მიაყენოს მას ზარალი. ამდენად თითოეულ საწარმოს ხელმძღვანელის, პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა სერიოზულად მოეპყრას საწარმოო თათბირების მუშაობას, ორგანიზებულად და ქმედითად წარმართოს ის და უზრუნველყოს მისი საქმიანი წინადადებების სამეურნეო საქმიანობაში დროული დანერგვა.

დაუშრეტელი შრომითი ენთუზიაზმით აღსავსე საბჭოთა ხალხი წარმატებით იბრძვის კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველი კუთხიდან მოდის ცნობები ახალი და ახალი შრომითი წარმატებების შესახებ. მოძმე რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად დიდ წარმატებებს აღწევენ აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც. დღითი-დღე მრავლდებიან წარმოების ნოვატორთა და მოწინავეთა რიგები და ფართოვდება მათი შრომითი წარჩინებანი. შესანიშნავ შრომით წარმატებებს აღწევენ ჩვენი რესპუბლიკის მეფოლადეები, მეავტომობილეები, ჩარხმშენებლები, მემადაროები, მეჩაიეები, მევენახეები და სხვა დარგის მუშაკები.

წარმოების ნოვატორები და მოწინავე ადამიანები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში იძლევიან შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშებს. მათი შესანიშნავი მაგალითი აღაფრთოვანებს ყველა მშრომელს ახალი საგმირო საქმეების შესასრულებლად, წარმოების გასადიდებლად, და პროდუქტთა სიუხვის შესაქმნელად. მოწინავე მუშების, კოლმეურნეების და წარმოების ნოვატორების გამოცდილება, მათი მიღწევები სამეურნეო საქმიანობის ყოველ უბანზე იმის რწმენას გვინერგავს, რომ შვიდწლედის დავალებანი და მათი ვადამდე შესრულების ვალდებულებანი წარმატებით იქნება შესრულებული. ამის ნათელ გარანტიას იძლევა შვიდწლედის პირველი წლის გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულება.

ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკებთან ერთად წარმატებით შეასრულა შვიდწლედის პირველი წლის ყველა მაჩვენებლები საქართველოს მშრომელებმაც. გეგმის გადამეტებით გამოშვებული იქნა ათეული მილიონობით დამატებითი პროდუქცია, ვადამდე და გადაჭარბებით შესრულა გასული წლის საწარმოო გეგმები ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მრეწველობამ. დიდი

წარმატებები იქნა მოპოვებული სოფლის მეურნეობაში. საქართველოს მეჩაიეებმა ვალდებულება აიღეს შვიდწლედის პირველ წელს გეგმის ზევით სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 7 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. თავისი ეს ვალდებულება მათ პირნათლად შეასრულეს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მილოცვა დაიმსახურეს.

აღფრთოვანებულმა კომუნიზმის დიადი მშენებლობის პროგრამით, ბევრმა სამრეწველო საწარმოს, საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის კოლექტივმა აიღო ვალდებულება შეასრულოს შვიდწლედი ოთხ წელიწადში. გასულ წელს საქართველოს მუშათა კლასმა ვალდებულება აიღო მომჭირნეობის რეჟიმის გატარებით დაეზოგა და შვიდწლედის ფონდში შეეტანა 70 მილიონი მანეთი. მან ეს თავისი პატრიოტული ვალდებულება პირნათლად შეასრულა და ნაცვლად 70 მილიონი მანეთისა შვიდწლედის ფონდში 100 მილიონზე მეტი მანეთი შეიტანა.

გააჩაღა რა მომჭირნეობისათვის აქტიური ბრძოლა, რუსთავის მეტალურგებმა გადაჭარბებით შეასრულეს თავიანთი ვალდებულება და ნაცვლად 7 მილიონი მანეთისა შვიდწლედის ფონდში შეიტანეს 15 მილიონი მანეთი. ასევე გადაჭარბებით შეასრულეს თავიანთი ვალდებულება და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში დამატებითი მილიონი მანეთების დანაზოგები შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის ავტომობილმშენებლებმა, ჩარხმშენებლებმა, მეშახტეებმა, მქსოველებმა და სხვა დარგის მუშაკებმა. ამჟამად რესპუბლიკის ყველა საწარმოში გაშლილია საყოველთაო ბრძოლა მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის გატარების, სახსრების დაზოგვის და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ახალ და ახალ ვალდებულებას ღებულობენ გეგმის ზევით დამატებით ლითონის, ნახშირის, ცემენტის, ნართის, ხორცის, რძის, ჩაის, ღვინის და სხვა პროდუქტების წარმოების დარგში. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის 230 მქსოველი ქალი ამჟამად მუშაობს 1965 წლის ანგარიშში. წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის ცნობილი მეღორე დავით სეფიაშვილი ვალდებულებას იძლევა შვიდწლედის მეორე წელს გაასუქოს ათასი ღორი და ერთი ცენტნერი ღორის ხორცის თვითღირებულება 200 მანეთამდე დაიყვანოს. აღფრთოვანებული ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ცნობილი უფროსი მწყემსი გიორგი ჩაბალაშვილი პირობას დებს ორ წელიწადში 100 ცხვარზე მიიღოს 400 ბატკანი, თითოეულ ცხვარზე გაპარსოს 10,5 კილოგრამი მატყლი და შეამციროს ცხვრის ხორცის თვითღირებულება 230 მანეთიდან 150 მანეთამდე.

მუშებსა და კოლმეურნეებთან ერთად ფეხდაფეხ მიდის სასახელო გმირული ახალგაზრდობა, რომელიც ვალდებულებას ღებულობს აღმოფხვრას ჩაის, ვენახის, და სხვა მრავალწლიანი ნარგავის პლანტაციათა სიმეჩხერე, აამაღლოს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა, გაადიდოს მეცხოველეობის პროდუქტიულობა და შეამციროს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულება. ჩვენი რესპუბლიკის მგზნებარე ახალგაზრდობა პირნათლად ასრულებს თავის ვალდებულებას და სამშობლოს დამატებით ათეულ მილიონობით მანეთის პროდუქციას აძლევს. ისე როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკებში, ჩვენს რესპუბლიკაშიც მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და სხვა დარგების მოწინავე ადამიანების — მუშების, კოლმეურნეების და ახალგაზრდობის შრომითი გამოცდილება მოგვიხმობს ჩვენ ახალი შრომითი წარმატებებისაკენ.

უდიდესი ენთუზიაზმით და ახალი შრომითი აღმავლობით შეხვდენ ჩვენი ქვეყნის მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მეცნიერ-მუშაკები შვიდწლედის მეორე წელს. ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, გაიზარდა წარმოების ნოვატორთა რიცხვი და ამაღლდა მშრომელი მასების შრომითი აქტიობა და შემოქმედებითი ინიციატივა. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მოწინავე ადამიანები იძლევიან შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების და შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშებს. ასე ხორციელდება ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდი ლენინის გენიალური მითითება იმის შესახებ, რომ კომუნიზმი იწყება იქ, სადაც ჩნდება რიგითი მუშების თავგანწირული ზრუნვა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქტთა სიუხვის შექმნისათვის, რომელიც ხმარდება მთელ საზოგადოებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. მელქაძე

★

# გლეხთა რევოლუციური კომიტეტების და სახალხო სასამართლოების ისტორიისათვის

1903—1905 წლებში რუსეთსა და საქართველოში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ იქნა გლეხთა რევოლუციური კომიტეტები და სახალხო სასამართლოები, როგორც ახალი, რევოლუციური ძალაუფლების ორგანოები. გლეხთა კომიტეტების ჩამოყალიბება, რსდმპ მეორე ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, დაიწყო 1903 წლის ზაფხულში არალეგალურად, ფარულად. საქართველოში გლეხთა კომიტეტები პირველად გაჩნდნენ გურიაში, ხოლო შემდეგ საქართველოს სხვა კუთხეებსა და სოფლებში. გურიაში გლეხთა კომიტეტების ჩამოყალიბების საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულეს ბათუმის მოწინავე მუშებმა, რომლებიც გაფიცვებსა და დემონსტრაციებში აქტიური მონაწილეობისათვის მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ სოფლად იყვნენ გასახლებული. ბათუმის მუშებმა დასავლეთ საქართველოს სოფლებს უხვად მოჰფინეს გულისამნთები პროკლამაციები, გაზეთები და ბროშურები; გააჩაღეს მემამულეებისა და თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდა და გლეხობის ძირითადი მასები თანდათანობით ჩააბეს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. კომიტეტები პირველად თემებში ყალიბდებოდა 5-7 წევრის შემადგენლობით, ხოლო შემდეგ, როცა სოფლად გაძლიერდა რევოლუციური მოძრაობა, თითქმის ყოველ სოფელში, ზოგან 3, ზოგან 5 წევრის შემადგენლობით.

გლეხთა მასებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევის მიზნით, კომიტეტებმა მიზანშეწონილად ცნეს სოფლის საზოგადოების დაყოფა ათეულებად და ასეულებად, რომლებსაც მეთაურობდნენ ათისთავები და ასისთავები.

ათისთავებისა და ასისთავების დახმარებით რევოლუციურმა კომიტეტებმა საქართველოში მთელი გლეხობა დარაზმეს ბოლშევიკური ორგანიზაციების საბრძოლო დროშის გარშემო. კომიტეტებმა სოფლად დაიწყეს წითელი რაზმების შედგენა, იარაღის დამამზადებელი სახელოსნოების გამართვა, თანხების შეგროვება იარაღის შესაძენად და პატიმართა და მათი ოჯახების დასახმარებლად.

კომიტეტების მოვალეობას შეადგენდა გლეხთა მასების მუშებთან დაახლოება და დაკავშირება. პროპაგანდისტების ხელმძღვანელობით გლეხთა კომიტეტები სოფლად რევოლუციურ გამოსვლებს უფარდებდნენ მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრაციებს. რაც უფრო ძლიერდებოდა ცარიზმის საწინააღმდეგო მოძრაობა და მაღლდებოდა მასების პოლიტიკური დონე, მით უფრო იცვლებოდა კლასობრივი ბრძოლის ფორმები და მეთოდები, მით უფრო სწრაფად წარმოებდა გადასვლა დაბალი ფორმებიდან მაღალ და გადამჭრელ ფორმებზე — საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვებსა და შეიარაღებულ აჯანყებებზე.

1904 წლის იანვარში გურიის კომიტეტის ხელმძღვანელობით, გურიაში მოწვეულ იქნა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენცია, რომელიც აღტაცებით შეხვდა პარტიის მეორე ყრილობაზე მიღებულ აგრარულ პროგრამას და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებსა და გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებს დაავალა გაეძლიერებინათ ბრძოლა მემამულეთა მიწების ხელში ჩასაგდებად, გადასახადების გასაუქმებლად და თანამდებობის პირთა გასადევნად და გასანადგურებლად.

პარტიის მეორე ყრილობაზე მიღებული აგრარული პროგრამის განსახორციელებლად პრაქტიკული ღონისძიებები დასახა საქართველოს ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ. პროპაგანდისტები, როგორც გურიაში, ისე იმერეთში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, აჭარაში, აფხაზეთსა და ქართლ-კახეთში გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებსა და სოფლის საზოგადოების ფართო მასებს აცნობდნენ პარტიული ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს და მოუწოდებდნენ მათ, რომ ამ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მოეწყოთ შეიარაღებული აჯანყებები. 1905 წლის თებერვლიდან საქართველოს ყოველ კუთხეში გლეხთა აჯანყებულმა მასებმა ხელთ იგდეს მემამულეთა მიწები და სოფლიდან გააძევეს მემამულეები და მთავრობის მოხელეები, პოლიციელები.

საარქივო დოკუმენტებში, გლეხთა აჯანყებებისა და გლეხთა რევოლუციური კომიტეტების მუშაობის შესახებ ნათქვამია: „ოზურგეთის მაზრაში მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა თანდათან შეიარაღებული აჯანყების ხასიათს ღებულობს. გლეხთა რევოლუციური კომიტეტების ხელმძღვანელობით აჯანყებული გლეხები თავს ესხმიან მემამულეებსა და სასულიერო წოდების წარმომადგენლებს. მთავრობის თანამდებობის პირები ოზურგეთის მაზრიდან გარბიან. ხალხი ფიცს სდებს არა მთავრობისადმი ერთგულებაზე, არამედ რევოლუციური კომიტეტებისადმი ერთგულებაზე. დღემდე მიღებულმა ზომებმა და თვით ჯარის ზემოქმედებითმა ღონისძიებებმაც კი არ გამოიღო არავითარი შედეგი“[1].

ახასიათებდა რა გლეხთა რევოლუციური კომიტეტებისა და პროპაგანდისტების მუშაობას, შორაპნის მაზრის უფროსი, ქუთაისის გუბერნატორს ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში სწერდა: „არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების საწინააღმდეგო მოძრაობა ჩემდამი რწმუნებულ მაზრასაც მოედო. პროპაგანდისტებს უმთავრესად გურულები წარმოადგენენ. ისინი გურიის გამოცდილებას აცნობენ გლეხებს და შთააგონებენ რევოლუციურ იდეებს. ავრცელებენ და ფანტავენ პროკლამაციებს. ზოგიერთ სოფელში, მაგალითად, ჩიხის, საჩხერის; კლდეთისა და საქარის საზოგადოებებში, აგრეთვე ქიათურაში, უკვე შემჩნეულია გურიის გლეხობის მღელვარების მსგავსი ნიშნები. გლეხები უარს აცხადებენ ყოველგვარი გადასახადის გადახდაზე. სოფლად თანამდებობის პირებს რევოლუციური კომიტეტებისაგან გამწარებული აქვთ ცხოვრება. პოლიციელების სიტყვებს ყურს არავინ უგდებს[2].

1905 წლის იანვრის ამბების შემდეგ, გლეხთა რევოლუციური კომიტეტები საქართველოში ფაქტიურად შეიარაღებული აჯანყების ორგანოებს წარმოადგენდნენ. მათ ყველაზე უფრო კარგად შეასრულეს თავისი ფუნქცია, როგორც აჯანყების ორგანოებმა, გურიასა და საერთოდ, დასავლეთ საქართველოში. ჯერ კიდევ 1905 წლის თებერვლის დამლევსა და მარტის დასაწყისში, კომიტეტებმა კარგად გაწრთვნილი და შესანიშნავად შეიარაღებული წითელი რაზმების გაბედული თავდასხმებით, გურიის სოფლებიდან განდევნეს მემამულეები და პოლიციელები, ხელში ჩაიგდეს მემამულეთა მიწები, გაჩეხეს ტყეები; გლეხობის სარგებლობაში გამოაცხადეს საძოვრები და სხვ.

თუ რა დიდი გავლენით სარგებლობდნენ გლეხთა რევოლუციური კომიტეტები ხალხის ფართო მასებში, ეს იქიდანაც ჩანს, რომ საკმარისი იყო, კომიტეტს მოეწვია საზოგადო კრება და მიეღო ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილება, რომ მთელ ხალხს თავგანწირული ბრძოლა გაეჩაღებინა მის განსახორციელებლად. ასე, მაგალითად, თუ მოსალოდნელი იყო ჯარის ნაწილების გადაყვანა რკინიგზით ერთი ადგილიდან მეორეზე ხალხის ასაწიოკებლად და ასაოხრებლად, კომიტეტის მოწოდებაზე,—აეყარათ ლიანდაგი და შეეფერხებინათ ჯარის ნაწილების გადაყვანა, — ხალხი მყისვე ფეხზე დგებოდა დავალების შესასრულებლად. ან კიდევ, თუ საჭირო იყო ხაზინის ფულის ექსპროპრიაცია, კომიტეტი გასცემდა განკარგულებას და წითელრაზმელები დაუყოვნებლივ ასრულებდნენ ამ განკარგულებას. თუ საჭირო იყო კაზაკთა რაზმებისა და საპოლიციო საგუშაგოების განიარაღება, წითელრაზმელები კომიტეტის მითითებების საფუძველზე, აწყობდნენ თავდასხმებს და იარაღს ჰყრიდნენ პოლიციელებსა და კაზაკებს. თუნდაც სიცოცხლის ფასად დასჯდომოდათ კომიტეტის დავალების შესრულება, რაზმელები უკან არ დაიხევდნენ.

მას შემდეგ, რაც კომიტეტებმა ხელში აიღეს ძალაუფლება, სოფლად თითქმის მოისპო საქონლისა და ცხენის ქურდობა, ლოთობა და სხვ. არც ერთი დანაშაულებრივი მოქმედება არ შეიძლებოდა მხედველობიდან გამორჩენოდა კომიტეტს. იმის გამო, რომ კომიტეტი მკაცრ ზომებს იღებდა დამნაშავეთა წინააღმდეგ — საჯაროდ არცხვენდა, კიცხავდა და სჯიდა ქურდებს, ლოთებსა და ხულიგნებს, სოფლად დამყარდა სანიმუშო წესრიგი. გლეხთა რევოლუციური კომიტეტები გლეხობის ყოველგვარ საქმეებში ერეოდნენ, საყოფაცხოვრებო საკითხებშიც კი, ურჩევდნენ მათ თავი აერიდებიათ მავნე გადმონაშთებისათვის. კომიტეტები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ახალგაზრდობას, რომ შეექმნათ, სანიმუშო, წესიერი ოჯახები; კომიტეტის რჩევადარიგებებს დიდი ხალისით ღებულობდა ხალხი და უსიტყვოდ ასრულებდა მას. მაგალითად, როცა ზუგდიდში კომიტეტმა ხელი მოჰკიდა ჩხოროწყუ — ნაკიანის გზის გაყვანას და გასცა განკარგულება, განურჩევლად წოდებისა ყველა გამოსულიყო სამუშაოზე, გზის სამუშაოებში, გლეხებთან ერთად, ენერგიული მონაწილეობა მიიღეს დადიანებმა, ხეციებმა და სხვებმა. გლეხთა კომიტეტების განკარგულებებს უსიტყვოდ ასრულებდნენ სოფლად დარჩენილი თავად-აზნაურები არა მარტო ზუგდიდის, არამედ სხვა მაზრებშიაც. ოზურგეთის მაზრაში კი გლეხთა კომიტეტებმა გაცილებით ადრე მოიპოვეს უფლება, რომ საზოგადოების ყველა ფენას უსიტყვოდ შეესრულებინა მათი

[1] 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, დოკუმენტების კრებული, გვ. 98.

[2] საქართველოს ცენტრალური. საისტ. არქივი, ფ. 68, ს. 1, გვ. 9-10.

მითითებანი და განკარგულებანი.

გლეხთა რევოლუციურმა კომიტეტებმა მთელი მშრომელი მასების ნდობა და სიყვარული დაიმსახურეს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ისინი მხოლოდ იმით იყვნენ დაინტერესებული, რომ ეზრუნათ ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად. გლეხთა რევოლუციური კომიტეტების ავტორიტეტი (გურიაში) კიდევ უფრო ამაღლდა, როცა მათ ჯერ კიდევ 1905 წლის თებერვალში კატეგორიულად დააყენეს ხელისუფალთა წინაშე სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შემოღების, სალვთოსჯულის სწავლების გაუქმების, სკოლის შენობების გათბობისა და მასწავლებელთა ხელფასის გადიდების საკითხი და აიძულეს ადგილობრივი ადმინისტრაცია გადიდებული ხელფასი მიეცა მცირეხელფასიან მოსამსახურეთათვის. რაც შეეხება მემამულეთა მიწებით სარგებლობის საკითხს, გურიის მთელ რიგ სოფლებში კომიტეტების მითითებით, ჯერ კიდევ 1904 წელს ამუშავებდნენ გლეხები ამ მიწებს და მთელი მოსავალი მათვე მიჰქონდათ. ხოლო 1905 წლის თებერვლიდან, მემამულეთა მიწების სრული ბატონ-პატრონი გახდნენ. ამ მხრივ გურული გლეხების მაგალითი მისაბაძი გახდა. 1905 წლის მაისში გლეხთა კომიტეტების ხელმძღვანელობით სვანეთის აჯანყებულმა გლეხებმა განდევნეს მემამულეები და დაეპატრონენ მათ მიწებს.[1]

აჯანყებულმა გლეხებმა 1905 წლის ოქტომბრიდან მასობრივად ჩაიგდეს ხელში მემამულეთა მიწები აგრეთვე აჭარასა, აფხაზეთსა და რაჭალეჩხუმში, გორის, დუშეთის, სიღნაღისა და თელავის მაზრებში. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დღეებში გლეხთა კომიტეტები აწესრიგებდნენ მემამულეთა მიწებისა და ნაგებობათა გამოყენების საკითხებს.

როგორც აღვნიშნეთ, გლეხთა რევოლუციური კომიტეტები პირველ ხანებში არალეგალურად, ფარულად იქმნებოდა, ხოლო რაც შეეხება სახალხო სასამართლოებს, მათი არჩევა ხდებოდა ფართო დემოკრატიზმის გზით. როცა აჯანყებული ხალხი, კომიტეტების ხელმძღვანელობით, წარმატებას აღწევდა მემამულეებსა და პოლიციელებთან წარმოებულ პირისპირ ბრძოლაში, აუქმებდნენ სოფლის სასამართლოებს და სოფლებიდან აძევებდნენ მემამულეებსა და მთავრობის მოხელეებს, ქმნიდნენ ხელისუფლების ახალ ორგანოებს სახალხო სასამართლოების სახით. მაშასადამე, გლეხთა რევოლუციური კომიტეტები და სახალხო სასამართლოები ერთსა და იმავე დროს არ შექმნილა და არც შეიძლებოდა შექმნილიყო. სახალხო სასამართლოები სოფლად მასობრივად იქმნებოდა მხოლოდ 1905 წლის მარტიდან (გურია), უფრო სწორად ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვისა და დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დღეებში. სახალხო სასამართლოები იცავდნენ მშრომელი ხალხის ინტერესებს. ისინი აპატიმრებდნენ პოლიციის მოხელეებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ რევოლუციურ ხალხს თავის უფლებათა განხორციელებაში და ყველას, ვინც-კი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, შეეცდებოდა დაერღვია წესრიგი და არევ-დარევა შეეტანა ახალ ურთიერთობაში. აპატიმრებდნენ იმათაც, ვინც რევოლუციის წინააღმდეგ აქეზებდა მოქალაქეებს.

სახალხო სასამართლოების მუშაობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს საარქივო დოკუმენტები. მაგალითად, ზუგდიდის მაზრაში სახალხო სასამართლოების მუშაობის შესახებ ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია: „ზუგდიდის მაზრის რედუტ-კალეს უბანში ხალხმა დიდი ხანია შეწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა მთავრობის დაწესებულებებთან, არავინ არ მიმართავს მამასახლისებსა და მოსამართლეებს. ხალხი ყოველგვარ საქმეებს, როგორც ადმინისტრაციული, ისე სხვა ხასიათის საქმეებს გადასაწყვეტად ანდობს თავის სახალხო სასამართლოებს. სოფლად სახალხო სასამართლოებმა გამოუცხადეს ხალხს, რომ ამიერიდან არავინ არ შეასრულოს მამასახლისების დავალება. დაითხოვეს აგრეთვე სოფლის მწერლები და დარაჯები“[1].

თბილისის სასამართლო პალატის მიერ გამოტანილ განაჩენში, რომელიც ზუგდიდის მაზრის სახალხო სასამართლოს წევრებს წაუკითხეს 1908 წლის 16 სექტემბერს, ნათქვამია: „ბრალდებული ჩიქავა და ალანია გამოდიოდნენ ზუგდიდის მაზრის მთელ რიგ სოფლებში გამართულ კრებებსა და მიტინგებზე, ამხედრებდნენ ხალხს არსებული წესწყობილების წინააღმდეგ, მოუწოდებდნენ არ დამორჩილებოდნენ მთავრობას, არ გადაეხადათ გადასახადები, არ გაეგზავნათ ჯარში ახლადწვეულები შეიარაღებული აჯანყების საშუალებით დაემხოთ არსებული წესწყობილება... განდევნეს რა პოლიციელები ზუგდიდის სოფლებიდან, შექმნეს სახალხო სასამართლოები და დაიწყეს ხალხში თანხების შეგროვება რევოლუციონერთა სასარგებლოდ. ამ საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა პ. შუშანია, როგორც რევოლუციური სახალხო სასამართლოს წევრი. შუშანიას ხელმძღვანელობით გასამართლებულ იქნა მისივე თანასოფლელები, რომელთა შორის გუნიას დაედო მკაცრი სასჯელი იმ დანაშაულებრივი მოქმედებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა; დაადეს ბორკილი და 9 დღის გან-

[1] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 521, ს. 28, გვ. 253.

[1] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ, 1, ს. 46-ა; გვ. 328.

მავლობაში ბორკილდადებული ჰყავდათ პატიმრობაში. შუშანიას გვერდში ედგნენ ა. თოდუა და ვ. ქვანია. ისინი დიდი მონდომებით ასწავლიდნენ წითელრაზმელებს სამხედრო საქმეს, აწყობდნენ თავდასხმებს პოლიციელებზე და აგროვებდნენ თანხებს რევოლუციონერებისათვის. რევოლუციის ინტერესებისათვის თავგამოდებით იბრძოდნენ აგრეთვე ნ. დოლბაძე და ლ. ესვანჯია. მათი დახმარებით დაბა ხობში გაბედული თავდასხმა მოეწყო საპოლიციო საგუშაგოზე, სადაც იარაღი აჰყარეს ყველა სტრაჟნიკს, ბოქაულ ჩიქოვანს და მის თარჯიმანს კედიას“[1].

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახალხო სასამართლოებს თავიდანვე ემჩნევათ გაბედული მოქმედება. ისინი არ ერიდებიან ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორიც არის საეჭვო პირთა დაპატიმრება და კონტრრევოლუციური ძალების განიარაღება. ვისი ან რის იმედი ჰქონდათ ხელისუფლების ამ ახალ ორგანოებს, როცა ისინი ანხორციელებდნენ ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს? მათ ჰქონდათ ხალხის მხარდაჭერის იმედი და არც ცდებოდნენ, რადგან მთელი ხალხი განსაკუთრებული გატაცებით იბრძოდა ბნელი ძალების ასალაგმავად და ბოროტმომქმედთა შესაპყრობად. აი, რას წერდა ვ. ი. ლენინი ამის შესახებ: „მაგრამ ძალა, რომელსაც ეყრდნობოდა და ცდილობდა დაყრდნობოდა ეს ახალი ხელისუფლება, იყო არა ერთი მუჭა სამხედრო პირთა მიერ ხელში ჩაგდებული ხიშტის ძალა, არა „უბნის“ პოლიციის ძალა, არა ფულის ძალა, არა რაიმე წინანდელი, ჩამოყალიბებული დაწესებულებების ძალა. სრულიადაც არა... მაშ რას ეყრდნობოდა ეს ძალა? იგი ეყრდნობოდა ხალხის მასას. აი ამ ახალი ძალაუფლების ძირითადი განსხვავება ძველი ძალაუფლების ყველა წინანდელი ორგანოსაგან წინანდელი ორგანოები იყვნენ ძალაუფლების ორგანოები უმცირესობის ბატონობისა ხალხზე, მუშათა და გლეხთა მასაზე. ახალი ორგანოები იყვნენ ძალაუფლების ორგანოები ხალხის, მუშებისა და გლეხების ბატონობისა უმცირესობაზე, ერთი მუჭა პოლიციელ მოძალადეებზე, ერთი მუჭა პრივილეგიურ თავადაზნაურებსა და მოხელეებზე“[1].

გლეხთა კომიტეტებსა და სახალხო სასამართლოებს შეეძლოთ გადაეწყვიტათ ყველა საკითხი და დაეძლიათ ყველა დაბრკოლება. ახასიათებდა რა სახალხო სასამართლოების საქმიანობას, ქუთაისის გუბერნატორი სტაროსელსკი წერდა: „იმ დაწესებულებათა ნაცვლად, რომლებიც გაუქმებულ იქნა ან ბოიკოტი ჰქონდათ გამოცხადებული და მუშაობა არ შეეძლოთ, ხალხმა შექმნა საკუთარი დაწესებულებანი, დამყარებული მტკიცე დემოკრატიულ პრინციპებზე. დაცვა საზოგადოებრივი უშიშროებისა ითავეს ათის და ასისთავებმა. ყველა საზოგადოებრივი კითხვა წყდებოდა ყრილობაზე, ან სახალხო კრებაზე, რომელზედაც თანასწორ მონაწილეობას იღებდა ყველა სრულწლოვანი, განურჩევლად წოდებისა და სქესისა.“ სახალხო კრებაზე ან ყრილობაზე როგორც სტაროსელსკი აღნიშნავს, წყვეტდნენ მნიშვნელოვან სამოსამართლო საქმეებს, ირჩევდნენ საგამომძიებლო და სამოსამართლო კომისიებს, როდესაც ასეთი საჭირო იყო, და მუდმივ მოსამართლეებს უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი საქმეებისათვის; აწესრიგებდნენ გადასახადების საქმეებს და სხვ. სახალხო კრების დადგენილება საბოლოოდ ითვლებოდა და მისი აუსრულებლობა იწვევდა მთელი საზოგადოების რისხვას. „საზოგადო კრებებმა, — აღნიშნავდა ქუთაისის გუბერნატორი, — მოსპო ჯვარისწერა და შემოიღო სამოქალაქო დაქორწინება, თითქმის ყველგან მოსპეს გამალატაკებელი ჩვეულებანი, ქელეხები და საეკლესიო დღესასწაულები[1].

სახალხო სასამართლოებს, როგორც საარქივო დოკუმენტები მოგვითხრობენ, ირჩევდნენ საზოგადო კრებებზე, რომლებიც უმეტესად კვირა დღეებში იწვეოდა. ხალხი სოფლის წარმომადგენლის მოწვევით, იკრიბებოდა დანიშნულ ადგილზე. კრება იწყებოდა მაშინ, როცა საზოგადოების დიდი უმრავლესობა მოიყრიდა თავს. კრების თავმჯდომარეს ირჩევდა ხალხი. სახალხო სასამართლოები ობიექტურად, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, არჩევდნენ საქმეებს, ხალხი ერთსულოვნად უჭერდა მას მხარს და ამიტომ მისდამი დაუმორჩილებლობა გამორიცხული იყო. თუ მოდავეები სამედიატორო სასამართლოს არ ისურვებდნენ, მაშინ კრება ირჩევდა კომისიას, რომელიც შეისწავლიდა საკითხს, შეიმუშავებდა დადგენილების პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენდა საზოგადო კრებას. თუ, საზოგადო კრების გადაწყვეტილებითაც კმაყოფილი არ დარჩებოდნენ, მათ შეეძლოთ მიემართათ შემდგომი, რაიონული ორგანიზაციისათვის.

იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულებრივი მოქმედება არ თავსდებოდა ერთი საზოგადოების ფარგლებში, ან სხვადასხვა საზოგადოებების წევრები იყვნენ ბოროტმოქმედების მონაწილენი მაშინ საკითხის გადასაწყვეტად იმართებოდა სარაიონთაშორისო კრება[2]. მაგალი-

[1] 1905—1907 წლების რევოლუცია რუსეთში. „დოკუმენტების კრებული“, გვ. 831—832.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 10, გვ. 266.

[1] ვ. სტაროსელსკი, გლეხთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში, გვ. 20-22.

[2] ვ. კალანდაძე, ვ. იმედაძე, გლეხთა მოძრაობა გურიაში, გვ. 86.

თად, ჯუმათის მონასტრის გაძარცვის საქმის გამოსაძიებლად რამდენიმე სოფლის საზოგადოების კრებაზე გამოიყო საგამომძიებლო კომისია. მონასტრიდან ბოროტმოქმედთა მიერ გატაცებული იყო დიდი თანხა. მთელი გურია ფეხზე დადგა დამნაშავეთა შესაპყრობად. ხალხმა მძარცველების კვალს მიაგნო და შეიპყრო ისინი. დაინიშნა რამდენიმე სოფლის საზოგადოების კრება, რომელსაც 600 კაცი დაესწრო. კრებაზე გამოითქვა აზრი ბოროტმოქმედთა დახვრეტის შესახებ, მაგრამ, როგორც ვ. მხეიძე და ვ. კალანდაძე აღნიშნავენ, ამ საქმეში ჩაერივნენ პარტიული ორგანიზაციები, პროპაგანდისტებს დიდი შრომა დასჭირდათ, რათა ხალხი დაერწმუნებინათ, რომ დამნაშავეთა მიმართ იმ მეთოდებით ბრძოლა, რომლებითაც ხალხს ებრძოდა თვითმპყრობელობა, არ იყო საჭირო, რომ სიკვდილით დასჯა გადაჭარბებული სიმკაცრის გამოჩენა იქნებოდა.

სახალხო სასამართლოები ჩვეულებრივ საქმეებს, ე. ი. საჩივრებს იხილავდა 2-3 დღის განმავლობაში, მაგრამ ზოგჯერ 10-15 დღეს ან, ცალკეულ შემთხვევებში, უფრო მეტი ხანიც უნდებოდა. თუ დანაშაული არ იყო მძიმე, მაშინ ზეპირი გაკიცხვა ხდებოდა და წერილობითი განაჩენი არ გამოჰქონდათ. მძიმე დანაშაულის განხილვის შემდეგ განაჩენს წერილობით ადგენდნენ. ასე, მაგალითად, გორის მაზრაში, როცა გლეხთა რევოლუციურმა მოძრაობამ მოიცვა ყველა სოფელი და აჯანყებულმა ხალხმა, სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით, მთავრობის გაუქმებული დაწესებულებების ნაცვლად, 1905 წლის ოქტომბერში შექმნა თავისი განსაკუთრებული ორგანოები სახალხო სასამართლოების სახით, სოფ. ხიდისთავში მოხდა მკვლელობა. ხალხის მეცადინეობით მალე შეიპყრეს დამნაშავენი და მოხდა მათი საჯარო გასამართლება. ბოროტმოქმედთა საქმეზე ამ შემთხვევაში სახალხო მოსამართლეების მიერ განაჩენი წერილობით იყო შედგენილი.

სანამ აჯანყებული ხალხი შექმნიდა სახალხო სასამართლოებს, სამართლის კარები დახშული იყო ხალხისათვის. მთავრობის მოხელეები სიმართლისა და სამართლიანობის დადგენით კი არ იყვნენ დაინტერესებული, არამედ ქრთამებით. მოსამართლენი გაბატონებული, ექსპლოატატორული კლასების ინტერესებს იცავდნენ. როგორც, ფ. მახარაძე მოგვითხრობს, ისინი სამართალში არ მისცემდნენ თავადაზნაურობის წარმომადგენლებს, როგორი დანაშაულიც არ უნდა ჩაედინათ. „ზუგდიდის მაზრაში, კირცხში, 1905 წლის ივნისში ხარები მოიპარეს“. დაზარალებული გლეხის დასახმარებლად ფეხზე დადგა მთელი სოფელი. ხალხმა ქურდებიც აღმოაჩინა და ის ადგილიც, სადაც ხარები დაეკლათ. ხალხმა წალენჯიხის ბოქაულს, ბოკუჩავას მოთხოვა ხარების ქურდების, ორი ადგილობრივი აზნაურის, გ. გოშუას და ა. ქუთელიას დასჯა... მაგრამ ბოქაულმა უპასუხა, რომ აზნაურებს ვერ მოგცემთო“.[1]

ასე მფარველობდა მთავრობა თავადაზნაურობას, ასე უგულებელყოფდა იგი გლეხობის სამართლიან მოთხოვნებს. მაგრამ სრულიად შეიცვალა ვითარება, რაც მუშაობა დაიწყო სახალხო სასამართლოებმა. გაზ. „ცნობის ფურცელი“ აღნიშნავდა: „ხალხმა ფაქტიურად უარყო ყველაფერი ძველი და დრომოჭმული. დაწვეს სასამართლოები, ხალხი საქმის გასარჩევად თვითონ ირჩევს თავისიანებს და იმათ ანდობს სადავო საქმის მოწესრიგებას. აღსანიშნავია, რომ ახალი ორგანოების საქმიანობით ყველანი კმაყოფილია. ქურდობა შემცირდა, მოისპო გაძარცვის შემთხვევები, რასაც ხშირად მკვლელობაც მოჰყვებოდა. ხალხმა სხვადასხვა მავნე ჩვეულებებიც მოსპო, მაგალითად, გადასაბურავი, ზარი (ქელეხი) და სხვა“.[2]

ხალხი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს საზოგადოების თვითეულ წევრს და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა მათ მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს და თუ რომელიმე მათგანი ულირს საქციელს ჩაიდენდა, მაშინვე მსჯელობის საგნად ხდიდა, თუ წინათ სხვადასხვა „მაქინაციებით“ ფონს გადადიოდნენ და სრულიად უდანაშაულო, სპეტაკ ადამიანს ჩაგრავდნენ, რაც სახალხო სასამართლოები გაჩნდა, მართალი კაცის დაჩაგვრას ვერავინ ბედავდა, რადგან იცოდა ხალხის რისხვას ვერსად დაემალებოდა. მეტად საგულისხმო და დამახასიათებელი ის იყო სახალხო სასამართლოების მუშაობაში, რომ როცა სასამართლო საქმეს არჩევდა, ხშირად მოდავე მხარეები არ ესწრებოდნენ საქმის გარჩევას იმ ვარაუდით, რომ სახალხო სასამართლო მაინც სწორ განაჩენს გამოიტანდა და საჭირო არ იყო სამუშაოს მოცდენა.

ხალხი მტკიცედ იდგა წესრიგისა და კანონიერების დაცვის სადარაჯოზე, ქრთამითა და ნაცნობობით არავის არ შეეძლო გაძრომ-გამოძრომა და დანაშაულის მიფუჩეჩება. ვისაც თავს დაატყდებოდა ხალხის რისხვა, მას სოფლად არ ეცხოვრებოდა. იგი , ან ზნეობრივად უნდა გასპეტაკებულიყო, ან გასცლოდა საზოგადოებას და შორს გადახვეწილიყო.

**იმის გამო, რომ ხალხი** ერთსულოვნად იბრძოდა ქურდობის, ლოთობის, მრუშობის, ცილისწამების, ჰორიკანობისა და სხვათა წინააღმდეგ, რომ ულირსი საქციელის ჩამდენს, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, საჯაროდ

---

[1] ფ. მახარაძე, 1905 წელი ამიერკავკასიაში, გვ. 169.

[2] გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 2785, 1905 წ.

არცხვენდნენ და. კიცხავდნენ, განურჩევლად წოდებისა და სქესისა, სავსებით მოისპო სამარცხვინო მოვლენები სოფლად და დამყარდა სიმშვიდე. საზოგადოების წევრთა შორის დამკვიდრდა გულწრფელი და სპეტაკი დამოკიდებულება. საყოველთაო, სახალხო ინტერესების დაცვა საზოგადოების ყოველი წევრის უპირველესი მოვალეობა გახდა. რევოლუციამ სწრაფი გარდატეხა მოახდინა მასების შეგნებაში.

სახალხო სასამართლოებს მეტად რთულ პირობებსა და ვითარებაში უხდებათ მუშაობის წარმოება. ობიექტურად საქმის შესწავლა, ყოველგვარი მომენტის გათვალისწინება საჭიროებდა სპეციალისტს, გამოცდილსა და დახელოვნებულ კაცს. ასეთი განათლებული და განსწავლული სპეციალისტები სოფლად არ იყვნენ. მართალია, ხშირ შემთხვევაში, სასამართლოს შემადგენლობაში ირჩევდნენ სოფლის მასწავლებლებს, მაგრამ, ზოგ შემთხვევაში, მათთან ერთად; ირჩევდნენ გლეხებსაც; წერა-კითხვის უცოდინართაც; თუმცა უნდა ითქვას, რომ ისინი თავიანთი გამოცდილებითა და წინდახედულობით ზოგჯერ გაცილებით უკეთ არკვევდნენ საქმეს და სწორად აწარმოებდნენ საქმის გამოძიებას, ვიდრე სპეციალისტები.

იყო შემთხვევა, როცა იმერეთის ერთ-ერთ სოფელში საზოგადო კრებამ ხალხის სიმშვიდისა და მოსვენების უზრუნველსაყოფად ღამით ყარაულობა დააწესა. ყარაულად აირჩიეს უღარიბესი გლეხი და ხელფასიც დაუნიშნეს. მაგრამ ქურდობა მაინც მოხდა. ერთ გლეხს ხარები დაეკარგა. სახალხო სასამართლოს განაჩენით საქონლის ღირებული თანხა დაზარალებულისათვის ყარაულს უნდა გადაეხადა. ეს კი, ისედაც ღარიბ-ღატაკი გლეხის სრულ გაჩანაგებას გამოიწვევდა. ამ გარემოებამ ძალიან შეაწუხა არა მარტო ყარაული, არამედ მთელი სოფელი. ხალხმა ყველაფერი იღონა, ქურდის ასავალ—დასავალს კი ვერ იქნა და ვერ მიაგნო. გადიოდა დრო. დაზარალებულს ყარაულზე იერიში მიჰქონდა. ამ დროს საზოგადოების ერთ-ერთმა წევრმა მოიტანა ცნობა, რომ სამეგრელოს ამა და ამ სოფელში ვნახე დაკარგული ხარებიო. შეიქნა გამოძიება. წაიყვანეს ხარების პატრონი და ანახვეს საქონელი, მაგრამ მან იუარა; გარეგნობით ჩემს ხარებს გვანან, მაგრამ ჩემი არ არისო. მოსამართლეები უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რაკი საქონლის პატრონი უარს ამბობს, მაშასადამე, საქონელი მისი არ ყოფილაო. მეზობლებს შორის მეტად დაძაბული დამოკიდებულება შეიქმნა. ყარაული დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ხარები დაზარალებულისაა, რომ მას შური და მტრობა უძევს გულში და, ჩემი ოჯახის დასაღუპავად, ხარები მანვე გაყიდა მალულადო, მაგრამ ასეთ მტკიცებას რა ფასი ჰქონდა, როცა ხარების ახალი მფლობელი დაზარალებულ გლეხს ამართლებდა: „მე ეს კაცი ჩემს დღეში არ მინახავს. ხარები ერთი წლის უკან ვიყიდე ბანძაში ბაზრობაზეო“. ერთმა მოხუცმა, წერა-კითხვის უცოდინარმა გლეხმა ურჩია მოსამართლეებს, შეჰკითხებოდნენ პირუტყვს და ის ეტყოდა სიმართლეს. მოხუცის რჩევაზე მოსამართლეებს გაეცინათ. მოხუცი კი თავისას არ იშლიდა. „ბატონებო, საქონელი უთუოდ იტყვის სიმართლესო. მოვრეკოთ ხარები ჩვენი სოფლის საძოვარზე და გავუშვათ. მართალია, მათი დაკარგვიდან რამდენიმე თვემ განვლო, მაგრამ შეიძლება აზრით გაიხსენონ თავიანთი ყოფილი ბინაო. ბოლოს, მოხუცის რჩევა ყურად იღო სახალხო სასამართლომ. კვირა დღით მთელი საზოგადოება შეიკრიბა მინდვრად, სადაც ხარები უნდა მოერეკათ სპეციალურად გამოყოფილ პირებს. მიუხედავად საქონლის ახალი პატრონის ჭირვეულობისა, ხარები მორეკეს და, როგორც კი თოკი შეხსნეს, ისინი მაშინვე დაზარალებულის ეზოში შეიჭრნენ. აი, ხომ ხედავთ, საქონელს შესძლებია სიმართლის თქმაო, თქვა მოხუცმა და გულიანად გაიცინა. ამრიგად, ხალხს ბოროტმოქმედი ვერსად ვერ დაემალებოდა.

სახალხო სასამართლოების მუშაობის შესახებ გაზ. „ივერიაში“ მოთავსებული სტატიის— „სახალხო სასამართლოს“ — ავტორი პ. სურგულაძე შემდეგს მოგვითხრობს: „ერთხელ სოფლად დავესწარი საქმის გარჩევას. ერთ კაცს ცხენის მოპარვას აბრალებდნენ. სამი მოხუცი მოსამართლე არჩევდა ამ საქმეს. პირველი კითხვა მოსამართლის მხრივ ეს იყო, შენ ამა და ამ კაცს თუ იცნობო, და ჩამოთვალა რამდენიმე კაცი, რომელნიც მოპასუხის ყველა კარგი ნაცნობი გამოდგა. ბოლოს გამოირკვა, რომ ქურდებს მთელი სისტემა შეექმნათ და ერთმანეთში მჭიდრო კავშირი ჰქონოდათ შეკრული. ერთი სოფლის ქურდი ცხენს რომ მოიპარავს, მიაწვდის მეორე სოფლის ქურდს, ის წაიყვანს მესამე სოფელში და გადასცემს 'იქაურ ამხანაგს, ასე თანდათან ცხენი შორდება პატრონს, სოფელს და ბოლოს მიიკარგება, გარეშე კაცისათვის ასეთი მოვლენა შეუმჩნეველი რჩება, სოფლის ხალხს კი ვერ დაემალა ქურდი. სახალხო სასამართლოს მიზნად აქვს დასახული საზოგადოებრივი კეთილდღეობა, მისი მისწრაფებაა საზოგადოების დამნაშავე წევრის გამოსწორება“.[1]

საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების საქმეში მაგალითის მიმცემი იყო გურია. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან სახალხო სასამართლოებმა ყველაზე ადრე მუშაობა გუ-

[1] გაზ. „ივერია“ № 125, 1905 წ.

რიაში დაიწყეს და წესრიგიც სხვაზე უფრო ადრე დაამყარეს. ამ გარემოებას დიდი კმაყოფილებით აღნიშნავდა გაზეთი „ივერია“ თავის ფურცლებზე, როცა წერდა: „ახლა გურიაში ვერავის ნახავთ სასამართლოს კარებთან, აღარავინ დაეძებს მოსე მწერლებსა და აბლაკატებს. ხალხი თვითონ განაგებს თავის ბედიღბალსო“.

ხალხის აქტიური ზემოქმედებით დანაშაულმა იკლო, მაგრამ სახალხო სასამართლოებს სულ მეტი და მეტი სამუშაო გაუჩნდა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ რევოლუციის დროს ხალხს წვრილმანი საქმეებისათვის არ ეცალა, გატაცებული იყო მხოლოდ ერთი მიზნით—დაემხო ცარიზმი და დაემყარებინა დემოკრატიული რესპუბლიკა. მაგრამ, როცა მან ძალაუფლება ხელში აიღო, დაიწყო იმ პირების გამომჟღავნება, რომელთა დანაშაულებრივ მოქმედებას წინათ ყურადღებას არ აქცევდა. გურიასა და სამეგრელოში ბევრი საჩივარი იყო აღძრული იმ პირთა მიმართ რომლებიც ვითომდა სოციალ-დემოკრატების დავალებით გლეხობაში ჰკრეფდნენ ფულს თავიანთ სასარგებლოდ. სახალხო სასამართლოებში შეჰქონდათ აგრეთვე განცხადებები ყალბ მოწმეთა წინააღმდეგ, მოითხოვდნენ მათ მკაცრად დასჯას.

იყო შემთხვევები, როცა მძარცველთა ბრბოები თავს ესხმოდნენ შეძლებულ ოჯახებს წითელრაზმელთა სახელით, რითაც სახელს უტეხდნენ რაზმელებს, ხალხს მაშინ არ ჰქონდა მძარცველების შეპყრობის საშუალება, მაგრამ მას შემდეგ, რაც გლეხთა კომიტეტებმა და სახალხო სასამართლოებმა ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩააყენეს, ხელისუფლების ამ ახალმა ორგანოებმა მკაცრი ზომები მიიღეს მძარცველთა წინააღმდეგ.

1905 წლის დამლევს მძარცველთა ბრბომ მეტისმეტად შეაწუხა სოხუმის ოლქის მცხოვრებნი. მათ დასამორჩილებლად სახალხო სასამართლომ, ფეხზე დააყენა მთელი მოსახლეობა. წითელრაზმელებმა დააპატიმრეს მძარცველთა მეთაური თ. კიღურია და გადასცეს იგი სახალხო სასამართლოს. სახალხო სასამართლომ მას პატიმრობა მიუსაჯა.

აფხაზეთში სახალხო სასამართლოების მუშაობის შესახებ საარქივო დოკუმენტებში ნათქვამია: 1905 წლის ოქტომბრიდან აფხაზეთში ფაქტიურად ძალაუფლება რევოლუციონერთა ხელში იმყოფებოდა. არჩეული იყო სახალხო სასამართლოები, რომლებიც სხდომებს ატარებდნენ ღია ცის ქვეშ, ქალაქის ბაღში, დიდძალი ხალხის თანდასწრებით. სახალხო სასამართლოების მიერ გამოყოფილი კომისია ხალხს მოახსენებდა იმ დანაშაულის შესახებ, რომელიც ჩადენილი ჰქონდა პატიმარს. ხალხს გამოჰქონდა განაჩენი, რაც სისრულეში მოჰყავდა სახალხო სასამართლოს.[1]

სახალხო სასამართლოები დროულად ეხმაურებოდნენ მასების განცხადებებსა და საჩივრებს. ერთგულად იბრძოდნენ ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისა და ოჯახის სიწმინდის დასაცავად, ბოროტმოქმედთა ასალაგმავად და დანაშაულებრივ მოქმედებათა აღსაკვეთად, ამიტომ მათ დიდი ავტორიტეტი, ნდობა და სიყვარული დაიმსახურეს ხალხში[2].

ეჭვს გარეშეა, რომ სახალხო სასამართლოების მუშაობაში ადგილი ჰქონდა შეცდომებსა და გადაჭარბებასაც. მაგრამ იმ ღონისძიებებმა, რომელთა გატარება სასამართლოებმა შეძლეს მოკლე ხნის განმავლობაში, არსებითი ცვლილებები გამოიწვია ხალხის ცხოვრებაში: მოისპო ქურდობა, მრუშობა, დაბეზღება, ქელეხები და სხვა მავნე მოვლენები. მოუსვენარი და მშფოთვარე ცხოვრება თანდათან უთმობდა ადგილს მშვიდ ცხოვრებას. ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგებოდა. მაგრამ მეფის მთავრობამ მოახერხა აჯანყების ჩაქრობა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი გვაშორებს 1905 წლის ქარიშხლიან ამბებს, როცა მუშაობა დაიწყეს გლეხთა რევოლუციურმა კომიტეტმა და სახალხო სასამართლოებმა, მათი მუშაობის გამოცდილებას მნიშვნელობა მაინც არ დაუკარგავთ. ახლა, როცა საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, წარმატებით აშენებს კომუნიზმის გრანდიოზულ შენობას, კაპიტალიზმის გადმონაშთებთან ბრძოლა წარმოადგენს ერთ-ერთ არსებით ამოცანას. ამხანაგური სასამართლოებისა და, საერთოდ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძირითადი ამოცანაა აღზარდოს პატიოსანი ადამიანები, აღკვეთოს კაპიტალიზმის მავნე გადმონაშთები. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ყოველ საბჭოთა მოქალაქეს უნდა ჩაუნერგონ კეთილშობილური თვისებები. ადამიანთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ერთგვარ დახმარებას გაუწევს იმ გამოცდილებათა გამოყენება, რომლებიც თავიანთ არსებობის მოკლე ხნის მანძილზე დააგროვეს გლეხთა რევოლუციურმა კომიტეტებმა და სახალნო სასამართლოებმა.

[1] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 23, ს. 216, გვ. 50.

[2] 1905—1907 წლების რევოლუცია რუსეთში, დოკუმენტების კრებული, ნაწ. 11, გვ. 647.

ვ. ბერიძე

★

# კახეთის ხუროთმოძღვრება

გიორგი ჩუბინაშვილის ამ წიგნს, რომელიც გასულ წელს რუსულ ენაზე გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ, ასეთი ქვესათაური აქვს: „გამოკვლევა IV—XVIII სს. ხუროთმოძღვრების განვითარებისა საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციაში“. ეს მონუმენტური ორტომიანი ნაშრომია, რომელიც ავტორის ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგს წარმოადგენს. ერთი ტომი — ტექსტია, დიდი ფორმატის 638 გვერდი, მრავალი გრაფიკული ილუსტრაციით, მეორე — ფოტო-ილუსტრაციები, სულ 473 ტაბულა, ათასამდე სურათი მაინც.

გ. ჩუბინაშვილის ახალი წიგნი თავისი ამოცანითა და აღნაგობით განსხვავდება ქართული ხელოვნების ამ გამოჩენილი ისტორიკოსის სხვა სპეციალურ გამოკვლევათაგან: მონოგრაფიები ბოლნისის, სიონის და შიომღვიმის ტაძრის შესახებ იკვლევს ცალკეულ მნიშვნელოვან ძეგლებს და იქ მხოლოდ სხვადასხვა დებულებათა ნათელსაყოფადაა მოხმობილი პარალელური მასალა; მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლებისადმი მიძღვნილ წიგნში, შესწავლილია ჩვენი ძველი ხუროთმოძღვრების გარკვეული საფეხური ერთი განსაზღვრული ტიპის ნაგებობათა მიხედვით ამ ახალ წიგნში კი, შესწავლის საგანია საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის ყ ვ ე ლ ა ძეგლი, ამ პროვინციის მ თ ე ლ ი ისტორიული არსებობის მანძილზე.

რამ გამოიწვია ასეთი საგანგებო ინტერესი სწორედ კახეთისადმი?

ა) კახეთი არაჩვეულებრივად მდიდარია ხუროთმოძღვრული ძეგლებით. ამ მხრივ მას მხოლოდ ქართლი და საქართველოს სამხრეთი ნაწილი თუ შეედრება. ფართო საზოგადოება უმეტესად იცნობს მხოლოდ ალავერდის სახელგანთქმულ კათედრალს, ძველსა და ახალ შუამთას, იყალთოს, გრემს, ნაწილობრივ ნეკრესსაც. მაგრამ კახეთის სიმდიდრე, ცხადია, ამით არ იფარგლება: კახეთის მთაგორები და ტყეები სავსეა უძველესი ტაძრებისა და სასახლეების ნანგრევებით: კახეთმავე შემოგვინახა კლდეებში გამოკვეთილი მონასტრების ყველაზე დიდი და ყველაზე შესანიშნავი კომპლექსი — დავით გარეჯა, რომელიც მთელი შუასაუკუნეების მანძილზე იქმნებოდა.

ბ) კახეთის არქიტექტურა, საქართველოს დანარჩენ პროვინციების არქიტექტურასთან შედარებით, გარკვეულ თავისებურებას ამჟღავნებს. განსხვავებულია საშენი მასალა: თლილი ქვის ნაცვლად, ჩვეულებრივ, აქ უბრალო რიყის ქვით აშენებდნენ. აქაური ტაძრები, სულ მცირე გამონაკლისით, მოკლებულია ჩუქურთმას. ქართლის საზეიმო, ვირტუოზული ოსტატობით მორთული, ტაძრების გვერდით, კახური შენობები ამ მხრივ გაცილებით უფრო მკაცრი და ზოგჯერ ასკეტურიც კი ჩანს. (მით უფრო ღრმად და ფაქიზად უნდა ეგრძნოთ კახელ ოსტატებს შენობათა წმინდა ხუროთმოძღვრული თვისებები — საერთო ტექტონიკა, პროპორციების დახვეწილობა, შინაგანი სივრცის ჰარმონიულობა და მართლაც ამ თვალსაზრისით, კახეთში არა ერთი და ორი შესანიშნავი მაგალითი გვაქვს).

გ) ამ თავისებურებებთან ერთად, კახეთს იმდენი რამ აკავშირებს საქართველოს დანარჩენ ნაწილებთან, რომ მისი ხუროთმოძღვრება, რა თქმა უნდა, ზოგად ქართული არქიტექტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. უფრო მეტიც, როგორც ავტორი აღნიშნავს, კახეთის ძეგლებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ხელოვნების ევოლუციის ზოგადი სურათის გასარკვევად. „კახეთმა უკვე ძალიან ადრე მოიპოვა პრინციპულად დიდი მნიშვნელობა კავკასიის ადრინდელ — ქრისტიანული არქიტექტურის განვითარებაში. ე. ი. ზოგადქრისტიანული არქიტექტურის განვითარებაშიაც“. საკულტო ხუროთმოძღვრების ზოგი თემა, რომელმაც შემდეგ ფართო გავრცელება ჰპოვა, როგორც ჩანს, კახეთში ძალიან ადრე ჩაისახა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ შუასაუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრების უადრესი ნიმუშები — მე-4-5 საუკუნეებისა— უმეტესად სწორედ კახეთშია გადარჩენილი.

ამგვარად, გ. ჩუბინაშვილის წიგნის ამოცანა ასეთია: ერთი მხრივ, იგი გვიხატავს ამ პროვინციის ხუროთმოძღვრების ისტორიული განვითარების სურათს თითქმის 15 საუკუნის

მანძილზე, გვიხატავს ევოლუციის სტილისტიკურ საფეხურებს, მთლიანად კახეთის არქიტექტურისა და მის ცალკეულ ძეგლთა მხატვრულ თავისებურებასა და ღირებულებას; მეორე მხრივ, იგი აშუქებს კახეთის არქიტექტურის ადგილს ზოგად-ქართული, კავკასიური და მთლიანად „ქრისტიანული" არქიტექტურის ისტორიაში. მთელი ეს სურათი, რა თქმა უნდა, გადაშლილია კახეთის ისტორიული ცხოვრების ფონზე, რომელიც ავტორისათვის დამახასიათებელი სიღრმითაა დახატული.

წიგნის პირველი თავი ეხება კახეთის არქიტექტურის შესწავლის ზოგად საკითხებს. აქ ავტორი თავიდანვე მკაფიოდ განსაზღვრავს „კახეთის" ცნებას, ე. ი. ისტორიულ-გეოგრაფიულ ფარგლებს, რომლებითაც ისაზღვრება გამოკვლეული მასალა; გვიჩვენებს კახეთის შენობათა უმთავრეს დამახასიათებელ თვისებებს; განმარტავს მასალის დალაგების პრინციპებს ამ წიგნში; მიმოიხილავს კახეთის არქიტექტურის შესწავლის ისტორიას, მოკლედ, მაგრამ ნათლად გვიხატავს კახეთის ისტორიული განვითარების უმთავრეს საფეხურებს, დასასრულ, წინასწარ ქრონოლოგიურად აჯგუფებს ძეგლებს.

მომდევნო თავები საკუთრივ ძეგლებს ეხება. ძეგლთა სათანადო მხატვრულ-ისტორიულ ანალიზისათვის, ევოლუციის სურათის მკაფიოდ ჩვენებისათვის, მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების გამოტანისათვის, აქ არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ უზარმაზარი ფაქტობრივი მასალის ნათელ, სისტემურ დაჯგუფებას, საჭირო თანმიმდევრობით მოწოდებას. ისე როგორც გ. ჩუბინაშვილის ყველა სხვა შრომაში, აქაც ჩანს, რომ ეს ზღვა მასალა ერთიანად, სულ ბოლომდის, წვრილმანებშიაც კი არაჩვეულებრივად ნათლადაა გააზრებული და „დამორჩილებული": წიგნის აგებულება უაღრესად მწყობრია.

კახეთში, როგორც ცნობილია, დარჩენილია ერთი მხრივ სარწმუნოებრივი დანიშნულების ძეგლები (უფრო მეტი), მეორე მხრივ — ციხესიმაგრეები და სასახლეები. ამათ გარდა, ავტორი ცალკე ჯგუფად გამოჰყოფს სამრეკლოებს, რადგანაც მას სამართლიანად მიაჩნია, რომ ისინი საერო არქიტექტურის ელემენტებს უფრო მეტად შეიცავენ, ვიდრე საეკლესიოსას (განსაკუთრებით XVI საუკუნეში, როცა სამრეკლოთა შენობები დიდად უახლოვდება სასახლეებს). თვით საეკლესიო შენობებში, აღნაგობის მხრივ, კახეთშიაც, ისე როგორც მთელ საქართველოში, ორი ძირითადი ჯგუფია: უგუმბათო და გუმბათოვანი შენობები. თუმცა მნიშვნელობით მეორე ჯგუფს უპირატესობა ეკუთვნის, ავტორი ჯერ მაინც უგუმბათო შენობებს განიხილავს, რაც აგრეთვე სავსებით დასაბუთებულია: „თუ განვიხილავთ წინა-ქრისტიანული არქიტექტურის მთელ განვითარებას, განსაკუთრებით კი თვით ქრისტიანულის განვითარებას, უნდა ვაღიაროთ, რომ ბაზილიკური ფორმა (ე. ი. უგუმბათო შენობები, ვ. ბ.) წარმოადგენს გარკვეული კულტურული ტენდენციების უკანასკნელ რგოლს; ქრისტიანული გუმბათოვანი არქიტექტურა კი, — და შემდეგ ისლამურიც — მოასწავებს სივრცობრივ ფასეულობათა სრულიად ახალს, მსოფლიოში მანამდე უნახავ, გაგებასო", წერს ავტორი (გვ. 8). სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ქრისტიანული არქიტექტურის" ყველაზე უფრო პროგრესული, შემოქმედებითი ელემენტები სწორედ გუმბათოვან ხუროთმოძღვრულ თემას უკავშირდება. ასეა კახეთშიაც, სადაც ბაზილიკები უკვე X—XI სს. ასრულებს არსებობას, გუმბათოვანი არქიტექტურა კი მომდევნო საუკუნეებშიაც განაგრძობს წინსვლას.

გ. ჩუბინაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ V ს-ში კახეთის მიწა-წყალზე პარალელურად არსებობს გუმბათოვან ტაძართა რამდენიმე ტიპი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ აქ არქიტექტურამ ამ დროისთვის უკვე განვლო ხანგრძლივი განვითარება. განსაკუთრებით ზრდის ინტერესს ის, რომ კახეთში იმავე დროს დაცულია გუმბათოვანი მშენებლობის ადრეული, რელიქტური ნიმუშები, რომლებიც შუასაუკუნეთა არქიტექტურის უადრეს საფეხურებს გვიჩვენებს; ხოლო VI—VII სს., კვლავ ისევე, როგორც მთელ საქართველოში, მხატვრულად უკვე სავსებით მომწიფებული, ფართოდ გაშლილი, მშენებლობა გვაქვს.

უგუმბათო შენობათა შორის ერთი მხრივ ბაზილიკები გამოიყოფა, მეორე მხრივ — ე. წ. სამეკლესიანი ბაზილიკები, ტიპი, რომლის არსებობაც გ. ჩუბინაშვილმა გამოარკვია და რომელიც სპეციფიკურია ადრინდელფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისათვის, (სხვა ქვეყნებში ეს ტიპი არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ასეთი ჩამოყალიბებული სახით; კახეთში კი ქართული სამეკლესიანი ბაზილიკების ძალიან საყურადღებო ნიმუშებია).

წიგნის მეორე თავი ბაზილიკებისადმია მიძღვნილი, მესამე — სამეკლესიანი ბაზილიკებისადმი. მეორე თავში ავტორი გვიჩვენებს ბაზილიკური მშენებლობის ეტაპებს — დაწყებული ნეკრესის IV საუკუნის მცირე სამლოცველოთი, რომელშიაც ბაზილიკური თემა შენობის მხოლოდ გარეგნულ სახეში იჩენს თავს, და დამთავრებული ვაზისუბნის ე. წ. სანაგირეთი (X—XI სს.), რომელიც აშკარად მოწმობს გუმბათოვანი არქიტექტურის ფორმათა გავლენას. ამ ორ საზღვარს შუა მოქცეულია „ნამდვილ" ბაზილიკათა მნიშვნელოვანი ნიმუშები — ხაშმის სამება, ნატკორა, ხირსა, კონდოლი (V—VI სს. მიჯნა); ძეგლები, რომლებშიაც თითქოს შერწყმულია „ნამდვილი" და სამეკლესიანი ბაზილიკები — მატანი, ახმეტა, ბაიხო (VI ს.

ნახევარი, VII ს.); ძეგლები, რომლებიც — გუმბათოვანი არქიტექტურის მძლავრი განვითარების ხანაში — თანდათან კარგავს ბაზილიკის სპეციფიკურ თავისებურებებს — ნათლისმცემელი ალვანთან, იოანე ზედაზნელის ბაზილიკა, აკურის მამა-დავითი (VIII—IX სს.).

სამეკლესიანი ბაზილიკების ნიმუშებით კახეთი განსაკუთრებით მდიდარია. III თავში განხილულია ხუთმეტამდე უმნიშვნელოვანესი ძეგლი (საბაწმინდა კარდანახთან, „კონდამიანი", ზეგანის „ყველა წმინდა", ნეკრესი, ჭერემის საეპისკოპოსო ტაძარი და სხვ.). გ. ჩუბინაშვილს ადრევე — სხვა ნაშრომებში — ჰქონდა ნაჩვენები, რომ ბაზილიკის თემა საქართველოში ძირეული არ იყო, რომ იგი ოფიციალურმა ქრისტიანულმა ეკლესიამ დანერგა ჩვენში ქრისტიანობის უძველეს კერებში აგებული ძეგლების მიხედვით. საქართველოში ეს თემა მძიმედ იკიდებს ფეხს და მალე — როგორც ზემოთაც ითქვა — გუმბათოვანი არქიტექტურის გავლენაშიაც ექცევა. ხსენებულ თავის დასკვნაში ავტორი აღნიშნავს, რომ სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპის შემუშავება წარმოადგენდა ქართველ ხუროთმოძღვართა ცდას, რომ მათთვის უცხო ბაზილიკის გვერდით შეექმნათ მისი მსგავსი, მაგრამ თავისებური, დამოუკიდებელი სახე საკულტო შენობისა. „მაგრამ ეს ფორმა, რომელსაც ადგილობრივ სამშენებლო ხელოვნებაში არ გააჩნდა ღრმა, ტრადიციულად გაზრდილი, ფესვები, მაინც ვერ გადაიქცეოდა ქვეყნის ხუროთმოძღვრულ მიღწევათა უმაღლეს გამოხატულებად — წერს ავტორი — ეს შეიძლებოდა გამომჟღავნებულიყო მხოლოდ გუმბათოვანი და ცენტრალური ხასიათის სივრცობრივ კომპოზიციებში" (გვ. 199).

სწორედ ამ უკანასკნელთ — ე. ი. გუმბათოვან შენობებს, რომელთაც უმთავრესი და წამძღოლი ადგილი უჭირავთ მთელ ქართულ და, კერძოდ, კახეთის არქიტექტურაშიაც — ეძღვნება წიგნის IV, V, VI, VII და VIII თავები.

IV თავის საგანია „კახეთის გუმბათოვანი არქიტექტურა, მისი დაყოფა, მისი ადგილი ქრისტიანული არქიტექტურის ზოგად განვითარებაში". აქ განხილულია კახეთის გუმბათოვანი არქიტექტურის შეფარდება მთლიანად კახურ არქიტექტურასთან; მისი უმთავრესი დამახასიათებელი თავისებურებანი; კახეთის გუმბათოვანი არქიტექტურის დამოკიდებულება და შეფარდება კავკასიის ქრისტიანულსა და ზოგად ქრისტიანულ არქიტექტურასთან; გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ძირითადი ფორმების განვითარება კავკასიაში; კახეთის გუმბათოვანი არქიტექტურის მოკლე მიმოხილვა პერიოდების მიხედვით. მარტო ეს ჩამოთვლაც გვიჩვენებს ამ თავის შინაარსის მრავალფეროვნებასა და თეორიულ ინტერესს, რომელიც, ცხადია, დიდად სცილდება კახეთის არქიტექტურის ლოკალურ ფარგლებს.

გ. ჩუბინაშვილი აქ კიდევ ერთხელ, და კიდევ უფრო მკვეთრად, ვიდრე სხვა შრომებში, აღნიშნავს ხალხური ხუროთმოძღვრების, კერძოდ, ე. წ. „დარბაზის", მნიშვნელობას ქართული მონუმენტური გუმბათოვანი არქიტექტურის გენეზისისათვის. იგი კიდევ ერთხელ მოგვაგონებს, ამასთან დაკავშირებით, რამდენად მერყევი იყო იოზეფ სტრიგოვსკის თეორიული კონსტრუქცია, რომლის თანახმადაც კავკასიაში გუმბათი — ე. ი. შუასაუკუნეთა ჩვენი ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ელემენტი — ირანიდან იყო ნასესხები. ბუნებრივია დასკვნა, რომ სტრიგოვსკისვე დებულება — კვადრატზე დამყარებული გუმბათი ირანში წარმოიშვაო, აგრეთვე გაფართოებასა და გადახედვას მოითხოვს, თუ კი გავითვალისწინებთ ქართულ მასალას. ამ თავში ჩვენ კვლავ ვხვდებით იმ საკითხებს, რომლებიც პირველად სწორედ გიორგი ჩუბინაშვილმა დასვა მთელი სიმწვავით: ეს არის საკითხები საერთოდ ქართული ხუროთმოძღვრების ადგილისა და მისი მიმართებისა ბიზანტიურ ხელოვნებასთან, რომელიც წინათ თვითვე ითვლებოდა მთელი აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნების შთამაგონებლად. გ. ჩუბინაშვილის მთელ მსჯელობას, რომელიც ჩვეულებისამებრ ურყევ ფაქტობრივ მასალას ემყარება, ისევ და ისევ მივყავართ ერთადერთ სწორ დასკვნამდის: რომ თვით აღმოსავლეთის „ქრისტიანულმა ქვეყნებმა", მათ შორის საქართველომ, შეიტანეს დაუფასებელი წვლილი ზოგადქრისტიანულ და, კერძოდ, ბიზანტიის კულტურის განვითარებაში.

ამ თავის ბოლო პარაგრაფში გამოყოფილია ძეგლთა ძირითადი ქრონოლოგიური ჯგუფები, რომლებიც მომდევნო თავებში დაწვრილებითაა განხილული. V თავი განიხილავს კახეთის უძველეს გუმბათოვან შენობებს — ძველი გავაზის ტეტრაკონქს, ნინოწმინდის კათედრალს, ჯვარის ტიპის ეკლესიას ძველ შუამთაში, მეორე გუმბათოვან ეკლესიას იქვე, კისისხევის ყველაწმინდას, ე. წ. დავითიანის ეკლესიას ვაზისუბანთან, ვაჩნაძიანის სვეტიცხოველს. ეს VI—VII სს. ძეგლებია. ისინი პირველად გ. ჩუბინაშვილმა გააცნო მეცნიერულ სამყაროს. მანვე — თავისი „ქართული ხელოვნების ისტორიის" 1 ტომში — დაადგინა მათი ადგილი ზოგადქართული ხუროთმოძღვრების განვითარებაში. (ამ წიგნში, თუ არ ვცდები, პირველად მხოლოდ ვაჩნაძიანის სვეტიცხოველს ვეცნობით). მაგრამ თუ „ქართული ხელოვნების ისტორიაში" მათ შესახებ მხოლოდ მოკლე ცნობები იყო (რა თქმა უნდა, არსებითი მხარეების გამოვლინებითა და წინ წამოწევით), აქ

ყოველი მათგანი მონოგრაფიულადაა შესწავლილი.

ევოლუციური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ე. წ. გარდამავალი ხანის — VIII—IX საუკუნეთა ძეგლები: გურჯაანის ყველაწმინდა, ვაჩნაძიანის ყველაწმიხდა, ნეკრესის გუმბათიანი ტაძარი, იყალთოს მონასტრის მთავარი ეკლესია და სხვ. VI თავში ამ ძეგლების დაწვრილებითი მხატვრულ-ისტორიული ანალიზია (აქამდე — გ. ჩუბინაშვილისვე წყალობით — ჩვენ მხოლოდ ვაჩნაძიანის ყველაწმინდას ვიცნობდით სხვებზე უკეთ). ნაჩვენებია ამ პერიოდის შემოქმედებითი ძიების სირთულე და მრავალფეროვნება: ერთი მხრივ, ტრადიციულ თემათა და ფორმათა სიმტკიცე, მეორე მხრივ — ახალთა ძიება, სტილისტიკური გარდატეხის პროცესი. კახეთი განსაკუთრებით მკაფიოდ გვიჩვენებს ამ გარდატეხას, რომელიც დამახასიათებელია მთელი იმდროინდელი ქართული ხუროთმოძღვრებისათვის.

VII თავში (X—XVIII სს. გუმბათოვანი შენობები) ცენტრალური ადგილი, ბუნებრივია, ალავერდს უჭირავს. განხილულია აგრეთვე სოფ. აწყურის მახლობლად მდებარე „თეთრი გიორგი“, კუნტურის საყდარი მდ. თურდოს სათავეებში, კვეტერის ციხის ეკლესია, რომელიც „ჯვარის ტიპის“ დეკორატიულ გადამღერებას გვიჩვენებს, ბოჭორმის ციხის ექვსაფსიდიანი ეკლესია, ფუძნარის, საბაწმინდისა (კარდანახში) და ზემო-ხოდაშნის ტაძრები.

ავტორი აღნიშნავს, რომ ის, რაც ჩვენ ხელთაა — მხოლოდ ცალკეული გაფანტული ნიმუშებია. თუ ადრინდელ საფეხურებზე ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ როგორც გუმბათოვანი, ისე ბაზილიკური არქიტექტურის შინაგან განვითარებას, ახლა ამის საშუალება აღარაა, რადგანაც აქ მთლიანი სურათის მხოლოდ ფრაგმენტებია გადარჩენილი. ეს, ცხადია არ ამცირებს ამ ძეგლთა მნიშვნელობას, პირიქით, გარკვეული თვალსაზრისით, ზრდის კიდეც მას. ამ თავის დასკვნაში ბევრი საყურადღებო დებულებაა. გ. ჩუბინაშვილი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ამ ხანებში, X ს-დან, როცა კახეთის მოღონიერებული მეფეები საქართველოსა და მთელ კავკასიაში ჰეგემონიისთვის იბრძოდნენ, მათი სამხედრო ექსპედიციების წყალობით, კახელები უკეთ გაეცნენ საქართველოს სხვა ნაწილების ხუროთმოძღვრულ შემოქმედებას. უეჭველია, მათზე შთაბეჭდილება მოუხდენია ქართლისა და საქართველოს სხვა პროვინციების ძეგლთა რეპრეზენტატიულ ბრწყინვალებას, თლილი ქვით მოპირკეთებულსა და თვალისმომჭრელად მოჩუქურთმებულ ფასადებს. ქართლის გავლენას მიეწერება დეკორატიული სვეტების გაჩენა კახეთის ძეგლთა ფასადებზე X ს-დან (თუმცა თლილი ქვის წესიერ წყობასა და ამ თაღებს კახელები არ გასცილდნენ — მდიდარმა ჩუქურთმამ ფეხი ვერ მოიკიდა, რაკი, როგორც ვთქვით, შესაფერი სამშენი მასალა აქ არ იყო). ქართლის გავლენა ჩანს თვით ალავერდის ტაძრის გეგმაშიაც; ბოჭორმის ექვსაფსიდიან ეკლესიასაც ბევრი პარალელი გააჩნია ქართლსა, იმერეთსა და სამხრეთ საქართველოში; „კვეტერის დეკორატიული დამუშავება მთლიანად შედის იმდროინდელი ქართული არქიტექტურის ერთიან გუნდში“ (გვ. 433). იმავე დროს, კახეთის არქიტექტურა ინარჩუნებს თავის არსებით სპეციფიკურ თავისებურებებს — ეს ეხება გეგმების აღნაგობასაც და, განსაკუთრებით, შენობათა პროპორციებს, მასათა მხატვრულად დასრულებულ შეფარდებებს. ავტორი მკაფიოდ ახასიათებს ამ ეპოქის კახური ძეგლების სტილისტიკურ ნიშნებს და, იმავე დროს, ცალკეულ ძეგლთა (ან ძეგლთა ჯგუფების) თავისებურებას საერთო სტილის ფარგლებში. თუ ალავერდი — ქართული ხუროთმოძღვრების ერთი უდიდესი და უბრწყინვალესი ნაწარმოებთაგანი — გამოირჩევა გრანდიოზულობითა და მონუმენტალობით, რასაც ერთვოდა დეკორატიული მრავალფეროვნება, კვეტერასა და ბოჭორმაში მხოლოდ ეს უკანასკნელი თვისება — ფორმათა დეკორატიულობა — ჭარბობს.

თავისებური კვალი დაამჩნია იმდროინდელმა მშენებლობამ უფრო ადრინდელ ძეგლებს: ბევრი მათგანი გადააკეთეს, ზოგს გუმბათი შეუცვალეს (მაგ. კისისხევს) და ყველა ეს ცვლილება ახალი სტილისტიკური ნორმებით იყო შესრულებული. ამ თავის დასკვნაში ავტორი დამატებით მოკლედ განიხილავს ორ ძეგლს, რომლებიც ისტორიული კახეთის განაპირას, ალბანეთის საზღვარზე, აშენდა, ახლა კი აზერბაიჯანის ფარგლებშია (გიში და ზედგზითი).

ძალიან მკაფიო სურათს გვიხატავს VIII თავიც, რომელიც XVI—XVIII სს. გუმბათოვან არქიტექტურას ეხება (ახალი შუამთა, გრემის მთავარანგელოზი, შიხიანის „აღდგომა“, ჭიკანი, ალვანის სამება, მატნის წმ. ნიკოლოზი და სხვ.). როგორც ცნობილია, ეს ხანა, მძიმე და რთული ხანაა კახეთისთვის. ერთხანს, XVI საუკუნეში, კახეთმა, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით უკეთეს ეკონომიურ პირობებში იყო, ერთგვარ კულტურულ აღორძინებასაც მიაღწია, მაგრამ XVII საუკუნე — ტრაგიკული, სისხლიანი ფურცელია მის ცხოვრებაში. ამ ეპოქამ სხვადასხვა დანიშნულების მრავალი ძეგლი დაგვიტოვა. რა თქმა უნდა, მხატვრული შემოქმედების ძალით, მხატვრული მიღწევებით, ამდროინდელი ძეგლები ვერ შეედრება ადრინდელი საუკუნეებისას. მაგრამ, მიუხედავად მძიმე კრიზისისა, მაშინდელი არქიტექტურა მაინც გვიჩვენებს შემოქმედებითს სიცხოველესა და ინტე-

რესებს; პოლიტიკური ვითარების წყალობით, კახეთის XVI—XVIII სს. მშენებლობაში შესამჩნევია ირანული ელემენტების შემოჟონვა; იცვლება საშენი მასალა: მკვიდრდება აგური და, ამასთან დაკავშირებით, ვითარდება ფასადთა მორთვის სხვა ხერხები. ესეც ირანის ერთგვარ გავლენას მიეწერება. მაგრამ მაინც — ესაა არსებითი და სწორედ ამის მკაფიოდ ჩვენებაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩუბინაშვილის წიგნში — ეს ნასესხები ელემენტებიც ყოველთვის დამოუკიდებლად იყო გააზრებული და გარდაქმნილი საკუთარი ეროვნული ტრადიციებისა და მოთხოვნილებათა საფუძველზე. ძეგლთა აღნაგობა ძველებური, ტრადიციული, რჩება. „ეკლესიათა ინტერიერების სივრცობრივი გადაწყვეტა აგრძელებს და ავითარებს ქართული არქიტექტურის ისტორიული განვითარების ტენდენციას, სახელდობრ, ზემოთკენ მისწრაფების ტენდენციას, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ სწორედ კახეთში გამომჟღავნდა და რომელიც თავის მაქსიმალურ დაძაბულობას სწორედ განსახილველი დროის ძეგლებში აღწევს.“ (გვ. 470).

ისევე, როგორც წინათ, ხუროთმოძღვრებს ახლაც შეგნებული ჰქონდათ, რომ საჭიროა ძეგლის გააზრება ანსამბლში, მისი დაკავშირება ლანდშაფტსა და ქალაქის კომპლექსთან. გ. ჩუბინაშვილი ამის თვალსაჩინო ნიმუშად ასახელებს გრემს: „მთავარანგელოზის ანსამბლი — გალავნით გარშემორტყმული სასახლის პალატებით მთის მცირე პიკზე — ქალაქთმშენებლობის თვალსაზრისით ბრწყინვალე მაგალითია, რომლის დეტალური ანალიზი საერთოდ ძვირფასი წვლილი იქნებოდა და გვიჩვენებდა ხუროთმოძღვრული განათლების მაღალ დონეს საქართველოში, ამ მძიმე საუკუნეებშიაც კი“ (გვ. 470).

IX თავი განიხილავს კახეთის ეკლესიების ცალკეულ სამშენებლო ელემენტებს და მათ ადგილს არქიტექტურის საერთო განვითარებაში (თაღებს — ნახევარწრიულს, ნალისებრს, ისრულს; კამარებს — ნარეკარცილინდრულს, ისრულს, ჯვაროვანს; გუმბათებს — სფერულ გუმბათს, შეკრულ კამარას, აფროვან—გუმბათოვან კამარას; მორთულობის მოტივებს სხვადასხვა ხანაში).

X თავში მონოგრაფიულადაა გამოკვლეული სამრეკლოები. აქ საგანგებოდაა გამოყოფილი ნინოწმინდის, ახალი შუამთისა და გრემის სამრეკლოები, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ გვიანფეოდალური ხანის მთელი ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლებად. აქედან დღემდე მხოლოდ ნინოწმინდის სამრეკლოს შესახებ არსებობდა ლიტერატურა, (გ. ჩუბინაშვილისვე გამოკვლევები), დანარჩენებს, არსებითად, აქ პირველად ვეცნობით.

დიდად საყურადღებოა წიგნის XI თავი, რომელიც კახეთის საერო შენობებს შეეხება. გ. ჩუბინაშვილმა ჯერ კიდევ ოციან წლებში გამოაქვეყნა ნარკვევი შუასაუკუნეთა ქართულ საერო ხუროთმოძღვრებაზე, რომელშიაც სწორედ კახეთის IX—XII საუკუნეთა ნიმუშები იყო განხილული. კახეთს ამ მხრივაც — ფეოდალური ხანის სასახლეთა გადარჩენილი ნიმუშების მხრივაც — დიდი ადგილი უჭირავს ზოგად ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. განსახილველ წიგნში, ამ პერიოდის ხსენებულ ძეგლთა — კვეტერის, ვაჩნაძიანის, ვანთის, ნეკრესის, იყალთოს აკადემიის — გარდა, განხილულია ციხე-სიმაგრეებიც (უჯარმა, თელავი, კვეტერა, ბოჭორმა და მრავალი სხვ.), და გვიანფეოდალური ხანის სასახლეებიც — ალვანის ცხრაკარა, ალვანის ძველი სასახლე, ახმეტის ცხრაკარა, თელავის სამეფო სასახლე და სხვ... ავტორი ნათლად გვიჩვენებს, რომ სტილისტიკურად ეს საერო შენობები, კერძოდ, სასახლეები — თავისი ეპოქასთანაა განუყრელად დაკავშირებული; იმავე დროს, ნათლად ჩანს, რომ ხუროთმოძღვრებს ღრმად ჰქონდათ გაგებული ამოცანა: შენობათა აღნაგობა, მათი კონსტრუქციები, მათი შიდა დარბაზების მხატვრული გააზრება სავსებით ექვემდებარება კონკრეტულ მოთხოვნილებას, ფუნქციას; საეკლესიო მშენებლობის გვერდით, ესეც სრულიად დამოუკიდებელი შემოქმედების ნაყოფია.

უკანასკნელი (მეთორმეტე) თავი აჯამებს ამ ფუნდამენტური გამოკვლევის შედეგებს. აქ განზოგადებულია ყველაფერი, რაც მანამდის, ცალკეულ ძეგლებთან და ეპოქებთან დაკავშირებით, ნათქვამი იყო მასალისა, ტექნიკისა და სამუშაოთა წარმოების, შენობათა გეგმების კომპოზიციური ტიპებისა და მათი ცალკეული ელემენტების, შიდა სივრცისა და შენობის მასების შესახებ.

მოკლე დასკვნაში ავტორი კიდევ ერთხელ მოგვაგონებს, რომ კახეთის არქიტექტურა, მიუხედავად თვალსაჩინო განმასხვავებელი ნიშნებისა საქართველოს სხვა კუთხეთა არქიტექტურისაგან, რაც აიხსნება, ერთი მხრივ, განსხვავებული საშენი მასალით, მეორე მხრივ — ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელი გათიშულობით, მაინც ზოგადქართული ხუროთმოძღვრების ორგანული ნაწილია, მისი ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი.

„ძველი დროის ქართულ მონუმენტურ არქიტექტურას — წერს დასასრულ გ. ჩუბინაშვილი — ისეთი მარტივი და მკაფიოდ გამოკვეთილი ფორმები, ისეთი დიდი, უბრალო სიბრტყეები და ხაზები ახასიათებს, რომ ჩვენ ნება გვაქვს მისი ძეგლები იტალიური რენესანსის დიდებულ ნაწარმოებთა გვერდით დავაყენოთ. იგი იმდენად პლასტიკურია, იმდენად

გარკვეულია სილუეტით, ფორმებითა და მოთავსების მხრივ, იმდენად მშვიდი და გაწონასწორებულია, მისი მოცულობანი და სივრცეები იმდენად დასრულებულია პროპორციულობის თვალსაზრისით, ყველა ელემენტის ორგანული ერთიანობის, მსუბუქი დანაწევრების, ჰორიზონტალთა და ვერტიკალთა ნათელი შეფარდების მხრივ, რომ ყველაფერი ეს ჰქმნის შთაბეჭდილებას, რომ აქ შეუძლებელია რისამე შეცვლა. ამგვარი მიდგომა — თავისი არსებითი თვისებებით — გავლენას ახდენს ცხოველხატული ხასიათის ახალი მიზანდასახულების გაჩენის დროსაც — და ეს ყველაზე მეტად სწორედ კახეთში იგრძნობა" (გვ. 616).

მგონია, ეს მოკლე მოთხრობაც გ. ჩუბინაშვილის ახალი წიგნის შესახებ, გვიჩვენებს მისი შინაარსის დიდ სიმდიდრეს. წიგნში კოლოსალური ფაქტობრივი მასალაა თავმოყრილი, გაანალიზებული და განზოგადოებული.

შეიძლება ითქვას, რომ ყველა ძეგლი, რომელიც „კახეთის ხუროთმოძღვრებაშია" წარმოდგენილი, ე. ი. კახეთის მთელი არქიტექტურა, ხელოვნების ისტორიკოსის თვალით პირველად გ. ჩუბინაშვილმა დაინახა და შეისწავლა. ზემოთმოხსენებული რამდენიმე ძეგლი, როგორც ვთქვით, გ. ჩუბინაშვილს წარმოდგენილი ჰქონდა სხვა შრომებშიაც, მაგრამ მთელი სისრულით ეს ძეგლებიც პირველად ახლა წარმოგვიდგა, ხოლო დანარჩენი ძეგლები — მათი რაოდენობა კი ასს აღემატება — საერთოდ არ ყოფილა დღემდე მეცნიერულად გაშუქებული, ამ ძეგლებმა პირველად ახლა დაიმკვიდრა ადგილი ქართული ხელოვნების ისტორიაში. ადვილი წარმოსადგენია, როგორი დაუფასებელი შენამატია ეს ჩვენი ხელოვნების ისტორიისათვის.

წიგნის გამართული და დახვეწილი კონცეფცია, პრობლემათა ფართო წრე, მათი ლოგიკური და თანმიმდევრული დასმა, უსაზღვრო მასალის მტკიცე „ორგანიზება", ნათელი და ყოველმხრივი ისტორიული სურათი, მახვილი და ოსტატური მხატვრული ანალიზი — გ. ჩუბინაშვილის ყოველი შრომის ჩვეულებრივი თვისებებია და ამ შრომაშიაც სრული სისავსით მჟღავნდება.

მე მინდა მხოლოდ აღვნიშნო კახეთის ძეგლთა შესწავლის ერთი სპეციფიკური სიძნელე: ჩვენი ძველი ოსტატები და მშენებლობის მეთაურნი საერთოდაც მაინცადამაინც არ იტკიებდნენ თავს შენობებზე თარიღიანი წარწერების გაკეთებით. მაგრამ თუ საქართველოს სხვა კუთხეებში მაინც მოიძებნება წარწერები, რომლებიც თარიღს თუ არა, ისტორიულ პირთა სახელებს მაინც შეიცავს, კახეთში არც ესაა. არც ჩვენს მატიანეებშია საკმარისი ცნობები მშენებლობის შესახებ. ამგვარად, ამ უამრავი ძეგლის დასათარიღებლად წერილობითი საბუთები არ არსებობს და მათი ქრონოლოგიის დასადგენად — უამისოდ კი ვერავითარი ისტორია ვერ დაიწერება, — სხვა არა გაგვაჩნია რა, თუ არ თვით ძეგლები, მათი ხუროთმოძღვრული ენა. გ. ჩუბინაშვილმა, მტკიცედ ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიის წყალობით, ბრწყინვალედ დასძლია ეს სიძნელე: ძეგლთა სამშენებლო და მხატვრული თვისებების ანალიზით, დიდი პარალელური მასალის კრიტიკულად მოშველიებით, მან როგორც ვთქვით, ძეგლები მწყობრად დააჯგუფა და მათი ევოლუციის ნათელი სურათი მოგვცა.

ამასთან ერთად, არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს, რომ წიგნში მკითხველი არა მარტო მეცნიერულ სიმდიდრეს პოულობს, არა მარტო ინტერესსა და ზრუნვას მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენისათვის, არამედ ავტორის ცოცხალ გრძნობასაც. იგი გრძნობს უსაზღვრო სიყვარულს არა მარტო ჩვენი სამშობლოს უმდიდრესი კულტურისადმი, მისი ძეგლებისადმი, არამედ მისი ხალხისა და უმშვენიერესი ბუნებისადმიც. წიგნი ნამდვილი შთაგონებითაა დაწერილი.

ასეთი გამოკვლევის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, სცილდება ერთი რომელისამე მეცნიერული დისციპლინის, — ამ შემთხვევაში ქართული ხელოვნების ისტორიის — ფარგლებს. ერთი მხრივ, იგი დიდად ავსებს და ამდიდრებს საქართველოს მნიშვნელოვანი პროვინციის მთელი ისტორიული ცხოვრების სურათს. მეორე მხრივ, იგი ბევრ ახალ რასმე ჰმატებს არა მარტო ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლას, არამედ მთელი წინაალმოსავლეთის ხელოვნების ისტორიის ცოდნასაც.

ასეთი წიგნის გამოსვლა ღირსშესანიშნავი მოვლენაა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელეონორა ექსანიშვილი

★

# მ. ა. ბალაკირევის შემოქმედებითი სახე

(გარდაცვალების 50 წლისთავის გამო)

გლინკას საქმის გამგრძელებელი, ნიჭიერი კომპოზიტორი, გამოჩენილი პიანისტი და დირიჟორი — პროპაგანდისტი, დაუღალავი საზოგადო მოღვაწე, „ახალი რუსული სკოლის" ერთ-ერთი დამაარსებელი — მილი ალექსის-ძე ბალაკირევი მუსიკალურ-საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს და 60-იანი წლების დამდეგს.

კაპიტალიზმის განვითარებითა და ფეოდალურ-თვითმპყრობელური სისტემის დაშლით გამოწვეულმა კლასობრივმა ბრძოლამ განსაზღვრა იმდროინდელ რუსეთში იდეური ბრძოლის ხასიათი კულტურული ცხოვრების ყველა დარგში — მეცნიერებასა თუ ლიტერატურაში, მუსიკასა თუ ფერწერაში. 60-იანი წლების რუსული საზოგადოებრიობის მოწინავე მოღვაწეების ყურადღების ცენტრში მოექცა რუსეთის სოციალური გარდაქმნის ამოცანა. რუსულ ლიტერატურას მანამდე არასოდეს წამოუყენებია ამდენი მნიშვნელოვანი სასიცოცხლო პრობლემა, არასოდეს გადაუწყვეტია ისინი ისე ღრმად, როგორც სამოციან წლებში. ამ ეპოქაში გაიფურჩქნა ლ. ტოლსტოის, ნეკრასოვის, სალტიკოვ-შჩედრინის და სხვათა შემოქმედება.

სამოციანი წლების ლიტერატურისა და მხატვრული კრიტიკის გამოჩენილი მოღვაწეები, რევოლუციური დემოკრატები — ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი გამოდიოდნენ მნიშვნელოვანი ესთეტიკური ნაშრომებით, ნერგავდნენ ახალ შეხედულებას ხელოვნებასა და ლიტერატურაზე, როგორც საზოგადოებრივი განვითარებისა და აღზრდის იარაღზე და ყოველი მხატვრული ნაწარმოებისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნევდნენ თანამედროვეობისათვის საჭირბოროტო კითხვებზე პასუხის გაცემას. რუს კრიტიკოს-დემოკრატთა რევოლუციური შეხედულებები დიდ გავლენას ახდენდა რუსული ხელოვნების ყველა დარგის განვითარებაზე. რეალიზმის იდეებით იყო გამსჭვალული „პერედვიჟნიკების" შემოქმედება, რეალიზმი დამკვიდრდა რუსულ სცენაზე, დემოკრატიული იდეების გავლენით წარმოიშვა რუსული მუსიკის ისტორიაში ცნობილი „ახალი რუსული სკოლა", რომელიც ჰქმნიდა ჭეშმარიტად ხალხურ მუსიკალურ ხელოვნებას.

ამ ეპოქაში მუსიკალური ხელოვნების სფეროში, ადგილი აქვს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ძვრებს. მუსიკალური კულტურა მისაწვდომი ხდება ქალაქის მოსახლეობის ფართო წრეებისათვის. მოხელეები, ვაჭრები, რაზნოჩინული ინტელიგენცია — სწორედ ამ წრიდან გამოვიდნენ გამოჩენილი შემსრულებლები, კომპოზიტორები, და იგივე წრეები შეადგენდნენ მსმენელთა საგრძნობ ნაწილს. სამოციანი წლების ეპოქამ ასპარეზზე გამოიყვანა პიანისტი — შემსრულებლები, რომლებიც ისევე როგორც მწერლები და მხატვრები, ისწრაფოდნენ შეექმნათ რეალისტური მხატვრული სახეები. შეიცვალა შესრულების სტილი, პიანისტურ ხელოვნებას მიეცა მკაფიო ეროვნული ელფერი. რუსულ პიანიზმში ინტიმურობის, გულწრფელობის, კეთილხმოვანების გვერდით, ფართოვდება და ღრმავდება რუსული ეროვნული კულტურის დამახასიათებელი თვისებები: მონუმენტალობა და გმირული სიდიადე. საფორტეპიანო რუსულ ეროვნულ თავისებურებებს მკაფიოდ გამოსახავდნენ ისეთი ნაწარმოებები, როგორიც იყო მ .ბალაკირევის „ისლამეი", მუსორგსკის „სურათები გამოფენიდან" და ჩაიკოვსკის კონცერტი „სი ბემოლ მინორი".

ახალი ტენდენციების ყველაზე უფრო ნათელი გამომჟღავნება შემსრულებლობით სფეროში იყო ძმები რუბინშტეინებისა და მ. ბალაკირევის დაკვრა. მათი ოსტატობა აღიარებული იქნა ევროპაშიც. რუსული საფორტეპიანო მუსიკის დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ რუსული მუსიკალური სკოლა იცნეს და აღიარეს ლისტმა და მისმა მოწაფეებმა, რომლებიც ეწეოდნენ ბალაკირევის „ისლამეის" პროპაგანდას.

ბალაკირევი — მუსიკოსი მტკიცედ იყო დარწმუნებული ხელოვნების აღმზრდელობით ძალაში. მტერი ყოველგვარი სალონური მუზიცირებისა და აგრეთვე მუსიკისადმი არასერიოზული დამოკიდებულებისა, იგი 60-იან წლებში მუსიკაში ისეთივე თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა, როგორც კრამსკოი — ფერწერაში, ოსტროვსკი — თეატრში, ნეკრასოვი — ლიტერატურაში. ბალაკირევი პირველი შეხვედრისთანავე სტოვებდა — წარუშლელ შთაბეჭდილებას. ღრმად პრინციპული, ცხოვრებასა და ხელოვნებაზე პროგრესული აზრებით გამსჭვალული, ბრწყინვალე შემოქმედებითი ტალანტის მქონე, იგი დიდი მუსიკალური ერუდიციითა და მუსიკალური ნაწარმოებების სწრაფი და სწორი ანალიზის განსაკუთრებული უნარით იყო დაჯილ-

დოებული, ფენომენალური მეხსიერება ხელს უწყობდა მას თითქმის მთელი იმდროინდელი მუსიკალური ლიტერატურის ზეპირად ცოდნაში. ამას რომ დავურთოთ არაჩვეულებრივი ენერგია ორგანიზატორისა და ხელმძღვანელისა, ნათლად წარმოვიდგენთ მის სრულყოფილ სახეს.

„სიტყვას არავინ შეუბრუნებდა, — იგონებს რიმსკი-კორსაკოვი — რადგან თვით პიროვნება იყო დიდად მომხიბვლელი. ახალგაზრდა, მოძრავი, ცეცხლოვანი თვალებით, ლამაზი წვერით, გამბედავი, ავტორიტეტულად მოლაპარაკე, პირში თქმას არ ერიდებოდა, ყოველთვის მზად იყო ფორტეპიანოზე შეესრულებინა მშვენიერი იმპროვიზაცია. ელვის სისწრაფით იმახსოვრებდა ყოველ ტაქტს და მთელ ნაწარმოებებს. სხვისი ნიჭის მცირე მონაცემების ამღიარებელი, იგი თავის უპირატესობას არ ჩქმალავდა, რადგან ის „სხვა“ თვითონ გრძნობდა ბალაკირევის უპირატესობას. ბალაკირევი ირგვლივ მყოფებზე ისეთ დიდ გავლენას ახდენდა, რომ იგი რაღაც მაგნიტურ, შეიძლება ითქვას, სპირიტულ ძალას მიაგავდა“.

1856 წ. 12 თებერვალს პეტერბურგის უნივერსიტეტში, ბალაკირევის საჯაროდ გამოსვლასთან დაკავშირებით, სეროვმა თავისი რეცენზიაში აღნიშნა: „ბ-ნ ბალაკირევის ნიჭი ძვირფასი მონაპოვარია ჩვენი მშობლიური მუსიკისათვისო“.

„მ. ბალაკირევი იმ დროს მხოლოდ ოცი წლისა იყო, მაგრამ უკვე ედგა სათავეში მუსიკალურ წრეს. მიუხედავად იმისა, რომ მას არ გაუვლია არც ერთი მუსიკალური კონსერვატორიის კურსი და მისთვის არ უსწავლებია თეორიის, კომპოზიციისა და ინსტრუმენტობის არც ერთ პროფესორს, იგი ძალზე განათლებული და დახვეწილი გემოვნებისა იყო. მტკიცედ ჰქონდა ჩამოყალიბებული შეხედულებანი ხელოვნებასა და სხვა საკითხების შესახებ. თავის საკუთარ თხზულებებში თითქმის პირველ ნაბიჯებიდანვე გამოამჟღავნა არაჩვეულებრივი ორიგინალობა და დამოუკიდებლობა. სხვათა მუსიკალური შემოქმედების შეფასებისას იჩენდა ისეთ გულისხმიერებას, დამოუკიდებელი და სწორი კრიტიკის ისეთ ძალას ამჟღავნებდა, რომ მისი ნიჭიერი ამხანაგები იძულებული იყვნენ აღიარებინათ ბალაკირევის მეთაურობა და ევლოთ მის მიერ მითითებული გზით“. — წერდა სტასოვი.

ბალაკირევის მუსიკალური ნიჭის განსაკუთრებული მრავალფეროვნება, მისი რკინისებური ენერგია როგორც წინამძღოლისა, საზოგადო მოღვაწისა, შერწყმული იყო მოწინავე დემოკრატიულ აზრებთან. მის მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა მოახდინა სტასოვმა, რომელთანაც ბალაკირევს აკავშირებდა განსაკუთრებული ძლიერი, აღტაცებული მეგობრობა. ბალაკირევთან დაახლოების დროს სტასოვი იდეურად უკვე ჩამოყალიბებული იყო (სტასოვი ბალაკირევზე 12 წლით უფროსი იყო.) გატაცებული ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის იდეებით იგი ბალაკირევს იდეურ ხელმძღვანელად მოევლინა.

ვ. სტასოვსა და მ. ბალაკირევს ერთმანეთთან აკავშირებდა უარყოფითი დამოკიდებულება არსებული საზოგადოებრივი წესწყობილებისადმი; გულის სიღრმემდე უყვარდათ რუსული ეროვნული მუსიკა — გლინკასა და რუსი კომპოზიტორების მემკვიდრეობა, მტკიცე რწმენა ჰქონდათ მუსიკის მომავლისა, როგორც განახლებული ძალისა. ბალაკირევისა და ო. სტასოვის მოწინავე იდეები განსაკუთრებით ნათლად ხელოვნების საკითხების გადაწყვეტაში ჩანდა. ისინი პროპაგანდას უწევდნენ იმ ახალ შეხედულებებს, რომელთაც საფუძვლად სინამდვილის ასახვა და ხალხის აღზრდა ედო.

შინაარსი, მუსიკალური ნაწარმოების იდეური მიმართულება — წარმოადგენდა ბალაკირევისათვის შეფასების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს. მუსიკალური ენის გამომსახველობის გაძლიერებისაკენ სწრაფვა აიძულებდა მას განსაკუთრებული ყურადღება მიექცია თემატური მასალისათვის, მისი ხარისხისათვის, დამუშავებისათვის. დიდ როლს ანიჭებდა ტონალობას, კოლორიტს, და ყოველივე ეს უნდა ყოფილიყო უაღრესად ხალხური, რუსული ეროვნული ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი თვისებების ამსახველი. ბალაკირევი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხური სიმღერების შესწავლას და მის სრულქმნას შემოქმედებაში. იგი იყო პირველი რუსი კომპოზიტორი, რომელიც სწავლობდა და იწერდა ხალხურ სიმღერებს უშუალოდ ხალხისაგან. 1866 წელს ბალაკირევმა გამოსცა მის მიერ 1860 წელს ვოლგაზე ჩაწერილი რუსული ხალხური სიმღერების პირველი კრებული. სიმღერების ამგვარად დამუშავების მეთოდით, რომელიც გამოიყენა ბალაკირევმა, შემდეგში ხელმძღვანელობდნენ რიმსკი-კორსაკოვი, ლიადოვი, ლიაპუნოვი და სხვ. ბალაკირევი დიდ მნიშვნელობას აძლევდა რა პროგრამულ მუსიკას, მას მუსიკალურ ხელოვნებაში წინ გადადგმულ ნაბიჯად თვლიდა. „ყოველ კარგ მუსიკალურ ნაწარმოებს თან დაჰყვება ერთგვარი პროგრამაცო“ (განსაკუთრებით ახალგაზრდა შემოქმედთ ემჩნევათ ეს), სწერდა ბალაკირევი სტასოვს.

ბალაკირევისა და სტასოვისათვის დამახასიათებელი იყო, კრიტიკულად განესაჯათ და შეემოწმებინათ ყოველი ჭეშმარიტება, ბალაკირევი გმობდა ავტორიტეტებისადმი ბრმა რწმენის თვისებას: „ერთხელ და სამუდამოდ გირჩევთ — სწერდა ის რიმსკი — კორსაკოვს, ბრმად ნუ მიენდობით, ნურც ერთ ავტორიტეტს, უფრო მეტად ერწმუნეთ საკუთარ თავს, ვიდრე ვინმე სხვას. შეგიძლიათ გწამდეთ ჩემი უნარი, რაოდენ კრიტიკული ვარ მუსიკალური ნაწარმო-

ებების გაგების მხრივ, მაგრამ ჩემი აზრი თქვენთვის გარდუვლად არ უნდა აღიაროთო“.

„რამდენადაც არ უნდა განვსხვავდებოდეთ ჩვენ ერთმანეთისაგან, — სწერდა სტასოვი ბალაკირევს, — რამდენადაც სხვადასხვაგვარი ადამიანები არ უნდა ვიყოთ, ჩვენ მაინც გვაქვს რაღაც საერთო. ეს არის მხოლოდ ერთი ძაფი, ერთი ხაზი, მაგრამ ყველაფერი ერთისაგან შედგება. დანარჩენი არაფერია, როგორიც არ უნდა იყოს. ესაა დაუცხრომელი, მძაფრი წყურვილი სიმართლისა და ნამდვილისა ყოველგვარ ადამიანურობაში“. თვისება — „წყურვილისა სიმართლის და სინამდვილისა“ იწვევს კრიტიკულ დამოკიდებულებას არა მხოლოდ აღიარებული ავტორიტეტებისადმი, აღიარებული მუსიკალურ ნიმუშებისადმი, არამედ თავის თანამედროვეთა ახალი ნაწარმოებებისადმიც იყო სასარგებლო, მოეხმარო გარშემო მყოფთ, შთააგონო ახალი ნაწარმოებების შესაქმნელად — აი, რა სწამდათ მთელი სიცოცხლის მანძილზე სტასოვსა და ბალაკირევს.

როგორც უკვე ვთქვით, გლინკა იყო ბალაკირევისა და სტასოვის უსაყვარლესი კომპოზიტორი (აღსანიშნავია გლინკას აზრი ახალგაზრდა ბალაკირევის შესახებ: „მომავალში იგი მეორე გლინკა იქნებაო“). რუსული მუსიკის შექმნის ამოცანამ, რომელიც განავითარებდა გლინკას მიღწევებს, განსაზღვრა ბალაკირევის შემოქმედებისა და მისი მეთაურობით არსებული „ახალი რუსული სკოლის“ საერთო მიმართულება. ბალაკირეველები იყვნენ ახალი თაობის ადამიანები, რომლებიც აღიზარდნენ გოგოლის, ოსტროვსკის, ნეკრასოვის შემოქმედებაზე, ბელინსკის, დობროლუბოვის, ჩერნიშევსკის წერილებზე. გლინკას მემკვიდრეობით შთაგონებულებმა, „მოგუჩაია კუჩკამ“ (წრეში შედიოდნენ ც. ა. კიუი, მ. პ. მუსორგსკი, ა. ს. რიმსკი-კორსაკოვი, რომელსაც ბალაკირევი და სტასოვი მეთაურობდნენ, ომი გამოუცხადა რუტინასა და კონსერვატიზმს. ეს ჯგუფი იბრძოდა ეროვნული ხელოვნებისათვის, იცავდა და ავითარებდა ხალხურობას, რეალიზმსა და გამომსახველობით სიმართლეს.

1862 წელს ბალაკირევმა, გ. ლომაკინთან ერთად, დააარსა „უფასო მუსიკალური სკოლა“. „უფასო მუსიკალურ სკოლაში“ მოხდა ბალაკირევის განმანათლებელ შეხედულებათა პრაქტიკული განხორციელება. ამ სკოლის მოსწავლეთა შორის, ც. ა. კიუის სიტყვით, შეიძლებოდა გენახათ „ფაბრიკისა და დახლის ნოქრები, სასტუმროს მოსამსახურენი და საშუალო წრის ადამიანები“. ეს იყო სკოლა, „რომელშიც ყველას შეეძლო სიმღერის სწავლა უსასყიდლოდ და ნოტების უცოდინარად“.

„მოგუჩაია კუჩკა“ განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა „უფასო მუსიკალურ სკოლას“ და მიაჩნდა იგი არა მარტო რუსული ეროვნული მუსიკის პროპაგანდისტად, ხალხის აღმზრდელად, არამედ მუსიკალური განათლების გამავრცელებლადაც.

„უფასო მუსიკალური სკოლის“ კონცერტები გამოირჩეოდნენ გულმოდგინედ მოფიქრებული პროგრამით. პროგრამაში აუცილებლად იყო რუსი კომპოზიტორების ახალი ნაწარმოებები და შესრულებითაც მაღალ დონეზე იდგა. ორკესტრის დირიჟორი იყო ბალაკირევი— ნიჭიერი, შესანიშნავი მხატვრული გემოვნების მქონე. იგი გლინკას, დორგომიჟსკის, „რუსული სკოლის“ კომპოზიტორების, ბერლიოზის, ლისტის, შუმანის ნაწარმოებთა პროპაგანდას ეწეოდა. აი ასე ახასიათებს დირიჟორ-ბალაკირევს ს. ბულიჩი: „დიდებული ბუნებრივი მონაცემები, ფაქიზი მუსიკალური სმენა, ფენომენალური მეხსიერება, რის მეოხებითაც დეტალურად ახსოვდა ურთულესი საორკესტრო პარტიტურები, დახვეწილი გემოვნება და შესასრულებელი ნაწარმოების ფაქიზი გაგება — უფლებას გვაძლევდა გვეფიქრა, რომ ბალაკირევი დადგებოდა ბერლიოზის ანდა ვაგნერის, ხოლო ჩვენს თანამედროვეთა შორის ბიულოვის ნიკიშისა და მალერის მსგავსი ხელოვანი, პირველხარისხოვანი მხატვარი დირიჟორი“.

„უფასო მუსიკალური სკოლის“ ერთ-ერთი კონცერტის გამო კრიტიკულ სტატიაში კიუი წერს: „მეტად მნიშვნელოვანი იყო, ამ კონცერტის საორკესტრო განყოფილება, რადგან საზოგადოება საორკესტრო ნაწარმოებებს ისმენდა არა როგორც მომაბეზრებელ აქსესუარს და აუცილებელ ჩანამატებს სიმღერებს შორის, არამედ განსაკუთრებული კმაყოფილებით და „დედოფალი მაბი“, სასიმღერო ნომერთან შედარებით, არანაკლები წარმატებით მიიღეს; ბალაკირევს კი გულთბილად იძახებდნენო!“.

როგორც ჩანს, დირიჟორ-ბალაკირევის მიზანი იყო, არა „ცარიელი ადგილების“ შევსება, არამედ ის, რომ შეესრულებინათ მაღალმხატვრული სიმფონიური ნაწარმოებები იმისათვის, რათა ხალხს მუსიკალური განათლება მიეღო და აეთვისებია ყოველივე საუკეთესო მუსიკალურ ხელოვნებაში.

ბალაკირევის ინიციატივითა და მისივე დირიჟორობით 1867 წელს პრაღაში დაიდგა გლინკას ოპერა „რუსლანი და ლუდმილა“. ევროპის მუსიკალური სამყარო პირველად გაეცნო გლინკას გენიალურ ოპერას. ეს ბალაკირევის დიდი დამსახურება იყო. ამავე წელს ბალაკირევმა გამართა კონცერტი, რომლის პროგრამაშიც შედიოდა სლავი კომპოზიტორების ნაწარმოებები. „ყველა სახე გაცოცხლებულია, ვერ შეხვდებით ვერცერთ დაბნეულ მოწყენილ, ანდა გულგრილ სახეს; ჩანს, რომ აქ არის ხალხი, რომელთათვისაც მუსიკა — ძვირფასი ეროვნული ხელოვნებაა. დღევანდელ კონცერტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ყველა

მათთვის. სად შეეძლოთ ერთ საღამოს მოესმინათ სლავური მუსიკალური შემოქმედების ესოდენ მშვენიერი და წარმტაცი ქმნილებანი? სად შეეძლოთ მათ დასწრებოდნენ სლავი დირიჟორის ხელმძღვანელობით ასეთ მაღალ მხატვრულ დონეზე მდგარ ორკესტრს, როგორც დღეს? ბ-ნ. ბალაკირევის საბედნიეროდ, ეს კონცერტი იყო პირველი საყოველთაო სლავური კონცერტი და სლავური მიწაწყლის რჩეული ადამიანები მოვიდნენ, რათა დამტკბარიყვნენ მისი ნიჭით და გამოეთქვათ თანაგრძნობა" წერდა ამ კონცერტის გამო ვ. ვ. სტასოვი.

ნიჭიერი დირიჟორი ბალაკირევი ამავე დროს იყო გამოჩენილი პიანისტი. ა. რუბინშტეინთან შედარებით იგი იშვიათად გამოდიოდა მაყურებლის წინაშე, მაგრამ მისმა არახშირმა გამოსვლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა რუსული პიანიზმის ისტორიაში...

ბალაკირევი — პიანისტი მთავარ ადგილს უთმობდა მუსიკის იდეურ შინაარსს, ტექნიკა კი მისთვის წარმოადგენდა საშუალებას მთავარი აზრის გადმოსაცემად. იგი მტერი იყო ყოველგვარი მოჩვენებითობის, უტრირებისა და გარეგნული ეფექტის. ბალაკირევს შეეძლო აუდიტორიის მძლავრად დაპყრობა. მისი თანამედროვენი განსაკუთრებით უსვამენ ხაზს ბალაკირევისეულ შესრულების დამაჯერებლობას. ბალაკირევის უფლებამოსილი, მძლავრი პიანიზმი გამოირჩეოდა ფორმის სიცხადით, სიზუსტითა და გადმოსაცემი აზრის უბრალოებით; უდიდესი ნებისყოფა, კეთილშობილური ამღერებული ტონი, მკაფიო რიტმი, თითების სისწორე, განსაკუთრებით პასაჟებში, ასაფიევის მხატვრული გამოთქმით „თითქოს ზედაპირზე გაბნეულ ვერცხლის წყალს მოგაგონებდათ და ამასთან ერთად ზეშთაგონება", — ყველა ეს თვისება ბალაკირევის დაკვრას დაუვიწყარს ხდიდა. ბალაკირევი უდაოდ პირველხარისხოვანი პიანისტი იყო: როგორც პიანისტს მას რუბიშტეინზე ნაკლებ არ აფასებდნენ. ბალაკირევისადმი მიწერილ სტასოვის წერილში ვკითხულობთ: „მიტია (დიმიტრი სტასოვი ვ. ვ. სტასოვის უფროსი ძმა იყო), თავის წერილში რომელიც ჩემი არ ყოფნის დროს მოვიდა, სხვათა შორის, წერს:„ ლონდონში ჩამოსვლისას, ერთ-ერთ ინგლისურ გაზეთში რუბინშტეინის კონცერტის გამო შემდეგი წავიკითხე „ლისტისა და ტალბერგის შემდეგ რუბინშტეინი უდიდესი პიანისტია, რომელიც ინგლისში ჩამოვიდა, იგი ღირსეული წარმომადგენელია იმ ქვეყნისა, რომელიც ყოველდღიურად იხვეჭს უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას მუსიკალურ ურთიერთობაში და რომლის შემსრულებელთა შორის ითვლება ბალაკირევი, მეორე ძალზე მაღალი ღირებულებისა და თითქმის ევროპის რეპუტაციის პიანისტი" აკადემიკოსი ბ. ვ. ასაფიევი წერს — „ბალაკირევი იყო ძლიერი, გიგანტ ანტ. რუბინშტეინის ძალზე ძლიერი მეტოქეო".

როგორც თანამედროვენი იგონებენ, ბალაკირევს არ ჰყვარებია საჯარო გამოსვლები, მაგრამ თურმე ხშირად უკრავდა თავის მეგობართა შორის და უკრავდა ყოველთვის ხალისით და ბევრს.

ბალაკირევი, თავისი შესანიშნავი მხატვრული გემოვნებისა და ფენომენალური მეხსიერების წყალობით, განსაკუთრებით კარგად ასრულებდა შოპენსა და ლისტს. სალონურობის მტერი ბალაკირევი შოპენს ასრულებდა უფლებამოსილად და ვაჟკაცურად, განსაკუთრებულად გრძნობდა შოპენის მუსიკის მკაცრ ტრაგიზმს. ბალაკირევის შესრულებით შოპენის მუსიკა იძენდა ახალ თვისებებს. ახლებურად ჟღერდა, მაგრამ ამავე დროს ყოველთვის დამაჯერებელი იყო.

„თავდაპირველად დაკვრა ახდენდა თითების მშრალი მოძრაობის შთაბეჭდილებას, მაგრამ მკაცრსა და მტკიცე რიტმშიც იგრძნობოდა უფლებამოსილობა. არავითარი ნერვიულობა! ყოველ მოქცევაში ისმოდა: აი, მე ასე მესმის, თქვენ კი, აქ მყოფნი უსიტყვოდ უნდა დამემორჩილოთო. პედალს ხშირად არ ხმარობდა, მაგრამ შოპენისეული მარგალიტები ბრწყინავდა, როგორც ზედაპირზე დაბნეული ვერცხლის წყალი. ფორმა იჭედებოდა არქიტექტონიულად მოკვეთილ ჩამოქნილ თანაბარ ნაწილებისაგან (განსაკუთრებით მაზურებში). საერთოდ. ყოველი დეტალი შოპენის ნაწარმოებისა გადმოიცემოდა ბალაკირევისეული რიტორულად" წერდა ბ. ვ. ასაფიევი.

ბალაკირევის ღრმა სიყვარული შოპენისადმი გამოიხატა გენიალური პოლონელი კომპოზიტორის ძეგლის დადგმის ინიციატივაში. 1894 წ. 5 ოქტომბერს ვარშავაში გაიმართა კონცერტი, სადაც ბალაკირევი შოპენის ნაწარმოებებს ასრულებდა. ბალაკირევს მიართვეს ვერცხლის გვირგვინი წარწერით: „მ. ბალაკირევს შოპენის ძეგლის გახსნის აღსანიშნავად ჟელიაზოვა ვოლაში 1894 წლის 14 ოქტომბერს, ვარშავის მუსიკალური საზოგადოებისაგან".

1910 წ. 9 თებერვალს შოპენის დაბადების 100 წლისთავისათვის „უფასო მუსიკალურმა სკოლამ" მოაწყო კონცერტი. კონცერტზე ამ შემთხვევისათვის სპეციალურად დაწერილი ლიაპუნოვის სიმფონიური პოემის „ჟელიაზოვა ვოლასთან" ერთად, შესრულებულ იქნა ბალაკირევის სუიტა შოპენის ნაწარმოებებიდან და ორივე საფორტეპიანო კონცერტი ი. გოფმანის შესრულებით. პირველი კონცერტი ხელახლა გააორკესტრა ბალაკირევმა.

ბალაკირევის მიერ შოპენის მრავალი ნაწარმოები იქნა გადაღებული ფორტეპიანოს, ორკესტრის, გუნდისა და სიმებიანი კვარტეტისათვის. ბალაკირევ-კომპოზიტორს შეეძლო დაემორჩილებინა თავისი ჩანაფიქრისათვის ფორ-

ტეპიანოს მდიდარი შესაძლებლობა. იგი იყო რუსული პიანიზმის ერთ-ერთი შემქმნელი. ბალაკირევის პიანიზმის ძირითადი თვისებებია: ვაჟკაცურობა, დრამატიზმი, მონუმენტალობა, ამასთან ერთად გულითადობა, უშუალობა და ლირიკული ჰვრეტა.

მისი საფორტეპიანო ნაწარმოებთა უმრავლესობა, მათ შორის სონატა, კონცერტი, აღმოსავლური ფანტაზია „ისლამეი“ და მთელი რიგი საფორტეპიანო ტრანსკრიპციებისა გვაოცებენ სტილის თავისებურებით, — ძლიერი სუნთქვითა და ვაჟკაცობით. ბალაკირევი — ბრწყინვალე იმპროვიზატორი, თხზავდა ძალზე ნელა, უაღრესად კრიტიკულად ეკიდებოდა თავის შემოქმედებას. ამ თვისებამ მის ზოგიერთ გვიანდელ პერიოდის ნაწარმოებს რამდენადმე გონებითობის დაღი დაასვა.

ბალაკირევის ძირითადი ნაწარმოებებია—მუსიკა უ. შექსპირის ტრაგედის „მეფე ლირისათვის“, პეტერბურგში მ. ი. გლინკას ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი კანტატა, უვერტიურა ესპანური მარშის თემაზე, ესპანური უვერტურა, უვერტურა სამი რუსული ხალხური სიმღერის თემაზე, ორი სიმფონია, სუიტა-შოპენიანა, უვერტურა ჩეხურ თემებზე, სიმფონიური პოემა „თამარი“ ლერმონტოვის მიხედვით, აღმოსავლური ფანტაზია „ისლამეი“, საფორტეპიანო კონცერტი, მრავალი საფორტეპიანო ნაწარმოებები, რომანსები, გლინკასა და შოპენის ნაწარმოებთა საფორტეპიანო ტრანსკრიპციები და სხვ.

ბალაკირევს ძალიან უყვარდა მ. ლერმონტოვი. სტასოვისადმი მიწერილ წერილში (1862 წ. 15/7) იგი წერს: „ჩვენ ბევრ რამეში ვემთხვევით ერთმანეთს, ბევრია ისეთი სიმი, რომელსაც აჟღერებს ლერმონტოვი და რომელიც ჩემშიც იწვევს გამოძახილს, ვერასოდეს შევძლებდი პუშკინთან ასეთ შეთანხმებას, მიუხედავად მისი გენიალური სიმწიფისა. ლერმონტოვს რომ ორმოცი წელი ეცოცხლა, იგი იქნებოდა ჩვენთაგან პირველი და პირველთაგანი მთელს ქვეყანაზე“. ბალაკირევმა დაწერა მთელი რიგი შესანიშნავი რომანსებისა ლერმონტოვის ტექსტებზე. მათ შორის ისეთები, როგორიცაა „სიზმარი“, „ებრაული მელოდია“, ესენი ბალაკირევის დეკლამაციის ნიმუშებია. „ოქროს თევზის სიმღერა“ მისი ერთი პოპულარული რომანსთაგანია. ფაქიზი ბალაკირევისეული ლირიკის ნიმუშებია „როს შენი ხმა მესმის“, „რისთვის“ და სხვა. ლერმონტოვის ტექსტმა ბალაკირევის ერთ-ერთი უდიდესი ნაწარმოებისათვის პროგრამის როლი შეასრულა, ეს არის სიმფონიური პოემა „თამარი“. ბალაკირევს ლერმონტოვმა და პუშკინმა შეაყვარა კავკასიის ბუნება. „იალბუზი, მოციმციმე ვარსკვლავები, ციცაბო კლდეები, თოვლიანი მთები კავკასიის უზარმაზარი უფსკრულები — აი რით და სად ვცხოვრობ ჯერჯერობით. როგორც კი გავიღვიძებ, მივდივარ სახეტიალოდ ციცაბო კლდეებზე, ვიგონებ აკადემიკოს ბერის სტატიებს, რომელსაც თქვენი საშუალებით გავეცანი; ვღიღინებ მანფრედს და მხოლოდ იშვიათად თუ დაარღვევენ გარეული თხები ჩემს მყუდროებას. მე სულ მარტო ვარ. მინდა ჩავიდე თბილისში“. სწერდა იგი სტასოვს პიატიგორსკიდან 1863 წ. 3 ივნისს.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ლიტერატურის ინსტიტუტის არქივში პიპინის წერილებს შორის. (პიპინების არქივი), ინახება ბალაკირევის მიერ ნავარჯიშევი ქართულ ენაზე .მას დაწერილი აქვს მრავალი სიტყვა და ნაცნობების გვარები ქართულად (მაგალითად: ბილიკი, გალობა, ბარათი, დროშა, თათარი, პატარა ქალაქი. ბებერი, გენებოს, კომისარჟევსკი, კალინინ და სხვა).

1863 წ. 8.10 სტასოვისადმი წერილში ბალაკირევი წერს: „წარმოდგენა რომ იქონიოთ ქართულ ასოებზე ქართულად მოვაწერ კიდევ ხელს (წერილზე მოწერილია — მ. ბალაკირევი ქართულად) რიმსკი — კორსაკოვს წერილში ბალაკირევი ასე მიმართავს, „ძვირფასო ნიკო“. და ფრჩხილებში დასძენს ეს სახელი ქართულად ასე წარმოითქმებაო. ასეთივე მიმართვით იწყებს ის რამდენიმე სხვა წერილსაც. ხოლო პრაღიდან გამოგზავნილ წერილში 1857 წ. 5 მაისს მან თავისი მეგობარი „საყვარელ ნიკოლაძედაც“ კი მონათლა. ბალაკირევის ასეთი გატაცება ქართული ენით არ იყო შემთხვევითი. ის ღრმად იყო დაინტერესებული საქართველოთი და კერძოდ ქართული მუსიკალური კულტურით. ბალაკირევი მეტად მაღალ შეფასებას აძლევდა ქართულ ხალხურ სიმღერებს და მათში საკუთარი შთაგონების წყაროსაც ხედავდა. ერთ-ერთ თავის წერილში რიმსკი-კორსაკოვისადმი ბალაკირევი სწერს: „ზაფხული კავკასიაში გავატარე, ვიყავი თბილისში. ჩავიწერე მრავალი ქართული ხალხური სიმღერა (მათ ახასიათებთ: სინაზე, იდეალურობა, სიმსუბუქე, გრაცია, ხანდახან ძლევამოსილება)... ბუნება აქ ისეთია, რომ ვფიქრობ ღირს თქვენს ნიაგარად“ (14/12 — 63 წ.).

ცნობილია, რომ თბილისში ყოფნისას ბალაკირევმა კოჯორში გაიცნო ჭაბუკი ქართველი მედუქნე, რომელიც ფანდურზე ქართულ სიმღერებს ამღერებდა. ფანდურის ხმოვანებამ კომპოზიტორზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მან იმდენად შეითვისა ქართული მუსიკის კილო და წყობა, რომ თავისუფლად შეეძლო ფორტეპიანოზე ქართული საკრავების მიბაძვით იმპროვიზირება. ერთხელ, ასეთი იმპროვიზაციის დროს, მან სახტად დატოვა მთიული გლეხები, რომელნიც გაოცებით უსმენდნენ ჩამოსულ უცხო პიანისტს, მათს მშობლიურ მუსიკას რომ ასრულებდა.

ბალაკირევმა ერთხანს თბილისში სამუდამოდ დასახლებაც კი გადაწყვიტა და ოცნებობ-

და აქ მუსიკალური საზოგადოების, (რუსული მუსიკალური საზოგადოების განყოფილების), დაარსებაზე, ქართული და საერთოდ აღმოსავლურ-მუსიკალური კულტურის უფრო ღრმად შესწავლისა და მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის გაცნობის მიზნით. ბალაკირევი დარწმუნებული იყო, რომ არსებობდა ყველა მონაცემი და საფუძველი აქ მუსიკალური კულტურის ევროპული მუსიკის მწვერვალების დონემდე ასაყვანად. არც თუ ისე შორეულ მომავალში, ბალაკირევის ეს წინასწარმეტყველება, როგორც ცნობილია, სავსებით გამართლდა. ამავე დროს ბალაკირევს უნდოდა თბილისის მკვიდრთათვის მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებები მიეწვდინა. აი რას სწერდა იგი თავისი გეგმების შესახებ გამოჩენილ ფრანგ კომპოზიტორს. ჰექტორ ბერლიოზს: „იქნებ უკვე მომავალ გაზაფხულზეც თბილისში — კავკასიის ამ დედაქალაქში ქართველები, სომხები, სპარსელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები... მოისმენენ ჩვენი დირიჟორობით ბეთჰოვენისა, შუმანისა, გლინკას, შუბერტის მუსიკას და, რა თქმა უნდა, თქვენს მუსიკასაც, რომელსაც მე ასე დიდად ვაფასებო". პეტერბურგში ჩასვლისას ბალაკირევი ხშირად სიამოვნებით ასრულებდა კავკასიაში გაგონილ ხალხურ მელოდიებს. იგი უღვივებდა სიყვარულს აღმოსავლური ხალხური მუსიკისადმი თავის მოწაფეებსა და „მოგუჩაია კუჩკის" წევრებს. რიმსკი — კორსაკოვი იხსენებდა, რომ მისი გატაცება აღმოსავლური მუსიკით გამოწვეული იყო ბალაკირევის დაუვიწყარი იმპროვიზაციების შთაბეჭდილებებით. თვით ბალაკირევის შემოქმედებაშიც ქართული და კავკასიური მუსიკისადმი ინტერესმა ღრმა კვალი გაავლო. საკმარისია დავასახელოთ ბალაკირევის აღმოსავლური ფანტაზია ფორტეპიანოსათვის— „ისალმეი", სიმფონიური პოემა „თამარი" (ლერმონტოვის მიხედვით), „ქართული სიმღერა" და სხვ., რომლებშიაც აშკარად იგრძნობა ქართული ცეკვების დამახასიათებელი მძაფრი რიტმი, გადმოცემულია ქართული ხალხური საკრავების ჟღერადობა და შეიმჩნევა ნათესაობა ქართულ კილოებთან.

60-იანი წლების დასასრულს ბალაკირევმა უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა რუსეთის მოწინავე მუსიკოსთა წრეებში, სათავეში ჩაუდგა რუსული მუსიკალური საზოგადოების კონცერტებს, და როგორც სტასოვისადმი 1888 წ. მინაწერი წერილიდან ჩანს, უკან არ იხევდა თავის მოწინავე დემოკრატიული მიმართულებიდან, „ყოველთვის ახერხებდა მოეპოვებინა პირადი შეხედულებით პროგრამის შედგენის უფლება".

რუსეთის მუსიკალურ საზოგადოებაში ბალაკირევის მოსვლისთანავე მკვეთრად შეიცვალა კონცერტების მიმართულება. (ბალაკირევამდე ამ საზოგადოების კონცერტებზე სრულდებოდა უპირატესად მე-18 საუკ. დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისის დასავლეთევროპული მუსიკა, რუს კომპოზიტორებს გვერდს უვლიდნენ. ლისტის, შუმანისა და ბერლიოზის ნაწარმოებებს სრულებით არ ასრულებდნენ. ბალაკირევმა მოიწვია ბერლიოზი რუსეთში კონცერტებზე. ბალაკირევის მიერ შედგენილმა პროგრამებმა (მათში შეტანილი იყო მოწინავე რუსი კომპოზიტორების: გლინკას, დორგომიჟსკის, ბოროდინის, რიმსკი-კორსაკოვის და დასავლეთევროპელთა — ბეთჰოვენის, შუმანის, ბერლიოზის, ლისტის ნაწარმოებები) მიიზიდეს საზოგადოება ამ კონცერტებზე.

ბალაკირევისა და რუსული სკოლის მიღწევები, რუსეთის მუსიკალური საზოგადოების კონცერტების პროგრამების შინაარსის შეცვლა, „უფასო მუსიკალური სკოლის" პროგრესული, დემოკრატიული მიმართულება არ მოსწონდათ რუსეთის მმართველ წრეებს და პროფესიულ მტრებს. ბალაკირევი მაინც განაგრძობდა თავის პროპაგანდისტულ-განმანათლებლურ მოღვაწეობას. ბალაკირევი გადააყენეს რუსეთის მუსიკალური საზოგადოების კონცერტების დირიჟორობიდან .მისი მტრები სთხოვდნენ ბერლიოზს პრესაში გამოელანძღა ბალაკირევი და ექო გერმანელი დირიჟორი ზეიფრიცი. ბერლიოზმა უარი სთქვა უარყოფითი აზრი გამოეთქვა ბალაკირევზე, რომელსაც იგი დიდად აფასებდა და მაღლა აყენებდა, როგორც მუსიკოსსა და ადამიანს. მეფის ხელისუფლებისა და იმდროინდელი მუსიკალური მოღვაწეებისა და კრიტიკოსების სამარცხვინო დამოკიდებულება ბალაკირევისადმი, რომელთაც ბალაკირევის თქმით ახალ რუსულ დამოუკიდებელ მუსიკაში ბარბაროსობის ნიშნად მიაჩნდათ, ერთეული მოვლენა როდი იყო. ასეთივე გარემოცვაში მეფის კარის არისტოკრატთა წრეებსა და იმდროინდელი მუსიკოსების სრულ გულგრილობაში უხდებოდა ცხოვრება გლინკასაც.

ლისტის მიერ გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ „მსახიობისათვის ძალზე ძნელია გზის გაკაფვა რუსეთში, რადგან მას მსახიობად ამტკიცებს არა ხალხის აზრი, არამედ მეფის კარის გადამწყვეტი ძალა და აზრი, რაც, ცხადია, შემთხვევითობაზეა დამოკიდებულიო" ბრწყინვალედ დაადასტურა ბალაკირევისადმი დამოკიდებულებაში. მოგვყავს სტასოვის მიერ 1896 წ. 7/11 ბალაკირევისადმი მინაწერი წერილი: „მილი, გაიხარეთ, რა კარგად მიდის ჩვენთან რუსული მუსიკა და რუსული სკოლის საქმეები. რამდენიმე დღის წინათ (ყველიერში), მეფის ოჯახი ოპერაში იყო. თეატრის დირექტორი ანტრაქტის დროს აცნობდა ხელმწიფეს, რომელი ოპერების დადგმას ფიქრობენ მომავალ წელს. როდესაც ლაპარაკის დროს რუსული ოპერა „ბორის გოდუნოვი" დაასახელეს, ხელმწიფე იმპერატორმა თქვა: „ეს ხომ

ბალაკირევის სკოლაა! არაა საჭიროო", და ამით დამთავრდა ყველაფერი. რუსულიდან ნებას რთავენ დადგან „ოპრიჩნიკი", რადგან, ჩაიკოვსკი „დედოფალს უყვარს". დანარჩენი კი უცხოურია. აი, როგორი მდგომარეობაა დღესდღეობით ჩვენთან რუსულ მუსიკაში".

ბალაკირევის ჩამოცილებამ რუსული მუსიკალური საზოგადოების კონცერტების მმართველობიდან აღაშფოთა მთელი მოწინავე მუსიკალური საზოგადოება. ჩაიკოვსკიმ „სოვრემენნი ლეტოპისში" დაბეჭდა სტატია, რომელიც ასე მთავრდებოდა: ბალაკირევს ახლა შეუძლია თქვას, რაც აღმოთქვა რუსული სიტყვიერების მამამ, როდესაც მიიღო მეცნიერებათა აკადემიიდან მისი გაძევების ცნობა: „აკადემია შეუძლია მოაშორონ ლომონოსოვს, მაგრამ ლომონოსოვის აკადემიიდან მოშორება შეუძლებელიაო".

ს. ბულიჩი, ამ სამარცხვინო ინცინდენტის შესახებ წერდა: „რუსეთის მწარე სინამდვილემ აქაც იჩინა თავი: ბრწყინვალედ დაწყებული კარიერა საიმედო დირიჟორისა, უხეშად და ბარბაროსულად იქნა მოწყვეტილი კულისებს შიგნითა ინტრიგებით, უპასუხისმგებლო ხელისუფალთა სფეროს ჩარევით, რომელთაც ცოტა რაიმე თუ გაეგებათ ხელოვნების საქმეში: ნიჭიერი, ძალღონითა და შემოქმედებითი ჩანაფიქრით აღსავსე, რუსი ხელოვანი შეუბრალებლად იქნა გადაგდებული, მოწყვეტილი საყვარელ საქმეს, და ყველა ჭეშმარიტი მუსიკოსის აღსაშფოთებლად შეცვლილი იქნა უცხოეთიდან შემოტანილი არარაობით, რომლის სახელიც დიდიხანია უკვალოდ გაქრა დავიწყების მორევში".

რუსეთის მუსიკალური საზოგადოების დირექციის საპასუხოდ, სტასოვმა და ბალაკირევის მეგობრებმა პროტესტის ნიშნად ბალაკირევს მოუწყეს ზეიმი ქალაქის სათათბიროს დარბაზში. ბალაკირევს დაფნის გვირგვინი მიართვეს ადრესით, ხელის მომწერთა რიცხვში იყვნენ: ლუდმილა შესტაკოვა (მ. ი. გლინკას და), ვ. ვ. სტასოვი, ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვი, ც. ა. კიუი, მ. პ. მუსორგსკი, თედორე მაჭავარიანოვი, დიმიტრი მაჭავარიანოვი (მაჭავარიანები) და სხვ.

მაგრამ წარუმატებლობა და უბედურება მუდამ თან სდევდა ბალაკირევს: „უფასო მუსიკალურმა სკოლამ" ფინანსური კრახი განიცადა. ბალაკირევმა „უფასო მუსიკალური სკოლის" ხელშესაწყობად კონცერტი გამართა ნიჟნი-ნოვგოროდში და გამოვიდა როგორც პიანისტი. კონცერტმა ბალაკირევის იმედი არ გაამართლა. ყოველმა ღონისძიებამ „უფასო მუსიკალური სკოლის" ხელშესაწყობად ფუჭად ჩაიარა. ამავე წელს ბალაკირევს მამა გარდაეცვალა. მძიმე მატერიალურმა მდგომარეობამ, უფულობამ, რაც მთავარია — ზნეობრივი მხარდაჭერისა და დასაყრდენის უქონლობამ, საკუთარი შემოქმედებითი ძალების ფართოდ გამოყენების შეუძლებლობამ, გატეხეს ბალაკირევის სულიერი ძალა და აიძულეს იგი უარი ეთქვა მუსიკალურ მოღვაწეობაზე. ბალაკირევი ჩამოსცილდა თავის ამხანაგებს და „უფასო მუსიკალურ სკოლას", მოეწყო ვარშავის რკინიგზის სამმართველოში მოხელედ. სტასოვი, რომელიც ძლიერ მაღლა აყენებდა ბალაკირევს, როგორც ადამიანს, და აფასებდა მის არაჩვეულებრივ ნიჭს, ცდილობდა მის მუსიკალურ სარბიელზე დაბრუნებას: „რა დიდი შთაბეჭდილება დატოვა გუშინ რუბინშტეინის კონცერტზე თქვენმა „ისლამეიმ", არა მარტო ჩემზე, არამედ მთელს ჩვენს მუსიკალურ საზოგადოებაზე, იქ მყოფთ დიდი ხანია არ მოესმინათ ეს საოცარი ქმნილება, ჩვენ მით უფრო ძლიერ და ღრმად ვიყავით გაოცებულნი, და როდესაც ანტრაქტზე ერთმანეთს ვხვდებოდით, ერთხმად შემოგძახოდით „დიდებას!" კიდევ ერთხელ ვწუხდით, რომ თქვენ ცხოვრების ყველაზე გადამწყვეტ დროს უეცრად ჩამოხვედით მაღალ კვარცხლბეკიდან და მოგვიკეტეთ კარი, ღმერთმა უწყის, რამდენი ხნით.

არც დროსთან, არც ნიჭთან და არც ხელოვნებასთან არ შეიძლება ხუმრობა და ექსპერიმენტები თუ მუსიკას ერთი ნაბიჯით ჩამორჩით, ის თქვენ ათ ნაბიჯზე გაგეცლებათ! იგი შურს იძიებს უყურადღებობისა და აბუჩად აგდებისათვის, თუნდაც დროებით იყოს ეს, გამოიღვიძეთ, აღსდექით!! შემოიკრიბეთ ისევ თქვენი შესანიშნავი ძალღონე, დაიწყეთ ისევ თქვენი შესანიშნავი მოღვაწეობა. ნუთუ არ მოგკითხავენ ერთხელ: „რა იქნა ის ალმასი, რომელიც ბოძებული გქონდათ დაბადებიდან — ნიჭი და ძალა, უჩვეულო ნიჭი, გავლენა თანამედროვეებზე". ნუთუ ყოველივე ეს უნდა დაიმარხოს და ტალახში ჩაიფლას? გამოღვიძეთ, მილი, აღსდექით და დაადექით ისევ დიდ გზას, რომელიც თქვენ ასეთი უსაზღვრო ბრწყინვალებით დაიწყეთ ჩვენში". 70-იანი წლების დასასრულს ბალაკირევი უბრუნდება მუსიკალურ სამყაროს: აღარ გაურბის ძველ მეგობრებს და ისევ შემოქმედებას ჰკიდებს ხელს. მაგრამ 60-იანი წლების და 80-იანი წლების ბალაკირევს შორის დიდი განსხვავებაა. წინანდელი ბალაკირევი — ენერგიული, ცეცხლით სავსე, დემოკრატიული შეხედულებებით თავისუფლად მოაზროვნე, გადაიქცა კარჩაკეტილ, მორწმუნე ადამიანად, კონსერვატორად. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მძიმე წლებშიაც კი ბალაკირევს აინტერესებდა ახალგაზრდა კომპოზიტორთა შემოქმედება.

1881 წ. ბალაკირევი უბრუნდება „უფასო მუსიკალურ სკოლაში" მუშაობას, ისევ ხელს კიდებს მუსიკალურ შემოქმედებას.

1882 წლიდან სათავეში უდგას სამეფო კარის მომღერალთა კაპელას, აგრძელებს განმანათლებელ და აღმზრდელობით მუშაობას.

1894 წ. თავს ანებებს კაპელაში მუშაობას. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ცხოვრობს განმარტოებით, ეწევა შემოქმედებით მუშაობას გამოდის მხოლოდ მეგობართა და მოსწავლეთა ვიწრო წრეებში. იგი თანდათან კარჩაკეტილი ხდება, შორდება თავის მეგობარს ვ. სტასოვს იმდენად, რომ სტასოვის სამოცდაათი წლის საიუბილეო ზეიმს მხოლოდ გაზეთის საშუალებით გებულობს.

ლენინგრადის თეატრალური და მუსიკალური ინსტიტუტის არქივში შენახულია ადრესი, რომელიც გაუგზავნეს ბალაკირევს 1906 წლის 21 დეკემბერს (მისი დაბადების სამოცდაათი წლის თავზე) „რუსული მუსიკალური გაზეთის“ რედაქციამ და თანამშრომლებმა. ხელისმომწერთა რიცხვში არიან ქართველი კომპოზიტორები: მელიტონ ბალანჩივაძე და დიმიტრი არაყიშვილი, რომლებიც რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ.

„ახალი რუსული სკოლის“ მოღვაწეთა ორგანიზატორმა და აღმზრდელმა ბალაკირევმა დიდი როლი ითამაშა რუსული ნაციონალური მუსიკის განვითარებაში. ა. კოპტიაევი ბალაკირევის დახასიათებისას წერდა: „მ. ა. ბალაკირევის პიროვნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მუსიკის ისტორიაში. მე მას შევარქმევდი მუსიკის ივანე კალიტას, „რუსული მიწის შემკრებს“ მუსიკაში. მან გააერთიანა ჩვენი ხელოვნება, თუმცა არა მთლიანად, მაგრამ ერთ წრეში მაღლა ასწია ეროვნული დროშა და დავგრაზმა, როგორც მუსიკალური ერი“.

ბალაკირევის შემოქმედება — ხალხური, იდეური, ღრმად ეროვნული და რეალისტურია. ბალაკირევ-მუსიკოსის განმანათლებლური მოღვაწეობა ხალხისკენ იყო მიმართული, თვითონ ცხოვრებასთან დაკავშირებული ბალაკირევი ისწრაფვოდა ჩაენერგა მუსიკალური ხელოვნება მოსახლეობის ყველა ფენისათვის, აღეზარდა და გაენათლებინა ხალხი. ამ მიზნით მან შექმნა „უფასო მუსიკალური სკოლა“.

ბალაკირევის გავლენა ვრცელდება არა მარტო „ახალი რუსული სკოლის“ კომპოზიტორებზე, არამედ „მოგუჩაია კუჩკას“ გარეთ მყოფ თანამედროვე კომპოზიტორთა შემოქმედებაზეც.

ბალაკირევის დიდი დამსახურება იმაშია, რომ იგი არის გლინკას მემკვიდრეობის პირველი პროპაგანდისტი. გლინკას მემკვიდრეობას პროპაგანდას უწევდა არა მხოლოდ ბალაკირევი-დირიჟორი დირიჟორის პულტთან არამედ ბალაკირევი-პიანისტი ინსტრუმენტთან და ბალაკირევი — კომპოზიტორიც. მან დაწერა გლინკას ნაწარმოებების შესანიშნავი ტრანსკრიპციები, რომლებიც ფორმით შინაარსით, მასალის გადმოცემის ოსტატობით, სრულებით განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივ იმდროინდელი ტრანსკრიფციებისაგან.

„თქვენ მხოლოდ ერთი ხართ მთელი ჩვენი ახალი სკოლიდან, რომელიც ზრუნავთ ჩვენსა და ევროპულ დიდ ქმნილებებზე, ეძიებთ და პროპაგანდას უწევთ მათ ყოველ დღე და ყოველ საათსო“. სწერდა სტასოვი ბალაკირევს.

ბალაკირევის შემოქმედება მის სიცოცხლეში ბევრის მიერ არ ყოფილა დაფასებული. აღსრულდა სტასოვის სიტყვები: „...დადგება დრო, როდესაც მთელი რუსეთი გახდება ისეთი, რაც სურდათ ოდესღაც მხოლოდ რჩეულებს“. ეს დრო დადგა, შესანიშნავმა კომპოზიტორმა, პედაგოგმა, ნიჭიერმა პიანისტმა, დირიჟორმა, მშობლიური მუსიკის მგზნებარე პროპაგანდისტმა ბალაკირევმა ნამდვილი, საყოველთაო აღიარება მოიპოვა ჩვენს დროში.

# ლიტერატურული მემკვიდრეობა

ალ. ბარამიძე

★

## ქილილა და დამანას ახალი გამოცემის გამო*

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ აქვეყნებს დიდი ქართველი მწერლის სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა კრებულს ოთხ ტომად (პირველი ტომი უკვე გამოვიდა). ოთხტომეულში შედის ქილილა და დამანაც. შესაძლებელია დაისვას კითხვა, რამდენად სწორად მოიქცა ოთხტომეულის მთავარი სარედაქციო კოლეგია (ირ. აბაშიძე, ილ. აბულაძე, ალ. ბარამიძე, ვ. დონდუა, ქ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, ა. შანიძე), როდესაც სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებში შეიტანა მსოფლიო ლიტერატურის ამ შესანიშნავი ძეგლის ქართული ვარიანტი.

ქართულ ენაზე მოიპოვება ქილილა და დამანას სამი ძირითადი რედაქცია. თხზულების თარგმნა დაუწყია კახეთის მეფე დავითს, თეიმურაზ პირველის მამას. დავითი გარდაიცვალა 1602 წელს. მას მოუსწრია ქილილა და დამანას მხოლოდ ერთი, შედარებით მცირე ნაწილის გადმოღება (კუ და მორიელის არაკამდის). დავითის თარგმანი ვახტანგ VI-ის თაოსნობით დაასრულა ორმა უცნობმა მწიგნობარმა. ამ თარგმანის ტექსტი 1712—1714 წლებში, ისპაჰანში (სპარსეთში) ყოფნის დროს, სპარსულ დედანს შეუდარა, ნაწილობრივ შეასწორა და ლექსებით გააწყო თვითონ ვახტანგმა. ვახტანგის საკუთარი ხელით ჩასწორებული ხელნაწერი თარგმანისა დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S3177). ეს არის ქილილა და დამანას ქართული თარგმანის პირველი რედაქცია.

ვახტანგი მაინც არ იყო კმაყოფილი ქილილა და დამანას პირველი თარგმანით („ლექსი, სიტყვა და განწყობა ბევრი აკლდაო“).

1714 წელს ვახტანგი ისპაჰანიდან ქირმანში გადაასახლეს ურჩობისათვის. „რა მიველ მუნ, — მოგვითხრობს, — წიგნი სარგონი არ მახლდა, და ცუდად ყოფნა სულისაც მაზიანებელად ვნახე და ხორცის საწუხარადაც. სხვა საქმე არა მქონდ რა, ამის (ქილილა და დამანას) შექცევას გამოვეკიდეო“. ვახტანგს პირწმინდად თავიდან ბოლომდის გადმოუთარგმნია ვეებერთელა თხზულება, კერძოდ სპარსული ლექსები ქართულად გადმოულია ზუსტი პწკარედით. თარგმანის დასრულების შემდეგ ვახტანგი შედგომია ლექსების გაწყობას. მაგრამ სანამ ტექსტს გამართავდა, შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია, იგი დაინიშნა ქართლის მეფედ და ერანის სპასალარად, კვლავ პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში ჩაება. ქილილა და დამანა გაუჩალხავი დარჩა. ქილილა და დამანას ამ თარგმანის დედანი, ვახტანგის უამრავი ავტოგრაფული ჩანაწერებითა და შენიშვნებით, მოღწეულია ჩვენს დრომდის და დაცულია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში (ბროსეს კოლექციის № 16(47). ესაა ქილილა და დამანას ქართული თარგმანის მეორე რედაქცია. ეს რედაქცია ჩამოყალიბდა 1714—1716 წლებში.

ქილილა და დამანას ვახტანგისეული თარგმანი შესრულებულია საქმის კარგი ცოდნით, გულისხმიერებითა და სიყვარულით. ოღონდ, როგორც ვთქვით, მას სჭირდებოდა დახვეწა და ლექსებით გაწყობა. ეს საქმე ვახტანგმა დაავალა ევროპიდან დაბრუნებულ სულხან-საბა ორბელიანს. „ეს ჩემი ჭირნახული გაჩალხე გემოანად და სადაც ლექსები ჩართული იყოს, აგრევე ქართულად ლექსები ჩაურთეო“, მიუწერია ვახტანგს საბასათვის. საბას უარი ვერ უთქვამს, თუმცა „მონაზვნისაგან ამისთანა ამბავი უწესოა და ურიგოო“, აცხადებს.

სულხან-საბა ორბელიანის სამართლიანი მოსაზრებით, სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ტექსტს აუგემურებს, მთარგმნელმა „ზოგან წინა უკან უნდა მოიყვანოს, და ზოგან ართრონი არ მოუმატოს, ან დააკლოს, თვარამ სწორადრე

* „მნათობის“ რედაქციაში შემოვიდა რამდენიმე პირის შეკითხვა, თუ რატომ არის შეტანილი სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებთა კრებულში „ქილილა და დამანა“, რომელიც მკვლევარების აზრით საბას ნაშრომს არ წარმოადგენს. ამ საკითხის გამო რედაქციამ მიმართა პროფ. ალ. ბარამიძეს, რომლის განმარტებას აქ ვბეჭდავთ.

უგემური მოვაო“. თავისი პრინციპის კვალობაზე სულხან-საბა ორბელიანს ძირიან-ფესვიანად გადაუმუშავებია ვახტანგისეული თარგმანის პროზაული ნაწილი, დაუხვეწავს, გაუთავისუფლებია პწკარედის კონსტრუქციული და ლექსიკური ბარბარიზმებისაგან, ტექსტისათვის მიუცია ნამდვილი ქართული, ნაციონალური იერი, „გემოანად გაუჩალხავს“. კიდევ უფრო მეტი შრომა გაუწევია სულხან-საბას თხზულების გალექსვაზე. ქილილა და დამანას მთელი პწკარედი მას გაუწყვია მაღალი მხატვრული გემოვნებით. რაც მთავარია, დაურღვევია ქართული ლექსთწყობის ძველი ნორმები და რიგი ახალი საზომი შემოუღია. ქილილა და დამანას გალექსვისათვის სულხან-საბას გამოუყენებია ნოვატორული ხერხები. ის გვევლინება ქართული ლექსის დიდ რეფორმატორად. სულხან-საბას სავერსიფიკაციო ნოვატორობის გზას მიჰყვნენ ვახტანგ VI, მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი და სხვები. საგულისხმოა, რომ მამუკა ბარათაშვილის სიტყვით, „სულხან-საბა ორბელიანმა ქილილა და დამანა გალექსა. თუცა რუსთვლის ნათქვამი არ არი, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არი“. ერთი სიტყვით, სულხან-საბა ორბელიანმა მაღალ მხატვრულ დონეზე გამართა ქილილა და დამანას როგორც პროზა, ისე ლექსი. მან ქართულ ენაზე ჩამოაყალიბა ქილილა და დამანას ისეთი რედაქცია, რომელიც არ ჩამოუვარდება დედანს, ცალკეული ადგილებით მას სჯობნის კიდევაც. ასეთი ღვაწლი მიუძღვის სულხან-საბა ორბელიანს ქილილა და დამანაზე. ვახტანგმაც დაუფასა მას ეს ღვაწლი. ქილილა და დამანას ეს მესამე, ანუ საბასეული რედაქცია, ჩათვალა სწავლულმა მეფემ კანონიკურად, მოამზადებინა ტექსტის მდიდარი ხელნაწერი გამოცემა (გამოცემა საუცხოოდაა დასურათებული). ქილილა და დამანას ეს ხელნაწერი გამოცემა მომზადდა 1719—1723 წლების განმავლობაში. ამჟამად იგიც დაცულია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (ლენინგრადში). გადარჩენილა სულხან-საბა ორბელიანისეული ქილილა და დამანას მთლიანად ავტოგრაფიული ხელნაწერი (ხელნაწერთა ინსტიტუტის S 31).

ამრიგად, ქილილა და დამანას სამი ქართული რედაქციიდან ყველაზე მნიშვნელოვანია და დამოუკიდებელი ლიტერატურული ღირებულების მქონეა საბასეული რედაქცია (ქილილა და დამანას პირველ ორ რედაქციას აქვს მხოლოდ ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა)[1]. ცხადია, ეს რედაქცია უნდა შევიდეს სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა კრებულში. ამასთან, რასაკვირველია, არ უნდა დავივიწყოთ არც ვახტანგის ამაგი.

ქილილა და დამანას ტექსტი ქართულად პირველად გამოქვეყნდა 1886 წელს ილია ჭყონიას რედაქციით. მიუხედავად ნაკლისა ამ გამოცემამ პირნათლად მოიხადა თავისი ვალი მკითხველი საზოგადოების წინაშე. 1949 წელს გამოვიდა ქილილა და დამანას იგავ-არაკები.

ჩემი და პ. ინგოროყვას რედაქციით. ამჟამად იბეჭდება ქილილა და დამანას სრული, მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი. საფუძვლად აღებულია სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ნუსხა, დამხმარედ კი გამოყენებულია ტექსტის პირველი ხელნაწერი გამოცემა.

---

[1] ცნობილია აგრეთვე ქილილა და დამანას ორი სხვა რედაქციაც, ონანა მდივნისა და ვინმე მელიგზად ბებუდოვისა. ონანას გაულექსავს ვახტანგისეული თარგმანი (მეორე რედაქცია), უცვლელად დაუტოვებია ვახტანგის ლექსები, პროზისათვის ხელი არ უხლია. მელიგზად ბებუდოვს თითქოს გაუმარტივებია და შეუმოკლებია საბას ტექსტი, ნამდვილად კი იგი დაუმახინჯებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ნათიძე

★

# შალვა ამირანაშვილი

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც საქართველოს საზოგადოებრიობამ გულთბილი იუბილე გადაუხადა ღვაწლმოსილ ქართველ თვალსაჩინო მეცნიერს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სსრ კავშირის მუზეუმების ნაციონალურ კომიტეტის და საერთაშორისო მუზეუმების საბჭოების წევრს, მეცნიერებათა დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ შალვა ამირანაშვილს 60 წლის შესრულებასთან დაკავშირებით და მისი მეცნიერული მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავად.

შალვა იასონის-ძე ამირანაშვილი დაიბადა 1899 წლის 26 მარტს სახალხო მასწავლებლის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ფოთის კლასიკურ გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1918 წელს შევიდა ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. აქ იგი ისმენდა გამოჩენილ პროფესორების ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, იოსებ ყიფშიძის, კორნ. კეკელიძის, აკ. შანიძის, გ. ჩუბინაშვილისა და სხვათა ლექციებს. განსაკუთრებული მონდომებით ეცნობოდა შ. ამირანაშვილი საქართველოს ძველ არქიტექტურულ და საზოგადოდ მხატვრული მატერიალური კულტურის ძეგლებს და ბოლოს სავსებით მიეცა ამ სიძველეთა ძიებასა და კვლევა-შესწავლას. ამ მიზნით იგი ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ყოფნისას იწყებს სისტემატურ მოგზაურობას საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ადგილობრივ ეცნობა ძეგლებს, ჰკრეფს ნივთებს, იკვლევს ფრესკებს და აცნობს მათ საზოგადოებას.

1922 წელს შ. ამირანაშვილი წარმატებით ამთავრებს უნივერსიტეტს და განაგრძობს სწავლას ასპირანტურაში. 1923 წელს ბიზანტიური და ძველი რუსული ხელოვნების შესწავლის მიზნით მუშაობს მოსკოვსა და ლენინგრადში ცნობილ პროფესორებთან, ბ. ფარმაკოვსკისთან, ლ. მაცულევიჩთან და სხვ.

ამ დროისთვის შ. ამირანაშვილს უკვე დაწყებული აქვს ძირითადად გამიზნული მეცნიერული მუშაობა და გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი თავისი კვლევითი მუშაობის შედეგად.

1920 წელს იგი პირველად ეცნობა საქართველოს ერთ-ერთ თვალსაჩინო ძეგლს — უბისის ტაძარს (მე-10 ს.), მის შესანიშნავ კედლის მხატვრობას (მე-14) ს. და 1929 წელს აქვეყნებს თავის პირველ კაპიტალურ ნაშრომს — მონოგრაფიას სათაურით: „უბისი. მასალები ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისათვის“, ჯერ ქართულ და რუსულ ენაზე, შემდეგ კი ფრანგულ ენაზედაც.

ამ ნაშრომში შ. ამირანაშვილი გვევლინება უკვე სავსებით ჩამოყალიბებულ მეცნიერად, რომელსაც ძალუძს მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემების წამოყენება, მათი განხილვა-გაშუქება და გადაწყვეტა. სახელდობრ მან ამ ნაშრომით ნათელი მოჰფინა ქართული ფრესკული მხატვრობის დიდ მნიშვნელობას, მის მაღალ მხატვრულ-ისტორიულ ღირსებას, თვითმყოფობას და თავისებურ ეროვნულ განვითარების გზას. ამ ღრმა მეცნიერულმა ნაშრომმა ახალგაზრდა მკვლევარს ღირსეულად მოუპოვა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხი.

ძნელია მთლიანად გაშუქდეს ის მრავალფეროვანი კვლევა-ძიებანი და ნაშრომები, რომელიც შესრულებული აქვს შ. ამირანაშვილს თავის მოღვაწეობის მანძილზე საქართველოს ხელოვნებისათვის ღირსეული საპატიო ადგილის მოსაპოვებლად მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში. ის მრავალი დარგი მოღვაწეობისა, რომელშიაც მიუძღვის მას თვალსაჩინო წილი, ის მეთოდები და ხერხები, რომლებმაც მოუპოვეს მას სახელი დიდი მეცნიერისა, რომლის განსაკუთრებულად ნათელი და ლოღიკური დასკვნები ამა თუ იმ პრობლემის დადგენა-გადაჭრაში უდავოდ მისაღებნი არიან. საგულისხმოა და მისაბაძიც ახალგაზრდა მკვლევარებისათვის გზა და მეთოდები, რომლითაც იგი ფართოდ იჭრებოდა მეცნიერებაში და იმკვიდრებდა იქ თვალსაჩინო ადგილს. თუნდაც მაგალითად შემდეგი: იმ მიზნით, რომ ერთი მხრივ აირიდოს მცირედი შეცდომაც კი თავის კვლევა-ძიებაში, მეორე მხრივ კი სრული დაჯერებით მიაწოდოს მკითხველს თავისი დასკვნები, ამირანაშვილი კედლის ფრესკების სურათების ზუსტი აღწერისათვის საჭიროდ სცნობს დაურთოს აღწერას შესაფერი ფოტოსურათი, გადაღებული მის მიერვე. რომ სუ-

რათი სრულქმნილი იყოს, იგი ეუფლება ფოტოგრაფიას და ეს ხელობა აჰყავს ხელოვნების დონემდე. ეცნობა ყველა ცნობილ ძეგლებს პირადი ნახვით, ეძებს უცნობ ძეგლებს ძნელად მისადგომ ადგილებში (სვანეთი, რაჭა, კახეთის გალმამხარე, მღვიმე — გვირაბები), სადაც მართლაც პოულობს ჯერ უცნობ ძეგლებს და ჰფენს მათ დღის სინათლეს, არ ზღუდავს თავის კვლევა-ძიებებს რაიმე ფარგლებით, პირიქით წლიდან-წლამდე აფართოებს; მის არეს, არ ზღუდავს კვლევა-ძიებებს დროის მიხედვითაც: ეხება ყველა ხანის — პრეისტორიულის, ანტიკურის და ფეოდალურის ძეგლებს და ამავე დროს იგი სათანადო ყურადღებას აქცევს საბჭოთა დროის ხელოვნების შესწავლას... ყველაფერი, რასაც ხელოვნების იერი დაჰკრავს, განძია მისთვის, ჰკრეფს ამ განძეულობას, მოაქვს ხელოვნების მუზეუმში და მიუჩენს სათანადო ადგილს ხელოვნების საგანთა კოლექციაში.

მისი კვლევის სფეროში გარდა ქართულისა თვალსაჩინო ადგილი უკავია მეზობელ ეროვნებათა ხელოვნებას. კერძოდ სპარსეთის და ინდოეთის ხელოვნება ისეთივე დაძაბულობით იზიდავს მის ყურადღებას და ცნობისმოყვარეობას, როგორც მშობლიური მხარის. აღსანიშნავია, რომ შ. ამირანაშვილი, როდესაც მის წინ დადგა სპარსეთის ხელოვნების შესწავლის ამოცანა, ენერგიულად ეწაფება სპარსულ და არაბულ ენების შესწავლას, ეუფლება მათ და შემდეგ უკვე იწყებს თავისი მიზნის განხორციელებას.

პროფესორ შალვა ამირანაშვილის შრომებს იცნობს არა მარტო ქართველი და რუსი მკითხველი. მისი შრომები იბეჭდებოდა, როგორც ქართულად, და რუსულად, აგრეთვე უცხო ენებზედაც და მათ კარგად იცნობენ სათანადო სპეციალისტებიც უცხოეთის ქვეყნებში. წლების მანძილზე შ. ამირანაშვილთან მჭიდრო ურთიერთობას ახორციელებენ გერმანელი, ფრანგი, იტალიელი, ინგლისელი და ამერიკელი სპეციალისტები მიწერ-მოწერისა და შრომების გაცვლის სახით.

ფრანგულმა გამომცემლობამ მას შეუკვეთა ორი მდიდრულად დასურათებული წიგნის დამზადება გამოსაცემად: „ქართული ტიხრული მინანქარი“ და „ქართული მინიატურა“. ორივე შრომა ამჟამად წარმოებაში იმყოფება.

შ. ამირანაშვილს აინტერესებს არა მარტო საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მდებარე მუზეუმებში დაცული კოლექციები, რომელთაც შეუძლიათ გაამუქონ ძველი და ახალი ხელოვნების დარგის რაიმე პრობლემა. არა!.. იგი ეცნობა აგრეთვე სხვა ქვეყნების მუზეუმების კოლექციებსაც და იქიდანაც გამოაქვს სარჩო თავისი მეცნიერული შრომისათვის. და აი ერთ-ერთი შედეგი ასეთი ფართო ცნობისმოყვარეობისა: ბრიტანეთის მუზეუმში დაცულია სასანიდთა ეპოქის ერთი გემა ჯერ ამოუკითხავი წარწერით, რის გამოც გამოურკვეველი იყო თუ ვის ეკუთვნოდა ეს გემა. შ. ამირანაშვილმა შეისწავლა ეს გემა და დაადგინა უეჭველად, რომ მაზედ ამოკვეთილია ვახტანგ გორგასალის ინიციალები და მაშასადამე გამოსახულია მისი სახე.

არც თუ მარტო ხელოვნების ნივთების კვლევა-ძიებით არის შემოზღუდული შ. ამირანაშვილის მოღვაწეობა.

თვალსაჩინოა მისი დაუღალავი პედაგოგიური მოღვაწეობაც, რომელსაც იგი ეწეოდა დიდი ნაყოფიერებით 1922 წლიდანვე. ამ წლიდან 1953 წლამდე იგი მუშაობს თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ერთდროულად მუშაობს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, სადაც ხელმძღვანელობს ხელოვნებათმცოდნეობის კათედრას, ხოლო სამხატვრო აკადემიაში განაგებდა არქეოლოგიის და ხელოვნების ისტორიის და ეთნოგრაფიის კათედრას. დღეს უკვე არაერთი მის მიერ აღზრდილი ახალგაზრდა დახელოვნებული მკვლევარი მუშაობს ნაყოფიერად ხელოვნებათმცოდნეობის დარგში.

1939 წლიდან დღევანდლამდე განუწყვეტლად მეთაურობს შ. ამირანაშვილი საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, რომელიც გაამდიდრა აუარებელი უძვირფასესი კოლექციებით არა თუ მარტო ქართული ხელოვნების ძეგლებით, არამედ ამიერკავკასიის, რუსულ, დასავლეთის ხალხთა ხელოვნების ნიმუშების კოლექციებითაც, რითაც აიყვანა ეს ჩვენი საამაყო მუზეუმი ერთ-ერთ თვალსაჩინო ხელოვნებათა საცავის მწვერვალამდე, რომლის გამდიდრებისათვის დღესაც ზრუნავს დაუღალავი ენერგიით.

მაინც მთავარი ღვაწლი შ. ამირანაშვილისა ისაა, რომ მან ძველ ქართულ მხატვრობას მრავალრიცხოვანი ნარკვევები მიუძღვნა და მათ საფუძველზე შექმნა „ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორია“, რომლის პირველი ტომი გამოიცა 1957 წელს.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია მისი შრომები წინა ქრისტიანული ქართული ხელოვნების შესახებ. ამ ნაწარმოებში ის თვალსაჩინოდ აფართოებს და ახლებურად აყენებს პრობლემებს, ახლებურადვე ადგენს და ამდიდრებს ორიგინალურ დებულებებით ქართული მხატვრული კულტურის მეცნიერებას.

დიდი დამსახურება მიუძღვის მას აგრეთვე ქართული ხუროთმოძღვრებისა და ოქრომჭედლობის შესწავლაში, რასაც მან მიუძღვნა მთელი რიგი ნარკვევები.

უსათუოდ კაპიტალურია შ. ამირანაშვილის მეცნიერული ნაშრომი „ქართული ხელოვნების ისტორია“ (1 ნაწილი), გამოცემული 1944 წელს. ამ შრომაში განხილულია ქართული ხელოვნების განვითარება დასაწყისიდან მეშვიდე

საუკუნის მეორე ნახევრამდე და მოცემულია სრული მისი ანალიზი. საგანგებოდ აღსანიშნავია ამ ნაშრომის უმთავრესი და ძირითადი ღირსება, რაც გამოიხატება იმაში, რომ განხილვისა და ანალიზის მეთოდები სრულიად განსხვავდება და არ ემყარება ევროპულ იმ სქემებსა და ცნებებს, რაც დამკვიდრებულია იქ ტრადიციად და რასაც განუხრელად მისდევენ ხელოვნების ევროპიელი მეცნიერები. შ. ამირანაშვილი თავის შრომაში მუდამ და განუხრელად ეყრდნობა ეროვნულ ნიადაგს, ცდილობს ხაზგასმით დახატოს ქართული სახვითი კულტურის თავისებურება, ბუნებრივობა, მხატვრული მნიშვნელობა და ამავე დროს სავსებით ნათელყოფს მისი არამცირე მსოფლიო მნიშვნელობასაც.

„ქართული ხელოვნების ისტორია“ ამჟამად იბეჭდება შევსებული სახით, სადაც ხელოვნების განვითარების ისტორია მიყვანილია მე-19 საუკუნემდე ჩართვით.

დიდია და მრავალფეროვანი შალვა იასონის ძე ამირანაშვილის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ამ ვიწრო ფარგლებში, რომელიც ჩვეულებრივ ეთმობა პერიოდულ ჟურნალში ამ ხასიათის სტატიას, ძნელია და შეუძლებელიც სრულად განისაზღვროს ღვაწლი ისეთი მოღვაწისა, როგორიც შ. ამირანაშვილია. უდავოა, რომ აქ მხოლოდ მცირედი ნაწილი აღვნიშნეთ, ჩვენ სრული რწმენით მოველით ჯერ ისევ ჯანღონით და ენერგიით სავსე მეცნიერისაგან ბევრ ახალ სიტყვას ქართულ ხელოვნებათმცოდნეობის დარგში.

შალვა იასონის ძე ამირანაშვილის ესოდენ დიდი ღვაწლი, რასაკვირველია, შეუმჩნევლად არ დარჩა ჩვენს საბჭოთა ხელისუფლებას. მან ღირსეულად დააფასა იგი, რაც გამოისახა მისი დაჯილდოებით საბჭოთა კავშირის ორდენებით: „შრომის წითელი დროშის“ (1945 წ.), „საპატიო ნიშნის“ (1946) და „ლენინის ორდენით“ (1954), ხოლო 1959 წელს საქართველოს სსრ-ს უზენაეს საბჭომ უბოძა მას საპატიო წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწისა“.

ვუსურვებთ პროფესორ შალვა ამირანაშვილს, ქართული ხელოვნების დაუღალავ ენთუზიასტს, ხანგრძლივ ცხოვრებას და კვლავინდებურ ნაყოფიერ შრომას ჩვენი მეცნიერებისა და ხელოვნებათმცოდნეობის საკეთილდღეოდ!

# წიგნების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოკვლევა საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო წყობილების შესახებ

★

პროფ. შ. მესხიას მონოგრაფია — „ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში (17—18 ს. ს.)“ ემყარება ავტორის სადოქტორო დისერტაციას, რომელსაც თავის დროს მაღალი შეფასება მისცეს გამოჩენილმა საბჭოთა მეცნიერებმა. აკადემიკოსი **მ. ტიხომიროვი წერდა: „**წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის უმთავრეს ღირსებად მიმაჩნია დასმული პრობლემის ღრმად შესწავლა, რომელიც დაფუძნებულია ისტორიული წყაროებისა და საერთოდ ქალაქების შესახებ არსებული ლიტერატურის ბრწყინვალე ცოდნაზე“. „მისი მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული გამოკვლევა — განაგრძობს მ. ტიხომიროვი — წარმოადგენს დიდ წვლილს მეცნიერებაში, მით უფრო მნიშვნელოვანს, რომ არსებითად დღემდე საქართველოს ქალაქების ისტორია ისწავლებოდა მხოლოდ ზოგადად და ხშირ შემთხვევაში ზედაპირულად“.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი საქართველოს ფეოდალური ქალაქების ეკონომიური მდგომარეობა, სოციალური წყობა და კლასობრივი ბრძოლის საკითხები. შ. მესხიას მონოგრაფია მიზნად ისახავს შეავსოს ეს ხარვეზი, წარმოაჩინოს მე-17-18 ს. ს. საქართველოს ქალაქების ისტორია და საქალაქო წყობილება. ნაშრომი ემყარება სხვადასხვა ენაზე არსებული მრავალფეროვანი წყაროებისა და ვრცელი ლიტერატურის, აგრეთვე არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ნუმიზმატიკური მასალების შესწავლასა და ანალიზს.

ნაშრომის შესავალ ნაწილში, ავტორი განსაზღვრავს გამოკვლევის ამოცანასა და ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. ნაშრომის თეორიული დებულებანი და მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომლებიც ჩამოყალიბებულია შესავალ ნაწილში, სწორი და ნათელია. აქვეა მოცემული თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურისა და პირველწყაროების მოკლე ისტორიოგრაფიული მიმოხილვა.

Ш. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии (XVII — XVIII в. в.) Тбилиси. 1959. редактор проф. И. Антелава.

შ. მესხიას ნაშრომი სცილდება თავის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, საკმარისია ითქვას, რომ პირველ თავში, რომელიც წინ უძღვის ნაშრომის ძირითად ნაწილს, განხილულია **საქართველოს ქალაქები და საქალაქო წყობილება** მე-16 ს. ბოლომდე. ამ თავში, პირველად საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მოცემულია ქართული მონათმფლობელური ქალაქების გენეზისი. ავტორის საფუძვლიანი მტკიცებით V—IV სს. ჩვ. წ. იბერიის (აღმოსავლეთ საქართველო) მონათმფლობელურ სახელმწიფოში წარმოიშვნენ ქალაქები: კასპი, ურბნისი, სარკინე, ოძრხე და სხვ. კოლხიდის სამეფოში (დასავლეთ საქართველო) კი VI—IV სს. ჩვ. წ. არსებობდნენ ქალაქები: აია, ტრაპეზუნტი, კერასუნტი, ბათუმი და სხვ. IV ს. ბოლო ჩვ. წ. და შემდგომი პერიოდი ხასიათდება საქალაქო ცხოვრების განვითარებით იბერიის სამეფოში. ამ დროისათვის წარმოიშვნენ ქალაქები: არმაზი, მცხეთა, რუსთავი.

ფეოდალურ ურთიერთობათა გამარჯვებამ საქართველოში (VI ს. ბოლო) გამოიწვია საქალაქო ცხოვრების შემდგომი განვითარება და ახალი ქალაქების — თბილისი, უჯარმა, ქუთაისი, ვარციხე, პეტრა და სხვ. წარმოშობა. მეფის ხელისუფლების მისწრაფება, მისი მოკავშირის — ქალაქების — გაძლიერებისაკენ და საქართველოს ძირითადი რაიონების გაერთიანება ხელს უწყობდა უკვე არსებული ქალაქების განვითარებასა და ახალი ქალაქების წარმოშობას.

მონღოლთა შემოსევამ დიდი ზიანი მიაყენა ქალაქების განვითარებას. XIII ს. მეორე ნახევრიდან, ზოგიერთმა ქალაქმა შეწყვიტა არსებობა, ზოგიერთიც დაეცა. მაგრამ, ქალაქთა გარკვეულმა ნაწილმა მაინც შეძლო თავისი მნიშვნელობის შენარჩუნება მონღოლთა ბატონობის დროსაც.

**ნაშრომში ნაჩვენებია VI—XIII ს. ს. საქართველოს ფეოდალური ქალაქებში ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარების სურათი.**

აღნიშნულ თავში პირველადაა გამოკვლეული საქართველოს ქალაქების სოციალური სტრუქტურა და კლასობრივი ბრძოლა. X—XIII სს. საქართველოს ქალაქების მოსახლეობა,

სოფლის მცხოვრებთაგან — „მსოფლიონი“, „მდაბიურნი“ — განსხვავებით იწოდებოდნენ როგორც „ქალაქის მკვიდრნი“. VIII ს. ძველ ქართულ ლიტერატურაში ქალაქის მცხოვრებთა ძირითადი ნაწილის — ვაჭრებისა და ხელოსნების—აღსანიშნავად უკვე იხმარებოდა ტერმინი „მოქალაქე“ და „ქალაქის ერი“: ქალაქის მოსახლეობა არც ეკონომიური და არც სოციალური მდგომარეობით ერთგვაროვანი არ იყო. ქალაქის მცხოვრებ-ვაჭართაგან გამოირჩეოდნენ „მსხვილ ვაჭართა“ ცალკეული ჯგუფები, რომელთა სათავეშიც იდგა „ვაჭართუხუცესი“.

ქალაქის მცხოვრებთა ყველაზე ფართო წრეების წარმომადგენელნი — ხელოსნები, ისევე როგორც ვაჭრები, იყოფოდნენ „თავისუფლებად“ და „არათავისუფლებად“.

ფეოდალურ საქართველოს ქალაქების მცხოვრებთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ ე. წ. „ქალაქის ღარიბნი“. ნაშრომში ნაჩვენებია ქალაქის მცხოვრებთა დაბალი ფენის ბრძოლა, როგორც ქალაქის მაღალი ფენის წარმომადგენელთა, ისე საერო და სასულიერო ფეოდალთა წინააღმდეგ.

XI—XIV ს. ს. საქალაქო მმართველობა ძირითადად მეფის მოხელეთა ხელში იყო მოქცეული (ამირა, ციხისთავი, შურტა, გუსტასიბი და სხვ.). თუმცა მათთან ერთად ქალაქებში არსებობდა ქალაქის მცხოვრებთა მაღალი ფენის „უხუცესთა“ და „მამასახლისთა“ ხელისუფლებაც.

ნაშრომში ნაჩვენებია XV—XVI ს. ს. საქართველოს საქალაქო ცხოვრების დაცემა. XV ს. ბოლოსათვის ქვეყნის ეკონომიური დაცემულობისა და პოლიტიკური დაუძლურების შედეგად, რაც უცხოელ დამპყრობთა გამუდმებული თავდასხმებით იყო გამოწვეული, საქართველო ცალკეულ სამეფო სამთავროებად დაიშალა. ამის შედეგად XV—XVI ს. ს. დაეცა ქალაქების მნიშვნელობა, მრავალი ქალაქი ან მთლიანად გაქრა, ან პატარა სავაჭრო პუნქტად გადაიქცა.

ნაშრომის მეორე თავში „საქართველოს ქალაქები XVII—XVIII ს. ს.“ ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს აღებულ პერიოდში. არ იზღუდება რა ამ ურთიერთობის პოლიტიკური მხარის განხილვით, ავტორი იკვლევს რუსეთსა და საქართველოს შორის არსებულ ეკონომიურ კავშირ-ურთიერთობას და ხაზს უსვამს იმ პროგრესულ გავლენას, რომელსაც რუსეთი ახდენდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცხოვრებაზე. შემდეგ, მოკლედ მაგრამ ნათლადაა აღწერილი იმდროინდელი საქართველოს უმნიშვნელოვანესი ქალაქები.

განიხილავს რა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქალაქებს, ავტორი ადგენს, რომ ქართლისა და კახეთის სამეფო ხელისუფლებამ შეძლო შეენარჩუნებინა გაერთიანებული საქართველოს დროინდელი სამეფო ქალაქები. მეფე წარმოადგენდა ნომინალურ მფლობელს პატარა ქალაქებისას — სათავადოთა პოლიტიკური ცენტრებისას. XVII—XVIII ს. ს. სამხრეთ საქართველოს მსხვილი ქალაქები თურქთა მფლობელობის ქვეშ იყო მოქცეული.

XVII—XVIII ს. ს. დასავლეთ საქართველოში საქალაქო ცხოვრება შედარებით ნაკლებად იყო განვითარებული, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო „პატარა ქალაქების“ უმრავლესობა მთავრების, თავადების ან თურქთა ხელში იყო.

მეორე თავის ბოლოს განხილულია ხელოსნობა და ვაჭრობა XVII—XVIII ს. ს. ქალაქებში. ავტორი უმთავრესად არაპირდაპირი ცნობებზე დაყრდნობით ცდილობს აღადგინოს საქართველოს ქალაქების მეურნეობისა და ვაჭრობის სურათი. ამასთან იგი ხელშესახებ ფაქტებზე დაყრდნობით აკეთებს გაბედულ დასკვნებს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ორ სადავო საკითხთან დაკავშირებით: 1 პროფ. მესხიას აზრით XVIII ს. 70-80-იანი წლების თბილისში არსებული ზოგიერთი სარეწები „ძირითადად იყო არა უბრალო სახელოსნოები, არამედ მანუფაქტურები“ (გვ. 129); 2) XVII—XVIII ს. ს. საქართველოს ქალაქებში ფულად-სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებაზე თავის დაკვირვებათა შედეგად ავტორი სთვლის, რომ „სავაჭრო კაპიტალმა საქართველოში უთუოდ დიდი როლი ითამაშა გლეხობისა და ფეოდალური ქალაქების მცხოვრებთა დიფერენციაციასა, ფეოდალური მეურნეობის რღვევასა და წარმოების გაფართოებაში“ (გვ. 140).

XVII—XVIII ს. ს. საქართველოს ქალაქების მცხოვრებთა რაოდენობის საკითხის გამორკვევისას, ავტორი დასძენს: „საქართველოს ქალაქები მცირერიცხოვანი იყო; ქალაქთა უმრავლესობა 1000-მდე მცხოვრებს ითვლიდა, ხოლო ზოგიერთ ქალაქში მოსახლეობის რაოდენობა 2000—3000 სულს აღწევდა“ (გვ. 144). თბილისში მცხოვრებთა რაოდენობა საშუალოდ 20.000 სულს შეადგენდა.

მესამე თავში განხილულია საქართველოს ქალაქების მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა და კლასობრივი ბრძოლა. ავტორი ადგენს, რომ ქალაქის მცხოვრებთა ძირითად მასას შეადგენდნენ ვაჭრები და ყმა ხელოსნები. ყმათა ყველაზე დიდი მფლობელები ფეოდალურ საქართველოს ქალაქებში იყვნენ მეფე და სამეფო კარის წარმომადგენლები, შემდეგ ეკლესია, თავადები და აზნაურები. ყმებს ფლობდნენ აგრეთვე ქალაქის მცხოვრებთა პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელნი: თბილისში — ზოგიერთი „მოქალაქენი“,

ხოლო სხვა ქალაქებში — მსხვილი ვაჭრები. ქალაქის მცხოვრებთა პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელნი — „მოქალაქენი“, თანდათანობით ეყოფოდნენ მოსახლეობის ძირითად მასას. ავტორი ადგენს დასახელებული ფენის ფორმირების პროცესს.

XVI—XVII ს. ს. მიჯნაზე „მოქალაქის“ წოდება თბილისში, და „მეფის მოქალაქის“ წოდება სხვა ქალაქებში გადაიქცა ქალაქის მოსახლეობის გარკვეული ფენის პრივილეგიად. „მოქალაქეთა“ შემადგენლობა ერთგვაროვანი არ იყო, ამათგან გამოირჩეოდნენ „პირველხარისხოვანნი“, „აღმორჩეულნი“, „საპატიო მოქალაქენი“ და სხვ.

ავტორი აჩვენებს თბილისის (და რიგი სხვა ქალაქების) მოსახლეობის შემადგენლობის ცვალებადობას XVII—XVIII ს. ს., განიხილავს ყრმა გლეხთა ძირითად კატეგორიებს საქართველოს ქალაქებში — „ნასყიდნი“, „შეწირულნი“, „ნაწყალობევნი“, . „ნებიერნი“ და „ხიზანი“.

საყურადღებოა ავტორის დაკვირვებანი კლასობრივი ბრძოლის განვითარებაზე. XVII — XVIII ს. ს. საქართველოს ქალაქებში.

ასევე საინტერესოა ნაშრომას მეოთხე თავი, სადაც გაანალიზებულია XVII—XVIII ს. ს. საქართველოს საქალაქო წყობილება.

საქართველოს ქალაქების მმართველობა მოხელეთა (მოურავი, მამასახლისი, მელიქმამასახლისი, ნაცვალი) ხელში იყო თავმოყრილი, რომელთაც მეფე ან ქალაქის სხვა მფლობელი ნიშნავდა. ქალაქის მმართველობის სათავეში იდგა მოურავი. მოურავის შემდეგ თანამდებობის მიხედვით ქალაქში „მამასახლისი“ იდგა, ხოლო ზოგიერთ ქალაქში „ხოჯა“, „ქვეხი“ ან „მელიქი“. ქალაქ თბილისის მმართველობაში XVI ს. შუახანებისათვის მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენდა მამასახლისთან ერთად ანალოგიური თანამდებობის — თბილისის მელიქის გაჩენა. ქალაქის მოხელეთა შორის მესამე ადგილი ეჭირა „ნაცვალს“ ან „ქალაქის ნაცვალს“. ნაცვალის გამგებლობაში შედიოდა პოლიციის სამმართველო. ქალაქის მოხელეთა მეორეხარისხოვან ჯგუფს ეკუთვნოდნენ „ციხისთავნი“, „ყაფანდარნი“, „ქალაქის მწერალნი“, „ჯარჩნი“ და სხვ.

XVII—XVIII ს. ს. საქართველოს ქალაქებში მეფის მიერ დანიშნულ მოხელეთა გვერდით, არსებობდა ქალაქის მოსახლეობის ზედაფენის წარმომადგენელთა არჩევითი ხელისუფლება — „ქედხუდთა“ სახით. ქედხუდების როლი, როგორც საქალაქო მმართველობაში, ისე სამართლის წარმოებაში უმნიშვნელო იყო. მიუხედავად ამისა, ქედხუდების ინსტიტუტის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს ზოგიერთ ქალაქში არსებობდა თვითმმართველობის სისტემა.

ქალაქების მფლობელნი „ქალაქურ წესს“ თავის ინტერესებს უმორჩილებდნენ. საქალაქო სასამართლო ძირითადში, საერო და საეკლესიო ფეოდალთა (მდივანბეგი, მოურავი, ეკლესია) ხელში იყო. ქალაქის მოსახლეობის ზედაფენის წარმომადგენელთ კი ჰქონდათ უფლება მხოლოდ უმნიშვნელო საქმეების გარჩევისა. ავტორი აჩვენებს „ქალაქის წარმომადგენელთა სასამართლოს“ ევოლუციას საუკუნეთა განმავლობაში. მონოგრაფიაში კარგადაა ნაჩვენები, თუ როგორ დაიმორჩილა XVII — XVIII ს. ს. ფეოდალურმა არისტოკრატიამ არა მარტო საქალაქო მმართველობა, არამედ საქალაქო სასამართლოც. საინტერესოა ავტორის დაკვირვებანი საკუთრების ფორმების განვითარებაზე — „საკუთრების ქალაქური წესი“, „საქალაქო უფლება“ და სხვ.

ნაშრომში გაანალიზებული მასალებიდან ირკვევა, რომ, „საკუთრების ქალაქური წესი ...იცავდა საერო და საეკლესიო ფეოდალთა ინტერესებს, განსაკუთრებით მეფისა, და აგრეთვე მსხვილი ვაჭრებისას...“ (გვ. 321).

დღემდე უცნობი და გამოუქვეყნებელი მასალების გამოვლენის საფუძველზე, ავტორი პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში ადგენს, რომ თბილისელ ამქრებს ჰქონდათ წერილობითი წესდება. ავტორი ახლებურად აშუქებს ქართული ამქრის შინაგან სტრუქტურას და უარჰყოფს ამქრული ორგანიზაციების იდეალიზატორთა „წვრილბურჟუაზიული“ ხასიათის დაუსაბუთებელ მტკიცებებს, აგრეთვე ზოგიერთ ავტორთა მტკიცებას თითქოს ამქარი ჩვენში წარმოიშვა უცხო ქვეყნების გავლენით.

ეხება რა ხელოსნურ ორგანიზაციათა შემადგენლობის საკითხს ავტორი გვიჩვენებს, რომ იქ გაერთიანებული იყვნენ როგორც თავისუფალი, ისე ყმურ მდგომარეობაში მყოფი ხელოსნები, სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების მქონე ხალხი.

ბოლო, მეექვსე თავში განხილულია ფეოდალური საქართველოს ქალაქების გარეგანი სახე. აღნიშნულ თავში კარგადაა აღწერილი ქალაქის ნაგებობანი, სიმაგრეები, ქუჩები, ბაზრები, და მცხოვრებთა ყოფა. ფეოდალური ქალაქების ძირითადი რაიონებისა („ყმათა რაიონი“, „სამეფო რაიონი“) და მცხოვრებთა ყოფის აღწერის საფუძველზე, ავტორმა შეძლო ეჩვენებინა მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა.

ამრიგად, სარეცენზიო მონოგრაფიაში, ფართო ისტორიულ ფონზე (V ს. ჩვ. წ. — XVIII ს.) აღდგენილია სხვადასხვა ტიპის, დანიშნულებისა და დროის ქალაქების ნათელი და მკაფიოდ გამოკვეთილი სახე.

მაგრამ, ნაშრომში გვხვდება ზოგიერთი სა-

კითხი, რომელიც დაზუსტებას საჭიროებს, ხოლო ზოგიერთი საკამათოა.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია საკითხი „ხელოსნობა და ვაჭრობა XVII—XVIII ს. ს. ქალაქებში“ (§—3). აღნიშნული საკითხის შესასწავლად ავტორს, ძირითადად XIX ს. დასაწყისის მასალები აქვს მოტანილი, რომელიც შეიძლება მართლაც იძლეოდეს წარმოდგენას XVIII ს. ბოლოხანების მდგომარეობაზე, მაგრამ, ჩვენის აზრით, სწორი არ არის აღნიშნული მასალების მიხედვით დახასიათებული და შეფასებული იქნას XVII—XVIII ს. ს. ხელოსნობის მდგომარეობა საერთოდ. მით უმეტეს, რომ თბილისმა და გორმა აღამაჰმად ხანის გამანადგურებელი შემოსევის შედეგად 1795 წ. ისეთი ზარალი განიცადა (სახელოსნოების განადგურება, ხელოსნების ტყვედ წაყვანა და სხვ.), რომ XIX ს. 10-იან წლებში ჯერ კიდევ არ იყო აღდგენილი ქალაქის მეურნეობა. ნიშანდობლივია ისიც, რომ XVII—XVIII ს. ს. ცნობებით, ავტორის სიტყვით, თბილისში ხელოსნობის 57 დარგი ყოფილა წარმოდგენილი, მაშინ როცა XIX ს. დასაწყისში, თბილისში ხელოსნობის 40-50 დარგი იყო. რაც შეეხება 1802 წ. აქ მოტანილ ცნობებს, ხელოსნობის რაოდენობის გასარკვევად, ეს მასალა არასრულია და მას ახასიათებს ცალკეული უზუსტობანი. მაგალითად ავტორი წერს: „საერთოდ სიღნაღში ხელოსნებს ეკუთვნოდათ 189 ფარდული“, (გვ. 139), მაგრამ არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რამდენი ხელოსანი იყო. აქ მასალა ისეა მოტანილი, რომ მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება თითქოს ხელოსანიც იმდენივე იყო, რამდენიც სახელოსნო. სინამდვილეში კი ხელოსნები გაცილებით მეტნი იყვნენ ვიდრე სახელოსნოები. კერძოდ, იმავე წყაროს მიხედვით, რომელსაც ავტორი იყენებს, ჩანს, რომ 1802 წ. ბოლოსათვის ქ. სიღნაღში 220-ზე მეტი ხელოსანი მოსაქმეობს.

ასეთივე უზუსტობაა დაშვებული, ხელოსნების საერთო რიცხვის დადგენაში გორის მიმართაც. ავტორი წერს: „1802 წ. აღწერის მიხედვით აქ ხელოსნებს ეჭირათ მხოლოდ 50 სახელოსნო, იმ დროს, როდესაც „ფარჩეულით“ მოვაჭრეთა რაოდენობა 90-ს აღწევდა“ (გვ. 130). ვაჭართა რაოდენობას მართლაც ეფარდება სავაჭროთა რაოდენობა. მაგრამ სახელოსნოთა რაოდენობა ვერ ასახავს ხელოსანთა საერთო რაოდენობას, თუნდაც იმიტომ, რომ სახელოსნოში ხელოსნის გარდა დასაქმებული იყო შეგირდიც და ხშირად ქარგალიც, ამის გარდა იყო შემთხვევები, როცა ერთ სახელოსნოში ორი და ხანდახან მეტი ხელოსანი მუშაობდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ აღწერაში შეტანილნი არ არიან ფეიქრები, რომელთა რაოდენობა XIX ს. დასაწყისში 25-მდეა სავარაუდო. ამას გარდა, იმავე აღწერაში გათვალისწინებული არ არიან კალატოზები, ხუროები და ზოგი სხვაც, რომელთაც ხელოსნობის ხასიათის გამო ცალკე სახელოსნოები არ გააჩნდათ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენი გამოანგარიშებით, გორში, XIX ს. დასაწყისში 125—130-მდე ხელოსანი უნდა ყოფილიყო.

სასურველი იყო, ავტორს, შეეჯამებინა ხელოსანთა საერთო რაოდენობა საქართველოს ქალაქებში, თუნდაც XIX ს. დასაწყისისათვის და გამოერკვია ქალაქური მოსახლეობის რა პროცენტი იყო ჩაბმული ხელოსნურ წარმოებაში. მით უმეტეს, რომ ავტორის ხელთ არსებული მასალები ამის საშუალებას იძლევა. ასევე იქ, სადაც განხილულია საქართველოს ქალაქების მოსახლეობა, სასურველი იყო დაჯამება და მისი შედარება საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან, ქალაქური მოსახლეობის ხვედრითი წონის გამოსარკვევად. ასეთი ცდა თავის დროზე გააკეთა აკად. ივ. ჯავახიშვილმა, რომლის მიხედვით 1770 წლისთავის ქალაქებში, საქართველოს მოსახლეობის 11,3 % ცხოვრობდა. ავტორის ხელთ არსებული მასალები იძლეოდა ანალოგიური შედარების საშუალებას XVIII ს. ბოლოსა და XIX დასაწყისისათვის.

შემდეგ ავტორი წერს: „ერთი მხრივ სოფლად ბატონყმური ურთიერთობის გამწვავებამ, და მეორეს მხრივ — სასაქონლო წარმოების განვითარებამ და ამასთან დაკავშირებით ნატურალური რენტის გვერდით ფულადი რენტის გაჩენამ (განსაკუთრებით XVIII ს. მეორე ნახევარში), ხელი შეუწყო ბატონყმურ დამოკიდებულებაში მყოფ გლეხთა გადმოსახლებას სოფლიდან ქალაქად“ (გვ. 145—146). და იქვე დასძენს: „ბატონყმურ დამოკიდებულებაში მყოფ გლეხთა დენა ქალაქად, უმთავრესად, თბილისში, განსაკუთრებით XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში გაძლიერდა“. (გვ. 146). მართალია, XVIII ს. მეორე ნახევარში ადგილი ჰქონდა სოფლის მოსახლეობის ქალაქში გადასვლის ფაქტებს, განსაკუთრებით, როცა შედარებით მშვიდობიანობა მყარდება ქალაქებში და კერძოდ თბილისში, მაგრამ ეს არ იყო დამახასიათებელი მოვლენა XVIII ს. მეორე ნახევრის თბილისისათვის. პირიქით, ამ დროს უფრო ხშირად ადგილი აქვს საწინააღმდეგო მოვლენას.

იყო შემთხვევები, როცა თბილისისა და გორის მკვიდრი მოსახლეობა თავს ანებებდა ქალაქებს, მიდიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ზოგჯერ უცხოეთშიც კი. ამ მოვლენას ებრძოდა ერეკლე II. 1784 წლის ბრძანებით მან აკრძალა თბილისისა და გორის მცხოვრებთა სხვა ადგილებში გადასვლა. ად-

ნიშნულ ბრძანებაში ნათქვამია: „თბილისისა და გორის იმ მოქალაქეთა ქონება, რომლებიც გადასახლდებიან სხვაგან, ან კიდევ სხვა ქვეყანაში, დაიდოს სამეფოდ და გაიყიდოს კერძო პირზე ჩვენი ნებართვით“.

სულ სხვა ვითარება შეიქმნა XIX ს. დასაწყისში, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა. რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ქალაქების დაკავებამ შედარებით მშვიდობიანობა დაამყარა საქართველოში და განსაკუთრებით კი მის ქალაქებში. ამის შედეგად ერთბაშად მიაწყდა ქალაქებს და, კერძოდ, თბილისს — სოფლის მოსახლეობა, განსაკუთრებით — ყმა გლეხობა. საწინააღმდეგო მოვლენას, ე. ი. ქალაქებიდან მოსახლეობის წასვლას, XIX ს. დასაწყისისათვის ბოლო ელება. ამით იყო გამოწვეული რუსეთის ადგილობრივი მოხელეების მრავალგზისი ცდა განეტვირთათ ქალაქები ყმა გლეხებისაგან, რასაც არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. ასე რომ, ჩვენი აზრით, XVIII ს. მეორე ნახევრისა და XIX ს. პირველი ათწლეულის ერთ ასპექტში განხილვა რამდენადმე კონკრეტულობას მოკლებულია.

შევეხოთ თბილისის მოსახლეობის ერთი ნაწილის, „თავისუფალი მწარმოებლების“, საკითხს. ნაშრომში დახასიათებულია ქალაქის მცხოვრებთა სხვადასხვა ფენები, მათი ეკონომიური და სოციალური ურთიერთდამოკიდებულება. ჩატარებული კვლევის შედეგად ავტორი მიდის სავსებით მართებულ დასკვნამდე, რომ: „...XVII—XVIII ს. ს. საქართველოს ქალაქებში არსებული პირობები ყმა გლეხებსა და ვაჭრებს იმდენად თავისუფლებას კი არ აძლევდა, რამდენადაც, პირიქით, ხელს უწყობდა პირად თავისუფლებაში მყოფ წვრილ მწარმოებელთა დაყმევებას“ (გვ. 169). მაგრამ კონკრეტული მსჯელობისას ნაშრომის ამ ნაწილში დაშვებულია ზოგიერთი უზუსტობანი. ავტორი წერს, რომ: „თავისუფალ მწარმოებელთა რიცხვი XVIII ს. 80-იან წლებში შეადგენდა 15,67%; მაგრამ მათი რიცხვი თანდათანობით იზრდება და 1803 წ. შეადგენდა მთელი მოსახლეობის 19,25 % ხოლო 1807 — 1808 წ. წ. 36,63 %“ (გვ. 160 — 161). ავტორი მოსახლეობის თავისუფალ ფენაში გულისხმობს თბილისის მცხოვრებთა ერთ ნაწილს ე. წ. „მოქალაქეებს“. მაგრამ საქმე ისაა, რომ „მოქალაქეთა“ უმრავლესობა, ჩვენი აზრით, არ იყო ბატონყმობის უღლისაგან თავისუფალი. თვით ის ფაქტი, რომ „მოქალაქეები“ იყოფოდნენ სამეფო, სადედოფლო და საეკლესიო „მოქალაქეებად“, აღნიშნულ პირთა და „მოქალაქეთა“ დამოკიდებულებაზე მიუთითებს. ამის გარდა, დედოფლისა და ეკლესიის მოქალაქენი, რომ მართლაც ყმებად ითვლებოდნენ, ეს კარგად ჩანს თვით ავტორის მიერ ნაშრომში მოტანილი მასალებიდანაც, მაგალითად, დარეჯან დედოფალი (ერეკლე II მეუღლე) პირდაპირ წერს: „თბილისში ჩემნი ყმანი მოქალაქენი 50 ოჯახი“ (გვ. 171). ასეთი ყმა მოქალაქეები დარეჯან დედოფალს 1783 წლისათვის 138 კომლი ჰყოლია (გვ. 173). ასევე ყმურ დამოკიდებულებაში იყვნენ საეკლესიო მოქალაქენიც. 1713 წლის სიგელში, თბილისის ეპისკოპოსი სწერდა ერთერთ თავის ყმას: „თქვენც, რაგვარადაც სხვანი მოქალაქე ჩვენი ყმანი ჩვენს მონასტერს ემსახურებოდეს, ისე ემსახურენითო“ (გვ. 173 — 174).

აქედან ნათლად ჩანს, რომ საეკლესიო მოქალაქენიც, მსგავსად დედოფლის მოქალაქეებისა, ყმურ დამოკიდებულებაში იყვნენ და ასრულებდნენ სხვადასხვა სამსახურს პატრონის სასარგებლოდ.

რაც შეეხება მეფის მოქალაქეებს, ჩვენი აზრით, მათი გარკვეული ნაწილიც პირად თავისუფლებას მოკლებული უნდა ყოფილიყო. მაგალითად, წვრილი ვაჭრები და ხელოსნები (მათ არ ჰქონდათ უფლება გამხდარიყვნენ ვისიმე ყმა, წასულიყვნენ სხვა ქალაქში ან ქვეყანაში, არ ჰქონდათ ქონების, მათ შორის, სახლის გაყიდვის უფლება მეფის დაუკითხავად და სხვა). რაც შეეხება მსხვილ ვაჭრებს, „დიდვაჭარი“, „პირველი ხარისხის“ ანუ „საპატიო მოქალაქე“, რომელთა კაპიტალი ხშირად 50000 მანეთამდეც კი აღწევდა, მკვეთრად განსხვავდებოდა დანარჩენი მოქალაქეებისაგან უფლებრივადაც.

ვახტანგ VI სამართლის მიხედვით ვაჭრები 4 კატეგორიად (ჯგუფად) იყოფოდნენ. მათ შორის პირველი კატეგორიის ანუ „დიდებულის დიდ-ვაჭრის მოქალაქის სისხლი“ გათანაბრებული იყო „შუას აზნაურის მთელის სისხლისტოლად“ და 96 თუმნად იყო შეფასებული. „დიდებულს ვაჭარს ქვემოთის მეორეს ვაჭრის სისხლი“ გათანაბრებული იყო მესამე ხარისხის აზნაურის სისხლთან და 48 თუმანი ღირდა. ვაჭართა დანარჩენი ნაწილი გლეხებთან იყო გათანაბრებული.

ჩვენი აზრით, სწორედ პირველი და მეორე კატეგორიების ვაჭრები, რომელნიც სისხლის ფასის მიხედვით აზნაურებთან იყვნენ გათანაბრებულნი — „დიდებული დიდ-ვაჭარი“ და „დიდებულს ვაჭარს ქვემოთი“ — იყვნენ პირადად თავისუფალნი, დანარჩენები კი მოკლებულნი იყვნენ თავისუფლებას.

ამ მოსაზრების დადასტურებას, ჩვენი აზრით, წარმოადგენს თბილისის 1803 წ. აღწერა. ამ აღწერაში მოქალაქეები ცალკე არ არიან აღნუსხულნი. აქ ყველა აღსაწერს გვერდზე უწერია თუ ვინ არის სოციალურად (თავადი, აზნაური, გლეხი, ვისი გლეხი და სხვ.) აღწერაში მოქალაქეები სახელმწიფო გლეხებთან

არიან გაერთიანებულნი. აღწერაში შეტანილია 80 კომლი ვაჭარი, რომელნიც არავისაზე არ არიან მიკუთვნებულნი, მაშასადამე ბატონყმურ ურთიერთობაში არ იმყოფებიან, პირადად თავისუფალნი არიან, სწორედ ესენი არიან ის „დიდებული დიდვაჭრები", რომელნიც ვახტანგ VI სამართლის მიხედვით აზნაურებთან არიან გათანაბრებულნი. 80 კომლი ვაჭარი ოჯახებიანად დაახლოვებით 400 სულს შეადგენს, რაც თბილისის მოსახლეობის 2,6%-ია. (პროფ. შ. ჩხეტია XIX ს. დასაწყისისათვის თბილისის მოსახლეობის ბატონყმობის უღლისაგან თავისუფალ ნაწილს სწორედ 2,4 პროც. ვარაუდობს).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თბილისის მოსახლეობის თავისუფალი ნაწილი (შესაძლო ცალკეულ გამონაკლისებს გარდა) არამწარმოებლური მოსახლეობა იყო. ამდენად არა სწორია ავტორის მსჯელობის ის ნაწილიც, სადაც თბილისის თავისუფალ მოსახლეობას ის მწარმოებელ საზოგადოებას უწოდებს.

ჩვენს მიერ გაკეთებული კრიტიკული შენიშვნები ოდნავადაც არ ამცირებს ნაშრომის ღირსებებს. პროფ. შ. მესხიას მონოგრაფია ქართული ისტორიოგრაფიის დიდი მიღწევაა.

თ. ბერიაშვილი. გ. მარგიანი.
გ. ჯამბურია.

---

## ამბავი ნამდვილი ადამიანისა

★

ხშირია შემთხვევები, როდესაც მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტს სინამდვილეში მომხდარი ამბავი ედება საფუძვლად. ასეთ პირობებში ცნობილია მხატვრული შემოქმედების პროცესზე დაკვირვებიდან ისეთი მაგალითები, როცა სინამდვილის ფაქტების ლოგიკას საგრძნობლად შეუბოჭავს მწერლის ფანტაზია. გავრცელებული შეხედულების თანახმად გარკვეულად შეზღუდა სტენდალი „წითელი და შავი"-ს წერისას ცხოვრებაში მომხდარი ამბის ტყვეობაში მოქცევამ, რამაც რომანის მეორე ნაწილის ნაკლოვანი მხარეები წარმოშვა.

ერთი შეხედვით, ამ მხრივ თითქოს გაცილებით მარტივად დგას საკითხი მწერლობის ისეთი ჟანრის მიმართ, როგორიცაა მხატვრული ნარკვევი. ნარკვევის სპეციფიკას სწორედ მწერლის მიერ სინამდვილეში არსებული ფაქტების წინა პლანზე წამოწევა და ფანტაზიის ერთგვარი შეზღუდვა განსაზღვრავს. მწერლობის ამ ფორმას მოთხრობისაგან მკვეთრად განმასხვავებელი ნიშნები არ გააჩნია. ალბათ ეს ჰქონდა მ. გორკის მხედველობაში, როცა სწერდა, რომ „ნარკვევი დგას სადღაც გამოკვლევასა და მოთხრობას შორის". სირთულე, რომელიც ფაქტების ჩარჩოებში მოქცეული ფანტაზიის წინაშე სდგას, აფიქრებინებდა და ათქმევინებდა ჩვენს დიდ მწერლებს, რომ ნარკვევის ფორმის ათვისება ძნელია და მდიდარ შემოქმედებით გამოცდილებას მოითხოვს. მ. გორკის აზრით, ღრმად სცდებიან ისინი, რომელთაც ნარკვევი მხატვრული შემოქმედების ელემენტარულ და პირველ საფეხურად მიაჩნიათ. ნარკვევის ფორმის სრულყოფას მხოლოდ შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში ახერხებდნენ ისეთი ოსტატები, როგორიც იყვნენ ნ. გოგოლი, ა. ჩეხოვი, კ. ჰამსუნი, თ. მანი და სხვები.

შემთხვევითად არ უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ უკანასკნელ დროს, სხვა ლიტერატურულ მოვლენებთან ერთად ყურადღება მიიქცია ვლადიმერ თორდუას ნამდვილმა ამბავმა— „გულის შუქმა". თუ ნარკვევის ჟანრს უმეტესად დღევანდელი ზოგიერთი ფაქტის ასახვის მიზნით იყენებენ, აღნიშნული ნაწარმოების თემა — სამამულო ომია. ესეც ბუნებრივი მოვლენაა. ხელოვნება ხშირად იხედება უკან, წარსულისაკენ, რათა ანალიზი გაუკეთოს წარსულის ფაქტებს და მის საფუძველზე გაითვალისწინოს მომავალი.

ომი, რომელმაც უკვე ჩაიარა, თავისი შინაგანი სიღრმითა და დეტალებით უფრო ნათლად წარმოუდგება დღეს ხელოვნებას, ამის დადასტურებაა თანამედროვე კინო-ხელოვნების, ფერწერისა თუ ლიტერატურის ბევრი ნიმუში, მიძღვნილი აღნიშნული თემისადმი. ომის თემას ეხება „გულის შუქიც". შეიძლება ითქვას, რომ ნარკვევის გმირის ცხოვრებაში არაფერი ხდება განსაკუთრებული, ძნელად ჩასაწვდომი, რთული. პირიქით, თვალში გეცემათ მის თავზე გადამხდარი ერთი უბედურება, როგორც ნაწარმოების ძირითად იდეაზე ყურადღების გამმახვილებელი საინტერესო ფაქტი. სინამდვილის მოვლენათაგან მასალის ზუსტი შერჩევის ხერხი დამახასიათებელია მ. შოლოხოვის „ადამიანის ბედისა" და კინოფილმ „ბალადა ჯარისკაცისათვის". ამ ნაწარმოებებში ნაჩვენებია, თუ როგორ იქცევა დიდი ისტორიული კატასტროფა უბრალო ადამიანთა უბედურების წყაროდ. ეს ადამიანები, თავისთავად, ავტორთა ინტერესის გარეშე დგანან. ნაწარმოების ქმედითი ძალა მდგომარეობს იმ ამბავსა, შემთხვევასა თუ თავგადასავალში, რომლის მონაწილეებიც ისინი იყვნენ. ავტორისაგან გმირის

ამგვარ ჭვრეტაზე მიუთითა თ. მანმა „ჯადოსნური მთის“ შესავალში: „ჰანს კასტორპის ისტორია, რომელიც ჩვენ აქ გვინდა მოგითხროთ, — წერდა ის — ნაამბობია არა ჩვენი გმირისათვის (რამდენადაც მკითხველი მისი სახით გაეცნობა ძალზე ჩვეულებრივ, თუმცა სასიამოვნო ახალგაზრდას), არამედ თვით ამ ისტორიის გულისათვის, რადგანაც ჩვენ ის უმაღლესი ხარისხით აღწერის ღირსად მიგვაჩნია. თანაც ჰანს კასტორპის საპატიოდ უნდა ითქვას, რომ ეს სწორედ მისი ისტორიაა და ისტორია ხომ ყველა და თვითეულ ადამიანს არ შეიძლება შეემთხვეს“.

ვლ. თორდუას ნაწარმოებს მხოლოდ იმდენად შეიძლება ნარკვევი ეწოდოს, რამდენადაც იგი კონკრეტული, ცოცხალი ადამიანისა და მისი ცხოვრების რეალური ფაქტების მიხედვითაა დაწერილი. მოვლენათა მხატვრული ათვისების განზოგადებული ფორმით კი იგი უახლოვდება ვრცელი მოთხრობის ჟანრს. აქაა აღწერილი ერთი ჭაბუკის თავგადასავალი, რომლის ცხოვრებაც ჯერ კიდევ მაშინ გადაიქცა მთელ ისტორიად, როცა მისი ტოლები მხოლოდ იწყებდნენ ცხოვრებას. ფაქტების მშრალი ჩამოთვლითაც შეიძლება მისი ცხოვრების გზის წარმოდგენა. ნაწარმოების მთავარი გმირი დაიბადა თბილისში, მას კონკრეტული მისამართი აქვს, დასახელებულია სკოლაც, სადაც იგი სწავლობდა და რომელშიც აღიზარდნენ საბჭოთა კავშირის გმირები ნოე ადამია და ოთარ ჩეჩელაშვილი. ნაწარმოების ჭაბუკი გმირი, 16 წლისა, 1942 წელს სკოლიდან და ოჯახიდან მოხალისედ წავიდა ფრონტზე და მოგონებებს ჩააბარა უზრუნველად გატარებული ბავშვობის უზრუნველი დღეები, სკოლა, მშობლები, ამხანაგები და სიყრმის მეგობარი ლია. ამის შემდეგ იგი შეუპოვრად მიჰყვება რიგითი მებრძოლის მძიმე გზას, რომელიც სავსეა შთაბეჭდილებებით, განგაშით, ფარული თუ ხილული დიდებით. იას — კიშინიოვის ოპერაციის დროს მან მიიღო პირველი საბრძოლო „ნათლობა“. მას მოჰყვა კიდევ მრავალი ბრძოლა, რომლებშიც თავდადებით ასრულებდა თავის პატრიოტულ მოვალეობას. დუნაის სახელმწიფოთა ნავსადგურები: რუშჩუკი და ნიკოპოლი, ტურნუ — მეგურელე და სვიშჩოვი, ტურნუ — სევერინი და კალაფატრა, კორაბია და ბრატისლავა ინახავენ მისი მამაცობის სასახელო საქმეებს. მაგრამ 1945 წლის აპრილში, ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს ის საბოლოოდ ჰკარგავს შემდგომ გმირულ ბრძოლებში მონაწილეობის შესაძლებლობას. ნავსადგურ ლინცზე იერიშის დროს მან საფლაგმანო ხომალდის ქიმზე მდგარი ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გაუხსნა მტერს... გემი ალყაში მოექცა. ძალების ტიტანური დაძაბვით მამაცთა რაზმმა, რომელთა შორის ოთარი იმყოფებოდა, მაინც შეასრულა დასახული ამოცანა. ის იყო ბრძოლა ყუჩდებოდა, რომ გემის ბანზე აფეთქებულმა მტრის ყუმბარამ ოთარი სასტიკად დაასახიჩრა. მას გაუკეთეს მეტად მძიმე ოპერაცია. არავის ეგონა თუ ცოცხალი გადარჩებოდა, მაგრამ ბავშვობიდანვე ნაწრთობმა ორგანიზმმა სძლია სიკვდილს. ცოტა ხნის შემდეგ, ჰოსპიტალში, მის სანახავად მოსულ მეგობრებს ოთარი კარნახობს მშობლებთან გასაგზავნ წერილს: „...როდემდის გიმალოთ! ავსტრიაში, დუნაის ფლოტილიაში ბრძოლის დროს დავკარგე ორივე ხელი, ორივე თვალი, ჩემი სხეულიდან ყუმბარის თოთხმეტი ნამსხვრევი ამოიღეს... ველარ ვხედავ, დედი, ველარ შეგხედავ, ვერ დავინახავ მამას, წინაც რომ მედგას“.

სხვადასხვა ჰოსპიტლებში მკურნალობის შემდეგ ოთარი თბილისისაკენ გამოემგზავრა. გამყოლად ახლდა ფრონტელი მეგობარი გრიგოროვიჩი. „... ბრუნდებოდა შინ ომგადახდილი დედისერთა. რა ელოდათ მშობლებს, რა ელოდა ლიას მისი ხილვით? — მწუხარება?! სიხარული?! — ორივე ერთად“. აქ დაასრულა ავტორმა წიგნის პირველი ნაწილი, რომელსაც საფუძვლად ერთი ქართველი ჭაბუკის ბიოგრაფია დაედო.

ადამიანებო, აი რა მოაქვს ომს! — წარმოსთქვამს წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟი და ამ სიტყვებს უფრო კაეშნიანსა და ცხოველმყოფელს ხდის გმირის ბედი.

როგორც ვხედავთ, ვ. თორდუას „გულის შუქი“ შთამაგონებელ კონკრეტულ ფაქტზეა აგებული. იგი აქტუალური თემას ეხება და თავისი მიზანდასახულების კეთილშობილებით ნარკვევს გარკვეული აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. კარგია, რომ ავტორმა თავისი გმირი არ აიყვანა გარეგნულ დიდებულებამდე და ყურადღება მისი გმირობის სილამაზეზე გაამახვილა. გმირობა კი მაშინ ხდება მშვენიერი, როდესაც ამაღლებულია და ლამაზი თვით ის მოტივები, რომლებიც ადამიანს შთააგონებენ ამ გმირობის ჩასადენად. არ უნდა იქნეს დავიწყებული ისიც, რომ გმირობის ცნების ფსიქოლოგიური გაგება ფიზიკურზე ადრე სულიერ ენერგიას გულისხმობს. ასეთი თვალთახედვით გააზრებული დეტალები კი ნამდვილად სწორად ხსნის ამ ახალგაზრდის შინაგან სამყაროსა და იმ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს, რომელშიც გმირობა დაიბადა, როგორც ადამიანის შინაგანი მოთხოვნილება. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა ნაწარმოებისა. მთავარი და არსებითია ამ წიგნის უკანასკნელი ნაწილი და ის გაგრძელება, რომელსაც ავტორი მკითხველებს პირდება. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის სახე ჩვენს ლიტერატურაში არ შექმნილა და საჭიროა სწორი პოზიციის მიგნება რათა მხოლოდ მხატვრულობის გამოდევნებამ არ დაამახინჯოს სიმართლე და ბუნებრიობა. ადვილია იგრძნო ოთარის მსგავსი ადამიანის ტრაგედია, ძნელია მისი ჩვენება. სწორი პოზიციის მიგნე-

ბისათვის ნამღვილად შეიძლება ლ. ტოლსტოის „ჰაჯი მურატიდან“ იმ ადგილის გახსენება, სადაც გენიოსი მწერალი გვიხატავს მინდვრის მცენარე ბირკას, რომელსაც რკინისალტიანმა ბორბალმა გადაუარა, მიწას დაასრისა, მაგრამ ის მაინც წამოიწია ნელა-ნელა და სიკვდილს არ დანებდა.

მარადიული ლტოლვა არსებობისაკენ ცოცხალი ორგანიზმის თვისებაა. მაგრამ ადამიანის, როგორც ცნობიერი არსების ტრაგედია შორდება მცენარეულ იმპულსებს და გაცილებით ღრმა სულიერ განცდათა წრეს მოიცავს. ამ უკანასკნელის გამოხატვა, თავისთავად მეტად რთული და საინტერესოა. ალბათ ეს აფიქრებიებს ავტორს მოთხრობის გაგრძელებას. „გულის შუქის“ გაგრძელებაში უკვე აღარ იქნება აღსაწერი ისტორიული შემთხვევები, ამბები. ნაწარმოების მოქმედება ცენტრალური სახის გარეგანი მოქმედების ნაცვლად განვითარდება უმთავრესად მისი შინაგანი განცდების გამოხატვის, მისი სურვილებისა და ვნებების მარადიული ბრძოლის გამოსახვის გზით. ეს თემა როგორც აღვნიშნეთ კიდევ უფრო რთულია, მაგრამ საინტერესო. ნარკვევის ფორმასთან თემის ახლოს დგომა აფიქრებდა ა. ჩეხოვს ნარკვევად ჩაეთვალა თავისი „პალატა № 6“, აგრეთვე გამოჩენილ ფსიქიატრ კოვალევსკის, რომელმაც ნ. გოგოლის „შეშლილის ჩანაწერები“, ნარკვევად მიიჩნია.

ვლ. თორდუამ ნარკვევის ფორმაში ქართველი ჭაბუკის ცხოვრების ფაქტების გადმოცემით შესძლო მნიშვნელოვანი იდეის მხატვრული განსახიერება.

გიორგი ბაჩეჩილაძე

# ლადო სულაბერიძის ლექსების ახალი კრებული

★

ლ. სულაბერიძის ლექსების პირველი წიგნი 1957 წელს გამოვიდა. ჩვენს წინაა მისივე ლექსების მეორე წიგნი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა

ლ. სულაბერიძის ნაწერებში ლირიკული ტონი ჭარბობს და ამით აიხსნება საიდუმლოება იმ მიმზიდველობისა, რომელიც მის ლექსებს ახასიათებს: რომელ თემასაც არ უნდა ეხებოდეს ავტორი, მკითხველი ყველგან გრძნობს, რომ პოეტი მოვლენას საკუთარი თვალით ხედავს, საკუთარი სულის ქურაში ატარებს. ამიტომაა პოეტის ისეთი ლექსებიც კი, რომლებშიაც სიყვარულისა და სილამაზეზე, ყვავილებსა თუ ბავშვობის დღეთა მოგონებებზეა ლაპარაკი, მიუხედავად ამ თემების საკმაო „გაცვეთილობისა“, მაინც ინტერესით იკითხებიან. საერთოდ კი ლ. სულაბერიძის ორივე წიგნს აკავშირებს და თითქმის ყველა მის საუკეთესო ლექსში შეიგრძნობა ძირითადად ერთი თემა. ეს თემაა — ომი და მშვიდობა.

ლ. სულაბერიძემ პირადად გადაიტანა ომის საშინელება და ამ გარემოებას უკვალოდ არ ჩაუვლია პოეტისათვის: მიუხედავად იმისა, რომ ომის დამთავრებიდან საკმაო ხანი გავიდა, ჩვენ ვხედავთ, რომ მის სულიერ სამყაროში ომის სურათები არ წაშლილან. ომის თემა ჯერ კიდევ მთავარია პოეტის შემოქმედებაში, იგი თითქმის ყველგან შეიგრძნობა როგორც ფარული შიში, კოშმარული მოგონება და მებრძოლი იმედი, რომ ომი აღარ უნდა განმეორდეს, რომ მომავალმა თაობებმა აღარ უნდა განიცადონ მისი ბარბაროსული საშინელებანი. უთუოდ ეს განაპირობებს იმ სითბოსა და უშუალობის შეგრძნებას, რომელსაც ლ. სულაბერიძის ლექსების კითხვისას განვიცდით: მის ლექსებში თითქოს არაფერია გამოგონილი, აქ არ იგრძნობა განმეორება, გადამღერება, არც აგიტატორობა და პლაკატურობა შეგვხვდება მის ნაწერებში.

მაგრამ მივმართოთ ლექსებს. მკითხველის თვალწინ ქრონიკული თანმიმდევრობით იშლებიან ომისდროინდელი წლების სურათები და ადამიანური განცდანი. ომის პირველი დღეები, ფრონტზე მიმავალი ქართველი ჯარისკაცი თბილისის სადგურზე. მატარებელი დაიძრა და სადგურის ბაქანთან რჩებიან თბილისის ღამე და დედა („განშორება“), დილით კი ჯარისკაცი უკანასკნელად გახედავს კავკასიონს. მატარებელი ფრონტს უახლოვდება. ვაგონის კედლები ტყვიებს დაუცხრილავს, ნატყვიარებში მზის სხივი სხლტება და ცივია იგი სხივი. სხივი ეალერსება ბავშვს, რომელიც დედას მიყავს სადღაც. ბავშვი

ილიმება და იმ ნატყვიარებს ხედავს,
იმან რა იცის, რაა ომი და ტყვია...
...დედა კი მიდის, იმისთვის ეძებს საფარს..,
(ნატყვიარებში ჩამოსხლეტილი სხივი)

და მერე ყირიმის ღამეები:

ცეცხლში დაიწვა პირველი ღამე,
სიკვდილი თავის ცელსა ლესავდა...
(ყირიმის ღამეები).

პირველი ბრძოლის საშინელებით შემკრთალი ჯარისკაცი „ათასერთი ღამის“ შეჰერეზადას მოუხმობს და შესთხოვს თავისი ზღაპრები მოუყვეს სიკვდილს,

იქნებ დაგიცხრეს შეჰერეზადა,
დამდევს და უნდა აქ გამათაოს,
მე კი თბილისის მთებს შევეზარდე...
გადამივიწყოს იქნება დაო,
მოუყევ რამეს, შეჰერეზადა. (შეჰერეზადა)

აქ გამოხატული განცდები საკმაოდ ახლობელია იმათთვისაც კი, ვისაც ომი არ უნახავს: ყირიმის ველებზე ხომ არა ერთმა ქართველმა ჰპოვმა იმ დღეებში უსახელო სამარე...

გადიან დღეები. ჯარისკაცის ნერვები ეჩვევიან ომს და ახლა ჩვენს წინაშე ომის ცეცხლში გარუჯულ-გამობრძმედილი პოეტი და მოქალაქე დგას. პოეტს აგონდება მშობლიური მხარე, სოფლის ორღობე და ორღობეში იავანის და აკვნის რწევ·ს ხმა, ბუხრის სითბო და ბარაქიანი შემოდგომა, როცა „შემოდგომის ჩურჩულივით — გესმის ტაროების რჩევა“... (ყირიმის ღამეები), აგონდება ყოველივე ეს და ცეცხლში დამწვარ ყირიმის ღამეებს მიმართავს,

... რომ აკვანთან, იმ ბუხართან
გათეული ღამეები
ახლაც ისევ მეძახიან,
მე იმათთვის თქვენთან ვდგები.
მათ სიმშვიდე უნდათ ისევ,
თორემ დაფრთხა აკვნის ჩვილი,
მამაჩემის ბუხრის ცეცხლსაც
ეპარება შავი ჩრდილი... (ყირიმის ღამეები).

ეს ლექსი ჟღერს როგორც საბრძოლო-სასიცოცხლო მოწოდება იმ თაობისა რომელსაც ომი არ უნდოდა, მაგრამ ომში მიდიოდა მაინც, რომ კარზე მომხვდურ მტრისათვის საკადრისი პასუხი გაეცა.

და შემდეგ გრძნობ, ომის არცერთი საშინელება რომ არ დაკლებია პოეტს... და ბოლოს ომი მთავრდება, მაგრამ ამასაც მხოლოდ გრძნობ და ეს გრძნობაც გადმოცემულია ყოველგვარი ხმაურისა და საზეიმო დაფდაფების გარეშე. მე აქ მხედველობაში მაქვს ლ. სულაბერიძის ნათელი ფერებით გასხივოსნებული კარგი ლექსი „ყანები“:

... ველს მორჩენია იარა,
აღარ ქრის ქარი ფრთაშავი.
იქ ერთი ძველი სანგარი
აჩნია ჭრილობასავით.
გარს ეხვევიან ყანები,
სანგარზე ხრიან თავთავებს,
მღერიან, ალალანებით
ნიავში ფერხულს მართავენ.
დღედალამ სანგარს ჩაესმის
შრიალი გასახარები.
გაზრდილან, დაპურებულან
ყირიმის ველზე ყანები. (ყანები).

სიცოცხლე იმარჯვებს. იწყება ახალი თავი ცხოვრებისა, მაგრამ ახალი ხომ წარსულსა და მომავალთანაა გადაჯაჭვული. მართალია წარსულს ჩაბარდა სისხლიანი დღეები, მაგრამ მათი ხსოვნა არ წაშლილა. ის დღეები არ უნდა დავივიწყოთ, მომავალმა თაობებმა აღარ უნდა განიცადოს ომის საშინელებანი. ესაა ლეიტმოტივი პოემისა „ოცნება“. ამ პოემის შესახებ საკმაოდ ითქვა ჩვენს კრიტიკაში, აქ მინდა მხოლოდ აღვნიშნო: ამ პოემას უთუოდ აქვს ორგანული კავშირი „ყირიმის ღამეებთან“, იგი ამ უკანასკნელის გაგრძელებაა თითქოს. „ყირიმის ღამეებში“ ძირითადია მშვიდობის აღდგენის იდეა, რომ აკვნის ჩვილი აღარ ფრთხებოდეს, „ოცნებაში“ კი ასეთი იდეაა—მშვიდობის დაცვა.

პოეტმა ნახა ომის საშინელება და მას არ უნდა რომ ჩვენს შვილებსაც გაუმწარდეს ახალგაზრდობა და სხვის ქვეყნებში დარდებით დალილს საქართველო ენატრებოდეს. პოეტს მშვიდობიანი ცხოვრება უნდა თავისი შვილისა და მისი მომავალი საბედოსთვის. იგი მამაა და ქვეყანაზე ყველა მამების სურვილს გადმოგვცემს, როცა ამბობს:

ამიტომ არ მსურს ომი და ჯანყი,
არ დაგაფეთოს პატარა ვარდო...
მიწაში ახალ ვენახსაც ჩავყრი,
თქვენს ალალბედზე წამოიზარდოს.
რომ სიყვარულით გული დალიოს,
თქვენმა ბალმა და ზვარმა იხაროს... (ოცნება)

მე ვიტყოდი, რომ ეს ორი ნაწარმოები („ყირიმის ღამეები“ და „ოცნება“) გარკვეული თვალსაზრისით პოეტის შემოქმედებისათვის მეტად დამახასიათებელია. ლ. სულაბერიძემ შესძლო პოეტური დამაჯერებლობით გადმოეცა უბრალო ადამიანური სურვილი და იმედი ნათელი მომავლისა.

ლ. სულაბერიძის ლექსების გარჩევისას განზრახ შემოვიფარგლეთ ომისა და მშვიდობის თემით. რა თქმა უნდა, ეს თემა არაა ერთადერთი პოეტისათვის, თუმცა მის ლექსებში საუკეთესოდ მაინც ისინი უნდა ჩაითვალოს.

ერთ-ერთ თავის ლექსში („ელვა“) პოეტმა გამოთქვა სურვილი: „ჰოი, ცაო, ერთი წამით ნეტამც გავიელვებდეო“. ორივე წიგნში მოთავსებული მისი ლექსები გვარწმუნებენ, რომ მკითხველმა მართალია უკვე „ერთი წამით გაელვებაზე“ მეტი მიიღო პოეტისაგან, მაგრამ კიდევ მეტს მოელის მისგან. ლ. სულაბერიძეს საამისოდ საკმაო შემოქმედებითი მონაცემები გააჩნია.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მირზა გელოვანის ლექსები

★

მირზა გელოვანის ლექსების ახალი წიგნი „ცხრაკარა“, რომელშიც თავმოყრილია პოეტის მხატვრული შემოქმედება, ნათელი დადასტურებაა იმისი თუ რაოდენ ნიჭიერი და კარგი მომავლის მქონე პოეტი იზრდებოდა ჩვენს თვალწინ. ჯერ კიდევ სრულიად ყრმამ დაიწყო ლექსების წერა, ხოლო მწერალმა რაჟდენ გვეტაძემ თავის მოთხრობაში „ლაშაური საღამოები“ დაბეჭდა მისი პირველი ლექსი „თეთრი მიწა“, რეზო გელოვანის ხელმოწერით. საინტერესოა ეს ლექსი თავისი გააზრებითა და ფორმით:

დედამიწა შეიმოსა თეთრი სამოსელით
თეთრ კარავებს დაემგავნენ ატეხილი მთები,
მახსოვს შენი გუნდაობა უხელთათმნო
ხელით,
ახლაც მინდა შენი ნახვა, ახლაც მელანდები.
ეს სურვილი ძლიერია, როგორც ქარიშხალი,
სპეტაკივით შემოსილი, ვით ეს თოვლი წმინდა
მაგონდება შენს სახეზე პაწაწინა ხალი
და თუ შენი ღიმილი მსურს, შენი გულიც
მინდა.

სამი თუ ოთხი წელი ტრიალებდა მირზა ქართველ პოეტთა შორის. 1939 წელს იგი საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს და ხუთი წლის მანძილზე ჯარისკაცის ფარაჯაგაუხდელი, უბის წიგნაკში სწერდა ნანახსა და შეგრძნობილს. ხან ფანტაზია შორს სამშობლოში გადაისვრიდა და ფრონტზე წუთიერი სიწყნარე მისი პოეზიის ახალი ამეტყველება იყო.

სვანეთიდან გადმოსახლებული პაპის შვილიშვილმა მირზამ ფეხი თიანეთში აიდგა და აქვე დაიწყო მისი პირველი ჭიდილი ქართულ სიტყვასთან. რუსეთში, თვალუწვდენელი ფრონტის გრიგალში ყალიბდებოდა მისი პოეტური აზრი. სანგარსა და ძელმიწურის საცეცხლე წერტში ვაჟკაცდებოდა ქართლიდან აფრენილი არწივის მართვე.

პოეტის შემოქმედებაში ერთ-ერთი მთავარია პატრიოტიზმის მოტივი, სამშობლო მისთვის ყველაფერია და, ალბათ, წინდაწინ გრძნობდა პოეტი — თავის მომავალ ბედს, როცა იგი ამ სტრიქონებს სწერდა.

ქართლის მიწავ, უტკბილესო,
საყვარელო ქართლის მიწავ.
ჩვენს ცხრათვალა დიად მზეს და
ჩვენს ალისფერ დროშას ვფიცავ...
თუ ოდესმე, როგორც ძველად,
ამ ცას ვინმე შეგვეცილოს,
წმინდა ვალის მოსახდელად
უყოყმანოდ შევეწირო.
მოვკვდე ისევ ღიმილმჩენი
ვით კვდებოდნენ გმირნი ძველად,
რომ, სამშობლოვ, საქმე ჩემი
დამრჩეს შენდა სადღეგრძელოდ.

ეს იყო ლექსად თქმული სამხედრო ფიცი, გულით ნათქვამი. ფიცის ამ სიტყვებს ბრძოლის ველზე საქმით ანაღდებდა პოეტი-მეომარი მ. გელოვანი, მრისხანე განსაცდელის ჟამს. ზემოდმოყვანილი სტრიქონები ამოღებულია ბალადიდან „შავნაბადა“, რომელიც წიგნის პირველ განყოფილებაში — „ფანდური“ — შედის. ამ ბალადაში პოეტმა ლირიულ ფორმებში დაგვიხატა მგზნებარე კომკავშირელის ბორის ძნელაძის მიმზიდველი სახე. „შავნაბადაში“ მრავალია პოეტურად შესრულებული და შინაარსობრივად კარგად გააზრებული ადგილები. ბალადა თავიდან ბოლომდის შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

მ. გელოვანის შემოქმედების ერთ-ერთი გამარჯვება იყო ბალადა „აონი“. ბალადის მძაფრი და დრამატული შინაარსი შეხამებულია პოეზიის ლირიულ ჟღერადობასთან. როცა „აონი“ მ. გელოვანმა პირველად წაიკითხა თბილისის მასწავლებელთა სახლთან არსებულ დამწყებ მწერალთა წრეში, გულმხურვალედ გადაეხვია მირზას წრის ხელმძღვანელი ვახტანგ კოტეტიშვილი, ხოლო იპოლიტე ვართაგავამ „აონი“ ილიას „განდეგილს“ ამოუყენა გვერდში. არ ვიცით რამდენად სწორი იყო ეს შედარება, მაგრამ ფაქტია: „აონი“ ღირსი იყო შექებისა და მოწონებისა. ჯერ კიდევ, დაბეჭდვამდე მთელმა სტუდენტმა ახალგაზრდობამ ზეპირად იცოდა „აონი“. ბალადაში ბევრია მიმზიდველად დაწერილი სტრიქონები. აი ერთი მათგანი:

გრიგალი სწეწდა ღრუბელთა ხვეულს,
ქუხდა და ელვა ანთებდა ხანძარს,
ხან შოლტსა ჰგავდა, ხან ლახტს მოქნეულს,
ხან გასაგმირად ამართულ ხანჯალს.
მთების მახლობლად ჩამოჰკრეს კვესი,
დაეცა მუხას მეხი ტიალი,
ხეობას გაჰყვა წივილით, კვნესით
ზარის რეკვა და კაცის ღრიალი.

განყოფილებაში „ფანდური“ მრავალი ლექსია ისეთი, რომელიც მკითხველის მოწონებას იმსახურებს. ასეთია „ფანდური“, „ცხრაკარა“, „მწყემსის მუქარა“, „ღიმილი“, „საუბარი იორთან“ და სხვა. ეს ლექსები დაწერილია **ომის წინ.**

---

მირზა გელოვანი. „ცხრაკარა“, გამომცემლობა „ნაკადული“, 1960 წ.

განყოფილებაში „მელოდე“ წარმოდგენილია ლექსები, რომლებიც პოეტმა დასწერა საბჭოთა არმიის რიგებში ყოფნისას და დიდი სამამულო ომის პერიოდში. პირველი ლექსი „განშორება“, დათარიღებულია 1939 წლით. ამ წლის შემოდგომაზე მ. გელოვანი გაუდგა გზას, რომლიდან უკან დაბრუნება არ ეწერა თურმე. სამამულო ომმა საზღვრისპირა რაიონში მოუსწრო და პოეტმა განიცადა როგორც უკანდახევის საშინელება ისე შეტევითი ბრძოლის სიხარულიც. ფრონტზე დაწერილი ლექსები გაქღენთილია ღრმა ოპტიმიზმით და გამარჯვების რწმენით. ამ ქარიშხლიან დღეებში პოეტი პოულობს დროს ქალალდის ნაგლეჯს გაანდოს თავისი ფიქრები და წმინდა ლირიულ გატაცებასაც დაუთმოს ადგილი. მაგრამ მისი ყოველი ლექსი მჭიდრო კავშირშია გარემოსთან, სადაც ცხოვრობდა, რითაც სუნთქავდა. ამის მკაფიო მაგალითია „ჩემს მიწურ ქოხში“. აღსანიშნავია ლექსი „გმირობას მისას“. ეს პატარა ლექსი ნატურიდან აღებული სურათია. ლექსში „შენ“ პოეტი ამბობს „შენ გახსოვს ტყვია მე როგორ ამცდა და ამხანაგის გულში გაცივდა“:

მაგრამ მითხარი, განა გიშველის
რომ შედრკე ახლა სიკვდილის გამო!
რამდენი ნახე შენ ფეხშიშველი
ბავშვი. უსახლო და უდედმამო!
შენ მიდიოდი... გზა იყო სისხლის
და ბავშვის თვალებს უცვლიდა იერს.
სიკვდილისაგან შენ ვერა გიხსნის,
თითონ სიკვდილი თუ არა სძლიე...

მხოლოდ გამარჯვება, მხოლოდ მტრის დამარცხება მოგიტანს სიცოცხლესა და ბედნიერებას, ამას სწერდა პოეტი, რომელსაც მისივე სიტყვებით ათასი წლის სიცოცხლე ეცოტავებოდა. მაგრამ პოეტი მარტო ფიზიკურ სიცოცხლეზე როდი ფიქრობს. მას სურს მისმა სახელმა, საგმირო საქმეების შარავანდედით შემოსილმა საუკუნეებსაც სძლიოს. ეს აზრი ჯერ კიდევ ოცი წლის პოეტმა გაატარა ბალადაში „შავნაბადა“:

ჩემო მიწავ! ლაჟვარდებში
ვინც ქარს შეხვდა გამკვლავებით,
ვინც გაღეღილ საგულეში
ჩაიბნია ვარსკვლავები.
ვინც შებორკა მტრების ზრახვა,
ვინც ქმნის მუდამ, — იგი მე ვარ...
შორს სახელი გამივარდა,
შორს წასულან ჩემი ხმები
მე ოცი წლის გმირი ვარ და
საუკუნე მიმაქვს მხრებით.

ახალგაზრდა პოეტი ამ გრძნობით ანთებული ებრძოდა მტერს, იცავდა თავის მამულს, თავის კერას.

ფრონტზე მყოფ პოეტს წუთითაც არ ავიწყდება მისი სამშობლო-საქართველო, თბილისი, ცისფერთვალება ქერათმიანი ასული, რომლისადმი დაუმცხრალი ტრფიალი პოეტს ახალი საგმირო საქმისაკენ მოუწოდებს. 1942 წლის 10 ივლისით დათარიღებულ ლექსში „მელოდე“ პოეტი სწერს:

.. და ქორწილს ზეცის სუფრაზე გავშლი,
ოღონდ მოსვლამდის, ოღონდ ბოლომდის,
როგორც ვაზაფხულს ელიან მთაში,
შენი ლამაზი თრთოლვა მელოდეს.

მეორე ლექსში „ო, მაპატიეთ“, პოეტი წერს, რომ „სადმე ტყვია თუ გააციებს“, აპატიონ მას სატრფომ „არდაბრუნებისათვის“. აღსანიშნავია აგრეთვე ლექსები „ნუ მწერ“, „მეგობარ პოეტს“, „ერთი ღამე“. უკანასკნელი ლექსი პოეტმა თავის დაბადების დღეს უძღვნა. იმ დღეს მას ოცდაექვსი წელი შეუსრულდა. ლექსში „დედას“ პოეტი გადმოსცემს ყველა საბჭოთა მეომრის გულისთქმასა და სადარდელს:

დედავ, გრიგალში გადაკარგულს წუხილით
მიცდით,
და ჩემს სიცოცხლეს ლოცულობთ და ჩემს
დაბრუნებას,
როდესაც ვწევარ ცივ სანგარში და ბრძოლა
დამღლის
მოდის თქვენი ხმა, როგორც კვნესა საკუთარ
ძვლების...
მე გამარჯვება დამაბრუნებს თქვენთან,
სწორებთან,
მე გამარჯვება გადამიყვანს მთებზე,
ქედებზე...

მაგრამ პოეტმა ვერ იხილა გამარჯვების მაისი, 1944 წლის შემოდგომაზე მამაცთა სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე. ფრონტზე თავად დასწერა პოეტმა თავისი ეპიტაფია:

როდესაც რკინა ტყვიამ დაძენძა,
როცა აწიეს ფრთები ანძებმა,
საძმო საფლავში იწექ ნაძვებთან,
არ ესწრებოდი ჩვენს გამარჯვებას.

დაიღუპა მირზა, მაგრამ მისი ლექსები კვლავ ღაღადებენ სიცოცხლისა და ჰუმანიზმის საგალობელს.

ᲐᲚ. ᲙᲝᲥᲐᲘᲐ

# ახალი წიგნები

★

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „საბჭოთა საქართველო“

ალექსანდრე ფადეევი — ახალგაზრდა გვარდია. თარ. პ. აბრამიასი. რედ მ. მაისურაძე. გვ. 732, ფასი 14 მან. 30 კაპ.

ირაკლი აბაშიძე — ამერიკა თვალის ერთი გადავლებით. რედ. ე. მაღრაძე. გვ. 82, ფასი 90 კაპ.

## „ნაკადული“

ოსკარ უაილდი — ვარდი და ბულბული. თარ. ზ. გამსახურდიასი. რედ. ე. მაღრაძე გვ. 104, ფასი 1 მან. 70 კაპ.

ალიო მირცხულავა — ნახტომი მზისკენ. რედ. გ. კაჭახიძე. გვ. 168, ფასი 5 მან.

ვიქტორ გაბესკირია — ლირიკა. რედ. ქ. ქუჩუკაშვილი. გვ. 140, ფასი 3 მან. 50 კაპ.

გრიგოლ აბაშიძე — მთები და კლდეები. რედ. გ. კაჭახიძე. გვ. 120, ფასი 3 მან. 50 კაპ.

ნიკო კეცხოველი — ორი მეგობარი. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 32, ფასი 7 მან.

ა. ბელიაევი — კაცი ამფიბია. არიელი. რ. ესებუასი და დ. დეკანოზიშვილისა. რედ. დ. შენგელაია. გვ. 457, ფასი 17 მან.

მამალი და კატა — რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 16, ფასი 2 მან.

შილდბიურგერთა თავგადასავალი — თარ. ვ. ქოჩორაძისა. რედ. ვ. ბეწუკელი. გვ. 96, ფასი 2 მან. 40 კაპ.

შალვა წვიჟბა — ჰილის ქუდი. რედ. ვ. გვეტაძე. გვ. 36, ფასი 70 კაპ.

სიმონ ციქურიშვილი — ოქტომბრელთა ჯგუფებსა და ვარსკვლავებში. რედ. მ. მგელაძე გვ. 76, ფასი 1 მან.

საბავშვო პიესები — კრებული. რედ. ლ. ცაგარეიშვილი. გვ. 190, ფასი 8 მან. 40 კაპ.

## „საბჭოთა მწერალი“

ლევან ასათიანი — რჩეული ნაწერები. ტ. 2. რედ. ბ. ჟღენტი. გვ. 624, ფასი 20 მ. 30 კაპ.

სერგო კლდიაშვილი — ნოველები. რედ. ა. გაბესკირია. გვ. 394, ფასი 4 მან. 80 კაპ.

გრიგოლ აბაშიძე — პირამიდებზე. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 70, ფასი 2 მან. 60 კაპ.

ალექსანდრე გომიაშვილი — ლექსები და ბალადები. რედ. ნ. ხომერიკი. გვ. 224, ფასი 5 მან. 40 კაპ.

იოსებ ნონეშვილი — ცისარტყელის ჭიშკარი. რედ. ა. გაბესკირია. გვ. 190, ფასი 4 მან. 85 კაპ.

გრ. ბერძენიშვილი — დაჭრილი არწივი. რედ. გრ. ჩიქოვანი. გვ. 236, ფასი 9 მან. 40 კაპ.

გიორგი კალანდაძე — ჩაუქრობელი კერა. რედ. მ. ფოცხიშვილი გვ. 72, ფასი 95 კაპ.

სერგო დანელია — ლიტერატურული ნარკვევები. რედ. ბ. ჟღენტი. გვ. 210, ფასი 4 მ. 40 კაპ.

ოსკარ უაილდი — ბროწეულის სახლი. თარ. ქ. კანდელაკისა და ნ. ჩიგოგიძისა. რედ. გ. გაჩეჩილაძე. გვ. 269, ფასი 5 მან. 75 კაპ.

გიორგი სამხარაძე — სიცოცხლის ძახილი. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 118, ფასი 2 მან. 55 კაპ.

იმერელი ქალი (ლიდა მგალობლიშვილი) — ლექსები. რედ. შ. აფხაიძე, გვ. 64, ფასი 1 მან.

თედო შავიშვილი — ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებული. რედ. ვ. გორგაძე. გვ. 206. ფასი 7 მან. 05 კაპ.

ოთარ დემეტრაშვილი — ჩემი უბანი. რედ. გრ. ჩიქოვანი. გვ. 100, ფასი 1 მ. 05 კაპ.

ფოტულა იანაკოპულუ — ელადის გაზაფხული. რედ. ო. ჭელიძე. გვ. 76, ფასი 1 მ. 40 კაპ.

---

14

ფასი 8 მ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР
«САБЧОТА САКАРТВЕЛО»